

114
1971



გეოგრაფია

12

1971

ენათობი

სოციალური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

წელიწადი 47-ე

№ 12

დეკემბერი, 1971 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

უ ი ნ ა ა რ ს ი

ალექსანდრე ჭუბთაძე — სოციალურად-რომანი. დასასრული	3
ზალვა ამისულაშვილი — ლექსები	82
ზაპარია ზიკაზადიშვილი — ლექსები	85
სილოვან ნარიშკინი — ლექსები	88
ლარი ბეგიანი — ლექსები	91
ლადო ავალიანი — ხის კოვზი. ნოველა	92
ლელია მისხი — თოვლიანი ზღა. მოთხრობა	98
ზვიად გამსახურდია — ლექსები	105

კრიტიკა და კუბლიცისტთა

ა. ნუჯაი — საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა სოციალ- დემოკრატიული მუშაკების გათავისუფლებისათვის	108
დემურ გრიგოლია — ბრძოლი საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის	119
გიორგი ხუბუაშვილი — ზღაპრის სათავე	126
მ. საბაძე, რ. შამელაშვილი — ნ. ა. ნეკრასოვის მხატვრული სახეები ლი- ნის ზემოთხედი	133
ალექსანდრე ჭუბთაძე — დონტოვსკი და კიბელი	138
კროკოდი კაბინი — ერთი კიდე „მეფისმთავრის“ ავტორის ვინაობა- ზე. დასასრული	148

ფაქტები, მომენტები

მიხეილ კვასელაძე — ან პრეზის დღე. ვაგრაჟელები	165
---	-----



საქართველოს კავშირის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

11.636

საქართველოს კავშირის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ნოდარ ნაბაშიძე — მცხარე მეთოდოლოგიური კონვინივირან 177
 მ. ზაპარია — თანამედროვე ბიოგრაფიული ფილოსოფიის მარქსისტული კრიტიკისათვის 183
 ვლადიმერ ჯიბუტი — შოთა ნიუნინის კოეფიციენტი 188

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამყარაშვილი, მ. ლეხანიძე, ბ. ძლანდი, ა. სულავერი, ა. ქუთათელი, ე. შიფინანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანთიაშვილი, დ. შენგელიანი, ვ. წულუკიძე, ი. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბუტაძე.

ტექნიკური რ. ნაბახტაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პრესბექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11.
 პ/მგ. მდივნის — 98-55-13, ვანოფილევების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადეცა ისაწყობად 28/XI -71 წ., ხელმოწერა-
 ლია დსაბეჭდად 25/XII-71 წ. ინწყობის ზომა 7¹/₄ X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108¹/₁₆.
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო თაბახი 12.
 უფ. 02258. ტირაჟი 12.850. შვკვ. № 3852.
 საჭ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.



სათვალთვალ

კო მ ე ნ ი

* * *

მაძლარი, კმაყოფილი, ბედნიერი კო-
ტე და მისი თანამესუფრენი ფარდა-
აწეულ მაღალ ვიტრინასთან ისხდნენ.
ვიტრინას მთელი კედელი ექიპრა და მას-
ში ნევის პროსპექტი, პროსპექტის იჭი-
თა მხარეს გაშენებული უნივერსალი —
„გოსტინი დვორი“ და ტროტუარზე მო-
სეირნენი ხელის გულივით სჩანდნენ.
ზოგი მოსეირნე ჩერდებოდა, ვიტრინაში
იკვირებოდა, მდიდრულად ჩაცმულ,
დანაყრებულ და უშფოთველ ხალხს შუ-
რით გასცქეროდა. კოტეს მოეჩვენა,
თითქო ღარიბულად ჩაცმული ორი ბედ-
შაეი ვიღაც კაცი შუბლშეკმუხენილი ათ-
ვალეირებდა მას. უზერხულობა იგრძნო
და მოულოდნელად უცნაური რამ წა-
მოიძახა:

— მათ რომ იცოდნენ, რა ჩინებული
სადილი და დიდებული ზენდრო მივირთ-
ვით წელან, თავს კეტით გაგვიპობდნენ.
— ზინამ ვერაფერი ვერ გაიგო ასეთი
ახირებული ოხუნჯობისა. გაოცებით შე-
ხედა კოტეს და ჰკითხა:

— ზენდროს გამო თავს რად გაგვი-
პობდნენ?

— ჩვენ კარგი სადილი, ზენდრო, პუშ-

კინის პოეზია და ლეონარდოს ჭიკონდა,
მათ კი რა: შიმშილი, სიღატაკე, შაეი ქვა
და ნაცარი?!

— რათა? ეგ ზომ რეველოუციამდე
იყო! ახლა ღარიბებს ბატონები არა
ჰყავთ. ჩვენი ქვეყანა მუშებისა და გლე-
ხების სახელმწიფოა. ისინი სულ მალე
ბედნიერ და მდიდარ ქვეყანას, სოცია-
ლიზმს გააშენებენ და ყველაფერი უნ-
ვად ექნებათ: ბინა, ტანსაცმელი, სას-
მელ-საქმელი, ნამცხვარიცა და ზენდ-
როც.

— სოციალიზმი ილუზიაა, — მოუ-
ლოდნელად წამოიძახა არკადიმ, — რეა-
ლობაც რომ იყოს, მერმე რა?! იგი ნიე-
თიერ უზრუნველყოფას, სიმდიდრეს,
სიუხვეს უქადის ადამიანს და არა სუ-
ლიერ სიმშვიდესა და ბედნიერებას.

— სულს რაღა წაეკიდება? — წყე-
ნით ჰკითხა ზინამ.

— მას ისევ სიკვდილის შიში შეაშ-
ფოთებს, — უშფოთველად მიუგო არ-
კადიმ. კოტეს ავადმყოფი დედა მოა-
გონდა და ჩაურთო:

— სიკვდილისაგან კაცს ვერაფერს, ვე-
რაფერი ვერ იხსნის და იბატებს.

— გარდა იესო მაცხოვრისა, მისი
სჯულისა, — შენიშნა არკადიმ.

— საუბედუროდ ქრისტეს მოძღვრე-
ბაც ილუზიაა. ნამდვილად კი ქრისტე ეს

არის — ჯვარცმა, წამება, სიკვდილი, კუბო და შავი სამარე, — განაცხადა ღრმად დამწუხრებულმა კოტემ. და ხელი უიმედოდ ჩაიჭინა.

— აღდგომა, სულის უკვდავება? — ჰკითხა არკადიმ.

— აუხდენელი სასწაული, ზღაპარი, მითი, — მიუგო კოტემ.

— ექვს დღეში ქვეყნისა და ადამიანის გაჩენის ამბავი, სადაც დღე მილიონ წლებს უდრის, ადამიანთა ცოდვების გამოსყიდვისათვის გაღებული ქრისტეს მსხვერპლი, წამება, ჯვარცმა, აღდგომა და სულის უკვდავება ზღაპარი კი არა, ღრმა აზრის შემცველი სიმბოლოებია და ეგ თუ არ გავიგეთ და ვირწმუნეთ, როგორღა ვძლიოთ ბოროტებას და სიკვდილს? ვინ. რა გვიხსნის არარაობისა და სიკვდილის შიშისაგან, — ჰკითხა შემფოთებულმა მოხუცმა არკადიმ კოტეს.

— ამქვეყნიური ცხოვრება, ბედნიერება, — მოუპრა კოტემ.

— ვინ, რა მიანიჭებს ადამიანს იმ ბედნიერებას? — ჰკითხა არკადიმ.

— კვერცხის ყვითელი გული, გამრავლება, ბიოლოგიური უკვდავება, ბუნებრივი სიკვდილი, — დაადგინა კოტემ. რევაზმა ძმას უცნაურად გაუღიმა და დაამატა:

— და კიდევ: ბალღის ზეწარზე დაჩნეული, არა მწვანე, არამედ ყვითელი ლაქა — ბედნიერი ცხოვრება არ დაგავიწყდეს.

— მაპატიეთ, მეგობრებო, მაგრამ ერთი რამ არ შემიძლია არ შეგნიშნოთ: მაგარი სასმელი არ მიგირთმევიათ, ნასვამი კაცივით კი საუბრობთ! ვერაფერი ვერ გამიგია თქვენი ახირებული საუბრისა, — სწუხდა ზინა.

— მაინც რა ვერ გაიგეთ? — ჰკითხა რევაზმა.

— რა აზრი იმალება ასეთ დაპირისპირებაში: „ხენდრო — კეტი“, „ქრისტე — სიკვდილი“, „კვერცხის ყვითელი გული — გამრავლება“, „ბალღის ზეწარზე დარჩენილი ყვითელი ლაქა — ბედნიერი ცხოვრება“?

— არის აზრი, მიუგო რევაზმა. — ხეტოვანი, აფორიზმული მოკლე მსჯელობა არ ნიშნავს გაუგებარ საუბარს, და რომ იცოდეთ, იგი გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ლოგიკური ცნებებით საესე, გრძელი მსჯელობა. ავიღოთ მაგალითისათვის თქვენს მიერ გაუგებარი და ყბადაღებული პირველი მსჯელობა, ანტიპოდური ცნებების გამომხატველი დებულება თუ აფორიზმი: „ხენდრო — კეტი“. „ხენდრო“ ამ შემთხვევაში მდიდართა ტყბილი, ბედნიერი და უზარუნველყოფილი ცხოვრების ნიშანია, „კეტი“ კი — მდიდართა და მათი ტყბილი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართული ღარიბთა და ღატაკთა პროტესტის, ზიზღისა და ბრძოლის გამომხატველი. ამ მოკლედ თქმული დებულების, სენტენციისა თუ აფორიზმის ბრჭყალები რომ გავხსნათ, სოციალური ხასიათის მთელი ტრაქტატი გამოვა. მართალი ვითხრათ, მომეწონა ასეთი მოკლე, ალეგორიულ თქმაში მოცემული სოციალური დაპირისპირება: „ხენდრო — კეტი“.

— ყოველ ადამიანში, მინიატურული ფორმით მაინც მხატვარი ზის და ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ესთეტიკურ ღირებულებათა შეფასების სფეროში არაერთი საერთო, ობიექტური საზომი არ გვექნებოდა და სრული ანარქია დამკვიდრდებოდა, — შენიშნა რევაზის შექების გამო დაშაქრულ ხენდროსაებრ დამტკბარმა კოტემ ზინას და განაგრძო:

— ავიღოთ ახლა, ზინა, თქვენს მიერ ყბად აღებული ჩემი მეორე დებულება: „ქრისტე — წამება, ჯვარცმა, სიკვდილი“. იგი შე კი არ მეკუთვნის, არამედ ცნობილ რუს მწერალსა და ფილოსოფოსს ვასილი როზანოვს. როზანოვის აზრით ქრისტეს რომ დაუჭვრებელი ზღაპარი, მითი, სასწაული — აღდგომა ჩამოვანოროთ, ხელთ შეგვრჩება ცოდვათა მიმტვევებელი, სიყვარულის მჭადაგებელი, ბოროტების მორჩილი, ღვთის გლახა — იესო, მისი ჯვარცმა, წამება და სიკვდილი. როზანოვი ქრისტიანულ პესიმისტურ რელიგიაზე მაღლა იუდეულთა ოპტიმისტურ რელიგიას და მსოფლ-

გაგებას აყენებს. აი რას ამბობს ვასილი როზანოვი 1907 წლის ნოემბრის პეტერბურგის რელიგიურ-ფილოსოფიურ საზოგადოების სხდომაზე წაკითხულ ერთ თავის მოხსენებაში: „უტყბილეს იესოზე და მსოფლიოს მწარე ნაყოფზე თქმული“. იმ მოხსენებაში იუდეულებზე თქმული ერთი ადგილი, სტუდენტობის ეპოს, ისე მომეწონა, რომ იგი ზეპირადაც კი ვისწავლე. თუ გინდათ გეტყვით.

— გთხოვთ, — შეეხვეწა ზინა. კოტემ თეთრი მანექტები გაისწორა და პატარა ლამაზი ხელების ქესტიკულაციით დაიწყო:

„იუდელი არის ყვითელი გული იმ საიდღგომო კვერცხისა, რომლის ნაჭუჭი და ცილა ელინიზმს წარმოადგენს, ნაჭუჭი შეღებილი ლიტერატურული წარწერით: „ქრისტე აღსდგა“, სურათებით, ფერწერით, ხელოვნებით აპრელებული. რა გინდა რომ არ დაიწეროს კვერცხის ნაჭუჭზე: მთელი ელინური ცივილიზაცია, მაგრამ ნაჭუჭი, ყველა თავისი წარწერით, მაინც მსხვერვალია, ცილა კი ნაკლებ სასარგებლო და მდარე საკვები. ყველაზე მთავარი გახლავთ კვერცხის შიგნით მოთავსებული ყვითელი გული და პეპლაობის შედგად მიღებული ჩანასახის ნიშანი — მომყოლი. აი ეს არის სწორედ ურია, თავისი საიდუმლო წინდაცვეთითა, ხორციელი, მარადიული, გაუქვტეველი, გაუქრობელი მას რარივ არ წიხლავენ, არბევენ ქრისტიანები, მაგრამ მაინც არ ძალუძთ საბოლოოდ მისი ჩაწიხლვა და გაქვტევა, ეს მსოფლიოს ქეცინი ადგილია, მეტად არა პრეზენტაბელური შესახედავი, მაგრამ რომელზედაც დაფუძნებულია მსოფლიო. ამაოდ კი არ აფრთხილებდნენ ეგვიპტელი მოგვები რომაელ მებრძოლებს: „ნუ შემუსრავთ კედელსა სერაფეუმი-სასა. თუ ის დაინგრა, ქვეყანა დაიშლება“... ურუსეთოდ ეს ქვეყანა როგორმე იარსებებდა, უევროპოდ ისტორია იქნებოდა მხოლოდ მოკლე, მაგრამ ყველასათვის საძულველ, არა სიმპათიურ ებრაელის გარეშე ისტორია იქნებოდა შინაარსს, აზრს მოკლებული. ე. ი. — უსუ-

ლო. ებრაელი არის კაცობრიობის სული და გული, მისი ენტელეხია“, — ასე უცნაურად მსჯელობს ვასილი როზანოვი, გეგონება, ნიშანში სცემს და ტყვიას ტყვიამი სემასო.

— მარტო პრაქტიკული გონება, ენტელეხია, ხორციელობა, სქესობრივი ცხოვრება, მწერებით ადამიანთა გამრავლება, სმა-ჰამა და ცხოველური ყოფა, განა კაცობრიობის იდეალად უნდა დავსახოთ?! — არ დაეთანხმა არკადი ვასილი როზანოვის „სიბრძნეს“ და გაბრაზებით განაგრძო: — საცოდავი როზანოვი იგი ქრისტეს რელიგიას უარჰყოფს, ხოლო სრციალიზმის მოძღვრების მქადაგებელთ კი ეარშიყება, თავს აწონებს, კეკლუცობს, ადამიანის სულიერ ცხოვრებას, სიკვდილზე გამარჯვების პრობლემას გვერდს უშტევს და ადამიანის მხსნელ ფარად ნივთიერი მისი მდგომარეობა, სქესობრივი აქტი და გამრავლება მიანია. მოკლედ იგი დიდად შესარგ სმა-ჰამას, გამრავლებას გვირჩევს და ვულგარული მატერიალისტისა და ჰუმბარიტი ფილისტერის როლში გამოდის. მოკლედ: იგი ადამიანის სულს ვერ ხედავს და მხოლოდ მის ხორცს ჩაჰკირკიტებს.

— გვეყოფა ჰეჟანარბობი დეკადენტი ფილოსოფოსის — ვასილი როზანოვის წინაშე „ყვითელი გულის“ მქონე მისივე კვერცხის გორება, — განაცხადა რევაზმა.

— კეთილი, მაგრამ „ზეწარზე დანეული ყვითელი ლაქა“ რალა ეშმაკია, — ჰკითხა ზინამ.

— ამას ლეგ ტოლსტოი ამბობს თავისი შედევის „ომისა და მშვიდობის“ ეპილოგში, — მიუგო რევაზმა და განაგრძო: — ტოლსტოი რომანის ეპილოგში თავის შეყვარებულ გმირზე — ოდესლაც აზიზსა და ლერწამივით ტანკენარ, მშვენიერ ასულზე, პოეტური ბუნების მქონე, უებრო მომღერალსა და მოცეკვავე ნატაშა როსტოვაზე წერს: „ნატაშა 1813 წელს აღრიან გაზაფხულზე გათხოვდა და 1820 წელს უკვე სამი ქალი და ერთი ვაჟი ჰყავდა, რომელსაც

თავად აწოვებდა ძეძულს. მან (ნატაშამ) ხორცი შეისხა და ისე გაფუცდა, რომ ჯანდონით საესე იმ დღეში მანამდე გამხდარი, ტანკენარი ნატაშას გამოცნობა ძნელი იყო. ახლა მხოლოდ მისი ტანი და სახე ჩანდა, სული კი არა ჩანდა. ჩანდა ერთი ღონიერი, ლამაზი და ნაყოფიერი დედალი“.

— ნუთუ „ნაყოფიერი დედალი“ სწერია? — ჰკითხა მხიარულ გუნებაზე დამდგარმა კოტემ. რევას არ გაჰკვირვებია მის ძმას ბიოლოგს „ომი და მშვიდობა“ გულდასმით რომ არ წაეკითხა.

— ზუსტად ასე სწერია, — მიუგო რევასმა კოტეს და განაგრძო: — ცოტა ქვევით ტოლსტოის წერს: „ნატაშა გაურბოდა ხალხს. იგი პატივს სცემდა იმ მახლობელ პირთა საზოგადოებას, რომლებთანაც მას შეეძლო საბავშვო ოთახიდან პირდაუბანელი, თმაგაწილი, ბედნიერი სახით გამოსულიყო და მათთვის ყვითელი და არა მწვანე ლაქით გათხვრილი ზეწარი ეჩვენებია და მოესმინა მათი ნუგეში, რომ ბავშვი ახლა გაცილებით უკეთ გრძნობს თავს“.

— ნუთუ „ყვითელი და არა მწვანე ლაქით გათხვრილი ზეწარი“ სწერია, — ისევე ჰკითხა კოტემ რევასს და ზიზღისაგან ტანში გააფრთხლა.

— ზუსტად ასე სწერია, — მიუგო რევასმა და გაუკვირდა, ბიოლოგს ბავშვის განავლის ყვითელი ლაქით გათხვრილი ზეწარი რომ შეეზიზღა და კაემნით განაგრძო: ბავშვის გათხვრილი ზეწარი მწერალმა რომანის ბოლოს დროშასაებრ თითქო განზრახ გაშალა, მკითხველისათვის რომ ეთქვა: მადლა ცაში ნუ დაფრინავ, დაბლა მიწაზე დადექი და შეიგნე, რომ ადამიანის ცხოვრების აზრი გამრავლებაში, ბიოლოგიურ უკვდავებაში არისო. ამ აზრის დასადასტურებლად ნატაშა ქმარს პიერს, რომელსაც „ეგონა, რომ მას თითქო ევალეობდა მთელი რუსეთის საზოგადოებისა და მთელი მსოფლიოსათვის ახალი მიმართულების მიცემა“, ეუბნება: შენი მიმართულებისა და ახალი ზრახვებისა არაფერი გამეგება, მე ის

გამეგება, რომ შენ ჩემი მეუღლე, ჩემი ბავშვების მამა ხარ, ჩვენი მიჭუნა პეტია შენ საშინლად გგავს და „ოჯახზე“ ფიქრი და გარჯა სიკვდილის დღემდე გევალება. „წედან, — აღტაცებული ეუბნება ნატაშა ქმარს, — გამდელი მოვიდა. უნდოდა იგი (ბიჭუნა პეტია) წაეყვანა; მან გაიცინა, თვალეები დახუჭა და ჩამეკონა, ალბათ ფიქრობდა დავიმალეო. მეტად მშვენიერია. აი ის ყვირის, მაშ ნახვამდის“. თვალეგაბრწყინებულ და ბედნიერი დედა — ნატაშა ოთახიდან გადის. ასე მთავრდება ეპოპეა.

ზინამ ეშმაკურად მოლიმარ რევასს შეხედა, შეერთა, თავი ჩაჰკიდა და წყენით წაილულულა:

— „ომსა და მშვიდობაში“ უცნაური დეტალებისათვის მიგეჭკვიით ყურადღება და ისინი თქვენებურად გაგივით და განგიმარტავთ.

— მე მგონია მართებულად გაიგე, რადგან ტოლსტოის ამ დეტალებისა, მხატვრული ხერხებისა და მეთოდის გამო შარშან ერთ ცნობილ თქვენ ბელეტრისტს ვესაუბრე და იგი მის მერმე დამიმეგობრდა და აღარ მშორდება. ამას თავი გავანებოთ, — მოკლედ მოსკრა რევასმა, ტოლსტოის გმირებზე გაწყვეტილი საუბარი განაგრძო და დასძინა:

— ახლა ხომ გაიგეთ, რა აზრი იმალება აფორიზმში: ბალდის ზეწარზე დარჩეული ყვითელი ლაქა — ბიოლოგიური უკვდავება!“

— თქვენი აფორიზმების აზრი „ხენდროსა და კეტის“, „ქრისტესა და სიკვდილის“, განსაკუთრებით კი „ყვითელი ლაქისა და ადამიანის ბედნიერების“ შესახებ კარგად მაინც ვერ გაიგე, — შეაპარა ზინამ.

— ოდესმე თქვენც გაიგებთ, — რევასის მაგივრად მიუგო და დაამშვიდა არკადიმ.

— როდის?

— როდესაც ადამიანს მიწიერი, ხანმოკლე ბიოლოგიური უკვდავება ვეღარ დაკმაყოფილებს და სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი ქრისტე მა-

ცხოვარი და გარდუვალი ცხოვრება მონატრება.

— ეს არასოდეს არ მოხდება, — გაიქნია თმაშეკრეპილი თავი უარის ნიშნად ზინამ.

— ქრისტეს გარშემო ვასილი როზანოვის, დიმიტრი მერეჟოვსკის, ნიკოლოზ ბერდიაევის, სერგეი ბულგაკოვისა და ძმათა მათთა რელიგიურ-ფილოსოფიური ძიებანი, კაცმა რომ მართალი თქვას, კარგა ხანია რაც ისტორიას ჩაბარდა და თუ წედან კოტემ როზანოვი და მისი ფილოსოფია მოიგონა, ეგ ალბათ სიტყვამ მოიტანა, — განაცხადა რევაზმა.

— ეგრე ნუ იტყვი, — გააფრთხილა არკადიმ უმცროსი მეგობარი. — ქრისტე, მისი რელიგია და ეთიკური მოძღვრება სოციალური პარმონის დამკვიდრებისა და მსოფლიო საიდუმლოებათა შეცნობის იმედის გაცრუების მერმე ამოტივტივდება, როდესაც ადამიანის გონება უსაზღვროდ დიდ — კოსმოსისა და უსაზღვროდ მცირე — მიკროსამყაროს შეცნობის ხაზით გარდულახავ გეზობის, თვალშეუდგამ სივრცეს, გონებით მიუწვდომელ სიღრმეს წააწყდება.

— არა მგონია ეს ასე მოხდეს, — შეედავა ზინა, — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დამყარება ექვს აღარ იწვევს, ხოლო თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ბუნების ძალთა დაპყრობის საქმეში საოცარ წარმატებას მიაღწია და მომავალში კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს. ეს თქვენ, როგორც მეცნიერებს, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. თქვენ, ალბათ იცით, თუ რა დიდ წარმატებას მიაღწია ამჟამად აკადემიკოსმა იოფემ და მისი ხელმძღვანელობით მომუშავე ლენინგრადის ინსტიტუტმა ატომური ფიზიკის დარგში?

— ვიცი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს აზრი არსს საბოლოოდ შეიცნობს. გარდა ამისა, მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარება არ არის იმრიგად სახარბიელო და სარფი-

ანი საქმე, როგორც თქვენ გგონიათ, — მოკლედ მოსჭრა არკადიმ.

— რათა? — გაოცდა ზინა.

— იგი ადამიანს თავისავე მეცნიერული მიღწევების მონად აქცევს და ეკობრიობას ეთიკურ საფუძველს მოეშლის. მეცნიერება და ეთიკა, სახელმწიფო და პიროვნება ერთმანეთს გაეთიშება, ერთმანეთს დაუპირისპირდება და ეკობრიობა კატასტროფის წინაშე დადგება, — იწინასწარმეტყველა არკადიმ.

— ეს ასე არ მოხდება, თუ კი თავიანთი მიღწევებისა და მოქმედების მიმართ განათლებულ ადამიანთა პასუხისმგებლობა და მეთვალყურეობა გაიმარჯვებს. — შენიშნა რევაზმა.

— გაიმარჯვებს კი? — ურწმუნო თომასებრ ჰკითხა მოხუცმა არკადიმ.

— გაიმარჯვებს, მაგრამ ერთი პირობით: თუკი მოწინავე სახელმწიფოთა განათლებული და მოწინავე ადამიანები მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს ეკობრიობის სასარგებლოდ, საკეთილდღეოდ და არა მის საწინააღმდეგოდ, ნგრევისა და ომისაკენ წარმართავენ, — მიუგო რევაზმა.

— ვინ არიან მოწინავე სახელმწიფოთა მოწინავე ადამიანები? — ჰკითხა ზინამ.

— მეცნიერები, ხელოვნების დარგში მომუშავენი, — აღარ აცალა პასუხის გაცემა კოტემ რევაზს.

— ბურჟუაზიული ქვეყნების აბოლიტიკურად განწყობილი მეცნიერები ვერაფერს ვერ შესცვლიან, გარდა ამისა, „მოწინავე სახელმწიფოს მოწინავე ადამიანები“ ბუნდოვანი ტერმინია, — დამკინავე ღიმილით შენიშნა ზინამ და ასწავლა: — უნდა ითქვას: „საზოგადოების მოწინავე კლასი“. ამ კლასს მუშეები შეადგენენ... — ახლა არკადიმ აღარ აცალა ზინას აზრის დამთავრება:

— რას ჩააცვიდით მუშებს! არ გაივლის საუკუნეც და, მეცნიერება და ტექნიკა ისე განვითარდება, შექანიზაცია, ავტომატიზაცია ისეთ ღონეს მიაღწევს, რომ მუშის ხელისა და თითების ნაცვლად ქარხანაში ქვეიანი მანქანა ავტო-

მატურად იმუშავენ და ყველაფერს ის შეასრულებს და გააკეთებს, ყოველ დეტალსაც კი. ისეთ გიგანტურ ქარხნებში, სადაც ამჟამად მრავალი ათასი კაცი მუშაობს, მომავალში მართვის პულტთან მხოლოდ ორიოდ ინჟინერი დაჯდება და იმ ქარხნის სამჭროების მუშაობის მთელ პროცესს ის წარმართავს. მუშათა კლასს მაშინ ტექნიკური ინტელიგენცია შესცვლის და ის ინჟინრები და ის განათლებული ადამიანები სახელმწიფოს კონტროლს ქვეშე მყოფ სულ სხვა გვარ საზოგადოებას შექმნიან.

— როგორი იქნება ის საზოგადოება? — ჰკითხა ზინამ.

— ნუ გეშინიათ, უკლასო, — მიუგო არკადიმ.

— მეც მანდა ვარ, მაგრამ იმ უკლასო საზოგადოებას, სოციალიზმსა და კომუნისმს, ისე როგორც ჩვენში, აგრეთვე ჩვენი პლანეტის ხუთივე კონტინენტზე მუშათა კლასი დაამყარებს, — განაცხადა ზინამ.

— მოდით, კაცობრიობის მომავლის გამო კამათს თავი დავენებთ. ხვალინდელ ექსკურსიაზე მოვიტათიროთ, ის სჯობია! — დაიძახა უდარდელმა კოტემ და თანამესუფრეთ კამათი ერთბაშად შეაწყვეტინა. თათბირზე ხვალისათვის ბოტანიკური ბაღისა და მუზეუმის დათვალეობა გადაწყდა.

• • •

ქართველი ექსკურსანტები და მათი გიდი ზინა სასადილოდან გამოვიდნენ, ნევის პროსპექტს გაჰყვნენ, მარცხნივ გაუხვიეს და მალე მოიკაზვე გავიდნენ. ტყბილი ცხოვრების მოყვარული კოტე კარგი სადილის, ხენდროს მირთმევისა და ბერტასთან პაემანის დანიშვნის მერმე კარგ გუნებაზე დამდგარიყო, ოხუნჯობდა და ზინას აცინებდა. მოიკაზვე „კოცინის ხილთან“ დამშვიდობებისას ქალს ჰკითხა:

— ნუთუ ლენინგრადიდან ისე უნდა წავიდე, რომ ამ ხილზე ერთ გოგოს მაინც არ ვაკოცო!

ზინამ გაცემით შეხედა ოდნავ ქალაჩაშერეულ, ლამაზსა და წარჩინებულ მეცნიერს, სერიოზულ საკითხებზე საუბრის მერმე. მისი მოულოდნელი, უბოდიშო ოხუნჯობა გაუკვირდა, მაგრამ მაინც გაუღიმა და ისე მიუგო:

— კოტე ელიზბარის ძე, ოღონდ თქვენი სურვილი იყოს, თორემ ამ ხილზე ერთი კი არა, ათასი გოგო ჩადგება რიგში თქვენს საკოცნელად.

— თქვენ ვაიხარეთ, ზინა, თქვენა! განა არ ვიცი, მოხუც კაცს გულს რომ არ მიტეხთ, მაიმედობთ და მამხნევებთ? გაგებული ქალი ხართ, — შესძახა კოტემ და ოდნავ შეკეთებული, გათავისებურებული ძველი სიმღერა წაიღიღინა. იმ სიმღერის სიტყვები გვამცნობდნენ: ჩვენ ხშირად უნდა შევხედეთ ერთმანეთს მოიკის ხილთან და ხშირად უნდა ჩვეკოცნოთ ერთმანეთი, რათა ბებრები გავაბრაზოთო.

— რა ჩინებული და სამეგობრო ადამიანია თქვენი ძმა, რა უბრალო, ტყბილი და გულღია. (В доску свой!) („უბოს ფიცრამდე შენია“), — უჩუქრჩულა ზინამ რევაზს. არკადიმ დამკინავად გაიღიმა და გაიფიქრა: „კიდევ კარგი, ბათუმში ქალებთან კოტეს ქეიფი და დარდიმანდობა არ უნახავს ზინას, თორემ ამ მოქეიფე და აშიკ კაცთან ერთად, სიბერის ქაშს, მეც თავი მომეპყრებოდა“...

მეფის სოფლის, ეკატერინეს სასახლის, პუშკინის ლიცეის, დეკორატიული ბაღის დათვალეობებით, განსაკუთრებით კი დიეტურ სასადილოში გამართული კამათით დაღლილ-დაქანცული კოტე, არკადი და რევაზიც შინ მისკლისთანავე საწოლს მისცვივდნენ. ვაიხადეს, ლოგინში ჩაწვენ და მაშინვე დაიძინეს.

2

მეორე დღეს ექსკურსანტები ბოტანიკური ბაღისა და მისი მუზეუმის დასათვალეობლად გაეშურნენ. ისინი სათბურებსა და ორანჟერეებში თავმოყრილი მსოფლიოს ხუთივე კონტინენ-

ტის თითქმის ყველა ღირსშესანიშნავ მცენარის სახეობას გაეცნენ. თავლის მომცემ მცენარეებს: მორცხვ მიმოზას, არქიდესა, ფაცელიას... კოტეს მიერ აღწერილ „მწერიყლაპისა“ ჩაუარეს, მერმე გუბებზე გაშლილი ეგვიპტური და ინდური ლოტოსი მოინახულეს, ბოლოს იშვიათ ლოტოსს *Victoria Regia*-ს მიადგნენ. წყლის ზედაპირზე გაწოლილი ამ გიგანტური ლოტოსის ყვავილის ვეება ფურცელი ოთხ ფუთ სიძიმეს უძლებს. ლოტოსი იშვიათად ჰყვავის. ისიც მხოლოდ ერთი დღით.

— ყველაზე დიდი შთაბეჭდილება სტუმრებზე ხის მაგვარმა, პაეროვან-ფესვებიანმა პრეისტორიული მცენარის ნაშთმა, ავსტრალიურმა გიგანტურმა გვიმრამ მოახდინა, რომლის ბანჯგლოანი, რუხი ტანი აქლემის კისერსა ჰგავს. შსოფლიო მნიშვნელობის მქონე გვიმრის იმ იშვიათი ნიმუშის შესყიდვის მეფის რუსეთისაგან ლონდონი ცდილობდა, მაგრამ იგი ლენინგრადის ბოტანიკური ბაღის იმდროინდელმა დირექტორმა შეინარჩუნა. ასეთი უძველესი გვიმრის ტყეებისაგან მიღებული ნიმარხი, მადნეული — შავი ქვა უნიკალურია.

თუ ბოტანიკურ ბაღსა და მუზეუმში არკადი ზერმანი თავის სტიქიაში აღმოჩნდა და განმარტებებსაც იგი იძლეოდა, მეორე დღეს ზოოლოგიურ ბაღსა და მუზეუმში ჯგუფის ხელმძღვანელობა კოტემ დაიჩემა. კოტემ თავისი ლექცია ერთუჯრედიანი, დაბალ საფეხურზე მდგარი ორგანიზმებიდან დაიწყო, მათი განვითარების ვრცელი სურათი გადაშალა და ბოლოს პრეისტორიული, გიგანტური ცხოველის — იხტიოზავრის ოცმეტრიანი ჩონჩხითა და მაიმუნისმაგვარი *Homo primigenius*-ით დაამთავრა. ეს მართლაც თვალსაჩინო მაგალითებზე აგებული ღირსშესანიშნავი ლექცია იყო, რომელმაც არა მარტო არკადი, რევაზი და ზინა. არამედ მუზეუმში მყოფი მრავალი სხვა ახალგაზრდა და ხანში შესულიც მიიზიდა და ყველაფერი ჩინებულად დამთავრდებოდა, მაიმუნე-

ბის განყოფილებაში ერთი უმსგავსეობა რომ არ მომხდარიყო. მაიმუნების განყოფილებაში, ისე როგორც ყოველთვის, ხალხმრავლობა იყო. დიდებს პატარები სჭარბობდნენ, მაიმუნებივით ჯერ კიდევ უფრო, წამხედურა, ცელქი, მოუსვენარი და მანკია ბავშვები. პატარებს პატარა მაიმუნები — მაკაკი, გიბონი უფრო მოსწონდათ, უფროსებს კი დიდები — პავიანი, ორანგ-უტანი და გორილა, რევაზს ერთმა მამაღმა პავიანმა თვალი მოსტაცა. პირველად ვერ გაიგო რევაზმა, თუ რას ჩადიოდა ის შეჩვენებული. ბოლოს კი მიხვდა: პავიანი ხელმრუშობდა...

რევაზი და ზინა შეცბნენ, უნებლიედ შეხედეს ერთმანეთს, შერცხვათ, სისხლივით წამოწოლდნენ და გალიას მასწინე თოფნაკრავივით მოშორდნენ. რევაზმა მკლავში ჩაავლო ხელი ზინას და ბაღში გაიყვანა.

ზოოლოგიური ბაღის ზის ქვეშ მდგარი, დარცხვენილი, გაოგნებული რევაზი ზინას შეკითხვაზე არეულ პასუხს იძლეოდა და თვალს ისევ ვერ უსწორებდა, რცხვენოდა. რაზედაც არ უნდა ეფიქრა და რაზედაც არ უნდა ელაპარაკა ახლა რევაზს, თვალწინ ის შეჩვენებული მაიმუნი და იმ მაიმუნის მიერ ჩადენილი უმსგავსეობა ეჩვენებოდა და ის აშფოთებდა. ბოლოს ვედარ დამალა და ქალს ისე უთხრა, თითქოს თავის თავთან საუბარს განაგრძობსო:

— ადამიანში მაიმუნის ძიება უფრო ადვილია, ვიდრე ღვთაებრივი საწყისისა. რას არ მოუქიდა ადამიანი, თავის თავში რომ ადამიანური ღირსების დამამკირებელი ცხოველი დაეთრგუნა: ღმერთს, ზნეობას, სიკეთეს, მაღალ სიყვარულს, უბიწოებას, კდემამოსილებას. მარტო რაფაელის მადონა და მადონას პირშო რადა ღირს! ყოველთვის მათ ცეხდა სქესობრივი აქტის შედეგად მიღებული ნაყოფი, ანგელოზის მსგავსი, ლამაზი და სახიერი უმანკო ბაღლი, კრავი უცოდველი.

— რომელ კრავზე ლაპარაკობთ? — ჰკითხა ზინამ.

— ჩემს საყვარელ კრავზე. — მიუგო რევაზმა. — გაზატხულის დამდეგს, დედამ რომ გვიყიდა ბავშვებს და ჩვენს ეზოში წითელ პარასკევს მზარულმა დაჰკლა. თუთის ტოტზე ჩამოჰკიდა წყელმა ის ყელგამოჭრილი კრავი. ოთხში ამოიღო და ბავშვებს გულში დანა გაგვიყარა.

— რამ მოგაგონათ ახლა ის კრავი? — ჰკითხა გაოცებულმა ზინამ.

— ცდუნებისა და ცოდვებისაგან განწმენის სურვილმა, — მიუგო რევაზმა. ზინამ გაოცებით შეხედა. პავიანი მოაგონდა. ისევ საშინლად გაწითლდა და ასე ყველგან და ყოველთვის ორივეს ის უკვანო შაიმუნი აგონდებოდათ, იმ მაიმუნის უკონო თვალები ეჩვენებოდათ და ამან მათ ურთიერთობაში ერთგვარი ბზარი შეიტანა, ორთავეს სული გაუმწარა.

„ამ სიმწარეს ის გარემოება უფრო ამწვევებს, რომ მაიმუნი ადამიანთან შედარებით უღანაშაულოა, ვინაიდან მას, როგორც ცხოველს, ზნეობისა და უზნეობის, სიკეთისა და ბოროტების შეგნება არ გააჩნია, — ფიქრობდა რევაზი. — მისთვის სქესობრივი აქტის შესრულება ისეთივე ბუნებრივი და აუცილებელი ფიზიოლოგიური აქტი და პროცესია, როგორც შიმშილისა და წყურვილის დაკმაყოფილება, შარდვა და კუჭის მოქმედება. მისთვის სირცხვილის გრძნობა უცხოა, ადამიანისათვის კი — ნაცნობი, აუცილებელი, რადგან იგი გონიერი არსებაა და არა ცხოველი, ან კიდევ უკონო ბალდი, რომელიც შუა დარბაზში მოისაქმებს, წიწილას თავს წააწყვეტს და ამის გამო სირცხვილსა და დანაშაულს არ გრძნობს“.

• • •

სალამო ეპოს რევაზმა კოსტუმი ჩაიცვა და ოთახიდან შეუშინველად გაიპარა, იგი მოიკიდან ნევის პროსპექტზე გავიდა და ლარივით გაქიმულ ქუჩას დაადგა. ეს მისი პირველი, დამოუკიდებელი გასეირნება იყო ლენინგრადში. მას ისევ თავადთა სასახლეების დიდ-

ბული ნაგებობანი ჰხიბლავდნენ, ანიკინის ხიდის თავებში ყალუხე შექმნილი ბედაურები, რომელთაც დაქვეითებული მიშველი ვაჟკაცები აღვირით იურებდნენ, რევაზს გული ეტკინა, ყაზანის სვეტებიანი ტაძრის წინ მხედართმთავრების მიხილ კუტუხოვისა და ბარკლადე-ტოლის ქანდაკებათა გვერდით პეტრე ბაგრატიონი რომ არ იდგა: „პეტრე ბაგრატიონი, ვით ჭეშმარიტი გმირი და რუსი პატრიოტი ისე ებრძოდა ნაპოლეონის არმიას მოსკოვის მისადგომებთან — ბოროდინოში გამართული ბრძოლის ველზე, იგი იქ დაიჭრა და მალე გარდაიცვალა კიდევ. ამ სახელგანთქმული მხედართმთავრის თავგანწირული, სასწაულებრივი და მრავალზედ მრავალი არიერგარდული ბრძოლა, რომლის წყალობით მან კუტუხოვის მთავარი არმიის უკან დახვევა უზრუნველყო და იგი ნაპოლეონის ჭარბისაგან განადგურებას გადაარჩინა, მეფის მთავრობამ არ დაუფასა, მეფის რუსეთმა პეტრე ბაგრატიონის უდიდესი დამსახურება მიჩქმალა. კაცმა რომ თქვას, ახია!“ — გაიფიქრა რევაზმა და თურქეთის ჭარში მებრძოლ ქართველ მამაც მხეჯარზე — იანიჩარზე ილია ჭავჭავაძის მიერ თქმული სიტყვები მოაგონდა: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა“?

ნევის პროსპექტზე მიმავალ რევაზს მამა მოაგონდა: „მამაჩემი პეტერბურგში სწავლობდა, მას ამ პროსპექტზე ალბათ არა ერთხელ უვლია, მეფის რუსეთის მიერ ფეხქვეშ გათელილი და პატივყრილი თავისი სამშობლო მოპვინებია და მის ავებდზე მწარედ ჩაფიქრებულა. რა დიდებული ქართველი ჭაბუკები სწავლობდნენ მამინ პეტერბურგის უნივერსიტეტში: ილია ჭავჭავაძე, მისი მეგობრები, რომლებიც მერმე, მოწინავე იდეებით აღტურვილნი, ბედშავ სამშობლოში დაბრუნდნენ, მისი წინამძღოლობა და მედროშეობა იკისრეს. უშველიდნენ კი ერსა?! 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, მეფის რუსეთი, ალბათ, საქარ-

თველოს ისე, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა პატარა ერების შთანთქმვას, ასიმილაციას მოასწრებდა და საქართველოც ისტორიადამთავრებულ ხალხად დარჩებოდა. ამიტომ ვაქებთ და ვადიდებთ ქართველები არა მარტო გატანჯული მშრომელი ხალხისა, არამედ დანაგრული ერების მხსნელ რევოლუციას. ამ ხუმრემტი წლის წინათ ჩვენი ხალხის თავისუფლებათზე, მის ეკონომიურ და კულტურულ ასეთ აყვავებაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო...

სამშობლოზე ფიქრმა რევანი ისე გაიტაცა, რომ ვერც კი შენიშნა, თუ როგორ დაითოკა ამოდენა გზა და, როგორ მიაღდა „საზაფხულო ბალის“ რეინის მოაჯირიან მადალ ღობეს.

რევანი ხასხასა, ღია-მწვანე ფოთლებიანი ჭადრებით, ნეკერჩხლებით, ვერხვებითა და ცაცხვებით დამშვენებულ ბაღში შევიდა, კრილოვის ძეგლს გვერდი აუქცია, ანტიკური ღმერთების ქანდაკებებით შემკული ხეივანი გაიარა და ნევის პირას, გრძელ სკამზე, უცნობთა გვერდით, მორიდებით ჩამოჯდა ცეცხლისფრად მოელვარე ცის დასალიერის გახედა. ცოტა ხნის მერმე მზე ჩავიდა, მაგრამ საღამოს ბინდის ნაცვლად ისევ თეთრი ღამეების ნათელი იდგა. თეთრი ღამეები ჩრდილოეთის ზუნების მართლაც სასწაულის წარმოადგენენ. როდესაც ისინი ზენიტს მიადწევენ, შემოდგომის ოქროს დღეები — „დედაბრის ზაფხულიც“ (дaнe лeтo) მოაღწევს. ჯერ კი ისევ თეთრი ღამეების ხანა იყო და ლენინგრადის ახალგაზრდობა ნევის გრანიტის მოაჯირების გასწვრივ ქუჩებში და ბაღებში, მათ შორის საზაფხულო ბაღშიც, ხმაურით, სიცილითა და მღერით მიედინებოდა. ლენინგრადი ამ დროს მშვენიერია. ეს არის ხანა ახალგაზრდობის ზეიმისა, პაემანისა და მიჯნურობისა. გული გულისაკენ მიიწევს, მით უფრო სათუარი იყო ლენინგრადელთათვის ზაფხულის ბაღში დამწუხრებული და განმარტოებული ახალგაზრდა კაცის გამოჩენა. ყველა ხარობდა, რე-

ვანს კი ავადმყოფი დედა აგონდებოდა, დამწუხრებული გასცქეროდა ეგვიპტის დასალიერს და სული ესუფაბოდა. მას უსიხარულო დღეები, ხალხისაგან განდგომა, მარტოობა სტანჯავდა. მარტოობაში სული შემშფოთებულია და მან ხალხსა და პიროვნებას შორის აღმართული კედელი თუ არ გადალახა, უთუოდ დაიღუპება. ფიქრში წასულ, კაემნიან უცნობ კაცს უცხო ფრინველსავით მიაშტერდნენ ლენინგრადელნი. სახეზე ზინსაებრ ღიმილი უთამაშებდათ. რევანს ვერ გავგო, რას გამოხატავდა ის ღიმილი: თანაგრძობას, მოწონებას, აღტაცებას, თუ გაცოცხებას და დაცინვას. მას ხშირად დაუჭერია სამშობლოში და აქაც, ამ უცხო ქალაქში ცნობისმოყვარე უცნობთა ასეთი დაჯინებითი ცქერა, დამცინავი ღიმილი და უხერხულობა უგრძნია, რევანი არსებითად მორცხვი, ეჭვიანი კაცი იყო. ეს თვისება ხშირად მისი სიფიცებისა, სიამაყისა და გოროზობის სათავედ იქცეოდა. იგი ახლაც გოროზად იჯდა და თავის თავს უჯარდებოდა, დედის მძიმე ავადმყოფობის ქამს რუსეთში რომ წამოვიდა. უცნობნი ისევ ღიმილით, უტეხად და უტიფრად შესცქეროდნენ კაემნიან, უცხო კაცს. თითქოს იცოდნენ მისი კაემნის მიზეზი და ისიც, ჯიბეცარიელი რომ იყო.

რევანი ადგა და ბალის გასასვლელისაკენ ჩქარი ნაბიჯით გაეშურა. მას ისე მოეჩვენა, თითქოს მოსეირნე, მზიარულმა ხალხმა თვალი გააყოლა და გადაიხარხარა. ჭიშკართან რევანს ფეხი შეეშალა, წიბორძიკა, შერცხვა და სახეზე წამოწითლდა მისი ბრალი იყო: მას ჯერ კიდევ ვერ გადაეგდო ხალხის წინაშე ამყვი ჰაბუკივით თავის გამოჩენა. ეჩვენებოდა, თითქო ყველა უმზერდა და იგი თავისი უჩვეულო შესახედობით ყველას ანცვიფრებდა, აჯადოებდა, რის გამოც, მსახიობობას იწყებდა. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს, სანამ დიდი უბედურება თავს არ დაატყდა. მერმე კი ცხოვრებასა და აღამიანზე მწარედ ჩაფიქრდა და მისი გოროზობა და არტისტიზმიც წაიშალა.

ბალიდან გასული რევანი ნევის პროსპექტის იქითა მხარეს გადავიდა, ხალხში შეერია და შინისაკენ წელი ნაბიჯით გასწია. ახლა იგი ცდილობდა ლენინგრაძელებსაგან არ გამორჩეულიყო. რევანი დრამატული თეატრის წინ გაშენებულ პატარა ბაღში შევიდა. ეკატერინე მეორის ქანდაკების მახლობლად სკამზე შეუშინველად დაჯდა და გაიფიქრა: საცა მიხვიდე იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო. ქანდაკების მაღალ კვარცხლობეის გარშემო ეკატერინე მეფის დროინდელი გამოჩენილი მხედართმთავრები, თავადები იყვნენ ამოტვიფრული: რუმინაევი, პოტიომკინი, სუვოროვი, ბენზონოვო, ჩიჩაგოვი, ორლოვი, დერჟავინი, დაშკევიჩი. იქვე აფიშები იყო გაკრული: „მეიერხოლდის თეატრის გასტროლები“, „სიმფონიური ორკესტრი გაუქმდა და ვინზნურგის დირიჟორობით“ ბოლოს რევანის ყურადღება ბაღში მოთამაშე ერთმა ბავშვმა — გოგონამ მიიპყრო: იგი სილაში იქექებოდა. მოხუცმა ქალმა, ალბათ დიდებამ დაუძახა, გვერდზე მოისვა და გათხერილი პატარა ხელები ცხვირსახოცივით გაუსუფთავა. რევანმა გოგონას გაუღიმა, მიუაღერსა, თავზე ხელი გადაუსვა, შეაქცერდა და უმაღლეს ელდა ეცა. იგი ძალიან ჰგავდა კიევში სტუდენტობის ეპოს მიტოვებულ პის ბავშვს. არავინ იცოდა, თუ როგორ გაუჩნდა რევანს ბავშვი — გოგონა, რომელსაც დედამ და დიდებამ ნინო შეარქვეს.

კიევში ფუნდელეუვის ქუჩაზე გაშენებულ ხუთსართულიან ერთ დიდ სახლში, რევანის ოთახის გვერდით, წარჩინებული კაცი — ასამართლო პალატის წევრი ანტონ ნოვაკი ცხოვრობდა. ამ გარუსებული ჩეხის გერი მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი პეტრე ნიკიტინი რევანს დაუმეგობრდა. მან ქართული სტუდენტი შინ მიიპატიჟა და მამინაცვალი ანტონ ნოვაკი, დედა მელანია, დები — ნადია და გალინა ნიკიტინები გააცნო. ისინი მალე დაუმეგობრდნენ. ქმარს გაცილებული ხორცსაგვს ქალი ნადია რევანზე თხუთმეტი წლით უფ-

როსი იქნებოდა, ქალმა ქართული ჰაზუვი შეიყვარა და მის ბენაზე ხშირი სიარული დაიწყო. ამ ვიზიტების შედეგად ნადია დაორსულდა, რასაც სრულიად არ დარდობდა, პირიქით, უხაროდა კიდევ: ძალიან სურდა რევანისაგან ბავშვი ჰყოლოდა, მაგრამ დედამისს მელანიას ამ ამბავმა თავზარი დასცა დედამ რევანი იხმო და გულახდილად უთხრა: „მე ყველაფერი ვიცი, შეილო. ნადია ფეხმძიმედ არის. თქვენ ბრალს არა გდებთ: ჩემი ქალი თქვენზე ბევრად უფროსია და მას უნდა გამოეჩინა ჭკუა. ახლა გემუდარებით, თუკანს ნუ გაგვიბახებთ, უკანონო, უგვარო ბავშვს ნუ დაგვიტოვებთ და ჩვენს მტრებს ნუ გაახარებთ: ნადიაზე ჯვარი დაიწერეთ და მერმე, თუ ვნებავთ, იმ დღიდანვე ნურც მას და ნურც ჩვენ ნულარ გაგვეკარებთ. ჩვენ არავითარ პრეტენზიებს არ გავაცხადებთ.“ — ტიროდა მორწმუნე, ლეთისნიერი და კეთილი ქალი მელანია ალექსეევნა. 1918 წელს ოცი წლის ქაბუკმა რევანმა კიევის გარეუბნის ერთ პატარა ეკლესიაში ხუთმეტი წლით უფროს ქალზე — ნადია ნიკიტინზე ჯვარი დაიწერა. ასე გაჩნდა ამ ქვეყნად რევანის ნაშიერი ნინო გარსევანიძე, მერმე, როგორც ვიცით, რუსეთში სამოქალაქო ომის მძვინვარების ეპოს, რევანი ქართული სტუდენტების ერთ ჯგუფთან ერთად კიევიდან საქართველოში გამოემგზავრა. გავიდა ხანი, კიევიდან წერილი აღარ მოუვიდა და ცოლშვილიც დაეკარგა. მაგრამ აი, 1925 წელს რევანმა პრადიდან ნადიას წერილი და შეიდი წლის ნინოს სურათი მიიღო. მიწერ-მოწერა განახლდა და იგი 1930 წლამდე გაგრძელდა. მერმე კი ისევ შეწყდა. ცოლისა და შვილის შესახებ რევანს არავითარი ცნობა აღარ ჰქონდა, თითქოს ისინი მიწამ ჩაყლაპაო.

რევანი ბალიდან გულმოკლული გამოვიდა და კვლავ ნევის პროსპექტს გაჰყვა. ცოტა ხნის მერმე გვერდზე ვიღაც ახალგაზრდა, მაღალმა კაცმა ქარივით ჩაუქროლა. რევანმა ვერც კი მოასწრო

იმ კაცის მოლანდვა, მაგრამ ნაცნობად მოეჩვენა. დადგა და უკან მოიხედა. ის კაციც დამდგარიყო და რევანს გასცქეროდა. ისინი უხილავი რაღაც ძალის წყალობით ჯადოშეყრილივით ერთმანეთისაკენ წელა გაეშურნენ. „რეზო, კირილე“, — დაიძახეს მათ. მერმე ხელეში გაშალეს და ერთმანეთს მოეხვივნენ. თხუთმეტი წელი იქნებოდა მას უკან, რაც მათ ერთმანეთი არ ენახათ.

რევანს ძალიან გაეხარდა ლენინგრადში თავისი სკოლის მეგობართან კირილე ჩაჩანიძესთან მოულოდნელი შეხვედრა. კირილემ თავისი თანამგზავრი — თბილისიდან ახლახან ჩამოსული წყლისფერთვალეა, ტანმორჩილი, ახალგაზრდა, კაფანდარა ქერა კაცი, მსახიობი ბიქტორ სიხარულიძე გააცნო. ისინი ისეთი ენსტიკულაციით, ისე ხმამაღლა საუბრობდნენ, იცინოდნენ და ხარბარებდნენ, გეგონებოდათ თბილისში რუსთაველის პროსპექტზე დგანანო. გამგულ-გამომგულნი გაოცებით ამტრდებოდნენ სამხრეთელ მეგობრებს. კირილე ჩაჩანიძეს ლენინგრადში დაემთავრებია უმაღლესი სასწავლებელი, აქ მოწყობილიყო სამსახურში და ოჯახსაც აქ მოჰკიდებოდა. ამჟამად ქალაქის ერთ-ერთი ტრესტის მთავარ ეკონომისტად მუშაობდა. კირილე ჩაჩანიძე მოწაფეობის დროს ახალგაზრდა მარქსისტთა ჯგუფის წევრი იყო. მას განათლებულ, ნიჭიერ ჯაბუკად იცნობდნენ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერმე იგი 1921 წელს ლენინგრადში გადასახლდა, პოლიტიკური ცხოვრების გარეშე დადგა და საქართველოში აღარ დაბრუნებულა. კირილე მაღალი, ტანადი, სპილოს ძელისფერი ფერხორცის მქონე, ლოყებდაქდა, შავთვალწარბა, ჯანსაღი და ლამაზი კაცი იყო. მას ინგლისურად დაყენებული. შეკრებილი, შავი უღვაშები, დიდრონი, თეთრი, მოელვარე კბილები ჰქონდა და, რადგან სიცოცხლის მოყვარული კაცი იყო და ხშირად იცინოდა, ის კბილებიც გამუდმებით უჩანდნენ და ისე იფიქრებდით,

თითქო ზანგსავით ხახამი აღარ ეტყვიან და გადმოცვენას აპირებენო. ერთმანეთის მოკითხვისა, საქართველოს ამბებისა და თავიანთი ცხოვრების მოთხრობის მერმე ბიქტორმა რევანს აცნობა:

— შიო ბოკუჩავა ლენინგრადშია.

თბილისის საოპერო თეატრის ყოფილი დირექტორი, ამჟამად კი ხელოვნების სამმართველოს უფროსი შიო ბოკუჩავა, რევანის ძველი და გულითადი მეგობარი, ლენინგრადში ერთი კვირის წინ ჩამოსულიყო და სასტუმრო „ასტორიაში“ დაეკვირა ნომერი.

— ნეტა რისთვის ჩამოვიდა შიო ლენინგრადში? — ჰკითხა რევანმა ბიქტორს. ბიქტორმა ეშმაკურად გაუღიმა და მიუგო:

— იგი თავის ახალ სატრფოს, აქაური საოპერო თეატრის პრიმა ბალერინას ლეილა ჩარკვიანს არ ეშვება. მგონი მის შერთვას აპირებს... წავიდეთ „ასტორიაში“!

— ჩემთვის უხერხულია: შიო ბოკუჩავას კარგად არ ვიცნობ, გარდა ამისა, თქვენ ყველანი ერთი პროფესიის — ხელოვნების მსახური ხალხი ხართ, მე კი ეკონომისტი და თქვენს კომპანიაში უთუოდ დისონანსს შემოვიტან — ფეხი გაიდგა, თავბატიეი გამოიღო კირილე ჩაჩანიძემ. ხვეწნამ ვერ გასჭრა. კირილემ რევანს ჰკითხა:

— სად დაბინავდი?

ჩემი ძმა კოტე, მისი მეგობარი — ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი არკადი ზერმანი და მე — თქვენი მონა-მორჩილი — გრაფი უსუპოვის ყოფილ სასახლეში დაებანაკდით, — მიუგო რევანმა.

— უსუპოვის სასახლეში რა გინდოდათ?

— იქ არის მოთავსებული მეცნიერთა სახლი, — შეატყობინა რევანმა.

— მონასტერში ყოფილხართ, — დილით შეაპარა ბიქტორმა.

— ასე გამოდის, — დაეთანხმა რევანს და დასძინა: — მხოლოდ მე ვარ იმ

მონასტერში შეყრილ მორწმუნეთა შორის კათაკმეველი, ცოდვილი და თუ მათ დროზე არ გავეცალე, უთუოდ კოცონზე დამწვავენ, ან რასპუტინისავით გამათავებენ.

— „ასტორიაში“ შიოსთან გადადიო და კოცონზე დაწვას გადაჩებით. ისიც თქვენსავით ცოდვილია, — ურჩია ბიქტორმა, გაიცინა და გიჟსავით გადმოკარკლული წყლისფერი თვალები შეანათა.

— შიოს თუ ჩავესახლე ლეილა ჩარკვიანს რაღა ეშველება? — ჰკითხა რევაზმა. — სხვათა შორის ლეილას ძალიან კარგად ვიცნობ, იგი ჩემი მეგობრის დათა მიქელაძის ცოლის დაა.

— ლეილა სასტუმროში დამეს არ ათევს, — მიუგო შიოს ცხოვრების მესაიღუმლემ, შიოს ბავშვობის მეგობარმა სიხარულიდემ.

— აბა ეგ რა სათქმელია, — ჩაერია საუბარში კირილე, — რეზო, მე კარგი ბინა მაქვს, ჩემთან გადმოდი, კაბინეტს დაგიტომობ! — კირილე რევაზს ბავშვობისა და მოწაფისდროინდელი სახელით უხმობდა — „რეზო.“

— არა, კირილე, მე ვოხუნჯობ, უსუპოვის ყოფილ სასახლეში ჩინებული ბინა მიგვიჩინეს. თანაც ძმას ხომ ვერ მივატოვებ!

— მამ ხვალ შენ და ბიქტორი სადილად მეწვიეთ. ცოლ-შვილსაც გაგაცნობთ. ჩასწერე ჩემი მისამართი და ტელეფონი, — უთხრა კირილემ რევაზს. თავქარიანი მსახიობის — ბიქტორ სიხარულიძის კომპანიაში ყოფნა არ ესაიამოვნა რევაზს, მაგრამ იყუჩა და კირილეს მადლობა გადაუხადა. კირილემ მეგობრები „ასტორიაში“ მიაცილა და, რადგან შიო ბოკუჩავა შინ აღმოჩნდა, იგი რევაზს და ბიქტორს დაემშვიდობა. ხვალისათვის სადილზე მიპატიჟება გაუმეორა და შინსაკენ გასწია.

3

რევაზი და ბიქტორი „ასტორიაში“ შევიდნენ და მეორე სართულის ოთახის — ლუქსის კარებზე დააკაუნეს.

ოთახიდან შიოს ხმა შემოესმათ, შემოდითო. ოთახში საწერ მაგიდასთან ქერა კაცი იჯდა და წიგნს ათვლიერებდა. მას ფართო, თეთრი სახე, თაფლისფერი თვალები და მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა. გამხდარი, უზომოდ მალალი, აკანკული კაცი წამოიჭრა, ყანაში აღმართულ საფრთხობელასებრ გრძელი ხელები გაშალა და რევაზს მოეხვია. სამშობლოდან შორს მყოფ ქართველს უცნობი ქართველის ნახვაც კი ძალიან სიამოვნებს, ნაცნობის, მახლობლისა და მეგობრის ნახვა ხომ მეტისმეტად ახარებს, აგიჟებს და ეგ არის! მეგობრები დასხდნენ და ცხოველი საუბარი გააბეს. რევაზზე ოდნავ უმცროს შიო ბოკუჩავას საქართველოში ნიჭიერ კრიტიკოსად თვლიდნენ. ამ ნიჭიერი, კეთილი, წესიერი, მაგრამ ნერვიული, ეგზალტირებული და უნებისყოფო ახალგაზრდა კაცის მთავარი ნაკლი, სუსტი ადგილი, ან როგორც იტყვიან, „აქილევსის ქუსლი“, ქალთა სქესი იყო, რამაც ბევრჯერ დააწყლულა, დაამწუხრა, დაჩაგრა და თავი კინალამ საგიჟეთში არ ამოაყოფინა. თბილისის საოპერო თეატრის დირექტორობის ყამს, მან მეტად ლამაზი, ახალგაზრდა ქალი — პრიმა ბალერინა ლიდა ვარაზაშვილი შეირთო... მაგრამ მათი ცოლ-ქმრობა ხანმოკლე გამოდგა. განებიერებული პრიმა ბალერინა ლიდა მალე გაექცა შიოს და უფრო სქელციბიან კაცზე გათხოვდა. დამწუხრებულსა და შეგინებულ ახალგაზრდა კაცს ქალმა ამაზე მეტი ჭირი შეჰყარა. მან იმპოტენტობა შესწამა შიოს და ეს ხმა ხალხში დაარხია. შეგინების გამო სიგიჟემდე მისული, სასოწარკვეთილი შიო თავისი სახელისა და კაცობის აღდგენისა და რეაბილიტირების მიზნით ლენინგრადს ჩამოსულიყო და ლიდას ჯიბრზე და მისი ბრალდების გასაბათილებლად ლენინგრადის საოპერო თეატრის პრიმა ბალერინის — ლეილა ჩარკვიანის შერთვა განეზარაბა. შიომ ლეილა მდიდრულად გამოაწყო, ძვირფასი ტანისამოსი და სამკაულები უყი-

და, თანაც წინადადება მისცა, ცოლად გაჰყოლოდა. ქალმა უარი არ უთხრა, მხოლოდ მოფიქრებისა და მშობლებთან მოლაპარაკებისათვის საჭირო დრო მოსთხოვა და ამრიგად პასუხი განუსაზღვრელი ვადით გადაუდო. საჩუქრების მიღებაზე კი უარს არ ამბობდა. ლეილა ჩარკვიანისაგან დადებითი პასუხის მომლოდინე შიოს სასოწარკვეთილებისა და საშინელი ხანდრისათვის თავი დავლწია და ახლა კარგ გუნებაზე იყო.

ლენინგრადში რევების ჩამოსვლა შიოს ძალიან გაეხარდა. ამ სიხარულს ისიც აძლიერებდა, რომ ლეილა ჩარკვიანის დის მეუღლე — ვეჭილი დათა მიქელაძე რევების მეგობარი იყო... შიომ რევების დედა მოიკითხა, რევებმა დედის ავადმყოფობა, ბათუმიდან კოტესთან ერთად უეცრად, უფულოდ, ძმის ხარჯზე რუსეთში წამოსვლაც უამბო და მოიწყინა. ბიქტორ სიხარულიძეც სხვის ხარჯზე, მეგობრის, შიოს ხარჯზე იყო ლენინგრადში წამოსული, მაგრამ მუქთამქამელ, მესუფრიას ეს არ აღონებდა. შიომ რევას მოულოდნელად უთხრა:

— მე ჩემს წიგნში — კრიტიკული წერილების კრებულში ჰონორარი მთლიანად ავიდე, შემიძლია გასესხო. რამდენი გინდა?

— გმადლობ შიო, ჩემი მოთხოვნაც უკვე დაიბეჭდა ჟურნალში. რედაქციას მისამართი შევატყობინე. ალბათ ფულს მალე გადმომიგზავნიან, მანამდე კი თავს როგორმე გავიტან.

— ჰოდა, მანამდე მე გამომართვი, მერმე მომკემ, — დაიძახა ფულის ყადრის არა მქონე, ხელგაშლილმა, უყარათო შიომ და მაშინვე მაგიდის ყუთი გამოსწია, პორტფელი ამოიღო, გაშალა, იქიდან ქაღალდის ფულის ერთი დასატა ამოაძვრინა და რევას გაუწოდა. ფული დიდ თანხას შეადგენდა. რევებმა თავისუფლად ამოისუნთქა და იმ დღიდან უფულობის გამო რუსეთში მისი დამამცირებელი ცხოვრებაც დამთავრდა.

კარებზე ვილაცამ დააკუნა. ოთახში ლურჯკოსტუმიანი, ახალგაზრდა, მხნე, ცქრილა და კობტა ქალი შემოვიდა.

— ამას ვის ვხედავ! რევას ძვირფასო, — იყვირა ქალმა, გაექანა, შიოს სტუმარს მოეხვია, ჩაჰკოცნა და კისერზე ჩამოეკიდა. რევასი შეირბა და კისერზე ჩამოკიდებული ქალი კედლის საათის ქანქარასავით გააქან-გამოაქანა. ქალმა ლამაზად გამოძერწილი, კუნთმაგარი ფეხები ასწია, ტუფლების ქუსლები ერთმანეთს მალიმალ შემოჰკრა, ჩაიკისკისა და მერმე იატაკზე დახტა. ის ახალგაზრდა ქალი ლენინგრადის საოპერო თეატრის პრიმა ბალერინა — ლეილა ჩარკვიანი იყო. მას ავსილ მთვარესავით ფართო სახე, მუქწაბლისფერი თმა, დიდი, უცნაური, შევარდენსავით კროლა თვალები, მსუქანი, ხორციელი ბაგე ჰქონდა. იგი ტანმორჩილი, მაგრამ ჰარმონული აღნაგობის მქონე, კისკისა, ეშხიანი ქალი იყო. თუმცა მიჯნურობის გრძნობით იმეამად დაბრმავებული შიო ბოკუჩავა ლეილას ვერც ერთ ნაკლს ვერ ხედავდა და იგი მზეთუნახავი, ციდან მოფრენილი ანგელოზი ეგონა. ეს გარემოება ლეილასთან მის საუბარში, ქცევაში, ლეილასადმი მის მოპყრობაში ყოველ წამს ცნაურდებოდა, რის გამოც რევების ბაგეზე მეგობრისადმი შემბრაღე, თანაც დამცინავი ღიმილი თამაშობდა. ლეილამ მაშინვე ამოიცნო იმ ღიმილის აზრი და, რადგან თავისი სიძის — დის ქმრის გულითადი მეგობრის რევას გარსევანიძის გოროზობა, პრინციპულობა, სისპეტაკე და პირამთქმელობა კარგად იცოდა, შეშინდა: ვაი თუ რევებმა შიო შეიცოდოს, თვალი აუხილოს და ასეთი ხერხითა და მეცადინეობით ბადეში გახვეული ამოდენა ლოქო-ქარიყლაბია ხელიდან გამომტაცოს.

მესამე დღეს შიოს ნომერში, საღამო უკან, რევანი ლეილას მარტო დაუხვდა. ქალს გუხარდა, მაგრამ რევანმა ცივი წყალი გადაასხა, შიოს ნუ აპამპულეზო, გააფრთხილა. ქალმა ქიქაში შამპანური ჩაასხა და გადაჰკრა. მერმე სულმა წაუსწრო და რევანს უთხრა:

— ვიცი, ყველაფერს ხედავ და შენებრ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებ, მაგრამ ახლა უნდა იყუჩო: თავისი ფეხით ჩემთან მოსული ქარაოცი და მიაშიტი კაცი არ დამიფრთხო, თორემ სამუდამოდ დამეკარგავ. შენ რას დაეძებ და რას დარდობ? სეირს უყურე და დრო გაატარე. იყუჩე. გვედრებები, ჩემო ოქროვ, შეირფასო რევანს!

რევანს ძალიან გაუკვირდა, თანაც ეწყინა უხნეო მოცეკვავე ქალის უბოდიშო წინადადება და ჰკითხა:

— შენი ბნელი და ბინძური საქმის თანახმარი გინდა გამხადო, გოგო?

— რათა ბინძური? — დამტერეული ქართულით ჰკითხა გაოცებულმა ლეილამ, გულუბრყვილო ბავშვივით გაიღიმა, მეჩხერი დიდი კბილები გამოაჩინა, მაგიდაზე გახსნილ ყუთიდან შოკოლადი ამოიღო და პირში ჩაიღო.

— შიო, მართალია მიაშიტი, მაგრამ უბოროტო, კეთილი და ნიჭიერი ადამიანია. იგი ღიდა ვარაზაშვილის ვიბრზე გეტანება. ლიდას მიერ მიყენებული კრილობა ჯერაც ვერ მოუშუშებია, — უთხრა რევანმა და გააფრთხილა: — შენ უფლება არა გაქვს დასცინო მას და აბუჩად აიგდო იგი. თუ მის ცოლობას არ აპირებ, ახლავე მოეშვი! ნუ აღორებ, ცოდვია, გახსოვდეს: შიო ბოკუჩავა მინისტრის ტოლა კაცია, თანაც ჩემი მეგობარია.

— მიკვირს შენი ქართული და შენი გაფრთხილება.

— რათა?

— ის შენი მეგობარია და მინისტრის ტოლა კაცი, საუბედუროდ, ფიზიკურად უძლური, დეფექტური და სულით ავადმყოფია, — მოკლედ მოსჭრა ლეილამ და დასძინა: — მე მისი ცოლი ვერ გავხდები. იგი გიყვია, თანაც არ მინდოდა

მეტქვა, მაგრამ იძულებული ვარ გითხრა: იმპოტენტი...

— ეგ ჭორი ღიდა ვარაზაშვილმა გავუერცელა. ეს გარყვნილი ქალების ნაცადი ფანდია.

— შენც კარგად იცი, რომ ეს ჭორი არ არის.

— საიდან მეცოდინება? შენ თუ იცი, რად არ მოეშვები?

— თავად არ მეშვება. ლენინგრადში ჩამობრძანდა, მომძებნა და მომეწება. რა ვუყო: ხელი ვკრა და გავაგდო? თუ გინდა ამასაც გავაკეთებ.

— ცოდვია, გაგიყვება. ეგ ნუ გინდა.

— არაფერიც არ მოუვა. საქართველოში დაბრუნდება, იქ ჩემდამი სიყვარულის ელეთმელეთი და ებილეპსია მალე გაუვლის, ვინმე ზესტაფონელ მადონას, ლანჩხუთელ ოფელიას, სამტრედიელ დეზდემონას, ან ზუგდიდელ მადონას შეირთავს, დამშვიდდება და ბედნიერი იქნება, — უთხრა შამპანურით შეზარხოშებულმა ლეილამ რევანს. გიკური, კროლა თვალეები შეანათა და ემპიკურად გაუღიმა. რევანი წამიერ დაიბნა და წაიღულღულა:

— რა დაამშვიდებს, შე ქალო, თუ იმედს არ მისცემ, ითაღლითებ, საწველ ფურად გადააქცევ და კულის რიკამდე ტყავს გააძრობ?! — ლეილას მოეჩვენა, თითქო რევანიც შიოს დასცინისო და გულახდილად მიუგო:

— განა შევეცადე საწველ ფურად მექცია იგი?! პირიქით: საჩუქრების მორთმევა დავუშალე, მაგრამ არ მოიშალა. განა ვეუბნები იმ უბედურს, ტყავი გააძროს! იგი თავად იძრობს ტყავს, — ესა თქვა ლეილამ და ისე ხმამაღლა გადაიხარხარა, რომ ენის კლიტე გამოუჩინდა. რევანმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი, თითქოს ამბობდა: მგლის თავზე სახარების კითხვა ამოაოო და ქალს შიოს მიერ ნაჩუქარ მოციმციმე ალმასით შემკულ ოქროს საყურებზე მიაშტერდა. ლეილას საყურეში ჩასმულმა ალმასმა თვალი მოსჭრა, მეტად ლამაზი ალმასი

იყო, მაგრამ მისი, ისე როგორც ლეილას ლამაზი, ჭროდა თვალის ცივი და მჭრელი შუქი სიკეთისა და ბოროტების მიღმა ციმციმებდა. შამპანურითა და ვნებით ავზნებული, მოხარხარე ქალის თვალში სიკეთით დაუოკებელი, თავაწყვეტილი, გიჟი მენადის თვალის მსგავსი შუქი გამოვრთოდა. რევას ტანში გააჟრჟოლა, თითქო მინაზე გასმული მჭრელი ალმასის შემაზრზენი ხმა შემოესმაო და მიხვდა, მის მეგობარს ვნების ზღვაში რომ შორს შეეტოპა და იქ ლეილას სამიჯნურო ბადეში საიმედოდ გახვეულიყო. მწერიყლაპია მცენარის ყვავილში მოქცეული და ობობას ქსელში გახვეული მწერები მოაგონდა და მაშინვე მოულოდნელი რამ მოხდა. ლეილა რევას მუხლებზე დაუჯდა და მოეხვია. რევაზე ხელი ჰკრა, სავარძლიდან წამოიჭრა და ღია სარკმელთან მიიბრინა, თითქოს ქუჩაში გადაბტამას აპირებსო. მერმე სარკმელთან გაჩერდა და საქციელწამხდარმა. ლეილას შეხედა. რევასთან ალერსის მოსურნე, გაზბილებული ქალი ბრავს იოკებდა, მაგრამ ინტიმარს მაინც არ იტეხდა და თავის მოუკარებელ კავალურს დამცინავი ღიმილით, ურცხვად გასცქეროდა.

— არა გრცხვენია, შიოს საცოლე შიოსავე ბინაზე რევას ჩადიხარ, — ვაკიცხა რევაზე.

— რაო, შიოს საცოლეო! ხა, ხა, ხა, — გადაიხარხარა ლეილამ. — აქი მოგახსენე, შიოს ცოლი არ გავხდები-მეთქი. რას ჩამაცივდი?

— ვინც გინდა ის იყავ. მე ხომ შიოს მეგობარი ვარ? უხერხულ მდგომარეობაში რად მაყენებ? ან რას ეტყვი შენს დას და მის მეუღლეს დათა მიქელაძეს? მიქელაძეც ხომ შიოს მეგობარია, — ისევ არცხვენდა რევაზე.

— არა, არ მრცხვენია, — დამშვიდებით მიუგო ლეილამ. — ჩემს დას, ჩემს სიძეს და შენ ჩემს ცხოვრებასთან რა ხელი გაქვთ! მე თავისუფალი ქალი ვარ და რაიცა მსურს, იმას ვაკეთებ.

— ცუდი და კარგი შენთვის არ არსებობს?

— ცუდი არაფერი არ ჩამოდგება გერდა იმისა, რომ თავი ვერ დავიჭირე და მწირსა და განდევნილს გაკოცე. დამავიწყდა, მარინეს მერმე ქალს რომ აღარ ეკარები... მაკლდრმა ეშმაკმა წაიღოს შენი თავი! შენ ვის არ გაავიციებ? მიმზიდველი მამაკაცი ხარ, მაგრამ ერთი რამ გახსოვდეს: ამ შეურაცხყოფას არ გაბატებ და ძვირად დაგიჯენ!

ლეილა ნახევრად წამოწოლილიყო სავარძელზე. ფეხი ფეხზე გადაედო, კაბა ასწროდა და შიშველი მუხლები და ბარძაყი უჩანდა. გავარჯიშებული ლამაზი ფეხების წვივების მუცელზე კუნთი ბურთოვით ამობურცვოდა. იგი პაპიროსს აბოლებდა და სევდანარევი დიმილით შესცქეროდა რევასს. რევაზემა თვალი მოაჩიდა და სარკმელიდან ქუჩაში გადაიხედა. ხალხით გაქვდილი დიდი ქალაქის პროსპექტი ფუტკრით სავსე სკასავით გუგუნებდა. სასტუმრო „ასტორია“ ზღვაში შეტურებულ გემად მოეჩვენა რევას და რეტი დაესხა, თითქოს მაღალ გემბანიდან ტალღები იზიდებოდა, მერმე გონს მოეგო და სიყვარულით მთვრალი, დაბრმავებული შიო შეეცოდა. რევაზემა შიოს თვალის ახელა გადასწყვიტა, მაგრამ ამ დილით სარკესთან მდგარი მეგობარი, მისი უცნაური სიტყვები მოაგონდა და ახლა ის წინანდელი გადაწყვეტილება უარჰყო. სარკესთან მდგარი შიო ამ დილით საკუთარ თავს დასცინოდა და რევას ეუბნებოდა:

— აბა ერთი შემხედე, რასა ვგვევარ: დროვის ცხენივით უშნოდ ახორცილი უშომოდ აწოწილი, გამხდარი, მარცხნივ წახრილი, მხარჩამოვდებული, ფეხებმოკაუჭებული და ბებერი ვაზივით დაღვარჭნილი ყაზახი! რომელი ქალი გაყვება ცოლად ასეთ მახინჯს, დეგენერატს და დეფექტურ კაცს, თუ ის თვალდამდგარი არ არის?!

— თავი გაანებე ავადმყოფურ, გადაჭარბებულ თვითკრიტიკას! შენ დასაწყუნი კაცი არა ხარ. ჭკუა, გონება, განათ-

ლებს, შნო და იერი არ გაკლია, — შეაქო რევანში, მაგრამ შიო წუწუნს არ იშლიდა:

— განა არ იცი, რა მაკლია?! — გაუჯავრდა შიო.

— მაინც? — ჰკითხა რევანში, შიომ ნაღვლიანად, დაბეჭითებით მიუგო:

— მამაკაცობა.

ეკალივით მოხვდა გულზე შიოს ნათქვამი რევანს. შეეცოდა, დატუქსა:

— ნუ იცი ასეთი ლაპარაკი!

— როგორი ლაპარაკი? — ჰკითხა შიომ და დაუფარავად განაგრძო: — თითქოს არ იცი, მე რომ იმპოტენტი ვარ!

— საიდან მეცოდინება ეგ ზღაპარი და სიცრუე?

— სიცრუე კი არა, ჰეშმარიტება, — გაუსწორა შიომ და ჰკითხა: — არ გახსოვს, ლიდა ვარაზაშვილთან გაყრის მერმე, ჩემს ბინაზე მოყვანილ ბალერინასთან რომ არაფერი გამომივიდა?

— არ მახსოვს, — მიუგო რევანში და თავი ჩაჰკიდა. როგორ არ ახსოვდა, მაგრამ დაზოგა და მიკიბ-მოკიბა: — ლიდასთან გაყრის მერმე ბალერინასთან შენ რომ არაფერი გამოგივიდა, ეს გასაკვირი არ არის, ვინაიდან იმ ხანად ტრავმირებული, ფსიქიურ შოკში იყავი.

რევანს ძალიან კარგად ახსოვდა, თუ როგორ დაიწყო მაშინ შიოს ავადმყოფობა თბილისში. ბალერინის წასვლის მერმე შიოს თითქოს წელი მოსწყდომოცელივით დაეარდა სავარძელზე. სახელურზე იდაყვით დაყრდნობილ ხელის გულს ნიკაბით დაებჯინა, მოიკუნტა, რაღაც საცოდავად დამატარავდა, უმწეოდ გაირინდა და იატაკს შეშლივით დაამტვრდა. იგი რევანის შეკითხვებს უპასუხოდ ტოვებდა. სახეზე საშინელი მწუხარება და დარდი აღბეჭდილი. ასეთ დროს მთელი დღე მდუმარედ, უმოძრაოდ ყოფნა შეეძლო. პროსტრაციაში ჩავარდნილს არაფრის თავი არა ჰქონდა: არც მოძრაობისა, არც საუბრისა და არც სმისა და ქამისა. რევანში შეშინდა, ვაი თუ ლენინგრადშიც შავი მელანქოლია შეეყაროსო. საბედნი-

ეროდ იმ პროსტრაციამ ახლა გაუარა. იგი ლეილასადმი სიყვარულმა გაქოქანსადა. ამიტომ აღმერთებდა ლეილას, მისი ღვთაება კი დასცინოდა, „დიდ ბროფინციელს“ უწოდებდა და ზურგში მახვილის ჩაყემის უპირებდა. რა ხერხი უნდა გამოეძებნა რევანს მეგობრის გადასარჩენად: თვალი აეხილა და აშკარად ეთქვა, ბალერინები ცოლად რომ არ გამოადგებოდნენ?! მაშინ სასოწარკვეთილი და იმედგაცრუებული შიო უთუოდ გაგიჟდებოდა. რევანის წინაშე მართლაც გადაუჭრელი დილემა წამოიჭრა.

• • •

რევანს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული მოღიშარი და ურცხვი ქალის — ლეილას თავზე სახარების კითხვა, როცა ნომერში საჩუქრებით ჩაპარკული, ბედნიერი და სახეგალიმებული შიო და მისი მსახური — მსახიობი ბიქტორ სინარულიძე შევიდნენ. შიოს ძალიან გაეხარდა, ლეილა რომ ნომერში დაუხვდა. პაწია ყუთი გახსნა, იქიდან ოქროს სამაჯურიანი, მარგალიტით შემკული, მინიატურული ძვირფასი საათი ამოიღო და ლეილას ხელზე გაუკეთა. ლეილას ძალიან მოეწონა საათი, შიოს მადლობა გადაუხადა, საათიანი ხელი გაუწოდა, ბაგესთან მიუტანა და ზედ აკოცინა. შიომ ლეილას რბილი, სურნელოვანი და სახეუკარი ხელი ლოყაზე მიიღო და თვალეზი განაბა, რის გამოც ამ აყლაყუდა, გაბედნიერებული კაცის სახემ მეტად ბრყვეული და სასაცილო გამომეტყველება მიიღო. ასე ძვირად ყიდულობდა იგი უგულო, ზნედაცემულ ქალთან ალერსის იმ ბედნიერ წუთებს.

ცოტა ხნის მერმე შიომ ზარის დილს თითი დააკირა და ნომერში შემოსულ მომტან ქალს სადილი შეუკვეთა.

როდესაც შამბანურით შეზარხომდნენ, შიომ ლეილას ხელი მოჰხვია, ქალს უცნაური რაღაც ალერსი, ყურის ბიბი-

ლოს სრესა და წვალება დაუწყო. ხომ-
ზე მოსულმა თამადამ — მუქთ კუბო-
ში ჩაწოლილმა მსახიობმა ბიქტორ სი-
ხარულიძემ ნიღაბი ჩამოიხადა, სირცხ-
ვილ-ნიმუსი დაჰკარგა, ლეილას მიუბ-
რუნდა და უბრძანა:

— მე და რევაზს შენი და შიოს აში-
კობის ცქერა არას გვარგებს. შეარჩიე
ჩვენთვის შენს თეატრში ორი ახალგა-
ზრდა, ლამაზი, ბალერინა და „ასტორ-
იაში“ მოგვიყვანე.

— არის ბალერინების მოყვანა, —
ჯარისკაცივით მიუგო ლეილამ, მხარზე
მოხვეული შიოს ხელი მოიშორა და
ჩაიკისკისა. რევაზმა გააფრთხილა:

— ჩემთვის თავს ნუ შეიწუხებ.

— რატომ? — ჰკითხა ლეილამ.

— გოგოებისათვის არა მცხელა, —
მიუგო რევაზმა.

— რა ცალი გვიღია? — შენობით მი-
მართა და აგდებულად ჰკითხა ძაღ-
უფლების მოყვარულმა თამადამ. რევაზ-
მა მკვახედ მიუგო:

— შენებრ ქალების საღვევრად, მარ-
თალი გითხრა, ლენინგრადში არ ჩამოვ-
სტუღვარ.

— მაშა? — გაუკვირდა სახე გაცრე-
ცილ, აღრე გამელოტებულ პროვინ-
ციელ დონ უჟანს, რომელსაც რევაზმა
„კრუხის პალო“ და „ზელიმხანის უმც-
როსი ძმა“ შეარქვა.

რევაზი ლეილას მიუბრუნდა: — ჩვე-
ნი გიდი, სხვათა შორის, ლენინგრადელი
ქალია. შენ უნდა იცნობდე მას.

— აბა საიდან? — ჰკითხა ლეილამ და
სმენად იქცა.

— იგი ლენინგრადის ოპერის თეატ-
რის კონცერტმეისტერია. პიანისტი —
ზინაიდა პეტრეს ასული პაპოვა, — მიუ-
გო რევაზმა.

— როგორ არა. საიდან იცნობ?

— ბათუმიდან ლენინგრადამდე ჩვენ
ერთად ვიმგზავრეთ.

— ზინა იშვიათი ადამიანია, ნიჭიერი,

განათლებული, კეთილი, მაგრამ ულა-
მაზო, ქალბიჭა. იგი მამაკაცს ვერ მიი-
ზიდავს, მით უმეტეს შენ, ქალთა მომუ-
ლეს.

— რათა? ზინა მიმზიდველი, სერიო-
ზული ქალია. ჩვენ დავმეგობრდით კი-
დეც.

— მამაკაცთა და დედაკაცთა მეგობ-
რობა, თუ ისინი ცვედანი, მიხრწნილი
და მახინჯი არ არიან, არა მჯერა, — წა-
მოაყრანტალა თავქარიანმა, უზნეო და
შარახვეტია მსახიობმა. ამ განცხადებამ,
რომელსაც ლეილა მიემხრო, დიდი და-
ვა გამოიწვია. რევაზს ზოოლოგიური
ბაღი, მაიმუნი მოაგონდა, გაბრაზდა და
ბიქტორი და ლეილა არ დაინდო:

— ქალსა და მამაკაცს შორის არა მა-
რტო სქესობრივი, არამედ სულიერი კა-
ვშირიც შეიძლება არსებობდეს.

— შეიძლება უვნებო, უსქესო, წმი-
ნდანებიც არსებობდნენ ამა ქვეყნად,
მაგრამ ისინი თითზე ჩამოსათვლელი
არიან, — შენიშნა ლეილამ.

— ბალერინების ვნება, სქესი და ერ-
ოსი, მართალი გითხრა, მაინცა და მა-
ინც არა მჯერა, — მიუგო რევაზმა.

— მაშ, ფიზიკურად გამოფიტული,
ნახევრად შეშლილი, ჭლექიანი პოე-
ტისა და მწერლის ეროსი, ვნება და ექ-
სტაზი ვის გაუგონია და ვის რა ჭირად
უნდა?! — აღრენით განაცხადა ლეილამ
და მაშინვე მიხვდა, რევაზი რომ არ
უნდა გაეჯავრებინა და ბაგე მოიკვნიტა,
მაგრამ გვიანდა იყო: რევაზი აენტო და
შეტევებზე გადავიდა:

— ბალერინები ტიკინებს ან კიდევ
არა ცოცხალ, არამედ თივით გატენილ,
მათრახით გაწრთენილ ცირკის ცხენებს
მაგონებენ, რომლებიც ერთსა და იმა-
ვე გაზეპირებულ, ტანჯვით შესწავლილ
ილეთებს იმეორებენ.

— ბალეტზე და ბალერინებზე თქვენნი
თავდასხმა არ ახალა, ძველია, ლევ
ტოლსტოის ჰბაძავთ, მაგრამ ბალეტზე
თავდასხმა თქვენ, სპორტსმენს არ შეგ-

ფერთ და არც გეპატიებათ, — შენიშნა ლეილა.

— მე ტოლსტოიზე უფრო შორს მივდივარ, — მიუგო რევაზმა და განაგრძო: — ბალერინები უგონო, ცირკის ცხენბივით გაწრთვნილი, გულღვიძლგამოცილი, თივით ვატენილი, და საცოდავი ქმნილებები არიან. ამ მხრივ ფრანგული ნეთიმპრესიონიზმის წარმომადგენლის, ცნობილი ფრანგი მხატვრის ედგარ დეგას სურათები შედევერებად უნდა ჩაითვალოს. გახსოვთ, აგურისფერი აკვარელით შესრულებული, მაიმუნისმაგვარი მისი ორი საცოდავი მოცეკვავე ქალი, მათი უმწეო დგომა, მათი მახინჯი ხელი და ფეხი?! ან კიდევ ფორტოგრაფის წინაშე მდგარი „მოცეკვავენი“ და ბოლოს „ცისფერი მოცეკვავენი“ — ქალაქიდან კაბეშში გამოწყობილი, მკერდგაღელი, მახინჯი, ჩამომდნარი და ქლექიანი წამებული ბალერინები?!

ლეილა ვანადგურებული იჯდა მაგიდასთან. შიო გაცეხებული მიშტერებოდა რევაზს და ვერ გაეგო სახელგანთქმულ მოცეკვავე ლეილაზე მისი თავდასხმის მიზეზი. ლეილა შეეცოდა და რევაზს შეედავა:

— სულაც არ მომწონს იმ შენი ფრანგი დეკადენტი მხატვრის — დეგას ავადმყოფური შემოქმედება. რად აუხირდი ბალეტს და ბალერინებს? ბალეტი განსაკუთრებით კი რუსული ბალეტი, ჭეშმარიტი, მაღალი ხელოვნებაა. დიდი მწერლის, ტოლსტოის ახირება. მისი მოსაზრებანი ხელოვნებაზე, კერძოდ ბალეტზე და ბალერინებზე ჩვენთვის სავალდებულო არ არის. იგი შექსპირსა და მის ტრაგედებსაც კი აბიბურუებდა. მაგრამ ტოლსტოი გენიალური მწერალი იყო და ის ახირება, ან როგორც მისი მეუღლე იტყოდა — „чуждость“ — ქარაოცობა ეპატიება. ისინი დღესაც არიან, ჩვენი დიდებული გალინა ულანოვა, მათი ცეკვა განა მაღალი ხელოვნება არ არის?! ეს მთელი სიმფონიაა...

რევაზის თავდასხმის გამო ცოცხალ-

მკვდარი ლეილა ჩარკვიანი, შიოს სიტყვების მერმე გამოცოცხლდა და რევაზს ნიშნის მოგებით მიახალა:

— ესეც მე ვარ?

— ოჰლა ჩვენ ვცოცხლობთ! — დაიძახა ჭარაფშუტა მსახიობმა ბიქტორმა ქალსავით გამყიფანი, წვრილი ხმით, ხელი ასწია და ბალერინსაებრ წელში გაიხნიჭა.

რევაზმა თავი შეიკავა, არ უნდოდა შიო გაებრაზებია, აკი შიომ ხელი გაუწოდა, ფული ასესხა და წელში გამართა! მხოლოდ სამი სიტყვა უთხრა თავგაბრტყელებულ, კაფანდარა და ჭუჭუა მსახიობს:

— სმერდიაკოვსაც ცხოვრება უნდა!

შიო, ბიქტორი და ლეილა ღუმდნენ და გაცეხებული მიშტერებოდნენ რევაზს, დაუჭერებელი ამბავია, მაგრამ იყვნენ მაშინ არა მარტო ისეთი მსახიობები და მოცეკვავეები, არამედ ისეთი მწერლები და კრიტიკოსებიც, რომელთაც არ იცოდნენ, თუ ვინ იყო სმერდიაკოვი. ალბათ იმიტომ, რომ დოსტოევსკის იმ ხანად არ სწყალობდნენ.

4

ზინა აფორიაქებული და ერთთავად გაფოფრილი შეიჭრა უსუბოვის ყოფილ სასახლეში და რევაზს გესლნარევი საყვედური აკადრა:

— ერთი კვირა იქნება უკვე, რაც თქვენ დიკარგეთ, ბუდიდან ამოვარდით, შინ არ დაიარებით, „ერმიტაჟში“ სიარულს თავი გაანებეთ, ჩემი არსებობა აღარ გახსოვთ, „ასტორიაში“ კი ყოველ დღე ქეიფობთ და ბალერინებთან დროს ატარებთ. ასე იცის ფულმა. რა წამს ის ეშმაკის კერპი გაგიჩნდათ, უმაღვე ცდუნების გზას დაადექით.

რევაზი მაშინვე მიხვდა, ლეილას რომ დაეტენა ზინა და მანამდე თვინიერა და ერთგული მეგობარი ახლა ქვემეხივით უშენდა ყუმბარებს. რევაზისათვის ახალი ხილი როდი იყო შეურაცხყოფილი ქალებისაგან მასზე მიტანილი იერიში და თავდასხმა. მაგრამ ერთი რამ ვერ

გაეგო მას ამჟამად და ის აოცებდა: ასეთი თავდასხმისა და საყვედურისათვის ნეტა რა უფლება აქვს ზინას! განა ამ ქალის მეუღლე ან საქმარო ვარ, რომ ჩემი ყოველი ნაბიჯის გამო ანგარიში ჩავაბარო და არა თავისუფალი კაცი?! — გაიფიქრა რევაზმა. არაფრის ისე არ ეშინოდა იმჟამად რევაზს, როგორც თავისუფლების დაკარგვისა და ოჯახური უღლის დადგმისა.

— „სტორიაში“ ჩემი მეგობრის ხელოვნების სამმართველოს უფროსის შიო ბოკუჩავას ბინაზე მისი საცოლე ლეილა მხოლოდ ორჯერ ენახე. სხვა ბალერინა კი იქ არ შემხვედრია. ერთხელაც ჩემმა სკოლის ამხანაგმა, ამჟამად ლენინგრადში მცხოვრებმა წესიერმა, დარბაისელმა კაცმა კირილე ჩაჩანიძემ მიმიპატიჟა შინ. ეგ იყო და ეგა! დანარჩენი დღეები მეცნიერებათა აკადემიის წიგნის მაღაზიებში და ლიტერატურის ქუჩაზე ბუკინისტებთან გაეატარე. ასეთი ანგარიშის ჩაბარების შემდეგ საბუთოც მომირთმევია, — დამცინავი ლიმილით უთხრა რევაზმა და ოთახის კუთხეში პატარა მაგიდაზე დაზვინული წიგნებისაღნი ხელი გაიშვირა. მაგიდაზე უცხოური და რუსი ავტორების ძველად და ახლად გამოცემული უამრავი უნიკალური წიგნი ეწყო ფილოსოფიისა, ესთეტიკისა, კრიტიკისა, მხატვრული ლიტერატურისა და ბიოლოგიური მეცნიერების დარგიდან. ზინა შეცბა, საყვედურებს თავი გაანება, დაცხრა და ახლა ანგარიშმიუცემლად ჰკითხა:

— როგორ წაიღებთ თბილისში ამდენ წიგნს?

— წასვლის წინ რკინიგზით გავგზავნი. — მიუგო რევაზმა.

ლენინგრადიდან რევაზის წასვლას ღვთის რისხვასავით მოელოდა ზინა. ამიტომ გული ეტყინა და გაუბედავად ჰკითხა:

— როდის ფიქრობთ წასვლას?

— სულ მალე გავემგზავრებით მოსკოვს, — ისე მიუგო რევაზმა, თითქო ლენინგრადში ყოფნა მობეზრდაო.

— ნუთუ ლენინგრადიდან ისე წახვალთ, ერთხელაც არ მესტუმრებთ?! რას იტყვიან ბოლოს და ბოლოს, ჩემი მშობლები? ისინი რეზონულად შემინინავენ: შენ გული გააწყალე შენი ქართველი ნაცნობით, მეგობარსაც კი უწოდებ მას, ყოველ დღე მასთან დაიარები, მას კი ერთხელაც არ გაუკეთებია საპასუხო ვიზიტი. შენ კი არ ეშვები და ალბათ თავს აბეზრებო! განა არა აქვთ უფლება ეგ მითხრან? მეუბნებიან კიდევ, — უსაყვედურა ზინამ და საშინლად გაწითლდა. რევაზს შეეცოდა. ამჯერად კქუაში დაუჯდა ზინას ეს დასაბუთებული საყვედური და მანუგ, კვირას საღამოსათვის მას ბინაზე მისვლა შეჰპირდა.

მალე ქალაქიდან კოტე და არკადიც მოვიდნენ. მათაც წიგნები მოიტანეს. მათაც ბევრი წიგნი დაუგროვდათ, განსაკუთრებით კი კოტეს. რევაზმა კარადის კარი გამოაღო და იქ შეწყობილი მდიდრულად გაფორმებული უამრავი წიგნი ზინას უჩვენა. ეგ ბიოლოგიის დარგებიდან შერჩეული ჩინებული მთელი ბიბლიოთეკა იყო. ზინას გაუკვირდა და კოტეს და არკადის, ისე როგორც რევაზს, ანგარიშმიუცემლად ჰკითხა:

— ვერ გამოგია, როგორ წაიღებთ თბილისში ამდენ წიგნს?

— ესენიც რკინიგზით გავგზავნიან, — მათ მაგივრად მიუგო რევაზმა.

• • •

კოტა ხნის მერმე ყველანი ქალაქში გავიდნენ. ლენინგრადიდან ქართველი სტუმრების გამგზავრება მოახლოებული იყო და ისინი ახლა ქალაქის ყველა ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ძეგლების ნახვას ესწრაფოდნენ. ამჯერად ისაქის ტაძარი აირჩიეს.

ისაქის ტაძარი მეფე ნიკოლოზ პირველის დროინდელი ყველაზე უფრო განსაკვიფრებელი, მონუმენტური ნაგებობაა. მისი მშენებლობა ცნობილმა ზუროთმოძღვარმა რინალიმ დაიწყო. ტაძრის აგება ორმოც წელს გაგრძელდა

(1817 წლიდან — 1857 წლამდე). იგი ამ ხნის განმავლობაში ალექსანდრე პირველის სვეტის მშენებლის დიდებული ხუროთმოძღვრის მონაწირის პოეტის მიხედვით არა ერთხელ გადააქეთეს და ისე ააგეს. ტაძრის სიმაღლე 47 საეენი და 3 ფუტია, სიგრძე — 42 საეენი და 3 ფუტი, განი კი — 25 საეენი და 2 ფუტი. შენობის ტალანის ვეება სვეტების სიმაღლე 8 საეენია, ხოლო თვითელი მათგანი კი 8 ათას ფუთს იწონის. ისაკის ტაძარი, მაშინდელი ფულის კურსით, 23 მილიონი მანეთი დაჯდა. პეტერბურგის ჟუანტობიან ნიადავზე ასეთი ბუმბერაზი შენობის აგება მეტად ძნელი საქმე იყო. შენობა რომ არ დამჯდარიყო, მიწაში ათი ათასი სამსაეენიანი ფიჭვის ბოძები ჩაალაგეს, ჩასქედეს და კედლების ამოყვანა მხოლოდ ამის შერმე დაიწყეს. ეს ბუმბერაზი ტაძარი, ისე როგორც ალექსანდრეს გიგანტური სვეტი, ნაპოლეონზე გამარჯვების აღსანიშნავად და იმ გამარჯვების გამო აღზევებულმა მეფის რუსეთმა შეგნებულად ააგო. ისაკის ტაძარი ეგვიპტის პირამიდებსა და რომის ბუმბერაზ ნაგებობებს უნდა გატოლებოდა, გადაეჭარბებინა კიდევ. ვინაიდან მონარქიული რუსეთის შესვეურები რომის იმპერიის ნაგრევეებზე აღმოცენებულ თანამედროვე რუსეთის დიდ იმპერიაზე — „მესამე რომზე“ ოცნებობდნენ, ასეთი რუსეთი, ცნობილი მონარქისტის მილუკოვის აზრით, ხმელთაშუა ზღვაზე უნდა გასულიყო და „მის ფარს ცარგრადის (სტამბულის) კარიბჭე დაემშვენებია“. ამრიგად ისაკის ტაძრის გრანდიოზული ნაგებობა დიდი, ძლიერი და ბუმბერაზი რუსეთის სიმბოლოური გამოხატულება უნდა ყოფილიყო. იგი ძლიერი და დოვლათიანი რუსეთის პირმოღე უნდა წარმოედგინა მნახელს, მაშინ როდესაც მეფის რუსეთი სინამდვილეში ღარიბი, დატაკი, უძლური და უხადრუეი სახელმწიფო იყო. მასში აზიური ყაიდის მონარქია, მისი სასტიკი რეჟიმი მძვინვარებდა, არაქჩევის ყაზარბული მშრალი და შე-

მაზრზენი დისციპლინა სუფევდა. მონური ყოფის მოძულე რუსეთის მუშებმა და მშრომელებმა მონარქიულ წესწყობილებაზე პირველი იერიში „სენატის მოედანზე“ 1825 წლის 14 დეკემბერს მიიტანეს, ხოლო უკანასკნელი საბოლოო და გადამწყვეტი კი — 1917 წლის 25 ოქტომბერს.

კოტე და არკადი ისაკის ტაძრის უკანასკნელ გუმბათამდე ავიდნენ. მერმე კი დაიქანცნენ და ხრახნილი კიბით სიარული ვეღარ შესძლეს. სვლა რევაზმა და ზინამ განაგრძეს და მალე ტაძრის კოშკს — ფარანს მიადიწეს. თავბრუდამხვევ სიმაღლიდან ბუმბერაზი ქალაქის მართლაც წარმტაცი სურათი გადაეშალათ. მთაში სიარულსა და მალლობიდან დაბლობთა და თვალუწვდენ სიგრცის ცქერის მოყვარულმა რევაზმა პირველად იგრძნო რუსეთში დიდი სიმაღლიდან ცქერისა და კვრეტის გამო გამოწვეული ხალვათობა და ნეტარება. მისმა ოცნებამ შევარდენისაებრ ფრთა გაშალა და გაიხარა. ზინა ქალაქის ცენტრალურ ნაწილს, ზამთრის სასახლეს და მის ირგვლივ გაშენებულ ისტორიულ ძეგლებს, „ვისილის კმძულს“, პეტერბურგისა და ვიბორგის მხარეს, წრიულ არხს, ნევისა და ნარვის სადარაჯოებს, ქალაქის სამზრეთ-ჩრდილოეთის, აღმოსავლეთ-დასავლეთის რაიონს უჩვენებდა და ახსნა-განმარტებდა აძლევდა. რევაზი დიდის ინტერესით გასცქეროდა წესრიგის მოყვარული კაცის ხელით ჭადრაკის დაფასაებრ დაგვილი ქალაქის „მწყობრსა და მკაცრ სანახაობას“, გრანიტში ჩასმული უდიდესი მდინარის „ნევის მეფურ დინებას“, „სანაპირო გრანიტს“, დიდებულ სასახლეებს, არხებს, ზიდებს, ნევის შესართავსა და ბოლოს ბალტიის ზღვის უბეს, რომელიც ჩამავალი მზის შუქზე ბრწყინავდა და ლაპლაპებდა.

რევაზს თვალში ეცა დაბლა ქუჩებში ქიანვევლასაებრ პატარა ადამიანების ფუსფუსი, სათამაშოს მსგავსი პატარა მანქანებისა და ტრამვაის ვაგონების სრიალი, მაგრამ „ამ პატარა ადა-

მიანებმა იყო 1917 წლის ოქტომბერში გემი „ავრორა“ ზღვიდან ნევაში რომ შეაქურდეს, მეფის სასახლეს ქვეშეხები დაუშინეს, იერიშით აიღეს იგი, ქალაქი დაიჭირეს, მეფე და მისი მთავრობა დააპატიმრეს და კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალი ფურცელი გადაშალეს, — გაიფიქრა რევოლუციონერმა და მაშინვე თავბრუდამხვევ სიმალლიდან პატარად მშინარი იმ ადამიანების ძალა და ღირსება იგრძნო და იწამა. ქალაქის გარეუბნებში გიგანტური ქარხნების მიღები აბოლებდნენ. იქვე ბაღში ჩაფლული მუშათა საცხოვრებელი, ჩინებული და მაღალი სახლების კორპუსები ჩარაზმულიყვნენ. ეს ახალი ინდუსტრიული ლენინგრადის რაიონი იყო.

• • •

მეორე დღეს კოტემ, არკადიმ და რევოლუციონერების სახელმწიფო მუშეუმაღ ქვეული „პეტრეპავლეს ციხე“ და „შლისებურგი“ დაათვალიერეს. მერმე ქარხნები და პორტი. შაბათს კი კოტემ და არკადიმ მეცნიერული პედაგოგიკის სახელმწიფო ინსტიტუტს მიაშურეს. რევოლუციონერებთან მუშეუმაღ ეწვია. აქ მისი ყურადღება, უმთავრესად, ბუღალტერმა განყოფილებამ მიიპყრო...

კვირა დღეს, ნასადილევს, ქართველი სტუმრები ნევის პროსპექტზე მისეირნობდნენ. რევოლუციონერებს და არკადის განუცხადდა:

— ამ საღამოს ზინასთან ბინაზე უნდა მივიდეთ. დიდი ხანია მუშეუმაღი. მინდა რაიმე საჩუქარი მივართვა, მაგრამ არ კი ვიცი რა ვუყიდო.

— ჩვენდამი დიდი ყურადღებისა და დაუღალავი სამსახურისათვის ზინა უთუოდ ძვირფასი საჩუქრის ღირსია, — შენიშნა კოტემ.

— მოდი, კარგი საათი ვუყიდოთ, — წინადადება შეიტანა არკადიმ.

„გასტინი დვორის“ ერთ-ერთ მაღალი ზინაში კოტემ, არკადიმ და რევოლუციონერებს

როს სამაჯურიანი ჩინებული პატარა საათი იყიდეს. კოტემ საათი რევოლუციონერებს, რევოლუციონერებს, რევოლუციონერებს და რევოლუციონერებს.

— შენ მთავარი ამ საღამოს ეს საათი ჩვენს გიღს, თანაც აცნობე, ამ საჩუქარს სამივე რომ ვუძღვინოთ.

სათამაშო მაღალი ზინაში რევოლუციონერ მათუღზე ჩამოკიდებული რკინის უზარმაზარი ხოჭო დინახა რევოლუციონერს. ის ხოჭო დაქოქვის მერმე გარბოდა. რევოლუციონერს მოეწონა და ისიც ზინას უყიდა.

რევოლუციონერები გაახვია და საღამოს უკან მოიკიდან ნევის პროსპექტზე გავიდა. აქ იგი ტრამვაის მეთხოვეტე ნომერში ჩავდა. ცოტა ხნის მერმე ტრამვაიმ ტექნოლოგიურ ინსტიტუტს ჩაუარა. რევოლუციონერი კომანდირები-სა და სერთაშორისო პროსპექტის კუთხეში ტრამვიდან ჩამოვიდა, მარცხნივ გაუხვია და წითელგვარდიელთა ქუჩაზე გავიდა. იგი ყვეთელი გრანტი-საგან აგებულ ნაცნობ სახლს მიაღწა. მესამე სართულის ერთ-ერთ კარების ზარის ღიღს თითი დააჭირა.

ორმაგი კარები ნელა გაიღო. რევოლუციონერული ზინა შეეგება და სასურველი სტუმარი იქვე თავის ოთახში ფეხაკრფით და ჩუმად შეიყვანა. ზინამ საწერ მაგიდასთან შესთავაზა სკამი, თავდაც დაჯდა და სტუმარს დაღუმებული და შეშფოთებული მიაშტერდა. იგი ფერმკრთალი იყო და ღელავდა. რადგან კარვად იცოდა, რომ მეზობელ ოთახში სმენად ქვეული მისი უმცროსი და — სტუდენტი ლენა და მამა — მოწაფე გრიზია ისხდნენ და ყური კარზე ჰქონდათ მიღებული, რათა დისა და შორეული ქვეყნიდან ჩამოსული მისი უცხო კავალერის საუბარი მოესმინათ. ეს გარემოება მეტისმეტად ზღუდავდა ზინას და აიძულებდა ყოველი თავისი სიტყვა და საქციელი მოეზომა, შინაურების დაცინვისა და გაქორღვისათვის თავი რომ დაეღწია. ერთმანეთის გაკრიტიკება, გაქორღვა, გაშარყება, „შეყირი“ და „გადაღობა“ დიდად შემოღებული იყო ზინას ოჯახში.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ზინა ისევ ლელავდა, გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა და ყელში ებჯინებოდა. მისი „ღვთაება“ ახლა მის წინ იჯდა. მშვიდი, მოალერსე, ლამაზი და ნაღვლიანი თვალებით მიშტერებოდა მას. ის კი მოზღვავებული ბედნიერებისა და თავისიანების წინაშე რილის გამო ლელავდა, იბნეოდა და გატრუნული, კდემამოსილი პატარძალივით იბნიდებოდა. რევანში ზინას საქციელმა გააოცა. მერმე ქალი, გაოგნებიდან რომ გამოეყვანა, გაუღიმა, ქალაღი გაშალა, იქიდან პატარა ყუთი ამოიღო, გაუწოდა უთხრა:

— ეს მცირედი საჩუქარი კოტეს, არკადის და მე ჩვენდამი თქვენი დიდი ყურადღებისა და უანგარო სამსახურისათვის მოგვირთმევია.

ზინამ ყუთი გახსნა, შიგ ჩადებულ ოქროს საათი დაინახა, სისხლივით გაწითლდა, ყუთს საჩქაროდ თავი დაახურა, მაგიდაზე გააცოცა და რევანს უთხრა:

— ჩემი მცირედი და უანგარო სამსახურისათვის ასეთი ძვირფასი საჩუქარი საჭირო არ არის, გადაეციტ კოტეს, თავის მეუღლეს მიართვას.

— ჩემი ძმის მეუღლეს ასეთი საათები და ძვირფასი საჩუქრები არ აკლია. თქვენ ინებეთ, თორემ კოტეს, არკადის და მეც ძალიან გვაწყენინებთ, — მიუგო რევანმა და დიდი ხვეწნისა და დავიდარაბის მერმე მაგიდის ყუთი გამოაღო და საჩუქარი შიგ ჩაავდო. ზინამ თავი ჩაპკიდა, მოიწყინა, მერმე მოულოდნელად რევანს უცნაური რამ უჩურჩულა:

— ვაი თუ თქვენ, ლენინგრადიდან წასვლის წინ, თქვენდამი ჩემი დიდი, მოზღვავებული გრძობისაგან თავის დაღწევას ამ მცირედი გამოსასყიდი საჩუქრით აპირებთ!

რევანში შეკრთა, შეიშმუშნა და უსაყვედურა:

— ო, თქვენ მეტისმეტად ეკვიანი ქალი ყოფილხართ!

— რათა?

— ეგ რა ახირებული აზრი მოგვივლათ თავში!

— ასე ვიფიქრე, როცა ერთი კვირით სადღაც გაუჩინარდით და ვერა განახეთ, არც თქვენებმა იცოდნენ თქვენი ადგილ-სამყოფელი. საშინელი ფიქრი შემომეჭარა. იქნებ საქართველოში წავიდა მე თქი, ვფიქრობდი.

— როგორ? არც კოტეს, არც არკადის, არც თქვენ არ შეგატყობინებდით და ლენინგრადიდან ისე გავიპარებოდი?!

— აბა რა ვიცი. თქვენ უცნაური ადამიანი ხართ! მე შიშით ვფიქრობ ლენინგრადიდან თქვენს წასვლაზე.

— რათა? ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა წავიდე!

— ლენინგრადიდან წასვლის მერმე სამშობლოში ათასი საქმე გამოგიჩნდებათ, თქვენი მიწერ-მოწერა თანდათან იკლებს და ბოლოს შეწყდება კიდევ. ჩვენი ერთად გატარებული ბედნიერი დღეები სიზმარივით გაქრება და მწარე მოგონებალა დამჩნება. ვიცი, ასეთ ტანჯვას ვერ გავუძლებ და დავკლემდები.

— წინასწარ გლოვა და გულისწუხილი რა საჭიროა! არა ერთხელ მიტევამს თქვენთვის, რომ მე თქვენი დავიწყება არ შემძლია, რომ თქვენ ჩემი კეშმარიტი მეგობარი ხართ, — უთხრა სასოწარკვეთილ ქალს რევანმა, მხარზე ხელი დაადო, მოეფერა და განაგრძო: — ეხ, ჩემო ზინა, ამოდენა ქალი ხანდახან გულუბრყვილო ბავშვი მგონიხართ. ალბათ ამის გამო გიყიდეთ კიდევ ეს საჩუქარი. მაგრამ არ ვიცი, მოგეწონებათ თუ არა, — ესა თქვა რევანმა, გაიღიმა და ქალაღში გახვეული საჩუქარი — ხოქო ჩიბიდან ამოიღო, დაქოქა და იატაკზე გაუშვა. რევანის აღერსით გამდნარმა, მისი მოულოდნელი და უცნაური საჩუქრით მოკადოებულმა ზინამ თავი ვერ შეიკავა, ხმამალა გაიციინა, ხოქოს თვალი გააყოლა და მისდია, ხოქომ ოთახი შემოიბრინა, ბოლოს ძალა გამოეღია, კე-

დელს თავით მიებჯინა და გაჩერდა. ზინას ძალიან მოეწონა რევავის საჩუქარი. ახლა თავად დაქოქა ხოჭო და გაუშვა. იგი ბავშვივით ერთობოდა, იცინოდა და ძველი ეპეისა და კმუნვის კვალიც აღარ დარჩენოდა.

დედამ დაუძახა. მარტო დარჩენილმა რევავამ ვიწრო, წაგრძელებულ ოთახს თვალი მოავლო. იგი ღარიბულად იყო მორთული. შიგ პატარა საწერი მაგიდა, ორიოდ სკამი და რკინის საწოლი იდგა. კედელზე ზინას საყვარელი კომპოზიტორის გრიგის პორტრეტი ეკიდა. ეს იყო და ეს. ჭერზე მიმაგრებული ნათურა, ელდენის მცირე ძაბვის გამო, ძლივს ბუუტავდა და ოთახში ბნელოდა. ორმაგ, ღია სარკმელში მოღრუბლული ცა მოსჩანდა. უკვე მესამე დღე იყო, რაც ქალაქში ნისლი იდგა და წვიმა გადაუღებლად ცრიდა. რევავის გულს გაურკვეველი რაღაც ნაღველი შემოაწვა. იგი სარკმელთან გაჩერდა, ნისლში გახვეულ ქალაქს გახედა და გაიფიქრა: „ეს წვიმა ლენინგრადის გულისდამღონებელი შემოდგომის წინამორბედი. მალე შემოდგომა დადგება. გადაუღებელ წვიმებს თოვლქუყაბი მოჰყვება. ქალაქში პირველყოფილი ბუნი, ნისლი და ჯანყი ჩადგება. უხალისო დღეები ერთიმეორეს შეცვლიან და ამ მდღეობა და აკლდამისებრ ჩაბნელებულ ოთახში მარტოდ დარჩენილ ზინას ლენინგრადის სპლინი შეიპყრობს და ის დააქლექებს. საცოდავი. როგორ შეეჩვია ამ ქალაქის ჰავას და ამინდს კირილე ჩაჩანიძე?! „ყინულოვან ჩრდილოეთში ვინა სამხრეთის პალმა გაიხარებს!“ — გაუკვირდა რევავს. შემობრუნდა და ახლა ოთახს მოავლო თვალი. ოთახში ისევ ბნელოდა და გულისდამღონებელი სიჩუმე სუფევდა. კარგა ხანი გავიდა. უცბად ავადმყოფი დედა, საშინელი სიზმარი მოაგონდა რევავს და შეძრწუნდა: „სად უნდა ვიყო და სადა ვარ?! რა მინდა ლენინგრადში, რა მინდა ამ ბინაში? რას ჩავდივარ, რა აზრი აქვს ჩემს ვიზიტს, რისთვის ვურღვევ ამ უბრალო და წესიერ მშრომელ ქალს სული-

ერ სიმშვიდეს?...“ — გაიფიქრა მან და სკამზე ნელინელ წელმოწყვეტილედ ეშვა. საშინელი მოწყენა, სიცალიერე, მარტობა იგრძნო და ზინა იმ წუთას რომ არ შემოსულიყო, უთუოდ იყვირებდა, ან ოთახიდან ქუჩაში გაიჭრებოდა. ზინამ ჯავრისაგან დამწუხრებული, გაოგნებული და გაშემებული რევავი რომ დაინახა, შეკრთა, დაიბნა და მორცხვად შეაპარა:

— დედა ჩიიზე გთხოვთ.

რევავი არ განძრეულა, იგი სადღაც შორს, უხილავ მხარისაკენ უაზროდ იყურებოდა და დუმდა.

— რევავ, რა მოგივიდათ? — შესძახა ზინამ სტუმარს და შეარხია. რევავი გონს მოეგო. ქალმა სასადალოს კარი შეაღო და გაოგნებული სტუმარი შიგ შეიყვანა.

სავაზშიოდ გაშლილ სუფრასთან ზინას მშობლები, და, ძმა ისხდნენ. ისინი მოწინებით წამოდგნენ და ჩინებულად ჩაცმულ, ეშხიანსა და სასურველ სტუმარს ბედნიერი ღიმილით მიაშტერდნენ. მერმე ხელი ჩამოართვეს და ზინას დედამ ანეტამ თავისი მეუღლის პეტრეს გვერდით დასვა. რევავმა მოხუცებულობაში შესულ, გამხდარ კაცს — პეტრეს გაჰხედა. სახის ნაკეთებით მილა აწეული, პაჭუა ცხვირით, ბრიბად დაყენებული ქვრივა თვალებითა და ტანის აღნაგობით ზინა მამის ასლს წარმოადგენდა. დანარჩენი შეილები კი დედას — ცისფერთვალემა, ჩასუქებულ, სანდომიანი სახის მქონე ქალს — ანეტას უფრო ჰგვანდნენ. პეტრე ჰაბუკობის ეპოს რკინიგზის სამმართველოს მოხელე, ამავე დროს ცნობილი ველომსრობოლედი ყოფილიყო, ინგლისში გამართულ მსოფლიო ველომსრობისას პეტრემ ყველაზე ადრე დაჰფარა დიდი დისტანცია, პირველმა გადაჰკვეთა ფინიშის ხაზი, პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედალიც მან დაისაკუთრა. ზინამ მამის იმღროინდელი სურათი და ოქროს მედალი გამოიტანა და რევავს უჩვენა. ჩინებულ შავ კოსტუმში გამოწყობილ, კოკობულვაშიან, ახოვან

ქაბუჯის ველორბოლაში გამარჯვების მერვე ღონღონში გადაეღო სურათი. მოხუცი პეტრე ახლა იმ ქაბუჯის აირდილიდა იყო. იგი გვიან მოჰკიდებოდა ოჯახს, პენსიაში გასული ეს მაღალი და აწოწილი მოხუცი დამუნჯებული იჯდა ახლა რევანის გვერდით და ცხოვრებიდან უდროოდ ჩამოწერილ კაცსა ჰგავდა. ოჯახის სადავე მასზე ბევრად უმცროს მის მეუღლეს ანეტას აეღო ხელში. ამიტომ მორთულ-მოკაზმულ, კარგი პარტივით შენახულ მკერავ ქალს ამაყად ეჭირა თავი. ოჯახში მისი მბრძანებლობა იგრძნობოდა. იგი მომზიბელელი ღიმილით თევზსა და სალათს აწოდებდა რევანს. პეტრე კი არაყს აძალებდა. რევანში, დარდის გასაქარებლად, მაგარ სასმელზე უარს არ აცხადებდა, გულის დარდს იქარებდა, ოხუნჯობდა, მასპინძლებს აცინებდა და ზინას იქვე მდგარ რიოალზე დაკვრას თხოვდა.

— ეგ ჩვენ არ გვანებვიერებს საკონცერტო ნომრების დაკვირთა, იქნებ თქვენ დაგვღოთ პარტივი, — უთხრა ანეტამ რევანს თავისი ქალის რენომეს ასაწვევად.

ზინა კარგად იცნობდა რევანის გემოვნებას საერთოდ ხელოვნებაში, კერძოდ კი — მუსიკის დარგში. ამიტომ ისე ლღაავდა, როგორც გამოცდაზე გასული შეგირდი. პირველ ნომრად მან დაუკრა „გნომების სელა“ გრიგის ოპერიდან „პიერ გიუნტი“, მეორე ნომრად — გრიგისავე „გაზაფხული“, ხოლო მესამე ნომრად კი ფორტეპიანოსათვის დაწერილი შედევრი „იზოლდას სიკვდილი“ ვაგნერის ოპერიდან „ტრისტანი და იზოლდა“.

სერიოზული მუსიკის შემსრულებელ ქეშმარიტ პიანისტს ბევრი რამ მოეხოვება უპირველეს ყოვლისა: მუსიკალური ნაწარმოების გაგება, შეცხება და საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობაში მისი გატარება და გარდასახვა, ნიჭი, ოსტატობა, შთაგონება, შესასრულებელ ნაწარმოებებისადმი პირადი დამოკიდებულება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აი,

დაახლოებით ასეთ მოთხოვნებებს უყენებდა რევანში სერიოზული მუსიკის შემსრულებელ პიანისტს, რომელიც ბალეტის კონცერტმაისტერის მიერ მოცეკვავეთა სავარჯიშოდ შერჩეულ, ერთფეროვან მუსიკას, რკინიგზისა და სხვა უწყებათა კლუბებში გამართულ იაფფასიან კონცერტებს, აკომპანირებას, მუნჯ ფილმისათვის მისადაგებელ მუსიკალურ ილუსტრაციას შეუძლებელი იყო პიანისტი ქალის სამემსრულებლო კულტურაზე თავისი დალი არ დაესვა. რევანმა აშკარად დაინახა ზინას ეს ნაკლი, მაგრამ მის ბინაში იყო და ამიტომ არც მწვადი დასწვა და არც შამფური:

— თქვენ ყველა მონაცემი გაქვთ კარგი პიანისტი დადგეთ, თუ კარგ პროფესორთან იმუშავეთ და შრომასა და ჯაფას არ დაიზარებთ.

— რა იცოდა მაშინ რევანმა, ზინას მამას თავისი პენსია ტრანსპორტში თუთუნსა და არაყში რომ არ ჰყოფნიდა, დედას კი — მკერავ ქალს მრავალწევროვანი ოჯახის შენახვა უჭირდა! ოჯახში მთავარი შემომტანი, დედის მერმე ამჟამად, ზინა იყო. ასეთ ვითარებაში კონსერვატორიის ასპირანტურაზე და დღემდე ათი საათის ვარჯიშობაზე ზინას ფიჭრის უფლებაც კი არა ჰქონდა. იგი ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობდა და მის საწველ ფურად ქცეულიყო. ამის გამო მშობლებს მისი გათხოვება და ოჯახის ბუდიდან გადაფრენა მაინც-დამაინც არ სურდათ, მაგრამ ამას სხვებთან არ ამკლავებდნენ.

ნავაზშემეს ზინამ რევანში ისევ თავის ოთახში შეიყვანა. ისედაც ზანმოკლე დამე საუბარში შეუძმჩნეულად გაიპარა ამჟამად მოწმენდილ ცაში ნათელი ჩამდგარიყო. ბედნიერებით პირთამდე სავსე ზინამ რევანში კიბემდე გააცილა. მოულოდნელად სტუმარიმა ქალს წელზე ხელი მოჰხვია, გვერდზე მოიგდო, უნდა მოგიტაცოო, — უთხრა და კიბე ისე ჩაიბრინა. ასეთი ახალგაზრდული, მოუფიჭრებელი გამოხდომები ძვირად უჯდებოდა რევანს. პირველად მატარებელში, მეორედ კი ლენინგრადში, მი-

სივე ბინის კიბეზე უთხრა რევანმა ზინას, უნდა მოვიტაცო და არ კი უწყობდა, საოხუნჯოდ გამიზნული ის სიტყვები თუ რა ჯადოსნურ შთაბეჭდილებას მოახდენდნენ ქალზე და როგორ ააფორიაქებდნენ მის სულს!

ღილით სამუშაოზე წასასვლელად მორთულ-მოკაზმულმა დედამ, ანეტამ შეიღს საძინებელ ოთახში უთხრა:

— რა ლამაზი, რა მომზიბველი და განათლებული კაცი ყოფილა ის შენი ქართველი მეგობარი რევან ზურაბის ძე! არ გეწყინოს: იგი შენი ტოლი არ არის.

— რათა? — მოუფიქრებლად ჰკითხა შეილმა. მერმე უმაღლე შერცხვა, სისხლი თავში აუვარდა და მან ქალი აღდგომის კვერცხივით შეპლგა.

— იგი ლორდის შეილსა ჰგავს.

— რევან ზურაბის ძე უბრალო ადამიანია, კემპარიტი დემოკრატი და არა ლორდის შეილი. ეგ არ ვაგონო.

— მაინც ვფიქრობ იგი შენი წყვილი, საშენო არ უნდა იყოს.

— რას ჩამაცვიდი დედა, — გაცხარდა ზინა, — ჯერ ერთი: მასზე გათხოვება არ მიფიქრია, მეორეც ისა, რომ ის ქალის თხოვას არ აპირებს. ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ და ასეთად დავრჩებით ბოლომდე.

— ასე აჯობებს, დამიჯერე! ის ქართველი მწერალია. ჩემი ირას მეუღლის გარუსებულ კოტესაებრ ლენინგრაღში არ გაჩერდება. შენ კი შორეულ საქართველოში სამუდამოდ ვერ გადასახლდები, ვერ მოგეწყდები. ვერც შეეგუები იქაურ ზნეს, ადათებსა და ჩვევებს. კარგად დაიხსოვე, რაც ახლა გითხარი და ისე იმოქმედე, თორემ გვიანლა იქნება თითზე კბენანი.

— იქნების გადავსახლდებოდი კიდევ მის სამშობლოში, მაგრამ, როგორც უკვე გითხარი, იგი ქალის თხოვას არ აპირებს და საქართველოში გადასახლებაც გამორიცხულია.

— შენ ისეთი უცნაური ქალი ხარ, არამც თუ საქართველოში, არამედ აფ-

რიკაშიც რომ გადასახლდე, არ გამოვირდება.

— მამ შენი ვყოფილვარს ^{სამშობლოში} — გამაშენს ჰგებნარ. ოცი წლის ქაბუკი ლონდონში დარჩა და სანამ არ დაბერდა, სამშობლოში დაბრუნება ვერ მოიფიქრა.

— მე მამაჩემის ის უცნაურობა, რომანტიკული ბიოგრაფია მომწონს.

— იმ უცნაურობის გამო იყო, იგი აღრე რომ მოტყდა, ჯანი დაჰკარგა და ახლა გატეხილ გობთან აღმოჩნდა.

ანეტამ ოთახში ამაყად გაიარა, სარკესთან გაჩერდა, ცისფერი თვალები ოდნავ მილულა, თავისი თავი თავითფხვამდე შეათვალიერა, ქერა, ზუჭუჭა თმა გაისწორა და ორმოცდაათი წლის ქალს ვარდისფრად შგლებილ ბაგეზე სიამოვნების ღიმილმა გაუთამაშა. ჩაიცვა, სამუშაოზე წასასვლელად მოემზადა, დერეფანში გავიდა და ზინას ისევ რევანში შეუქო:

— ძალიან მომეწონა შენი მეგობარი, ინტელიგენტი, კულტურული, სიმპათიური კაცი! — უთხრა მან თავის ქალს. — ხვალ ვახშამზე ისევ მოიბატონე, თუ დაგთანმდეს, შემატყობინე, უფრო კარგი პურ-მარილით გავუმასპინძლდები.

— ხვალ ირასთან ვიქნებით. ზეგ კი რევანზე, მისი ძმა და ძმის მეგობარი მოსკოვს მიდიან, — მიუტო ზინამ და ერთბაშად მოიწყინა.

სამუშაოზე დედის წასვლის მერმე ზინა თავის ოთახში ჩაიკეტა და იმის გამო, რომ ზეგ რევანზე ლენინგრადიდან მოსკოვს მიემგზავრებოდა, მწარედ აჭვინდნდა. იგი უკვე ძალიან შეეჩვია, დაუშვებოდა, დაუახლოვდა რევანს და მასთან განშორება უმიძიდა.

მეორე დღეს საღამოს ზინამ რევანს გაუარა და იგი თავის დასთან — ირასთან წაიყვანა. ირა და მისი მეუღლე კოტე, ახალგაზრდა ქიმიკოსები იყვნენ და

ერთსადამივე ფაბრიკაში „ქიმიკოსში“ მუშაობდნენ.

ქალაქიდან გასულმა ტრამვაიმ ნეკერჩხლის ახალშენის ხეივანში კარგა ხანს იარა და მერმე ზინა და რევაზი მუშებით დასახლებულ გარეუბანში ჩამოვიდნენ. მუშებით დასახლებული ეს ახალი უბანი სრულიად არა ჰგავდა ძველი პეტერბურგისა და პეტროგრადის გარეუბნებს. სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნილი ლენინგრადი ახლებურად აგებდა მშრომელთა საცხოვრებელს. ფართო ქუჩაზე აიგნებიანი, დიდი და ფართო საკმლიანი, მრავალსართულიანი თეთრი სახლები ჩარაზმულიყვნენ. ამ სახლების კორპუსები და ნეკერჩხლით დამშვენებული ბაღები ქუჩის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მიჰყვებოდნენ. ველარსად ნახვდით ერთი მეორეზე მიჭრილი, მრავალსართულიანი ძველი სახლების ჩაბნელებულ ბინებს. მათი ადგილი ერთ, ორ და სამოთახიან ნათელ, ფართო ბინებს დაეჭირათ. მათ თავთავიანთი სათავსოები ჰქონდათ, საძინებელი ოთახები მზის მხარისაკენ იყო მიქცეული.

ზინამ რევაზი ეზოში შეიყვანა. იგი უამრავ, სტანდარტულ ნაგებობებში ნაცნობ სახლს კოდალივით მიაღდა და ზარი დარეკა. ქალმა კარი გაუღო. სასიამოვნო სახის მქონე, კოხტად ჩაცმული და ახალგაზრდა მოლიმარი ქალი ზინას მომყოლი დაი — ირა იყო. იგი დედას ჰგავდა. შუა ოთახში მისი მუეულე, მალალი, შავგვრემანი, ახალგაზრდა, ლამაზი კაცი იდგა. მიუხედავად იმისა, რომ იგი შავგვრემანი იყო, სახის ნაკვეთებით მაინც რუსსა ჰგავდა.

ირას ბინა ორი ოთახისა და სათავსოებისაგან შესდგებოდა.

სუფრა სასადილო ოთახში გაეშალა ირას. სუფრაზე ძეხვი, თხლად დაჭრილი მოხარშული ხორცი, კარტოფილის პიურე, მაიონეზი და, რაც მთავარია, რევა-

ზის საყვარელი დამუჭუქებული ქაშა სოკო — შამპინიონი ეწყო და არაყითა და ლიმონის წყალით სავსე ბოთლები იდგა. ირამ პირდაპირ სუფრაზე მიიწვია სტუმარი, სტუმარმა არაყს შამპინიონი დააყოლა და მასპინძელს ქართულად ჰკითხა:

— სადაური ნიყარაძე ბრძანდებით?

— ნიყარაძე, — არეულად მიუგო სტუმარს შეკითხვაზე მასპინძელმა და უცნაურად გაუღიმა. სტუმარი გაოცდა. ალბათ ვერ გაიგონაო, გაიფიქრა და ხმა-მალა ჰკითხა:

— მალაკიდან ბრძანდებით?! მალაკი ნიყარაძეების ბუღია.

— ჰო, მაგლაკი, — ისევ არეულად და უცნაური ღიმილით მიუგო მასპინძელმა.

— თქვენ რა! ქართული არ იცით? — აიმრიზა რევაზი.

— კარტული არ შეკერება, — უგონო ბავშვსაებრ მიუგო კოტემ და თვალები ტიკინსავით დაახამხამა.

— რა ღმერთი გაგიწყრა მერმე?! ქართული როგორ არ გვხერხება ქართველ კაცს, ნიყარაძეს, შე კაი კაცო?! — გაპკიცა რევაზმა, სახეზე დაეკერდა, შეეზიზნა და რუსულად უთხრა: — ვადაგვარებული ქართველი დეგენერატის შთაბეჭდილებას ტოვებს ჩემზე და შეზიზნება. ღმერთს უმადლეთ, რომ ჩემი მასპინძელი ხართ, თორემ უფრო მაგრა გაჯკორავდით!

მეტად უხერხული მდგომარეობა შეიქნა. ზინა შემფოთდა, საუბარში ჩაერია და რევაზს უთხრა:

— საქართველო კოტეს არც კი უნახავს!

— როგორ? — გაოცდა რევაზი. კოტემ უთხრა:

— მამა პოლიტიკური დამნაშავე ყოფილა, ციშირიში შეურთავს დედანიემი. მამის გარდაცვალების მერმე დედა შეილებითურთ ციშირიდან პეტროგრადში გადმოსახლდა. მამის კვალს გაჰყვა: აქ აფთიაქში დაიწყო მუშაობა ფარმაცევტად. მამაც აფთიაქის მუშაკი — პროვიზორი იყო. დედა ხანდახან ზა-

ფხულობით ჩაგვიყვანდა ხოლმე ბავშვებს პაპა-დიდედასთან მალლაკში. მათი გარდაცვალების მერმე კი აგერ უკვე ოცი წელი იქნება, რაც საქართველოში არა ვყოფილვართ და რა გასაკვირია, ქართული რომ არ ვიცოდეთ!

— ეგ ყოველივე არ ვიცოდი. მამაკითხეთ, თუ მკაცრი ვიყავ. — უკან დაიხია რევანში. — ერთი რამ მიინც უნდა ვიტხრათ. აჲ, ლენინგრადში წესიერი, დარბაისელი ქართველები: კირილე ჩაჩანიძე და აკაკი სანაძე ცხოვრობენ. გავაცნობთ. დაუკავშირდით მათ და მათ ოჯახებს. ისინი გასწავლიან ქართულს. ამავე დროს მეუღლითურთ ხანდახან საქართველოში ჩაბრძანდით. მასპინძლობას ვაგიწევთ. ინახულეთ ქუთაისის მახლობლად მდებარე თქვენი მამის მშობლიური ლამაზი სოფელი მალლაკი. ნუ დაჰკარგავთ მამა-პაპის ადგილ-სამყორფელს, ძირის სალოცავს, მშობლიურ კერას, ნუ დაივიწყებთ დედა ენას, წინაპართა ზნესა და ადათს. ჩვენ ისტორიის მიერ ნაწამები, მცირერიცხოვანი ერი ვართ. ირგვლივ მუსულმანური სამყაროს ზღვა გვერტყა. თურქთა, ირანელთა, არაბთა და მონგოლთა განუწყვეტელმა თავდასხმებმა, ომმა და ქლევტამ კინალამ არ წაგვრცხა და აღგვავა პირისაგან მიწისა. ქრისტეს ჯვრის დაცვას შევეწირეთ. თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, თუ რისთვის განვიცდით ასე მწვავედ თვითელი ქართველის დაკარგვას. სწორედ ამით იყო გამოწვეული წელან თქვენდამი ჩემი განაწყენება. მე ხომ თქვენი ბიოგრაფია არ ვიცოდი?! მამაკითხეთ.

ამის მერმე ინციდენტი ამოიწურა. რევანში სუფრაზე ვაიგო, რომ კოტეს დაი თამარი თბილისში პროვიზორზე გოგი ლორთქიფანიძეზე ვათხოვილიყო. რევანში კარგად იცნობდა გოგის და მის მეუღლეს თამარსაც. ამიტომ კოტე შეეხვეწა ისინი თბილისში უთუოდ ენახა. რევანში შეჰპირდა. სტუმარს მასპინძლის არაყი მოეწონა, გადაჰკრა, ზედ თავისი საყვარელი შამპინიონი ისევ დააყოლა,

კარგ გუნებაზე დადგა, მასპინძლებს მიუბრუნდა და უმღერა: В последний нонешний денек гуляю с Вами я, друзья!..¹

ზინა გაფითრდა, თავი ჩაჰკიდა და რევანის სიტყვები მოაგონდა: „ხვალ საღამოს მოსკოვს მივემგზავრებით. დილიდანვე ქალაქში უნდა ვირბინო, წიგნები უნდა გავგზავნო რკინიგზით თბილისში. მერმე მე, კოტე და არკადი ზოგ რამეს ვიყიდით, ბარგს ჩავალაგებთ, შეკრავთ, გუდანაბაღს ავიცილებთ და ჰაილა“. — ეს მოაგონდა ზინას და გულისტკენით გაიფიქრა: როგორ ადვილად, არხენიდა და ჰაიპარად თქვა რევანში „ჰაილა“. ალბათ არ უფიქრია, მისი წასვლის მერმე ლენინგრადში გულდაკოდილი რომ უნდა დავრჩეთ!“ ზინამ თავი ასწია, რევანს შეხედა, გული ეტკინა და მაშინვე სადგური წარმოუდგა. ზარმაც საბედისწეროდ დარეკა, თითქო და იმ წუთას მის გულში შობილი სიმღერა აეკვიტა და აღარ მოეშვა: „განმორებისა საათმა დაჰკრა“. არაყით შეზარხოსმებული რევანში და კოტე კი ისევ გაცხოველებული საუბრობდნენ. ვახშმის დამთავრებისას ისინი უკვე მეგობრებად დაშორდნენ ერთმანეთს.

რევანში ზინა სახლამდე მიაცილა და მხოლოდ განთიადისას მივიდა შინ.

• • •

გახუნებულ ლივრეში გამოწყობილმა აყლავუდა მოხუცმა, უსუპოვის სასახლის ყოფილმა მეკარემ ვასილამ საღამო ჟამს დანჯღრეული ვეება მანქანა დაიქირა ქალაქში და იგი უსუპოვის ყოფილი სასახლის სადარბაზო კარებთან დააყენა. მან და დამლაგებელმა ქალმა ფენიამ შიგ ქართველი სტუმრების ბარგი შეაწყვეს. სტუმრები მანქანაში ჩასხდნენ. შოფერმა გაზი მისცა, ჟამინდელი ძრავა ძლივს აამუშავა, ციებ-ცხელება შეყრილივით აცახცახებული მანქანა ადგილიდან ძლივსძლი-

¹ ამ უკანასკნელ დღეიანდელ დღეს ვატარებ თქვენთან მე, მეგობრებო!

ვობით დასძრა, სადგურისაკენ მიუშვა და მთელი მოიკა ბოლოში გაახვია.

ოქტომბრის სადგურის დეზარკადერზე მოსკოვის მატარებელი ჩამოდგა. მგზავრებმა მზიდველებს ბარგი სადგურის დარბაზიდან ზაქანზე გაატანინეს და ვაგონში დააწყობინეს. მგზავრები თავთავიანთ კუპეში მოთავსდნენ, დალაგდნენ, დამშვიდდნენ და სული მოითქვეს. მერმე კი რევანს მიბაძეს, ვიგონიდან ჩამოვიდნენ და მათაც მატარებლის წინ სეირნობა დაიწყეს. რევანსი სწუხდა, კოტე და არკადი მოსკოვის მატარებლის გასვლამდე ორი საათით ადრე სადგურზე რომ მოვიდნენ და ზინას მოიკაზე არ დაუცადეს.

ზინა ქარიშხალივით შეიჭრა უსუბოვის ყოფილ სასახლეში და ქართველები იქ რომ არ დაუხვდა, ცეცხლი შემოენთო და ოთახში მოფუსფუსე დამლაგებელი ქალი ფენია სრულიად უმიზეზოდ დაშუბა.

— თქვენი შევარდენი ახლა ალბათ მოსკოვისაკენ მიფრინავს. გაფრენის წინ აი ეს მცირე უსტარი დავიტოვათ, — დასცინა ფენიამ ზინას, ეშმაკურად გაუღიმა, წინსაფრის ჯიბიდან დავკმუჭნილი, ფარატინა ქაღალდი ამოიღო და ხელში შეაჩეჩა. რევანსი მოკლედ სწერდა: „ბებრები შინ ვერ გავაჩერე. მატარებლის გასვლამდე ორი საათით ადრე სადგურისაკენ გაჰკურცხლეს. იქ გელოდებით. რევანს კეზერელი“.

ზინა ქალაქში გაიჭრა და სადგურისაკენ მიმავალ ტრამვაიში ვიფივით შევარდა. ზინას მოეჩვენა, თითქოს ამდენხანს სადგურამდე ტრამვაის არასოდეს არ უელოია. ტრამვაი დასაცდლებზე მართლაც დიდხანს ჩერდებოდა და მერმე ნელა და გულისგამწყვალებლად მირახრაახებდა. ზინა ღელავდა. აღლევდა რკინიგზის სადგურზე რევანსაც დაეტყო. მაგრამ მალე დეზარკადერზე ჩქარი ნაბიჯით მომავალი, ყანასაებრ აყანკული ზინა დაინახა და დამშვიდდა. ამოდ, გაფთვრებული ზინა ქართველ მგზავრებთან სახელაწიფლი მიიჭრა და შეუტია:

— რას მიშვებით, რა დღეში მაგდებთ, თქვენ კაი კაცებო! სინდისიც კარგი საქონელია!

— რა მოხდა? — ჰკითხა გოცებულმა კოტემ.

— რატომ გამომეპარეთ სადგურში? ეს არაადამიანური საქციელია, — მიუგო სისხლივით გაწითლებულმა ზინამ.

— ვერ გამიგია თქვენი ასეთი აღლევებისა და საყვედურის მიზეზი, — შენიშნა კოტემ და, გაკვირვების ნიშნად, მხრები აიჩეჩა.

— დამშვიდდით, არაფერი ისეთი არ მომხდარა, — უთხრა კოტესა და არკადის წინაშე დარცხვენილმა, იხტიბარგატებილმა რევანსმა აღლევებულსა და წინასწორობადაკარგულ ქალს.

— განა საწყენი არ იყო უჩემოდ სადგურში გამოქცევა, — იძახდა ზინა, — მე ვეცი მოიკაზე თქვენს ბინას, თქვენ კი შინ არ დამხვდით, მაშინ როდესაც წინა დღით ვაგაფრთხილეთ, სადგურზე უჩემოდ არ წასულიყავით. რისთვის აჩქარათი ამრიგად? სადგურზე ხომ ორი საათი მოგიხდათ ცდა! — მერმე ზინა რევანსს მიუბრუნდა და უთხრა: — კიდევ ერთხელ და, ზედმეტად ჩამაყენეთ უხერხულ მდგომარეობაში. იმ რეგენი და ტუტუცი დედაკაცის, იმ ფეფელას წინაშე, რომელმაც დამცინა და თქვენი ერთი ციციქნა უგულო ბართი გადმომცია.

— „ფეფელა“ რაა? — სკანდალის თავიდან ამორების მიზნით მშვიდად და გაღიმებით ჰკითხა რევანსმა ზინას. რევანსის ხერხმა გასჭრა.

— „ფეფელა“ უწინაო რეგენი, სოფლის უბრალო დედაკაცია, — განუმარტა ზინამ და უნებურად მასაც გაღიმა, დამშვიდდა, მაგრამ ვვიანლა იყო: კოტესა და არკადის არ მოეწონათ მისი უხეში კილო, საყვედური, უსაფუძვლო პრეტენზია. ცხვირი აიბზუეს, ქალს ზურგი შეაქციეს, განშორდნენ და ბაქანზე ცალკე სეირნობა დაიწყეს. რევანსს შერცხვა, დაიბნა, თითებგადანასკვული ხელები კეფაზე შემოიწყყო, ზინას თვალი მოაჩრია და სადღაც შორს

უხილავი მხარისაჲცნ ნაღვლიანად გაიხედა.

„აღბათ ჩემს წინაშე ჩადენილი თავისი დანაშაულის გამო იტანჯება?“ — გაიფიქრა ზინამ. შეეცოდა და ახლა მისი მოფერება მოუნდა. მივიდა, წელზე ხელი მოჰხვია და როცა ვაჟკაცის მაღალ მკერდზე თავის მიღება და მიაღერებდა დააბირა, რევახი შეერთა, სანტიმენტალურად განწყობილ ქალს მაჯებში ხელი ჩასჭიდა, შეაყენა და ახლოს არ გაიკარა. ზინა მაშინვე გველნაკებნივით მოეშვა და გოაცებით შეხედა. მიჯნურობის ცეცხლში გახვეულ ქალს რეზომ ცივი წყალი გადაასხა. თავმოყვარე ქალმა საშინელი შეფრატყოფა იგრძნო, მუხლი მოეკვეთა და ვაგონის კიბესთან კინდამ არ ჩაიკეცა. თითქო გულში დანა ჩასცესო, როდესაც გონს მოეგო, უმალვე რევახს მიაშტერდა. რევახი ისევ შემოთებული იდგა დებარკადერზე, ისევ თითებგადანასკველი ხელები შემოეწყო თავზე და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. და მიხვდა ზინა, მათ შორის რაღაც მოულოდნელი და საშინელი რომ მოხდა. ასე იდგა დაღუბებული კარგა ხანს. მერმე პერონზე ზარის უსიამო და ცივი ხმა გაისმა. ზინა შეერთა, დაბარბაცდა და ვაგონს მიაწყდა. კოტე და არკადი მივიდნენ, ნამალადევად გაუღიმეს, ლენინგრადში მათდამი მისი მასპინძლობისა, გულისხმიერებისა და მეგზურობისათვის მადლობა მოახსენეს, საქართველოში ცალყბად მიიპატიეს, დაემშვიდობნენ და ვაგონში შევიდნენ. ზინა ბრძანების კილოთი ეუბნებოდა რევახს.

— შიკოთხეთ ზეგ ან მანუგ ჩემს წერილს მოსკოვის მთავარ ფორტამტში და მაშინვე მიპასუხეთ. შემატყობინეთ თქვენი მოსკოვეური მისამართი. იქნებ ერთი დღით ჩამოვიდე კიდევ... უნდა გინახულათ და პასუხი მოგთხოვით.

— რა პასუხი? — გაუკვირდა რევახს.
— რისთვის შეგრცხვით და ითაკილეთ, როდესაც მოგხვებით? — ჰკითხა ზინამ.

— აჲ, ხალხის წინაშე ხვეენა-კოცნა

უხერხულია, — წაილულულა რევახმა.

— უხერხული იყო თქვენი საქციელი, მეგობარი, მახლობელი მეგობარი, ზღვავებული გრძნობის უკუგდება, დაცივნა, ქალთან ჰიღობა და მისი დამცირება, — მკაცრად შენიშნა ზინამ.

რევახმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო: სადგურზე ზარს ახლა ორჯერ შემოჰკრეს.

— განშორების საათმა დაჰკრა. მშვიდობით ზინაც. ნუ მეჩხუბებით. მე ხალხის თვალწინ ხვეენა-კოცნას ჩვეული არა ვარ. მე უბრალო ვარ, — წამოიძახა რევახმა. ზინას ხელი გაუწოდა და თვალებში სასოვებით ჩაჰხვდა. ქალს მოეჩვენა, თითქოს ის სიტყვები უცნაურად, ნაღვლიანად გაიმღერაო რევახმა. ზინა გადნა და ძველი სიმკაცრისა და გოროზობის ნატამალიც აღარ შერჩა:

— მშვიდობით კი არა, ნახვამდის, — გაუსწორა მან რევახს, ხელი ჩამოართვა, მერმე ფეხის წვერებზე შედგა, მოეხვია და აეკოცა.

ზინა მანამდე იდგა ბაქანზე, სანამ მატარებელი და მასთან ერთად სარკმელში თავგამოყოფილი რევახიც თვალს არ მიეფარა.

„წავიდა ჩემი უცნაური სტუმარი. გაფრინდა ჩემი ამაყი შევარდენი“, — გაიფიქრა ზინამ, საშინელი სიცალიერე, მარტოობა იგრძნო და უკაცრიელ დებარკადერზე უმწეოდ აქვითინდა.

აი რა სცოდნია სიყვარულს! ეს არასოდეს არ დაჰპართნია „ქალბიჯის“, იუნგმეტურმერს...

ნაწილი მეთხუთსი

1

მეორე დღეს შუადღისას მატარებელი მოსკოვს ჩავიდა. ლენინგრადის მერმე მოსკოვი რევახს დიდ სოფლად მოეჩვენა, ისე როგორც ოდესღაც ქუთაისი თბილისის მერმე. ასეთი სხვაობა იყო მაშინ ქალაქებს შორის. ლენინგრადი დიდხანს იყო რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქი, თბილისი კი კავკასიის ადმინისტრატული ცენტრი. კოტე, არკადი და რევახი მეცნიერთა სახლში მი-

ვიდნენ. ერთსართულიანი ეს გრძელი სახლი კროპოტკინის ქუჩაზე, ყირიმის ზიდის მახლობლად იყო გაშენებული და უსუბოვის ყოფილ სასახლესთან შედარებით პროვინციული ქალაქის ყაზარმას ჰგავდა. ამ სახლის ეზო აფურის მაღალი დობით იყო შემოზღუდული. მობინადრენი სახლსა და ეზოში რკინის მაღალი ჭიშკარით შედიოდნენ. სახლის ფსადის პაწია სარკმლები მდინარეს „მოსკვა-რეკას“ გადაჰყურებდნენ. მდინარის პირას პატარა ეზოებიანი თეთრი ქობმახები იყო ჩარახმული. მდინარესაკენ მიქცეული ქუჩის ერთი მხარე სოფელსა ჰგავდა, მეორე კი — ნამდვილ ქალაქს. მოსკოვში ქალაქი ჭერ კიდევ ებრძოდა სოფელს.

განათლების მუშაკთა და მეცნიერთა სახლს უფარგისი, საერთო სათავსოები ჰქონდა, რის გამო ლენინგრადში უსუბოვის ყოფილი სასახლის კომფორტს შეჩვეული კორე, არკადი და რევაზი სასტუმრო „გრანდ-პოტელში“ გადაბარებულს აპირებდნენ.

მოსკოვში ჩასვლის მესამე დღეს რევაზმა დილით სახელმწიფო გამომცემლობაში შეიარა, აქ რევაზს მისი მოთხოვნების წიგნზე გამომცემლობის მუშაკის ჩინებული რეცენზია წააკითხეს, ხელშეკრულება გაუფორმეს და ჰონორარიც გამოუწერეს, ამ სასიამოვნო მოვლენას, მეორე სასიამოვნო შემთხვევა მიემატა: სასტუმრო „მეტროპოლის“ გვერდით, ჩინური კედლის ერთერთ კარებთან მიშენებული „ივერიის ღვთისმშობლის“ სამლოცველოს წინ რევაზს სკოლის დროინდელი თავისი მეგობარი, ახოვანი, ცისფერთვალა და დიდებული მგოსანი გიორგი ლეონიძე შეეყარა. გიორგი ჩინური კედლის გასწვრივ ბუკინისტების მიერ გამოფენილ წიგნებს ათვალიერებდა, შეძენილი წიგნებით დიდი პორტფელი გაებუშტა. გიორგი წიგნის გიყი იყო. იგი საბა-სულხან-ორბელიანზე შემორჩენილი ბიოგრაფიული მასალის შესაკრებად, დასაზუსტებლად და შესაჯერებლად ჩამოსულიყო მოსკოვს. ამ მიზნით ქართველი ემიგრანტების

მიერ გაშენებული ტაძარი „ვისესვიტსკი“, ბაგრატიონთა, საბა-სულხან-ორბელიანისა და სხვა ქართველ დიდებულთა ძეგლშესადაგი, აქაური არქივი წიგნთსაცავი მომლოცველივით მოეარსა და ზოგი რამ საყურადღებო მასალაც აღმოეჩინა. როგორც ისტორიული ბედუქულმართობით იაგარქმნილი და გაპარტახებული მცირე ერის ყოველი ღირსეული შვილი, ლეონიძეც საქართველოს წარსულ დიდებას მისტიროდა, მაგრამ ამავე დროს ახალ საქართველოს მომავლის იმედით შესცქეროდა, მას ლაღად, ომახიანი ხმით უმღეროდა და მისი ახალი ცხოვრების ფერხულში ებმებოდა. ასეთივე იყო რევაზ გარსევანიძეც (ცვეხერელი). მათ ბევრი რამ ჰქონდათ სასაუბრო. იმ დროისათვის ლეონიძე უკვე სახელმწიფო მგოსანი იყო. მის პოეზიას იცნობდნენ საქართველოს გარეთაც, რუსეთში, დიდებული რუსი პოეტების ტიხონოვისა და პასტერნაკის თარგმნის წყალობით, იგი გოროზი, ზვიადი ეგონა ზოგს, ნამდვილად კი თავისი შემოქმედების მიმართ კრიტიკულად განწყობილი, სათნო, გულთბილი, ლირიკული ბუჭების მქონე სამეგობრო კაცი იყო. საშობლო და დედა მას იმთავითვე გაგიყებით უყვარდა და მართლაც გულზე ხატივით ესვენა. დედა, დიდი ხანი არ იყო. რაც შუაყურის ანთებითა და დაჩირქებით გარდაეცალა და ამიტომ სკოლის მეგობრის რევაზის დედის მძიმე ავადმყოფობამ დააღონა. ისინი ისე გაერთვნენ საუბრით, რომ გორკის ქუჩაზე მთავარი პოჩტამტის წინ შეუშინევლად აღმოჩნდნენ. აქ ზინას დაზღვეული წერილი დაუხვდა რევაზს. წერილი რვა გვერდზე იყო გადაქიმილი და, თუმცა გიორგი და რევაზი სკოლის მეგობრები იყვნენ, ერთმანეთს „თბილისელ ბიჭებს“ ეძახდნენ, გიორგის თანდასწრებით ლენინგრადელი ქალის წერილის წაკითხვა რევაზმა მინც უხერხულად მიიჩნია. მათ გადასწყვიტეს საღამოს შეხვედროდნენ ერთმანეთს. ლეონიძე „ლიტ-გაზეთის“

რედაქციისაკენ ვივარდნი, რევაზი კი ტრამეიაში ჩაქდა და შინ გასწია.

რევაზი ყირიმის ხილთან ჩამოვიდა. იგი კროპოტკინის ქუჩაზე „მცენიერთა სახლის“ ოთახში შევიდა, სარკმელი გამოაღო და სანაპირო ქუჩას გაჰხედა. აქ, სარკმელთან უყვარდა მას ჯდომა, მუშაობა და მდინარე მოსკვა-რეკას სანაპიროს ცქერა. მაგრამ ახლა ამის თავი არა ჰქონდა. პაკეტიდან ზინას წერილი ამოიღო და მისი კითხვა დაიწყო. ზინა სწერდა:

„ძვირფასო რევაზ! ეს ეს არის გავიღვიძე და მაშინვე წერილის წერას შევუდექი. გუშინ, თქვენი გამგზავრების მერმე, მთელი ღამე ვტიროდი. განა არ იცით რისთვის? მაგონდებოდა სადგურზე ჩვენი უცნაური განშორება. თქვენ იღვექით მოწყენილი ვაგონის წინ დებარკადერზე. თავზე თითებგადანასკვეული ხელები შემოგეწყოთ და შემფოთებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდით. განშორების ქამი ახლოვდებოდა. ვერ მოვიტიმინე და გადავწყვიტე მოგხვეოდით. მაგრამ თქვენ ეს არ ინებეთ, შეკრთით, ხელები დამიჭირეთ და მოხდა რალაც საშინელი, გამოუსწორებელი. განა მამაკაცისათვის საამაყო არ არის, როდესაც ქალს თავდავიწყებით უყვარს იგი და თავისი სიყვარულის გამქლავებისა არა რცხვენია და არც არავის ერიდება? სხვა მამაკაცი ასეთ რამეს უთუოდ შეიშურებდა, თქვენ კი შეგრცხვით თქვენიანებისა და თქვენთვისა და ჩემთვისაც უტნობი, გარეშე პირებისა. ჩანს ჩემდამი ისეთი დიდი გრძნობა არ გქონიათ, როგორსაც ველოდი. აი ეს მიღრღნიდა გუშინ და მიღრღნის დღესაც სულსა და გულს. გუშინ მთელი ღამე სიზმარში გხედავდით და გევახილე თუ არა თვალი, მაშინვე ისევ თქვენზე თქირი დავიწყე. ცოცხლად გხედავდით, თითქოს ოთახში იღვექით და ვსაუზმობდით. ო, რევაზ, რევაზ, რისთვის ჩამოდით თქვენ ჩვენს ქალაქში და თუ ჩამოხვედით, რისთვის შემწყვარეთ თავი და რისთვის დამტოვეთ მარტო, ვამარცხ. „მნათობი“, № 12.

ეული, სასოწარკვეთილი! მე წამოყვებოდით ყველგან, სადაც კი მოსურვებდით, თქვენი გულუბრყობის კლდესა და ღრეში გადავიჩეხებოდი, ცეცხლში გადავეშვებოდი და, იცით, უნგაროდ, სრულიად დაუფიქრებლად. გუშინ სადგურზე განშორების მერმე მთელი ვზა ვტიროდი. ქუჩებში შუაღამემდე განზრახ დავეხეტებოდი, რათა ჩვენები დამინებული დამხვედროდნენ და მათ ნამტირალევი არ ვენახე. დღეს გადავწყვიტე ერთი დღით მაინც მოსკოვს ჩამოვიდე და გინახულოთ. მაგრამ ამ წერილის მერმე მგონი ეს საჭირო აღარ არის. შემატყობინეთ თქვენი მისამართი: სად ვაჩერდით? ვზივარ, საათს დავცქერი და ვფიქრობ: აი ახლა ის მოსკოვს უახლოვდება, ახლა უკვე მოსკოვშია, მანქანა დაიჭირა, სასტუმროში მივიდა, აქ ჩემი წარმოდგენა თავდება. მამატიეთ ეს სევდიანი და მოსაწყენი წერილი. შემდეგი წერილები უფრო მხიარული იქნებიან. არ დამივიწყოთ, ძვირფასო! მე მხოლოდ თქვენი წერილებით ვიცოცხლებ. ვიცხოვრებ მხოლოდ იმ იმედით, რომ აღრე თუ გვიან ისევ გიხილავთ. უთქვენობა გამაგიყებს.

ო, რევაზ, რევაზ, რისთვის შეგრცხვით თქვენ მაშინ, როდესაც დავაპირე თქვენ მოგხვევოდით? არ შემძლია ეს ვაპატიო ჩემს თავს. ვერ ვიანგარიშე, რომ თქვენ შეგეძლოთ იმ წუთას განზე განდგომა და განრიდება. სულელმა გრძნობა ვერ დავიოვე, ვერ მოვზომე და გამოვიდა რალაც საშინელი, უშნო, მახინჯი, ცუდი და ჩემთვის დამამცირებელი. ამას მგონი ველარაფერი ველარ უშველის და გამოასწორებს ჩვენი განშორების იმ უკანასკნელ წუთებში არც ერთი თქვენი მოძრაობა, ქცევა, გამომეტყველება, თავის დაქერა, გამოხედვა არ გამომპარვია. ყველაფერი თვალნათლივ დავინახე და შევამჩნიე. სჯობდა კი არ დამენახა და არ შემემჩნია. ახლა არა დირს ამაზე ამდენი ლაპარაკი, თავის მტვრევა და თქვენი შეწუხება. მე თავად აღმოვ-

ჩნდი უფრო სულელი, ვიდრე მეგონა. თავად ვარ დამნაშავე და თქვენ რას გერჩით? სხვანირად უნდა დამეპირათავე. მე კი ჩვიდმეტი წლის გოგონასავით აემჩატდი, გრძნობამ აღმიტაცა, ჭკუაგონება წამართვა.

ნახვამდის. მომწერეთ პასუხი. გისურვებთ ყოველივე კარგს! არც კი ვიცი, როგორი დიდი ბედნიერება გისურვებთ!

ვზივარ და ჩემს თავზე მეცინება. თანაც ვრჩეობ: ქალად გაჩენა მართლაც უბედურება ყოფილა. ქალი, მამაკაცთან შედარებით, მუდამ დაჩაგრული, საცოდავი, უმწეო იყო, არის და, ეტყობა, ასეთი დაჩრება კარგა ხანს. ამიერიდან შევეცდები ისეთივე ქალბიჭა ვაგზდე, როგორც თქვენთან შეხვედრამდე ვიყავი. აკი ვამაყობდი კიდევ, დედაკაცი არა ვარ მეთქი. ახლა კი, ინებეთ... ზინა პაპოვა. 10. VIII-1932 წელი“.

ამ წერილმა რევას თავზარი დასცა, თავგზა აღუნია და დაალონა კიდევ:

„ამრიგად თუ იყო ზინა ჩემზე შეყვარებული და ამდენ პრეტენზიას და ბრალდებას წამომიყენებდა, სწორედ არ მეგონა, — ფიქრობდა რევაში.

— მიუხედავად იმისა, რომ კოტეს, არკადისა და სხვათა თვალწინ ლენინგრადის სადგურზე ხვევან-კოცნის უფლება არ მივეცი ზინას და იქვე ავუხსენი ამის მიზეზი, იგი მაინც მანიაკივით აცივდება იმ ფაქტს და დაასვენის: ჩანს ჩემდამი ისეთი დიდი გრძნობა არა გქონიათ, როგორსაც ველოდიო. ხათბალა თუ გინდათ, სწორედ ეგ არის! კაცმა რომ სიმართლე თქვას, რა ისეთი დიდი სულიერი და ფიზიკური სიღამაზე გააჩნია შეუხედავ, უბრალო პიანისტ ქალს ზინას, რომ მის მიმართ დიდი გრძნობა, სიყვარული დამბადებოდა! არა ერთხელ მითქვამს მისთვის, რომ მარინეს მერმე ქალისადმი დიდი გრძნობა და სიყვარული აღარ დამებადება! მიუხედავად ამისა, იგი ბრალდებას მიყენებს და მისაყვედურებს: რისთვის ჩამოდით თქვენ ჩვენს ქალაქში, თავი შემაყვარეთ და მერმე დამტოვეთ

მართო, გაძარცვული და სასოწარკვეთილიო! რა ბრალსა მდებხს? მე ვთქმის არ ჩავცივებდვარ, მისთვის სხვებზე უფრო არ ამიხსნია, მასთან არ მიცხოვრია, შერთვას არ შევპირებდვარ! მხოლოდ მეგობრობა შევთავაზე, ნუთუ მამაკაცისა და დედაკაცის მეგობრობა შეუძლებელია? ნუთუ უთუოდ ვგარი უნდა დაიწერონ?! ნუთუ ზინას იმრიგად მოვეწონე, ისე თავდავიწყებით შეეუყვარდი, რომ „ქალბიჭი“ მანამდე მიძინებულმა ქალმა მთელის ძალით გაიღვიძა!? ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის? მაგრამ მიჯნურობის აღში გახვეული ქალის შიტოვება კი ჩემი დანაშაული იქნებოდა. ვაი უშველებელს! რამ შეაყვარა ჩემისთანა გზაბნეული, არა საცოლშვილო, ბედუქუდმართი და ჯიბეგაცვეთილი კაცი? განა რომანისათვის მცხელა ახლა? დედის გარდაცვალებას დღე-დღე ველი! — ასე ფიქრობდა რევაში და არ უწყოდა, რომ კარგა ხანი გასულიყო უკვე, რაც ზინა მის სულს ეზიარა, მისი პიროვნებით მოიხიბლა და ახლა მასთან ყოფნა სურდა, სულერთია ვის როლშიც არ უნდა ყოფილიყო იგი — მეგობრობა, მეუღლისა, თუ ხასისა. „ეტაე როგორ დავუცქრო ზინას ჩემდამი გიყური ლტოლვა და სიყვარული? როგორ დავაღწიო თავი მოჯადოებულ წრეს? იქნებ ქარიშხალმა უცნებლად გადაიაროს? აკი მწერს: „შევეცდები ისეთივე ქალბიჭა ვაგზდე, როგორც თქვენთან შეხვედრამდე ვიყავი,“ — თავს ინუგეშებდა რევაში და ზინას წერილზე პასუხის გაცემას აგვიანებდა. მეორე წერილმა მეტი იმედი ჩაუსახა, უფრო მეტად დააჯერა, რომ მისადმი ზინას განუზომელი სიყვარული ნელინელ დაცხრებოდა. ზინა პირველი სიყვარულის სახადს წითელასავით მოინდიდა, განიკურნებოდა და ქალის წინაშე რევასს დანაშაულიც აღარ ექნებოდა.

* * *

მესამე წერილი იმდენად საიმედო არ იყო. ზინა რევასს სწერდა:

„რა მოხდა, რა მოგივიდათ? მესამე ბარათს ვიგზავნიო, მეტსაც გამოვიგზავნიო, მაგრამ თქვენს პასუხს ვერ ვეღვირსე... უკანასკნელად გწერთ. თუ არ გამომეხმიანეთ, მეტს აღარ მოგწერთ არ ვიცირა ვიფიქრო! სწორად უთქვამთ: „თვალი თვალსა მოშორდების, გული გადასხვაფერდების“. სხვანაირად ვერ ამიხსნია თქვენი ღუმელი. იქნებ დედის შესახებ ცნობა მიიღეთ და საქართველოში გასწიეთ. თუ ასეთი რამ მოხდა, რად არ შემატყობინეთ? განა თქვენი მეგობარი არა ვარ? იქნებ თავს გაბეზრებთ! თუ ეს ასეა და თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ გაათაოთ ჩემთან გაქიანურებული ჩხირკედელაობა მაშინ პირდაპირ მომწერეთ და მე შევეცდები დაგივიწყეთ. საქმეს მოვიღებ ხელს. საქმე კი ბევრია. დაჯერიანებული ადამიანისათვის საქმე ყველაზე უკეთესი მკურნალია. თქვენი დავიწყება, რა თქმა უნდა, გამიჭირდება. იგი დიდ ტკივილს მომაყენებს, მაგრამ სხვა გზა არ არის. ყოველ შემთხვევაში ლამაზი მოგონება მაინც დამჩნება!.. თუ რაიმე გაწყენინეთ, თავი მოგაბეზრეთ ან წინდაუხედავად გექცეოდით, მპატიეთ, „ავად ნუ მომიგონებთ“ არა, ძვირფასო, არა ვარ მართალი... არ შემიძლია თქვენი დავიწყება... შემატყობინეთ, რა მიზეზის გამო სწყვეტთ ჩემთან კავშირს!? ო, როგორ მინდა ყველაფერი ჩვენს შორის იყოს წმინდა, ლამაზი, დაუფარავი, რომ არავითარი ხინჯი არ დაგჩნდეთ გულში ჩემს მიმართ... იცოდეთ, მე თქვენს წინაშე უბრალო ვარ! ჩემი დანაშაული ის არის რომ უზომოდ, გაგიყვებით მიყვარხართ. ხოლო ადამიანი თუ ძლიერ ვიყვარს, მას ყველაფერს აპატიებ... იქნებ საპატიებელიც არაფერი გქონდეთ, არ ვიცო! მე თქვენს წინაშე შეურაცხყოფის გრძნობა, თამოყვარეობა, წყენის უნარიც კი დავკარგე. მაგრამ ამასაც ხომ საზღვარი აქვს!

სანამ თქვენს პასუხს არ მივიღებ,

მანამდე მეტს აღარ მოგწერთ. ძლიერ მომეწყინა უთქვენოდ... ალარაფერი აღარ მახარებს. ნახვა არა მსურს. ცხოვრებაში ახლა ჩემს მიღმა მივიდინება. ღმერთო ჩემო, რა სასტიკი რამ ყოფილა საყვარელ ადამიანთან განშორება! კედელზე თქვენ მიერ ნატუქარი რკინის შავი ხოჭო ჰკიდია. იგი ზამბარაზე ქანაობს, კანკალებს, თრთის. ცივი თვალებით მომშტერება, თითქო დაცინვით მეუბნება: აი ყოველივე ეს, რაც შენი დიდი სიყვარულისაგან დაგჩაო! გესმით ეს საშინელება? ნუთუ ეს მართალია? თუ თქვენ მამაკაცი, ნამდვილი ვაჟაკი ხართ. სიმართლე უნდა მომწეროთ, რაგინდ მწარეც არ უნდა იყოს იგი. ზინა პაპოვა. 14/VIII — 1932 წ.“

რევანმა მეორედ გადაიკითხა წერილი და სიმართლის მიწერა განიზრახა, რათა ზინა ჩვენი ეპოქისათვის შეუფერებელი, ძველი მიჯნურობისაგან, როგორც ბავშვი საყმაწვილო სენისაგან ისე განეკურნა. ასეც მოიქცა, მაგრამ პიანისტ ქალს პირველი სიყვარულის ცეცხლი მოსდებოდა და მისთვის იმ „საყმაწვილო სენის“ მოხდა ადვილი საქმე როდი იყო. ზინა რევანს მეტად უცნაურ, უჩვეულო პირობებში შეეყარა და პირველი შეხვედრისთანავე მოეწონა იგი. ვაკონში, მოსკოვსა და ლენინგრადში გატარებული დღეები სავსებით საკმარისი აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ ზინა რევანის მდიდარ პოეტურ ბუნებას მოეჯადოებინა. ზინამ, როგორც ეს ქალს პირველი სიყვარულის დროს სჩვევია, რევანში მამაკაცის ყველა მაღალი ღირსებისა და იდეალის განსახიერება დაინახა და ფანტიკურად შეიყვარა იგი. მაგრამ ისინი თავიანთი ხასიათით, სულიერი წყობით, ზინთა და ადათ-ჩვეულებით დამეტრალურად საწინააღმდეგო პოლუსს ეკუთვნოდნენ. რევანში მძაფრი დრამატიზმით, უდიდესი ტრაგედიით სავსე, ოდესღაც ძლიერი და დიდებით

მოსილი, მერმე კი დაცემული, მონობაში დიდხანს მყოფი, პატარა ერის შვილი გახლდათ. იგი ისტორიის შევბედილობით გამოცდილი, გამობრძმედილი, ავისა და კარგის მცოდნე, ბრძენი, მაგრამ გულდამწვარი, გულდახურული, ყველაფერში შეეჭვებული და ამიტომ გზააზნეული და ნებაწართმეული ხალხის შვილი იყო, მსგავსად ებრაელისა, ბერძენისა, ირანელისა და სომეხისა. მას პატარა ერის შვილობა წყვეად და გოლგოთად მიაჩნდა. ასე იყო რევანი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე. მერმე კი, როდესაც შშრომელ ხალხთან ერთად პატარა ერებმაც თავისუფლება მოიპოვეს, ახალი ცხოვრების დამყარებას რევანიც აღფრთოვანებული შეეგება და მისი გულის მღრღნელი სასოწარკვეთილება და ეროვნული გოდება ნელინელ გადნა. სულ სხვა ჯურის ადამიანი იყო ზინა. მისთვის უცნობი იყო ეროვნული ტრაგედია, გლოვა და ერემიადა. იგი ისტორიულ სარბიელზე ახლახან გამოსული, ისტორიის მიერ დაუქანცავი, დიდი და აწ თავისუფალი ერის შვილი გახლდათ, ლაღი, გულმართალი, მინდობილი, მორწმუნე, ფანტიკოსი, ნებისყოფის მქონე, გაუბზარავი ბიროვნება. გულდახურული და თავისთავში ჩაძირული რევანი, მოწაფეობის დროიდანვე ინდივიდუალურ ყოფაში ხედავდა ადამიანის პათოსს და მისი ცხოვრების გამართლებას. გულთა, გულმოღვდილი ზინა კი — კოლექტიურში. მათი ხასიათის ეგ სხვაობა გამჟღავნებულია მათ მრავალრიცხოვან მიწერმოწერაში. სადაც რევანის ერთ წერილზე ზინას ათი წერილი მოდის.

2

დღეს კოტემ, არკადიმ და რევანმა მოსკოვის ზოოლოგიური ბაღი დაათვალიერეს. ბაღს ძველი და ახალი დიდი ტერიტორია ეჭირა. მხეცები

თავის ბუნებრივ გარემოში იმყოფებოდნენ, კარგად დასტუმრდნენ. ხევენ მოვლილნი და შენახულნი. ხოლო დედამიწის ყინულოვანი და ტროპიკული ზონის ცხოველთა მოვლა და შენახვა ადვილი საქმე როდია მაგალითად — ბეგემოტისა. ბეგემოტისათვის საჭიროა თბილი წყლით სავსე საცურაო აუზი. მისი კვების დღიური რაციონი — კომბოსტო, სტაფილო და სხვა პროდუქტი ათეული კილოგრამებით და ფუთობით ვანი-ზომება, ზოოლოგიური ბაღის დათვალიერება ქართველმა ექსპერსანტებმა ჩინებული აკვარიუმით დაამთავრეს, შლეიფიანი და ფანტასტიკური სახის მქონე თევზებით მოიხიბლნენ.

ბაღში ცოტა ხნის დასვენების მერმე მათ იქვე საზაფხულო კაფერესტორანში ისაღილეს და ცივი ლუდი მიირთვეს. ნასაღილევს მაღალი ნეკერჩხლებითა და ვერხვებით დაშვენიებულ ხეივანში გაისეირნეს და არკადის წინადადებით ფოტოსურათი გადაიღეს.

რევანი, ფოტოგრაფს მახლობლად კოტესთან და არკადისთან ერთად გრძელ სკამზე დაჯდა და ხეივანში მოსეირნე ხალხს ცქერა დაუწყო. მისი ყურადღება მაღალ კანკებზე მდგარმა თვალანთებულმა, ხოტორა ბიჭმა მიიპყრო. იგი ათი წლისა თუ იქნებოდა. როდესაც შუა ხნის ქერა კაცმა, აყლაყულა ფოტოგრაფმა კლიენტთან საუბარი გააბა, იმ ბიჭმა დრო იხელთა, სტენდიდან სპილოსა და სპილოს შვილის სურათი ჩამოხსნა, ხალათის უბეში ჩაიდო, ხეივანში გაიპარა და კურდღელივით მოკვარცხლა. იგი იქვე მდგარმა უკულმართმა ბავშვმა ფოტოგრაფთან დააბეზლა. ფოტოგრაფი ქურდს დაედევნა. მდევარი კარგი მარბენალი აღმოჩნდა, ქურდს ბაღის კარებთან დაეწია, წააქცია, ფეხით შესდგა და სასიკვდილოდ გაიმეტა. ხეივანში მოსეირნენი შეუჩერებლივ, წამიერ გახედავდნენ ხოლმე აყლაყულა კაცს, მის მსხვერპლს და ისევ გზას

განაგრძნობდნენ. რევანი იმდღეა, ის ოხერი ბავშვს მოჰკლავსო, — გაიფიქრა, სკამიდან წამოიჭრა, ბალის კარებთან მიიზბინა და მიწაზე დაგდებული, ვასისხლიანებული ბავშვი დაინახა, ფოტოგრაფს მკერდში მუშტი დააჯახა, ფეხი დაუდო და მოკვლა წაქცეულმა წამოიჩოქა და რევანს ამოსძახა:

— რასა შერებით?! —

— მე კი არა, შენ რასა შერები, ნადირო?! რას ერჩი ამ ბავშვს, რადა ჰკლავ? — ჰკითხა რევანმა.

— სურათი მომპარა, აი, — მიუგო ფოტოგრაფმა, პიჯაკის გულჯიბიდან სპილოსა და მისი შვილის სურათი ამოიღო, უჩვენა და დასძინა: — ქურდის მორჩულება აუცილებელია, თორემ მერმე გვიანდა იქნება.

— ქურდი ბავშვის მორჩულება, ჰკუთხე დარიგება გემართებს და არა მოკვლა შე მხეცო შენა, — ისე შესძახა რევანმა, რომ ფოტოგრაფი მაშინვე დადუმდა და განშორდა. ვასისხლიანებული ბავშვი რევანმა ონკანთან მიიყვანა, სისხლი მოჰბანა, სახე ცხვირსახოცით შეუშმარალა და ჰკითხა:

— მოწაფე ხარ, ბიჭო?

— ჰო.

— მერამდენე კლასში ხარ?

— მესამეში.

— ვაი სირცხვილო, მოწაფისაგან ქურდობა განა დასაშვებია?! ის სურათი ღია ბარათი კაბიკები ღირს, განა იმ ფულს შშობლები არ მოგცემდნენ, სურათი რომ გეყიდა?

— არ მომყიდა. სტენდისათვის მჭირია: — ჩაიღუღუნა შერცხვენილმა, თავჩაქინდრულმა, ნაცემმა ბავშვმა.

— მერმე, ამის გამო უნდა მოგეპარა? — ჰკითხა რევანმა. ბავშვი ხმას არ იღებდა, ცრემლმორეული ქსუტუნებდა. რევანს შეეცოდა, მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

— რა გქვია?

— ღიმა.

— სად ცხოვრობ?

— აქვე, — ხელი გაიშვირა ბავშვმა

ქუჩისაკენ. რევანმა ნიკაში ხელი ამოსდო, თავი ააწვეინა, ღია-წაბლისფერ თვალეში ჩაახედა. გაუღიმა და ქურფლიან, ლამაზ ბიჭს შთავგონებით უთხრა:

— გახსოვდეს, ქურდობისა და ყაჩაღობის გზას ვინც დაადგება, იგი ადამიანი არ გამოვა და უთუოდ დიდიუშება, ახლა კი, სანამ მილიციელი არ მოსულა, მოუსვი!

ბავშვმა მადლიერების გრძნობით სახე ნამტირალევი თვალები შეანათა უცხო და უცნობ მხსნელს და ბალიდან ქურდლეღივით მოჰკურცხლა.

რევანი კოტესა და არკადისაკენ გაეშურა. მას ბაღში მომხდარი ჩხუბის დამსწრე გოგო-ბიჭები უკან ამაღასაებრ აედევნენ. მათ ძალიან მოეწონათ ფოტოგრაფის მიერ მისიკვდილებული ბავშვისადმი რევანის გამოსარჩლება. რევანი გაბუტული ძმის გვერდით გრძელ სკამზე დაჯდა. ხეივანში მის წინ გოგო-ბიჭები შესდგნენ და მოგროვდნენ. ისინი რევანს გასცქეროდნენ და მის ქებას ერთმანეთს უჩუჩრჩულებდნენ. სწორედ ამ დროს აცლავდა ფოტოგრაფმა ზოზობაღში მორიგედ დანიშნული მილიციელი მოიყვანა.

— რისთვის სცემეთ ამ კაცს? — ჰკითხა მილიციელმა ჩინებულ კოსტუმში გამოწყობილ რევანს და მის გვერდით მჯდარ წარჩინებულ პირთ, კოტესა და არკადის გაოცებით მიამტერდა, რადგან ისინი მისთვის გაუგებარ ენაზე საუბრობდნენ.

— განა ვცემე?! ცემის კვალს ექსპერტიზაც ვერ აღმოაჩენს და დაადგენს. ოდნავ ხელი ვკარ და ოჩოფხეხუბზე შემდგარივით წაიჭკა. — ღიმილით მიუგო რევანმა.

— რისთვის წააქციეთ მერმე? იმისათვის, რომ ქურდს ცემა? — ჰკითხა მილიციელმა.

— კი არ სცემა. ფეხით შესდგა და ჰკლავდა. მერე რისთვის? ორკაპიკიანი სურათისათვის, — მიუგო რევანმა.

— აქლემისა და ნემსის ქურდი

ორნივე ქურდია, — შენიშნა წესრიგის მცველმა.

— ალბათ ესეც გაგიგონიათ: ქურდმა ერთი ცოდვა ჰქნა, დამკარგავმა ათასიო. გარდა ამისა, მოქალაქის თვითგასამართლება, მისი დასჯის და მოკვლის უფლება არავის არა აქვს, — შენიშნა რევიაზმა. მილიციელმა პასუხის ვაცემა დააპირა, მაგრამ აღშფოთებულმა ხალხმა არ აცალა:

— ეს ვაჟბატონი ფოტოგრაფი თავად ასამართლებდა იმ ბავშვს, ჰკლავდა, ნამდვილად ჰკლავდა, მოჰკლავდა კიდევც, ეს ღვთისნიერი ადამიანი რომ არ მიშველებოდა.

ხალხმა ფოტოგრაფის დაპატიმრება მოსთხოვა მილიციელს და ბოლოს ისეთი დღე დააყენა ბოდიშის მოხდით, აბრუნდიც კი გააკეთებინა.

კოტე, არკადი და რევიაზი ბაღიდან გავიდნენ.

— რას ერჩილი ფოტოგრაფს? — ჰკითხა ამრუზილმა და გაფითრებულმა კოტემ რევიაზს.

— განა შენის თვლით არ დაინახე, ბავშვს რომ ჰკლავდა ის უღმერთო და შეჩვენებულნი? — მიუგო რევიაზმა.

— მერე შენ ვინ გეკითხება, დონ-კიხოტივით ყველას რომ ექომაგები? ნუთუ მართლა გგონია, სიმართლისა და სიკეთისათვის ხალხი მადლობას გეტყვის?! ბავშვი გაიზრდება, ქურდი, ჯიბგირი გახდება, ციხე არ ასცდება და ერთხელაც იქნება, სადმე შეგეყრება: ვინ გეხვეწებოდა ფოტოგრაფისაგან ჩემს დაცვას? ის კაცი ქურდობისათვის მცემდა, იგი მილიციაში მიმიყვანდა და ჩემგან კაცი გამოვიდოდა, შენ კი ქურდობის გზაზე დამაყენე და დამღუპეო, მწარე საყვედურს გეტყვის და ახლა შენ დავიპირებს ცემას. — სახარება წაუკითხა კოტემ რევიაზს. რევიაზი არ დაეთანხმა:

— პირიქით, იმ ბავშვში ჩემი სიკეთის მარცვალი გაფუვედება, გაიფურჩქნება ნაყოფს გამოიღებს და ბავშვისაგან ნამდვილი ადამიანი გამოვა და ბოლოს მადლობას მეტყვის. კარგი ქენი ქვას

დადევ, გაიარე, წინ დაგხვედებო. ნომ გაგიგონია?!

— ნეტარ არიან მორწმუნეები დასაცინა უფროსმა ძმამ და ჰკითხა:

— ერთი ეს მითხარი, ნუთუ ასეთი იაფფასიანი დონ-კიხოტობა და ხალხის წინაშე თავის გამოჩენა მართლა გსიამოვნებს?!

— შენი ზნეობრივი კოდექსით ცხოვრება მე არ შემეძლია, — მიუგო რევიაზმა.

— რა ზნეობრივი კოდექსი? — გაუკვირდა ძმას.

— „სოფელი შენდებოდეს, შეასწარი იქცეოდეს, გაასწარი“, ან კიდევ: „ოღონდ მე ნუ შემეხებინან და ქვეყანა თუნდა დაიქცეს“, — მოუტრა რევიაზმა კოტეს მოთმინების ფილა აღევსო და შესძახა:

— შე არ ვაგალებ ჩემი ზნეობრივი კოდექსის თანახმად ცხოვრებას, მაგრამ ერთ რამეს კი უთუოდ ვაგალებ: თავი გამანებო. რას მერჩი? აყალბაყალი, ჩხუბი, მილიცია, ციხე შენთვის დამითმია. მე სიმშვიდე, სიამტკბილობა მინდა. სიამტკბილობისათვის წამოვედი რუსეთში და არა ჩხუბისა და აყალბაყალისათვის.

„სიამტკბილობა“ ზედგამოჭრილი სიტყვა იყო კოტესათვის. იგი ზედმიწევნით გამოხატავდა მშვიდი და უშფოთველი ცხოვრების მოყვარული იმ ნაზი და ფაქიზი, უხერხემლო ინტელიგენტი კაცის ბუნებას.

მიუხედავად კოტეს გაფრთხილებისა, ზოოლოგიურ ბაღში მოხდარ უსიამოვნებაზე მეტი სკანდალი, მეორე დღეს, მოსკოვის მახლობლად მდებარე ერთ აგარაკზე მოხდა, რომელშიც ისევ რევიაზი გაეჩხირა.

• • •

ავგისტოს დამდეგი იყო. მოსკოვში ისევ ზაფხულის პაპანაქება იდგა და ადამიანის დამნელებელი ალხი ტრიულეზა. სამგზავრო ტანისამოსში გამოწყობილი კოტე, არკადი და ზურგჩანთიანი რევიაზი კვირა დღით იაროსლავის

რკინიგზის სადგურზე მივიდნენ და აქედან მოსკოვის მახლობლად მდებარე აგარაკებისაკენ — ბოლშეოვო, პუშკინო, მიტიშჩისაკენ ელმატარებლით გაემგზავრნენ, რათა მთელი დღე ბუნების წილში — არყის, ევრზელის, ფიჭვისა და ნაძვის ტყით დაფარულ თვალწარმტაც მიდამოებში გაეტარებინათ.

ექსკურსანტებმა დასასვენებლად, რატომღაც, მიტიშიჩი აირჩიეს. ისინი სოფელში შევიდნენ, მიტიშჩელი ერთი მოსახლისაგან ნაეი დაიჭირეს და მდინარე კლიაზმაზე გასცურეს. თევზაობა თავიდანვე იღბლიანი აღმოჩნდა. თევზაობის მოტრფიალუმ, ბათუმელმა მოხუცმა არკადი ზერმანმა წყლიდან ანკესით ვეება ქარიყლაპიები ამოათრია. მეთევზეებმა ქარიყლაპიები მენავე ანდრიას მეუღლეს პაშას მოახარშიეს. ბაღში მკადარმა სტუმრებმა მასპინძლები: ანდრია და მისი იაკუბოვები გვერდზე მოსვეს. მოსკოვიდან ჩამოტანილი კახური ღვინის შესწის მერმე, ისინი დამეგობრდნენ კიდევ.

ნასადილევს კოტე. არკადი და რევაზი ტყეში შევიდნენ და შიგ ხეტიალი დაიწყეს. არკადი მცენარეთა ჯიშების დათვალიერებით გაერთო. მერმე ექსკურსანტები ხის ძირში წამოწვნენ და დაისვენეს, საღამო ეამს, რკინიგზის სადგურს რომ მიაშურეს, მდინარე კლიაზმიდან ნაევებით მოცურავე გოგობიჭების სიმღერა და გარმონი შემოესმათ: „რომ მქონდეს ოქროს გორები, მდინარე საესე ღვინითა“. ამ ლექსის აზრი ის არის, რომ მთად აწვდილ ოქროსა და ღვინით საესე მდინარეებსაც კი დაგითმობდი შენი ალურსისა და ერთი გამოხედვის ფასადო. რევაზს ცისფერთვალემა ქერათმიანი, თუთრი გოგობების კისკისზე გაელიმა და ქაბუკურის ოცნებით გაიფიქრა: „კიდევ რომ გავიტაცო ლურჯა ცხენით ერთი მათგანი საქართველოში, ცოდვას ვერ გაძლებს მთაში ამ თვალუწვდენ ველებში გაზრდილი, თუნდ მქონდეს

ოხერ-ტიალი ოქრო მთად აწვდილი, მოაგონდება იმ გოგოს სამშობლო, სველუწვდენი ველი, ფართო მდინარე, მშობლიური სიმღერა, სტეენა, გარმონი ცეკვა, ჯამბაზივით მსტუნაეი ბიჭების ჩექმების ბრახუნი და ჩრდილოეთისაკენ გაეშნით მაკეკრალი გულისდამღონებელ სიმღერას მოჰყვება: „ნუთუ არ გენანება მზე მთის იქით ჩასული“. მოდი და ამის მერმე გაიტაცე ის ცისფერთვალემა, ქერა გოგო! — ეს გაიფიქრა რევაზმა და მაშინვე ზინა პაპოვა მოაგონდა. მოიწყინა, კოტე კი ძალიან ნასიამოვნები იყო დღევანდელი დღითა. სახეზე „სიამტებილობა“ გამოჰხატვოდა. მისი ყურადღება ბუნების წარმტაცმა სურათმა — დახანძრებულმა დაისმა მიიქცია. მიტიშჩის ტყის იქით ვეება წითელი მზე ჩადიოდა. რევაზს ამ მიდამოებში — პუშკინოში, რუმინანცევის აგარაკზე მიაკოვკის მიერ დაწერილი ლექსი მოაგონდა, რომელშიც ივლისის პაპანაქებით შეწუხებული და გაბრაზებული მგოსანი აბეზარ მზეს უბოდიშოდ მიმართავს: „ჩამოეთრიე! კმარა პაპანაქებში ხეტიალი!“ სასწაულო ხდება: მზე ციდან დედამიწაზე მართლა ჩამოდის. მგოსანი თავზარდაცემულია, მაგრამ მალე მზის ღმობიერების წყალობით სულს იბრუნებს და გათამამებული ნელონელ ისევ შეტევაზე გადადის, მზეს ძმაბიჭსავით მხარზე ხელს უბარტყუნებს და მასთან ერთად პუშკინოში დაეხეტება. ისინი ივისათვის დამშობილდნენ, რომ ყველგან და ყოველთვის. სიკვდილის დღემდე ანათონ:

«Светить всегда, светить везде,
До дней последних донца.
Светить — и никаких гвоздей!
Вот лозунг мой — и солнца!»¹

კოტეს „დონცა“-ზე და „никаких гвоздей“-ზე გაელიმა და ცას გაჰხედა.

¹ ვაშუქოთ მედამ, ვაშუქოთ ველოგან, უკანასკნელთა დღეთა ბოლომდე, ვაშუქოთ მხოლოდ, სხვა არაფერია! ეს არის ჩემი და მზის ღმობიერება.

სისხლივით წითელი, ვეება მზე მდინარე კლიაზმის ნაპირებზე გადაჭიმული მიტიშჩის ტყის მიღმა ჩადიოდა.

ვაგლახ, აღმოსავლეთის ხალხთა სლოცვად ხატად, ღმერთად, დედამიწისა და მასზედ არსებული ცხოვრების სათავედ და წყაროდ ქცეულთ, რუსთაველის „უმძლესთა მძლეთამძლე“ მზეო, რა რიგ უდიერად, უბოდიშოდ, ძმაბიჭურად გექცევიან შენ ზოგ-ზოგნი, თითქო უგონო ბავშვის სათამაშო ბურთი იყო. — განაცხადა კოტემ და რევასსა და არკადის მიძყვა. ისინი რკინიგზის ლიანდაგზე გადავიდნენ და მიტიშჩის სადგურს მიაშურეს.

რევასი სალაროსთან რიგში ჩადგა, ბილეთები შეიძინა და მერმე კოტესთან და არკადისთან ერთად მოსკოვისკენ მიმავალ ელმატარებელს დაელოდა. ისინი სადგურის პავილიონის გრძელ სკამზე დასხდნენ და კიოსკში შექმნილი მოსკოვის საღამოს გაზეთები გაშალეს.

გაზეთის ბოლო გვერდზე რევასის ყურადღება ერთმა სამკლოვიარო განცხადებამ მიიქცია. შეილუბი იუწყებოდნენ, რომ გარდაიცვალა მათი დედა ნადია დიმიტრის ასული კავერინაო. ამ განცხადებამ მომკვლადეი დედა ოღლა შოაგონა რევასს და ცუდ გუნებაზე დააყენა. კლიაზმაზე ნავით სეირნობა, თევზაობა, სადილი, წარმტაცი ბუნება და დისი, ყველაფერი ჩამწარდა.

გუშინ მოსკოვში კოტე და რევასი ცნობილ ონკოლოგს პროფესორს მუხინს ესაუბრნენ დედის ავადმყოფობის თაობაზე. თანწვერა პროფესორმა ქალსავეთ გამყვივანი ხმით უთხრა მათ:

— კიბოს წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენში და საზღვარგარეთაც, საუბედუროდ, მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. არავითარი ახალი მეთოდი მისი მკურნალობისა, გარდა ქირურგიისა, რადიოთერაპიისა და პალატიური მნიშვნელობის მქონე ქიმიური პრეპარატებისა ჩვენ არ მოგვეპოვება. ღვიძლის ავთვისებიან სიმსივნეს კი, რომელიც სამწუხაროდ, დედათქვენს შეპყროა, ვერც ქირურგის დანა და ვერც რადიოლოგის

სხივი, ჯერჯერობით, ვერ შეეღოს. აქვე უნდა შევნიშნო, რომ მექვიდრეობით კიბო არ გადადის მაგრამ, გადადის კიბოს მიმართ განწყობა, რასაც ჩვენს ენაზე „prebisposicio“-ს ეძახიან. თუ შეიქნა პირობა, საეკვო პირებს უნივერსიტეტებთან სიმსივნე. აი, ჩემო კარგებო, ჩემი არასასიამოვნო, მაგრამ მართალი პასუხი თქვენს შეკითხვაზე. თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ კლინიკის ტემპი და მეკვლევაჩები მუშაობას განაგრძობენ და თანდათან აუმჯობესებენ მკურნალობისა და დიაგნოსტიკის მეთოდს. ამრიგად ავთვისებიან სიმსივნეზე იერიში გრძელდება და იმედი უნდა ექონიოთ, რომ იგი მომავალში დაძლეული იქნება...

ასეთი სტანდარტული, გაზეპირებული პასუხი არა ერთხელ მოუსმენია რევასს ონკოლოგებისაგან თბილისში, ლენინგრადსა და მოსკოვში და, თუმცა იმ პასუხში იგი სანუგეშოს ვერაფერს ხედავდა, გულისწყრომას მაინც არ ამკვდინებდა. ახლა კი უწოდ აკანჭული, ბებერი და მსახიობივით სახედანაოკებულნი, თავისთავით კმაყოფილი და მოღიშარი პროფესორი მუხინი შეეზინდა. პროფესორი მას და კოტეს თავს აწონებდა, მსახიობივით მკერმეტყველებდა, კოხტაობდა და ისე უგულოდ იღიმებოდა, თითქო მალალი გონებისა და გრძობის, მალალი სულის მქონე არსებებზე — ცოცხალ ადამიანებზე კი არა, არამედ საცდელ მაიმუნებზე, ძაღლებზე, ბაჭიებსა და თავგებზე საუბრობდა.

უფრონებელი სენისაგან განწირული მშობელი მოავონდა რევასს. შეეცოდა, მოიწყინა და შავ ფიქრს მიეცა. აი სწორედ ამ დროს სადგურის დარბაზიდან დაჰმუჭუნულ პიჯაკებში, შავ ხალათებსა და ჩექმებში გამოწყობილი, შუახნისასვამი კაცები გამოვიდნენ. ისინი პავილიონის გრძელ სკამებზე მსხდომ მგზავრებს აცივდებოდნენ, დასცინოდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ. ბოლოს რევასის წინ შეჩერდნენ და უცხო ქვეყნიდან მოფრენილ ფრინველსავეთ თვალმოუშორებლად მიაშტერდნენ.

თავჩაქინდრულსა და ფიქრში წასულ რევას მანამდე არ მიუქცევია მათთვის ყურადღება, სანამ ერთმა მაღალმა ქერა კაცმა ფხესაცმელზე ჩექმის წვერი არ წაჰკრა. რევასმა თავი ასწია და უცნობს ნაღვლიანი თვალები მიაბყრო. მის წინ გრძელულუღაშიანი ქერა კაცი იდგა. მის ფოჩიანი ქამრით შემორტყმული შავი ხალათი, ჩექმები ეცვა და მხრებზე ბიჯაკი ჰქონდა მოგდებული. იგი ხმას არ იღებდა. სიმთვრალის გამო ოდნავ ირხეოდა, რევას თავისი უაზრო, ანემიური თვალებით მიშტერებოდა და დროდრო ჰქვედა ყბას აკანტურებდა, თითქო საჭონელი იცოხნებოდა. კარგა ხანი გავიდა. რევასმა უხერხულობა იგრძნო, უცნობს ნაძალადევად გაუღიმა და ჰკითხა:

— ეგრე რად მიყურებთ, მოკეთვე?

ქერა კაცის ანემიურ თვალებში უმაღლე ბრახმა გაივლია, მერმე ზიზღი გამოიხატა და ისინი ისევ რევასზე შეჩერდნენ. რევასმა ისევ უხერხულობა იგრძნო და კითხვა უფრო დაბეჯითებით გაუმეორა. მთვრალი კაცი შეიშმუშნა, თითქო ტანში გააფრეოლათ და უთხრა:

— პაპიროსი მომაწვივინ!

— პაპიროსი ვამითავდა: ეს-ეს არის ცარიელი ყუთი სანაგვეში ჩავაგდე, — შეწუხდა რევასი.

— აი, ზომ ხედავ, პაპიროსი დაგენანა, შე სალახანავ შენა, — ამრეხით შენიშნა მთვრალმა კაცმა რევასს და ისევ ზიზღით მიაშტერდა.

— არა, მართლა არა მაქვს, — წაიღულულა საქციელწამხდარმა რევასმა და სანამ გონს მოვიდოდა, უცნობმა მოულოდნელად ჰკითხა:

— მითხარი: ურია ხარ?

— ჭერ ერთი: „ურია“ კი არა, „ებრაელი“ ითქმის. მეორეც: ვინ დაგავალა ჩემი ეროვნების გამორკვევა და გამოძიება? — მიუგო რევასმა.

— ზედვე ვეტყობა, ნაღვლიანი, მშიშარა და მოწუწუნე ურია რომ ხარ, — მოუქრა უცნობმა.

— ებრაელების მოძულე კაცი ყოფ-

ილხარ, — არ მოუწონა რევასმა და ჰკითხა:

— რა დავიშავათ ებრაელებმა?

— თქვენ მიწაზე და ქარხანაში მუშაობას თავს არიდებთ. ჩარჩობას და სპეკულაციას მისდევთ, ტყავს გვაძრობთ, მდიდრდებით, თბილ ადგილს იკავებთ, ყველგან ეჩრებით, გულღვიძლს გვიღრღნით და წურბელივით სისხლსა გვწოვთ, — იყვირა უცნობმა და სახე ბრახისაგან დაემანკა.

— შენ კაცივამია შოვინისტი, კონტრ-რევოლუციონერი ყოფილხარ — შეარცხვინა რევასმა იქ შეგროვილი ხალხის წინაშე უცნობი.

— როგორ მიბედავ და მაკადრებ მასეთ ლაპარაკს, შენ ურეების ჰონტოლო? — უყვირა უცნობმა.

— წყალწაღებულ კაცთან კამათი არა მსურს. გაიარე! — გააფრთხილა რევასმა. უცნობი მთლად აიშვრა.

— ხედავ, რეებს მიბედავს ეს თავხელი? გაიარეო! მე ჩემს მიწაზე ვდგავარ. შენ კი, აბა რა ვიცი საიდან მოთრეულხარ! მოსწყდი აქაურობას!

— მოქალაქე მომეშვი, გაიარე, — ახლა უკვე უბრძანა რევასმა და სკამიდან წამოდგა. უცნობმა გიჟივით უყვირა:

— შენ თავად გაიარე და მოუსვი აქედან, მე შენი დედა...

აბა რა იცოდა უცნობმა, რევასი დედის გინებას რომ ვერ იტანდა, მით უფრო ავადმყოფი დედის გინებას არავის არ აბატებდა. მთვრალ კაცს მუშტი დინგში ისეთი ძალით დააჯახა, რომ რევასის თვალწინ ჰაერში შეტრიალებული კაცის ჩექმებმა გაივლიეს. ასეთი სანაქებო შემოკვრის მერმე გალახულის დამქაშები უმაღლე გამოფხიზლდნენ, დამოშმინდნენ და თავისი ფალავნისადმი მიშველების სურვილი დაჰკარგეს.

რევასი და მის მიერ გალახული კაცი სადგურში რკინიგზის მილიციის განყოფილებაში მიიყვანეს. რევასს ამაღსაებრ უკან მიჰყვანენ მოწმეები — მოსკოვიდან მიტიშჩში დასასვენებლად ჩამოსული სტუდენტები. გამოძიებულმა რევასი და დაზარალებული დაკით-

ხა. ორივეს ჩვენება ჩამოართვა. მოწმე-
ებად მოსული სტუდენტები რევანს ამ-
ართლებდნენ, გარეწარი, ლოთი კაცის
„კონტრარევიოლუციონერის“ დაპატიმ-
რებას მოითხოვდნენ. გამომძიებელი
იძულებული გახდა რევანი გაეშვა. ცო-
ტა ხნის მერმე მან სიმთვრალეში ჩადე-
ნილი დანაშაულისათვის დაზარალებუ-
ლიც გაუშვა. როდესაც ვალახული კაცი
მისმა დამქაშებმა სადგურს მოაშორეს,
სტუდენტებმა რევანს ალყა შემოარ-
ტყეს, შეკითხვები სეტყვასავით დააყ-
არეს და დასძინეს;

— რუსები და ებრაელები მეგობრუ-
ლად, ძმებავით ცხოვრობენ, მაგრამ ის-
ეთი ხულიგანი და გარეწარი ძალიან იშ-
ვიათად, მაგრამ აქა-იქ ჭერ კიდევ და-
ლოლავს. — შენიშნეს სტუდენტებმა.

— რისთვის ჩამოდით მოსკოვში? —
პკითხეს რევანს.

— ინსტიტუტში შესვლას ვაპირებ,
— რატომღაც იცრუა რევანმა და სტუ-
დენტებს გაუღიმა. ამის მერმე სტუდენ-
ტებმა უმაღლესში შესვლის ყველა გზა
და ხერხი ასწავლეს. განსაკუთრებით
ერთი მჭახე მწიფური ჭბაუკი ცდილობ-
და რევანს დახმარებოდა და, როგორც
იტყვიან ხოლმე, „ნაკერებში იხეოდა“.

— ჭერ ქარხანაში მოეწყობი. — ასწა-
ვიდა იგი რევანს, — ნუ გეშინია,
იოლი სამუშაო გექნება. ოსტატის მიერ
ცარციით დახაზული თარგი მოგივა კონ-
ვეიერით და იგი მაკრატლით უნდა გა-
მოსჭრა. ეგ არის და ეგ! რამდენიმე თეი-
სა, ან ერთი წლის მერმე მუშის სტაჟი
გექნება და უმაღლესში შესვლის დროს
პრივილეგიით ისარგებლებ...
მეორე სტუდენტმა უმაღლესში შეს-
ვლისა და მოსკოვში ცხოვრების სხვა
გზებზეც ასწავლა. მაგრამ ამ დროს მოს-
კოვისაკენ მიმავალი ელმატარებელი გა-
მოჩნდა.

ვაბრაზებული კოტე და არკადი ვაგო-
ნში ცალკე დასხდნენ და კვლავ რევანის
გაკილეა დაიწყეს:

— რევანი ნამდვილად გამაგიცებს.
ვერ გამოვივა რევანს ჩადის! რად არ უთ-
ხრა იმ ნასვამ კაცს, ქართველი ვარო და

მუშტი-კრივზე გადავიდა?! — აღმოფ-
რთვას გამოთქვამდა კოტე.

— უცნაური, ფიცები, თავისებურად გა-
ცია შენი ძმა. აბა უყურე, ებრაელები-
სათვის როგორ გამოიღო თავი, — შენი-
შნა არკადიმ და გულიანად გაიცინა.

— მერმე რა გამოვიდა! კინაღამ არ
დააპატიმრეს. დააპატიმრებდნენ კიდევ,
მაგრამ სტუდენტებს უმაღლოდეს. რამ
შეაყვარა მუშტი-კრივი ამ განათლე-
ბულ, კულტურულ ადამიანს? — ისევ
შფოთავდა კოტე.

— დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მი-
მიყვანა, რომ ყოველ ქართველში მეტ-
ნაკლებად ორი ადამიანი ზის: კულტუ-
რული და ბარბაროსი. შენი ძმა კი, ამას-
თან ერთად, წმინდა წყლის დონ-კიხო-
ტია, — დაადგინა არკადიმ.

— ბარბაროსი გერმანელებშიც საფ-
უძვლიანად ზის, — შენიშნა კოტემ, —
ვერაფერი გამოვივა ჩემი ძმის! ნუთუ
მწერლები ყველანი მისებრ გიყები არი-
ანი? ნეტავ არ წამომეყვანა რუსეთში.
იგი მანამდე არ მოისვენებს, სანამ უბე-
დურებას არ გადაგკიდებს, სანამ არ და-
გვაპატიმრებენ და ციხეში თავს არ ამო-
გვყოფინებენ, — წუწუნებდა შიშნა-
კამი, მხდლი და ტკბილი, უშფოთველი
ცხოვრების, „სიამტკბილობის“ მოყვა-
რული კოტე.

3

რევანმა სურათების გალერეებსა და
მუზეუმებში სიარული დაიწყო და ამ სა-
ქმეში მალე მის მიერ განაწყენებული
კოტე და არკადიცი აიყოლია. თავდაპირ-
ველად ისინი კაზმული ზელოვნების მუ-
ზეუმს ეახლნენ. ანტიკური და აღორძი-
ნების ხანის ძეგლების (რეპროდუქციე-
ბისა და ასლების) დათვალიერებამ წარ-
უშლელი შთაბეჭდილება მოახდინა რე-
ვანზე, როგორც ლენინგრადში ერმიტა-
ჟის დათვალიერების მერმე, ასევე აქაც
მოსკოვში იგი თავის შთაბეჭდილებას
რვეულში სწერდა:

„ათინის ტაძრის ფრონტონი“ სწორ-
უპოვარი შემოქმედის — მოქანდაკის
ფიდიასის ქმნილებაა. ფრონტონზე ან-
ტიკური ომია გამოხატული. თვალი ვერ

ნახავს უკეთეს მშვენებას. თვალს იტაცებს ძველ ბერძენ მეომართა კონთრაგარი სხეული, სახე და იერი, წვერულვაშინი გმირი მენელაოსი, ვაყვავთა მიერ შვილდის მოზიდვა, ისართა და შუბთა ტყორცნა, გმირი ჰერაკლე... ტროანელი აქეველებს ვერას აკლებენ... მაგრამ აქეველებს ბოლოს ბედი ჰლატობს. აგერ ილიონის კარიბჭესთან ბრძოლის ველზე დაცემულ გმირთაგამირს — აქილეესს მახელილი გადატეხია. მის თავზე სამფა საეარცხელით შემკული ოქროს ჩაფხუტი ვარვარებს და მტერს ისევ შიშის ზარსა სცემს. აქილეესის მისაშველებლად მორბენილი გმირი ოდისეესი მაღალ საყუდ ფარს იმარჯვებს. ეანტისა და ტელემონიდეს რაზმიც მოსულა და აქილეესის წინ, სამკუთხედად დამდგარა, ჩანან ბრძოლის ჯაფის ამტანი მებრძოლები, და ომის წინ ისე, ვით ოლიმპიური თამაშის წინ, ნელსაცხებელით ვაპოხილი მათი ძალუმი, სპილენძისფერი სხეულები. ვის დარჩება ლომგული აქილეესის გვაში: აქეველებსა თუ მათ მოჭიშვე ტროანელებს? მიჰქრიან სიკვდილის მაცნე ისრები, ეტლში შებმული, კუდაწვდილი, ფაფარგაშლილი და გაჭაფული შმაგი ბედაურები. ვაგლახ: ამაოდ აშვიდებდნენ აქილეესის ეტლში შებმული, ადამიანივით ამეტყველებული რაშები გმირთაგამირს: „გაგყვანთ ბრძოლის ველიდან ჯერ კიდევ ცოცხალს, პელიდო!“ ვერ გაიყვანეს! აქეველთა და ტროანელთა შორის ოქროსშუბიანი ქალღმერთი ათინა ჩამდგარა, რათა ელინთა გენიით დაღდასმული და სახელგანთქმული გმირი აქილეესი თავისი სპილენძის ჯადოსნური ფარით დაიცვას. აქილეესის სრულყოფილი და მშვენიერი სახისა და სხეულის ხილვა მაჯადოებს და ვფიქრობ ჩემთვის: ჯანსაღ სხეულში სული ჯანსაღი იგულისხმება თავისთავად და აქილეესი თვალის ჩინი ბერძენთ მხედრობის, ბრძენთა შორისაც იყო რჩეული. გაჭრა ძველი ათინა და მასთან ერთად გაჭრენ ელინთა მაღალი გენიის ქმნილებანი. ობლად აღმართუ-

ლი მარმარილოს სვეტები და ჩამორბეული კედლები თითქოს თავიქმედს ემდურანო. დიდი ოსტატის ფიდილისს ვენია და აკროპოლის სწორუბოვარი მშვიდი სილიადე და მშვენება ქამთა მსვლელობისას დაფიწყებას მიეცემა? ეგ არა მჭერა, ისე ეით არა მჭერა, დიდებული ჩვენი ვარძიისა, სვეტიცხოვლისა და გელათის დაშლა და მათი საუნჯისა საგანძურების გაჭრობა და მივიწყება...“

რევანმა მიქელანჯელოს განყოფილებაში „დავით“, „მოსე“, ძმების მედიჩების სარკოფაგი — „ლუსკენი“. „საშინელი სამსჯავრო“ ნახა, მან დააბრმავეა, ადამიანის განუზომელი ტალანტის წინაშე ქედი მოახრეენა და ახლარვეულში შემდეგი სტრიქონები ჩააწერინა:

I. „მოსე“. ნეტა ვიცოდე როგორ გამოკვეთა და ჩასჭედა შემოქმედმა ჯადოსნური თავისი საჭრისით მკედარ მატერიაში ქვაში. ასეთი ცოცხალი ხელსახები დიადი იდეა, აზრი? მიქელანჯელო გაშმაგებით ებრძოდა ვეება, უფორმო, მკედარ ლოდს და მანამდე არ მოეშვა, სანამ შიგ უკვდავი თავისი სული არ შთაბერა და მასში ებრაელი ხალხის ბრძენი ბელადი, მოციქული და წინასწარმეტყველი არ გააცოცხლა. მიქელანჯელოს მოსე ამდროული და მოწიფულიც, მხნე, გაუტეხელი და ჯანმრთელი კაციც არის. მოსეს სახე ებრაელთა მრისხანე ღმერთის — იეღოვას ცეცხლითა და უდაბნოს ზეატით არის გარუჭული. ტანჯული, მშობელი ხალხის ბრძენი მოსარჩლის ყოვლისმხილველი თვალების მზიანი, თანაც მრისხანე მზერა რაღაც ერთბაშად შემომეფეთა დარბაზში და შემაქრო. ზანგელა ძარღვეებით შემოხლართული, ჭაანსა და შრომას შეჩვეული მისი ხელი მარად უკვდავი და გარდუვალი ათი მცნების დაფას ჩასჭიდებია. ის ათი მცნება, კანონთა წიგნი ისრაელ ხალხს მან სინას მთაზე უქადაგა. ებრაელი ხალხის ბელადის, წინასწარმეტყველისა და მოციქულის აზვირთებული, ჭადარა, გრძელი და ჭიქერი წვერი თითქო

ზღვიდან მოვარდნილ ქარიშხალს გაუტაცნიაო, შუბლს ზემოთ აყრილი თმა კრილობით დაზიანებული ძარღვისა და კრუნჩხვის გამო გაზიდული თითი. ველური სიბრძნის რქსაებრ ამოსვლია და გენიოსი შემოქმედის ხელოვნული, დიადი ქმნილების წინაშე გაშტერებულს ბაგეზე ნეტარებისა და შვების ღიმილი მითამაშებს..."

2. „pietà“. კარარის მარმარილოში გამოკვეთილი ეს ქმნილებაც კემ-მარტივად შედგება. გლოვით მოკლული, გაქვავებული, სუსტი და აზიზი ქალი ზის და ჯვრიდან გარდმოხსნილი შვილის ცხედარი კალთაში უსვენია, რაც უფრო დიდხანს უყურებთ ამ ქანდაკებას, მით უფრო რწმუნდებით, რომ თქვენს წინაშე ღვთისმშობელი, მარად ქალწული მარიამი ღმერთს კი არ დასტირის, არამედ ამქვეყნიური, უბრალო, სოფლელი მანდილოსანი უბრალო დურგლისაგან ჩასახულ თავის პირშვოს, ღვთისგლახას, ღვთის მოშიშარ მოიგავეს იესოს გლოვობსო და თქვენ ყურადღებას აღარ აქცევთ იმ გარემოებას: რომ დედა თავის ჯვარცმულ შვილზე უფრო ახალგაზრდაა, შვილის გაჩენის მერმე მას თითქო წლები არ მოჰმატებია. ან კიდევ მართლაც სასწაული მომხდარა: შვილი სული წმიდის ჩასახვისაგან გასჩენია და იგი მარად ქალწულად დარჩენილა. რაც ჯერ კიდევ მიქელანჯელოსათვისაც დაუჭერებელ ზღაპარს წარმოადგენდა. ერთი სიტყვით ღვთაებრივი სასწაულის გაგების მიღმა დარჩენილი მიწიერი ქალი გლოვისაგან გაქვავებულა, მწარე ფიქრში წასულს თავი ოდნავ დაუბრია, მარჯვენა ხელი კალთაში უმწეოდ მისვენებულ, თავგადაგდებულ, მიცვალბული შვილისათვის იღლიაში ამოუღვია, შვილის ტანი დაუჭერია, მარცხენა უღონო ხელი კი გლოვისა და ამოუცნობი ფიქრის ნიშნად, გაშლილი თითებით განზე გადაუქნევია, თითქო თავისთავს ეკითხება: რა ცოდვის გამო შემყარა უფალმა ასეთი ჭირი და უბედურებაო? აღსანიშნავია მეორე დეტალიც:

ჯვარზე ლურსმნით მიჭედვის მერმე ცხედრის ტერფზე დანეულნი ნაჭვლობი, ეს დეტალი ქრისტეს ჯვარცმასა და განვილილ ტანჯვა-წამებაზე მიგვანიშნებს და მეტყველებს. ვაკვირდები ამ ორ დეტალს და ზედმეტად ვრწმუნდები თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნებაში თავის ადგილას და თავის დროზე ზომიერად გამოყენებულ მხატვრულ დეტალს.

დეტალის აზრი და მნიშვნელობა კარგად ესმოდა გენიოს მწერალს ლევ ტოლსტოისაც. მოიგონეთ მისი ომში ნატარი, მონადირე, მოხუცი კაზაკი—ძია ეროშკა, რომელიც კაზაკთა სოფლის ქოხის აივანზე ოფიცერ ოლენინთან საუბრის დროს თავისი დიდი მსუქანი თითებით სანთლის გარშემო მფრინავ და მის ცეცხლზე ფრთაგატრუსულ ფარვანებს იცოდებს და ცეცხლისაგან მიერეკება. ან კიდევ „ომსა და მშვიდობაში“ ფრონტის მახლობლად გამართულ კარავიდან გამოსული ქირურგი, მისი გასახლიანებული ხელი, სიგარეტი, რომელიც მას ცერითა და ნეკით უჭირავს, რათა იგი სისხლში არ გაესეაროს. პირველი დეტალი გვამცნობს, თუ რა სიყვარული ბუდობს გარეგნულად მკაცრი და უხეში მოხუცი კაზაკის გულში ყოველი ქმნილისადმი. ხოლო მეორე დეტალი კი ნათელ წარმოდგენას იძლევა, თუ რა უზომოდ ბევრი, დამქანცველი ოპერაცია ჩატარებია ქირურგს კარავში და რა საშინელი რამ არის ომი. გაიხსენეთ კიდევ მრავალი სხვა დეტალი, რომელსაც ადამიანისა და მისი ხასიათის, მისი სულიერი მოძრაობის გამოსახტავად მიმართავენ ხოლმე დიდი ოსტატები და თქვენთვის ნათელი გახდება ზომიერად და თავის დროზე გამოყენებული მხატვრული დეტალის ძალა და მისი მნიშვნელობა. იგი ხელოვნების ბუნების საიდუმლოების ერთერთი გასაღებია

3. „მედიჩის კაპელა“. მიქელანჯელოს დიდი მეობა მისივე მღვეარ ბედად იქცა. მან შემოქმედს ცხოვრება გაუმ-

წარა, მოუშხა და ამოებებს აზიარა. მიქელანჯელო ჩაწედა, თუ როგორია მარადიული ძილი, ღამე და უკუნი. ძმების ლორენცო და ჯულიანო მედიჩის ლესკუშე გამოძიარწილი ადამიანის სახისა და სხეულის საშუალებით გამოხატული სიმბოლოები: „სადამო“, „დილა“, „ღამე“ „ღღე“ გაოცებას იწვევენ მარად უმზეო წყვილიდისა და უკუნის სიმბოლო — „ღამე“ თანამედროვეთათვის გაუგებარი დარჩა, რისთვისაც მიქელანჯელომ თავად გაშიფრა და გამარტა იგი:

ძილი ტბილა, ქვად უფნაე ტბილი.

ამ ვახრწილ, აე დროს სჯობს იყო

მკედარი.

ეგ ხვედრი აბლა სამო არი.

ნუ, ნუ მალეიმბ, მირზენის ძილი.

სასოწარკვეთის ასეთი წყვილიდი მოიცავდა ზოლმე ზმირად ქვეყნის ტრაგიკულად აღქმის მქონე დიდი შემოქმედის სულს....“

ასე სწერდა მუზეუმიდან შინ მოსული რევაზი ყაზარმისმაგვარი სახლის პატარა სარკმლის მოაჯირზე გაშლილ რვეულში მიქელანჯელოს ქანდაკებათა გამო.

დღეს მოსკოვის ქართველმა სტუმრებმა წითელი მოედანი გაიარეს, მოსკვა-რუკაზე გადავიდნენ და ლავრუშინსკის ქუჩის გადასახვევში ტრეტიაკოვის გალერეას მიადგნენ.

რევაზმა ძალიან კარგად იცოდა, ტრეტიაკოვის გალერეაში რუსული ხელოვნების — ფერწერისა, ქანდაკებისა და გრაფიკის შესანიშნავი ნიმუშები რომ იყო გამოფენილი. მას შინ ჰქონდა ტრეტიაკოვის გალერეის სურათების რეპროდუქციები. მაგრამ სადასლი და სად კიდევ ორიგინალი?

რევაზი გულდასმით შეუდგა სურათების დათვალიერებას. მას ყველაზე უფრო სეროვის, სურიაკოვის, რეპინის სურათები მოეწონა, განსაკუთრებით კი — ვრუბელისა და შინ მისელის მერმე შთაბეჭდილებათა რვეულში შემდეგი ჩასწერა:

„დიდებულია რეპინის სურათები. შესანიშნავია აგრეთვე რეპინის ცნობილი ისტორიული სურათი: „*Идеи*“ მრისხანე და მისი შვილი ივანე 1581 წლის 16 ნოემბერს“ ფსიქოლოგიური ანალიზისა და ხასიათის გაგების მხრივ, მაგრამ ამ სურათში არ არის დაცული მხატვრული ზომიერება, რომელზედაც მიქელანჯელოს „*Pietà*“-ს გარჩევისას შევნიშნავდი. ზომიერება დიდი ნიჭია. მას ვერც დიდი მხატვარი რეპინი იცავს ყველგან. რეპინის სურათში ივანე მრისხანეს მიერ შუბიანი ყვარჯნით დაჭრილი შვილის საფეთქლიდან შადრევანივით გადმონთხეული და მამის შუბლსა და ქალაზე მისხმული სისხლი ზომიერებას აჭარბებს. შვილის საფეთქლის ტრილობაზე მამას ამაოდ მიუჭერია ხელი სისხლის შესაჩერებლად, რადგან სისხლი თითებს შორისაც გადმონთხეულა, იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე დაღვრილა და ზედ ტბასავით დამდგარა. ეპილეფსიითა და სიგიჟით დაავადებულსა და შეპყრობილ ბარბაროსს მხატვარმა, ჩემი აზრით, მაინც ზომაზე მეტი სისხლი დააღვრევინა. სისხლი აქ არა დეტალი, არამედ მთავარი და არსებითი მხარეა სურათისა. იგი ივანე მრისხანისა და მისი შვილის ფსიქოლოგიურ ანალიზს ფარავს, ჩრდილავს. უზომოდ დაღვრილი სისხლის ხაზგასმის გამო სურათი მხატვრულ სფეროს სცილდება, ფიზიოლოგიასა და ნატურალიზმში გადადის და იგი ესთეტიკური სიამოვნების ნაცვლად არასასიამოვნო, მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ ივანე მრისხანეს შვილს მხატვარმა მწერალი გარშინის ლამაზი, უცოდველი, დაკოდილი შვილის ნუკრის მსგავსი სევდიანი, სიკვდილის შიშით მოცული თვალები ჩაუსვა. არ გამიკვირდება, ამ სურათმა რომელიმე მოქალაქეში ივანე მრისხანესადმი დიდი ზოზლი რომ გამოიწვიოს და მან შვილის მკვლელ ბარბაროსს დანა ჩასცეს.

რევაზმა მძიმე განცდებით დატვირთული სტრქონების წერას თავი ვაანე-

ბა, მოსკვა-რეკას გაჰხედა, აზრს თავი მოუყარა და ტრეტიაკოვის გალერეის გამო წერა განავრობო:

„ტრეტიაკოვის გალერეაში გამოფენილმა ვრუბელის სურათებმა ქვეშარიტი ესთეტიკური სიამოვნება განმაცდევინეს; თითქო ჩემს ნაცნობ სტიქიონში აღმოვჩნდი, შვება ვიგრძენი და თავისუფლად ამოვისუნთქე. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის უდიდეს მხატვარს მიხეილ ალექსანდრეს ძე ვრუბელს საკუთარი ხედვა და ხელწერა ჰქონდა. ის ხედვა მისი ფილოსოფიური წყობის გონებიდან და ბუნების ღრმა შესწავლიდან გამომდინარეობდა. ვრუბელის ბიზანტიური ფრესკებისა და ირანული მინიატურების მსგავსი ფერიული ფერწერა, მთავარი დეტალებისა და საკირო შუქის დაქერა, უშუალო გრძნობა, ქვეშარიტი ვნება, მაღალი გონებისა და ზნეობის კუთხიდან დანახული ქვეყანა, ამ ქვეყნის ქვრეტისათვის მონახული საკუთარი სათვალთვალო, ყველაფერი ეს იმთავითვე ხელსახეები ხდება მნახველისათვის. ვრუბელის სურათებში წაშლილია იმდროინდელი მხატვრების — „პერედვიენიკების“ მიერ სოციალური და ზნეობრივი ტენდენციის წინა პლანზე წამოყენება, დიდაქტიკა. ხალხში პოპულარობის მოპოვების სურვილი, ხალხის გემოვნების წინაშე დათმობაზე წასვლა და ამის გამო მხატვრული ზომიერებისადმი ღალატი. ვრუბელი ჩემთვის, ამავე დროს, ფრანგ იმპრესიონისტებთან მისასვლელი გზა და ხილია, ვრუბელის მხატვრობა „პერედვიენიკების“ — რეპინის, სურკოვისა და სხვა რეალისტ მხატვრებისაგან იმდენად განსხვავდებოდა, რომ მას დეკადენტიც კი უწოდებ. თუმცა კიევის კირილე და ვლადიმირის ტაძრების მომხატველის ფრესკებისა და სურათების — „ქრისტეს საფლავზე ტირილის“, „აღდგომის“, ლერმონოტოვის „დემონის“ ილუსტრაციების, „ფაუსტისა და მეფის-ტოფელის გაფრენის“, „მუზის“, „პა-

ნის“, „ლამის“, „ვალერი ბრიუსოვის“ პორტრეტისა და სხვა ბრველი მხატვრების ავტორის დეკადენტად გამოცხადება სრულ გაუგებრობას წარმოადგენდა. რეალური ცხოვრების მოვლენები შემოქმედი მხატვრის რთულ შინაგან სამყაროში, მეობაში გატარების მერმე მეტად თავისებურ, ჯადოსნურ სახეს ღებულობდა და მშვენიერებისა და სიწმინდის ფერად სამოსელში ეხვეოდა. იქნებ ამ თავისებურების გამო მონათლეს იგი რეალისტური, ნატურალისტური სკოლის მიმდევრებმა, მიმბაძველებმა და პირის გადამღებლებმა დეკადენტად! მოუხედავად იმისა, რომ მე რეალისტი, მშვიდი, ეპიკური ჰერეტის კაცი ვარ, რუს მხატვრებიდან ვრუბელი მაინც ყველაზე უფრო ეხმიანება ჩემს სულსა და გულს, განსაკუთრებით მოწონს 1890 წელს დაბატული მისი სურათი: „მქდარი დემონი“.

„მქდარი დემონი“. აჩანყებისათვის ღმერთისაგან გარისხული, ცდომილი სულის — დემონის სახე ჰბაუკობის დროიდანვე არ ასვენებდა მხატვარს. ის დემონური სევდიანი სახე, კაეშნით სავსე თვალები მხატვრის ადრინდელ და მერმინდელ ნამუშევარშიც დავიწახე: „ავტოპორტრეტი“ (1882 წ.), „მოსე წინასწარმეტყველში“ (1884 წ.), „პორტრეტის ჩანახატში“ (1886 წ.), „ლეთისშობელში“ (1888 წ.), „მუზაში“ (1896 წ.). „იასამანშიც“ კი (1900 წ.). ეტყობა ვრუბელი დემონის პრობლემით ჰბაუკობიდანვე იყო გატაცებული. მისი „მქდარი დემონი“ და „პანი“ ქვეშარიტი შედევრებია. როგორც მთვარიანი ღამით ვენახებსა და ტყის პირას გადაჭრილი მუხის ფესვებიდან ამოზრდილი, ბანჯველიანი, ცისფერთვალემა, თხაფეხა პანი, ეგ ღვინის, თრობის, სქესობრივი შაბაშისა და ექსტაზის ღმერთი, — ასევე კუნთებდაკრავნილი დემონი. მისი ათლეტური სკულპტურული სხეული და სახე შესაფერ გარემოსთან, კავკასიონის მაღალ მწვერვალის, ქედის ლურჯ კლდეებსა და ლურჯ ღრუბლებს არის შეხამებული და მას-

თან შერწყმული. თითებგადანასკეული, ძალეში და კუნთმაგარი ხელები მუხლებზე შემოხვევია და შემოუსალტავს კლდეზე. ქიუხის კუნძულაზე მჭდარ ვაკეცს — დემონს. უსაზღვროდ დამწუხრებელი, მღვმარე დემონი კაეშნითა და ცრემლით საესე, შმაგსაებრ გაშტერებული თვალებით გადასცქერის მიდამოს. რაც უფრო დიდხანს ვაცქერდებოდი ვრუბელის სურათს, მით უფრო მიტაცებდა, მაჯადოებდა იგი და დემონის იღვმალი ფიქრის ამოხსნას ვცდილობდი“.

რევანში არაფერს სწერდა რვეულში იმის თაობაზე, რომ იგი მეტად დიდხანს იდგა ვრუბელის „დემონის“ წინაშე ფიქრში წასული, გარესამყაროვან გამოთიშული და მის ზურგს უკან დარბაზში მოჯარულ ხალხს ვერ ამჩნევდა. იგი მხოლოდ ადგილს იცვლიდა დარბაზში, რათა სურათი უკეთ გაშუქებული დაენახა. ხალხი ფიქრში წასულ, გულხელდაკრეფილი რევანს და მის კაეშნიან სახესა და უცნაურად ანთებულ თვალებს მოჯადოებული მიშტერებოდა. დარბაზში ჩამოვარდნილ სიჩუმეში ვიღაც ქაბუკმა სტუდენტმა ქაბუკს უჩქრჩულა: „ეგ თითქო ვრუბელის დემონის ორეულია“.

სანამ ხალხით გარსშემორტყმული რევანში ვრუბელის „დემონის“ წინაშე გაქვავებული იდგა, კოტემ და არკადიმ ტრეტიაკოვის გალერეის მთელი ზედა საართული მოიარეს და რევანში რომ ისევ ვრუბელის დარბაზში „დემონის“ წინ მდგარი დაინახეს, გაუკვირდათ. კოტემ ნათლად გაიგონა ქაბუკი სტუდენტის მიერ რევანის მისამართით თქმული: „ეგ თითქო ვრუბელის დემონის ორეულია“. იგი სხვათაებრ მოჯადოებული მიაშტერდა ძმას და ისე მოჩვენა, თითქო ხალხისაგან გარსშემორტყმული რევანში კი არ იდგა დარბაზში უღრმესი მწუხარებით დადუმებული და გულხელდაკრეფილი, არამედ მისთვის უცნობი, უცნაური, გამხდარი და თვალანთებული ვიღაც ახალგაზრდა კაცი. ამ დღიდან კოტე განსაკუთრებუ-

ლი მორიდებით, სათნოებითა და სიყვარულით ექცეოდა და ეკიდებოდა რევანს, თითქო მხოლოდ მაშინ, იმ დღეს გაიგო თუ ვინ იყო მისი ძმა! ძმა კი მეცნიერთა სახლში მისვლისას თავის რვეულში სწერდა:

... „ქაბუკობის ეამს ერთი ზაფხული ყაზბეგის მახლობლად ჩემი მეგობრის სოფელში სიონში გავატარე. საღამო ეამი იყო, დადებული მყინვარწყვრი და მთელი კაეკასიონი ჩამავალი მზის სხივებით გაშუქებული ჩანდა. მზით გაშუქებულ, დიდებულ მთებს თვალი ვერ მოვსწყვიტე. შორს, ძალიან შორს, ცის დასალოერთან ჩამავალი მზით გაშუქებული ვიწრო და სიფრიფანა ნათელი ღრუბელი სისხლში შესვრილი ხმალივით გაწოლილიყო და მას უფსკრულის პირას, ცად აწვდილი მთის ქიუხის კუნძულაზე წამომჭდარი დემონი გამოუთქმელი რაღაც დიდი ნაღველით ვასცქეროდა. მისი კუნთებდაგრაგნილი, კლდეზე ამოზრდილი სხეული, ქარიშხლისაგან, ქარბუქისა და გრივალისაგან დაღწილი, დაცხრილული ფრთები თითქო ქვისაგან გამოუქტრჩიათო კლდის ირგვლივ იისფერი ღრუბლები მიჯარულან, ხეებში ისე ჩაწოლილან და ჩაზვიუნლან, თითქოს იასამინისა და ძელშავის მტევნები საწნახელში გიდლებით ჩაუყრიათო. რამ დაამწუხრა დემონი ამრიგად? იგი არასოდეს არ ყოფილა ქალახუნა, ქლეკა და ცრემლიანი. სძულდა ოხვრითა და კენესით ელრიალი თარისა. მაგრამ დღეს იგი დაის და შორს ცის დასალოერთან გაწოლილ, სისხლისფრად შედგებულ ვრთადერთ ღრუბელს რაღაც მიუსაფარი, გატანჯული და ნაცემ კაცივით ღონემიხდილი გასცქეროდა, აღარ ჰზიბლავდა მარად მშფოთვარი, დაუდგრომელი თერგის რბენა, გრგვინვა და გრიალი. და როცა დაღამდა, მყინვარწყვრის თავზე მწუხრის ვარსკვლავი აღენთო, არემარე მკედარმა, უჩქამო სიჩუმემ მოიცივა, და ხევიში ძაღლებმა ყმეილი მორთეს,— დემონს თამარი, თამარის გარდაცვალება, ფრთადაცხრილული, დამსხვრეული

თავისი მიჯნურობა, საბედისწეროდ მისგან ხილული. ედემის მსგავსი ქართლის მთაბარი მოაგონდა, ცეცხლი შემოენთო და გული ნადველმა ატკინა. ასე იჭდა კავკასიონის ქედის კუნძულაზედ გატრუნული მარტოსული. იჭდა თამარის მშვენების, სისპეტაკისა და ცრემლების მიერ დამონებული, გაქვავებული, გულმოკლული და მივხვდი მაშინ რომ იგი არ იყო ბორბტ სულად, სატანად, მეფისტოფელად, დემონად წარმოსახული მაცნე, არამედ ადამიანი, ადამიანი ამაცი, განუხორციელებელი სიყვარულით დამარცხებული მარტოსულე, ასეთია ვრუბელის ფუნჯის ფერული—ლურჯი ფერებით დახატული ლერმონტოვის დემონი. ლერმონტოვისა და ვრუბელის დემონი არ არის ღმერთის წინააღმდეგ აჯანყებული გაუტეხელი, მთლიანი გმირი პრომეთე, არც ცივი გონების მქონე, ყველაფერში შეეპყებული, ყველაფრის უარყოფელი, დამცინავი, ცილის მწამებელი, ჭორიყანა, პროვოკატორი, მეფისტოფელი, სატანა, არც ივანე კარამაზოვის ორეული—უგვანო, შარახვეტია, შინგამოზრდილი, ცინიკოსი, სურდოშეყრილი პროვინციელი ეშმაკი. ლერმონტოვისა და ვრუბელის დემონი არ არის ღმერთისა და მსოფლიო წესრიგის წინააღმდეგი, მისთვის ნაცნობი სიყვარული, სევედა-ნადველი, ცრემლიც კი. იგი მშვენიერი თამარის საბასუხო სიყვარულის მოსურნეა, იგი ჭალს ეტუნება:

მინდა ზეცასთან შე შერიგება,
მსურს სიყვარული, ლოცვა, ვედრება.
მინდა ვირწმინთა მხოლოდ სიკეთე.

მაგრამ ეს აღსარება არსებითად მაინც საყვარელი ქალის მოხიბვლისათვის გამოყენებული ოქროპირობა, დეკლამაცია, მსახიობობა ვახლავთ და არა შინაგანი რწმენის ჭეშმარიტი გულისხმა და მახილი. მისგან სრულიად განსხვავდება თამარი — სილამაზის, ზნეობის, სისპეტაკისა და გულწრფელობის ხატი. ამ ორი სრულიად საწინააღმდეგო არსების შეუღლება შეუძლებელია. ლერმონტო-

ვის დემონი, პეჩორინი, პუშკინის ევგენი ონეგინი — თავის თავში შეყვარებულმა, ყველა საგან მიტოვებული, გარიყული და კაცთმოძულე მარტოსული ბაირონის მანტრედიდან, უფრო კი ჩაილდ პაროლდიდან მომდინარეობს. ის მარტოსული შემოქმედის მიერ ისეთი დიდი ნიჭითა და ძალით არის დახატული, რომ მისი იგნორირება, კომიკურ გმირად და ტაკიმასხარად გამოყვანა შეუძლებელია. დღესაც ისე, ვით თამარს: „მისი ამბორის სიკვდილის შხამი მკერდში მაშინვე კაცს ჩაელვრება“. პესიმისტური მსოფლმხედველობის მქონე, თავის თავში შეყვარებული და ჩაბირული, ამაცი, მედიდური, უიმედო, სიყვარულის უარყოფელი, კაცთმოძულე და ამის გამო კაცთაგან მიტოვებული მარტოსული ბოლოს ისე დაწერილმანდა, რომ ქულიკი ჩიჩიკოვის, სულით ავადმყოფი სტუდენტის ივანე კარამაზოვის და, ასე გასინჯეთ, ეპილეპსიით დაავადებული, უფიცი და უხამსი, დეგენერატი სმერდიაკოვის სახეც კი მიიღო. იგი ახლაც ბოგინებს, დაიტუზება ჩვენს შორის და სახეზე მსახიობის ყალბ ნიღაბს აღარ იფარებს, არ ოქროპირობს და თავს აღარ გვაწონებს. იგი მომავალი ომის მოლოდინით შეშინებული, ყველაფერზე ხელჩაქნეული, უიმედო, გაუპარსავი, თამამშვებული თვალებამღვრელი, გამოლენჩებული მორფინისტის, ან კიდევ ქარაფშუტა სტილიაგის, და სხვათა სახით გვევლინება. იგი ცხოვრებას დასციინის, მას არაფერი არა წამს, ყალბთამანდობს, ყველას უხირდება, ჯაშუშობს, ყველის ვაპარივით იღმიჭება, მაგრამ ის ურწმუნო, აწ დეგრაღირებული, ფეხმოქცეული და ნაცემ-ნაბეგვი ტაკიმასხარა, იმედია, სულ მალე ზედმეტ ბარგად იქცევა, გადაშენდება, ან სმერდიაკოვივით თავს ჩამოიხრჩობს“.

კვირის მეოთხე დღე — ოთხშაბათიც უქმე იყო. კოტე და არკადი მათმა მე-

გობარმა პროფესორმა, ცნობილმა ბიოლოგმა უტკევიჩმა სადილზე მიიპატიჟა. რევაზმა ქალაქში მარტო ისაილა, შინ აღრე დაბრუნდა, დაისვენა და მერმე, საღამოეკვამს, ჩვეულებრივად დასაძინებლად სარკმელთან დაჯდა, კროპოტკინის ქუჩას, მდინარე მოსკვა-რეკას და მის ნაპირზე გაშენებულ პატარა ეზოებიდან ქონხაზე გაჰყავდა. იმ ქონხაზეში, უმთავრესად, ხელოსნები: კალატოზები, ღურგლები, მღებავები, მრეცხავები ცხოვრობდნენ.

გახსნილი კირით შეთეთრებული ერთი ქონხის პატარა ეზოს ვერხვის ქვეშ ხელოსნები, მათი ცოლები ისხდნენ, პურსა სკამდნენ, ქეიფობდნენ და აკორდეონის აკომპანიმენტზე რუსულ ხალხურ სიმღერებს ჩინებულად ამბობდნენ. სოფლებიდან ქალაქში ჩამოსულ ამ მშრომელ ადამიანებს თან ჩამოეტანათ რუსეთის მიწისა და ხალხის სინედლე, რუსული ხალხური სიმღერების ჯადო, ეშხი და მშვენიება. იმ ეშხითა და სილამაზით მოხიბულულ რევაზს მოეჩვენა, თითქოს არა მოსკოვში, არამედ მის მახლობლად მდებარე სოფელში იმყოფება, თითქოს არაყის, ვერხვის, ნეკერჩხლის, ნაძვისა, და ფიჭვის ტყეებს, თვალუწვდენ ტრამალებს სკერეტს, ხის ქერქის, ზავის, სოკოს, ნეშომპალისა და მინდვრის ყვავილთა სურნელებს სცემს, დაპურებულ ყანაში მწყურთა ვადაძახილი, ქვიტქვიტი და ცაში ზარსაებრ ტოროლას წკრიალი მოესმისო... მაშინ არა მარტო კროპოტკინის ქუჩის მახლობლად, მდინარე მოსკვა-რეკას იქითა ნაპირი — „ზამოსკოვრეჩი“, „ლუენიკი“, „ვორობიოვი გორი“, არამედ ქალაქის სხვა გარეუბანიც მართლა სოფელსა ჰგავდა, მაგრამ რუსეთის ძველი დედაქალაქი დღედღეზე იზრდებოდა, მზრებს შლიდა, მიწის ქვეშ მეტროსათვის გვირაბები გაყავდათ, ვეება ქარხნებს, მრავალსართულიან სახლებს აგებდა და სოფლისმაგვარ იმ გარეუბნებს, ეტყობოდა, სულ მალე შთანთქავდა. უკვე ჩნდებოდნენ რკინა-ბეტონისა და მინის მასა-

ლისაგან ახალი კონსტრუქციით აგებული მრავალსართულიანი მაღლივი შენობები — ცათამბჯენები. შით უფრო შესამჩნევი იყო მომავალი გიგანტური ქალაქისა და დასაგრველ განწირული სოფლისმაგვარი უბნების კონტრასტი. ბოლოს ხალხური ერთი უბრალო, გულუბრყვილო, კავშიანი სიმღერა ჩაწვდა გულში რევაზს და მან დააღონა. თეთრ კაბაში გამოწყობილი, შუახნის ქერა ქალი გამყივანი პირველი ზმით გულსაკლავად მღეროდა. მეზობელი მოძახილს ეუბნებოდა, ხოლო უშნოდ აწოწილი, ხრიკიტარა ვილაც ხელოსანი კი ბანსა:

Неужели не жаль, неужели не жаль?
Солнце скрылось от нас за горойо!

მომღერალთა გვერდით მგდარი ღურჯ ხალათსა და ჩექმეში გამოწყობილი, მზეზე გატრუსული, გრძელულვაშიანი ერთი კაცი უმწეოდ ტიროდა და ცრემლს საჩვენებელი თითით იწმენდდა. ეტყობოდა, ქალებს სიამოვნებდათ მათი სიმღერა არაყმორეულ იმ მამაკაცზე ამრიგად რომ მოქმედებდა! ისინი სიმღერას აღარ ათავებდნენ. რევაზს გაუკვირდა, ქალებს სასიმღერო ლექსის ამოდენა ტექსტი რომ დაეუბი-რებოდათ, მაგრამ ბოლოს სიმღერის წამომწყებ ქალს ლექსის მარაგი გამოელღია და ახლა იგი პირველ სიმღერაზე არანაკლებ ნაღვლიანი მეორე სოფლური, სენტიმენტალური სიმღერის მიამიტ სიტყვებს დაესესხა:

„მე არ დავიწვებ ტირილს და გლოვას,
ვიცი მყენური არ დაბრუნდება“.

ახლა კი აქვითინდა ხელოსანი, სახე დაედრიჯა და ამოგმინა:

— არ დაბრუნდება, არ დაბრუნდება!
„ესეც ვით მე, დაკარგულ სიყვარულს მისტირის“, — გაიფიქრა რევაზმა, უნებლიედ გაეღიმა და მაშინვე თავისი ღმილითა შერცხვა: — სხვას რომ ჩემს დაღუპულ სიყვარულზე გაეღიმოს კარგი იქნება? მაგრამ იმ კაცივით ხალ-

ო, ნუთუ, ნუთუ არ გინანება?
მზე დავემილა მთის იქით ჩვენა!

ხში კვითინს თუ დავიწყებდი, მეც დაციხვის ღირსი ვიქნებოდიო, — პასუხი გასცა დასმულ კითხვას რევაზმა და ისევ პატარა ეზოში მოქეიფე ზელოსნებისაკენ გაიხედა.

პირველ ხმაზე მგალობელი ქალის სიმღერით გულაჩუყებული ზელოსანი ისევ ტიროდა, იგი მთლად მოეშვა და მოიშალა, მომღერალ ქალს მოეხვია, კისერზე ჩამოეკიდა და ტირილი და მოთქმა განაგრძო:

— აღარ დამიბრუნდება ჩემი ლენა, აღარ დამიბრუნდება!

წვერიანმა ბრგე ვაეკაცმა შესძახა:

— ნუ ღრიალბე მიშა, ტკბილ სუფრას ნუ წაგვაშწარებ, გასწორდი, ფორმაში ჩადექი, ჩემს ქალს მოეშვი, თორემ მიგბეგვავ!

— როგორ თუ მიბეგვავ მასპინძელი კაცი სტუმარს?! რას ერჩი, ბორია? მაგის საცოლე ხომ ამ მოსკვა-რეკვაში დაიღუპა. ცოდეა, — შეაცოდა მოხუცმა კაცმა მასპინძელს მთვრალი და ნერვებმოშლილი მიშა.

— ვიცი რომ მასპინძელი ვარ, ჩემო ნიკიტა, ისიც კარგად ვიცი, რომ მიშას ამ მდინარეში დაეღუპა ლენა ნიშნობის მერე დღეს. მაგრამ მას შემდეგ ხომ ათი წელი გავიდა! არ უნდა გაათავოს მოთქმა და ტირილი?! — მიუგო მასპინძელმა ბორიამ და განაგრძო: — „ბრმა ლობეს მიადგა, შენს იქით გზა არსით მაქვსო“, სულ ასე უნდა იძახოს? ჩემი ქალის კისერზე ჩამოკიდებას ისა სჯობია თვალი გაახილოს, სხვა ქალს შეხედოს, ხელი ჩასჭიდოს და ოჯახს მოეკიდოს.

— ან რა ისეთი მზეთუნახავი ის იყო, ის უბედურ დღეზე გაჩენილი მრეცხავი ქალი ლენა! — მიეზრო მასპინძელს პირმცინარე ვილაც ჭუჭა ოსტატი.

— მაგას ნუ იტყვი, — არ მოუწონა მოხუცმა ნიკიტამ, — „ვისაც ვინ უყვარს, იმისი ლამაზი ის არის“.

მიშამ ნიკიტას შეხედა, თანხმობისა და მადლობის ნიშნად ხელზე აკოცა. მერე ჩამავალი მზის ვეება წითელ ბო-

რბალს მიამტვრდა, თავი ასწია და ცას ძალღივით შეტყუველა:

— ლენოჩკა, საბრალო! — ჩემო ქალენოჩკა!

— ნუ ღრიალბე და ნუ ყმუი! ავი გაფრთხილე, ლხენას ტირილად ნუ გადამიტყევი, თორემ მიგბეგვავ-მეთქი! — ისევ გააფრთხილა მასპინძელმა. მაგრამ გადამთვრალ მიშას უკვე აღარ ესმოდა მასპინძლის გაფრთხილება და მოთქმას და ყმუილს უმატა. მას მეზობლის ძალი აჰყვა. ავის მომასწავებელმა ყმუილმა მასპინძელს თავზარი დასცა:

— ხმა ჩაიწყვიტე, გაჩუმიდი! რა უბედურებას უქადი ჩემს სახლს მაგ ყმუილითა!? — შესძახა მან მიშას. აზრწართმეულმა მთვრალმა სტუმარმა არ ვაუგონა. — წალი მე შენი, — შეუკურთხა მოთმინებიდან გამოსულმა მასპინძელმა ბორიამ სტუმარს. წამოიჭრა, ყელში სწვდა, სკამზე წამოაყენა და გვერდებში მუშტები მისცხო, მთვრალი სტუმარი წაიქცა, ქვას თავი დაჰკრა და ფეხები მიცვალბულსაებრ გასკვიმა. ქალებმა კივილი ამორთეს. ყველანი წამოიშალნენ.

რევაზის კეთილშობილი სული ისევ აღმოფოთდა. რევაზი გალახულის მისამველებლად სარკმლიდან კინალამ არ გადახატა, მაგრამ მოსკოვის ზოობაღსა და სოფელ მიტიშჩში რკინიგზის სადგურზე მომხდარი სკანდალის მერე მისი გაფრთხილება მოაგონდა: „თუ სხვათა გამოსარჩლებას, სხვის ქოთანში უტარო კოვზივით ჩავარდნას თავს არ გაანებებ ერთხელაც იქნება კიდეც ხიფათს გადაყრი, ჩვენს შორის ერთ-ერთმა მოსკოვი უნდა დატოვოს“. ეს მოაგონდა რევაზს და ზელოსანთა ჩხუბში ჩარევას თავი გაანება. ამჟამად მაყურებლის როლით დაკმაყოფილდა. მასპინძელმა ჩაიჩოქა, გონდაკარგულ მეგობარს დაეკვიტა, შეანჯღრია, მაგრამ ვერ გამოაფხიზლა. მაშინ სილები გააწნა, შედეგი არც ამას მოჰყოლია.

— არაყით გალახულს ჯონით გალახუ-

ლი სჯობს, — უთხრა მოხუცმა ნიკიტამ მასპინძელს.

მასპინძელმა ვალახულ სტუმარს თავზე ჭრილობა, სისხლი შენიშნა, სისხლის დანახვებზე შეკრთა, შეშინდა, სტუმარი შეეცოდა და ცრემლი მოერია, ახლა ამან დაიწყო ტირილი. ვალახულს მკერდზე დააკვდა, ჩაჰკოცნა და ჩასძახა:

— თვალი ვაახილე მიშა, მიშენკა! მაპატიე, ძამიკო! რას გერჩოდო, უბედური ლენას დატირებისთვის რომ გცემე!? უხ, უხ, — იძახოდა მასპინძელი და თავში მუშტებს იშენდა, მაგრამ გონებადაკარგულ მთვრალს აღარაფერი აღარ ესმოდა და ვერაფერს ვერ გრძნობდა.

— როდესაც მასპინძელმა ტირილით გული იჭრა, მაშინვე მეგობარი წამოაყენა, მორიგით მხარზე გაიდო, ჭოხამდე ბაჭბაჭით მიიტანა და კედელთან მდგომ ტახტზე მიცვალებულივით დაასვენა.

— „ჭერი-პა, როგორი უცნაური კაცი ყოფილა ეგ მასპინძელი! ჯერ იყო და, სტუმარი, თავისი მეგობარი ვალახა, მიასიკვდილა, შერმე კი შეეცოდა, ჩაჰკოცნა, დატირდა, დახმარება აღმოუჩინა“, — გაიფიქრა რევზამ და იმ რუსი კაცის ხასიათის ორმაგობამ გააოცა.

სალამო ეპი იყო. კროპოტკინის ქუჩის მეორე მხარის ნაპირთან მდინარე მოსკვა-რეკა აუჩქარებლად, მდორედ, ნელა მიედინებოდა და იგი ქალაქში მიმდინარე ახალი, მჩქეფარე ცხოვრების ტემპისა და დინამიკის მიმართ სრულ კონტრასტს წარმოადგენდა. ქალაქის გარეუბნებსა და მდინარე მოსკვა-რეკას სანაპირო ადგილებში ჯერ კიდევ ხელსახები იყო ძველი მოსკოვი და მისი ცხოვრება.

• • •

ღილით კოტე, არკადი და რევზაი ქალაქს გარეთ ტომირიაზევის სახელობის ბიოსადგურის დასათვალაირებლად გამგზავრნენ. ნორჩი ნატურალისტების ეს ბიოსადგური მოსკოვის გარეუბანში, სოფელ სოკოლნიკში, მდინარე მოსკვა-რეკას შენაკადის იაუ-

ზის პირას გაეშენებიათ, მასთან თანაურად, კომუნისტური ახალგაზრდობის სკოლა და ბავშვთა ბაღი გაეწყობა. ბიოსადგურისათვის სოფელში მიწის საკმაოდ დიდი ფართობი გამოეყოთ, სადაც ნორჩი ნატურალისტების მიერ ახალი ჭიშის გამოსაყვანად, მიწურიანის ცდების კვალობაზე, მარცვლეულის, ბოსტნეულისა და ხეხილის დამყნა, შეჯვარება, სელექცია ტარდებოდა. ბიოსადგურის ძირითად პრინციპს ბუნების უშუალო შესწავლა წარმოადგენდა. სადგური მხარეთმცოდნეობის ხასიათს ატარებდა და გამოყენებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აქ მისდევდნენ მეზინდერობას, მებაღეობას, მებოსტნეობას, მესაქონლეობას, მეფუტკრეობას, მეფრინველეობას, ნადირთჭერას (ბეწვეულისათვის), სოფლის მეურნეობის მანებელთა აღნაგობის, ჩვევებისა და რეფლექსების შესწავლასა და მათ მოსპობას. სადგური ამზადებდა სოფლის მეურნეობისათვის კვალიფიციურებულ მუშაკებს, უნერგავდა მათ პრაქტიკულ ცოდნას, უღვიძებდა ბუნებასთან უშუალო მიდგომის უნარს. ბიოსადგურისათვის გამოყოფილი მიწის ფართობი დაყოფილი იყო უბნებად. შენდებოდა ნაკრძალი. აგებული იყო მეტეოროლოგიური სადგური, ლაბორატორია, ერთი სიტყვით, ბუნების უშუალო შესწავლას ბიოსადგურში ყვარი საფუძველი ჰქონდა ჩაყრილი. აქ იწრთობოდნენ სოფლის მეურნეობის არმიის მომავალი კადრები.

რევზაი ღიმილით შესცქეროდა სადგურის ფართობებზე მოფუსფუსე წითელ სახვევიან მზეზე გატრუსულ პიონერებსა და კომკავშირელებს, ბიოლოგიის საკითხების შემსწავლელ მოწაფეებს, გოგო-ბიჭებს, მათ ჰკვიან სახეებს, რწმენით საესე, აგზნებულ ცისფერ თვალებს, რომლითაც ისინი თავისი ქვეყნის დიად მომავალს იმედით შესცქეროდნენ.

რევზამა შეიშურვა ცოდნით აღჭურვილი ის საქმიანი ნორჩი ნატურალისტები. მზეზე დატრუსულ, კორფლიან,

ცისფერთვალზეა აკანქულ ბიჭებს ხელი მოჰხვია და მათთან ერთად მდინარე იაუზის ნაპირისაკენ გასწია, თითქო არყის ტყეში ჟოლოსა და სოკოს საკრეფად მიდიანო... ლენინგრადის ერთ-ერთი ქარხნის ახალგაზრდა მუშებს შორის მდგარმა და მერმე კი აქ ბიოსადგურის ამ ნორჩი ნატურალისტებისაგან გარსშემორტყმულმა რევანმა ყველაზე უფრო ნათლად იგრძნო ახალი, სოციალისტური რუსეთის ცხოვრების მაჯისცემა.

რევანის სურვილი იყო ისე, როგორც რუსეთში ახალგაზრდა მუშები, მოსწავლე ახალგაზრდობა, კომკავშირლები და პიონერები, ასევე საქართველოს ახალგაზრდობაც შრომის ფერხულში მათებრ უკლებლივ ჩაბმულიყო.

რევანს კარგად ესმოდა, როგორი დიდი პატრიოტული გრძნობა, შეგნება და სიმბტიცე უნდა გამოეჩინა ისტორიულ ბედუკუღმართობით საუკუნეთა მანძილზე წელში გატეხილ, ტრამვირებულ ქართველ კაცს, კალაპოტიდან რომ არ ამოვარდნილიყო, ყველაფერზე ხელი არ ჩაეჭნია, ჭკუა-გონება, ზნე და ნებისყოფა გამოეჩინა და შრომის დიდება ერწმუნებია. ამიტომ იყო, ასეთი თავგამოდებით რომ ებრძოდა სამშობლოს წინაშე უპასუხისმგებლო, ყველაფერზე ხელჩაქნეულ, უსაქმურ, ფუქსავატსა და მუდამ ქეიფს, დროსტარებას, სიმღერასა და ცეკვა-თამაშს ვადაყოლილი ჩვენი ახალგაზრდობის და არა მარტო ახალგაზრდობის საკმაოდ მრავალრიცხოვან ნაწილს. რევანის სურვილი იყო ქართველ ახალგაზრდობას ხელი გამოეღო, მონობაში დიდხანს მყოფ და ამის გამო ჩამორჩენილ, აწ კი თანამედროვე კაცობრიობის გონებრივი წინსვლისა და კულტურულს განვითარების გზაზე შემდგარ თავის ხალხს მიშველებოდა, გამოდგომოდა, რათა საქართველო სხვა ხალხებს არ ჩამორჩენოდა და ისტორიის ჩიხში არ აღმოჩენილიყო. ამისათვის საჭირო იყო გონებისა და

ნების დაძაბვა და რაც მთავარია — შრომა, შრომა და კიდევ შრომა.

გონიერებისა

* * *

აგვისტოს ბოლო რიცხვებში, წითელ მოედანზე, რევოლუციის მუზეუმის წინ რევანში ზინას უმცროს დას ლენას შეეფეთა. ლენა მახლობელ, საყვარელ კაცსავით მიეფოფინა და არა მარტო თავისი თაფლისფერი, ყუყუნა თვალეზითა და ლაწვების ლამაზი ღრმულეზით არამედ სახის ყოველი ნაკეთით შესცინოდა და შესციცინებდა რევანს. ასეთი უშუალო, გულთბილი შეხვედრა ცხოვრების მოყვარულ, გულღია, კეთილ და უბოროტო, ბედნიერ ადამიანებს სჩვევიათ. ლენამ თავისი მეგობრები — ლენინგრადელი სტუდენტი გოგონები გააცნო რევანს. გოგონები რკინიგზის ინსტიტუტის ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. მათი შავი ქურთუკის ვერცხლისფერ ღილებზე ამოლებული ორთქლმავალი იყო ამოტვიფრული და გამობატული.

— რევან ელიზბარის ძეგ, თქვენ ისევე მოსკოვში ბრძანდებით!? — გაუკვირდა ლენას და დაძინა: — ზინას კი თბილისში ეგულეებით. იქ გიგზავნით წერილებს.

— საქართველოში ზეგ ან მანუგ გავემგზავრები, — აცნობა რევანმა ლენას და ჰკითხა: — თქვენ რისთვის ჩამოსულხართ მოსკოვში? ექსკურსიზზე?

— არა, სიცილით მიუგო ლენამ. — მე და აი ეგ ჩემი მეგობრები საგზურით ყირიმში მივემგზავრებით. ჩვენი მტარებელი მოსკოვში ოთხ საათს ჩერდება. ქალაქს ვათავლიერებთ. — ლენამ მაჯის საათს დახედა და განაგრძო: — ჩვენი სეირნობის დრო იწურება!

— სატრანზიტო მგზავრები ყოფილხართ. მე და ზინაც ასეთები ვიყავით, როდესაც ბათუმიდან ლენინგრადში მივემგზავრებოდით და მოსკოვს ექვსი საათი დავყავით, — შენიშნა რევანმა

და ჰკითხა: — თქვენები როგორ არიან? ზინა რასა შერება?

— გმადლობთ, რევაზ ელიზბარის ძვე, ყველანი კარგად არიან. მხოლოდ ლენინგრადიდან თქვენი წასვლის მერმე ზინა ძალიან დანაღვლიანდა. ვერა ვცნობთ, იგი თქვენს წერილებს ცის მანანასავით ელოდება და მათ მიღებას ვერ ელირსა. თავად კი ოთახში ჩაკეტილი ვრცელ წერილებს გწერთ და თბილისში გიგზავნით, — მიუგო ლენამ და მაშინვე მიხვდა, ზედმეტი რომ წამოცდა, შერცხვა და გაწითლდა. რევაზმა კი გაიფიქრა: ლენა ზინას სატრფიალო საქმეებში ჩახედული ყოფილაო, დაიბნა და ისე მიუგო:

— სიმართლე ვითხრათ, წერილების წერის მოყვარული კაცი არა ვარ. მაინც მივწერე ორი წერილი მოსკოვში ჩამოსვლის მერმე ზინას, მესამეს კი ხვალ გავუგზავნი... ბევრი წერილის წერა მეგობრობის მაჩვენებელი როდია...

ლენას ზინასებრ ეშმაკურად გაეღიმა, ამოდენა კაცი მის წინაშე რომ შეცბა, თავის მართლება და მიაშიტივით აბნეული ლულული დაიწყო. ხელი მაგრად ჩამოართვა და უთხრა:

— ჩვენი წასვლის დროა, სადგურზე მიგვეჩქარება, ნახვამდის! — მერმე თვლებში მიაშტერდა, ისევე გაწითლდა დარცხვენით ვაუღიმა და განაგრძო: — არც მე ვარ წერილების წერის მოყვარული ქალი, მაგრამ მეგობართა შორის დუმილიც არ ვარგა, რევაზ ელიზბარის ძვე, მისწერეთ ზინას წერილები, მისწერეთ, გემუდარებით, ცოდევა...

რევაზისათვის ნათელი ვახდა, თუ რა ცეცხლი დატრიალებულა ზინას გულში ლენინგრადიდან მისი წამოსვლისა და დუმილის გამო და ლენას მაშინვე შეპაპირდა:

— დღესვე მივწერ, დღესვე გავუგზავნი წერილს.

გოგონების წასვლის მერმე რევაზმა ქუჩა ვადასპრა და სასტუმრო „გრანდ ოტელისაკენ“ გასწია. გზაზე ფიქრობდა: „პირველ წერილში ზინას ვატყო-

ბინებდი, მალე თბილისში გავემგზავრები და იქ მომწერე-მეთქი, სწორედ ამ მეგონა, მოსკოვში აგვისტოს ბოლომდე თუ დავრჩებოდი. თბილისში ალბათ ზინას წერილების მთელი დასტა დამხვდება. ჩემდამი მეგობრობა ზინას ჩემდამი სიყვარულში გადაეხარდა. სწორედ ეგ მაშინებდა. ეგ რომ არ მომხდარიყო, ათასგვარ ზომას ვღებულობდი: ჩემს თავს ზინას, ხშირად განზრახვარულდ სარკეში ვაჩვენებდი, მაგრამ ამოდს! ახლა არ ვიცი, როგორ მოვიქცე! ერთი რამ კი კარგად ვიცი, რომ ჩვენ უფლება არა გვაქვს ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს იგი, დავეცინოთ, დავჩაგროთ და მის გრძობას ავღებულად მოვექცეთ. დიახ, ზინა ახლა ჩემთვის გადაუჭრელ პრობლემად იქცა. ეტყობა, მან ჩემს ხელში უნდა მოიხადოს ის სენი, რომელსაც პირველი სიყვარული ჰქვია. გამოვდგები კი იმ სენის მკურნალად!“

ლენამ სადგურზე მისვლისთანავე ზინას წერილი მისწერა და აცნობა: რევაზი მოსკოვში ენახე, ზევ საქართველოში მიემგზავრებაო. ამ ცნობამ ზინა ერთთავად ააფორიაქა: „რევაზი ამდენხანს მოსკოვში ყოფილა და ვერ გამოიგია, რატომ ეს ამბავი მე არ მაცნობა და წერილი არ მომწერა!? რისთვის გამიბრბის, რა დავუშავე? მართალი უთქვამთ: „თვალი თვალსა მოშორდების, გული გადასხვაფერდებისო“, — ისევე გაიფიქრა ზინამ და მწარედ აჭვითინდა. ამ დღის მერმე ზინამ ისევე თბილისის მისამართით განაგრძო სახუცედურებითა და სასოწარკვეთით სავსე წერილებით რევაზის დაბობხვა.

* * *

ოც აგვისტოს კოტემ და რევაზმა უფროსი ძმის ზურაბისაგან ავისმალუწყებელი დებეშა მიიღეს: „დღედა უკანასკნელ დღეშია, შენ თუ ვერ შობხერხო, რეზო მაინც უსიკვდილოდ ჩამოვიდეს. დედას ძლიერ ენატრება მისი ნახვა. იქნებ ცოცხალს ჩამოუსწროს.“

ხანმოკლე თათბირის მერმე კოტემ რევებს უთხრა:

— ზურაბს გადაჭარბება და ყველაფრის გაზვიადება უყვარს. რუსეთში ჩვენი წამოსვლის წინ, ხომ გახსოვს: ექიმებმა დაბეჭითებით გვიოხრეს: ავადმყოფი, ჩვენი შეტყობით, კიდევ სამ-ოთხ თვეს მაინც იცოცხლებსო. რუსეთში ჩვენი წამოსვლის შემდეგ კი თვენახევარიც არ გასულა და ნუთუ ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფობა ამრიგად გაუარესდა? მოდი, ხვალვე გაემგზავრე საქართველოში. ჩასვლისთანავე დეპეშით მაცნობე ნამდვილი ვითარება და თუ ზურაბი ამ დეპეშით მართალს გვეუბნება, მაშინვე მეც საქართველოში გამოვწვიე.

რევებს არ მოეწონა, კოტე რომ მერყეობდა, ფეხს იორეცდა, უკან დასახვევხან იტოვებდა, მოსკოვში რჩებოდა და მას საქართველოში მარტო ისტუმრებდა, მაგრამ კამათი აღარ დაუწყო და რადგან თბილისში მიმავალი თვითმფრინავი ხუთი დღის მერმე იქნებოდა, რკინიგზის ბილეთის შესაძენად ქალაქში წავიდა. სასტუმრო „მეტროპოლის“ ჰქვდა სართულზე მოთავსებულ რკინიგზის საქალაქო სალაროში ხვალისათვის ბილეთი არ აღმოჩნდა, ბილეთის შოვნა, ისიც მესამე კლასისა, მხოლოდ მწერალთა კავშირის კანცელარიის ყოვლის შემძლე გამგის საშუალებით მოხერხდა. ბილეთის შოვნა რევებსა ძმას რკინიგზის საქალაქო სალაროდან ტელეფონით აცნობა.

ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრის წინ გაშენებულ სკვერში რევებს შიო ბოკუჩავა და მისი ქარაფშუტა მდივანი — მსახიობი ბიქტორ სიხარულიძე შეეყარნენ. ისინი გუშინ დილით ჩამოსულიყვნენ ლენინგრადიდან და „მეტროპოლის“ დაეჭირათ ნომერი. რევების დედის ამბავმა დიდად დაამწუხრა შიო. სკვერში, ხის ქვეშ გრძელ სკამზე დასხდნენ და როდესაც საქართველოზე საუბრით გული იჭერეს, „მეტროპოლის“ რესტორანში შევიდნენ და ვახშაშში გადაზრდილ, დაგვიანებულ სა-

დილს შეექცნენ. რევები ცუდ გუნებაზე იყო. დარდის გასაქარებელად კონიაკს მიეძალა და აღრე დაითრთ. ბიქტორმა ნაცნობი მსახიობი ქალი მოიყვანა, იგი მასთან ერთად რესტორნის შუა დარბაზში გაშენებულ შადრევნიანი აუზის გარშემო ცეკვავდა. დარბაზი ისეთი მაღალკერიანი იყო, რომ ხუთსართულიანი სასტუმროსკენ მიქცეული მისი მინის კედლის მიღმა ნათლად ჩანდა, როგორ აღიოდა და ჩამოდიოდა ხალხით სავსე ლიფტი. დღეს რესტორნის დარბაზში სავახშოდ მოსულთა ყურადღების ცენტრში რევები აღმოჩნდა. ბორბლებზე შემდგარ საზიდ-ურკით საჩუქრების დამტარებელ ქალისაგან რევები ფერად-ფერად ბუშტებს ყიდულობდა, ქვეშ თოკით ქალაქის დაგრეხილ ხელსახოცს აბამდა, ხელსახოცს ცეცხლს უკიდებდა და გუმბათოვან, მაღალკერიან დარბაზში ბუშტებს ისე უშვებდა. მაღლა ასული ფერადი ბუშტები ჭერს ებჯინებოდნენ და იქ ცეცხლის ალისაგან გამსკდარნი ყუმბარასავით, გრივად ედნენ. აქა-იქ მაგიდასთან შეშინებული ქალების კივილი გაისმა. რესტორნის გამგე, ერთი ახმახი და მსუქანი ქერა კაცი ქართველების მაგიდას მიუჯდა და რევებს სთხოვა: ცეცხლმოღებულ ბუშტებს დარბაზში ნუ გაუშვებთ, რადგან სტუმრების, განსაკუთრებით კი ქალების პანიკას იწვევს და თანაც ხანძრის მხრივ საშიშიაო. ეგ თამაში სრულიად უვნებელია, ხანძრის მხრივ კი არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. იგი თქვენი რესტორნიდან ხალხს კი არ განდევნის, არამედ პირიქით — მიიზიდავსო. — მიუგო რევებსა და რესტორნის გამგეს მანამდე არ მოეშვა, სანამ ცეცხლშენებულ ფერადი ბუშტი დარბაზში თავად მას არ გააშვებინა.

რევები ნაშუალამევს მივიდა შინ. წინა შესასვლელი კარები დაკეტილი დაუხვედა და ზარის რეკვასა და კაკუნს მოერიდა, რადგან მეცნიერთა სახლში ხმაურობა, ხმამაღლა ლაპარაკი აკრძალული იყო. მობინადრენი ერთმანეთს ჩურჩულით ესაუბრებოდნენ და დერეფნის

ხალიჩადაფენილ იატაკზეც კი ფეხაკრეფით დადიოდნენ, რათა მეცნიერებს მუშაობასა და დასვენებაში ხელი არ შეშლოდათ. რევაში მალალი ლობის რკინის ჭიშკარს მიადგა. ესეც დაკეტილი დაუხედა. გაბრაზდა, შეხტა, ჭიშკრის თავზე აღმართულ შუბებს ხელი წაავლო, აიწია და ეზოში ჩახტა. ხალიჩადაფენილი დერეფანი მანაც მეცნიერსაებრ ფეხაკრეფით გაიარა და ძმის ოთახის კარებზე გაუბეღა და ჩუმად დააკაკუნა. ბოლოს ძმამ კარი გაუღო, არყის სუნი ეცა და გაჰკიცხა:

— სად ვაიღეშე, ბიჭო. ამრიად?

განა არ იცი, ამ სახლში ნაშუადღამევს, ისიც ნასვამი მოსვლა რომ აკრძალულია! ვინ ვაგიღო კარი?

— კარი არავის არ გაუღია. თავად გადმოვფრინდი ჭიშკარზე, — ღიმილით მიუგო რევამ.

— როგორ გადმოდი ასეთ მალალ ჭიშკარზე ნასვამი კაცი! კარგია, შუბებს რომ არ წამოეგე! — გაოცდა და შეშინდა კოტე.

— მაშ რა ჭირის მოგარჩიშე ვარ, ჭიშკარი თუ ვერ გადავლახე! — ჭაბუკის მედიდურობით შენიშნა რევამ. კოტემ ჰკითხა:

— ბილეთი ხომ არ დავიკარგავს?

— ბილეთი აქა მატვს, გულჯიბეში. ხვალ მესამე კლასის ვეგონით წავრახნდება საბრალო დედისაკენ. ნეტავ ცოცხალს ჩავესწრებდე. — მიუგო დამწუხრებულმა რევამ და ლოგინში ჩაწოლილ ძმას თავზე დაადგა. კოტემ შეატყო, დედაზე საუბარს, გულის გადახსნას რომ აპირებდა დარდითა და შავარი სასმელით ნერვებმოშლილი რევაში და არ აცალა:

— პირში ენას ძივს აბრუნებ, წადი დაწე და დაიძინე. ძილი აღარ გეყოფა. დილის სამი საათია. აღრე უნდა ავღვეთ, რადგან ცხრა საათზე უკვე ოთახების დალაგება იწყება.

— რევას მხოლოდ დილის ათ საათზე გაეღვამა. საშინლად ტკიოდა თავი. ადგა, პირი დაიბანა, კოსტუმი ჩაიცვა და მეცნიერთა სახლის დიდ ეზო-

ში გავიდა. ეზოს შუა ადგილას ერთადერთი ხის — ნეკერჩხლის ძირას, გრძელ სკამზე კოტე, არკადი და მცნობი ვიღაც შუახნის კაცი ისხდნენ და საუბრობდნენ. რევაში წელათრევით გაეშურა და ნაკეში კაცივით მათთან შორიახლო გაჩერდა. კოტემ უცნობ კაცს გააცნო:

— იცნობდეთ, ეს ჩემი ძმა გახლავთ, შწერალი, — მერმე რევას ის სათვალისანი, კუშტი, ქერა კაცი წარუდგინა: — დოქტორი ნიკოლოზ პავლეს ძე კოლესნიკოვი, ზოოლოგი, — მერმე დოქტორს გაუღიმა და უთხრა: — გუშინ ამ ვაქცინამა ზედმეტი მიირთვა და დღეს ფორმასი ვერ არის.

— ზღება ხოლმე. შწერლები სმის ოსტატები არიან, — დაადგინა ზოოლოგიის დოქტორმა კოლესნიკოვმა.

— შწერლებს გააჩნია, ზოგი შწერალი ზოგ ბიოლოგს სმაში ვერ გაეჭირება, — უღიმამოდ მიუგო რევამ და დადუმდა. ისევ საშინლად ტკიოდა თავი, კამათის თავი არა ჰქონდა. გულს გამოუთქმელი რაღაც ნაღველი უღრღინდა. არაფერი აღარ ახარებდა, არაფერი და არავინ აღარ მოსწონდა. არც თავისი ღვიძლი ძმა კოტე, საეჭვო ვიღაც მეცნიერის წინაშე რომ კოხტაობდა, თავს აწონებდა, მლიქნელობდა, მოსკოვში იმისთვის რჩებოდა. პროფესორ უტკევიჩისათვის რომ პატივი ეცა, საჩუქრებით მოეთაფლა და მისი წყალობით სადოქტორო დისერტაცია დაეცვა და კარიერა გაეკეთებია. არც ეს გაჭართველებული ვერმანელი მოხუცი არკადი ზერმანი მოსწონდა. თავის მიკროსამყაროში ჩაკეტილი, ზერეფე და პედანტი მეცნიერი. ბოტანიკოსი, კოტეს მონა და შორჩილი. არც თავისი საკუთარი თავი მოსწონდა, დედის მძიმე ავადმყოფობის ეამს რუსეთში რომ წამოვიდა და ახლა იქ უმიზნოდ დაეხეტებოდა, რესტორნებში ჭეიფობდა... არც ვაი მეცნიერთა ეს გულისდამღონებელი, ყაზარმისმავარი, დაბალი და ყვითელი სახლი, ეს უბალა-

ხო, გაფხეილი ეზო, გაყანგული და ძველისძველი რკინის ქიშკარი, რომელზედაც გუშინ შარახვეტია კაცივით გადაბობლდა.

ავვისტოს ბოლო იყო მოსკოვში უკვე საგრძნობლად ციოდა. დღესაც ცივი ქარი უბერავდა. ქარმა ეზოში თბლად მდგარ ნეკერჩხალზე ყვითელი, ზემეში ფრთები ჩამობერტყა და შორს გააფრინა. ქარის კენესასა და ზუილს ქალაქის თავზე გამოჩენილი ყვავ-ყორნების ჩხავილი მოჰყვა. რევანმა ცას აძხედა. მოსკოვის ცაზე ჩამოწილილი ტყვიისფერი ღრუბლები ერთ ადგილას გარდვეულიყვნენ და იქიდან, ვით პატარა სწრკმილიან შუქდამცხრალი მზე ძლიესდა იჭვრიტებოდა. მისი ცივი სხივები დედაშიწას და ადამიანს ველარ ათბობდა.

Уж небо осенью дышало,

Уж реже солнышко блистало...¹

გაფიქრა რევანმა და ტანში გააეროლა, მხრები აიჩეჩა და პიჯაკის საყულო აიწია.

დღეს, ოცდაოთხ ავვისტოს მოღრუბლულსა და ცივ საღამოს კოტემ და არკადიმ რევანზე კურსკის სადგურზე გააცილეს. რევანმა მესამე კლასის ბნელი და ბებრეკა ვაგონის საწოლ ფიცარზე თავისი ჩემოდანი დააგდო, კედელზე საზაფხულო მოსასხამი ჩამოჰკიდა, მერმე ვაგონიდან ჩამოვიდა და ბაქანზე მდგარ კოტესთან და არკადისთან მივიდა. ყველანი გულმოკლული დუმდნენ. რევანზე ისევ წუხდა და ჩუმად ბრაზობდა, ზურაბის დეპეშის მერმე კოტე მოსკოვში რომ რჩებოდა.

„კოტეს მეცნიერული მივლინება კარგა ხანია უკვე რაც დამთავრდა. კოტე ახლა მოსკოვში მხოლოდ პროფესორი უტყვევიჩის ხათრისა, მისი გართობისა და საკუთარი „სიამტკბილობისათვის“ რჩება. ამიერიდან მე, მისი ცხოვრების მეთვალყურე და მკაცრი კრიტიკოსი, უკან აღარ დავედევნები სკანდალსა და

საწყენს აღარ შევამთხვევ და მას თავისუფალი სუნთქვის საშუალებე მივცემა“ — ფიქრობდა რევანმა. კოტე მთქო მიუხვდა გულისთქმას, უხერხულობა იგრძნო, ზურაბის დეპეშის მერმე მოსკოვში რომ რჩებოდა და საქართველოში რევანს მართო ისტუმრებდა. ძმები ერთმანეთს თვალს არიდებდნენ. ერთმანეთისა რცხვენოდათ.

* * *

ავვისტოს ბოლოს რევანზე შუღამიას მოსკოვის მატარებლით თბილისში ჩავიდა. რკინიგზის სადგურის ცარიელ მოედანზე დიდი ხნის ლოდინისა და ხეტიალის მერმე მანქანა დაიჭირა და დედის ამბის გასაგებად უფროსი ძმის ზურაბის ბინისაკენ გასწია. მთაწმინდაზე ზურაბის ბინა დაეკტილი დაუხვდა. ძმის კარის მეზობელმა უთხრა: ზურაბი და მისი ცოლშვილი იმერეთიდან ჯერ კიდევ არ ჩამოსულანო. რევანზე ახლა შინ, ვარდისუბნის ქუჩისაკენ გაეშურა... მან, მეზობლების ვალდებების შიშით, თავის ბინის კარი ჩუმად გააღო, ჩახუთულ ოთახში ფეხაკრეფით შევიდა, ქურდისაკენ დაშინებულმა, სარკმელი მაინც გამოაღო, გაიხადა, ლოგინში ჩაწვა და ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილსა და დაქანცულს უმაღლე მკვდარსავით დაეძინა.

რევანს მხოლოდ დილის ათ საათზე გაეღვიძა. სამზადში პირი დაიბანა. სამზადიდან ოთახისაკენ მხარზე პირსახოც გადაკიდებული რომ წამოვიდა, დერეფანში კარის მეზობელი ათინა ჭყონია შეეყარა. ათინა მოსკოვიდან ჩამოსულ რევანს მიესალმა და ზინა პაპოვას წერილების დასტა გადასცა. ათინას შავგერემანი ლამაზი სახე, შავი, შუქიანი, დიდრონი თვალები ცნობისმოყვარეობით გაცისკროვნებოდნენ, ხოლო ბაგეზე ისეთი ეშმაკური ღიმილი უთამაშებდა, რომ რევანზე შეეცა, დაიბნა, დაირცხინა და გაურკვეველად წაილულულა:

— ეს ლენინგრაღელი ერთი ჩემი მეგობარი ქალის წერილებია.

¹ა შემოდგომით სუნთქავდა,

მზე იშვითად ბრწყინავდა...

— ამდენი? — ჰკითხა ათინამ და ისევ ეშმაკურად გაუღიმა.

— ეგ ქალების სენია, — მიუგო რევანმა.

— ეგ სენი ჭერ არ შეგყრია, — მტკიცედ განუტყბადა ათინამ და მის ხმაში რევანის ლენინგრაძელი მეგობარი ქალის გაკიცხვა გაისმა.

— ეგ თქვენი პირადი დიდი ღირსებაა, — შენიშნა რევანმა და მეზობელ ქალს თვალი შეაპარა.

ათინა რევანის კარის მეზობლის შოთა ჭყონიას მეუღლედ იყო. შოთა ჭყონია მეფის რუსეთის დროს ქალაქ ნუხეში ფოსტა-ტელეგრაფის გამგედ მუშაობდა და იქ ბერძენი მღვდლის— კალისტრატე მიხაილიდის ლამაზი ახლახან გიმნაზიადამთავრებული ქალი ათინა ცოლად შეირთა. 1917 წლის რევოლუციის მერმე შოთა ჭყონია ცოლ-შვილითურთ ნუხიდან თბილისში ჩამოვიდა და ისევ ფოსტა-ტელეგრაფის ხაზით მუშაობა განაგრძო. ამ რამდენიმე წლის წინათ საბინაო სამმართველომ რევანს ჭყონიების გვერდით მიუჩინა ოთახი. ჭყონიებზე უფრო ღვთისნიერი, წესიერი, კეთილი და სამეზობლო ხალხი იშვიათად თუ სადმე მოიძებნებოდა, მაგრამ რევანს ერთი გარემოება აღონებდა, შოთა ჭყონიას მეუღლე ათინა მოწადინებული იყო მამის მსგავსი თავისი მწიფური, შეუხედავი უფროსი ქალი — პირველი კურსის სტუდენტი თამარი რევანისათვის მიეთხოვებოდა და სასურველი კარის მეზობელი ოჯახში ზედსიძედ მიეყვანა.

რევანს ოთახში შევიდა და ზინა პაპოვას წერილები გაუხსნელად და წაუკითხავად მაგიდაზე დაახავა, თეთრი ხალათი, შარვალი ჩაიცვა და მერმე, დედის ამბის გასაგებად, ქალაქში ჭავჭავაძის ქუჩისაკენ გასწია. რუსთაველის პროსპექტზე მაღალი, ლამაზი, შავგვრემანი ვაჟაკი, დეიდაშვილი დავით (დათიკო) კიკნაძე შეეყარა. ექიმის— ვენეროლოგი დავით კიკნაძე მისი კბილა იყო. მათ ერთმანეთი გადაკოცნეს, რევანმა მაშინვე დედის ამბავი გა-

მოჰკითხა. დავითმა თვალი ვერ გაუხსწორა, თავი ჩაჰკიდა, მოიწყინა და მერმე დახშული ხმით უთხრა: **მე დახშული ხმით უთხრა:**

— უბედური დეიდაჩემი ცოლად უთხოვთვის წინათ საშინელ ტანჯვაში გარდაიცვალა. კოტესა და შენი მისამართი არ ვიცოდით და დეპეშა ვერ გამოგვგზავნით. მერმე კი დეპეშის გამოგზავნა ზურაბმა ზედმეტად ჩასთვალა: რუსეთში მოგზაურობას ნუ ჩავამწარებთო.

მიუხედავად იმისა, რომ მძიმე და უიმედო ავადმყოფი დედის გარდაცვალება მოსალოდნელი იყო, რევანს მაინც თავზარი დაეცა, გული შეუღონდა, გაფითრდა, ერთბაშად წელი მოსწყდა. დაუძღურდა და მიწაზე რომ არ დაკემულიყო, მხრით ვეება ჭადრის ტანს მიეყრდნო. ის და დავითი რუსთაველის პროსპექტზე ქოლგასებრ გაშლილი ჭადრის ჩრდილში იდგნენ. აგვისტოს ბოლო იყო. ქალაქში ჭერ კიდევ პაპანაქება იდგა და ისევ ვით თონგში ალხი ტრიალებდა. რევანმა ხალათის საკინძე გაიხსნა და მკერდი მოიღვლა. იგი თუთუნს ზედიზედ ეწეოდა, ღუმლად და გული უღონდებოდა, ბოლოს ხმა ძლივს ამოიღო:

— არ მეგონა დედა ასე მალე თუ გარდაიცვლებოდა, თორემ რუსეთში კოტეს არ წაყვებოდი.

— დედის ისეთი მძიმე ავადმყოფობის დროს რუსეთში შენი გამგზავრება. მართალი ვითხრა, დიდი შეცდომა იყო და მან ყველა გააოცა: სიკვდილის პირას მდგარი დედა როგორ მიატოვა, მერმე როგორი დედაო! — არ დაზოგა დავითმა და განაგრძო: — სანამ დეიდამ სული არ განუტევა, მანამდე იგი სულ შენ სახელს იძახოდა. სურდა ცოცხლისათვის ჩაგესწრო. ხომ იცი, დედას გამოორჩევით და გაგიყვებით რომ უყვარდი! — ცეცხლს უკიდებდა ჭორის მოყვარული დავითი გლოვით მოკლულ რევანს და შხამიან სიტყვებს აწვეთებდა: — ახლა მთელი ნათესაობა შენს წინააღმდეგ მოიმართა, ყველანი გკიცხვენ: უსულგულო ყოფილანო. ბიცოლა მამომ და ივლიტემ ჭორიც კი დაარბი-

ეს: დედაზე მეტად თავისი სატრფო მარინე ავალიშვილი ჰყვარებიაო.

რევაზი გაოგნებული იდგა და ხმას არ იღებდა. თითქო დამბლა დაეცაო. მერმე ნელნელ გონს მოეგო და დავითს მკვლელ უთხრა:

— გეტყობა, შენც ჰორიკანა ქალებს მიმხრობიხარ და ჩემი გაკიცხვა დაგიწყია: ყველანი შეტევაზე გადმოსულხართ. დაე ასე იყოს ვერას დამაკლებთ. შინაურების თავდასხმას, სულსა და გულში ჩაფურთხებას შეჩვეული ვარ. მაგრამ თქვენ რა იცით ჩემი სულისა და გულის ამბავი, ჩემი კაცობა, დედისადმი ჩემი განუსაზღვრელი სიყვარული? მიმიფურთხებია ფილისტერების მიერ ჩემდამი შემუშავებული აზრისა და მათი ლანძღვა-გინებისათვის. — რევაზი დაცხრა, განზე გაიხედა და ფიქრში წასულმა დაძინა: — მე მხოლოდ გრიგოლის აზრს გავუწყვედი ანგარიშს. ნეტა ვიცოდე, რუსეთში ჩემი წასვლის გამო გრიგოლმა რა თქვა?

დავითმა რევაზს გაბრაზება შეატყო. შეკრთა და მიუგო:

— გრიგოლს არაფერი არ უთქვამს.

— გრიგოლი რაინდი, მაღალი სულის მქონე ადამიანია, — ჩაილაპარაკა რევაზმა და შეება იგრძნო. იგი მშუხარებისა, წყენისა, გაბრაზებისა და პაპანაჭების გამო სახზე ჭარხალივით წამოწითლებულიყო. დადუმებული იდგა ქადრის ქვეშ. გაშლელთ ყურადღებას არ აქცევდა, არავის და არაფრის თავი არა ჰქონდა.

• • •

რევაზი, დავითი და ახალშერთული მისი ფეხმძიმე მეუღლე ნინო. ესეც ექიმი ქალი, სალამოს ქუთაისში მიმავალ მატარებელს გამოჰყვანენ, ეტლი დაიჭირეს და სოფელ როდინოულის მახლობლად, მთის კალთაზე მდებარე მშობლიურ კორომეთისაკენ გასწიეს. ეტლიდან ჩამოსულმა მგზავრებმა გზიდან გაუხვიეს, ყვირილაზე გაკვირვებულ ბონდის ხილზე გავიდნენ, კორომეთში მივიდნენ შევიდნენ და ძელქვებით დამ-

შვენებულ მალაობზე მდგარ გარსეხნიძეთა აგურის დიდ სახლს შეუქიდან მიადგნენ.

ეზოში შესულ რევაზს დებმა, რძლებმა, ბიცოლებმა აივნიდან შემშარავი ხმით მიაკვილეს. ეს რევაზისათვის ყველაზე უფრო მძიმე ოპერაციის გადატანას უღრიდა. მიუხედავად ქალების კვილისა და მოთქმისა, ჯაგრისაგან გამშრალ რევაზს თვალთაგან ცრემლი არ გადმოუდენია. იგი დადუმებული გასცქეროდა აივნიდან სოფლის ბოლოს, სერზე მდგარ წმინდა გიორგის პატარა, თეთრ ეკლესიას და სასაფლაოდ ქვეულ მის გალავანს, სადაც მამა ელიზბარის გვერდით ახლა მისი მშობელი დედა ოლა განისვენებდა, რევაზის გულში ცეცხლი ტრიალებდა, ხოლო ბიცოლა მამო და ივლიტე მას ამ დროს ჰკილავდნენ და ერთმანეთს უჩურჩულებდნენ: ერთი ცრემლიც კი არ გადმოაგდო, რა უცნაური და გულჭკვა კაციო!

სასაფლაოსაკენ მიმავალ ზურაბს. რევაზს, მათ დეიდაშვილს დავით კიკნაძეს, ბიძებს — სამსახურიდან გადამდგარ პოლკოვნიკს სანდროს და პროვინზორს სვიმონ ერისთავებს უკან შაკი ძაძით შემოსილი ქალები, ნათესაელები და მეზობლები მიჰყვებოდნენ. ზურაბმა რევაზი ვეება ცაცხვების ძირას, მამა-პაპათა ძვალშესალავისაკენ წაიყვანა და მამა ელიზბარის გვერდით ახლახან დაკრძალული დედის საფლავთან დააყენა.

დედის ახალი საფლავის წინაშე გაქვავებული რევაზი დამკვწარ გვირგვინებს დამტერებოდა და გონების თვალთ იხვე ბალხამირებული გვამის ფერი დედის სახეს ჰკრეტდა. მას, ისე როგორც ბათუმიდან თბილისში მძიმე ავადმყოფი დედის ჩამოყვანის დღეს, ზურაბის ბინის უკან აივანზე მდგარსა და გლოვით მოკლულს, ისე მოეჩვენა, თითქოს დედის საშოსთან კიპით მიზრდილი მომყოლი შეაჭრესო და ისევ საშინელი ობლობა და მარტობა იგრძ-

ნო. რევანი ყურს არ უგდებდა ახლა ქალების კივილს, მოთქმასა და ტირილს.

— კიბოსაგან შექმულო, ავი ქირით გატანჯულო, უბედურო, საფლავში და მიწებულო, ჩვენო ტყბილო დედა! აღსრულდა შენი ნატვრა და სურვილი: აჰა, ჩამოვიდა რუსეთიდან და თავზე გადგას ახლა საყვარელი და საფიცარი, ნაბოლარა შენი შვილი რეზო, რეზიკო, — შემოესმა ბიცოლა მაშოს და ივლიტეს ტირილი რევას და იმ ტირილს მაშინვე თმაგაშლილი ქალების ერთობლივი მოთქმა და ქოთქოთი მოჰყვა. რევას ტანში გააქრყოლა, ქალების გაუთავებელ მოთქმას, ხმით ტირილს ვედარ გაუძლო და სასაფლაოს ნაპირას მდგარ ვეება ძელქვისაკენ წავიდა მის ქვეშ გაჩერდა, პორტსიგარი გახსნა, პაპიროსი ამოიღო, ცეცხლი მოუკიდა, გააბოლა და მასთან მისულ დავითს უთხრა:

— ესენი, დედის ავადმყოფობის დროს რუსეთში ჩემი გამგზავრების გამო, ზურგს უკან მათრევდნენ და მაგინებდნენ, ახლა კი თვალთმაქცობენ და ისე იქცევიან, თითქო მათ უფრო უყვარდათ ჩემთვის სათაყვანებელი დედამშობელი ბიცოლა მაშოსა და ივლიტეს კივილი, მოთქმით ტირილი, ენის წაგრძელება გულს მირევს. დიდი გლოვის დროს მსახიობობა, თვალთმაქცობა, ცრუ ოქროპირობა, ენის წაგრძელება და ლაქლაქი ვერ ამიტანია და მეზიზღება, წავიდეთ აქედან! — დავითმა გაოცებით შეხედა და შენიშნა:

— რა ახირებული და უცნაური კაცი ხარ!

ასეთი აზრი რევანზე არა მარტო დავითს, ბიცოლა მაშოს და ივლიტეს ეკუთვნოდა. ასე ფიქრობდნენ რევანზე მისი ძმები, დები, რძლები, ყველა ნათესავი. რამაც რევანში ბოლოს მათგან გარიყა და მისი მარტოობა და ობლობა კიდევ უფრო გაამძაფრა.

მოტირალი ქალები თითქო მიუხვდნენ რევას გულისთქმას, მოთქმა შესწყვიტეს, თმა და თავშალი გაისწორეს, აღამიანის ჩვეულებრივი სახე მიიღეს,

რევას უკეთური თვალით გაჰხედეს და მერმე ერთმანეთს უჩუჩჩულეს:

— არა, გენაცავლე, ეგ ქაუთამყრფელ კაცს არა ჰგავს. მიცვალებული დედის დატირება არ გვაცალა, დედის საფლავი მიატოვა, წავიდა და აგერ, ძელქვის ძირას მდგარი, თუთუნს აბოლებს და რიონის ველს არხეინად მიშტერება.

რევანში მალღობიდან იმ დროს მართლაც რიონის ველს გასცქეროდა, მაგრამ არა „არხეინად“, როგორც ამას სასაფლაოზე მოსული ძველი ადათების ტყვეობაში მყოფი, ცრუმორწმუნე, ჭორიანა, თვალთმაქცი და მსახიობობის მოყვარული დედაკაცები ამბობენ, არამედ შემფოთებით. რევას იმ დროს ნისლით დაფარული რიონის ველი ზღვად ეჩვენებოდა და ლენინგრადში უსუფოვის ყოფილ სასახლეში ნახული საშინელი სიზმარი, იმერეთში ჩამოვარდნილი წყალდიდობა და წყალდიდობის დროს კორომეთში დედის დაღუპვა აგონდებოდა. აი სწორედ იმ დროს მივიდნენ რევანისთან ზურაბი, ბიძები — სანდრო და სვიმონი, მეზობელი გლეხები — ილარიონ ტრაპაიძე, გალაკტიონ ხვედელიძე და სხვანი.

რევანმა ზურაბს ლენინგრადში ნახული სიზმარი უამბო.

— დედა სწორედ იმ დღეს და იმ დროს გარდაიცვალა, როდესაც შენ ლენინგრადში ის საშინელი სიზმარი გინახავს, — დაიძახა გაოცებულმა ზურაბმა.

— ეგ შემთხვევითი და უბრალო დამთხვევის ამბავია, — შენიშნა ზურაბს ეჭიმმა დავით კიკნაძემ.

რევანმა ყურადღება არ მიაქცია დავითის შენიშვნას და ზურაბს ბათუმის ბაღში შარახეცტია ბოშა-ქალის ნათქვამი უამბო: „დედა ავად არის რუსეთში ცუდი სიზმარი ნახე“.

— ნუთუ ბოშა-ქალის წინასწარმეტყველებისა, სიზმრისა გჯერა? — დაცინვით და ჰაიპარად ჰკითხა დავითმა.

— მკითხავენის წინასწარმეტყველება, სიზმრის აზღენა, სულთა ნათესაობა და უკვდავება არა მჯეროდა და არც

ამჟამად მკერა, მაგრამ ლენინგრადში ნახულმა საოცარმა სიზმარმა და იმ სიზმრის ნახვის უამს დედის გარდაცვალებამ შემაერთო და ვშიშობ, მისტიკაში არ გადამისროლოს, — მიუგო რევანმა და დასძინა:— შენ ადამიანის სხეულის მკურნალი ხარ და არა მისი სულისა. ამიტომ ადამიანის ფსიქიკის დარგში არა ვაგვეგება რა.

— მისტიკას თავი გაანებე. ცხოვრების, ადამიანის სულის ბნელ ხვეულებში მოგზაურობას მოეშვი. ადამიანის გონებას ენდე!— შენიშნა რევანს თეთრ პიჯაკში გამოწყობილმა, გოლიათმა კაცმა, პროფესორმა ზურაბმა.

— გონებას, მეცნიერებას და ტექნიკას განა ძალუძს ფილოსოფიური ყველა პრობლემის გადაჭრა?!— ჰკითხა რევანმა.

— მაშ?— კითხვითვე მიუგო ზურაბმა, გაოცებით შეხედა უმცროს ძმას და დასძინა:— გონება არის ერთადერთი საიმედო ჩირაღდანი ადამიანისა, — მერმე დამკინავად გაუღიმა რევანს და ჰკითხა:— ნუთუ ბუნებისმეტყველებმა კოტემ და არკადიმ, რუსეთში ყოფნის დროს, ეგ არ გასწავლეს?! ერთი ეს შითხარი, ბიოლოგების ყრილობაზე ვაი მეცნიერებმა გენეტიკური კანონი ისევე უარჰყვეს თუ არა?

— გენეტიკური კანონის უარყოფა, იგივე ბუნების კანონის უარყოფა იქნებოდა, — მიუგო რევანმა.

მოკამათე ძმებისათვის წრე შემოკრულ ხალხში მდგარმა გლეხებმა ილარიონ ტრაბაძემ და ვალაკტიონ ხვედელიძემ კისერი წაიგრძელეს და ყური მოიმარჯვეს, ნასწავლი ძმებზე ყოველი სიტყვა რომ უკეთ მოესმინათ და გაეგოთ, მაგრამ ძმები მათთვის გაუგებარი და უცნაური ქართულით საუბრობდნენ. ზურაბისა და რევანის საუბარი, საუბედუროდ, არა მარტო კორომეთელმა კოლმეურნე გლეხებმა, არამედ ვერც სამხედრო სამსახურიდან გადამდგარმა ბოლკოვნიკმა სანდრომ, პროვინზორმა სვიმონმა და, ასე გასინჯეთ,

ვერც ეჭიმმა დავით კიკნაძემ სათარადოდ ვერ გაიგეს.

5

ოცდარვა აგვისტოს რევანში, დავითი და მისი ფეხშიძე მეუღლე ნინო თბილისს გაემგზავრნენ. გრიგოლის მეუღლემ ლამაზმა ქერა ქალმა თინამ რევანს გასაღებები გადასცა და თხოვა, მის ბინაში ეცხოვრა: ბინის გამარცხისა ეშინოდა. რევანში მონატრებული იყო სასიქადულო თავისი ძმა გრიგოლი ენაბა, მაგრამ მას, დედის დაკრძალვის მერმე, ცოლშვილი კორომეთში დაეტოვებია, თავად კი ბელორუსიაში გამგზავრებულიყო, სადაც იგი ამას წინათ იქაური სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილედ დაენიშნათ.

რევანმა თბილისში ჩასვლისთანავე ვარდისუბნის ქუჩაზე თავის ოთახში შეირბინა, ზინას წერილების დასტა ჩემოდანში ჩაავლო და მერმე გრიგოლის ბინისაკენ გასწია.

გრიგოლს ზურაბის მახლობლად, მთაწმინდის კალთაზე აგებული სახლის მესამე სართულზე ჩინებული ბინა ეჭირა. ამ ბინის წინა აივნიდან მაშათასა და ციუგომბორის მთები ჩანდნენ, უკანა აივნიდან კი თბილისის ჩრდილო-დასავლეთის შემოგარენი, თრიალეთის მთის ქედის ნაწილი, მის იქით— მცხეთა-ზედაზნის მთები და მერმე შორს, ძალიან შორს — მყინვარი.

საღამო ეამი იყო. თბილისში ისევ უმოწყალოდ ცხელოდა. გრიგოლის ბინის ოთახებში უმოძრაო, დახუთული ჰაერი ჩამდგარიყო და რევანმა მაშინვე სარკმლები გამოაღო. მერმე ხალათი, მაისურიც გაიხადა, წინა აივანზე დაჯდა, მაგიდას იდაყვით დაეყრდნო, ხელისგულს ნიკაბი დააბჯინა და ქალაქს კაეშნით გადახედა. მაღალ აივნიდან ურიცხვი, მოციმიციმე ნათურებით გაჩირადდნებული ქალაქი ჩანდა. გეგონებოდათ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა უხილავ ძალას გადაუბრუნებია, მთებით შემოზღუდულ, ვეება ქვაბში ჩაუგდია, იქ გაუშლია და თქვენ მას ზემოდან

დასცქერითო. მართლაც ზღაპრული სურათი, სანახაობა იყო, მაგრამ რევანის მკვდარ გულს აწ აღარაფერი აღარ ახარებდა და ჰხიზლავდა. რევანში დამგლოვიარებული, სულღერად დაცლილი და ბრუნდა კორომეთიდან თბილისში. დედის გატანჯული, ბალზამირებული გვაშის ფერი სახე, მისი ჭკვიანი, სევდიანი თვალები ისევ არ შორდებოდნენ თითქოს იმ თვალებით მშობელი ჰყვედრიდა: აღსასრულის უამს ჩემს სასიკვდილო სარეცელთან რისთვის არ იდექ, შვილო, და თვალები არ დამიხუტეო! ეს უმწარებდა ახლა სულსა და გულს. ასეთ ყოფაში ჩივარდნილს არავის ნახვა არა სურდა და არაფრის თავი არა ჰქონდა. იგი საშინელ ობლობას და მარტოობას გრძნობდა. „დედა და სატარფო გარდამეცვალნენ, ნათესავეები გადამიდგნენ, მეგობრებიც კი შემომეცალნენ“, — გაიფიქრა რევანში და ახლა უფრო მწვავედ იგრძნო თავისი ობლობა და მარტოობა. ისევ ისეთი განცდა დაეხადა, თითქო დედის საშოზე მიკრული მომყოლი შეპტრესო და მყისვე ლენინგრადელი პიანისტი ქალი ზინა პაპოვა მოაგონდა. ზინა იყო ახლა მისი ერთადერთი იმედი, პირსა და ლხინში გამტანი მეგობარი. რევანში აღვა, ძმის კაბინეტში შევიდა ჩემოდანი გახსნა, ზინას წერილები ამოიღო, საწერ მაგიდაზე თარიღების მიხედვით დაალაგა, დაჯდა და მათი კითხვა დაიწყო, მაგრამ მალე თავზარი დაეცა: წერილები შეიცავდნენ არა მეგობრულ აღსარებას, არამედ საყვედურს, ბრალდებას, მუქარას. თანაც ხვეწნას და მუდარას... ზინა რევანს ერთ წერილში წერდა:

„ამდენი წერილი გამოგიგზავნეთ თბილისში, თქვენგან კი არც ერთი არ მიმიღია. ვერ დავიჯერებ, ჩემი ერთი წერილი მაინც არ მიგედოთ. რა მოხდა, რა მოგივიდათ?! იქნებ გიჭირთ, ავად ხარო ან მანქანამ გაგიტანათ?! შემატყობინებდით და მაშინვე თქვენთან გავჩნდებოდი, გიშველიდით და შეძლებისდაგვარად დავგებმარებოდი. მოსკოვიდან გამოგზავნილი თქვენი მოკლე

და ოფიციალური წერილების მიერ, აგრ უკვე ერთი თვე იქნება გასული, რაც მოულოდნელად დადუმებით უნდა თქვენს შესახებ არაფერი არ ვიცო, თითქო დედამიწამ ჩაგყლაპათო. ასეთი ჯოჯოხეთური ცხოვრების ატანა აღარ შემძლია. სჯობს კრიჭა შევიტარო და თავი კედელს ვახალო მანამდე, სანამ ცნობას არ დავკარგავ და გავთავადები. გონება მიბნეულდება. თითქო ვეება ბორბალი ტრიალებს ახლა ჩემს თავში. ერთი წერილიდან დაძრული აზრი ისევ პირვანდელ, გამოსავალ თავის წერტილს უბრუნდება და ეს ასე გაგრძელდება მანამდე, სანამ ჩემს შეკითხვებზე პასუხს არ გამცემთ და სიმართლეს არ მეტყვიეთ: საბოლოოდ გასურთ გასწვივით ჩემთან კავშირი თუ არა? სიმართლე, რაგინდ სასტიკი არ უნდა იყოს იგი, სიცრუეს და გაურკვეველობას ათასჯერ უფრო სჯობს. გაურკვეველობა საშინელი რამ არის: არ იცი, როგორ მოიქცე, რა მოიმოქმედო, რა გზას დაადგე! გაათავეთ უფულო ღუმელი და მოიწერეთ სიმართლე, რომ მეც ჩემს გზას ვეწიო. დაიპყარით რა ჩემი სული, თქვენ უფლება არა გაქვთ ანგარიში არ გაუწიოთ მას და დამუწვდეთ. მეტს ამის თაობაზე არაფერს არ მოგწერთ, რადგან ოთხი ათასი კილომეტრით თქვენგან დაშორებული, ვატყობ, წერილებით ვერაფერს გავხდები და გავარკვევ. ჩამოვალ თბილისში, საქმის ნამდვილი ვითარება რომ გავიგო, გავიგო, რა მოგივიდათ, რას ფიქრობთ?! ყველაფერს ვაპატიებთ, და შეგინდობთ, გარდა ერთისა: ჩემდანი თქვენი დამოკიდებულება თუ მხოლოდ უქსპერემენტი იყო ახალგაზრდა, გამოუტყველ ქალიშვილზე, მაშინ მე ვიცი, რასაც ჩავიდენ და მოვიმოქმედებ“...

მეორე წერილი პირველზე უფრო მწარე იყო:

„... მოსკოვიდან გამოგზავნილმა თქვენმა მესამემ და უკანასკნელმა წერილმა გამაოცა და აღმამფთოთა კიდევ. მოგაგონებთ: თქვენი ცოლობა, თქვენი შებოქვა, თავისუფლების აღკვეთა არა-

სოდეს არ მიფიქრია და განმზრახავს ამის საბუთი, ეფიქრობ, არ მომიცია, თქვენ კი მოუფიქრებლად და მოულოდნელად თავში კეტი შემომკართ: უსაფუძვლო ბრალდებას მიყენებთ, თითქო მე ყოველ ღონეს ვხმარობ და ვცდილობ თქვენი ცოლი გავხდე. ღმერთს უმადლეთ, რომ თქვენ რევან კეზერელი ხართ. ეგ რომ სხვა ვინმეს ჩემთვის გავებედა, უთუოდ სილას გაგაწნავდი. იცით თუ არა, რა შეურაცხყოფა მომაყენეთ?! ღმერთს გეფიცებით, ეგ თქვენ არ იცით. არ იცით, იმ უსაფუძვლო ბრალდებით ჩემი ქალური თავმოყვარეობა რომ ჭებქვეშ ვასთელეთ! ბრაზი მახჩრჩობს და გალიაში დამწყვდეული, მძვინვარი ვეფხვივით კედლებს ვაწყდები... ჩვენები ჭერ კიდევ სიევრსკაიაში აგარაკზე ისვენებენ და ახლა ბინაში მარტო ვარ. ამ წერილს სამზარეულოში ვწერ. მურჭელი დაგრეცხე და ბინაც დავალაგე. ჭრელი ხალათის ჭიბეში გასაღებების მთელი აცმა მიყრია და მე, ყოველი მოძრაობის დროს, ისე ვით ჩხრიალა გველი ეღრიალს გამოცემ კიდევ კარგი, ჩემს გვერდით არა ხართ, თორემ მახრჩობელა გველი ხეიარების რგოლებში მოგაქცევდით, ტანზე შემოგვხვეოდით და ჩემი სულს ამომხდელს სულს ამოგხდიდით, დაგახრჩობდით. მაგრამ არა, არა, ეგ ტყუილია! ჩემი უცნაური მეგობარი აბა როგორ დაეახრჩო? გოცნი მხოლოდ ერთხელ, გოცნი, გოცნი, როგორც მეგობარს და არა როგორც ჩემს მომავალ საქმროს. შენი წერილის მოლოდინით დატანჯული ზინა“.

ზინა პაპოვას წერილები სრულიადაც არ ეხმიანებოდნენ დამკლოვიარებული რევანის იმჟამინდელ განცდასა და ფიქრს. ზინას ბრალდებებმა და პრეტენზიებმა რევანი გააოცეს, საგონებელში ჩააგდეს, გული ატკინეს და მან ქალს მაშინვე უპასუხა:

„ღედის საფლავის სანახავად დასავლეთ საქართველოში გამგზავრების მერმე თბილისში ჩამოვედი. ამჟამად მთაწმინდის კალთაზე აგებული სახლის

მესამე სართულზე, ჩემი ძმის გრიგოლის ბინაში ვცხოვრობ. რაჯგუნ მძებელორეთსიაში განაწესეს მსახურის ცოლშვილი სოფლოდან ჭერ არ ჩამოსულა და მანამდე მის ბინას ვდარაჯობ. ვზივარ ძმის კაბინეტში და უსაფუძვლო ბრალდებებითა და შექარით სავსე თქვენ გესლიან წერილებს ვკითხულობ. აბა კითხვაც დავასრულე! შუაღამეა. ირგვლივ გულის დაძლიონებული სიჩუმე დამკვიდრებულია. გულს გლოვა, მარტოობა, საშინელი კაეშანი, მოწყენა და ეჭვი მტრდნის: ვაითუ სახლიკაცებმა, ნათესაებებმა, მეგობრებმა, მათ შორის თქვენიც დედისა და სატრფოს გარდაცვალების გამო ჭავრი და ობლობა არ მაქმართო, გადამიდგეთ და მიმატოვოთ! ღია სარკმელში ვიხედები. დიდი ვარსკვლავებით მოჭედილ, თვალშეუდგამ ცას დამუხზრებული მიგშტერებივარ, დედის გარდაცვალების გამო წყევლა-ჭრულვას ვუგზავნი და ასე მგონია, ბუდიდან ჩამოგარდნილი, უბუძულლო, ობოლი ბარტყივით უმწეოდ ვჭყივი. კარგად მიხვდებით, დაობლებულ, მარტო დარჩენილ სულიერად გაჩანაგებულ კაცს თქვენი უმართებულო, დაუზოგავი წერილები რა დღეში ჩამავდებდნენ! იმ წერილებში თქვენ მანამდე შენიღბული, ქეშმარიტი თქვენი სახე დამანახვეთ და ახლა „ყოველი მოძრაობის დროს ჩხრიალა გველივით ეღრიალს გამოსცემთ“. თქვენ გინდათ იყოთ ჩხრიალა, მახრჩობელა გველი, ურჩხული, რომელიც მზად არის, რაც შეიძლება მეტად დაგნესტროს, დაგახრჩოს და გაგათაოს. მაგრამ. ეფიქრობ, თქვენგან არ გამოვა გრუმენკა, ზნეობით სავსე, კეთილი და მწირი ჭბაუკის —ალიოშა კარამაზოვის „გადაცლაგვა“ რომ განიზრახა. ნუ ფიქრობთ, ქრისტეს მმოსავი, ღვთის გლახა, ბოროტების წინაშე დაჩოქილი, მწირი და მიამიტი ალიოშა კარამაზოვი ვიყო, ქალის ბუნებას, განსაკუთრებით კი გაცრუებული პირველი სიყვარულის გამო გონებადობნეული ქალის ბუნებას არ ვიცნობდე და მძვინვარ ძუ ვეფხვს თავი ხახამი

ჩაგიდოთ. ვიცნობ ქალის ბუნებას და სწორედ ამის გამო გირჩევდით ჩემდამი თქვენი გრძნობის შემოწმებას, განზრახ მივითითებდით ყველა ჩემს არსებულ და არარსებულ ნაკლებ და გეუბნებოდით, რომ „არაფერი აღამიანური ჩემთვის უცხო არ არის“. ამით მინდოდა მიჯნურობის გრძნობით მიმიხებულე თქვენი გონება გამომეღვიძებია. ო, რა ზიანს აყენებდა და ახლაც აყენებს ახალგაზრდობას ძველი პოეტებისა და მწერლების პოემები და რომანები! განსაკუთრებით კი ბულვარული რომანები! დამიჯერეთ: იმ პოეტებისა და მწერლების სამი მეოთხედი ცრუ და ცხოვრებაზე ცილისმწამებელი არიან. მინდა ჩემი ქვეყნის თანამედროვე აღამიანები არ იყვნენ შეპყრობილნი ძველი საზოგადოებრივი ფორმაციისაგან მომდინარე მიჯნურობის სენით. თქვენ მწერთ, სიყვარული ქალბიქსს მანამდე არ განმიცდია, დამავიანდა, ამიტომ სიყვარული ჩვიდმეტი წლის გოგოსავით ერთბაშად შემომშენთო, დამეჯახა, წონასწორობა დამაყარვინა, ბუდიდან ამომხდო და მრავალი სისულელე ჩამადენიაო. წინათ თქვენ მალაღ, იდეალურ სიყვარულზე ლაპარაკობდით, ახლა კი სიყვარულს საყმაწვილო სენს—წითელას აღარებთ, რომელიც თურმე ვერ კი დევ არ მოგიხდიათ. თქვენ ალბათ გინდოდათ ჩემს ხელში მოგახდათ პირველი სიყვარული, ეგ საყმაწვილო სენი—წითელა და მერმე დამცინავი ღიმილით გეტყვით ჩემთვის, ისე ვით ექიმისათვის, მადლობა. უნდა გკოდნოდათ, მასეთი ექიმის როლში მე რომ არ გამოვდგებოდი. საკვირველია პირველი სიყვარულისა და სახადის—წითელას ივივობის თეორია! საქმე ის არის, თუ ვის როგორ ესმის ცნება სიყვარულისა. ზოგი სიყვარულის გრძნობაში გონების ჩარევას ჰგმობს, ზოგს კიდევ სიყვარული, შენიღბული, პოეტიზირებული სქესობრივი ლტოლვა ჰგონია... თეორიებს თავი გავანებოთ! თუმცა თქვენდამი გამოგზავნილ წერილებში მაინც ვცოდავდი, რადგან სიყვარულზე ჩემს აზრს,

შეხედულებას და მსჯელობას არა ვმწერდით, არამედ ამ საგანზე გაქოქებულ მსჯელობიდან მიღებულ დასკვნებს ქალი, რომელსაც მანამდე თითქო ასე გატაცებით, თავდავიწყებით და უანგაროდ უყვარდა თავისი „მიჯნური. გმირი და რაინდი.“ ახლა იმ მიჯნურს სილის გაწნით ემუქრება. მაგრამ ვახსოვდეთ: სილის გაწნისათვის თქვენ მოკლე ხელები გაქვთ! რამ გავაბრაზათ. აპრიგად და დაგაყარვინათ წონასწორობა? მოგეხსენებათ, თქვენი ცოლად შერთვა არ განმიზრახავს, სიტყვა არ მომიცია და არც ფიზიკურად მიცხოვრია თქვენთან. მიუხედავად ამისა მწერთ: „ყველაფერს შევინდობთ და გაპატივებთ, გარდა ერთისა: ჩემდამი თქვენი დამოკიდებულება თუ მხოლოდ ექსპერიმენტი იყო ახალგაზრდა გამოუცდელ ქალიშვილზე. მაშინ მე ვიცი რასაც ჩავიდენ და მოვიმოქმედებ!“ არა მგონია, ლენინგრადის ოპერის თეატრის ოცდაექვსი წლის პიანისტი ქალი იმდენად გამოუცდელი და მიაშიტი იყოს, რომ მამაკაცს, თავისი სურვილის გარეშე, მასზე ექსპერიმენტის მოხდენის უფლება მისცეს! თქვენს მუჭარაზე ამ შენიშვნის გარდა სხვას არაფერს ვიტყვი, თორემ მართლაც შორს შევტოპავთ. წერილებით ჩვენ კიდევ უფრო მეტად აგვერევა და ვთრები. გეთანხმებით: ჩვენ უნდა ვინახულოთ ერთმანეთი და მაშინ გავარკვიოთ ყველა სადაო საკითხი, თუმცა, ცოცხალი სიტყვაც უძღურია კაცის ფარული გულისთქმა გამოთქვას, ხომ ვახსოვთ ტიუტჩევის ლექსი:

Как сердцу высказать себя?
Другому как понять тебя?
Поймет ли он, чем ты живешь?
Мысль изреченная есть ложь!

სჯობს წერილებს თავი გავანებოთ და გულისნაღები შეხვედრისას არა-

როგორ გამოთქვას წადილი გულმა?
სხვა ამა როგორ გაგიგებს შენა?
განა გავიგებს, შენ რითა ცხოვრობ?
აზრი ნათქვამი არის სიცრუე.

მარტო სიტყვით, არამედ თვალებით, ხელებით, დუმილით გავუმჟღავნოთ ერთმანეთს. თუმცა, ამჟამად ისეთ დღეში ვარ, რომ არავის ნახვა არ მინდა. ცოტა დავიცადოთ, იქნებ შავი ფიქრები გავფანტოს!

შუალამეა. თბილისში ისევ საშინლად ცხელა, გული მიღონდება, გული კი, დედის გარდაცვალების მერმე, როგორღაც მლატობს. ქალაქში გავალ, ფიქრთგასართევლად ქუჩაში ვიხეტიალებ, ვერ გამოვიდა, რა მომდის? ჩემს თვალში ახლა ყველაფერს და ყველას, საკუთარ თავსაც კი ფასი ეკარგება. თქვენი წერილების მერმე--მეტადრე. სადღა ჩემი აღტაცება, სიამაყე და თავმოყვარეობა! ცუდ დროს ჩამიგდეთ ხელში, იუნგშტურმერი! ქრისტიანული ზნეობა, სიკეთე და სიყვარული დღეს არავის არ სჭირდება და მოდით ახლა თქვენც გადამიდექით, თქვენდამი მოყენებულ თითოეულ ჩემს წყენას ათასი შეურაცხყოფით უპასუხეთ, მძვინვარი ვეფხვივით მეძგერეთ, ჩხრიალა, მახრჩობელა გველივით შემომეხვიეთ! ე, ზინა, ზინა შენ განა მართლა ჩხრიალა გველი ხარ? უმიზეზოდ ჩემზე გაბრაზებულს მეგობარო, შენი თავდასხმის მოგერიება მიხდება მაშინ, როდესაც გლოვამ ლამის გამტეხოს. მეგონა, შენი მეგობრული ხელი წამომაყენებდა დაჩოქლს. შენ კი დრო შემირჩიე და ოდესღაც ჩემმა მეგობარმაც ჩემი ჩაქოლვა დიწყე. ბოლოს მიხვდები, რა ვერაგობა ჩაიღინე, მაგრამ გვიანდა იქნება! თუმცა შენი ვერაგობა და ღალატი, მართალი ვითხრა, არა მჯერა. ვაგნერის „ტრისტანისა და იზოლდას“, გრიგის „სიმღერა სოლვეიგისა“, და „გაზაფხულის“ შემსრულებელს ეგ არ შეეფერება. ჩვენ ბევრი სანეტარო, დაუვიწყარი წუთები განგვიცდია. ამის გამო ვიმედოვნებ და ძველებურად, მეგობრულად მოგესალმები. რევაზ კვეზერელი“.

რევაზის ამ საღაო და ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებით სავსე წერილის მერმე ზინას ბრაზი დაუცხრა. დამკლოვიარებული მეგობარი საშინლად შეეცოდა, მისდამი სიყვარული

ძველის ძალით გაედევია და მან თბილისში სამი, ოთხი დღით ჩასტყდა მასობრივებითლებაში ჩაეარდნის დროს მიშველება გადაწყვიტა და ეს გადაწყვეტილება აცნობა. ზინა სწერდა:

„ჩემო საბრალო რევაზ! მიიღე ჩემი გულითადი თანაგრძნობა დედის გარდაცვალების გამო. ეგ რა ჩაიღინე?! შენს ღრმა მწუხარებას, საუბედუროდ, საყვედურებითა და მუქარით სავსე ჩემი მწარე წერილები მიემატა და ამიტომ ახლა ყველაფერი შეად მოსილი გეჩვენება გეჩვენება არა ისეთად, როგორც იგი სინამდვილეში არსებობს. მინდა იცოდე, თუ რამ გამოიწვია ჩემი ცხარე წერილები. საქმე ის არის, რომ ჩემი ქალობის შეურაცხყოფელი შენი წერილების გამო შევეცადე დამერწმუნებინე შენ და დამერწმუნებინა საკუთარი თავიც, თითქო არ მიყვარხარ, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა, გარდა იმისა, რომ გაწყენინე. მე კი უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდი: ვიყავი რა შენს წინაშე სრულიად უდანაშაულო, მაინც, დამნაშავე გამოვედი. ჩემი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ მიყვარდი და ახლაც მიყვარხარ. ოთხი ათასი კილომეტრით ერთმანეთს მოშორებულნი წერილებით ბევრ რამეს ვერ გავარკვევთ. შენ გვიან გაავიგია წერილებით რომ ერთმანეთს ვახნევთ. მე კი ეს შენზე ადრე გავიგე. ჩემს კარგ წერილზე შენ ცუდს მწერდი, ცუდზე ცუდით ვიპასუხებდი, მაშინ შენ კარგს მწერდი და ასე შემდეგ. ჩვენზე არც ზედამოჭრილი წეროზე და ყანჩაზე თქმული ერთი ამბავი თუ იგავი: „წერომ ცოლის შერთვა მოიწადინა. მივიდა ყანჩასთან. ყანჩამ უარი უთხრა. წერო შინ გაწბილებული წავიდა. მერმე ყანჩამ მოიწყინა და ის მივიდა წეროსთან. ახლა შეურაცხყოფილმა წერომ უთხრა ყანჩას უარი, მერმე ისევ წერო მივიდა, მერე ისევ ყანჩა და ასე დაუსრულებლად დაიარებოდნენ ერთმანეთთან“. არავის აზრად არ მოსვლია მაშინ წეროსა და ყანჩასთვის თავში ჩაერთყა, თორემ ვინ იცის-იქნებ კეთუხე მოსულიყენენ ცუდად არ ჩამო-

მართვა ეს ოხუნჯობა. იქნებ უადგილოც იყოს, რადგან შენ არ მოსულხარ ჩემთან და არ გითხოვია, ცოლად გამომყევლო, არც მე მითხოვია შენთვის-ცოლად შეგერთე. მაგრამ მინდა, ერთხელ და სამუდამოდ ირწმუნო და გაიგო, რომ მე შენ გაგიყვებით მიყვარხარ და შენგან ასეთსავე სიყვარულს არ მოვიტხოვებთოვ მხოლოდ ერთ რამეს: ვიყო შენს გვერდით, არა როგორც ცოლი. არამედ როგორც მეგობარი, შენზედ მზრუნველი, რომელიც შენს შებოჭვას და შენი თავისუფლების შეზღუდვას არ აპირებს. მაშ რა უნდა გქნა, თუკი ქალბიჯს შენამდე არავინ არ მყვარებია, შენ კი პირველშეხვედრისთანავე მომეწონე, ანდამატურის ძალით მიმიზიდე და შეგიყვარე? ჩემო საყვარელო და საბრალო ბიჭო. ყველაფერში წერილებია დამნაშავე. როდესაც იმ მწარე წერილებს გიგზავნიდი, ვიმეორებ. შეუტაცხყოფილი ვიყავი, რადგან მომეჩვენა, რომ ჩემი წმინდა გრძნობა შენს მიერ ყბად იყო აღებული. მოსკოვიდან გამოგზავნილი შენი უგულო და მშრალი წერილების მერმე შემრცხვა. გავგულისხმი და წითელასთან პირველი სიყვარულის შედარებას შეგნებულად ამოვეფარე. ამით ჩემი ღირსების აღდგენა მინდოდა, მაგრამ შეცდი, რადგან შენს საუკეთესო გრძნობებს დავცინე, ჩემი თავი დავიმცირე და შენც ჩემში შეგაეჭვე. რისთვის მიმასპინძლდები ასე მკაცრად და სასტიკად: „თქვენ გინდოდათ ჩემს ხელში მოგვხადათ პირველი სიყვარული, საყმაწვილო სენი წითელა და მერმე ირონიული ღიმილით გეთქვათ ჩემთვის, ისე ვით ექიმისათვის, მალდობა“. ასეთ ვერაგულ გეგმას წინასწარ ვერასოდეს ვერ შევადგენდი. ჰკუა არ მეყოფოდა. რა უცნაური, რთული და ახირებული კაცი ხარ? შენ ახლა ზომაზე მეტად გაქვს აწეწილი ნერვები და ამიტომ შენი გამოხდომები არა მწყინს. აზრადაც არ მომსკლია, „ჩხრიალა გველის“ გამო ჩემს უბრალო ოხუნჯობას ასეთ კულს თუ გამოაბამდი! რაც შეეხება სილის გაწნას, უნდა მოგახსენო: მე არ ვიცი-

ვის გავაწნავდი სილას, შენ კი გააკოცბდი მხოლოდ. იცი რა? როდესაც ერთმანეთს შეგვხვდებით, აიღე და მაგრად შემომკარი: ბაიბარ ვიქნებით! მომანიჭე ეგ სიამოვნება. რა დიდი რამ ყოფილა გრძნობა სიყვარულისა, რომელმაც სიტკბობებასთან ერთად ტკივილიც ბეგრი მომყვენა! მან ათასჯერ უფრო მეტად გამიმახვილა ჰკუა-გონება, გრძნობა, მშვენიერების შეცნობის ნიჭი. შენდამი სიყვარულის გრძნობის დაბადების მერმე ჩემი ცხოვრება გაცილებით უფრო ლამაზი, მშვენიერი და აზრიანი გახდა. მე არ ვიყავი ასეთი გულსხმიერი ადამიანების შიშართ. სიყვარულის, სილამაზისა და სიკეთის გარეშე ცხოვრება ახლა ჩემთვის წარმოუდგენელია. ხოლო ყოველივე ეს შენ მომანიჭე და უფლებად გაქვს ამით იამაყო, შენა ხარ ჩემი სიხარული და ბედნიერება, მაშ ახლა იფიქრე, როგორ შემეძლო შენთვის სილა გამეწნა? ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო, ყველაფერი ავწონ-დავწონე და მაინც მიყვარხარ. შენ კი კვლავ სულს იშვითებს, ყველაფერს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებ და ისე ახირებულად მსჯელობ და ისეთ დასკვნებს აკეთებ, რომლის გაგება ჩემთვის ძნელია და იგი ჩიხში მაცუნებს. თუმცა, ზოგ შენს მსჯელობასა და დასკვნაში მართალი ხარ. რაც ნაწილობრივ ჩემთვის წინააღ, ლენინგრადში გითქვამს. მაგრამ ბევრში კი ცდები. მაგალითად ქალის ბუნების შეცნობაში. გახსოვდეს, ქალმა თუ ვინმე ჰქმნარიტად შეიყვარა, ის ყველაფერს მისცემს მას, მსხვერპლსაც კი გაიღებს და არ იფიქრებს, მისგან სამაგიერო რაიმე წაიღოს. შენ განზრახ მიიწერ უარყოფით ყველა ნაკლს და მათ შორის მატერიალურ მხარეს ხაზს უსვამ. უნდა მოგახსენო. რომ ადამიანის მატერიალური მხარე ჩემთვის ყოველთვის მეორეხარისხოვან ფაქტორს წარმოადგენდა და ამჟამადაც ასეთად რჩება. მე შენი მაღალი სული, მგზნებარე გული და არა შენი ჯიბე მიტაცებს. შენ მათხოვარი, კუტიც რომ ყოფილიყავ, ორთველაში ჩავსვამდი და ამ წუთისოფლად ისე გატარ-

ებდი. მე ყოველთვის ჩემი თავისა და ხელების იმედით ვცხოვრობდი და მერმისშიც მათი იმედით ცხოვრებას ვაპირებ. შრომის პრინციპი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ბავშობიდანვე გვინერგავს, ადამიანისათვის ყველაზე უფრო საიმედო და მყარი საფუძველია, ვწერ ამას და საპირო სიტყვებს ვეძებ, სადმე ორატორიანი სიტყვა და გამოთქმა რომ არ ამოიკითხო და ნაწყენი არ დაჩჩე. მაგალითად: „ორთვალაში ჩავსვამდი და ისე გატარებდი“ შენ ხშირად დაცინობდი ზოგ ჩემს გამოთქმას და სიტყვას, მაგალითად: „კოჩუმი“, „ლაბუხ“ და სხვას („გაჩუმი“, „ამიკი“...), იქნებ მათ ქუჩურ სიტყვებსაც კი უწოდებდი მაგრამ ისინი ჩვენ თეატრის ორკესტრში მომუშავე ებრაელების ჟარგონია, მათი შიფრი და საოხუნჯოდ ჩვენც ვიმეორებთ. იმ სიტყვების გამო დედა და ირა ხშირად თავზე კაკალს მამტერევენ, ახლა კი შენ მამტერევე თავზე იმ კაკალს და იქნებ გადავეჩვიო! ირამ ჩაიარა ჩემს ოთახში. იგი დიდ მოკითხვას ვითვლის, მაგრამ რა დაინახა, გუშინ და დღესაც წერილს გწერ, ხელი უიმედოდ ჩაიჭინა და მითხრა: წერილის წერის საღერდელი მოგშლიათ. საუბედუროდ ჰო მეთქი, მივეუბნე: ძვრფასო და საყვარელო ჩემო რევაზ, ათასს გაკოცებ. მკერდზე მივიკრავ მწუხარებისაგან გაბრუებულ, შავი ფიქრებით სავსე შენს თავს და ვთხოვ: ნუ გოდებ, ნუ ფიქრობ ასე მწარედ და ცუდად ცხოვრებაზე, ადამიანებსა და ჩემზეც. ჩვენ ჩვენივე წერილების მსხვერპლი ვართ. ნუ აჩქარებ უბედურების მოახლოებას ჩემი ლანძღვა-გინებით. მე შენ გაგიყვებით მიყვარხარ და დამიჯერე, ყველა ჩვენი ეჭვი და ურთიერთშორის ჩამოვარდნილი გაუგებრობა შეხვედრისთანავე გაიფანტება. ცხრა სექტემბერს უსიკვდილოდ წამოვალ. სადგურზე დამხვდი. თბილისში სამი, ოთხ დღეს დავრჩები. მანამდე სულით არ დეცე გახსოვდეს: მუდამ შეყვარები, მარად შენთან ვიქნები, ყოველ სურვილს შეგისრულებ. ო, ჩემო საყვარელო, შენა ხარ ის, ვისაც ვუგზავნი შეე-

ბა-სიხარულს, ღიმილს, კოცნას, ცრემლთა ნაკადულს და მუდარასაც. ზინა ბუპოვა“.

ზინას წერილი შეიცავდა თავისმართლებას, შეცდომის აღიარებას, თანაც ისევ პირველი, დაუოკებელი სიყვარულისაგან აფორიაქებული, ბუდიდან ამოვარდნილი ქალის აღსარებას, მიჯნურობის გრძნობის დაუფარავ გამქლავებას, მეგობრულ, დედობრივ მზრუნველობასაც კი და ამიტომ დედის დაუვიწყარი სახის გვერდით რევაზის თვალწინ ახლა კეთილშობილი, მგზნებაზე და მოსიყვარულე რუსი ქალიშვილის სახეც აღიმართა და მან მასზე გამუდმებით ფიქრი დაიწყო.

* * *

რევაზმა, ავადმყოფობის მომიხეზებით, სამხედრო სასწავლებელს თავი გაანება და ჰონორარით ცხოვრება დაიწყო, თუმცა კარგად იცოდა, სამწერლო გზა მარტო ვარდებით რომ არ იქნებოდა მოფენილი და ეკალსაც ხშირად წააწყდებოდა. რევაზის მიერ ლენინგრადსა და მოსკოვში შეძენილი და თბილისში რკინიგზით გამოგზავნილი ბიბლიოთეკა მოვიდა და მან იგი სადგურიდან ვარდისუბნის ქუჩაზე, თავის ოთახში მიიტანა. გრიგოლის ბინაზე იმ ბიბლიოთეკიდან არც ერთი წიგნი არ წაუღია, რადგან იქ — ძმის ბინაზე გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსის კლაუზევიცის შრომებმა, ლუდენდორფის მემუარებმა და ტარლეს „ნაპოლეონმა“ გაიტაცეს. გრიგოლის მეუღლე თინა, შვილებითურთ, კორიკეთიდან თბილისში სექტემბრის ბოლომდე არ აპირებდა ჩამოსვლას და რევაზი მანამდე ძმის ბინაში, ისე ვით ციხეში ჩაიკეტა და უცოლო კაცის პირობაზე ცხოვრობდა. იმის შიშით, ქალაქსა და რესტორანში მეგობრებსა და ნაცნობებს რომ არ შეპყროდა და მათ ქეიფსა და უმიზნო დროსტარებაში არ ჩაეთრიათ, რევაზი გრიგოლის ბინის უკანა აივანზე, სათავსოების გვერდით პატარა ოთახში მცხოვრებ ქურთ ქალს — რეჰანს ბავ-

არში გზავნიდა და სადილსაც მას ამზადებინებდა. რევაზი საუზმესა და ვახშამსაც შინ მიირთმევდა. ყველაზე უფრო სანუკვარი საქმელი მისთვის მაინცადა-მაინც ყურძენი-რქაწითელი და თონის პური იყო. იმ ყურძენსა და პურზეც რევაზი ეგზავნებოდა.

მინდა მკითხველმა იცოდეს რევაზის მოსიყვარულე იმ ქურთი ქალის — რევაზის ვინაობა. რევაზი მწარედ მოსაგონარაბა ერთმა შემთხვევამ გადმოხვეწა: პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთის ერთი მთიანი ვილაიეთიდან თბილისში. 1916 წლის შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს გრიგოლის მსახურმა ჯარისკაცმა, ფრონტიდან ჩამოსულმა ათანასე დუბენკომ კონკეტში გამოხვეული, ჩაბინძურებული და ტილებდასეული თორმეტი თუ ცამეტი წლის ქურთი გოგო რევაზი კარზე მიაყენა თინას და გრიგოლის წერილი გადასცა. მოკითხვისა და ფრონტის ამბების მოთხრობის მერმე გრიგოლი ცოლს სწერდა:

„ჩვენი ჯარების მიერ თურქეთის ერთი ვილაიეთის დაქვევების მერმე ფრონტზე დროებით სიმშვიდე ჩამოვარდა და კარები გაღებულა. ჩვენს გვერდით პლასტუნები — ქვეითი კაზაკები დაბანაკდნენ. საღამო ემას პლასტუნების ერთი კარგიდან ქალის შემზარავი კვილი შემომესმა და მაშინვე იმ კარავში ჩემი ჯარისკაცები გაფრინე. დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა მომახსენეს: პლასტუნებს თავის კარავში ქურთი გოგო შეუთრევიათ და მისი გაუპატოვრება მოუწადინებიათ. კარავში შევიქერი, ის მხეცი პლასტუნები დაუზოგავად გაეამთარახე, პატარა ქურთი გოგო გამოვტაცე და ახლა ჩემი მსახური ჯარისკაცის — ათანასე დუბენკოს თანხლებით გიგზავნი. დუბენკო ჩემზე შეყვარებული, წესიერი კაცი და დარწმუნებული ვარ ამ საცოდავ, ობოლ გოგოს — რევაზს უვნებლად ჩამოვიყვანს. რევაზი ჭერ კიდევ ბავშვია. მშობლები და ნათესაები თურქებმა გაუკლტეს. ცოდვია. გავზარდოთ, ვასწავლოთ და გამოგვადგებამ!“ თინას ხატად დარჩა. გამურულ, ჩამოკონკილ

გოგოს შიშითმოკული თვალები შეინათა, თმაში მოფუსფუსე ტილები დაუნახა, შეკრთა, ქურთი გოგო აიგინე გიყვანა და ქერიც დას პეპელას უთხრა: „გრიგოლი ფანტაზიორი, უცნაური კაცია! ეს ვინ მაიმუნე მომაყენა კარზე? შინ არ შემოუშვათ, ტილებს დაგვასევს. ახლაც აბანოში გაეაქანოთ!“ მერმე ოთახში შევიდა. ძველი კაბა, თეთრეული და ფეხსაცმელი გამოძებნა, ჩანთაში ჩაალაგა, კიბზე დაეშვა, ეზოში ჩავიდა და სარდაფში მცხოვრები ქურთი მეგზოვის — ალის ცოლს — ბაიზს შეევედრა. რევაზს აბანოში წაყვოლოდა. ქალებს მცველად ჯარისკაცი ათანასე დუბენკო გააყოლა. ბაიზმა რევაზი აბანოში წაიყვანა, კონკეტი ვახადა, ვახეთში გაახვია და ქუჩის სანაგვე ყუთში ჩაავდო. მერე ისევ აბანოში შევიდა, რევაზს თავი და ტანი დააბანინა, გასაპნა, ქისით ვახეხა, გაასუფთავა და ახალი საცვლები, კაბა და ფეხსაცმელი ჩააცვა. ფრონტიდან ჩამოსულ ცისფერთვალემა, მწითურ რუს გლეხ ქაბუქს, ათანასე დუბენკოს გოგირდის აბანო მოეწონა. მინაც ტანი დაიბანა, ახალი ტანისამოსი ჩაიცვა, ძველი კი ვახეთის ქალაქში გაახვია და ქურთ ქალებს შინ ისევ მცველად გამოაყვია. თინამ აბანოდან დაბრუნებული, ანაფორასავით გრძელ, ფართუნა კაბაში გამოწყობილი და ტუფლების მაღალქუსლებზე მდგარი რევაზი რომ დაინახა, ვერ იცნო და გადაიხარხარა. მერმე შეშინებული, დარცხენილი, თავდაბრილი, ობოლი გოგო შეეცოდა, მოეფერა, გაუღიმა და ქმრისადმი საყვედურს თავი გაანება. ვავიდა დრო, რევაზი წამოიზარდა, ეშხიანი, წესიერი ქალიშვილი გახდა, ქართული ისწავლა, გრიგოლის ოჯახის ერთგული გახდა, მისი შვილები: პატარა ელიკო და ეშხარი შეიყვარა და მათ სამაგალითოდ უვლიდა. გრიგოლი და თინა მას ახლა თავის ოჯახის წევრად თვლიდნენ. ბოლოს რევაზს პირველი მსოფლიო ომის დროს ირანიდან მასავით გადმოხვეწილმა, შავტუხა ახალგაზრდა კაცმა ალი კაჯარ-ოღლიმ მი-

გნო და ხანმოკლე რომანის მერმე შეერთო კიდევ. ალი კაჯაროლი ბაქოში მეთერთმეტე წითელი არმიის ცხენოსანი ნაწილის მხედრად ჩაერიცხათ და ალი კაჯაროლი მათე კაჯაროვად მოენათლათ. მათე კაჯაროვი 1921 წელს მეთერთმეტე არმიას შემოჰყოლოდა თბილისში. მერმე ჭარისათვის მალე თავი გაუნებებია და დემობილიზებულს მილიციაში დაუწყია მუშაობა. იგი შეითანბაზარში ცხოვრობდა, ხოლო რეჰანის შერთვის მერმე კი ცოლს ჩაესახლა. ძმები გრიგოლი, ზურაბი, კოტე და მათე ოჯახები რეჰანსა და მათეს შეეთვისნენ და თავის მახლობელ ადამიანებად თვლიდნენ. მათე რეჰაზს, განსაკუთრებით სოფელ კორომეთში, კულში დევდა, ექიდავებოდა, თუმცა კიდაობის მერმე კორომეთის ეზოში სულ მიწაზე გამოტოლი რჩებოდა. რეჰაზის მეზობლები ხშირად ჰპატივებდნენ მათეს, მაგრამ იგი ღვინოს ვერ ეგუებოდა და ქეიფის დასაწყისშივე თერებოდა, რაც ღვინისსამაში გამობრძმედილ ზემოიბერლებს აოცებდა. მათე იმდენად გაჭართველდა, რომ გვარი შეიცვალა და კაჯაროვი ახლა ყაჭირიშვილად იწერებოდა. გრიგოლის ოჯახი, რეჰანითურთ, ზაფხულს კორომეთში ატარებდა. მათე ხშირად აკითხავდა რეჰანს კორომეთში. მალე მანაც ქართული შეისწავლა, თუმცა ქართულს, ისე როგორც რეჰანი, ისიც მშობლიური ენის კვალობაზე უქცევდა. რეჰაზმა ორიოდ ქართული სიტყვა იცოდა და მათესა და რეჰანს გამუდმებით ეკითხებოდა: „ქურმანჯი, ნომენ ტაჩია?“ („ქურთი ხარ, რა გქვია?“), რახედაც ისინი ღიმილით მიუგებდნენ: „ქურთი არა, ქათველი ხარ“. მათესა და რეჰანს სამი შავტუხა შველი შეეძინათ: მზია, თემო, და რამიზი, რომლებიც დაზრდის მერმე ქართულ სკოლაში მიიბარეს. ესენი უკვე გამართული და სწორი ქართულით მეტყველებდნენ და მშობლების ქართულზე ელიმებოდათ. ასე შეემატა ჩვენს ხალხს ხუთი ქართველი — ყაჭირიშვილი. რეჰანს ძმსაებრ უყვარდა რეჰაზი.

მისი მესაიდუმლე იყო. ამიტომ გავხარდა გრიგოლის ბინაში, მთავრის ოთახის გვერდით რეჰაზის ცხოვრება. რეჰაზი ახლა მას ძალიან ეცოდებოდა. დედას ოლლას კარგი სიტყვით იხსენებდა და შავი ბრიალა თვალები ცრემლით ევსებოდა. რეჰანი რეჰაზს, როგორც უკვე ითქვა, ბაზარში ეგზავნებოდა, სადილს უმზადებდა, ბინას ულაგებდა, თეთრეულს ურეცხავდა. ზეწარს, ბალიშის პირსა და პირსახოცს ხშირად უცვლიდა. გარეცხილი და ეზოში გაფენილი ზეწარი ერთ მშვენიერ დღეს რეჰანს მოჰპარეს, რისთვისაც იგი აენთო, ეზოში თავშეყრილ მეზობლებს აღშფოთებით გასძახა და ზეწარის ქურდს წყევლა-კრულვა გაუგზავნა: ვინზ ჩემი ზეწარი მოპარა იმიზ კუბო დაფინე“. აივანზე მდგარ რეჰაზს პირველად გაეღმა მაშინ კორომეთიდან დაბრუნების მერმე. იგი იმ წყევლა-კრულვას ხშირად ამეორებინებდა რეჰანს და ერთობოდა.

თორმეტ სექტემბერს შუალამით თბილისის რკინიგზის სადგურზე ლენინგრადის მატარებელი ჩამოდგა. ვაგონის ღია კარებში რეჰაზმა თეთრ კაბაში გამოწყობილი, ქსოდენ ნაცნობი, ყანჩასებრ მაღალ კანკებზე მდგარი ზინა პოპოვა დაინახა. აღელვებულმა ქალმა დარცხენით გაუღიმა, ჩემოდანს ხელი დაავლო, ვაგონის კიბეზე ჩაირბინა, რეჰაზთან მიიჭრა, ხელი მოჰხვია და ჩაკოცნა. რეჰაზს ზინასათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, როგორც ეს მან ლენინგრადში ოქტომბრის სადგურზე ჩაიდინა, რისთვისაც ქალის გულისწყრომა და გაკიცხვა დაიმსახურა.

— კეთილი იყოს თბილისში თქვენი ჩამობრძანება, — უთხრა რეჰაზმა ღიმილით სტუმარს, ჩემოდანი ჩამოართვა, მკლავში ხელი გამოსდო და სადგურის მოედნისაკენ წაიყვანა. ისინი მანქანის დასაჭერად რიგში ჩადგნენ. მოზღვავებული ბედნიერებისაგან სახე-გაცისკროვნებული, გულაძკვრებული ზინა თვალმოუშორებლივ მიმტერებო-

და რევანს და ერთსადამიანებს ჩურჩულით ეკითხებოდა.

— საბრალო ჩემო რევან, როგორ ცხოვრობ აქ დამგლოუვიარებული უჩემოდ?!

მალე რევანისა და ზინას რიგშიც მოაღწია. მანქანაში მჯდარი ზინა ისევ რევანს მიშტერებოდა, სახეზე ისევ ნეტარებით სავსე ღიმილი არ შორდებოდა და თავი სიზმარში ეგონა, რევანზე კი ღუმდა და პლუხანოვის უკაცრიელ პროსპექტს დამუხრებელი ვასცქეროდა. დედის გარდაცვალებისაგან გამოწვეულ მწუხარებას და შავ ფიქრს ახლა სხვა საზრუნავი და ფიქრი შეჰმატებოდა: „როგორ დავიჭირო თავი ამ ქალთან, მეგობრობის საზღვარს რომ არ გადააბიჯოს და ჩემთან შეუღლების განზრახვა არ დაუბალოს?!“ — ფიქრობდა რევანი. ბედნიერი სტუმარი კი ისევ თვალს არ ამორებდა მასპინძელს თითქო მისი საიდუმლო ფიქრის გამოცნობას ლამობდა. მაგრამ მასპინძელი თავის საიდუმლო ფიქრს ოსტატურად მალავდა.

შოფერმა ვერის აღმართი მოიტოვა და რუსთაველის პროსპექტზე გავიდა. იგი ჭარმაგი ქერა კაცი იყო. მგზავრების ინტიმურმა საუბარმა დაარწმუნა, ისინი მეგობრები რომ იყვნენ. კეთილად იღიმებოდა. ეტყობოდა, სიამოვნებდა, რუსეთიდან ჩამოსულ სტუმარს ქართველი კაცი გულითად მასპინძლობას რომ უწევდა, ენაწყლიანი გახდა, ხშირად იბრუნებდა თავს და შეკითხვებზე ზინას ამომწურავ პასუხს აძლევდა. შოფერმა რუსთაველის პროსპექტიდან მარჯვნივ გაუხვია და მანქანა მთაწმინდის აღმართზე მიუშვა.

რევანმა შოფერი გაისტუმრა. ჩემოდანი აიღო, ზინას ისევ მკლავში ხელი გამოსდო და წინა კარებიდან მძის ბინის სასტუმროში შეიყვანა. ქალს მდიდრულმა ავეჯმა და ლამაზმა მორთულობამ თვალი მოსჭრა. ის მდიდრული ავეჯი და მორთულობა თინას თაოსნობის და მეცადინეობის წყალობით იყო შექმნილი, თორემ ყაზარმულ,

ლაშქრულ ცხოვრებას შეჩვეულ და ომში ნატარ გრიგოლს მისი შეშინის სურვილი და თავიც არ ჰქონდა. ზინას ყურადღება მაშინვე ბეხშტეინის ფორმის საკონცერტო როიალმა მიიპყრო. პიანისტმა ქალმა მუსტრის თვლით დაათვალიერა იგი და მისი ავეჯგობა შეამოწმა, თუმცა ამ ნაშუადამევეს მასზე დაკვირა უხერხულად მიიჩნია. ზინა როიალს მოშორდა და მისი ყურადღება ახლა ბროლის კანკელმა, ირანული წარმტაცი ხალიჩით მორთულ კედელზე ჩამოკიდებულმა დიდმა სურათმა — ჯგუფურმა პორტრეტმა მიიქცია.

ღიღებ შესხნილ ქერქში გამოწყობილი, წვერულვაშიანი, კეკიანი, ღინჯი, თავის ღირსებაში დაჯერებული, მამაცი და ამაცი, ჭარმაგი მოხვევები ისხდნენ, წელზე სატყერები შემოერთყათ, თავზე გრძელბეწვიანი ბუხრის ქუდეები დაეხურათ და საღდაც შორს იცქირებოდნენ. იქნებ მარადი თოვლით დაფარულ, ბუმბერაზ მყინვარწყვერს მიშტერებოდნენ?! მოხვევებმა მაშინვე თვალი მოსტაცეს ზინას. რევანმა უამბო, თუ ვინ არიან მოხვევები და რას წარმოადგენს მათი მშობლიური მხარე — ხევი, თანაც მთის მწერალი ლექსანდრე ყაზბეგი და მთის მგოსანი ვაჟა-ფშაველა მოიგონა, მერმე ვაჟს განუშორებელ პოეზიაზე ჩამოუგდო სიტყვა და „მთანი მალაღნი“-ს დასაწყისი წაუკითხა: „იღგენ და ელოდნენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი“... ზინა სულგანაბული უსმენდა. იგი სულ სხვა სამყაროში გადასახლდა, ხოლო მთებს შორის გაშლილ და ნათურებით გაჩირადდებულ ქალაქს წინა აივნიდან რომ დაჰხედა — მეტად განცვიფრდა და წამოიძახა:

თბილისი ზღაპრული, წარმტაცი, მართლაც მთათა დედაქალაქია!

რევანს რუსი პოეტი, ფუტურისტი ეასილი კამენსკი მოაგონდა, გაიღიმა და ზინას უთხრა:

— „მთათა დედაქალაქი“ თბილისს კამენსკიმ უწოდა: („ო, მთათა მზეუხეო

დღედაქალაქი“). «О, солнечная ты гор столица».

აივანზე მდგარი ზინა ისევ მოჭადროებული დასცქეროდა თბილისს და თავი მართლაც სიზმარში ეგონა. ბოლოს რევავში მავის საათს დახედა და ზინას უთხრა:

— რა დიდი დრო გასულა, საცაა გათენდება. ახლავე წაეღო, ჩემი ძმის ბავშვების გამდელს გავაღვიძებ და ლოგინს გავაშლევინებ შენთვის.

— გამდელს ნუ შეაწუხებ. აი საწოლი, — მიუგო ზინამ, მკლავში ხელი წაეღო და აივანზე მდგარ რკინის საწოლზე მიუთითა. — ასეთ სიციხეში აივანზე წოლას რა სჯობს!?

— ეგ ჩემი საწოლია, — შენიშნა რევავმა და გაუღიმა. ზინამ მოულოდნელად ჰკითხა:

— განა ასეთ ფართო საწოლზე ორივენი ვერ დავეტევით? — რევავი შეცბა, უცოდველი, კდემამოსილი ქალწულივით გაწითლდა და მიუგო:

— დავეტევით, მაგრამ რა გაჭირვება! თანაც სხვასთან წოლას შეჩვეული არა ვარ. არ დამეძინება და ხეალ კაცად არ ვივარგებ. ხეალ კი თბილისი და მისი მიდამოები უნდა დაგათვალიერებინო. ნამგზავრი, დაღლილი ხარ და სჯობს ამაღამ რიგიან პირიანად გამოიძინო.

— ძილის მეტს ვაგონში რას ვაკეთებდი! ძილის გუდა არ გეგონო. ციყვივით მივდებ თავს, თვალს მოვატყუებ და მაშინვე წამოვიტყობი, — ურჩობდა ზინა.

— მაინც გამოძინება სჯობს, — წაილულულა იტიბარკატეხილმა რევავმა და მაშინვე აივანიდან წავიდა. „მას ჩემთან ცხოვრება განუზრახავს“, — გაიფიქრა რევავმა და იმ რიგად აღელდა და შეშფოთდა, თითქო გამოუცდელი ჰაბუკია, უბიწოების დაკარგვისა ეშინია და შეელას ითხოვს.

რევავი უკანა აივანზე გავიდა, ოთახის ღია კარებთან დადგა და რეჰანს გაუბედავად დაუძახა. რეჰანს ღ მის ქმარს მათესაც მაშინვე გაეღვიძათ. მათემ კარი

გაღო და მზეზე გატრუსული, ტანმორჩილი კაცი მაისურისა და ტრუსისხმარა აივანზე გამოვიდა.

— შაბატიე, ამ ნაშუადამევეს რომ გავაღვიძებ, — ბოდიში მოუხადა რევავმა, მაშინვე რეჰანიც საწოლზე წამოიჭრა და, ბავშვები, შინა და თემო (თემური) რომ არ გაეღვიძებია, შილიფად შეეკრილი, ჩითის ფარფაშა კბა გადაიკვა შუაზე გაყოფილი, შავი გიშრისფერი თმა გაისწორა და ბურთივით დამრგვალებული, ორსული ქალი აივანზე ფეხბერეფით გამოვიდა. რევავი შეეხვეწა:

— მიშველე რეჰან, რუსეთიდან ეს-ეს არის მეგობარი ქალი ჩამომივიდა. ოთხი დღე მატარებლით იმგზავრა, დაღლილია და ლოგინი სასტუმროში გაუშალე.

რეჰანმა გეზადგაშლილი, ნახშირისფერი, ხშირი წარბები აძგბა, რევავს შავი ბრიალა თვალეები შეანათა, სიცილი წასკდა, მსუქანი ბაგე გაეხსნა და თოვლივით თეთრი, ფართო კბილეები გამოუჩნდა. მერმე უმაღლე მოკეუმა ბაგე, ხელეები გაასავსავა, მკერდზე მიაწყდა რევავს და ეშმაკური დიმილით ჰკითხა:

— შენი მეგობარი თუ შენი ცოლი მოვიდა რუსეთიდან, რეზო? მართალი მითხარი, — ცოლის სიტყვები ჰკეუშა დაუჭდა მათეს, ჩია კაცმა ხელი ხელს შემოჰკრა, გაიბზინა, ოთხად მოკეცილი აივანის მოაჯირს მიეყრდნო და, შეკავებული სიცილის გამო, ისეთი უცნაური ხმა გამოსცა, თითქო ნოქარმა მალაზიაში ტილო გაფხრიწაო. რევავს გაეღიმა, მაგრამ მალე თავი შეიკავა და მათეს და რეჰანს დაბეჭითებით და შაკაცრად უთხრა:

— ყველაფერს თქვენი ადლით ნუ ზომავთ! ოხუნჯობას თავი გაანებეთ, თორემ მეწყინება. — მერმე რეჰანს მიუბრუნდა: — აბა ცოლი საიდან მოიტანე! ნამდვილად ჩემი მეგობარი, ამხანაგი, მახლობელი ქალია. წამოდი რეჰან, გაგაცნობ და მერმე ლოგინი გაუშალე!

რევავმა და რეჰანმა გრიგოლის ბინის ოთახები გაიარეს და წინა აივანზე გავიდნენ, ზინა ისევ აივანზე იდგა და

ქალქს ისევ მოკადოებელი გასცქე-
როდა. რევანში რეჰანი გააცნო. რეჰანმა
ქალს გაუღიმა, ხელი ჩამოართვა, მუშ-
ტრის თვალით შეამოწმა და უმაღლე-
თვალი მოართდა, თითქო ელდა ეცაო-
სტუმარი არ მოეწონა, რევანს ნაღვლი-
ანად შეხედა და თავი დარცხვენით ჩაპ-
კიდა. მისი აზრით ეს ქალი არ შეეფერე-
ბოდა რევანს, იგი გულნატკენი წავიდა
აიენიდან და სასტუმროში იმ უცხო ქა-
ლისათვის ლოგინის გაშლა დაიწყო, თა-
ნაც შემოთვებული ფიქრობდა: „კარგია,
ეს გამხდარი, ულამაზო ქალი დედა
ოღლამ არ ნახა“. რეჰანის წარმოდგენით
ლამაზი ქალი უთუოდ კარგი პატივით
შენახული, უთუოდ ხორცსავესე, მსუქა-
ნი უნდა ყოფილიყო.

კარგა ხანი გასულიყო უკვე, რაც
ვარვარა მზე მახათას მთის ზემოთ
დამდგარიყო, აიენს მისდგომოდა და
ვით ვეება მუქურა უმოწყალოდ აქე-
რდა. რევანში ადგა, აიენზე გაივარჯი-
შა, შხაპი მიიღო და სასტუმროში ფეხ-
აკრეფით შევიდა. პირით კედლისაკებ
შებრუნებულ სტუმარს ჯერ კიდევ
ეძინა. ტანზე მიფენილი ზეწრიდან ში-
შველი. ფეხი გამოეყო. რევანს ამ
ულამაზო ქალის მზე მონაკადი ფეხის
გამოქანდაკებული წვივი, პატარა ქუს-
ლი, ვარდისფერი ფრჩხილებით დაფა-
რული ლამაზი თითები მოეწონა, მერმე
ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ ღია სარ-
კმლის წინ სავარძელზე დაქდა და ფიქ-
რმა წაიღო:

„რისთვის გადავიკიდე და გზა-კე-
ლი აფუბნიე ამ გულმართალ და მდიდა-
რი სულის მქონე ქალს? მე ხომ მას
ცოლად არ შევირთავ! მან იცის ეს და
მინც ყველაფერზე თანახმაა: იყოს
ჩემი მეგობარი, ჩემი ცხოვრების თა-
ნამგზავრი, ჩემი აშვი, ხასაც კი და
მინც მის წინშე დამნაშავე ვარ. ჩემი
თავისათვის ვერ მიპატიებია, მოსკოვ-
ის ქუჩაში მოუფიქრებლად და წუთი-
ერ აღტაცების გავლენით წამოსრო-
ლილი წინადადება: „მოდო ზინა, ასე
ხელობელჩაიკიდებულად და შეხმატკბი-

ლებულად ვიართ ამ წუთისოფლად“
იმ სიტყვებმა მართლაც ჯადოსნური
გავლენა მოახდინეს ქალზე. აქედან და-
იწყო ჩემდამი ზინას გატაცება, რო-
მელიც მერმე თავადვიწყებულ სიყვა-
რულში გადაიზარდა და ახლა არ ვი-
ცი, როგორ დამთავრდება იგი! ეს რა
ჩავიღინე? განა რომანისათვის მცხელა
ებლა? რაც უნდა იყოს, ზინას უზადო
გრძნობის შებლაღვისა და შეგინების
უფლება არა მაქვს და სტუმარს მისი
შესაფერი მისპინძლობა უნდა გავუ-
წიო“. რევანში შეყვარებულ სტუმარს
კი ისევ ტკბილად ეძინა და ვინ იცის,
ძილში რა სანეტარო სიზმარი ეზმანე-
ბოდა?

რევანში ადგა და ღია სარკმელთან
გაჩერდა. შორს, მოწმენდილ ცაზე
ახატული, მარადი თოვლით გადალე-
სილი კავკასიონის ქედი და მყინვარი
ნათლად ჩანდა. მალე ზინასაც გაეღვი-
და, რევანში დილა მშვიდობისა უსუ-
რვა და უთხრა:

—ადექი ზინა! მე არ შეგხვდავ, ჩაიც-
ვი და ჩემთან მოდი, ამ სარკმლიდან
მშვენიერად ჩანს მყინვარი.

ზინამ კაბა საჩქაროდ ჩაიცვა, ისიც
სარკმელთან მიიჭრა, კავკასიონის ქედს
გაპხედა, მისი სურათით მოიხიბლა და
აღტაცებით დაიძაბა:

—უთუ დედამიწიდან, ამოზრდილს
ცაში ატყორცნილი, თოვლით დაფარ-
ული ის გიგანტური მთა მყინვარია?
რა დიდებული სურათია! როგორ შეი-
ძლება, მისი ქვერტისას კაცმა ლერმო-
ნტოვის „დემონი“ არ მოიგონოს:
«Под ним Казбек, как грань алмаза,
Снегами вечными сиял!».

ზინა და რევანშიც დუმდნენ და მყინ-
ვარს გაშტერებული გასცქეროდნენ.
მართლაც დიდებული სურათი იყო.



დილით, სამსახურში ქმრის გასტუმ-
რების მერმე, რეჰანს ხაჭაპური გამოე-
ცხო და ისა და რევანში რუსეთიდან ჩა-

1 მის ქვეშ ყაზბეგი, ვით ფხა აღმასის,
მარადილი თოვლით ბრწყინავდა.

მოსულ სტუმარს ჩინებული საუბრით, ჩაით, ყურმითა და ატმით ვაუმასპინძლდნენ. ოღონდ ეს იყო, შემფოთებული რეჰანი ზინას თვალს ვერ უსწორებდა, ვანზე იხედებოდა და მაშინ მოწამლულ თევზსავით გადმობრუნებულ, გამოთვრებული და გამოციებული მხოლოდლა მისი გუგები ჩანდნენ. რეჰანს გაგეებით, ძმასებრ უყვარდა რევაზი და რევაზის საცოლე, არამცთუ ულამაზო, არამედ მზეთუნახავი რომ ყოფილიყო, მაინც დაიწუნებდა, აფთიქის სასწორის თაროებზე შეაგდებდა, ასწონიდა და კბილსაც კი გაუსინჯავდა. ასეთი იყო არა მარტო რეჰანი, არამედ რევაზის ნათესავებისა და მეგობრების უმრავლესობა. მათთვის ზინას შეეძლო ეთქვა: «Вы по одежде встречаете, а по уму провожаете» («თქვენ ადამიანს მისი ტანსაცმლის მიხედვით იწონებთ, ხოლო მის გონებას კი არად აგდებთ»).

საუზმის მერმე რევაზმა ზინასათვის თბილისისა და მისი შემოგარენის დათვალეირების გეგმა შეადგინა. პირველ დღეს რევაზმა ქალაქი, მეტეხი, გოგირდის აბანოები, ნარიყალას ციხე, ბოტანიკური ბაღი დაათვალეირებია ზინას, მეორე დღეს—მთაწმინდის პანთეონი, ფუნიკულიორი. პანთეონში ილია ქავკავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა—ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიბოედოვის საფლავი უჩვენა. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ზინაზე გრიბოედოვის საფლავმა და საფლავის ქვაზე გრიბოედოვის მეუღლის, ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი, მზეთუნახავი ქალის ნინო ქავკავაძის მიერ გაკეთებულმა წარწერამ: «Ум и дела твои останутся в памяти русской, но для чего пережила тебя любовь моя». («გონება და საქმენი შენნი არ წაიშლება იან რუსეთის მეხსიერებაში, მაგრამ რისთვის დაობლდა უშენოდ ჩემი სიყვარული»). ალაჰმა უწყის, ამ პოეტურმა წარწერამ თუ გამოჩენილი რუსი დრამატურგისა და საზოგადო მოღვა-

წის ტრაგიკულმა დაღუბვამ ირანში და მისი მზეთუნახავი მეუღლის უღებლო სიყვარულმა ააღრმელა ზინა? აწინქნებ ნინო ქავკავაძესა და საკუთარ თავს—შორის პარალელის გატარებამ!? რაც უნდა იყოს, გრიბოედოვთან თავისი თავის, ხოლო ნინო ქავკავაძესთან ზინას შედარებით რევაზს იმეამად და მერმეც აზრადაც არ მოსვლია. გულაჩუყებული ზინა კი ისევ იცრემლეობდა. რევაზმა შენიშნა:

—შენს თვალზე ცრემლი ჯერ არ დამინახავს.

—ლენინგრადიდან შენი წასვლის მერმე თვალზე ცრემლი არ შემშრობია,— მიუგო ზინამ და გრიბოედოვის საფლავზე ჯვარს მოხვეულ და პირქვე დამხოზბილ, დამგლოვიარებულ ანგელოზს მიაშტერდა. — მეშინია, — განაგრძო მან. — ცუდი რამ არ შეგემთხვეს და შენი უბედურებით მეც არ დამლუპო!

რევაზმა გაიფიქრა: «ეს ქალი კასანდრასებრ გულთმისანი თუ არის და ჩემს უბედურებას წინასწარ ჰკრეტს?!» — მაშინვე მარინე ავალიშვილი, ბათუმი, ლუდა სტრელცოვა, ზღვის სანაპირო ბაღი, ბოშა ქალი მოაგონდა და მოიწყინა.

რევაზმა ზინა ფუნიკულიორზე ბილიკით აიყვანა, პარკის ხეივანებში გაასეირნა და ქალაქის ცქერით მოხიბლული ქალი მერმე რესტორანში მიიპატიჟა. ბაღის ხეივანში ბიძაშვილი დაეითი და მისი ფეხშიმე მეუღლე ნინო შეეყარნენ. რევაზი შეკრთა, დაიბნა, მაგრამ უკან დასახვეი გზა აღარ ჰქონდა: დავითს და მის მეუღლეს ზინა გააცნო. მერმე ყველანი რესტორნის აივანზე ავიდნენ და იქ ისაუბლეს. რევაზმა მოასწრო და ზინა გაადრთხილა, რათა თავისი ადგილსამყოფელი არავისთვის არ ეთქვა და სტუმარმაც იცრუა: ჩემი სიძის ნათესავეს — პროვიზორის სანდრო ნიქარაძის ოჯახში ვცხოვრობო. ამ განცხადებამ დავითისა და მისი მეუღლის დიდი ინტერესი გამოიწვია. განსაკუთრებით ცნობისმოყვარე ნინო არ ასვენებდა შეკითხვებით ზინას და მას ისიც

აფთიაქის სასწორზე სწონიდა, რაც რევმატიზმის მახვილ თვალს არ გამოჰპარავია. ნინო ქალიშვილობის ეამს მეტად ლამაზი ქალი იყო, ერთ ფილმში სათამაშოდაც კი მიიწვიეს, მაგრამ ახლა ორსულობას დაემახინჯებია, ქალს შავი, ლამაზი თვალები ჩასცვენოდა და გატანჯულ სახეზე მიწისფერი ლაქები მოსდებოდა. ექიმი დავითი ორსულობის გამო, ნერვებაშლილ ცოლს მოკრძალებით შესცქეროდა, ეკოდებოდა, მის წინაშე დანაშაულს გრძნობდა და ყოველ მის სურვილს მაშინვე უსიტყვოდ ასრულებდა. რევაზი კი ნინოს გაოცებული მიმტერებოდა და ქალის ზედასა, ქალსა და მამაკაცს შორის მდებარე ზღვარზე ფიქრობდა და ახლა უკიდურეს დასვენებას აცემებდა: ქალები, მამაკაცებთან შედარებით, სულ სხვა რასას ეკუთვნიანო.

ზინა თვალმოუშორებლივ გასცქეროდა ფუნქიკულიორის ზემო სადგურის რესტორნის აივანიდან თბილისს, მის შემოგარენს, მთებს და მათი პერეტით ვერ ძღებოდა. ხოლო როდესაც დაღამდა და ქალაქში ნათურები აციმციმდნენ, იგი სულმთლად მოიხიზლა და წარმტაცი სანახაობით მოჯადოებულ გაიძახოდა:

— ეგ ზღაპარია, ეგ სიზმარია!

რევაზი და ზინა დავითისა და ნინოს წასვლის მერმე, ქალაქში ნაშუადღევს, ტრამვაის უკანასკნელი ვაგონით ჩავიდნენ. სადილზე მირთმეული ღვინით ოდნავ შეზარბოშებულგზამაბაზანა მიიღეს და მერმე აივანზე მდგარი ფართო საწოლის ლოგინში ერთად მოთავსდნენ. ისინი არაფერს აღარ ამბობდნენ ახლა თავისი წერილების გამო. ზინა რევაზს თვალელებში სასაოებით შესცქეროდა, სახეზე ხელს ნახად უსვამდა, შავ გიშრისფერ, ოდნავ დაკვარკვნილ თმას უსწორებდა, ობოლ ბავშვსავით ეფერებოდა, თანაც უცნაურ, საალერსო რაღაც სიტყვებს ჩასაწერსულებდა, თითქო ლოცვას ეუბნებო. რევაზს უმაღლე ისევ ბათუმის გარეუბანი, ქოხი, ლუდა სტეპანოვა, მეზღვაურები, იძუ-

ლებითი ქორწილი მოაგონდა და გაოცდებოდა: „როგორ ჰგვანან ქალები ერთმანეთს, განსაკუთრებით კი — ალტერსში“!

რევაზმა და ზინამ ნესამე დღეს ზემო-ავტოლის პირობულექტროსადგური (ზაპესი), ჯვარი, საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა, სვეტიცხოველი, სამთავრო, არმაზი, ზედაზენი დაათვალიერეს. იმ დათვალიერებას მთელი დღე მონადომეს. საღამო იყო. რევაზმა ქალს საქართველოს ისტორია სულ მოკლედ უთხრა და სვეტიცხოველში დაკრძალული საქართველოს უკანასკნელი მეფის ერეკლეს საფლავი უჩვენა. მაგრამ საქართველოს ისტორიის მოთხრობის დროს რევაზმა ზინას შეამჩნია, რომ მას ქართლის ცხოვრება, ქართველი ხალხის ბედი იმეამად იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც თავისი მიჯნური, მისი ცხოვრება და მისი ბედი. ამიტომ, როდესაც სვეტიცხოველიდან გალავანში გამოვიდნენ და ჩამავალმა მშემ მცხეთის ქამინდელი მთების კლდოვანი ქედები გააშუქა, რევაზმა ზინას თვალი გაუსწორა და ისეთი გულითადი ხმით განუცხადა, თითქო აღთქმას ეუბნებოდა:

— რასაც ახლა გეტყვი, კარგად დაიხსოვებ და არ დაივიწყო, ვინაიდან იგი ჩვენი მეგობრობის ერთგვარ პირობას წარმოადგენს. მე, როგორც ყველა ქეშმარიტ და არა გადაგვარებულ ქართველს, სამშობლო და ჩემი მშობლიური ხალხი უსახლვროდ მიყვარს და ჩემი კაცობა და ჩემი ბედი საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედის გარეშე ვერ წარმომიდგენია.

ამ განცხადებამ ზინა შეაფრთხილა და ისე მოეჩვენა, თითქო მის წინაშე არა ნაცნობი და მახლობელი მეგობარი, არამედ მისთვის უცნობი, უცხო კაცი იდგა, რომლის აზრსა და ფიქრს მანამდე ვერ ჩაწვდომოდა. ქალი ჩაფიქრდა და მის სახეზე ღიმილი უმაღლე გაქრა. მიჯნურობის გრძნობით მთვრალი ზინა თითქო გონს მოეგო, თვალი აეხილა და რევაზმა ახლა მასთან გონივრული და გულითადი საუბარი გააბა.

* * *

ზინას ჩამოსვლით მეხუთე დღეს აღრე დილით ჩრდილოეთის ქლიფებზე ქარმა დაუბერა, ღრუბლები მოდენა და წვიმა მოვიდა. ისე აცივდა, რომ ლენინგრადადღეობა ქალმა — ზინამაც კი შალი წამოიხსა. რევიაზი ურჩობდა: მოკლესახელოებიან ხალათს არ იცვლიდა. პარალელურად დადგმული ორი სკამის ზურგზე, ისე ვით ორძელზე, ჯერ კუთხეს აკეთებდა, მერმე კი ყირას სკივამდა, რასაც ზინა ალტაცებამი მოჰყავდა. ნასადილევის ქარი ჩადგა, წვიმამ გადაიღო. რევიაზი და ზინა სასტუმროში ღია სარკმლის წინ დასხდნენ და საუბარი გააბეს. უცბად ზინა ტყუასს მიამტერდა, გაიღიმა და უთხრა:

— შენს ძმას კოტეს კარგად ვიცნობ და მოხბლული ვარ მისი პიროვნებით. ნეტა ვიცოდე, როგორი არიან დანარჩენი თქვენი ძმები?

— ძმების სახით, აღნაგობითა და ხასიათითაც არა ვგვევართ ერთმანეთს. — მიუგო რევიაზმა. — მე და კოტე როგორიცა ვართ, კარგად იცი. გრიგოლი — მაღალი მხრებგამულილი, ახოვანი ვაჟკაცია, ზურაბი კი — ქეშმარიტი გოლიათი და დიდი ორიგნალი: მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, მუსიკის მტოდნე, გატაცებული მონადირე. მიუხედავად ამისა, თავად ზურაბს, ისე როგორც ჩვენ — მის ძმებსა და დებს, ნათესაებს გრიგოლი — ის მამაცი მხედარი ყველაზე მეტად გვიყვარს და გვესახელება.

ზინამ მუხლზე გაშლილ ოჯახურ ალბომში გრიგოლის სურათი მოძებნა, დააცქერდა და ალტაცებით დაიძახა:

— ეგ ჰეშმარიტად მთის არწივი!

— აი მაგ "მთის არწივს" ჰეშმარიტობისას ვაგეგმებრე და ოხუნჯობით ბალზაის ფრაზა მივახალე: რასაც შენ ხმლით ვერ მიადწიე, მე მას კალმით მოვიპოვებ-მეთქი, რაზედაც მან ღიმილით შემინიშნა: საკუთარ თავზე ძალიან დიდი წარმოდგენა გეჭონია და იმ წარმოდგენამ არ დაგლუპოსო. — ზინამ და რევიაზმა გაიცინეს, რევიაზმა განაგრძო: — გრიგოლი მეტად საინტერესო პიროვნე-

ბაა. იგი არა მარტო სამხედრო კაცი, არამედ ჟურნალისტი, მსახიობი, მომღერალიცაა, მან 1920 წელს თბილისის კონსერვატორია პროფესორი რიადნოვის კლასით დაამთავრა. მას ლამაზი, ბარიტონული ხანი აქვს. იგი წინათ წარმატებით ასრულებდა კონცერტებზე მეფისტოფელის, დონ ბაზილიოს, დემონის პარტიებს, ქართულ, რუსულ, ვეროპულ რომანებს. მაგრამ მისი მსახიობური მოღვაწეობა 1921 წლამდე გრძელდებოდა, სანამ ჯარისათვის თავი განებებული ჰქონდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერმე კი სერგო ორჯონიკიძის წინადადებით ჯარს დაუბრუნდა. სერგო კარგად იცნობდა ზურაბს და პოლიტიკური დევნის დროს მის ბინაში არაერთხელ შეუფარებია თავი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერმე, 1921 წელს სერგომ გრიგოლი დაიბარა და უთხრა: ჩვენ ვიცით, რომ ფრონტზე 1917 წელს, რევოლუციურ ჯარისკაცებს ემხრობოდ. საქართველოში ჩამოსვლის მერმე კი მენშევიკურ ჯარში სამსახური არ ისურვე. მოსაწონი გადაწყვეტილება იყო. შენ მალე დაიწყებდი, თუ ვის უფრო უყვარს საქართველო: მენშევიკებს თუ ჩვენ — ბოლშევიკებს. შენ მამაცი, გამოცდილი მხედარი, სამხედრო საქმის პრაქტიკოსი, თეორეტიკოსი ხარ და ახლა საქართველოს წითელი არმიის ჩამოყალიბებებს საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგეო. იმ დღიდან დაიწყო წითელ არმიის გრიგოლის მოღვაწეობა. ჯერ იგი ლეგიონის, მერმე დივიზიისა და ბოლოს კავკასიის ჯარების უფროსის მიხეილ კარლოს ძე ლევანდოვსკის თანამეშვედ მუშაობდა.

— ეგ რა დიდებული ადამიანის ბინაში ვცხოვრობ თურმე! — ალტაცებით წამოიძახა ზინამ. ზინას ალტაცებამ რევიაზი წააქეზა და მან გრიგოლზე და ზურაბზე თხრობა განაგრძო:

— სამოქალაქო ომში სერგო ორჯონიკიძის მეგობარი მიხეილ კარლოს-ძე ლევანდოვსკი გამოჩენილი მხედართმთავარი და მეტად კულტურული კაცია.

ისა და გრიგოლი ბედნიერ დღეს შეეყარნენ ერთმანეთს და დამეგობრდნენ. ისინი წარმატებით თანამშრომლობდნენ ჯარში, ოჯახითურთ ერთად ისვენებდნენ აგარაკებზე და სანადიროდაც ერთად დაიარებოდნენ. გრიგოლი არა მარტო სამხედრო საქმეებს, არამედ ჯარის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც თვალყურს ადევნებს. კავკასიის წითელდროშოვანი არმია ცნობილია თავისი ორკესტრებით, მომღერალთა გუნდებით. ამ საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი გრიგოლს. იგი დიდ ყურადღებას აქცევს წითელარმიელთა ტრანტის გამოვლინებას, მის წაქეზებას გრიგოლი არა მარტო სახელგანთქმული მეტრძოლია, არამედ აღლუმის ქორეოგრაფი, უნდა გენახათ გრიგოლი, როდესაც აღლუმს ბრძანებას აძლევდა. ხოლო ლევიანდოვსკი კი აღლუმს იღებდა. გრიგოლი სარდალს მოედანზე ჯარების განლაგებას ადგილზე გაშეშებული და წარბაწეული, ვაჟკაცურად უპატივებდა, მისი ძლიერი ბანი ჰაერს აპობდა და მახლობელი სახლების მიწებს აზანზარებდა. ხოლო დამასკოს ფოლადისაგან ნაქედი მისი მოხრილი და გველისთავიანი ხმალი მზეზე ბრწყინავდა და კაშკაშებდა. აღლუმის მეთაური გრიგოლი და მისი მიმღები ლევიანდოვსკი ჭეშმარიტი სამხედრო პირები არიან და აღლუმის წესებს არტისტულად ასრულებენ. მე ვიცნობ ლევიანდოვსკის, სამხედრო საქმის ამ გამოჩენილ თეორეტიკოსსა და პრაქტიკოსს როგორც საბრძოლო მომზადებაში, ოპერატიულ-ტაქტიკურ სწავლებაში და მანევრებზე, აგრეთვე ოჯახურ ცხოვრებაში. მისი დედა და მეუღლეც ქართველები არიან. მას უყვარს საქართველო და ქართველი ხალხი. მე დავუახლოვდი მას და შევიყვარე. მაოცებს მისი კულტურა, საბჭოთა და საზღვარგარეთული ლიტერატურის ცოდნა. მას დიდად სიამოვნებს ჩემს უფროსს ძმასთან, თბილისის გიმნაზიაში მის ყოფილ მასწავლებელთან, ამჟამად ენათმეცნიერების დოქტორთან, ზურაბთან შეხვედრა

და მასთან საუბარი. ზურაბი, როგორც უკვე მოგახსენე, არა მარტო მეცნიერობაში, არამედ მგზნებაზე მონადირეც იყო, ხელირობის ტრფილს რამ იტყვიან, სწორედ ის არის. ერთხელ მან ლევიანდოვსკის თხოვა შაშხანიდან და ნაგანიდან სროლაში შეჯიბრებაზე მონაწილეობის მიღება. ბრგემ, ტანმორჩილმა, მაგრამ პარამონიული აღნაგობის მქონე სარდალმა ეშმაკურად გაუღიმა, ცისფერი თვალები შეანათა და მაშინვე ნება დართო. შაშხანიდან და ნაგანიდან სროლაში შეჯიბრება თბილისის მახლობლად, აი აგერ, იმ მთის იქით, — ხელი გაიშვირა რევებაში, მახათას მთა უჩვენა ზინას, და განაგრძო: — პატარა მლაშე ტბების რაიონში მოეწყო, მასში თბილისის გარნიზონის უფშემადგენლობა და თავად სარდალი და მისი თანამეგობრე გრიგოლიც მონაწილეობდნენ. სროლის დამთავრების მერმე სარდალი, მეთაურების ჯგფთან ერთად, სამიზნო დადების შესამოწმებლად გაეშურა. „სიცხვეილი და თავსლაფის დასხმა“, — დიძმაბა მან. ყველა სამხედრო პირს მიუბრუნდა და უთხრა: — „საღდა გამოვყოთ თავი აი მოვიდა საერო კაცი, პროფესორი და სროლაში ყველას გვაჯობა“. სარდალმა არ იცოდა მაშინ, ჩემი მშა ზურაბი მონაწილეობისდროიდანვე გატაცებული მონადირე რომ იყო, სტოლინიანის რეაქციისა და სტუდენტების მღელვარების დღეებში კიევის უნივერსიტეტიდან რომ გამორიცხეს, ჯარში უკრეს თავი და სამხედრო სამსახურის მოსახდელად ქალაქ დუბნოში ჯარისკაცად განაწესეს. მეფის არმიიდან დაბრუნებული ყოფილი ჯარისკაცის მეტრად ნიშანი ამშვენებდა: „საუცხოო სროლისათვის“. საოდალი ნირწამხდარ მეთაურებს მიუბრუნდა: „გავალეებ ყველას საუცხოო სროლაზე გამოცდა ჩააბაროთ“. სარდალი ერთხანს გერმანიაში ვენერალური შტაბის აკადემიის თავისუფალ მსმენელად ირიცხებოდა. ბერლინიდან დაბრუნების მერმე იგი თბილისის ოფიცერთა სახლში შეკრებილ მეთაურთა და პოლიტმუშაკთა წინაშე გერმანიის არმი-

ის ოპერატიულ-ტაქტიკურ მომზადებისა და გამოცდილების შესახებ მოხსენებით გამოვიდა. ეს თავისი მოხსენება მერმე მან, შემოკლებითა და შეცვლილი სახით, მწერალთა კავშირის კლუბშიაც წაიკითხა. მალე სარდალმა მწერლები თბილისის მახლობლად მიგვიწვია. იქ სამხედრო ოლქის უმაღლესი და უფროსი შემადგენლობის შეკრება მიმდინარეობდა, რომელზედაც არმიის უფროსმა ბევრი ახალი აღმოჩენები გამოცხადა. მწერლები შუადღისას ჩავედით. ბანაკის სასადილოში საუბრის მერმე ლევანდოვსკიმ მთაზე აგვიყვანა, შეჩერდა და გვითხრა: „ქარგად უქცირეთ და დააკვირდით ამ მთის კალთას. რას ხედავთ თვალწინ?“ დიდხანს ვუქცირეთ იმ მთის კალთას და მერმე ცნობილმა პოეტმა პაოლო იაშვილმა, ლამაზმა, ზორბა ვაქაქმა, რომლის შავგვრემან სახეზე შავი, ბრიალა თვალები ელვარებდნენ, სარდალს მიუგო: „გვხედავ, მხოლოდ ბუჩქებს და ლოდებს“. სარდალმა გაიღიმა და შენიშნა: „იქ მთელი ასეულია განლაგებული“. მთის კალთას ყველანი დიდხანს გაფაციცებით დავაშტერდით, მაგრამ იქ ვერცერთი მებრძოლი ვერ დავინახეთ. პოეტმა იაშვილმა, განცვიფრების ნიშნად, მხრები აიჩეჩა და სარდალთან მდგარ გრიგოლს ჰკითხა: „ნუთუ, გრიგოლიქ მართლა მთელი ასეულია განლაგებული?“ გრიგოლმა სარდალის სიტყვები დაადასტურა, გაიღიმა და დადუმდა. მაშინ არმიის უფროსმა მეთაურს ყურში რაღაც წასჩურჩულა. მეთაურმა ნიშანი მისცა და მაშინვე მთის კალთაზე ამოზრდილი ბუჩქები და მიწაზე დაყრილი ქვები შეირხნენ, ამოძრავდნენ და მებრძოლებად ქცეულნი, ფეხზე დადგნენ. ჯარისკაცებს ნაცრისფერი, რუხი, მწვანე და ყვითელი ფერით შეღებილი მოსასხამები ემოსათ და მკლავებზე ხის რტოები მიემაგრებოდათ. მწერლები დიდად გაოცდნენ და ჯარისკაცებს პირდაღებული მიაშტერდნენ. „რა ჩინებული შენიღბვა!“ — დაიძახა პოეტმა პაოლო იაშვილმა.

სარდალმა გაიცინა. ქეშმარიტად დიდებული ადამიანი სარდალი მიხეილ კარლოს ძე ლევანდოვსკი. იგი, პოეტური ბუნების კაცი. მას ადამიანგმანაცხადველი ურთიერთობის დამყარების დიდი ნიჭი გააჩნია. პროფესიით სამხედრო კაცი, იგი, ამავე დროს, ფაქიზი სულის მქონე ადამიანი, დიდი ინტელიგენტია. ლევანდოვსკის დიდი წვლილი შეაქვს საბჭოთა სახელმწიფოს და მისი შეიარაღებული ძალებისა და ძლიერების საქმეში. ძალიან მსიამოვნებს, სარდალი და ჩემი ძმა გრიგოლი რომ დამეგობრდნენ.

* * *

რევას დამთავრებული არა ჰქონდა თავისი თხრობა, როდესაც ძახილი შემოესმა. დავითის ხმა იცნო, ადგა და აივნისა და გადინდა. აივნის წინ ქუჩაში თავისი ძმა ზურაბი და ბიძაშვილი დავითი დაინახა. ელდა ეცა, გულმა მალიმალ ძგერა დაუწყო. ალბათ ზურაბს დავითმა შეატყობინა, რევას ლენინგრადიდან ქალი ჩამოუვიდაო, — გაიფიქრა მან, დერეფანში გავიდა და კარები გააღო.

საზაფხულო, ნაცრისფერ კოსტუმში გამოწყობილი, უღვაშიანი, გოლიათი კაცი — პროფესორი ზურაბი და ექიმი დავითი სასტუმროში შევიდნენ. რევასმა ზურაბს ცნობისმოყვარე, შეშფოთებულ თვალებზე შეატყო, სასტუმროს სავარძელში მჯდარი, შალში გახვეული, სადად ჩაცმული და მღელვარების გამო გაფითრებული ქალი რომ არ მოეწონა და ისიც მას აფთიაქის სასწორზე აგდებდა. რეზო და მისი სტუმარი ზინაც შეკრთნენ და დაიბნენ. ზურაბმა ძმას დარცხვენა, დაბნეულობა შეატყო, შეეცოდა, გაუღიმა და ოხუნჯობით უთხრა: — გაგვაცანი, ჩვენო პეჩორინო, ბელასაებრ ციხეში ჩაეკტილი ეგ შენი ქალი.

— გაიცანი: ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის კონცერტმეისტერი პიანისტი ქალი, ჩემი მეგობარი ზინა სტეფანეს ასული პაპოვა, — მიუგო რევასმა ძმას და ზინას სამსახურებრივ-

ვი სრული ტიტული მოახსენა, რათა ქალის რენომე აეწია.

— თხო, ეგ რა დიდებული სტუმარი ჩამოგვლია, — დაიძახა ზურაბმა და მის წინაშე მოწაფესაებრ მდგარ, შემკრთალ, დარცხენილ, თმაშეკრევილ, გამხდარ ქალს ხელი ჩამოართვა, სავარძელზე დასვა და თავადაც მის პირდაპირ სავარძელში ჩაჯდა. მათ შორის მაშინვე ცხოველი საუბარი გაიბა.

პროფესორი ზურაბ გარსევანიძე უფროსი შვილი იყო მშობლებისა, რევანი კი მეცხრე — უკანასკნელი. მამის ადრე გარდაცვალების მერმე ზურაბი იყო რევანის აღმზრდელი, მასწავლებელი. გზის მაჩვენებელი, ამიტომ ზურაბი რევანს მამის მსგავსად უყვარდა, მისი რიდი, პატივისცემა ჰქონდა და მის აზრსაც დიდად აფასებდა. ამ გოლიათ კაცს რევანი ნიკაბზეც კი ვერ სწვდებოდა და მის შვილს უფრო ჰვადდა, ვიდრე ძმას.

— სტუდენტობის ემს, — უთხრა ზურაბმა ზინას, — კიევის ობერის თეატრისა და სიმფონიური კონცერტების ხშირი სტუმარი ვიყავი. ახლა კი თბილისის ოპერაშიც ხშირად დავიარები. ცოტა რამ გამეგება მუსიკისა:

ზურაბი თავმდაბლობდა. მას ცოტა კი არა, ბევრი რამ გაეგებოდა მუსიკისა. იგი ქართული, რუსული, ევროპული მუსიკისა და ხალხური სიმღერების დიდი მცოდნე, აბსოლუტური მუსიკალური სმენის მქონე კაცი იყო და თავადაც ჩინებულად მღეროდა და უკრავდა როიალზე. ზურაბის მუსიკალური გემოვნებისა და მრწამსის გამო ზინა ზურაბს არ ედავებოდა. ისინი შეხმატკბილდნენ და რევანიც ნელინელ დაცხრა და დამშვიდდა.

— სტუდენტობის ემს კიევში ოთხჯერ მოვეუსმინე შალიაპინს: ბორის გოდუნოვის, მეწისქვილის, დონ ბაზილიოს და რაც მთავარია — მეფისტოფელის როლში, — უთხრა ზურაბმა ზინას, — შალიაპინი, მოგვხსენებათ, არა მართო სწორუპოვარი მომღერალი, არამედ შესანიშნავი მსახიობიც არის. ერთხელ კიევის ოპერაში შალიაპინი ბორის გოდუნოვის როლს ასრულებდა. იმ დღე-ღამეს, სადაც სიკვდილის წინ, გოდუნოვი თავის პირმშოს ეფერება, ეშვიდობება და მის მიერ მოკლული ბავშვის, უფლისწულის გასისხლიანებული თვალები ეჩვენება, სინდისის ქეჯნას განიცდის. იტანჯება და შემზარავი ხმით იძახის: ო. ავო სიკვდილო, როგორ მაწვალებო, ერთ მანდილოსანს გული შეუწუხდა და პარტერიდან ცნობა დაეარგული გაიტანეს, აი ასეთ უდიდეს ვაგუნას ახდენდა შალიაპინი თავისი სწორუპოვარი ხმით და დიდებული აქტიორული თამაშით მსმენელსა და მაყურებელზე.

მერმე ცნობილ კომპოზიტორებზე, სიმფონიებზე, და ოპერებზე ჩამოუგდო სიტყვა ზურაბმა ზინას. გამოიორკვა, რომ ზურაბი ვაგნერითა და მისი ოპერებით იყო მოჯადოებული.

— ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა“ ზინას შედეგად მიაჩნია და კარგადაც ასრულებს როიალზე ლისტის ტრანსკრიპციით „იზოლდას სიკვდილს“, — ჩაუერთო რევანმა.

— ვთხოვთ დავეიცრას, — მოულოდნელად წამოიძახა ზურაბმა. რევანს ძალიან გაუკვირდა: დედის ორმოცი ჯერაც არ გადაეხადათ, ზურაბი კი როიალზე დაკვრას თხოვდა ზინას. ზურაბმა თვალზე შეატყო რევანს ის ვაოცება და უთხრა: — „იზოლდას სიკვდილის“ პანგები შეეფერება ამკამინდელ ჩვენს სამგლოვიარო განწყობილებას. — მერმე ზინას მიუბრუნდა და განმეორებით თხოვა: — დაუქარით, დაგვდეთ პატივი!

ზინა გაფითრდა. ზურაბს ხათრი ვერ გაუტეხა. წამოდგა, შალი სავარძელს მიაფინა, როიალთან მივიდა და ხანგრძლივი პაუზა გააქეთა. ეტყობოდა ღელავდა, მუსიკის დიდი მცოდნე კაცის — ზურაბის წინაშე ვაგნერის ნაწარმოების შესრულებას რომ ბედავდა. ჩაფიქრდა და მერმე როიალის კლავიშებს თათები გაუბედავად შეახო.

ზინამ დაკვრის დასაწყისში შესამჩნევი ჩავარდნები, შებოჭილობა თანდათან გაღალახა, გამოასწორა და მისი თითები

ახლა თავისუფლად ჭირითობდნენ როიალის კლავიშებზე. ვაგნერის მუსიკა გადმოგვეყვამ აქ ემოციურ უდიდეს დაძაბულობას, სიკვდილის წინ იზოლდას ექსტაზს, იზოლდას მიერ გაგონილ უცხო ხმებს, რომლებიც ნელინელ გადადიან სამიჯნურო ექსტაზში და ბოლოს ყოვლისმძლე სიყვარულის ჰიმნად იქცევიან. როლში შესული ქალი სიკვდილის წინ იზოლდას სიტყვებს დაღადით ჩურჩულებდა. ბოლოს ზინამ დაკვრა დაამთავრა, კლავიშებზე სახურავი დაუშვა, ადგა, ბეჭებზე ისევ შალი წამოისხა, სავარძელზე დაჯდა, იზოლდას ყოვლისშემცველი მიჯნურობის ვნებისაგან აგზნებულა, აღმოვიდებულა სახე განზე მოიქცია და თავი ჩაჰკიდა. სიჩუმე ზურაბმა დაარღვია:

— ყოჩაღ. ჩინებულად შეასრულეთ „იზოლდას სიკვდილი“, მაგრამ, — მოულოდნელად შენიშნა მან, — მე დიდებული ვაგნერის ტრისტანული, ტრაგიკული სიყვარულის თაყვანისმცემელი კაცი არა ვარ, მე ვაგნერის „ნიბელუნგების“ გმირული ციკლი უფრო მიტაცებს.

— მე კი „იზოლდას სიკვდილი“ ისე მომწონს, რომ ახლაც ტანში მაგრეოლებს, — უთხრა ზურაბს ზინამ, გაოცებით შეხედა და ჰკითხა: — ნუთუ თქვენ ბატონო ზურაბ, ვაგნერის ისეთი შედეგარი, როგორიც „ტრისტანი და იზოლდა“ გახლავთ, სადაც სიყვარული სიკვდილს ამარცხებს არ გაჯადოებთ?

— ამარცხებს კია სიყვარული სიკვდილს? — მიუგო ზურაბმა და დასძინა: — მოიგონეთ რასა სწერს „ტრისტანისა და იზოლდას“ გამო გენიოსი კომპოზიტორი რიპარდ ვაგნერი ფერენც ლისტს: ჩემს თავში აშუაშად მარტივო, მაგრამ შთაგონებით სავსე მუსიკალური კონცეპცია ტრიალებს. მე გადავიფენ ჩემს ოპერის უკანასკნელ აქტში მოფრიალე დროშას და სამუდამოდ მივიძინებო. მართლაც ვაგნერის ვოკალურ-სიმფონიურ პოემაში — „ტრისტანი და იზოლდაში“ მოცემულია არა ხალხურ ლეგენდებში ხაზგასმული სიკვდილზე სიყვა-

რულის გამარჯვება, არამედ სიკვდილის გარდუვალობა. ვაგნერმა განაყოფა არა სიყვარული და სიცოცხლე, არამედ სიკვდილი, რომელიც კომპოზიტორის აზრით ადამიანს ტანჯვა-წამებისაგან ანთავისუფლებს თითქოს. ამიტომ მე ვაგნერის მუსიკაში უფრო მხიბლავს არა „შოპენჰაუერის პესიმისტური ფილოსოფიიდან გამომდინარე „ტრისტანული საწყისი“, რომელშიც სიკვდილი სიყვარულსა და ყველაფერს ამარცხებს, არამედ გმირული, სიკვდილის დამთრგუნველი, ოპტიმისტური — „ზიგფრიდული საწყისი“. ეს საწყისი მოცემულია მის „ნიბელუნგებში“, ტეტრალოგიაში: „რეინის ოქრო“, „ვალკირია“, „ზიგფრიდი“.

— ჰო, მაგრამ ზიგფრიდიც, ბრუნხილდეს გამო, იმ პირვანდელი თავისი გმირული ბრძოლისა და გამარჯვების ოპტიმისტურ გზას ბოლოს ამრუდებს, ლალატობს, — შენიშნა რევაზმა ძმის და დასძინა: — სწორედ ამის გამო იყო, ნიცშემ ვაგნერთან მეგობრობა რომ გასწყვიტა. რაც შეეხება „ტრისტანს და იზოლდას“, ცნობილია რომ ამ ოპერის შექმნის დროს ვაგნერის კონცეფციაზე გავლენა მოახდინა არა მარტო შოპენჰაუერის პესიმისტურმა ფილოსოფიამ, არამედ პირადმა მოტივმაც, თავისი მეგობრის მომხიბვლელი, მრავალნაირი ნიჭით დაჭილდოებული, პოეტური ბუნების მქონე მატელდა ვენუენდოკისადმი განუხორციელებელმა სიყვარულმაც.

— მაღლობა ღმერთს, საბრალო მარინეს და მერზე ჩვენი გატანჯული დედის გარდაცვალების გამო ბუდიდან არ ამოვარდი, შოპენჰაუერის პესიმისტური ფილოსოფია არ გაიზიარე, ოპტიმიზმი შეინარჩუნე, რუსეთი მოიარე და ახლა ლენინგრადადელ პიანისტ ქალს მასპინძლობ, — უთხრა ზურაბმა რევაზს, გაილიმა და ზინას დააცქერდა.

ვეება, დაბალ სავარძელში ღრმად ჩამჯდარი, გამხდარი სტუმარი ზინა სავარძელში თითქო გამჭრალიყო და არა ჩანდა. იგი გრძელსა და მწყობრად მიტყუპულ კანკა ფეხების მუხლებს იდაყვებით დაყრდნობოდა და ხელისგულებს

ნიკაბით დაბჯენოდა. ვაგნერის მუსიკის გამო სახეზე მოკიდებული ალმური დასცხრომოდა, გაფითრებულიყო, ზურაბს მიშტერებოდა, თვალებით ბურღავდა და ფიჭრობდა: რევაზის ძმაზე ნეტავ რა შთაბეჭდილება მოეხდინეო! თანაც უყვირდა, პროფესორმა, განათლებულმა კაცმა სერაოზული მსჯელობა მოულოდნელი ოხუნჯობით რომ დაამთავრა, რამაც მუსიკის არა მცოდნე ექიმს დავითს შეება მიანიჭა. ზურაბი ზინას აზიდულ, პაჭუა ცხვირზე, ირიბად დაყენებულ, პატარა, ქერიტა თვალბზე შეაქქერდა, ტანში გააერჯოლა და მზერა ახლა მოხვევების სურათზე გადაიტანა. ვაჟაკებს შორის მკდარი, მშვიდი, დინჯი, ჩაფიჭრებული და ჭკვიანი მოხუცი მოხვევის სახეს თვალი ვერ მოსწყვიტა ილია ჭავჭავაძის სიტყვები მოაგონდა: „მოგზვდი, ჩემო მოხვევე, რა ნესტართა ხარ ნახვლეთი“...

• • •

სადამო ეამს რევაზმა ზურაბი და დავითი ქუჩაში გააცილა. ისინი ფუნიკულ-იორის ქვედა სადგურის პირისპირ გაშენებულ პატარა ბაღში შევიდნენ. ზურაბი ცაცხვის ქვეშ შედგა და რევაზს უთხრა:

— ზინა უთუოდ ნიჭიერი, განათლებული ქალია, მაგრამ ის მაინც შენი შესაფერი არ არის. — გოლიათი ძმის წინაშე მდგარმა რევაზმა შერცხვენილი შეგირდივით ჩაჰკიდა თავი. ზურაბმა ჰკითხა:

— რა კავშირი გაქვს იმ ქალთან?

— მეგობრული, აზნაგური, ადამიანური, სულიერი. — მიუგო რევაზმა, თავი ასწია, ძმას თვალი გაუსწორა და გაუღიმა.

— მეგობრულ ზღვარს ნუ გადააბიჯებ, თორემ ბოლოს ინანებ. ის ქალი სრულიად არ შეგეფერება არა მარტო იმის გამო, რომ უღამაზოა, არამედ სულიერი შეხმატებულების მხრივაც.

— რა უფლება მაქვს, უცხო ტომის ქალს იმის გამო, რომ მეგობრად მომეკიდა, ხელი ვკრა, განვაგდო და გულ

დაუეკოდო! — ჰკითხა რევაზმა. ზურაბმა მიუგო:

— მაგრამ ის უცხო ტომის ქალი შენ, როგორც ვწერალს, ენას ალგირვეს, დაეცინინებს და მხარსაც ვერ ავიბამს.

— ეგ ყოველივე კარგად მესმის და მაინც ამ საქმეში აჩქარება არ ივარგებს. ცოდვაა, — შენიშნა ძმას ღრმად ჩაფიჭრებულმა რევაზმა.

— ეგ შეცოდება, ჩემო კარგო, ბევრად დაგიჯდება. სჯობს ამთავითვე უთხრა სიმართლე. მერმე უფრო მეტი იარას მიაყენებ მას. დაიბეჯითე ჩემი ქართული. — ვააფრთხილა ზურაბმა.

— ზინა თანამედროვე, მოწინავე ქალია. ვიმეორებ მეგობრობის გარდა სხვა არავითარ პრეტენზიებს არ მიყენებს, — დაამშვიდა უფროსი ძმა რევაზმა.

— აბა იმ მოწინავე ქალს, სცადე და თითი ხახაში ჩაუდე. მკლავი თუ არ მოგწყვიტოს და მთლიანად შენი გადაყლაპვა არ მოინდომოს! — შენიშნა ურწმუნო თომასებრ დავითმა.

— ზინა პატროსანი, გულმართალი ქალია. დოსტოვესკის გრუმენკა არ გეგონოს, მამაკაცის ვადაყლაპვის ეინი რომ აგიყებდა, — მიუგო რევაზმა. ექიმს დავითს დოსტოვესკი მხოლოდ გაგანილი ჰქონდა. მის არცერთ ნაწარმოებს არ იცნობდა. რევაზის ნათქვამი ვერ გაიგო. ზომ არ გაგიცდო, გაფიქრა და გაცეებით შეხედა. ზურაბმა რევაზს მიკიბ-მოკიბვის გარეშე ჰკითხა:

— გიყვარს ის ქალი?

— არა. მომწონს, როგორც მუსიკოსი, გულმართალი, უბოროტო ადამიანი. მან დიდი პატივი გეცა ლენინგრადში მე, კოტეს და არკადის. ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ, — მიუგო რევაზმა.

— მას კი გაგიყებთ უყვარხარ, — შენიშნა ზურაბმა.

— იქნებოს. მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის, — წაიღულღულა რევაზმა.

— იქნებ ამის გამო შეიცოდო და შეირთო კიდეც. ასეთი რამ მომხდარა ცხოვრებაში, მაშინ შენს თავისუფალ ცხოვრებას და შემოქმედებას გამოეთხოვე.

— ეგ არ მოხდება.

— თუ არ მოხდება, პირდაპირ უთხარი შენი გადაწყვეტილება. დამიჯერე, ის ქალი შენ ცოლად არ გამოგადგება. იგი ერთი შეუხედავი, გამხდარი, სწეული ქალია. მისი შთამომავლობა ფიზიკურად მანკიერი იქნება, — აცივდებოდა რევას ზურაბი.

— ვანა ბრმა ვარ და ვერა ვხედავ!

— თუ ხედავ, გზა-კვალს ნუ უბნევ, ნუ აწვალვებ, გაუშვი, ცოდევა.

— რა მექნა? მესტუმრა და, არ მიმელო? იგი ზევ მიდის ლენინგრადში.

ზურაბი დამშვიდდა და შინისაკენ დინჯი ნაბიჯით წავიდა. ფერმკრთალმა დავითმა კი ზურაბს ქურდულად თვალი გააყოლა, რევასთან მიიჭრა, ფეხისწვერებზე შედგა და ყურში ჯაშუშოვით ჩასჩურჩულა:

— ზურაბმა მართალი ვითხრა: ის ქალი შენისთანა ცნობილ მწერალს, ლამაზ ვაჟაკს არ შეეფერება. გაუშვი ნინომ ფუნქციულორზე რომ გაიცნო, არ მოეწონა. შინ გული შეუწუხდა. მუცელი კინაღამ არ მოეშალა.

რევაში მაშინვე მიხვდა, ზურაბი ზინას წინააღმდეგ დავითსა და ნინოს რომ მოემართათ.

ზურაბისა და დავითის წასვლის მერმე რევაში შინ სულიერად განადგურებული წალასლასდა.

„ყველა ზინას აუხირდა: ულამაზო, გამხდარი, შენი შესაფერი ქალი არ არისო, დაუჩემებიათ. მათ არ იციან, მარინეს გარდაცვალების მერმე, ჩემისთანა გულდამწვარი და სულიერი წყობის მქონე კაცისათვის შესაფერი ქალის პოვნა რომ მეტად ძნელია, ხოლო გონებადახურული, ბავშვთა-შობისათვის გაჩენილი, ჯანსაღი დედააკი ბევრია, მაგრამ ისინი მე არ შემეფერებან“, — ფიქრობდა შინისაკენ მიმავალი რევაში. იგი ეზოდან უკანა აივანზე ავიდა. მათე და რეჰანი ისეთი მოწყვნილი, დამგლოვიარებული, დადუმებული ისხდნენ აივანზე, თითქო შინ მიცვალებული უსვენიათო. ზედაც კი არ შეხედეს და თვალი მოარიდეს. ზინა კი

სასტუმროში, ისე ვით ბელა ცინში, კვლავ პატიმაროვით იჯდა, კრთებს ნაღვლიანად გასცქეროდა და არ ეუწყობდა, მის წინააღმდეგ შეთქმულება რომ მზადდებოდა და უხილავი, ვერაგი კაზბიჩი მის გასაგმირავ უნდო ტყვიას ქურდულად ასხამდა. ის ტყვია რევასის ქმების, ნათესავებისა და მეგობრების საერთო აზრის ნაყოფი იყო.

ზინას მფარველი ანგელოზი — რევაში სასტუმროში შევიდა. მას შინაგანად უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, ზინა თბილისში ჩამოსულიყო არა როგორც მისი ცოლი, არამედ როგორც მეგობარი და ერთად ეცხოვრათ მანამდე, სანამ ისინი მიმე უღლად არ დააწეებოდნენ კისერზე ერთმანეთს და მათი ცხოვრება სატანჯველი არ გახდებოდა.

ოც სექტემბერს ზინა ლენინგრადს გაემგზავრა. რევაში რკინიგზის ბილეთი უყიდა და ლენინგრადამდე სახარჯო ფულიც მისცა. ზინამ გზიდან ასეთი წერილი მოსწერა:

„საყვარელო, დაუფიქვარო ჩემო რევაში თბილისში მატარებელი რომ დაიძრა, მანამდე გიკვირე, სანამ სადგურზე მდგარი თვალს არ მოეფარე, მერმე კი ვაგონის სარკმელთან გავჩერდი და თბილისს, ფუნქციულორს, მთაწმინდას მივაშტერდი. ცოტა მარჯვნივ და ქვევით გრიგოლის სახლი, მისი ბინა და აივანი დავინახე, სადაც ერთი კვირის განმავლობაში ისეთი ბედნიერი ვიყავი, როგორც არასოდეს ჩემს სიცოცხლეში. ვიდეჭი სარკმელთან და ეტიროდი: გული მტკიოდა, თბილისში მარტო რომ გტოვებდი. რა გეშველება ახლა მანდ, საბრალოვ, უჩემოდ? ამ წერილს ვაგონში ეწერ. ჩემი თანამგზავრები კარგი აღამიანები არიან. ოთხი ქართველი ექიმი მეცნიერული მივლინებით მოსკოვსა და ლენინგრადს მიემგზავრება. ხოლო იმ ქორიკანა ექიმ ქალს, რომელიც შენ გამაცანი ენა ისე აქვს გამობმული, რომ შეუძლია კვერცხით მოვსებული ქათამივით ოცდაოთხ საათს იკაჟანოს. პირდაპირ ყური წაიღო. ნერვებს მიშლის,

რადგან მე დუმილი და შენზე ფიქრი მინდა, ის კი არ მასვენებს, შეკითხვებით თავს მამბურებს და იძულებულს მხდის, ზრდილობის გამო, შეკითხვებზე ეუპასუხო. ვაგონში ერთი აზრი დამებოდა. მანდ ჩვენი თეატრის დირექტორის მეგობარი—თქვენი განათლების კომისარის მოადგილე ცხოვრობს და იქნებ იგი დამეხმაროს თბილისის ოპერაში გადმოსვლის საქმეში. მანამდე ნუ მოიწყენ. მე კი შევეცდები კავშირს დავძლიო და მომავლის იმედით ვიცხოვრო. ნუ დარდობ! ღმერთი მოწყალეა და ყველაფერი მოგვარდება (თუმცა ღმერთი არა მწამს, ღროდადრო მაინც მას მივმართავ). პირველ დღეს მოწყენილი, დაღუპებული ვიყავი და როგორც იტყვიან, დანა პირს არ მიღებდა. სმა-ჰამა არ მინდოდა, ძილიც არ მეკარებოდა, მაგრამ როდესაც ღამით ლოგინში ჩავწევი და თვალი დავხუჭე, მაშინვე მომეჩვენა თითქო შენ ჩემს გვერდით იწევი, ცალი ხელი ჩემს წელზე გედო, ცალი კი — ჩემს თავქვეშ. ასეთ ნეტარებაში მყოფს მალე ტუბილად დამეძინა. დღეს შედარებით კარგ გუნებაზე ვარ. კარგი მადაცა მაქვს. განჯაში ნაყიდ ერთ კალათა ყურძენს მთელი დღე ვჭამ. პირი არ გამიჩერებია, ენა დამეღალა და ყურძენი მომბეზრდა. დერბენტში ისე როგორც შენ, როდესაც ლენინგრადში მივდიოდით, თევზი—ზუთხი ვიყიდე და ქონში გათხვრილი ხელი ისევ კაბაზე შევიხოცე, მაგრამ შენ აქ არა ხარ და ვერაფერს დამძრახავს, ვწერ

ამას და მეღიშება. ეჭიმი ქალი დამეცინის: რა დიდი სიამოვნებით სწერთ მაგ წერილსო! მან რა იცის, ამ წერილს საყვარელ ადამიანს რომ ვწერ! რევაზ, ძვირფასო, რეზო, რეზიკო (ხომ სწორია ქართულად: „რეზიკო?“), რამდენს ვფიქრობ ახლა შენზე რომ იცოდეს! როგორ არის მთელი ჩემი არსება შენით ავსილი, როგორ მიყვარხარ! ვაგლახ, სიტყვით და კალმით ამის გამოხატვა რომ არ მეხერხება! თანაც ვაგონი ირყევა, ცახცახებს და სარკმლის პატარა მაგიდასთან მჯდარს, წერა მიძნელებდა. ჩემო საყვარელო, ჩემო ბედნიერება, ჩემო დიდო იმედო, როგორ მინდა ისევ შენთან ვიყო და შენს ლამაზ, ჰკვიან თვალებს—შენი მაღალი, მდიდარი სულის სარკეს ვუცქერდე და ურიცხვად ვეკოცნიდე! რად არა ვარ შენთან? რად არის ასე უღმობლად მოწყობილი ეს ქვეყანა?! უშენოდ ცხოვრება ამიერიდან აღარ შემიძლია და თუ შენ არ შეყოლები, მეც მაშინვე გავთავდები. შემატყობინე, რომელი მისამართით გამოგიგზავნო წერილი: ვარდისუბნისა თუ არსენას ქუჩის მისამართით? ვადაეცი ჩემი მოკითხვა თქვენებს, განსაკუთრებით კი ვანოს(ვანიკოს). ჩემი აზრით ვანიკო კეშმარიტი შენი მეგობარია. აჰა, წერილის წერაც დავამთავრე. წერილს ვაკოცე, კონვერტში ჩავდე და ახლა ის კოცნა ამ წერილთან ერთად მახლობელი სადგურიდან შენსკენ გამოსწევს. ზინა პაპოვა.“

□ აიკრეული წიგნის დასასრული □

შალვა აბისაძე

მ ე რ ე ბ ა

მოვარდება ლექსი, როგორც ირმის ნუკრი,
 მზე, წვიმა და ლეშში უკვირს, თან არც უკვირს.
 ხავერდოვან ტურებს გაუწოდებს ფოთოლს
 მან რა იცის, უცებ ცა რომ ფოთოლს მოთოვს.
 მან რა იცის, ნუკრად დაბადებულ ლექსსაც
 მგელი დასდევს უკან ღამეცა და დღეცა.
 მან რა იცის, ტყისკენ გადაუხვევს როცა,
 მგელს დარჩება მყისვე საშამფურე ხორცად..
 ნუკრო,

ცისფერ მინდვრებს
 ნუ გადუხვევ ნურსად,
 გაგიმაგრებ ვიდრე პაწაწინა გულსა...
 ნუკრო, ჩემო ნუკრო, ნუ გადუხვევ ნურსად,
 ვიდრე უფრო, უფრო გაგიმაგრებ მუხლსაც!..
 მერე მყუდრო ნაკრძალს მოგიძებნი სადმე,
 გაგიმრავლებ და-ძმას, არ დაგტოვებ სამგლედ...
 მაშ იცოდე, ნუკრად დაბადებულ ლექსსაც,
 მგელი დასდევს უკან ღამეცა და დღეცა.
 ლექსო, ჩემო ლექსო, დაგადვენებ ირმებს,
 დიდებული ეს დრო არ დავუთმოთ ვინმეს...

სულთა პეპელაქ ვიძხვევი

ც. კ. ლ. ი. ა. ნ. „ხალხური მელოდიები“

კლდის ძირში დამჭირეს ლამაზო, ნაპრაღის პირას დავეცი,
 დღეს შენთან ვერ ვიდარბაზებ, გულს ჩამრჩა ხანჯლის ნალექი.
 ვდგები,
 მოგრაღივით ვკანაობ,



სისხლი მდის, სისხლი სისხლთაგანს,
 შე რო ძმობილ გყავ ქალაუ, ხისგან გავთლიდი მისთანას.
 მტრის ანაბარა დამტოვა, მტერს ტურასავით გაჟქცა,
 მჯერა მომავლადეს რატომღაც: ღმერთი მტერად აქცევს გარეწარს.
 აქ ჟელგა-ჟელგა ჩაივლის ჯოგი მშვიერი მგლებისა,
 დანარჩენს იტყვის შაირი, თუ კი ოდესმე მეღირსა.
 თუ არ მეღირსა,
 ჯანდაბას,
 უშაიროდაც რა მიშავს!?

ბედმა თუ დამაჯანდაგა, შეგებრალეები ქარიშხალს.
 მე, ჩონჩხად ქცეულს, „დალას“ მაინც დამძახებს ხანდისხან, —
 და ნისლის წყვილი დალალი გაიწეწება ქარვისფრად...
 დრო გავა, გავა, ოდესღაც სულთა პეპელად ვიქცევი,
 გამოფუსხლტები ლოდებსა, ვით ნაპერწყალი ფიცხელი.
 მოგივალ,
 მწვიდად მთელემარეს
 ფრთას დაგატოლებ ბაგეზე,
 არ მოგშორდები მთელ ღამეს, თუნდ ძუ ვეფხვივით დაზუხდე...
 ო, არ გეგონოს ვნანობდე, რასაც მე ახლა გიბედავ,
 ოდესღაც შენზე მგალობელს ესლა მიმყვება იმედად...

მე გულში ბუდეს გიგებდი

ცაკლიდან „ხალხური მელოდიები“

მე გულში ბუდეს გიგებდი, შენ ცხრა მთას იქით გარბოდი.
 რად დამინავლე იმედი, რად დამიმუნჯე გარმონი...
 უჩემოდ ჩემი ტოლები გააჩაღებენ ქორწილებს,
 მე კი, გულანათრთოლები, უნდა სუყველას მოვცილდე...
 ვილაცას შევივლო ამიერ ჩემი დარდი და ტკივილი,
 გულისკარს ვილა გამიღებს შარავანდული ღიმილით?!

ვილას ვესროლო საჯაროდ
 ქართული სიბრძნის ბაჯალთ:

— დაგებას ბედაურები, დაგეკრას ოქროს ნალები,
 ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიგეტანოს ხარებით!..
 დაწყველით მე ვერ დაგწყველი, ქალად ქალი ვარ ქალური,
 შენთვის ნაგვემი, ნაცრემლი, მტერს არ ვალაღებ დავლურით...
 ცრემლებად ჩამონალვეთი
 დედაშენს მაინც არ ვეტყვი:

— შე უბედურო, ნეტავი, გველი გეშობნა, ის არა,
 ეცვითა მუხის ბექთარი მე თავი მესხნა მისგანა...
 ...კალთაში მიდევს გარმონი, სულ ორად ორი მტკაველი,
 შენ არ ხარ მისი გამგონი, თუნდ შეეძრა მთელი მთა-ველი...

ფოტოღებენა



ფოთლები ცვივა, ფოთლები ცვივა,
 თითქოს
 წვრილჩიტები მოფრენენ ციდან...
 ზოგია წითელი, ზოგია ყვითელი, —
 და მეც
 წითელ-ყვითელ ფერებში ვინთქმები.
 ვინთქმები,
 ფოთლები მოცვივა დიდრონიც, —
 და მაინც ზეიმობს ტყეცა და მინდორიც.
 ზეიმობს?!.
 მერედა, რისთვის და რატომა,
 სურვილი ამგვარი რამ გააბატონა?!.
 იქნება იმიტომ,
 რომ დიდთა დაცემა
 ყოველთვის ღამაში არისო საცქერლად...
 მოცვივა ფოთლები, ფოთლები დიდრონი,
 ზეიმობს ტყეცა და
 ზეიმობს მინდორიც, —
 და ველარ მიმონებს ხმა უამინდობის!..



ს ი ო ნ ი

ონი
რიონი...
კავკასიონი...
კვლავ მიპირებენ ფიქრნი ავსებას...
ონი...
რიონი...
კავკასიონი...
არა, არ ნიშნავს მხოლოდ მსგავსებას...
ვარდასულ დროთა
მცემენ
სიონი...

ონი...
რიონი...
კავკასიონი...
როდის აღმოგვევდა, ნეტა ქართულად
ონი...
რიონი...
კავკასიონი...
ან რწმენა როდის გაწარმართულდა?!
მერე ვაშენეთ
ბევრი
სიონი...

ონი...
რიონი...
კავკასიონი...
და ღელვას თავი როგორ ვანებო?
ონი...
რიონი...
კავკასიონი...
თქვენც მყავებართ, ძმებო, ონიანებო...
ჩვენ

ქვეყანაზე
ვერვინ
გვიმონებს...
ონი...
რიონი...
კავკასიონი...
არ ჩამომართვათ სიტყვაძვირობით...
კავკასიონი...
ონი...
რიონი...
ამოსაცნობი ძირისძირობით...
ჰქრიან...
ცხრებთან...
ჰქრიან
სიონი...

ონი...
რიონი...
კავკასიონი...
იეროგლიფნი დროთა მრუმეთა...
ონი...
რიონი...
კავკასიონი...
აქ ბგერა ბგერას, ვინც შეუერთა, —
ჩამომავალნი,
შინშნი
შუმერთა!..

ონი...
რიონი...
კავკასიონი...
ფიქრით ნეტარით მწადის ავსება...
ონი...

როინი...

კაგაკასიონი...

წარსთქვა ღვთის ტოლმა ძემ და არსებამ...
პაპათა

სუნთქვის

მცემენ

სიონი...



„უპირველეს ყოვლისა“

კმარა,

ზეცა რაც ღრუბლებმა მონისლა,
საქართველო,
უპირველეს ყოვლისა!

განდრდება

გვარისა და კომლისა,
საქართველო,
უპირველეს ყოვლისა!

რომ

მომავალს ფრთამ არ გაპკრას ყორნისამ,
საქართველო,
უპირველეს ყოვლისა!

საქართველო,

უპირველეს ყოვლისა,
კმარა,
ზეცა რაც ღრუბლებმა მონისლა!

ქარაგანი მიდის

წუთისოფლის დენას
მიაქვს თავის მინდი,
მაგრამ, ჩემმა მზებან,
„ქარაგანი მიდის!...“

მივდევ, როგორც მეფე,
ზვიადი და მშვიდი,
ფინიები ჰყეფენ,
ქარაგანი მიდის!..

ეკადრება ალაღს,
რომ ათხოვოს ყური

ნაგაზების დავღავს,
მგელძაღვლების ყმუილს?! ←

დის სიცოცხლე, მეფე,
გზა-გზა ჰყეფავის შვინდი...
წკავწკავებენ... ჰყეფენ...
ქარაგანი მიდის!..

წუთისოფლის დენას
მიაქვს თავის მინდი...
რომ მიკურთხა ზენამ,
ქარაგანი მიდის!..

სხვისი გულისთვის მზიკალს

მსურს შენთან ისე ვილოდე,
როგორც ღრუბელთან ქარი.
შესწივლე

ვისაც გინდოდეს,
უნდა მოგიკლა ქმარი!..

ქნარსაც გამწენი მოგახმარს,
ვერც გულს აფყვები ტიაღს,
ხომ გადვირევი, რომ გნახავ
სხვისი

გულისთვის
მტირალს?!

ჩვილი ხალები




დილით მივიღე ცოლის ბარათი,
 ზედ
 ახატია
 ჩვილის
 ხელები...
 სიცოცხლე არის დიდი ხარატი,
 ჩვენ — მადლით მისთა განახელებნი.

ვინა ხარ,
 სად ხარ,
 მაუწყე მხოლოდ,
 დღეს გონჯი სადმე არის რაიმე?!
 ციდან მილოცავს ჩიტების ქორო,
 ნისკარტებს სცემენ სარკმლებს,
 აივნებს...

მივიწვევ მაღლა და ვისმენ ღაღადს,
 ვმაღლდები,
 როგორც უშბა ორწვერა
 და ამკობს შვილის ხელები ბარათს —
 ყველაზე
 დიდი
 ხელის მოწერა...

ბეჭდობად უზის
 შვილის
 ხელები,
 დღეს რომ მივიღე ცოლის ბარათი...
 სიცოცხლით ჩვენ ვართ განახელებნი,
 თვითონ სიცოცხლე — დიდი ხარატი!..





სადა შემოღმოს...

გიორგი ლუონიძეს

იძინებენ მთები, ჩუმად,
 იძინებენ მთები.
 იძინებენ მოწყენილნი
 სევდითა და თმენით,
 — დავიწყება, — ჰყვირის ვიღაც,
 მხოლოდ დავიწყება,
 მოდის ღამე და სამყაროც
 სიზმარით ქრება.
 უცებ დგება უკუნეთი — ფიქრის გარინდება,
 გული კედება მოყვარული, თითქოს ვნებით
 კედება, —
 გული, ვისაც გაუვლია
 ორღობიდან გზები,
 გული, ვისაც უფრენია
 სამყაროთა ფრთებით.
 გული, ვისაც ჰყვარებია, უჭირია ვისაც,
 გული, ვისაც უბრძოლია
 წინაპართა ღირსად.
 გული, ვისაც დადუმება არ შეუძლო წამით,
 გული, ვისაც აწვალდება
 ფიქრი დღით და ღამით...

იძინებენ დიდი მთები, —
 ჩემი მგობრები,
 მგობრებო, დიდება თქვენ,
 გადაჭრილა გზები.
 მგობრებო, დიდება თქვენს
 სასახელო ბილიკს,
 დიდება თქვენს გაბრძოლებას,
 უკანასკნელ ღიმილს,
 დიდება თქვენს კაცურ საქმეს,
 თქვენს ცხოვრებას ღამაზს,
 იმ ყველაფერს, რაც ჩემს ხსოვნას,
 იმ ყველაფერს, ჩვენ რომ ოდეს,

შერჩა, გულით დამაქვს.
 იმ ყველაფერს, ჩვენ რომ ოდეს,
 გვიღებენია ცრემლით,
 ო, ის ცრემლი ბევრ სიმღერას
 ჩვენ გვეჩრია ბევრით.
 სიხარული ჩვენი მთებით,
 ჩვენი ტყით და ველთ,
 ჩვენი ზვრებით, მოლოდინით,
 ვისაც მუდამ ველთ.
 იძინებენ მთები,
 ჩუმად,
 იძინებენ მთები,
 სანთელივით ალამბულნი
 სამყაროთა გზნებით
 იძინებენ ბილიკები,
 შორი მანძილები,
 მგობრები, მეზობლები, დაღალული
 ფრთები.
 შენ კი რჩები, ჩემო კარგო, სიამაყვე ჩემო,
 მე შენს ღიმილს და დიდებას
 შეგხარი და ვენეობ...
 შენ ხომ რჩები, სამშობლოს ცის,
 სიშორეო ვრცელო,
 ჩემო მიწავ, ჩემო ცაო,
 ზღვავე ლავარდისფერო.
 იძინებენ ღამეების შავი მოსასხამით,
 იძინებენ დარბეულნი ყინვითა
 და ქარით,
 იძინებენ დაღლილები
 ქარიშხალთან ბრძოლით,
 და გულში კი დააბიჯებს
 სევდა შემოღმოს...

ისევ, ანანურო!



დგახარ მოწყენილი —
 და ფრიალი ხმალთა,
 აღარ ისმის შენთა კიდეთაგან!..
 ინავარდვ, ლავეარდებში ასე,
 ჩემი ფიჭრის ჩრდილიანი გზა ხარ.
 იმჭუხარე,
 იმჭუხარე, ანანურო!
 სალამურო,
 სული დამირბიე მთაში...
 დე, ფოლადად ჟღერდეს ესო სამამულო,
 გარდასულთა ხმები შენს ტკბილ სიმღერაში

დგახარ მოწყენილი —
 და ფრიალი ხმალთა,

აღარ ისმის შენთა კიდეთაგან!..
 მთიელთა და კახთა,
 იმერთა და სვანთა,
 სიმღერა ხარ,
 ხმა ხარ,
 ვაჟაკური თქმა ხარ!..
 იმჭუხარე,
 იმჭუხარე, ანანურო!
 დიდებავ, სიმხნევედ ალამბრულო,
 კალმახო, სივრცეში განაბულო,
 სიმალღვე,
 სიმართლევ არაგვეულო,
 ანანურო,
 ისევ, ანანურო!

გ ზ ა ზ ე

ფერადს — ფერადს მდგლოთი,
 ისევ გიგრძნობ შორიდან,
 დიდ ღელვას მოველოდი,
 აბა, ღელვაც მოვიდა.

ჩემო ფიჭრთა მადაროვ,
 ცხრაკარავ და მალრანო...
 ჩემო დიდო აკვანო,
 მზევ ღრუბლებში ნაბანო,

გულზე გულდაჭდვეულო,
 ტკბილო მაჭარეულო!..

წამობანეს ავდრებმა,
 ხეებს წამეხურები,

ისევ მოჩანს ალვებთან,
 შენი ნაფეხურები...

და ვინც გულს უხარია
 ყველა აქ შეგულებით.
 მიდის მიუხარია,
 მიიმღერის ურემი...

შემოდგომის ნისლებმა,
 დაამძიმეს სევდები,
 სული შენით ივსება
 ისევ შენ მახსენდები.

გამოგივლია ათასწლეული,
 რა არ გინახავს,
 რა არ გიგრძენია,
 ლალატი მძიმე და სამარცხენო!
 შენ მაინც შენი არ დაგიშლია...
 მოგიტანია დიდი სათქმელი,
 სული იმჭუხარი
 და კაბადონი,
 არა და არა! —
 იდექ ბურჯივით,
 შეურყვევლი და უბატონო!

არა და არა!..
 იდექი მტკიცე,
 ცას ასცდა სულის სიმალღვეები
 იმ თხემებიდან,
 დიდი გზებიდან,
 ვიწროებიდან,
 ახოებიდან,
 გამოძახილის შორი ხმებიდან,
 ცოცხლობენ შენი დიდი დღეები.
 რაა სულისთვის საგზალი მცირე,
 გქონდა ვარძია — ქურა სარკინე,

გყავდა რუსთველი,
გყვანდნენ და...
აბა,
ქუხს ის დიდება

კიდიდან-კიდე!..
შენა ხარ ჩემი მთელი სამყარო,
ყველა სიმაღლე,
ყველა სიდიდე!..

სანთელი. ჩემო

ბევრი რაღაცა ითქმება მაშინ
და იჭვი დაღრღნის, ვინ იცის, რამდენს...
ერთი სანთელი ერთო ტაძარში,
მე ვლოცვულობდი, მხოლოდ იმ სანთელს.
იქ მივილტვოდი ნათელ ღამეშიც,
გაგვეტეოდი მზეს და მზეობას,
იქ, იმ სანთელთან, ლოცვა-ალურსში
ვიძინდო ძალას და გამძლეობას.
იერს აძლევდა ტაძართა გუმბათს
და ტაძარი კი — სამყარო მთელი —
ამბოზს აღქმინდა წმინდას და სდუმდა
და ყოველივე იყო ნათელი.
შენ ერთე, იქ, შორს

და ჩემს ტკივილებს,
უფრო სდიოდა ცრემლი ღვარებად,
შენ გეკუთვნოდა ჩემი ღიმილიც,
ჩემი სიამეც და მწუხარებაც.
არა სხვა რამე: ძიება ბედის,
ღალატი მძიმე, პირმოთნეობა,
შური, თუ შტრობა საკუთარ ხვედრის,

მზის ცხუნვარება, თუ უმწყობა...
დარდი,

შორველ დღეებზე დარდი,
როგორც ხანჯალი მგერდში მივლიდა,
ყველგან იმედად, მხოლოდ შენ სჩანდი,
ჩემს სიხარულად და ჩემს ტკივილად...
შენ დაგეძებდი, შენ მოგიხმობდი,
მაშინ ბევრი რამ გულმა იტვირთა,
ზოგჯერ ღმერთებთან დაეპაექრობდი,
ზოგჯერ სინუმე ჩემი მიკვირდა...
შენზე ოცნებით დღე დამიღამდა,
შენზე ლოცვაში გაგრძელდა ღამე,
სანთელო, ჩემო, ყველაზე ნაღდად,
შენ იცი, ჩემს ფიქრს,

შენ უთვალთვალე!..
ბევრი რაღაცა ითქმება მაშინ,
შენ კი, ვინ იცის, არ გაგიხსენონ,
შენ, ვინც ბოხოქარ სულის ღელვაში
გზას მინათებდი, სანთელო ჩემო!..

სიკვდილის ზღვაში ბანბანილო...

ქურმუხო და წმინდა ნინოვ,
ალავერდის ალამდარო,
შენს ტვერებთან მოსვლა მინდა
ხე ვარ, შენი სამასალო.
საინგილოვ, ძველო დარდო,
უტკბილესო მთა და ბარო, —
შენის ცრემლით და წუხილით
გაზრდილი ვარ ამადარო.
შენის სისხლის ნაწილი ვარ,
აბა როგორ გაგვეყარო,
მეც შენს ნერგზე დამყნილი ვარ,
და გთხოვ, გული არ ამყარო,
იჩუხჩუხე კოდის წყაროვ,
თხილიანის წმინდა წყაროვ,
შენვე უნდა გამანედლო,
გულზე შესეფი დამაღვარო.

შენს ტალღებში მოცნებო,
შენი კალთა დამაფარო,
გული ერთბეღ დაკოდილი,
გამითბო და გამიხარო.
არ გეგონოს დაგივიწყო,
კახის მთების ნიაგჭარო,
უშენობით დავილიო,
მევიწროოს ეს სამყარო.
ცრემლის ზღვაში განბანოლო,
გზავ ძველო და გზავ ახალო,
შორს რომ დარჩე ვეღარ გნახო,
გვევიწროოს ეს სამყარო.
ქობალავ და წმინდა ნინოვ,
ალავერდის ალამდარო,
შენს ტაძართან დავდგე მინდა,
ხე ვარ შენი სამასალო.

ბ ი ნ ა

მიწას ყოველთვის ნათელი ახლავს,
თვით მზესაც სწვდება სინათლე მიწის,
და რაც კი მოჩანს მიწაზე მაღლა,
მიწის გამოა, — ეს ყველამ იცის!..
მიწა დედაა — გულთბილიც, მკაცრიც!
გეშობს და გვაპურებს,
გვათბობს და გვიცავს;
როცა გემიდან გადმოდის კაცი,
მეტი ფასი აქვს იმ წამში მიწას.
ხშირად გვეძახის მშობელი მიწა,
ანდამატი აქვს მის ამაყ ძახილს,
მიწის მაღლსა და სიწმინდეს ვფიქვავთ

ჩვენც და მსოფლიოს ყოველი ხალხიც.
ის უზმანება კოსმონავტს ძილში,
მეზღვურსაც აქვს სიზმრად ნანახი
და დედამიწის ხათრით და შიშით
სუნთქავს პლანეტის ყველა ბალახიც...
დემონია თუ ანგელოსია,
თავისი მიწის ღირსებას იცავს,
და, მე თუ მკითხავთ, სხვა გემოსია
მაინც ეს ჩვენი ქართული მიწა!..
ბან სასწაული ბევრჯერ გვაჩვენა,
ეს ჩვენი წინსვლის საფუძვლად ვიცან,
— დე კვლავ ამკობდეს კაცის მარჯვენა
ბალნარადქცეულ სამშობლო მიწას!

ხიხის მონახური

„ქველად ზორნაბუჯის ჩრდილოთ არს ხიხისს
მონასტერი... დიდ კეთილშენი“

ვახუშტი

გომბორის ძირას ტაძარი ერთი
გვეძახის, გმირთა აჩრდილს უხმეთო,
გუმბათებიდან წავიდა ღმერთი
და ვკლესია დარჩა უღმერთოდ.
აღარ ჰკოცნიან ხავესიან კედლებს,
აღარც მლოცველთა გალობა ისმის,
ღმერთსაც ცოდეილ სულს არვინ ავედრებს,
რამეთუ არვის არ სჯერა მისი.
მის ირგვლივ ხშირად ხანძარი ენთო,
ცეცხლის ენებმაც ბევრჯერ გამურეს,
მერე წავიდა ტაძრიდან ღმერთი
და ვკლესია დარჩა ღამურებს.

მაინც შემორჩა ამაყი სული,
ეპოტინება ძველი ჯვრით ღრუბელს,
ხან ნალვლიანი გახედავს შურით
ახმაურებულ სასოფლო კლუბებს.
რომ დაიჩაგრა იგრძნო და ხედავს,
მაგრამ დაცემა მას მაინც არ სურს,
ბებურ სიკვდილთან შეტევას ბედავს
და ყოველ წუთში გვახსენებს წარსულს.
და დგას მამულის დიდების მოწმედ
და კვლავ გვეძახის, გმირებს უხმეთო,
მე ვუფურები, ცრემლებსაც მოწმენდ.
რომ კარგად იგრძნოს თავი უღმერთოდ.

ხის კოვხი

ნოვაია

სასახლის ქუჩიდან რუსთაველის მო-
ნუმენტისაკენ მივლასლასებ. იქ ამხა-
ნაგს უნდა შევხვდე. პროსპექტზე ისე-
თი ხალვათობაა, შუადღე კი არა, შუა-
ღამე გეგონება.

ნადრევი გაზაფხულია და საკმაოდაც
გრილა, მაგრამ ასერიგად მოთენთილი
ხალხი ავეისტოშაიც არ დადის ხოლმე.
გაკვირვებას იწვევს იმ ქერა, წითური მა-
მაკაცის გამოჩენაც, ასე მხნედ და გამარ-
თული რომ მოაბიჯებს. დიდი ხანი არ
არის, რაც ის თბილისს მოველინა, მაგ-
რამ უკვე ყველა იცნობს დედაქალაქის
ახალ კომენდანტს. ორიოდ ნაბიჯზე მას
შეგვერემანი ადიუტანტი მიჰყვება. ამ
ქაბუქსაც კარგად იცნობენ თბილისე-
ლები. კომენდანტი ადიუტანტს თავის
პარაბელუმზე უფრო მეტად ენდობა და
გული საგულესა აქვს, ომის მკაცრ კა-
ნონთან ერთად მას მხარში რომ უდგას
ეს ქაბუქი. სულ მცირედი ხელყოფა
წესრიგისა და... პატიების იმედი ნუ
გექნება. ხომ არ აბატია კომენდანტმა
პოსპიტლიდან ერთი-ორი საათით გამო-
პარულ, ნახევრად ჭრილობამოშუშე-
ბულ მატროსებს ამასწინანდელი დებო-
ში ბაზართან. თავზეხელაღებულ ქაბუ-
ქებს სევასტოპოლის შარავანდედმაც
ვერ უშველა. კომენდანტის სიმკაცრე

მის გამჭოლ მზერაში მაშინაც კი ჩანს,
როცა ილიმება.

ამხანაგს დანიშნულ ადგილზე ჩემთვის
მისვლა დაესწრო. მან მონუსხულივით
გააყოლა მზერა კომენდანტს. ჩემი მი-
ახლოება კი ვერ შეაჩინია. ბეჭზე მო-
ულოდნელად დაჯკარი ხელი. ის შეკ-
რთა და შიშით შემომაკეჭტადა.

— შეგეშინდა?

— რა ვიცი. თავზე უეცრად დამეცი.

დაღმართს ფეხით დაუყუყუით. სასა-
დილოში ცოტა ნადრევად მოგვიხდა
მისვლა. კარი დაკეტილი იყო. შუშაზე,
შიგნიდან აკრულ ქალაღზე ქიმიური
მელნით მსხვილად ეწერა — „ОНЕД С
ДВУХ ЧАСОВ“. ახლა პირველს თხუთმეტი
წუთი აკლდა. ისე გულდაწყვეტილი გა-
მოვბრუნდი უკან, თითქოს მოულოდ-
ნელი უარით გამოვესტუმრებინეთ. ერთ-
ხანს უსიტყვოდ ვტყებნიდით ტროტუ-
არის ასფალტს სასადილოს შორიასლოს.
ვერ გადაგვეწყვიტა საათი და თხუთმე-
ტი წუთი სად გავეტარებთ. მოულოდ-
ნელად ლევანს კარგი აზრი დაებადა:
— მოდი, ზოობარკში შევიაროთ! აქვეა.

ჯერ დავეთანხმე, მერე შევყოყმანიდი.
ლოდინი ლოდინია, მაგრამ რაც არ უნ-
და იყოს, სასადილოდან ორ ნაბიჯზე
ხარ, სასადილოს სიახლოვეს ლოდინი
კი როგორღაც უფრო ნუგეშის მომგვრე-

ლია. გაიღება თუ არა კარი, ერთერთი პირველთაგანი შენ იქნები, ვისაც კერძს მოუტანენ... გარეთ ლოდინი, ალბათ, ათასჯერ უფრო ადვილია იმ ლოდინზე, როცა სხვის პურობას მორიდებულად უცქერი და ლუკმის მაგივრად ნერწყვს უღაპავ, სანამ მომტანი პირველ თავს გაღირსებდეს.

ლევანს თავისი წინადადება არ გაუმეორებია, ისე ჩამავლო მკლავში ხელი და წამიყვანა.

ზოობარკის საღაროში ორი ბილეთი ავიღე. შევედით, არსად კაციშვილი არ პაქანებდა. თეთრი დათვი მასპინძელივით დაგვიხვდა: ატოტებულს მაჯის სიმსხო ვისოსებისათვის კლანჭებიანი თათები ჩაეელო და თავს აქეთ-იქეთ მოუსვენრად იქნევდა. მერე ისევ ოთხფეხზე დადგა, რაკი დარწმუნდა მოსაკითხით არ მივსულვართ, ერთი დაყნოსა საუზმის მონარჩენი თევზის ბოლო და აუზის ტივ წყალში ისე არჩენად გადაეშვა, მის მაგივრად ჩვენ შეგვაქრყოლა.

— რა გაბრუებულევით წრიალებს. ნერვებს მოგვილის მაგის ცქერა.

— რა ქნას. ყველას თავისი უბედურება ყოფნის.

— მართალი ხარ. — დამეთანხმა ლევანი — წამო, ლომებს გადავხედოთ.

ლევანს უსიტყვოდ გავყვევი. მოაჯირიანი ფერდობიდან თავისუფლად ჩანდა საკნებივით ჩამწყრივებული, რკინის მაღალი ვისოსებიანი გალიები ლომებისა, ვეფხვებისა, იაგუარებისა და მგლებისათვის. პირველი გალია ცარიელი იყო. მეორე გალიაში დედალ-მამალი ლომი იწვა. შორიახლოს ხორცის მოზრდილ ნაფლეთიანი ძვალი ეგდო. ლომები უძრავად განრთხმულიყვნენ. ჩვენს შეხმანებაზე ყურით არ გაუბერტყიათ. ხვადმა მხოლოდ თვალი გაახილა, ამოგვხედა და ისევ მინაბა. მეტი ყურადღების ღირსად არ ჩაგვთვალა. ჩვენ მაინც თვალს არ ვაშორებდით. ველოდით და იმედს არ ვკარგავდით, როცა იქნებოდა, ან ერთი წამოდგებოდა, ან მეორე.

— ეგენი ალბათ ახალი ნასაუზმევი

არიან და ჩვენთვის არა სცალით. — ჩაიცინა ლევანმა.

— ცალი თვალთ ხომ მაინც ამოგვხედა. მეფეა, ვინმე წერილზეა ვიგინდარა ხომ არ არის!

— მეფე-მეფეა და... ომს ეგეც გემოზე შეუბერტყია... ხედავ როგორ ჩავარდნია ფერდები... ნეკნებიც კი უჩანს... ბეწვიც რას დამსაგავსებია, ქეცი ხომ არ შეყრია მაგ უბედურს!

თითქო ჩვენი ნალაპარაკევი გაიგო და ასე მოხსენიება იუკადრისათ, ხვადმა ლომმა თავი წამოპყო, ვერ ერთ, წინა თათზე წამოიწია, შემდეგ მეორეზე, ბოლოს ოთხივე ფეხზე რალაც გაუბედავად დადგა და ის იყო ნაბიჯის გადადგმა და აპირა, რომ გავა განზე გადაუქანდა და მოწყვეტილივით დაეცა გალის ახალ-მორცხილ იატაკზე. ამის დანახვაზე მოაჯირს ისე გადავეყიდეთ, ლამის თბრილში გადავეცივდით. ვინმეს რომ ეთქვა, არ დავუჭვრებდით, რაც ამ წუთში ჩვენმა თვალმა იხილა. ხვად ლომს უკანა ფეხებზე წამოდგომა აღარ უცდია. ასე ტორებზე დაბჯენილი და წელმოწყვეტილი დარჩა იგი, თანაც ისე საცოდავად იცქირებოდა, გეგონებოდათ კეტით გაულახავთ და ძვალ-რბილი გაუერთიანებიათ... ახლა ძუ ლომმაც წამოპყო თავი, ტორით ძვლიანი ხორცის ნაქერი ახლო მიითრია, პირი უღონოდ ჩაავლო, მაგრამ ისევ უშვა და მარცხენა ტორის ლოკვას მოპყვა. ხვადმა ერთი უხალისოდ გადახედა. ხორცის ნაქერი თითქო არც შეუნიშნავსო. საკვირველი ის იყო, მშვირებს ჰგავდნენ, ხორცი კი წინ ედოთ და არ ეკარებოდნენ.

— რა დემართათ? — ვიკითხე გაოცებულმა.

— ალბათ ეწყინათ. უფარვისი ხორცი რომ შეუთავაზებიათ. თავმოყვარობა რომ შიშნაღწიათ არ ღალატობთ!

— ვინ იცის, იქნებ მართალს ამბობდე...

თითქოს არ უნდა ემოქმედა ჩვენზე ამ სანახაობას, მაგრამ მაინც დაფიქრებული გავშორდით ლომების სამყოფელს. ნახევარი ზოობარკის დათვლი-

ერება მინც მოვასწართ; რა ფრინველი და ცხოველი არ ვნახეთ, მაგრამ არაფერს ისეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩვენზე, როგორც მშვიერმა ლომებმა მოახდინეს. თვალიდან არ მშორდებოდა ხვალი ლომის გამომეტყველება. მეგონა სასადილოსთან მიახლოვებისთანავე დამაფრთხილებოდა ყველაფერი, მაგრამ ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. სიმშვილი და რაღაც გამოუცნობი შიში ახლა იმ ლომის თვალებით მიცქეროდა...

ჩვენი მისვლა და სასადილოს კარის გაღება ერთი იყო. ლოდინი არ დაგვიჭირებია...

დღესაც ერთ წუთში ვისადილეთ. რა დიდი ამბავი უნდოდა ერთ თევზ მუხუდოს სუფსა და ერთ იჯრა მოხარშულ შავ მაკარონს. ომამდე საგანგებო სანამლეოც კი თავს ვერ გაგამეტებინებდა, ეს მაკარონი გაგესინჯა. ცუდად ხარშავენ, თუ დანოტივებულია, ისე გეგლისება პირში დი ისეთი უგემურია, მადის დასაკარგავად უარესს კაცი ვერაფერს მოიგონებს. და მინც შენს წილს რომ გააქრობ, ცალი თვალთ იქით იყურები, ვინც ახლა შეექცევა ამ „დელიკატეს“.

მე და ლევანი ტალონით ყოველდღე ერთად ვსადილობდით. დაწესებულებიდან ამ სასადილოს მოგვაწერეს. ეს არის სასტუმროს ყოფილი რესტორნის დიდი, სვეტებიანი დარბაზი პირველ სართულზე. ომამდე აქ რომ შემოგსულვარ, დღისითაც კი კედლებს, სვეტებს, იატაკსაც ისე შემოუნათებიათ, გამკვირვებია, ასე საგულდაგულოდ როგორ უვლიან-მეთქი. ახლა კი აქაურობის ცნობა გაგიჭირდებოდათ. ის საზურგეზე ტყავგადაკრული ძვირფასი სკამები მინც რა იქნა? მაგიდები კი დაუტოვებიათ, მაგრამ სხვადასხვა ფერის, ალაგ-ალაგ გადასერილი ან გაფხრეწილი მუშაბის გადასაფარებელი მაგიდებსაც, დარბაზსაც ისე აუშნოვებს, გადმოხვეწილი ხალხის თავშესაფარი გეგონება. გინდა მალე გაეცალო აქაურობას, მაგრამ ოფიციალტი ჯერ კერძს არ გაღირსებს, მერე ფულის გადახდაზე ლოდინით

მოგიშლის ისედაც დაფუშულ ნერვებს. სასადილოში ხალხი ცოტაა. აქა-იქ უსხედან ადამიანები მაგიდებს. ქალიც, კაციც, თითქმის ყველა ჩამოქეჩილია, ყველა გამხდარია. არა თუ სიცილის, დიმილის კვალიც კი წამილილა სახეზე. შიმშილისაგან ზოგი თვლემამორეულივით გამოიყურება და წამდაუქუმი ამტანარებს. მხოლოდ ერთ-ორს თუ უელავს ავად თვალები, სიცხიანივით წამონთებულა სახეზე... ამათგან, თუ ერთი გაფაციცებით ილუკებდა, თან აქეთ-იქით იცქირება, მეორემ ლოდინისაგან ლამის იტიროს. დარბაზში ორი ოფიციალტი ქალის მოძრაობას თვალს ისე აყოლებენ კერძის მომლოდინენი, როგორც ეს ჩასაფრებულ კატას სჩვევია. არავის არაფერი აღარ უკვირს, ყველა გრძნობას კუჭი დაპატრონებია. ათასცხრაას ორმოცდაორის გაზაფხულმა შიმშილის გრძნობა ისე გაამწვავა, მუხუდოს სუფი და მოხარშული შავი მაკარონიც დაფსადა. ბაზარს დღითი-დღე ცეცხლი ეკიდება. ორ, განაპირა ფანჯარას შუა, კედელზე მიმაგრებული რადიო სასადილოს ყრუ ხმაურში ნელა იწყებს ხრილს, გეგონება ვინმეს ახრჩობენო: მერე ხმა იწმინდება და რაღაც არაამქვეყნიური კილოთი იწყება საინფორმაციო ბიუროს ცნობის გადაცემა. უსმენ და შიშობ, იმაზე უარესი არაფერი გაიგონო, რაც უკვე იცი. მტერი, მართალია მოსკოვთან დალუწილი და უკუქცეულია, მაგრამ სამაგიეროდ ახლა სამხრეთს ეძალება...

რადიოს დროდადრო ხრიწვი ებარება და ძნელია იმის გარჩევა, თუ რას ლაპარაკობს დიქტორი. ამასობაში სასაცილოდ მოუხეშავმა ოფიციალტმა ქალმა ჩვენს მაგიდასაც ჩაუქროლა. მივამახეთ — ფული მიიღეთ-მეთქი. „იქონიეთ მოთმინებაო“, ჩაილაპარაკა ცალყბად, მაგრამ ხმამალა და, მკერდზე მიხუტებული თეფშების ასვეტილ გროვას, გზადაგზა რამდენიმე კიდევ დაუმატა. ზედა თეფში, ქვეშ ამოდებულ ჩანგალზე დაცურდა და ისე დაენარცხა იატაკს, ნამსხვრევებს ვერ დათვლიდით. ამ

ხმამ, ერთი წამით მიიქცია დარბაზში მყოფთა ყურადღება. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქო რამე მნიშვნელოვანი ამბავი მომხდარიყო. ზოგს გაელიმა კიდეც. საკმარისი იყო თურმე ერთი თეფშის დამსხვრევაც კი, რომ გუნება-განწყობილება შეცვლილიყო.

— რას გავს ეს უღმერთო! — თვალი გავაყოლე შუახნის ოფიციანტ ქალს და ხმამაღლა წამომცდა, რაც გავფიქრე.

— რამ გაასუქა ამ შიმშილობაში? — შემომეშველა ამხანაგი.

— თუ ამ მაკარონს ძღობაზე ქამს, წარმოვიდგენია, რა კუჭი ექნება! — ვთქვი მე. ასეთი კრიტიკა თითქო იმის სამაგიერო და გულისმოსახებელი საშუალება იყო, ოფიციანტმა ქალმა ფულის გადახდაზე ამდენი რომ გვალოდინა.

— ეტყობა, შემთხვევითი ხალხია. სად არიან ძველი, გამოქეპილი პროფესიონალი ოფიციანტები!

ასეთი შენიშვნისათვის მაშინ სულაც არ გვეცალა აქ რომ შემოვებიჯეთ, მაგრამ ახლა სხვა იყო. შიმშილის გრძნობა ოდნავ მიუყრჩბულიყო და თუ წელან, სანამ ვისადილებდით, თეფშებისა და პურის ნაჭრების მეტს ვერაფერს ვამჩნევდი მაგიდაზე, ახლა ისიც კი იქცედა ყურადღებას, როგორ დასეოდნენ ბუხები მეზობელ მაგიდაზე ორსამგან დატბორებულ სუფს, მაკარონის ნამცეცებს, ასე მკაფიოდ რომ გამოკვეთილიყვნენ შავ მუშამბაზე.

რაკი ვატყობდი, ოფიციანტი-ქალის ყურადღებას ჯერ ვერ ვეღირსებოდით, დარბაზის თვალიერებას ამხანაგთან გაბასება ვამჯობინე, მით უმეტეს, მისმა ბოლო სიტყვებმა — სად არიან ის ძველი გამოქეპილი ოფიციანტებიო, ერთბაშად გამახსენა ერთი შემთხვევა.

— ლევან! — მივუბრუნდი ამხანაგს — ამ რამდენიმე წლის წინ ქუთაისის ერთ რესტორანში ვსადილობდით ბიჭები. მივლინებით ვიყავი ჩასული. მე რომ იქ სერიო ვნახე...

— მაინც რა? — გულგრილად იკითხა ლევანმა.

— ოთხმა ოფიციანტმა იჩხუბა. იმა-

თი, თეფშის გასაწმენდი გაქათქათებულ ტილოების პაერში ფრიალი-ახლაც მელანდებდა. ხელი, მართალია არ დეფეკურებათ ერთმანეთისათვის, მაგრამ უნდა გეცქირა ოფიციანტების მიმიკისა და ქესტიკულაციისათვის, უნდა მოგესმინა სიტყვა-პასუხი, ხმის უცნაური აწვევ-დაწვევით და დარწმუნდებოდი, რომ მსოფლიოს არც ერთ თეატრში, არც ერთი დრამატურგის პიესა ასე არ შესრულებულა!

— შეიძლება. — ისე თქვა ლევანმა, დარწმუნებული იყო, არ ვაჭარბებდი. მაგრამ კილოზე ისიც შევატყვევ, ეს ამბავი მაინცდამაინც არ აინტერესებდა. სულ სხვა რამეს დაეპყრო მისი ყურადღება. არ ვიცოდი, იქით რა ხდებოდა, საითაც ჩემი ამხანაგი ასე დაჟინებით და დაუფარავი ცნობისმოყვარეობით იცქირებოდა, არაფერი მიკითხავს: სკამი ნახევრად შევებრუნე, საზურგეზე მკლავი ჩამოვავარდნე. ამ მდგომარეობაში უფრო მოხერხებულად გავიხედე შუა დარბაზისაკენ. შუა დარბაზში ცისფერ მუშამბაგადაფარებულ მაგიდასთან ორი ქალი იჯდა. ახალგაზრდა ხის კოვზით სუფს შეექცეოდა, მოხუცი კი დანის წვერით მარჯვედ იღებდა დანამცეცებულ მაკარონს და გამალებით ქამდა. გამალებით ქამის შთაბეჭდილებას შეიძლება მისი უკბილობაც აძლიერებდა, დანაოქებული ლოყის კანი ყბების ენერგიულ მოძრაობაზე გავხრტილი საბერველივით იჩუტებოდა.

ცისფერმუშამბიანი მაგიდისკენ ერთ-ორჯერ კიდეც გავიხედე. გოგონა მეც მომეწონა. მართალია, ისიც ძალზე გამხდარი ჩანდა, მაგრამ თუ ქალი ლამაზია, სივამზდრე რას დააკლებს. ოდნავ დაწეულ მხრებს, კიდეც უფრო უხდებოდა სივამზდრისაგან წაგრძელებული კისერი. გაკვირვებას მხოლოდ ის იწვევდა, რომ წაბლისფერი თმის პატრონს, თვალები თითქმის მონაცრისფრო-მტრედისფერი დაპყლოდა, ვარსს გუგისაგან ვერც კი გამოარჩევდით. ერთი-ორჯერ გოგონამ დარბაზის სიღრმისაკენ რომ გაიხედა, მეგონა გრძნეულია-

მეთქი. ძალიან მიმზიდველი გამოხედვა ჰქონდა. ერთბაშად შეეძლო კაცის დატყვევება.

— რა იყო, მოგეწონა? — ღიმილით ვკითხე ლევანს.

— ვინ?

— „ვინ“! — გამოვაჯავრე ამხანაგს. — შენც რა დიდი მიაშიტი ვინმე მყავხარ! ვინ და, ვისაც უყურებ!

— შენ რა იცი, თამაზ, მე ვის... .

— მაგას რა ცოდნა უნდა?

— გოგონას არა უშავს, მაგრამ მე, ეგერ ამ ჰაბუკს ვუძქერი! ეგ ან დონ-უჟანია, ან... გიყი!

ისევე გავიხედე იქით. გოგონასაგან მესამე მაგილაზე იჯდა უცნობი ვაჟი, ხელები შეემუშამბავადაფარებულ მაგიდისთვის ჩაველო. დაძაბული, თითქოს გადახტომას ამირებსო, ანთებული თვალებით იცქირებოდა გოგონასაკენ. ჩვენ იმ ყმაწილის პროფილს ვხედავდით. ეტყობოდა, კბილს კბილზე აჭერდა, რადგან მის გამხდარ ყბებზე კუნთები ტოკავდნენ.

ვაჟს უბრალოდ, მაგრამ კონტად ეცვა — შავი პიჯაკი, თეთრი, საყელოგახამებული პერანგი, სისხლისფერი ჰალსტუხი... მართალია ცოტა ვაკვირებას იწვევდა ამ სიტყვაში შავი პიჯაკი, მაგრამ ეტყობა, ვაჟს თავისი პრინციპი ჰქონდა და „არისტოკრატულ“ წესს სიცხის მიზეზითაც არ ღალატობდა.

— მართლა ვინაა ეს... — წამომცდა უცაბედად. — როგორადაც უნდა მოგეწონოს, შეიძლება გოგოს ასე დაუწყო ცქერა? ჰკმა მიინც აცალოს!..

— მეც ეგ მიკვირს, მაგრამ რაც გინდა თქვი, უყურებს და... .

მე და ლევანი ახლა უკვე თვალს აღარ ვაცილებდით იმ უცხო და ურცხვ ჰაბუკს. ის ისევე იმ ჩაცმებით და თანაც დაძაბული ადევნებდა თვალს უცნობი გოგონას ხელის მოძრაობას. ჩანს, ქალსაც შეემჩნია ეს გამომწვევი მზერა, რადგან თავს მალდა უკვე იშვიათად სწევდა, ისე შეეშვეოდა სუფს. ვინ

იცის, ქალს გულის სიღრმეში შეიძლება კიდევ სიამოვნებდა ვაჟის ასეთი სიქცეული.

უცხო ჰაბუკის ასეთი მომწუსხველი, ურცხვი და გამომწვევი მზერა, ნამდვილად აღვიძებდა გულის სიღრმეში მისი „გამოღზიზღების“ ფარულ წადილს. მეც, ლევანიც დაძაბული ვადევნებდით თვალს ჰაბუკის მოძრაობას. ის, მართალია, ქალს თვალს არ ამორებდა, მაგრამ დროდადრო მარცხენა ხელს ლოყაზე ისე ნერვიულად ჩამოისევამდა ხოლმე, დაგაფიქრებდათ.

უშნოდ გასუქებული ოფიციალტი, წელან თეფში რომ გაუტყვდა, თავზე მოულოდნელად წამოგვადგა, მე არ გავნძრეულვარ. უცხო ჰაბუკისათვის თვალი არ მომიშორებია. სადილის ფული ლევანმა გადაიხადა.

— ვინ არის ის გოგონა, დღეს პირველად ვხედავ. — უთხრა ლევანმა ოფიციალტი ქალს, რომელიც ახლა მაგიდას ასუფთავებდა, ქალს იქით არც გაუხედია, ისე თქვა.

— ა, ეგენი? ყოველდღე ჩვენთან სადილობენ... ბებია და შვილიშვილი... .

ოფიციალტი ქალს სიტყვა არ დაუსრულებია, ეტყობოდა, ერთ რამეს რომ ლაპარაკობდა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. მან ახლა მეზობელ მაგიდას მი-აშურა. რატომღაც ასე, შორიანლოდან მივაქციე ყურადღება; ოფიციალტი ქალს ორივე გარეთა გულისჯიბე გატენილი ჰქონდა და მუშუქვნილ-დაგუნდავებული ქალაღდის ფულით და ეს ჯიბეებიც ისე ასხდა, მკერდს უფრო მეტად უშუშობდა.

ამასობაში გოგონამ სუფი დაამთავრა და ის იყო ხის კოვზი ორი თითით წყობად ჩამოსდო თეფშის ნაპირზე, რომ უცხო ჰაბუკი აქამდე თუ თვალებით სჰამდა მას, ერთბაშად წამოიჭრა ზეზე, ერთი ნახტომით იმ გოგონას მაგიდასთან გაჩნდა და ხის კოვზს ხელი სტაცა. გოგონას უცებ ფერი ეცვალა, სკამის საზურგეს მიეხალა. მერე გაოცებით მი-

მოიხედა და გაიღიმა, მაგრამ ეს ის ღიმილი არ იყო, რამე სასაცილო შემთხვევა რომ მოგვეჩვენებინა. ეს კოვზის გაწბილებული და გაოცებული ადამიანის ღიმილი, რომელიც თავის არსებაში რაღაცას ოცნებით ელოლიავენბოდა და თურმე ეს ყველაფერი მხოლოდ მოჩვენება იყო. ის ჭაბუკი ისევ თავის მაგიდასთან გაჩნდა, კოვზის ტარით ვამბალებით იწყო კაკუნი მაგიდაზე: თან კოვზს დროდადრო მალა სწევდა, შორიახლოს მოფუსფუსე ოფიციანტს რომ დაენახა იგი. ეს ხომ ყველამ ვიცოდით, მაგრამ მაინც განცვიფრებული ვიყავი, აქამდე რომ ვერ მივხვდით: სადღის მანამდე არ მოვიტანდნენ, სანამ კოვზს არ ჩაივდებდი ხელში. ახლა იმ ჭაბუკისათვის რომ შეგეხებათ, სწორედ ველარ იც-

ნობდით. სახეზე სულ სხვაგვარი მიუთმენლობა ეხატა, ცალი ხელით კოვზს მალიმალ მალა სწევდა, მეორე ხელის საჩვენებელ თითს საყელოში ყოფდა და ჭაჩაჲდა, თუმცა სულაც არ ეტყობოდა, საყელო ვიწრო ყოფილიყო და უჭერდა. ველარ იცნობდით იმ გოგონასაც, რომელიც ასე გაწბილებული გამოიყურებოდა. და ალბათ ველარც ჩვენ გვიცნობდნენ, ისევე, როგორც ძნელი საცნობი იყო ყველა და ყველაფერი იმ წელიწადს.

ვცდილობდი ყურადღება აღარ მიმეჭყია იმ უცნობი ჭაბუკისათვის, მაგრამ საკვირველი ის იყო, საითაც გაეხედავდი სულ ის ხის კოვზი და მშვიერი ღიმილის თვალები მელანდებოდა.



დღეა მესხი

თოვლიანი გზა

მოთხრობა

ნოემბრის ბოლოს ხვადიანად ჩამო-
თოვა, მერე არ იქნა და არა, პირი არ
შეიკრა ამინდმა. ჟერ ყველა ეზო და
საყანე გადაათეთრა, ბოლოს გზა-შუ-
კებსაც დაერია და მიმოსვლა შეწყვიტა.

სდუმდა სოფელი, სდუმდა სოფლის
განაპირას, მთის კალთაზე, დათიკო
კარანაძის ქვრივის სახლკარიც. დათიკო
ორმოცდაერთში რომ წაიყვანეს, მერე
არავის უნახავს თვალით, არც ამბავი
შეუტყვიათ მისი და დარჩა მარტო
ქვრივი — ორი ბაღლით.

კერკეტი დედაკაციო, — ამბობდნენ
სოფელში — გულს არ გიჩვენებსო.
ქვრივმაც თითქოს მათ ჯიბრზე შეიკრა
გული, თავის თავში ჩამალა ყველა სი-
ხარული, ყველა ტკივილი თუ მწუხარე-
ბა.

ასე გაიყვანა წლებიც.

მის ზურგზე გადაიარა ომმა, შიმშილ-
მა, გაჭირვებამ, მაგრამ ქვრივმა ყველა-
ფერი აიტანა და უღელში გაბმულ ხა-
რივით, თავდაუზოგავად მიჰყვა ბო-
ლომდე.

თოვლმა ჩაახუმა სოფელი, ჩაახუმა
ქვრივის ეზო-გარემოც, მხოლოდ საყ-
ვამურიდან ამოსული ბოლი ამცნობ-
და მეზობლებს, რომ კვლავ ცოცხალი
იყო კერკეტი დედაკაცი.

• • •

აღრე დაძინებას მიეჩვია ბოლო
დროს; სამზადში გადიტანა საწოლი.
ცხრა საათზე, როცა რადიო „ძილის-
პირულის“ გადაცემას იწყებდა, ისიც
შეუღგებოდა დაძინებისათვის მზადე-
ბას.

იმ დღეს აღრიანად შოილია გარე საქ-
მე...

პირუტყვის ბლომად ჩაუყარა ჩალა
საპირეში, კრუხ-წიწილი დაამუღრა,
შეშა და წყალი მოიმარაგა და შინ შეი-
ყუდა.

აგზიგზებულნი ნაკვერცხლები თავს
იწონებდნენ ბუხარში. ნაჭაზე შემოკი-
დებულ კარდალაში ცხელი ღომი შიში-
ნებდა.

ნაღვერდალი გადაქექა, ქვაბი ჩამოდ-
გა და ღომის ზელას შეუღგა, თოვ-
ლის კრაჭა-კრუჭი და ლაპარაკის ხმა
რომ შემოესმა, მიაყურა.

— ვარდიკო ბიცი!

— რომელი ხარ?

— მე ვარ, ნუგზარი!

— მოდი ბიცი, რაღა სტუმარივით
იძახი.

— მარტო არ ვარ.

— მოიყვანე მერე, ვინცხაა.

ჩურჩულისა და ლაპარაკის ხმა კიდევ
მიწვდა მის სმენას. სამზადის კარს

მეზობლის გრძელი ბიჭი შემოეყუდა.

— მობრძანდით.

უკან მდგომი შემოსვლას აგვიანებდა. ქალმა გახედა.

— მოდი შეილო, მოდი.

სტუმარს ბეწვის ქურჭი და მალა-ყელიანი ჩექმები ეცვა. თბილ, ფუმფუ-ლა შარფს სახე დაემალა.

ბიჭს ჯირკო მიაწოდა, უცნობ ქალი-შვილს კი მალალი სკამი მიუჩოჩა ახლოს.

— ბიჭო, შენ არ სწავლობ?

— არადადეგებზე ჩამოვედი.

— როდის?

— ახლა. ჯერ არ მივსულვარ სახლში.

ერთხანს იჭდა ნუგზარი, მერე სტუმარის ხელჩანთა შემოიტანა, ყველას დაემშვიდობა და წაიდა.

— შეიძვერე შეილო მაგ პალტო და მიეფიცებ ცეცხლს.

— გმადლობთ.

მოხადა ქურჭი და ცეცხლისკენ მიიპატივა. თვითონაც ჩაიმუხლა, და ღომის ზელვა არ შეუწყვეტია ისე ამოხედა უცნობს ქვემოდან.

— რაღაც არ მეცნობი, შეილო...

ქალიშვილი აწრიალდა. ხმა ვერ ამოი-ლო.

— კარგი. აქეთ მოიწი, ცოტა გათბი.

— „ნამეტანი უჭმელი იქნება“ — გაიფიქრა ვარდიკომ ქალიშვილის ლან-გასული ცხვირის დანახვანზე.

მერე ცხელი ღომი ამოაგო, ცეცხლის პირას მიუჩოჩა სუფრა და ნელ-ნელა შემოაწყო ზედ ზაფხულის ყველი, პრასის მწნილი და სანთლის არაყი. სტუმარს ისე შეხედა, შეპატივება არ დასჭირებია. მადიანად ილუკებოდა უცნობი. ცოტა არაყიც გადაჰკრა მას-პინძელმა და სტუმარსაც დააძალა. თანდათან ფერი მოუვიდა, ახლა ისე გამხდარი და ძალაგამოლეული აღარ მოჩვენებია ქვრივს.

ვარდიკო მოლაპარაკე, ჭორიკანა ქა-ლი არ იყო, მაგრამ ერთი სული ჰქონდა სანამ გაიგებდა ვინ იყო ან რა უნდოდა მას. ქალიშვილი კი სდუმდა და სდუმდა. მერე სუფრა აალაგეს, სტუმარიც

წახეზარა, რაღა მოსახმარებელი იყო, მაგრამ მარტოხელობას მიჩვეულ ქალს სიამოვნებდა, რომ კიდევ ველაც ტრია-ლებდა მის ახლოს, შევლოდა საქმეში.

მერე ცეცხლს მიუჯდა უცნობი, მიე-ფიცა. ასე კარგა ხანს დარჩა. ვარდი-კოც არ იღებდა ხმას, ალბათ არაფერს ეტყოდა ნაკვერცხლებზე თვალმიშტ-რებულ სტუმარს, მაგრამ როცა მისი ავიზგიზებული წვევები და აღანძული სახე შეამჩნია, უთხრა:

— მუხლები მოარიდე, შეილო, ცეცხლს. თუ არა ისე წითლად აგიფო-რეჯებს, ხუთ წელს ვერ მოიცილებ სი-წითლეს.

ქალიშვილმა სწრაფად უკან გააჩოჩა სკამი. „რამდენი წლის იქნება ნეტა-ვი“ — ფიქრობს ვარდიკო — „ალბათ ოცდახუთის. კი ასე იქნება... არც მეტი და არც ნაკლები“. ფეხები გრძელი აქვს... მალაკანჭიანია“... მერე სახეზე დააქკერდა, ახლა ეშხიანიც მოჩვენა და საერთოდ თვალში მოუვიდა.

— კარგა ხვევიანად ჩამოთოვა წელს.

— დიახ.

— ქალაქიდან მობრძანდით?

— დიახ.

— ალბათ იქაც დიდი თოვლია.

— დიახ.

ამ „დიახ“-ის მეტი არაფერი იცის — ჩაიღიმა თავისთვის ვარდიკომ.

— ნეტავი ჩემი ბიჭი რავაა...

სტუმარი შეიშმუშნა.

— თქვენ ალბათ ნუგზარის ამხანაგო ხართ?

— ნუგზარის? ვინაა ნუგზარი?

— თი ჩვენი პოლიკარპეს ბიჭი... შენ რომ მოგიყვანა...

— ჰო... არა, მატარებელში დავემ-გზავრეთ ერთმანეთს.

— ნამეტანი კარგი გულის ბიჭია... ისე სწავლაში ძლიერი არ იყო... ცოტა ჩემი ბიჭიც წახეზარა და მოეწყო. ახლა რა უჭირს, ზვალ თუ ზეგ კაცი იქნება და თანდათან გამოიჩინებება. ასეა ცხოვრე-ბა, თუ არ მოინდომე ვერაფერს ვერ მიადღევე. შენ სწავლობ შეილო, თუ და-ამთავრე?

— დავამთავრე. ინსტიტუტში ვმუშაობ... ლაბორანტად.

— უი, შენ შემოგველე, აბა, ჩემს ბიჭს იცნობ ალბათ.

— თქვენს ბიჭს? — პასუხი გააძენლა უცნობმა.

— არ იცნობ დედა? რომელ ინსტიტუტში მუშაობ? ჩემს შვილს რაგა არ იცნობ... მთელი ქვეყანა იცნობს. ნამეტანი სასახელო კაცია. შარშან დაიცვა იგი... დი-სერ-ტა-ცია, — დამარცვლა მან, — მთელი სოფელი წამოვიდა. ყველას ნამეტანი გაუხარდა. მეც მიხარია, შვილო, აბა მეტი რაღა ჩემი ცხოვრება. ეს ბიჭი და ერთი გოგო მყავს კიდევ, მეზობელ სოფელში გათხოვილი. უყვარდათ ერთმანეთი და მეც ხელი არ შევეშალე. სიძე მასწავლებელია. კარგი ბიჭია, ენაცვალოს ჩემი თავი. უბრალო ხასიათისაა. თავმდაბალი... იგი მეხმარება საკაცო საქმეში. ბარვა, თოხნა, ვენახის მოვლა-პატრონობა, ყველაფერი მისი ხელიდან გამოდის. აგერ ამ შეშას ხომ ხედავ, — მიუთითა სამზადის კუთხეში, გროვად აღმართულ შეშის ნაპობებს. — როგორც თავისი ცოლშვილი მოამარაგა, ისე მომიტანა მეც. დამიპო, დამიჩეხა და დამიმზადა ზამთრისათვის. ახლა ორი კვირაა არ გამოჩენილა, თოვლმა შეაჩერა ალბათ, თორემ უეჭველად მოვიდოდა, დამხედავს, ამბავს გაიგებს, სახლსაც გადამიტოვლავს და წავა მერე.

— ვაჟი არ ჩამოდის?

— ჩემი ბიჭი? როგორ არა, ოღონდ ხშირად ვერ ახერხებს. სად ცალია ჩემთვის. იგი მყავდეს კარგად და ჩემი თავი შემოველოს. მე გინდა ვყოფილვარ და გინდა არა. ისე, ჯერ არ მინდა გამოვეთხოვო აქაურობას, ამდენი მიჯახირია, მიწვალთ. თანაც ბიჭის ცოლ-შვილსაც მინდა შევესწრო, მომაკვდავებით მაქვს ამოჩემებული — რა ვქნა, თან მეშინია, ახლანდელი ქალები, შენთან ბოდიში, შვილო, და ნამეტანი ძნელი ამოსარჩევია. ვერაფრით ვერ გამოიცნობ რა უდევს გულში... პირველ ხანებში ყველა გიციინს, გეფერება, მე-

რე ისე შეიცვლებიან, ისე აიბზუებენ ცხვირს, რომ შეილს დასანახად მოგანატრებენ. პო და მეც მეშინია! აგერ ერთი მეზობელი მყავს, აქედან პირველი მოსახლე, გოგუცა, ნამეტანი მშრომელი ადამიანია, მისი მუხლის მოღლა არაა, რათ გინდა მერე, სამი ვაჟი გახარდა და არცერთი არ გამოადგა. სამივემ თავისი ქვით ითხოვეს ქალები, ეგეც არაფერი. თუ ერთად არიან რძლები ხომ ერთმანეთს ჭამენ, თუ წაივინდნენ და არც დედამთილი ახსოვთ და არც არავინ. ტყუილა იშრომა. ყველაფერმა ნიორ-წყლად ჩაუარა. ასე რაგა მინდა, ახლა იმათზე შეშინებული ათასი თვალთ ვიხედები, სად არ ვეძებ სარძლოს, ვის არ ვეკითხები. რა ვქნა, ვინც უნდა გამამტყუნოს, კარგი შვილი მყავს და რძალიც ისეთი მინდა. ისე მე რომ მკითხო და შვილიც დამიჯერებდეს, ჩვენი კუთხის ქალი შირჩევნია, ჩემი წესისა და ადათის მცოდნე.

თანდათან ამოღერდა ვარდიკომ თუ რაიმე ჰქონდა სათქმელი. ერთი სიტყვაც არ ათქმევინა სტუმარს. არც ჰკითხა ვინ იყო ან რა უნდოდა. მოყვა და მოყვა მთისა და ბარის ამბავს. ვარჯთ ხევიანად თოვდა, სამზადში სასიამოვნოდ ვიზგიზებდა ნაკვერცხლები. სანთლის არაყით, შეხურებულ ქალს კი სალაპარაკო არ გამოეგლია... სტუმარი სულგანაბული უსმენდა.

ნელ-ნელა შეუღამემ შემოაღწია.

უცებ წამოფრინდა მასპინძელი, სტუმარს დალოლილი სახე შეამჩნია, თუ უდროო დრომ შეახსენა თავი, საწოლის გაშლა დაიწყო. ერთი ფიქრით, სტუმარის ოდა-სახლში გაყვანა მოინდომა, მაგრამ როცა ცივი კედლები და დიდინის გაუმთბარი სახლი გაახსენდა, ისევ თავისთან, თავის საწოლის გვერდით გაუშალა და მოასვენა.

სტუმარს მალე ჩაეძინა

თვითონ არ იქნა და არა, ვერაფრით ვერ მოხუჭა თვალი. ერთი ფიქრით თავის თავს გაუჯავრდა, რატომ არ ჰკითხა: „ვინ იყო, ან ამ გადაუღებელ თოვლში, რამ გადმოგადო სოფლად, რა

საქმე ჰქონდა ასე საჩქარო და საუც-
ბათო“.

თოვდა და თოვდა გარეთ. საკვამური-
დან ამოსულ ბოლს თანდათან ელეოდა
ძალა.

* * *

ინსტიტუტის კიბეებზე ხმაურით
ჩამობოდნენ ახალგაზრდები. ერთი
პირისპირ შეეფეთა შავთავსადრიან ღე-
დაკაცს, დაბნეული მზერით რომ აც-
ქერდებოდა ირგვლივ ყველაფერს, მე-
ორემ გზა დაუთმო, ხოლო მესამემ უხე-
შად მისწია გვერდით და თავისი გზა გა-
აგრძელა. ქალს არავითარი ინტერესი
არ გამოუჩენია კიბეებზე ჩარბენილ
გოგო-ბიჭების მიმართ. იგი ხან ერთ
კარებს მიუახლოვდებოდა, ხან მეორეს.
„ფიზიკის კათედრა“ ეწერა ერთგან,
„გეოგრაფიის კათედრა“ — „ფსიქოლო-
გიის“ და სულ ბოლოს, დერეფნის და-
სასრულს, როგორც იყო მიაგნო „ის-
ტორიის კათედრას“. კარების წინ,
ჭგუფ-ჭგუფად იდგნენ ახალგაზრდები.
ზოგს წიგნი გაეშალა, ზოგიც კონსპექ-
ტებს ჩაიკრიკებდა. ქალიც მათში გა-
ერია და უხმოდ მიდგა ფანჯარასთან.

— ღმერთო! ეს საკითხი შემახვე-
დრე, — ჩურჩულებს სულ ახლოს ვი-
ლაც.

— არგიშტ მეფე რომელ საუკუნეში
იყო? — კითხულობს გრუხათმიანი ქა-
ბუკი.

— რომელში და...

კარი გაიღო. სტუდენტების ჭგუფს
ერთი შავყვითელა გოგო შეერია.

— რა მიიღე?

— რომელი ბილეთი შეგებდა?

სახეატკლეცილი ქალიშვილი ხმას არ
იღებდა.

— სთქვი რა შეგებდა!

— მისი სიკვდილი და არგადარჩენა.

— რატომ, ცუდ ნიშნებს არ წერს, —
იწყინა ერთმა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, არ დაგი-
წერთ, ქალბატონო. — ამრეხით დაათვა-

ლიერა გაცეცხლებულმა გოგომ თეთრ-
ყირმიზა ქალიშვილი.

ყველამ უხერხულობა იგრძნო.

— ახლა ვისი რიგია? — იკითხა ერ-
თმა.

— შენი.

და ქერა, აწოწილი ბიჭი ძალით შე-
აგდეს. შავთავსადრიანი ქალის გვერ-
დით, წუთის წინ, არგიშტ მეფეს რომ
კითხულობდა, გრუხათმიანმა ქაბუკმა
წიგნი დახურა. შავყვითელა გოგო თა-
ვისკენ მოიხშო.

— ვერ უპასუხე?

— ვინ გითხრა? ორი საკითხი შესა-
ნიშნავად ვიცოდი...

— ალბათ არ იცოდი...

— თავი დამანებე! ხასიათზე არ
ბრძანდება, შემოელია ალბათ სატრფო-
ები,

— სულ...

— სუ! თორემ ტყუილია. რამდენის
ცოდვა ადევს კისერზე.

— გაჩუმიდი, წამო, წავიდეთ.

— დაღამებამდე აქედან ფეხის მომ-
ცვლელი არ ვარ.

— კარგი ნუ ჯიუტობ, წავიდეთ.

— სულ ამათი ბრალია, — გახედა
შეჭგუფულ ამხანაგებს. „რა კარგია!“

„რა მშვენიერია!“ და აუბნიეს ტვინი.
რა აქვს მოსაწონი მაინც ვერ გავიგე.

— რამდენია დარჩენილი? — იკითხა,
ღია კარებში მდგომმა, წითლად თმა-
შეღებილმა ქალმა.

— ეგ ვინაა? — გაიკვირვა ვაჟმა.

— ახალი ლაზორანტი.

— ახალი? ის სად არის?

— წავიდა.

— სად? რატომ წავიდა?

— არავინ იცის.

ყველა მიმოიფანტა. თანდათან ჩაქრა
სინათლე აუდიტორიებში. აქა-იქ თითო
ოროლა დაგვიანებული სტუდენტი გა-
მოჩნდა და იმათაც ხმაურით ჩაიარეს
კიბეები.

შავთავსადრიანი ქალი, ამდენხანს
კუთხეში რომ იყო აბუზული, ფეხაკრე-
ფით მიიწია კარებისაკენ და ჰუჰკრუტა-
ნაში გაიჭვრიტა, მერე სწრაფად მო-

ცილდა და ცუბცუხით გასწია გასასვლელისკენ. ქალის მოცილება და კარების ვალებაც ერთდროულად მოხდა. გამოვიდნენ სტუდენტები.

თეთრყირმიზა, ერთიანად წამონთებულ სახეს ძლივსლა მალავდა, ქერათმიანი, ენაპარტალა ქალიშვილი სულჩაუთქმელად ყვებოდა რაღაც ამბავს. ისინი კიბეებზე დაეწიენ შევტანსაცმელიან დედაკაცს.

— მოდის? — ჰკითხა ერთმა მეორეს.

— კი.

— ნელა ვიაროთ.

ქალიშვილებს, მაღალი ტანის, შუბლფართო ვაჟი დაეწია. ვაჟს არც ვაუხედია შეეთესაფრიაანი ქალისკენ, ხელმკლავი-გამოსდო ქალიშვილებს და კიბეებზე ჩაატარა.

ფართო ალყაფის კარები ღრჭილით გაიღო და დაიხურა. ქალს გაუძნელდა გამოღება, ძალაგამოლეულმა მარჯვენამ ძლივს დასძლია ზამბარის წინააღმდეგობა. ვარეთ გასულმა დაინახა, როგორ აიძრა და წავიდა შავი „ვოლგა“. ცისფერი კვამლი და უსიამოვნო სუნი ერთად შეეფრქვა სახეში.

ქუჩაში გამოვიდა.

კიბეებზე ამავალს, მეზობლის ფაშფაშა ქალი შემოხვდა. იგი გაკვირვებული შეაკერდა თეთრად გაფიფქულ დედაკაცს.

— უიმე, დეიდა ვარდიკო! ვერ გიცანით.

— გამარჯობა, გენაცვალე.

— გაგიმარჯოს. ასე გვიან?... ხომ მშვიდობაა?!

— კი, შვილო. არის ნეტავი სახლში? — ვაიხედა კარებისაკენ.

— არა მგონი. არ გამიგონია კარის გაღების ხმა.

მეზობელი კიბეებს ჩაყვია, თვითონ მოკრუნჩხული თითები ღილაკს დააჭირა. არავინ უპასუხა. „არ დაბრუნებულაო“ — გაიფიქრა. ერთხანს კარებთან დარჩა. მერე ნაბიჯების ხმა და ქალის „გმადლობთო“. გაიგონა და სწრაფად თავიქვე დაეშვა.

— სად მიბრძანდებით, დეიდა ვარდიკო, ჩემთან შემოდით.

— გმადლობთ, შვილო, ნათესავი მყავს! სანახავი.

— ასე გვიან?

— არა უშავს.

შეშინებული, კიდევ არაფერი მკითხოსო, სწრაფად გაეცალა. ერთხანს შესასვლელთან იდგა მერე ქუჩაში გავიდა, მიმოიხედა, არავინ ჩანდა.

— „ერთს აყვები ამ ქუჩას ბოლომდე და როცა დაებრუნდები, ეგებ განათებული დამხედეს ფანჯარა“.

ფანჯარა კვლავ ჩამქრალი თვალით უყურებდა ქალს. ბოტებში სინესტემ გაჟონა. დანამულმა წინდებმა სითბო დაკარგა, თანდათან შეაწუხა სიცივემ.

ციმციმა ფანტელებმა ნელნელა მოუქსოვეს თეთრი მოსასხამი. მეორე თუ მესამე სართულის კიბეებზე ამავალს მოესმა, როგორ შემოგრიანდა მანქანა ეზოში. მერე თოვლის კრაქა-კრუქიც გაისმა და ვილაც ღიღინით ამოუყვია კიბეებს.

— დედა! შენი საიდან — სადაო?...

მეტე არაფერი ჰკითხა ვაჟმა, კარი გაუღო. პალტო გახადა, დაუბერტყა. მერე წყალი გაათბო და ფეხები ჩააყოფინა, ცხელი ჩაიც დააღევირა და როცა მოასულიერა გათოშილი ქალი, წინ დაუჭდა და ჩაკითხა:

— ხომ მშვიდობაა, დედა!

— კი.

— ნათელა და რეზო როგორაა? — მოიკითხა და და სიძე.

— ბავშვები.

— კარგად.

— სახლში ხომ მშვიდობაა?

— კი.

— მეზობლები?

— რა უჭირთ.

— შენი ჯანმრთელობა.

— არა მიშავს.

და მეტი რაღა ეკითხა ვერ მოიფიქრა. მერე მოასვენა დედა, ორი საბანი დაახურა. თვითონაც მის გვერდით საწოლზე მოკალათდა. არ დაეძინა დედას...

არც შეიღს ეძინა, ხელი გამოყო საბნინიდან, მკერდთან თუ კისერთან, როგორც პატარა ბიჭობაში იცოდა, მოუფათურა და ჰკითხა.

— რაზე ხარ, დია?

ატირდა დედა. სულმოუთქმელად მოწანწყარებდა ეს ოხერი ცრემლები სახეზე. რამდენი სიბრაზე ქონდა გულში და სულ გაუნელდა. ვერც ვერაფრის თქმა მოახერხა. შვილი ვერც გაამტყუნა და ვერც გაამართლა.

მერე ცრემლებში... მტყუან-მართალის გარკვევაში ჩაეძინა. არც შეიღს უკითხავს: რატომ სტიროდა დედა... უკითხავად აწუხებდა რაღაც კაცურკაცობას, სინდის-ნამუსს, რომ ეძახიან ჩვენში... და ის რაღაც ახლდა დედის ცრემლებს, უხმო დარდასა თუ უთქმელ სატანჯველს.

არაფრით არ დაეძინა შვილს... ჯერ იყო და, ამ უდროო დროს აკანკალებული დედის სტუმრობამ ატკინა გული, მთელი სიცხადით წამოიღვინა მარტოხელა ქალი... გადაკარგული შორს, უპატრონოდ, უმეთვალყუროდ.

გვერდი იბრუნა. ძლივს ისმოდა დედის ფშვინვა: მაგრად დახუჭა თვალები, რომ დაძინება მოეხერხებია. უცებ მოეჩვენა, თითქოს ბნელ ოთახში ვიღაც იდგა და პირდაპირ შესცქეროდა. ძალზე ახლობელი და ნაცნობი თვალები ცრემლებით თუ საყვედურით ჰქონდა სახე...

დედა შეინძრა. წამოიწია. ფანჯარას გახედა და „რა ჯანდაბამ დამაძინაო“ — თქვა.

ვაჟი გაიტრუნა.

თოვლით განათებული ღამე დღესავით იმზირებოდა ფანჯარაში.

გაბრაზება განელებოდა დედას. გამწყარალი წამოვიდა სახლიდან, რაც უფრო და უფრო უახლოვდებოდა ქალაქს მით უფრო ემატებოდა სიანჩხლე. რა არ იფიქრა გზაში, რა გეგმები არ დააწყო, რა სიტყვები არ გამოძებნა. საოცრად უძლეური აღმოჩნდა. ვერც დასჯა მოახერხა, ვერც დატუქსვა, ისიც ვერ უთხრა, რამ გადმოაგლო ამ

შუა ზამთარში, გაუქვილავ თოვლში, მარტოდ-მარტო. ვერაფერი ვერ უთხრა, ვერც ხეალ ეტყვის, და ასე უნდა დუმებულნი გაბრუნდებოდა უკან.

ვაი, სირცხვილო!

შვილმა ერთ ცოდვაში ჩაიდგა ფეხი, თვითონ კი ათასში.

მერე გუშინდელი დილა გაახსენდა...

— ძლივს ამოათქმევინა ორიოდ სიტყვა ცრემლმორეულ სტუმარს. ჯერ მშვიდად უსმენდა ქალს, აწყნარებდა კიდევ, მერე თვითონ ვერ მოისვენა, ან რა ვააჩერებდა, არც თოვლს, არც უგზობობას არ დაეირიდა, გაწიწმატებულმა გამოსწია შვილისაკენ.

სხვისი შვილის გაუბედურება ცოდვად დაედება მის ვაჟს, მის კერას, მის ქალობასა და სინდის-ნამუსს. მერე სად გამოყოს თავი? ან რა ფასი ექნება შვილის „კაი კაცობას“?

უფრო მეტი ძალა იგრძნო ქალმა, წამოიწია. მის მახლობლად შვილის სუნთქვა ისმოდა. საბანი ოდნავ გადახლოდა და გაშლილი მხრები უჩანდა.

— „რაფერ უცებ დაეაქაცადა“ — გაიფიქრა მან მოულოდნელად ინსტიტუტის შენობაში, შვილთან შეხვედრა გაახსენდა. „ვერ მიცნო... არც დაუნახავარ. მაინც ეს ატლიკინებული გოგონები ვის არ დაუბნევენ გზაკვალს. რა ამბავში იყვნენ, არც უფროსის რიდი აქვთ და არც უმცროსის, ერთმანეთს ასწრებდნენ ლაპარაკს. მაგათი ბრალია ყველაფერი. გადაშირიეს ბიჭი. თბებივით დასდევენ უკან. მაინც არცერთი არ მოგეწონება, ყველა რომ ერთმანეთს ჰგავს: კაბა წამოხდილები, თმა გაწეწილები, არცერთი სახლში არ არის შესაშვები“. წუთით იყუჩა და...“ ეგებ ისიც ამათი მსგავსია... თავშეუკავებელი, ასე იქნება. შემომიხტა სახლში ბერიქალს და მოტყუება გადაწყვიტა. ისიც კარგი თავაშვებული გომბიო იქნება. პატიოსანი ქალი წინასწარ არ იტეხს სახელს. ჩვენც კი ვიყავით ახალგაზრდები მარა... საცოდავთან ორი წელის მეტი არ დამცალდა ყოფნა, აბა უნდა გადავრეულიყავი...

ძუნასავით მედია კაცებისათვის, მაგრამ არა, ჩემი ქალობა და სინდის-ნამუსი ყველაფერს მირჩევნია“.

ვიღაცაზე გაბრაზდა ქალი. გვერდი იცვალა, ერთხანს იწრიალა და შერე ჩაეძინა.

* * *

გათენდა.

გაზის ქურამ, სწრაფად ამოუდგა ენა ჩაიდანს. ჩაის სურნელითა და ცხელი წყლის ორთქლით გაივსო ოთახი.

— დედა!

— რა იყო?

— რჩები ხომ?

— არა.

— კი.

— არა.

ერთმა პური დაჭრა, მეორემ ჩაი დაასხა.

— შურაბა გაგითავდა ბიჭო?

— არა, მოვიტან.

ვაემა ჩაცმა დაიწყო.

— მიხვალ?

— ჰო, ცხრა საათზე ლექცია მეწყება.

— შეც მივდივარ.

— რატომ ჩქარობ? საღამოს საღმე წაგიყვან.

— არ მინდა.

ვაემა გაღიხარხარა.

— რა გაცინებს, ბიჭო!

— ვიცი, რაზედაც ბრაზობ.

— იცი? გაიკვირვა ქალმა.

— ჰო... ვიცი.

პალტო ჩაიცვა ვაემა. ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში.

— ვიცი, რაც გაწუხებდა?

— იცი?!

— ჰო... შემბორკო გინდა? უღელში გამაბა? არაფერი გამოვა...

ქალი სდუმდა. მერე წამოდგა და ჩაცმა დაიწყო.

— დედა, გეხუმრები. დარჩი. ვთხოვ დედა.

ქალი უხმოდ განაგრძობდა ჩაცმას.

— დედა, როგორც შენ გაგიხარდებდა ისე მოვიქცევი, დარჩი დედა!

შარფი მჭიდროდ შემოიფუთნა ქალმა კისერზე.

— დედა, ამელამ მოვილაპარაკოთ. აღრე მოვალ, დედა!

პალტოს ღილებიც მონდომებით შეიკრა ქალმა. წუთით არ შეეყოყმანებულა ვაეის სიტყვებზე. წინა ღამის სიკერპე ეხატა სახეზე.

— დედა! მომისმინე: შენ ამომირჩიე საცოლე. ვინც შენ მოგეწონება.

კარები გამოაღო ქალმა. ცივი ჰაერი ერთბაშად დაეტაკა სახეში.

— არ უნდა არჩევა. შენ ცოლიც გყავს სახლში და შვილიც მალე გეყოლებო...

კიბეებს დაუყვა.

ჩაღიოდა და პალტო ბავშვივით უხაროდა რალაც. იმ გამოუცნობმა სიხარულმა კიდევ უფრო ააჩქარებინა ფეხი. მეტი ძალაც შემატა. ახლა თოვლით დაფარულ სოფლის გზებს კი არა, ცხრა მთას ვადივლიდა ისე, დალლასაც არ იგრძნობდა.



ქვაბთახევის ეღვრია

«და ესტევითარითა სიბოროტითა მიიწინეს
ქვაბთახევის სპანი ლანგ-თეჭურისანი, ალაგზნეს
ცაცხლო შიგან და დაწვეს ტაძარი იგი».

„ქართლის ცხოვრება“

ღამეა იდუმალ-გნებული
მეშორა ნაცნობი ქარები
კანკელი თრთის მოყვივებული
შერყვნილან ის მინანქარები
და სული მით შემცივნებულა
სდუმანო დავითის ქნარები.

ზღვა ზურმუხტით მოზიშვიმეთი
იქცევა წვეთებად საშიში
იხსნება წყვილი კოზიმიტი
ხრჩოლავს ნარგისებად ქაშიში
კრთი რაო შენ, სულო, იმითი
სიკვდილი როა ცის საშოში?

იხსნება წყვილი კოზიმიტი
კრთის ბედისწერის აზიმუტი.
აღსასრულისაა ქანგები
მოვლენ-და ის ფარშავანგები?

ზღვა ზურმუხტით მოზიშვიმეთი
გადადის ლაღების რიყეზე.
ასე შორია როს იმედი
ლოდით დაფარული მძიმეთი
არე რად ირევა არეთი
ქალა — გულის სიმწუხარეთი?

სნეულია მუზა იმითი
იხსნაო წყვილი კოზიმიტი
დრკა ბედისწერის აზიმუტი.

შარავანდელია ჩანგების
 თუ დიადემაა განგების
 აღსასრულისაა პანგები.
 მოვლენ-ლა ის ფარშავანგები?



დროშან ისტორიის დაზიდა სადავე

ქალალ-ედინ ხელვო სიონისა გუმბათისა შე-
 მუსვრალ და ზედა ბილწისა საქლომისა მისისა
 აღშენებლად“.

„ქართლის ცხოვრება“

I

ღამით ავსებულან ნიშანი
 დარია ცივი
 მწუხრის დავანების ნიშანი:
 ვარსკვლავთა შივი
 ბინდბუნდმორეული ისანი
 ჩამჭრალი კვარი
 მოწამე-მისანი
 მტკვარი.

ღამე მუცელქმნული დილაზე
 საბანი ღრუბლის
 ნათელმილეული სინაზე
 ანგელოსთ შუბლის
 ო, ისევ და ისევ ზარია
 დევების უბნის
 შენ, თვალსაფირონო Maria
 ბაგვე აღუბლის
 შვება სიმძიმელში გარიე
 შარბათში შვამი
 ვაჰ, რა უკარები მთვარეა
 რა კუსტი ვამი!

II

განათდა სიონი
 აღმასობს აისი,
 მზე-ურისიონი
 ქარგავს ბორრაისით,
 ნათელთა დარია
 მზე — ლავგარდანები
 უცხო რამ ბორით
 ვერ მიეტანება,

აფრინდა დაფნიდან წერადი სონლული
 დროშან ისტორიის დაზიდა სადავე



სიძველის სიქველვ, შვება-სისადავე,
წამგერელი რაისაც დაემხო მონღოლი
დაბრუნდა! ისარეთ! დრომოქმულ სტიხარით
ლალ-იაგუნდების შეფრქვევას ვუნდებით,
ციერნო, გვითხარით, ორმო რად გვითხარეთ
თუ კვლავ დადუნდებით მთიებთა გუნდები?
ალიმსთო მესია, თაღებს შეესია
ველური მარულა ამ ზღვა სიხარულის,
შვების პოეზია თანადთა გეზია,
ვით ცოფი ფარული ეშმათა არულის!

III

იძალეს Maria
მგლისფერმა თვალებმა
სატანის ვალებმა
მტერი მოგვარია
აეწყო ჩანგები
ნაოტთა სინდისი
შედრკა უწმინდესი
მზიური განგება
მილულეს ღულეებმა
ნახელი თვალები
და ის მწვერვალები
კვლავ დათმეს წულებმა
წყარო დაბეჭდულა. სულში მწუხარება
ათენას გველივით კვლავ მოიპარება.
ღამე დაძინძილი და მიუსაფარი
ხეებს ეფარება
სულში ჩარჩენილი წარსულის ზღაპარი
სიზმარს ედარება
ოდეს ცრემლიანი, ოდეს დანამული
კვლავ ჩაესვენება მზეთა ერიაშული
სულიც მოლხენილი, ცად გარდავლენილი ისუნთქებს ხვალეთი
ეთერად მჭროლი და ციურთა მჩენელი სხვა სიმსურვალეთი.

ვაჟა სააპაფყოფი

ბრალია პერობილი არწივის
თვალთა სიერცეებზე ჭენება,
თუ შემოდგომაა დარ ცივი
და ფერთა მით გადაშენება
როს ნაქუბარი და ნარწევი
იქცევა იმედთა შენობა.

ალეზი ალებრივ ალოზენ

ელვათა მტყორცნენლი ეთერად
წამები წლებადვე წვალობენ
მწუხრის ანგელოსნი გალობენ
თუ მომსპარია სიკეთე რად
ხთველემენ ღამისფერი ღომები
და სული ჩანგების ყმა არი
სად სურაფიშების სმა არი
ვალპურგია და ვარფლომები.

3. ნოზაძე

საპარტიველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა სოფლად იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებისათვის

კომუნისტების გამწვანებული მუშაობის პერიოდში მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომებში, პარტიის ყრილობებისა და პლენუმების გადაწყვეტილებებისა და პარტიის პროგრამაში, კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირების დოკუმენტებში ჩამოყალიბებული იდეოლოგიური და პოლიტიკური დოკუმენტები დაუშრეტელი წყაროა, რომლითაც საბჭოთა ადამიანები ახალ ძალებს იკრებენ, იღებენ წართმობს იღებენ, ჩვენი დიადი საქმიანობაში რწმენას განიმტყეებენ.

იღებენ რწმენა თვითველი წამოწყების წარმატების საწინდარია, რადგან იგი ნიშნავს აზრისა და მოქმედების განუყოფელ ერთიანობას და ადამიანის იდეურობა სწორედ სიტყვისა და საქმის ერთიანობაში მდებარეობს.

პარტიის ტიტანური ორგანიზატორული და აღმზრდელი მუშაობის შედეგად სოციალისტური მშენებლობის პროცესში ძირფესვიანად შეივალა საბჭოთა ადამიანის შეგნება, შეხედულებები, მთელი მისი სულიერი სამყარო, ჩამოყალიბდა ახალი ადამიანი — სოციალისტური ეპოქის ადამიანი. იღებენ მრწამსი კომუნისტური იდეალების გამარჯვების ურყევი რწმენა საბჭოთა ადამიანის, განუყოფელი ნაწილი, მისი ზნისათვის ძირითადი ნიშანთვისება ვახდა. მაგრამ, ამჟამად, როდესაც მშრომელთა უფართოესი მასები სამუ-

დამოდ ეზიარენ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, კომუნისტური პარტია საჭიროდ თვლის კვლავად დაუღალავად იზრუნოს საბჭოთა ადამიანის იდეოლოგიური წართმობისათვის.

რაც უფრო იზრდება სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება, რაც უფრო ღრმადდება მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი, რაც უფრო მწვავედება კლასობრივი ბრძოლა მსოფლიო ასპარეზზე, მით უფრო იზრდება მარქსისტულ-ლენინური იდეების როლი კომუნისტებისათვის საბრძოლველად მისების შეგეშირებასა და დარაზმვაში.

საზოგადოების განვითარების მეცნიერულ ზღვრულადელობას რომ ახორციელებდა, პარტია თავის საქმიანობის ყველა ეტაპზე მუდამ ზრუნავდა იდეოლოგიური მუშაობის კარგად დაყენებისათვის, განუწყვეტლივ უზრუნველყოფდა იმას, რომ იდეოლოგიური მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები შესაბამისი ყოფილიყო საზოგადოების ცხოვრებაში, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს საქმიანობაში მომხდარი სოციალ-ეკონომიური ცვლილებებსა.

სოციალიზმისა და კომუნისტებისათვის ბრძოლის პროცესში ჩვენი ქვეყნის კოლმეურნე გლეხობა მუშათა კლასთან და ინტელიგენციასთან ერთად გაიზარდა და გამოიწრით პოლიტიკურად და იდეურად, ვახდა ისეთი ძალა, რომელსაც შესწევს უნარი აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკით-

ების ვადებში. იგი წარმატებით დაეფუძვლა ცოდნის ყველა დარგს, აიფასა კულტურის დიდი მონაწილეობა და იგი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას მოახმარა. კომუნისტურ გლეხობას მტკიცედ აქვს შეგნებული კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში თავისი როლის მნიშვნელობა.

საბჭოთა ხალხის შრომითი აქტივობა მისი იდეური დონისა და პოლიტიკური შეგნებულობის ზრდის შედეგია. მშრომელთა ფართო მასების თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ზრდა საშუალებას აძლევს სწრაფად გაერკვნენ საქმის ვითარებაში, განვსვრიტონ ქვეყნის განვითარების პერსპექტივები, გახდნენ კომუნისმის მშენებლობის საქმისადმი თავდადებული მებრძოლები.

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ „მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ ისწავლით დამოუკიდებლად გაერკვეთ ამ საკითხში, მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ საცხაოდ მტკიცე ხართ თქვენს რწმენაში და შეგიძლიათ საცხაოდ წარმატებით დაიცვათ იგი უკუღას წინაშე და ყოველთვის“. ვ. ი. ლენინი ვასწავლის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების მთავარი წყაროა შეგნებულება და გმირობა მუშათა კლასისა, რომელსაც მხარს უჭერენ და თანაუგრძნობენ მშრომელთა სხვა ფენები. აქ უპირველესად ყოვლისა, იგულისხმება გლეხობა, ურომლისოდაც შეუძლებელია ამ დიდ ვარდამენების განხორციელება, იმ დიდი ისტორიული მისიის შესრულება, რომელიც მუშათა კლასს აკისრია. ასეთი მისია ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე ეტაპზე კომუნისმის აშენებაა.

საკმ საქმიანობის ყველაზე დიდი შედეგია ის არის, რომ სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში სრული და საბოლოო გამარჯვება მოიპოვა, გაიზარდა და გამოიწიროს კომუნისტური იდეალებისა და მისიანი შორალური პრინციპების მქონე ადამიანი, მილიონობით ადამიანთა მსოფლმხედველობა კაცობრიობის ისტორიაში ჩამოყალიბდა მარქსისტული ყოვლისმძლე თეორიის საფუძველზე.

სსრ კავშირში სოციალიზმის სრული გამარჯვების, მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნის, განვითარებისა და განმტკიცების შედეგად შეიქმნა კლასობრივი ძალების თვისებრივად ახალი განლაგება მსოფლიოს ასპარეზზე. საერთაშორისო იმპერიალიზმს შეზენელი კავშირების განხორციელების საშუალებას არ აძლევს საში უძლველი ძალა — მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტე-

მა, საერთაშორისო რევოლუციური მუშათა მოძრაობა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. თანამედროვე ეტაპზე იმპერიალიზმს აღარ შეუწყდა იმის უნარი, რომ დაპარტოვოს სოციალიზმს სამხედრო გზით და იგი იმდენ აშკარებს იდეოლოგიურ დივერსიაზე. ანტიკომუნისმის შეითხზნელი დროშით იმპერიალისტები მიმართავენ სოციალისტური ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ დისკრიმინაციას. ბურჟუაზიის წარმომადგენლები ცდილობენ შეშინაბონ საბჭოთა საზოგადოებაში ხელოვნების „არაპარტოულობის“, „შემოქმედების ანსოლუტური თავისუფლების“, უიდგობისა და აპოლიტიკურობის, „თიბიბათა კონფლიქტის“ ყოვლად მდღარო, უღარესად ვალები კონცეფციები. მათი მიზანია ისარგებლონ მებრევა აღმანაწიებით და მიღწიონ თავიანთ მიზნებს.

რაც უფრო იზრდება სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება, რაც უფრო ღრმავდება მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო კრიზისი და მწველდება კლასობრივი ბრძოლა მსოფლიოს მასშტაბით, მით უფრო იზრდება მარქსისტული თეორიის რთული კომუნისმის მშენებლობის დიდებულ გზაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენი პარტიის ამოცანა ის არის, რომ იდეოლოგიურად უზრუნველვოს სკვპ პროგრამის განხორციელება თანამედროვე ეტაპზე, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში და ახალი ადამიანის აღზარდის დიდ და მნიშვნელოვან საქმეში. ეს ამოცანები ამიტომ არის განსაკუთრებით აუცილებელი თანამედროვე ეტაპზე, რომ სოციალისტური წყობილების გამარჯვების შემდეგაც ადამიანთა შეგნებისა და ქვეყაში კიდევ რჩება კაპიტალიზმის გადაღონამოები, რაც მნიშვნელოვანად აფერხებს საზოგადოების წინსვლას.

ჩვენი პარტიის სამარგამო მოთხოვნაა, რომ კომუნისმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში იდეოლოგიური მუშაობა სულ უფრო მძლიერი ფაქტორი გახდეს, რაც უფრო მაღალი საზოგადოების წევრთა შეგნება, მით უფრო სრულად და ფართოდ ვითარდება მათი შემოქმედებითი აქტივობა კომუნისმის მშენებლობაში.

სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შემდეგ იდეური ცხოვრება მნიშვნელოვანად გააქტიურდა და უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდა უფრო ცოცხალი და მრავალმხრივი გახდა. ამაღლდა მისი ქმედითობის დონე, მარგანიზებული და მამოძღვრებული რაღი.

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961, გვ. 129.

საქართველოს კომუნისტური პარტია არასოდეს არ იფიქრებდა ე. ი. ლენინის იმ უკუდავითოებებს, რომ კომუნინში მასების შეგნებელი ისტორიული შემოქმედების ნაყოფია. ბუნეს ქვეყანაში პრაქტიკულად ზორციელდება ე. ი. ლენინის მითითება, რომ „... ყოველმხრივ განვითარებული და ყოველმხრივ მომზადებული ადამიანების აღზრდას, სწავლებასა და მომზადებაზე, ადამიანებისა, რომლებსაც ყველაფრის გაეცემა ეცოდინებოთ. კომუნინში აქვთ იმისი, უნდა მიიღოთ და მივა“¹.

იდეოლოგიური მუშაობის კარგად დაყენებას ხელი შეუწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1960 წელს მიღებულმა დადგენილებამ „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“. ამ დადგენილებაში ხაზგასმით არის მითითებული, რომ პარტიული პროპაგანდის შედეგში, მისი აღმზრდელითი როლი მით უფრო ქმდითი იქნება, რაც უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება იგი ხალხის მოქმედებას, მის ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაწვრილებით შეისწავლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის შესახებ“ აბაშის, ახმეტისა და სხვა რაიონების მავალითზე და დასახა სათანადო ღონისძიება გამოეცნებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

იდეოლოგიური მუშაობის გაფართოებისა და სრულყოფის საქმეში ასევე უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებას, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს პარტიულ ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობას. პლენუმმა საგანგებოდ განიხილა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები და მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება, სადაც ხაზგასმით არის მითითებული იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის, იდეოლოგიური მუშაობის ყველა რგოლის გააქტიურების, ახალხალი ფორმებისა და მეთოდების გამოანახვის მიზანშეწონილობის შესახებ.

იდეოლოგიური მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად — მითითებულია დადგენილებაში, — დიდი ამოცანები დგას საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკების წინაშე. მათი უმნიშვნელოვანესი ამოცანებია განსაზოგადონ მასების ცოცხალი პრაქტიკა და ისტორიული გამოცდილება კომუნინში აწნებინათვის ბრძოლაში, გაბედულად, შემოქმედებით

თად განავითარონ რევოლუციური თეორია, იბრძოლონ მისი იდეური სიმინდისათვის, მოაწყონ შემოქმედებითი დისკუსიები რაიონულ ფილოსოფიურ, ეკონომიურ, ისტორიულ, სამართლისა და მეცნიერების სხვა პრობლემებზე“¹.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა კარგად იცოდნენ, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარება და პრაქტიკაში მათი რეკომენდაციების დანერგვა ნაყოფად მნიშვნელოვან როლს როდეს ასრულებს, ვიდრე სხვა ტექნიკური მეცნიერების მიღწევები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემოადგინულ დადგენილებას რომ ახორციელებდა, საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებდა პროპაგანდის მასობრიობაზე, მისი გავლენის სფეროს გაფართოებაზე, უპირველეს ყოვლისა, პარტიული განათლების მთელი სისტემის სრულყოფა-გაფართოებაზე. მაგალითად, თუ 1958 წელს სწავლებაში ჩაბმული იყო 194816 მსმენელი, 1959-1960 სასწავლო წელს, ე. ი. კომუნინში გაშლილი მშენებლობის დაწყების პირველსავე წელს პარტიული სწავლების სხვადასხვა ფორმაში 212594 კაციათადა, ე. ი. მსმენელთა რაოდენობა თითქმის 18 ათასით გაიზარდა, 1960-1961 სასწავლო წელს — 281692 კაცი, ე. ი. მსმენელთა რიცხვი 69 ათასით გაიზარდა.² 1964-1965 სასწავლო წელს საგრძნობლად გაფართოვდა პარტიული პროპაგანდის გავლენის სფერო. მარქსისტულ-ლენინურ თეორიას პოლიტკოლეგში, წარებსა და სემინარებში ეუფლებოდა 442.219 კაცი, რაც 25.237 კაცით მეტია წინა სასწავლო წელთან შედარებით. 1965 წელს პოლიტიკური განათლება რესპუბლიკაში კუმარიტად მასობრივი რომ გახდა, ამას ისიც მეტყველებს, რომ კომპარტიული და უპარტიოთა რიცხვმა პოლიტიკურ განათლების სისტემაში 226.606 კაცს მიაღწია, რაც მსმენელთა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტს შეადგენდა.³

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ პოლიტიკურ თეოგანათლებას. თეორიულ სემინარებში და ინდივიდუალური გეგმებით მარქსიზმ-ლენინიზმს დამოუკიდებლად 1965 წელს 200.013 კაცი სწავლობდა, ანუ 77.980-ით მეტი, ვიდრე წინა სასწავლო წელს. ამასთან, დამოუკიდებლად სწავლებაში მთავარი ადგილი ეკუთვნის სემინარულ, კოლექტიურ ფორმას. თუ წინა სასწავლო წელს

¹ დადგენილებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა. 1963 წლის ივნისი, 1963, გვ. 16.

² უტრნ. „საქართველოს კომუნინტი“, 1960, № 8, გვ. 27, 28.

³ უტრნ. „საქართველოს კომუნინტი“, 1961, № 7, გვ. 31.

⁴ უტრნ. „საქართველოს კომუნინტი“, 1965, № 2, გვ. 26-27.

რესპუბლიკაში შექმნილი იყო 6.726 თეორიული სემინარი, 1965 წელს მათმა რაოდენობამ 7 069-ს მიადგინა. ამ სემინარებში 155 ათასამდე მსმენელი იყო გაერთიანებული, ინდივიდუალური გეგმებით მომუშავეთა რაოდენობა კი მხოლოდ 45.155 კაცს, ანუ დამოუკიდებლად შემსწავლელთა მთელი რაოდენობის 30-მდე პროცენტს შეადგენდა.¹

პარტიულ განათლების ქსელში კადრების მარტისტულ-ლენინური განათლებისა და, საერთოდ, სწავლების ღონის ამბლებამში დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებამ, რომელმაც განიხილა საკითხი: „კომუნისტებისა და უბარტიოების პოლიტიკური განათლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკვპ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“. ამივე საკითხზე სპეციალური პლენუმები და კრებები ჩატარდა რესპუბლიკის ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში. ინფორმაციური მუშაობის ცალკეული აქტიურად განვითარების 1970 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სამჯერ განიხილა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. გარდა ამისა, ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში სისტემატურად ისმენდნენ ინფორმაციებს პოლიტიკური სწავლების მიმდინარეობის შესახებ. 1968-1969 სასწავლო წლის დასაწყისში (სექტემბერში) საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია ვაჭართოვებული თანობები, რომლებიც პარტიის საოლქო საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდიანმა, უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებთა კათედრის გამგებმა, პროპაგანდისტებმა, პრესისა და შემოქმედებითი დაწესებულებების წარმომადგენლებმა განიხილეს საკითხი „პარტიულ განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყების შესახებ“. ზემოთ ჩამოთვლილი და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების თათხნობით გატარებული სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების შედეგად რესპუბლიკაში გაუმჯობესდა პარტიული სწავლების მდგომარეობა. საქმარისა ალინიშნის, რომ 1968-1969 სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში ჩამოყალიბდა იყო 284.400 კაცი, მათ შორის 207.671 კომუნისტი².

პოლიტიკური სწავლებისათვის პარტიის დიდი

ზრუნვა სასებით ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა, რომდენადაც პოლიტიკურმა სწავლებამ მსმენელის მარტო გარკვეული ცოდნა კი არ უნდა მისცეს, არამედ უწინარეს ყოვლისა, იღებუარად უნდა შეაიარაღოს და აღზარდოს. სწავლებას მებრძოლი ხასიათი აქვს. იგი აღიზიანებს ზრდის ბურჟუაზიული ინფორმაციის, აღიზიანის შეგნებაში წარსულის მადეე გადმონაშთების წინააღმდეგ შეურთიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით.

პოლიტიკური განათლების სისტემაში განსაკუთრებთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კომუნისტთა და უბარტიოთა მიერ ეკონომიური თეორიის შესწავლის საკითხი. ეკონომიური სწავლება უფრო დიდგერეციატებულად, წარმოების ცალკეული დარგებისა და მუშათა კატეგორიის გათვალისწინებით მოეწყო. ეკონომიური სწავლებისადმი ყურიადდება გაძლიერდა სიტანსპორტო, საშენებლო, საეპტო ორგანიზაციებში. წევარ წრე და სემინარი მუდროდ დაუკავშირდა წარმოების კონკრეტულ ამოცანებს, ხელი შეუწყო პრაქტიკული საკითხების გააქრისათვის მასების მობილიზაციას. თუ 1958-1959 სასწავლო წლებში ეკონომიური მეცნიერების საღუქვლებს 40.338 კაცი ეუფლებოდა 1960-1961 სასწავლო წელს მათი რაოდენობა 80.263 კაცამდე გაიზარდა¹.

პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრეებისა და თეორიული სემინარების გარდა შექმნილი იყო აგრეთვე სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის ეკონომიკისა და სხვა სახის წრეები და თეორიული სემინარები, სადამოს ორდლიანი ეკონომიური სკოლები.

ეკონომიური მეცნიერების საღუქვლების დაუფლებისადმი დიდ ინტერესს მოწმობს ის ფაქტი, რომ თუ 1958-1959 სასწავლო წელს რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების სისტემაში არ არსებობდა დაწყებითი ეკონომიკის შემსწავლელი არცერთი წრე, 1960-1961 სასწავლო წელს მუშაობდა 1554 ასეთი წრე, რომლებშიც გაერთიანებული იყო 32.521 მსმენელი².

ეკონომიური სწავლებისადმი განსაკუთრებით დიდად გაიზარდა ინტერესი სოფლის მეურნეობის მშრომელთა შორის. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა სკვპ XXI ყრილობის, სკვპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1959 წ.) და იანვრის (1961 წ.) პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებების შესწავლას დაუქვემდებარეს პარტიული განათლების ყველა წრე, სემინარი და დაწყებითი ეკონომიური სკოლები. საკალმეურნეო და სპეტოთა მეურნეობების კადრების ეკონომიური სწავლების ერთ-ერთი გაერეცებული ფორმა გახდა მუდ-

¹ იქვე

² საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე არქივი. საბუთი: Информация о работе Грузинской партийной организации по Марксистско-Ленинскому образованию коммунистов и беспартийного актива в 1968—1969 учебном году.

¹ Черкезишвили, «Работа партийной организации Грузии в области партийной пропаганды», 1963, стр. 4.

² იქვე

მიემოქმედი სემინარები, რომლებშიც ვაერთიანებულნი იყვნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ფერმის გამგეები, განუთვლილებათ გამგეები, ბრიგადირები და საადრეცხო დარჩენი მუშაკები. მაგალითად, ზუგდიდის რაიონში წლების განმავლობაში მოქმედებდა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების სემინარია, რომლის პირველი მეცადინეობა ჩატარდა ინგირის საბჭოთა მეურნეობაში. იგი მიეძღვნა ჩიხის ფოთლის წარმოების ზრდისა და მისი თვითღირებულების შემცირების საკითხებს, ხოლო მეორე მეცადინეობა სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში“ — გამოცდილების შესწავლას შრომის ფუნქციონირებაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ამგვამდ, სპეციალისტური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა სამეურნეო რეფორმის განხორციელებამ დღის წესრიგში დააყენა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების მართვაში მშრომელთა შეგნებულ და აქტიურ მონაწილეობას, მათი ეკონომიური ცოდნის შემდგომ ამაღლებას.

უპირველესი მოთხოვნა საერთოდ პოლიტიკური განათლების უფრო ფორმისა და მათ შორის ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის ორგანიზაციისა ის არის, რომ პროპაგანდა კომუნისტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მძლავრ, მუდმივმოქმედ ფაქტორად იქცეს. აქედან გამომდინარე, 1970-1971 სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახელმა ღონისძიებათა მთელი კომპლექსი დაგეგმა, მოიწყო პოლიტიკური განათლების უმაღლეს რაიონში მომთმვე ეკონომიური სემინარის ხელმძღვანელთა რესპუბლიკური ზონალური სემინარია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2000-მა პროპაგანდისტმა.

როდესაც კადრების ეკონომიური განათლებაც ვლამარაობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის როლი, რომელიც ამ საქმეში უკანასკნელ ხანს ეკონომიურმა კონფერენციებმა მოიპოვა. პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახელმა მეტრი საინტერესო კონფერენცია გამართა, რომლებშიც მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, პარტიული მუშაკები.

იდი და ნაყოფიერი მუშაობის ეწეოდნენ პარტიული ორგანიზაციები პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში. სკვპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1962 წელს განიხილა საკითხი პროპაგანდისტთა კადრების შე-

რჩევისა და მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ამ საკითხზეც მრავალ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პოლიტიკური განათლების ქსელის გაფართოვასთან და მისი მასობრივი ფორმების განვითარებასთან დაკავშირებით პროპაგანდისტულ მოღვაწეობაში ბევრი ახალი მუშაკი იყო ჩამბული. პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწავლეს ამ კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის, მათი პროპაგანდისტული ოსტატობის ამაღლებასათვის. მაგრამ ბევრი პარტიული ორგანიზაცია არ ითვალისწინებდა, რომ კომუნისტის გაზრდილი მშენებლობის პირობებში, როცა პარტია პირველ პლანზე აყენებდა იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობის ამაღლებას, როცა დღით-დღე იზრდებოდა მასების კომუნისტური შეგნებულობა და შრომითი აქტივობა, უფრო სავსებუნსაგებში ამოცანები იდგა პროპაგანდისტების წინაშე მათი მუშაობის ორგანიზაციული და შინაარსობრივი მხარის გასაუმჯობესებლად. კენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა, რომ ბევრ ორგანიზაციას და ოლქში ჯერ კიდევ არსებობს პროპაგანდისტის, როგორც მასების ორგანიზატორისა და აღზრდელის, როლის შეუფასებლობა, მათთან მუშაობა მოწყვეტილია წარმოების კონკრეტულ ამოცანებს.

ამ დადგენილების საფუძველზე ვაიმალა ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობა, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები და პარტიული კომიტეტები პროპაგანდისტთა კადრებთან მუშაობაში ითვალისწინებდნენ, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდა შეუძლიათ მხოლოდ კარგად მომზადებულ, ავტორიტეტულ, ბოლშევიკური რწმენით გამსჭვალულ ადამიანებს, რომლებსაც უნარია შესწავლა შემოქმედებითად დაუკავშირონ თეორია პრაქტიკას, აღზარდონ მასები კომუნისტების სულსკვეთებით და დაარზონ ისინი სამეურნეო პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტლად.

საჭარველსო პარტიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველვეს პროპაგანდისტულ მოღვაწეობაში ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკების აქტიური მონაწილეობა, მიიჩნიეს ჭედიერ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლების ყველაზე ქმედით გზად, თვით ხელმძღვანელთა აღზრდის საუფეთესო სკოლად, ლ. ი. ბრეჟნევიმ სკვპ 23-ე ყრილობაზე ჩვენს პროპაგანდისტულ კადრებს პარტიის ოჭროს ფონდო უწოდა. ეს დიდი შეფასება პროპაგანდისტებს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა.

ჩვენს რესპუბლიკაში პარტიული განათლების ქსელში გაწეული მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ თანამედროვე პირობებში სწავლების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება და შეიძლება ითქვას, სინერგე პროპაგანდისტთა კადრების მომზადებაა. რესპუბლიკაში უდავოდ

დიდი შესაძლებლობა არსებობდა იმისათვის, რომ პარტიული განათლების ქსელი მეტადე და უნაბიანი პროპაგანდისტებით დაეცემოდნენ. თუ ემსჯელებთ უკანასკნელ წლების მონაცემებით, ჩვენს რესპუბლიკაში პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი და სასარგებლო მუშაობა გასწიეს. პარტიული განათლების ქსელი მუშაობას, კერძოდ კი პროპაგანდისტთა კადრების გაუმჯობესებას ხელს უწყობდნენ მეცნიერი მუშაკები, რომლებიც უშუალოდ მუშაობდნენ პროპაგანდისტებად, თეორიულ სემინართა ხელმძღვანელებად, კონსულტანტებად. დიდი რაოდენობით იყვნენ ჩამოყალიბებული პროპაგანდისტულ მუშაობაში ხელმძღვანელი მუშაკები. მათმა რიცხვმა პროპაგანდისტთა საერთო რაოდენობის 20 პროცენტს გადაჭარბა. პროპაგანდისტთა რიცხვი შეივსო აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კომუნისტებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განყოფილების რესპუბლიკური სახლი პროპაგანდისტთა სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეთოდური დახმარების მიზნით ყოველწლიურად აწყოებს რესპუბლიკური მასშტაბის კურსებსა და სემინარებს, რომელთა მუშაობაში ათასობით პროპაგანდისტი და სემინარის ხელმძღვანელი მონაწილეობს.

პროპაგანდისტებს დიდ დახმარებას უწევს ჩადიო, პრესა, ტელევიზია, გამომცემლობები. მაგალითად, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ყოველწლიურად აქვედია მათ მეთოდური ხასიათის მრავალ ნაშრომს.

პროპაგანდისტებთან გაჩვეულ მუშაობაზე ბევრი შეიძლება ითქვას. პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ მხრივ დიდი გამოცდილება შეიძინეს. 1965 წელს, ე. ი. შეიძღვრდნენ ბოლო წელს, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული სწავლების საქმეს ემსახურებოდა 14 ათასამდე პროპაგანდისტი, ლექტორ-კონსულტანტი. 1970-1971 სასწავლო წლისათვის პროპაგანდისტთა რაოდენობა 17.546 კაცამდე გაიზარდა, მათს დიდ უპირველსობას უმაღლესი განათლება ჰქონდა. 1970 წელს პროპაგანდისტთა შემადგენლობიდან ნახევარზე მეტი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი იყო.

ყოველივე ზემო აღნიშნული იმას როდი ნიშნავს, რომ პროპაგანდისტების შერჩევა-განაწილების, მათთან მუშაობის საქმეში ყველაფერი რიგზე იყო. ზოგიერთ შემთხვევაში თავს იყენდა ფორმალისში პროპაგანდისტულ საქმიანობაში.

ში. ნელა ინერგებოდა პროპაგანდისტთა მუშაობის ახალი ფორმები. მაგალითად, ყუთაღდების ლირის იყო და არის ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქსა და რაიონში შექმნილი პროპაგანდისტული სკოლების მუშაობის მეთოდთა განაღობება და დინერგება.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე ძირითადად დამატებს ნაკლოვანებებში პარტიულ სწავლებაში და განახორციელეს ლენინისძიებები პოლიტიკური სწავლების გაუმჯობესებლად. ამის მიღწევა მათ, უპირველეს ყოვლისა, იმითმ შეძლეს, რომ პროპაგანდისტებად შეიარჩიეს თეორიულად მომზადებული და მეთოდურად დახვეწილბული ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევდათ ახლებურად წარემართათ მეცადინეობა სკოლებსა და სემინარებში.

კომუნისმის მშენებლობის პერიოდში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დიდად ეხმარება, ნაკოფიერ მუშაობას ეწევა მშრომელთა იდეოლოგიურ მომზადებაში. იგი იდეოლოგიური საშუალებებით ხელს უწყობს სკკპ პროგრამის განხორციელებას, კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ახალი აღმართის აღზრდას. საზოგადოება თავის რიგებში აერთიანებს ცნობილ მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელ მუშაკებს, უმაღლესი ვანათლების მქონე ყველა დარგის სპეციალისტებს, წარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის ნოვატორებს. ამ საზოგადოების მუშაობის მთელი მზარსი იმის სურვეთის დასაბუთებაა, რომ მეცნიერება ჩვენს ქვეყანაში ვადატოპ უშუალო საწარმოო ძალდ, რომელიც პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში ხელს უწყობს ქვეყნის საწარმოო ძალთა შემდგომ აღმაღლობას.

ლენინი ამბობდა, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის აუცილებლად საჭიროა დაეუფლოთ მეცნიერებას, ტექნიკას, ხელოვნებას, ყოველგვარ ცოდნას, რაც შეუქმნათ კაცობრიობის მოწინავე წარმომადგენლებს. ეს მითითება უფრო საჭიროა კომუნისმის გამოვლილ მშენებლობის წლებში, რადგან ჩვენს ეპოქა უნიდასი მეცნიერულ აღმოჩენათა და გამოარჩევბათ ეპოქაა. სულ უფრო იზრდება მშრომელთა მისების სულიერი მოთხოვნილება ცოდნის შექმნისა და სამყაროს შეცნობის, ტექნიკური პროგრესში გააჩვევისა და ჩაწვდომისთვის, ჩვენს კოლმურჩეობასა და მუშებს უფრო მეტად აინტერესებთ დროში შეისწავლონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხები.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“

1. ეურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1966, № 6, გვ. 79-84.

2. იქვე.

მთავარი ამოცანა კომუნისმის შენეობის პერიოდში არის სკვპ XXI, XXII და XXIII ყრილობების, სკვპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა, აგრეთვე სამშალო და საზღვარგარეთელი მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდა. რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და სხვა ორგანიზაციებში დიდი ყურადღებით ისმენდნენ ლექციებსა და მოხსენებებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

თუ რაოდენ დიდ მუშაობას ეწეოდნენ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები, რამდენად გაიზარდა მათი რიგები, ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები: საზოგადოება „ცოდნის“ წევრთა შემადგენლობა 1959 წელს შეადგენდა — 7999 კაცს, 1965 წელს — 18.662-ს, 1970 წელს 32.068-კაცს.¹ დიდი რაოდენობით იზრდებოდა კვალიფიკირებული ლექტორთა არმია, რომელიც მეცნიერების და ტექნიკის ყველა დარგში ეწეოდა ლექციურ პროპაგანდის რესპუბლიკის შრომელთა შორის.

უკანასკნელ პერიოდში საზოგადოება „ცოდნის“ პირველადი ორგანიზაციების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. ამ ფაქტს იდეოლოგიური მუშაობის გასაუმჯობესებლად დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადღე პირველადი ორგანიზაციები უფრო ღრმად სწავდებოდნენ იდეოლოგიური მუშაობის არსს და უზრუნველყოფდნენ შრომელთა მოთხოვნებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლაში, საკამრისია, მივეთოთთ, რომ თუ 1961 წელს საზოგადოება „ცოდნის“ პირველადი ორგანიზაციების რაოდენობა შეადგენდა 495 ერთეულს, ხოლო 1965 წელს — 931, 1970 წლისათვის მათი რაოდენობა გაიზარდა 2480-მდე.²

ასევე საინტერესო სურათს იძლევა საზოგადოება „ცოდნის“ პირველადი ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ჩატარებული ლექციების დინამიკა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მათ მიერ ჩატარებული ლექციების რაოდენობა შეადგენდა: 1958 წელს 16.250-ს, 1961 წელს — 38.050-ს 1963 წელს — 52.600-ს, 1965 წელს 65.710, ხოლო 1970 წელს — 105.262.³

ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ შესაძლებელია განმტკიცება საზოგადოება „ცოდნის“ და მისი პირველადი ორგანიზაციები, გაიზარდა წევრთა რაოდენობა და ლექციების ხარისხი, გაფართოვდა „ცოდნის“ მოქმედების სფერო, მეტი ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, მეცნიერებისა და მოწინავეთა გამოცდილებას პროპაგანდის საკითხებს.

საკითხის შესწავლამ აგრეთვე გვიჩვენა, რომ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთა საშუალებით ნაკლებად იყოთებოდა ლექციები სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებს განვითარების პერსპექტიულ საკითხებზე, შრომის მწარმოებლობის ზრდის ფაქტორების გამოვლენების საშუალებებზე და სხვ. ამასთან საზოგადოების ხაზით ყოველ 1000 სულ მცხოვრებზე წაკითხული ლექციების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირის დონეს.

იდეოლოგიური მუშაობის დარგში XXI რიგგარეშე, XXII და XXIII შორევი ყრილობების მიერ დასახული ამოცანები, რომლებიც უშუალოდ შეეხებოდა პარტიის იდეურ-აღმშენებლობის მუშაობას, მნიშვნელოვნად გაძლიერდა. მამასიადღე, საზოგადოება „ცოდნის“ დიდ როლს ასრულებდა მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში. ეს ამოცანებია: შრომელთა და უწინარეს ყოვლისა, მოზარდი თათბის კომუნისტური შეგნებულობის ამაღლება, მათი აღზრდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პარტიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონათების დაძლევა, ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ და სხვა.

კომუნისმის შეგნებლობის დღევანდელ ეტაპზე სახალხო თათბრება სისტემატრად წარმოშობს შრომელთა კომუნისტური აღზრდის ახალ ფორმებს. სწორედ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის პროცესში წარმოიშვა და ფართოდ გავრცელდა სახალხო უნივერსიტეტები, რომლებშიც შრომელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მონაწილეობდა. სახალხო უნივერსიტეტები გახდნენ პარტიული ორგანიზაციების აქტიური თანაშემწენი შრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების, თეორიული და პოლიტიკური ცოდნის პროპაგანდის საქმეში. ისინი აგრეელებენ შრომელთა შორის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებას — ეწევიან დიდ და სასარგებლო იდეოლოგიურ მუშაობას.

საქართველოში სახალხო უნივერსიტეტების განვითარებას ფართო მასშტაბი განსაკუთრებით თვალსაჩინოა უკანასკნელ პერიოდში. ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი მონაცემები: თუ 1960 წელს რესპუბლიკაში სულ იყო 21 სახალხო უნივერსიტეტი, ხოლო 1964 წელს — 75, 1966 წელს მათი რაოდენობა 163-ს შეადგენდა. 1970 წლისათვის — 261-ს, შესაბამისად გაიზარდა მსმენელთა რაოდენობაც. თუ 1960 წელს სახალხო უნივერსიტეტებში სწავლობდა 3500-მდე

1 საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური ორგანიზაციის მიმდინარე არქივი.

2 იქვე.

3 იქვე.

მსმენელი, 1965 წელს — 10.000,¹ 1970 წელს მსმენელთა რაოდენობამ 19.480 გადაჭარბა.²

სახალხო უნივერსიტეტებში ლექციებზე და სემინარულ მეცადინეობებზე ატარებენ ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი მეცნიერები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

ბევრი სიახლით ხასიათდებოდა თელავის რაიონის სოფელ იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის მუშაობა, რომელსაც კარგი შედეგება მისცა ვახუშტი პარაქლამ³ 1965 წლის 1-ლი ივნისის ნომერში. მართლაც ერთა რამ როდი გააკეთა ამ უნივერსიტეტში სოფ. იყალთოს და მისი მეზობელი სოფლების მშრომელებისათვის. იყალთოს ძველი აკადემიის ნაფუძარზე, სადაც, ხალხური გაღვივებით, გენიალური პოეტი და მახარბოვნი, შოთა რუსთაველი სწავლობდა, ცოდნის ახალი კერა გაჩაღდა, ამ თავისებურ სახალხო სასწავლებელში ჩაირიყვნენ კლმეურნეები და მოსამსახურეები, ახალგაზრდები და უფროსი თაობის იდეალისტები. უნივერსიტეტი რეგულარულად აწყობდა ლექციებს და სემინარულ მეცადინეობებს, აგრეთვე თემატურ და კითხვა-პასუხის საღამოებს, საწარმოო კონფერენციებს, დისპუტებს, სახალხო დღესასწაულებს და სხვა.

იყალთოელი კლმეურნეები პრაქტიკულად იყენებენ უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას, მეცნიერების უახლეს მიღწევებს. სახალხო უნივერსიტეტი ბევრი წამოწყების თაოსანია. მგავლათად მან ითავა სასოფლო მეურნეობის, გამოფენების მოწყობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოფლის კეთილმოწყობის და სხვა.⁴

ზეტაფლონის რაიონის სასოფლო-სამეურნეო ცოდნის უნივერსიტეტი, ძირითადად, საქარის მეცნაბეობისა და მეღვინეობის საცდელი სადგურის ბაზაზე შეიქმნა, სადაც ცოდნის დონეს იმაღლებდნენ რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. უნივერსიტეტთან შექმნილი იყო სამეცნიერო საბჭო 23 კაცის რაოდენობით, რომელთაგან 21 მეცნიერებათა კანდიდატი იყო.⁴

ოქაშირის რაიონის სოფ. კვიციანი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მიწურიული ცოდნის გამავრცელებელი უნივერსიტეტი, რომლის მეცადინეობის უშუალოდ ხელმძღვანელებდნენ სოფლის მეურნეობის გამოჩენილი მეცნიერები:

აკადემიკოსი ქ. ბაბუაძე, პროფესორი ა. ენსილევი, მეცნიერებათა კანდიდატი ი. თაბერაძე, მიტროფანოვი, ტ. ქუჩულოია და სხვები. უნივერსიტეტი ფართოდ იყენებდა მოწინავე მეურნეობებში პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების მეთოდს, მსმენელთა წინაშე გამოდიოდნენ მარცვლეულის, ბოსტნეულის, ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების გზებისა და საშუალებების კონკრეტულ საკითხებზე.¹

მოწინავე სახალხო უნივერსიტეტები პრაქტიკულ-იდეოლოგიური მუშაობის საერთო სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლია. სახალხო უნივერსიტეტები კარგი საშუალებაა მშრომელთა შორის მარქსისტულ-ლენინური მოაზრების, მარქსისტული მსოფლმხედველობის გასავრცელებლად, კომუნისტური იდეების სულისკვეთებით მშრომელთა აღსაზრდელად.

საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობა ყოველთვის იყო პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრული კომიტეტი, საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციები სწავლობდნენ საზოგადოების მუშაობას და სხვაგვარად ღონისძიებებს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

1964 და 1965 წლებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის მუშაობის საკითხი და დასაბა ღონისძიებები საზოგადოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ქ. მარქსი და ენგელსი კაპიტალიზმის წინააღმდეგ წარბატებით ბრძოლის უზრუნველყოფისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იდეოლოგიურ მუშაობას, აგრეთვე კ. მარქსი ფ. ბოლტესადმი გაჯავნილ წერილში 1871 წელს მიუთითებდა აგრეთვე, როგორც უმნიშვნელოვანეს საშუალებაზე, იმაზე, რომ მუდმივი აგრესიის საშუალებით კომუნისტებმა უნდა მოამზადონ მუშათა კლასი გაბატონებული კლასების პოლიტიკური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.² იდეოლოგიურ მუშაობასა და აგრეთვე კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გამოთქმები, პირველად ყოველმხრივ განავითარა და პრაქტიკაში გამოიყენა ვ. ი. ლენინმა.

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი შეუშავარ საავტორო მუშაობას ეწეოდა მეშუბს შორის მან დაამუშავა საავტორო მუშაობის მწყობრი სისტემა პარტიის ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე. განსაზღვრა აგრესიის შინაარსი, ზრუნავდა მისი ფორმებისა და მეოთხედის სრულყოფისათვის. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მიუ-

¹ ეურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1966, № 7, გვ. 78.

² საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბრძანებრივად და აგრესიის განყოფილების მიმდინარე არქივი.

³ ეურნალ „საქართველოს კომუნისტი“, 1965, № 7, გვ. 80.

⁴ ი. Черкезишвили, Работа партийной организации Грузии в области партийной пропаганды, Тб., 1963, стр. 162.

¹ იქვე, გვ. 188.
² კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 295.

თითებდა აგიტაციის სულ მუდამ მზარდ როლსა და განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, „...ყოველთვის სავალდებულო აგიტაციისა და პროპაგანდის შესახებ“¹.

კომუნისტის ვაშლილი მშენებლობის პერიოდში მთელ რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ათეული ათასობით აგიტატორი ჩაბმული იყო სააგიტაციო მუშაობაში. ისინი საფუძვლიანად განუმარტავდნენ მშრომლებს, პარტიის პოლიტიკას, ურთილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რასწავდნენ მათ გადაწყვეტილებათა განუხრელი შესრულებისათვის ბრძოლაში. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში 1958 წელს მუშაობდა 58.140 აგიტატორი, 1960 წელს — 63.404, 1962 წელს — 75.806,2 1965 წელს „ 78.000, ხოლო 1970 წელს აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა რაოდენობამ 80 ათასს გადააჭარბა... თუ ამ ციფრებზე მონაცემებს დავმატებთ იმ აგიტატორებს რომლებსაც გამოყოფდნენ კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკურ მომხსენებლების, აგიტირივადების, მხატვრული თვითშემოქმედების და სხვა კოლექტივების სახით, მაშინ გასაგებია იქნება, რომ რესპუბლიკაში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა ასეული ათასობით ადამიანი.

რესპუბლიკაში სისტემატურ სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწეოდნენ მუდმივმოქმედი აგიტუნტები, რომლებიც მუშაობდნენ რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებში, რაიონებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში. მაგალითად, 1961 წელს 3000 აგიტუნტებიდან 6504 მუდმივად მოქმედებდა.

სააგიტაციო-პოლიტიკური მუშაობა უფრო მასობრივი და ყოვლისმომცველი გახდა, როდესაც 1959 წელს გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლონჯეის ოქტის მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისა და მისი გაუმჯობესების შესახებ“. ამ დადგენილების შემდეგ საქარტკელს პარტიულმა ორგანიზაციებმა არსებითად გარდაქმნეს სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. 1959 წლის ბოლოს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობა.

მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინაში, ბელორუსიაში, საქართველოში, უზბეკეთში, რსფსრ

ოლქებში (სევერდლოვსკი, სარატოვი, ულანოვი და სხვ.) და აღინშნა, რომ ამ პარტიულ ორგანიზაციებს დიდი მუშაობა მჭირდათ ჩატარებულ. შემოწმების შედეგად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილება: „პარტიული პროპაგანდის ამოცანებში თანამედროვე პირობებში“ (9 იანვარი 1960 წ.). ამასთან ერთად 1963 წლის ივლისში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა საკითხი „იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები“. ამ დადგენილებებმა განსაზღვრა იდეოლოგიური მუშაობა შემდგომ წლებში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი მნიშვნელოვან ღონისძიებებს სახედა სააგიტაციო მასობრივი პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის. 1960 წლის მარტში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „თიანეთის რაიონში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და მისი გაუმჯობესების შესახებ“. ხაზგასმით აღინშნა, რომ რაიონში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სუსტად იყო ვაშლილი. პარტიულმა ორგანიზაციებმა ვერ უზრუნველვეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გამოქვეყნებას. მათგან სკკპ მშრომელთა მობილიზება მოსავალიანობის ზრდაში, ვერ იყენებდნენ არსებულ ტექნიკას, და ა. შ. ამასთან ერთად არ იმცეოდა ყურადღება მოწინაეუთა შრომის შეთხდების დაწერვას და სხვ. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასახულია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების გზები და საშუალებები. ეს დადგენილება შემდგომ პერიოდში საფუძვლად დაედო სააგიტაციო და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მთელ რესპუბლიკაში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები მასებში სააგიტაციო და მთელი მასობრივ პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის საქმეში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცივდნენ ზეპირ აგიტაციას, თვალსაჩინო აგიტაციას, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მოსახლეობის ადგილსამყოფელის მიხედვით, მშრომელთა კრებებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, ლექციურ პროპაგანდასა და პოლიტიკურ მოხსენებებს, სამეცნიერო ათვისებურ პროპაგანდას და სხვა ფორმებსა და მეთოდებს.

კომუნისტის მშენებლობის წლებში პარტიის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებში დონისძიებებმა — სოციალისტური დემოკრატიის შემდგომმა განვითარებამ, სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნამ ტერიტორიული პრიციპით დაგეგმვის საქმის მოწესრიგებაში გა-

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 11, გვ. 345.

² К. Челидзе, Массово-политическая работа партийных организаций Грузии, 1964, გვ. 20.

³ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდასა და აგიტაციის მმდინარე არქივი.

⁴ იქვე, გვ. 21.

¹ О задачах партийной пропаганды в современных условиях, постановление ЦК КПСС, М., 1960, стр. 6.

ტარებულმა ღონისძიებებმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშობის სტილისა და მეთოდის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სწრაფ ზრდას, ხალხმა მიტრიალურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მასების შემოქმედებითი აქტივობის ზრდას.

სკვპ ყრილობებისა და პლენუმების გადაწყვეტილებათა პრობანდში, მასებზე პარტიის იდეური გავლენის გაღრმავებასა და ვაჭარობებაში, პრაქტიკული ამოცანების განხორციელებისათვის მშრომელთა დარაზმვაში დიდმნიშვნელოვანი როლი გვეთვინოდა ჩვენს პრესას.

საბჭოთა პრესა შთაგონებული სიტყვით აღაფრთოვანებს ჩვენი ქვეყნის მეშვებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს, ინტელიგენციას, ყველა საბჭოთა დამიანს დიდი საქმეებისათვის საშობლოს სადიდებლად. პრესა მარტო იდეური შემოქმედების იარაღი როდია, მასების ორგანიზაციისა და დარაზმვის საშუალებაც არის. სიმარტოდ, მაღალი იდეურობა და პრინციპულობა, უაღრესი პარტიულობა, მკიდრო ვაჭირი ხალხთან დამახასიათებელი ნიშნებია ჩვენი პრესისათვის და ეს ნიშნები დღევანდელ საფუძვლად მისაღმი ფართო მასების სიყვარულსა და ნდობას. შეიძლება გადაუპარებლად ითქვას, რომ არ მოაზრებია საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისეთი სფერო, სადაც პრესათვის დადებით ზეგავლენას არ ახდენდეს. საქართველოს მშრომელთა მიერ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებულ დიდ წარმატებებში მნიშვნელოვანი წილილი აქვთ შეტანილი რესპუბლიკის ეფრნალისტთა ირმობას, რესპუბლიკურ, სოცლურ, საქალკო, რაიონულ, მრავალტარტიან გაზეთებსა და ეფრნალებს, რადიოსა და ტელევიზიას.

1968 წელს საქართველოში გამოდიოდა 145 გაზეთი და 95 ეფრნალი, ქართულ, რუსულ, აჭერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ და აფხაზურ ენებზე. აღნიშნული ციფრები თუ რაოდენ დიდია, ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები: მაგალითად, 1922 წელს ქართულად გამოდიოდა 30 გაზეთი, 1940 წელს — 621.

მშრომელთა იდეოლოგიურ მომზადებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია: თეორიული და პოლიტიკური ეფრნალი „საქართველოს კომუნისტები“, ლიტერატურულ-მხატვრული ეფრნალეები — „მნათობი“, „ლიტერატურნია გრუზია“, „ცისკარი“, ილუსტრირებული ეფრნალი „დროშია“, მეცნიერულ-პოპულარული „მეცნიერება და ტექნიკა“, „საქართველოს ქალი“ და სხვა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ადგილობრივი პარტიუ-

ლი ორგანოები ღრმად სწვდებოდნენ ეფრნალეებისა და გაზეთების საქმიანობას, სისტემატრად განიხილავდნენ მათს მუშაობას. შეიძლება პარტიულად მივეთვინოთ, რომ პრესის მუშაკთა დიდი შემოქმედებითი საქმიანობა პრესისადმი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგია. პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის სწორად წარმართავდნენ პრესის ორგანიზების ყურადღებას ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრისათვის, რამხადდნენ ეფრნალისტთა კადრებს პრესის საქმიანობის სრულყოფა-გაუმჯობესებისათვის.

პრესა ყოველთვის დიდ ადგილს უთმობდა რესპუბლიკის სოფლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შემოქმედებითი საქმიანობის ყველა მხარეს. მაგალითად, გაზეთები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდნენ უოველმზრივი დახმარება აღმოეჩინათ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთათვის სოციალისტური შევიზბებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებაში. გაზეთებში „კომუნისტი“, „ხარია ვოსტოკი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სოფლის ცხოვრება“, „საოლქო და რაიონული გაზეთები დროულად აქვეყნებდნენ მასალებს საწარმოო სამართველობის, რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სოფლად მომუშავე მოწინავეების, ნოვატორების მიერ სოციალისტურ შევიზბებაში მოპოვებულ მიღწევების შესახებ. პრესა ყოველმხრივ ცდილობდა მოწინავეთა გამოცდილება წარმოებაში დავგვიანებლად დაწინადაცოთ, ფართოდ აშუქებდა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის მეშობის ახალ-ახალი ფორმებისა და საშუალებების დასაწერავად. მაგალითად, 1960 წელს, ვ. ი. შვიდწუდედს მეორე წელს, როდესაც სოციალისტურმა შევიზბებამ ირნახული ხასიათი მიიღო, გაზეთ „კომუნისტის“ 5 იანვრის ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით: „ჩით დიწყუთ თქვენ 1960 წელი“. ამ სტატიაში დაწერილებით იყო მოცემული ვრცელი ინფორმაცია სხვადასხვა რაიონებიდან, რომელიც გავმცნობს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდ საქმიანობას. ამავე გაზეთში მთელი მეორე გვერდი მოცემულია რუბრიკით: „სკვპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები მოქმედებაში“. გაზეთის 6 იანვრის ნომერი გადმოგვცემს თეთრი წყაროს რაიონელთა პარტიოტულ თაოსნობას სათაურით: „ვიანგარიშით, შეიძლება ხორცისა და რძის წარმოების სამეჭრ გადიდება“. ამავე ნომერში გადმოცემულია სინტერესო მასალა რესპუბლიკის ახალგაზრდობის კარგი თაოსნობის შესახებ.

1 Советская Грузия по ленинскому пути, Стат. сб., изд. «Статистика», 1970, стр. 160.

1 გაზეთ „კომუნისტი“. 1960, 5 იანვარი.

გაზეთები ყოველთვის იჭვეწებდნენ სამეურნეო წილის ნახევრისა და მთელი წლის შედეგებს, მიუთითებდნენ წარმატებებზე და, ასევე, ახალისს უკეთებდნენ მოღვაწეობის სხვადასხვა უბნებზე არსებულ ნაკლოვანებებს. გაზეთები დიდ ადგილს უთმობდნენ ცალკეულ ნოვატორთა საქმიანობას.

განსაკუთრებით დიდი პრესის როლი სოციალისტური შექიბების ახალი უმალესი ფორმის — მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის — ჩასახვისა და განვითარების საქმეში.

რადიონული გაზეთები, რესპუბლიკურთან ერთად, უმალესად დიდ აქტივობას იჩენდნენ სოციალისტური შექიბების შესახებ მასალების გაშუქებაში. სოციალისტური შექიბების, როგორც კოლმეურნეთა მძლავრი მოძრაობის, გაშუქებაში. მაგალითად, გურჯაანის რაიონულ გაზეთის „საკოლმეურნეო შრომის“, ახალციხის რაიონული გაზეთის „წითელი დროის“, თეთრი წყაროს რაიონული გაზეთის „საკოლმეურნეო გზათ“, აჭყეტის რაიონული გაზეთის „გამაჩყვების“ და სხვა რაიონული გაზეთების ფურცლებზე ფართოდ შუქდებოდა სოციალისტური შექიბების ამსახველი სტატები.

რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთები არ იჭვეწებდნენ საქართველოს სოფლის სპეციფიკურ თავისებურებებს და ფართოდ აშუქებდნენ ჩაის, ჯენიხის, ციტრუსების, თამბაქოს და სხვა კულტურების დამუშავების საკითხებს. ჩვენი რესპუბლიკის პრესა, რომელიც განავრცობს ზოლმეურნეო პრესის დიდებულ ტრადიციებს, თავის საქმიანობაში არ ივიწყებს სოფლის ცხოვრების არცერთ მხარეს. ამდენად, იგი ხალხთა იდეოლოგიური საქმიანობის ფართო გზაზე დგას და უველა პირობას ქმნის კომუნისტური სფეროებისადმი აღმართული ჩამოყალიბებისათვის.

კომუნისტური ამოცანებისა და, საერთოდ, საბჭოთა ადამიანის კულტურული მოთხოვნების ზრდასთან ერთად იზრდება ბიბლიოთეკების როლი. ბიბლიოთეკა მართო ის დაწესებულება როდია, რომელიც იძლევა ლიტერატურას, ბიბლიოთეკა უმირველესად ყოველისა, აქტიური პროპაგანდისტული მუშაობის ცენტრია.

საქართველოში 1965 წელს მუშაობდა 3022 მასობრივი ბიბლიოთეკა, მათში წიგნების რაოდენობა განისაზღვრებოდა 18.177 ათასი ეგზემპლარით. 1968 წელს მასობრივ ბიბლიოთეკათა რაოდენობა 3285-მდე გაიზარდა და მათში წიგნებისა და ექრნალების რაოდენობამ მიაღწია 20.023 ათას ეგზემპლარს. აქედან სოფლად მუშაობდა 2733 ბიბლიოთეკა, 10252 ათასი ეგზემპლარი წიგნითა და ექრნალით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 1961 წლიდან რესპუბლიკაში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა და ნაყო-

ფერად მუშაობს რამდენიმე ათეული ბიბლიოთეკა.

იდეოლოგიური მუშაობის კარგად მოწყობაში, ახალი ადამიანის აღზრდაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველმხრივ განვითარებას. ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაობები ზეგავლენას ახდენენ ადამიანის განებასა და გრძნობებზე, ხელს უწყობენ კომუნისტური შეგნებულობის აღზრდას, იდეების გადაქცევას პირად რწმენად. შფერლები, მხატვრები, თეატრისა და კინოს მოღვაწენი თავიანთი ნაწარმოებებით აღუჭარავენ ხალხს მალად მოქალაქეობრივ გრძნობებს, ცხოვრებაში აქვიდრებენ კომუნისტურ პირობებს. ამიტომ არის, რომ კომუნისტური ბარტია მხარს უჭერს ყოველივე ქვეყნისადმი მნიშვნელოვანს, რაც ასახავს ხელოვნის მისწრაფებას გააშუქოს და შეაჯიო სახეებით წარმოსახოს კომუნისტური შეგნებულობის ეპოქის გრანდიოზული საგმირო საქმეები. ამასთან ერთად პარტია იბრძოდა და კვლავაც უკომპრომისოდ იბრძვის ყოველგვარი იდეური მერყეობის, იდეოლოგიათა მშვიდობიანი თანარსებობის ქადაგების წინააღმდეგ მხატვრულ შემოქმედებაში, ფორმალისტური ორნამენტის, უფერულობის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელოვნების — სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობისათვის.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის გაუქმებისას. ამჟამად, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებით ფართო პროპაგანდისტული მუშაობა გაშალეს სოფლად სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. პარტიული განათლების ყველა ფორმის მიხედვით ისწავლება სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული დოკუმენტები, პარტიის პროგრამის ცალკეული საკითხები, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომები.

სკკპ XXIV ყრილობაზე დ. ი. ბრეჯნევიმა განაცხადა, რომ „უახლესი დროში პარტიის პროპაგანდისტული და საავტორიტო-მასობრივ მუშაობაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს მშრომელთათვის ჩვენი ყრილობის გადაწყვეტილებათა შინაარსისა და მნიშვნელობის საფუძვლიანმა განმტკიცებამ“. ეს მითითება უდევს საფუძვლად მთელ იდეოლოგიურ მუშაობას ჩვენი რესპუბლიკაში.

¹ Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской Социалистической революции, 439, «Статистика», 1967, стр. 243; Советская Грузия по ленинскому пути, Стат. сб., 1970, стр. 159; საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე არქივი.

ქართული საბჭოთა რომანის სასაყვეაჩთან

პირველი ქართული საბჭოთა რომანი, რომელიც 1924 წელს ეურნალ „მნათობის“ პირველ ნომერებში დაისტამბა, 28 წლის დემნა შენგელაიას „სანაევარდო“¹ იყო. რომანი იწერებოდა ქართული ცხოვრების მეტად რთულ და იმავე დროს საინტერესო წლებში. ავტორი მოწმე იყო პირველი მსოფლიო ომის, თებერელისა და ოქტომბრის რევოლუციების, შვერლის ინტელექტუალური და ესთეტიკური მომწიფება ხდებოდა მუწევეტრი საქართველოს, ემიგრაციისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლებში.

რომანი „სანაევარდო“ არ იყო შვერლის სადებიტო ნაწარმოები. მისი ლიტერატურული დებიტები შედგა „სანაევარდოს“ გამოქვეყნებამდე ცხრა წლით ადრე.

1915 წელს გაზეთ „თეში“ (№ 11) დაიბეჭდა გამზახიელ დემნა შენგელაიას პირველი მოთხრობა „ნირვიანა“, რომელსაც იმავე წლის გაზეთის ნომერში გამოეხმართა რეცენზენტი გ. ახალციხელი. რეცენზენტი აღნიშნავდა ჰაბუეი ავტორის ნიჭიერებას და გზას უღოცავდა მას შვერლობაში.

პირველი წარმატებით ფრთაშესხმული ახალგაზრდა ავტორი განახტობს ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას.

იმავე წელს იგი აქვეყნებს მოთხრობებს „ნეერასტენია“ („განცდანი“), „ბრმა შერონგურე“ (გაზეთი „თეში“ 1915, №№ 23, 218, 219), ლექსებს „ღამე“, „ათობი ღამე“ (გაზეთი „ალიონა“ 1917 წ.) მოთხრობებს „დედოფალი შიან“ (ეურნალი „ზომალდი“ 1921 წ. № 1), „წაწყმედილი ბერი“ (ეურნალი „ზომალდი“ 1922, № 3), დრამას „ღამაციერი ღამე“ (ეურნალი „ზომალდი“, 1922, № № 4, 5).

1. რომანის პირველი ვარიანტის ქვესათური იყო „ღიღი უგურე“.

ეურნალ „ციხარტყელის“ 1920-21 წლების ნომერებში დასტამბული ვრცელი მოთხრობა „ანდრო სავანელი“, ზეევი აზრით, ერთგვარი მსახლერელია დემნა შენგელაიას მთელი ადრინდელი შემოქმედებისა: მოთხრობა გამსჭვალულია ავადმუოფერი განწყობილებებით, ფსიქოპათოლოგიათა და ანომალიებით.

ნაწარმოებს საფუძელად უღევს საკმაოდ ტრივიალური ისტორია: ცნობილი შვერალი ანდრო სავანელი და მისი უმწვენიერესი მეუღლე ლილი; სრული ოჯახური იდილია; ოცნება შვილები. დაბოლოს, მახინჯი არასრულფასოვანი ბარდღა, რომლის ამ ქვეყნად მოსვლამ ნაადრევად დაასწულა და სიცოცხლე მოუსწრაფა დედას, ხოლო მამას, ცნობილ შვერალ ანდრო სავანელს შთაგონების წყარო მოუსპო და გაბუთის ფელტონისტთა ოხუნჯობის საგანი გახადა. მაგრამ არც ეს აკმარა ღმერთმა, ბარდღამ მასავით მახინჯ ვიდაც ასორის ხელშეწყობით ნავთი გადაასხა მძინარე მამას და... ცეცხლი წაუეცა.

ასეთია მოკლე სტემა ამ ვრცელი მოთხრობისა, რომლის წაკითხვის შემდეგ მკითხველისათვის ბუნდოვანი რჩება იდეა და პათოსი ნაწარმოებისა.

„სანაევარდომდე“ შექმნილ ნაწარმოებებში შვერალი, მართალია, უკვე საკმაოდ ოსტატურად ფლობდა ფრზას, ჰქონდა გარკვეული მხატვრული მიგნებები, მაგრამ შვერლის თვალთახედა მოკლებული იყო რაიმე გარკვეულ სოციალურ მიზანდასახულობას, მის მხატვრულ პალიტრაში პრევილირებდა ირაციონალიზმის ელემენტი. და რაც ყველაზე არსებითად მიგვაჩინია, ცხოვრებასეული მოგონებებისა და ფაქტების ასახვისას ახალგაზრდა შვერალს ვერ კიდევ არ გააჩნდა მთლიანი მხატვრული კონცეფცია.

ყოველივე ეს — ბუნდოვანი მხატვრულ შემოქმედება, არსებობისაგან დეფინიზირი დაი-

ლება, მეორეხარისხოვან მოვლენებსა და საე-
ნებზე ყურადღების ზედმეტად აქცენტირება და
ირეალური პლანის პრინციპი. — ჩვენი აზრით,
განრიგობებული იყო ახალგაზრდა ავტორის
ფორმალისტური ხელოვნებით ვადაცებით. უნ-
და აქვე აღვნიშნოთ, რომ შემდგომში გამოცე-
მულ კრებულსა თუ წიგნში მწერალს აღარ შე-
უტანია „სანავარდომდე“ დაწერილი არც ერთი
ნაწარმოება.

როგორც კრიტიკოსი ბ. ელენტი წერს: „დღმნა
შენგელაიას შემოქმედებითი ბიოგრაფიის ნამდ-
ვიდ დასაწყისს რომანი „სანავარდომ“ წარმოად-
გენს. მანამდე დაწერილი მისი ნოველები და
მინიატურები მხოლოდ ლიტერატურული
წევრების, დიდი შემოქმედებისათვის საშინაოს
თეატრალური ხუნდა იქნან შეფასებული“, და
ამავე დროს „სანავარდომ“ იყო ერთი პირველი
რომანოვანი ქართულ საბჭოთა ლიტერატურა-
ში, ერთ-ერთი პირველი სივანული მხატვრული
პროზისა და კერძოდ რომანის ენის აღრიძი-
ნებისა ჩვენს თანამედროვე მწერლობაში“¹.

„სანავარდომ“ საფუძვლად უდგეს ქართული
ფეოდალური არისტოკრატის, კერძოდ, ფეო-
დალ ჭილაძეთა ოჯახის სრული გადაგვარებისა
და დაცემის თემა.

რომანის ეს თემა, როგორც ზემოთ აღვნიშ-
ნეთ, ვაკცეველი აზრით ტრადიციულია, იგი
ამოხრბობდა ქართული ლიტერატურის ახლო
წარსულზე და მას ქართული მწერლობა ამა თუ
იმ სახით თითქმის მთელი შეცხრამეტე საუკუ-
ნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასა-
წყისში ამუშავებდა.

დღმნა შენგელია ამ თემას თვისობრივად ახა-
ლი კუთხით ამუშავებს. მხატვრული პირობითობა,
იდეოლოგიულობა, მითოლოგიურ-ფოლკლორული
პლანი. „სანავარდომში“ ორგანულად ერწყმებიან
ერთმანეთს და არა თუ აბლვევენ რეა-
ლისტური ხელოვნების საზღვრებს (როგორც
ერთ დროს ამას ზოგიერთი კრიტიკოსი სა-
ყვედურობდა ავტორს), არამედ ნოვატორუ-
ლად აღრმავებენ მას. რომანის მოთვარი სო-
ციალური თემის პარალელურად ორგანულად
განფენილი ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური
მოტივები მხატვრულად შთამბეჭდავ სურათს
ჭკმინად ფეოდალ ჭილაძეთა ტრაგიკული ბედის
წარმოსახვისას.

ნაწარმოების შესავალ ნაწილში ავტორი, მარ-
თალია, ძენწად, მაგრამ ზუსტი შტრიხებით
გეაცნობს ფეოდალ ჭილაძეთა გეარტომის პრე-
ისტორიას: „მისი (ფარამან ჭილაძის, დ. გ.) გეა-
რი გრგვინავდა წარსულში. გეარის შემატიანე
დაშვრა ჭილაძეთა გმირული წარსულის ილწუ-
რით. ეს გეარი ფლობდა დიდებულ ჭყონდიდ-

ლთა კვერთხს და ზვიადად ვანავებდა სანავარ-
დოს, საკილაოს, მარანს, ორპისს, შტრისი-
ბანს“¹.

მაგრამ როგორი იყო ამ დროს ჭილაძეების
ურთიერთობა გლეხობასთან? ჭილაძეები იყვნენ
ისინი თავიანთი ყმებისა და ნაყმეების მიმართ,
თუ უწყალონი? ამის შესახებ ავტორი არა-
ფერს ვეუბნება, ჩრდილში ტოვებს. მას ეს, თი-
ტომს არც აინტერესებს. არ აინტერესებს იმი-
ტომ, რომ მწერლის ამოცანა ამ შემთხვევაში
უფრო ფართოა, ვიდრე ამა თუ იმ გეარის ან ამა
თუ იმ ინდივიდის პირადი ხასიათის თავისებუ-
რების საკითხი. თუ რამდენად ვანავებებუ-
ლად არის რომანში მოცემული თავდასწავრობა-
ბისა და გლეხობის არსებობად სოციალური კონ-
ფლიქტა, ეს ჩანს შემდეგი პარალელისტული
შტრიხიდან: გონდო, ჭილაძეთა უცანასკნელი ნა-
შეიკი, თავისი მრწამსითა და შეხედულებებით
რევოლუციონერია. მის სახლში დადის „საეუ-
გო“ ხალხი — მისი უნივერსიტეტული ნაცნობე-
ბი: „ერთ დღეს მან (ბონდომ, დ. გ.) ელაყ სა-
ეუგო ხალხს მოიყვანა ორბიჩიდან: რუსეთიდან
ჩამოსულიყვნენ. ერთი ჭაყელი იყო, ვადაგეა-
რებული, ქართულს ძლივს ახერხებდა, მეორე —
ებრაელი და მესამე — პოლონელი. ისტდენ ოსა-
ნი ბონდოსთან ჩაეტელო ოთახში და მთელი დი-
შე რაღაღას დაეობდენ“.

ყარამანს არ მოეწონა ეს ხალხი. მას არ ეს-
მოლა რუსული, მაგრამ ცოტა მიანც ვაიგო.

ის მიხედა, რომ ამ ხალხს რუსულიწილის
მოკვლა ჰქონდა ვადამეტილი“ (1. 107).

ბონდო ჭილაძე, ცხადია, თანგატანობით ეცი-
ლებდა მათ ვეგმებს და მათში ასე თუ ისე მონა-
წილეთას იღებს. ისმის კითხვა „არა ტომი?“ ამის
პასუხი რომანში, მართალია, ლოგიკური სისტე-
მით არაა მოცემული, მაგრამ საკმაოდ შეათო-
დაა მინიშნებული. მან იცის, რომ მეთის მოკ-
ლა სასარგებლოა მისი სამშობლოსათვისაც და,
ალბათ, კაცობრიობისათვისაც, ვარდა ამისა, პე-
რადიდ მისთვის, ბედისა და ბუნებისაგან, უდა-
ვოდ, დაჭარტული ადამიანისათვის არსებულა
სინამდვილე იმ სახით, როგორათაც ის არის,
მიუღებელია. ბონდომ მასში თავისი ადვილი
ეერ ნახა. აქედან გამოშინანარე — მისი დამოკ-
ლებულება ამ სინამდვილისადმი რევოლუციონ-
ერია, მას მისი ადგილბა, ვადავეობა, ვარდაქ-
მნა, მასში კალაციის შეცვლა ჰსურს. ამიტომაც
ის, არსებითად, თავისი ფეოდალური ინტერესე-
ბის წინააღმდეგ მიდის, რითაც მამას თახარს
სციქმს: „იცი, მამაჩემო, შე მინდოდა ქვეყნის
დახხნა, ამისათვის საჭირო იყო რუსებლმწიფამ
მოკვლა. მაგრამ შემეშინდა“.

¹ დ. შენგელია ი. თხზულებანი. ტ. 2, თბ.,
1960 წ., გვ. 656 (იხ. ტომის ბოლოს დართული
ბ. ელენტის ნარკვევი „დღმნა შენგელია“).

¹ დღმნა შენგელია ი. თხზულებანი ოთხ
ტომად; ტ. 1, გვ. 7. „სანავარდომ“ ციტირება
ამ წიგნში ყველგან აღნიშნული გამოცემის
(1968 წ.) მიხედვით წარმოებს. ავტ.

— რას ამბობ, შეილო! — დაიძახა შეწინებულმა ყარაშინმა. მგერამა ბუნებრივია, რომ ბონდოს ეს გატაცება არაფერი, არამდგრადია. — „ნუ გეშინია, შამაჩემო, დაშვიდდი! მე საკმაოდ მხალა აღმოჩენიდი, რომ ეგ ჩამედინა... მეშინოდა ღმერთის, შეშინოდა ჩემს თავის და, რა ვიცი, კიდევ რისი მეშინოდა!.. ვერ გავხედე“ (1, 62).

ამიტომაც თავისი საეკვო ამხანაგების წასვლის შემდეგ ბონდო სწევს მათ მიერ დატოვებულ არაუღალურ ლიტერატურას, რითაც, თითქოს სიმბოლურად, მათთან კავშირის სწყვეტს. რატომ სჩადის ბონდო ამას? იმიტომ განა, რომ მას თავისი კლასობრივი ინტერესები გაახსენდა? ან განაძრევის რწმენა ქაონდა და დაყარა? ან თავისი თანამოაზრეებისადმი რწმენა გაუნელდა? არა, ამისი მიზეზი უფრო ღრმაა და უფრო ფსიქოლოგიურია. ამაშია წანს, სხვათა შორის, რომანის სოციალური პლანის გადაჭკვეულობა ფსიქოლოგიურთან. ბონდომ იმიტომ უარყო რევოლუციური ტერორისტებთან კავშირი, რომ მას რევოლუციონერისათვის საჭირო მარტოვანი პიროვნის, აქვია ტემპერამენტო, სასიცოცხლო ენერჯია, რომელსაც ეს საქმე მოითხოვს და არა ამ საქმის სამართლიანობის ან მისი პერსპექტივობის განუყენებელი თეორიული რწმენა. „ამ საქმისათვის საჭიროა სხვა ხალხი!.. ახლა სხვები მოგლეჩ ჩვენ ადგილას, დაზიდულ მარტლებთან და ახალ სისხლი“ (1, 62). სწორედ ამ „ახალ ხალხში“ მძლავრად არის მოცემული ცხოვრების ის საწყისი, რომელიც ბონდოსთვის უცხო და მიუწყდომელი დაჩაბა — სასიცოცხლო ძალი, ნდობა და ნება ძალაუფლებისადმი, თავისი თავისი დამტკიცებისადმი, საქმისადმი, აქტიუობისადმი.

სოციალური თემის დამუშავების ამ თავისებურებით — მისი მკიდრო გადაჭკვეულობით ფსიქოლოგიური თემისთან, აგრეთვე თავდაზნაურობის დაცემის წარმოდგენით, როგორც, პირველ ყოვლისა, ფსიქიკური დაცემისა, როგორც სასიცოცხლო ენერჯის შინაგანი გამოფიტვისა დიდ ხნის განმავლობაში უმოქმედობის შედეგად — დგმნა შენგელობა სცილდება ქართული ლიტერატურის იმ ტრადიციას, რომელიც შეცხნამეტ საუკუნიდან მოდის და იგი, ვარკვეული აზრით, ამ თემის იმ ერთ-ერთი ახლებური დამუშავების პიონერად იქცევა, რომელიც ქართული პროზის საბჭოთა პერიოდში პოულობს ასახვას.

„კაცია-ადამიანი“ თავდაზნაურობის ვალდაცხება ახსნილია როგორც უბრალო უმოქმედობა, უსაქმობა, ლობა, კუქის მონად ქცევა ეს ისტორიულად ზუსტი დახასიათება მშინდელი თავდაზნაურობის ბედისა საშუალებას აძლევს ავტორს თავისი საგანი მუმორისტულ ფერებში, ცერმლგარეული სიცილით დახატოს. დ. კლდიაშვილის აზნაურთა დაცემა მწერლის მიერ წარ-

მოდგენილია როგორც დაჯინება უცილდრესი სიღარიბისაგან; როგორც სასაცილო შეუთავსებლობა, ერთი მხრივ, აზნაურის/რანისან-სახელსა და ძველთაგან მუმორისტულ ცხატების მკაცრად, და, მეორეს მხრივ, მცირე მატერიალურ შესაძლებლობებს შორის. „თარაანთ ქერიეში“ პირველადია მინიშნებული თავდაზნაურობის მატერიალური დაქვეითებისა და სოციალური უმოქმედობის ფსიქოლოგიური, შეიძლება თქვას — ბიოლოგიური შედეგი. „ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი — გვირისტიან შევერილნი“ — ამბობს არჩილი თავდაზნაურობის სახელით მუმორული გლუხობის შესახებ.

„სანავარდოში“ ეს ისტორიულად აუცილებელი სოციალური მოვლენა ტრავადის რანგშია აყვანილი. აქ უკვე რბილი მუმორისტული ფერები უაღვილია. აქ ლაპარაკია არა გარეგანი პირობების შეცვლაზე (სიღარიბეზე, როგორც კლდიაშვილთან), არა სასაცილო მდგაბლი ინსტანტების მონაბაზე (როგორც „კაცია-ადამიანი“!), არამედ ბიოლოგიურ ვალდაცხებაზე — სისხლის „აღდალაზე“, რაც ამ წოდების ფიზიკური მოსაზრის სინონიშია.

ეს ხაზი თავდაზნაურობის თემის დამუშავებაში ქართულ ლიტერატურაში „სანავარდოში“ არ ყოფილა. სამაგიეროდ იგი ისე თუ ისე, მტრნაკლები სიმკვეთით გასდევს საბჭოთა პერიოდის პროზის დიდ ნაწილს, რომელიც ამ თემს ეცხება.

„სანავარდოში“ ყველა პლანთა შორის ყველაზე მდიდარია ფსიქოლოგიური პლანი.

რა არის ადამიანი? როგორია მისი პიროვნება ფსიქოლოგიური სტრუქტურა? რა არის მასში წარმმართველი, მისი ყველა სხვა განცდის და მოქმედების საფუძველი? — ეს კითხვა განუშორებლად გასდევს რომანის სიუჟეტის განვითარებას. ეს კითხვა ავტორისათვის, შეიძლება ითქვას, ძირითადი კითხვაა და ფსიქოლოგიური ნიუანსების უდიდესი სიუჟეტი, რომელსაც რომანში უხედებით, სწორედ ამ კითხვის საბასუბოდაა მოწოდებული. რომანის საფუძველი — სოციალური პლანი — როგორც უკვე ითქვა, თავდაზნაურობის დაცემის თემს ემყარება. ეს დაცემა ავტორს გააზრებულად აქვს ძირითადად როგორც ბიოლოგიური დაცემა, რომლისთვისაც სოციალური პირობების შეცვლა მიზეზია მხოლოდ, და რომელიც მარტოდგენ სოციალურა ფაქტებით არ ამოიწურება.

ბიოლოგიური დაცემა, „სისხლის დაღა“ კვ. ავტორის კონცეფციით, ადამიანის ყველაზე მკაფიო და თვალში მოსახვედრი ბიოლოგიური სტრუქტურის — ეროტული სტრუქტურის მოდუნებაში მდგომარეობს. ქილაძეების გვარის ისტორია უკანასკნელი სამი თაობის მანძილზე, ისე როგორც იგი რომანშია წარმოდგენილი, მათი ბიოლოგიური საწყისის, კერძოდ, მათი ამ ეროტული საწყისის ევოლუციის ისტორიაა. შატრამ დ-

დღე შეეცდომა იქნება, რომ ეს ერთიანი სა-
წყობი, რომელსაც ავტორი ასევე ღირსად
დებს უთმობს, აქ მხოლოდ თავისი ამ პირდაპირი
მნიშვნელობით წარმოვიდგინოთ. იგი აქ უფრო
განზოგადებული, ჩვენი აზრით, სიმბოლური
მნიშვნელობით ფიგურირებს. მასში განსახი-
რებელია, სიმბოლიზებულია არა მხოლოდ ადამიანის
ლტოლვა მოპირდაპირე სქესისადმი, კაც-
თა ქალისადმი, არამედ ლტოლვა, როგორც
სვეტი, საერთოდ — ადამიანის სურვილი, ტემპერამენტი,
აქტიუობა ცხოვრების პირისპირ, რომელიც მის ბუნებრივ უნართა, მის ბუნებრივ
დაკავშირებით უადრესად საყურადღებოა ვ. ი. ლენინის შესანიშნავი სტატია „გრაფ ვიდეინის სოვანს“ (1907 წ.). ილიჩმა მთელს საზოგადოებას დაანახა ამ კონტრავოლუციური შემამულის ნამდვილი სახე. ლენინი აღაშფოთა ლიბერალების უბედობამ იმის შესახებ, რომ ვიდეინი განათლებული, კულტურული, პემაწერი, შეწყენარებელი აღმანი იყო: „თქვენი სიტყვები თავისუფლებისა და დემოკრატიის შესახებ, — წერდა ლენინი მათი მიწამართით, — გარეგნულ ბრწყინვალეობა, გაზვიარებული ფრაზებია, მოდური ლაყბობა ან ფარისევლობა. ეს შეფერადებული ახრია. ახსებითად კი თქვენ განგოზილი კუბოები ხართ. თქვენ სულ მთლად ზეპრული სულითა ხართ გაფლენილი“ (ტ. 13, გვ. 51). ლენინი აღაშფოთა ლეგალური, ლიბერალური, „დემოკრატიული“ პრესის ფრაზებმა იმაზე, რომ გრაფი ვიდეინი „განათლებული პირიყენება იყო“. ამასთან დაკავშირებით ილიჩი ნათლად გვიჩვენებს ამ გრაფის ე. წ. „განათლებულობას“. „მისი მიღაპარაყება სტოლიპინთან I სათაბიარის გარეყვის შემდეგ — არსებითად იყო ყველაზე ტლანქი და ბინძური საქმის მოქმარაყება, მოგვარება იმისა, რომ როგორმე უფრო საიმედოდ, უფრო ეშმაყურად, უფრო ოსტატურად, შიგნიდან უფრო მტკიცედ, გარედან უფრო შეუმჩნეველად დაეყვა რუსეთის კეთილშობილი თავადაზნაურობის უფლებებს მალირობით იმ „ტეტირებს“ სისხლსა და ოფლზე, რომელსაც ეს ვიდეინები მუდამ და ვანუწყავებელიც ძარცვავდნენ“ (იქვე, გვ. 54).

ამ აზრის კიდევ უფრო ნათელსაყოფად ვ. ი. ლენინი მიუთითებს: „ყერ კიდევ ნეკრასოვი და სალტკოვი ასწავლიდნენ რუს საზოგადოებას ბატონყობის მორტყვილ შემამულის განათლებულობის შეღამაზებული და მოყაზმული გარეგნობის ქვეშ დაენახა მისი მტაცებლური ინტერესები, ასწავლიდნენ სიმულვილის ასეთი ტიპების ფარისევლობისა და უსულგელობისადმი, ხოლო თანამედროვე რუსი ინტელიგენტი, კადეტური პარტიის წევრი თუ კადეტი დამტკბო, რომელსაც თავი მოაქვს დემოკრატიული მეყვიდრების დამცველად, მონობას ასწავლის ხალხს და აღტაცებულია თავისი, როგორც უპარტიო დემოკრატიის მიუდგომლობით. არანაყლემ სანაყვილი სანახაობა, ვიდრე დუბასოყვა და სტოლიპინის საგმირი საქმეთა სანახაობა...“ (იქვე გვ. 54-55).

აქ ილიჩმა წინა პლანზე წამოსწია ნეკრასოვის პოეზიის დემოკრატიულობისა და პემაწინი, მეზბძოლი ხასიათი. როცა ამ სტრიქონებს წერდა, ვ. ი. ლენინს ნამდველობაში ჰქონდა ნეკრასოვის „დათვებ ნადირობა“, როგორც ამას საშარტლიანად ფიქრობენ რუსი მეყვეარები ჩვენს უურადღებას „მყრობს ვ. ი. ლენინის სტატია „როგორ კლავს ვ. ზასულიჩი ლიკი-

დატობას" (1913 წ. სექტემბერი), რომელიც ვ. ლენინს ხელმოწერით დაბეჭდა. ვ. ი. ლენინის ეს სტატია არის პასუხი ვ. ზასულაინის სტატიის „ერთი საკითხის გამო“, რომელიც დაბეჭდა 1913 წლის 19 ივლისის „ვივია თხზის“ შერვე ნომერში. ვ. ი. ლენინი მკაცრად აკრიტიკებს ვ. ზასულაინს, რომელიც თავის გამოსვლებში ამართლებდა ლევიდატორების პოლიტიკას, ვ. ზასულაინს, რომელიც სუბიექტურად მსჯელობდა საკითხის არსზე; ვ. ი. ლენინი ვ. ზასულაინის სტატიაში შენიშნავს ფაქტურ და ლოგიკურ შეცდომებს, მასში ილიჩი ამბნევს კონტრევოლუციური ლიბერალური უბედურეო აზრების ვადამღერებას ილიჩი ამჟარავებს მუშათა კლასისა და პარტიის შტრების დანის, ლევიციის, ევროის, პორტრესივის, მარტოვისა და სხვათა ნამდვილ სახეს და იქვე მოუთხოვს: „აიღეთ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. ერთ-ერთ უაღრესად თვალსაჩინო ფიგურაა ჩხეიძე, რომელსაც თითქოს წინასწარმეტყველურად პერატდა ნეკრასოვი, როცა წერდა:

...მაგრამ ხანდახან გვერდსაც აუღლი მტყეყეულსა და სამხელო საკითხს“.

სოციალ-დემოკრატიისათვის III სათათბიროს და IV სათათბიროს დასაწყის ეპოქაში ყველაზე მწიფი და მტყეყეული ხანა იყო 1911-1912 წლები. ყალიბდებოდა მუშათა პრესა — ლევიდატორული და ანტილევიდატორული. ჩხეიძემ „ვევრიდა აუარა“. ის არ მიმზრობია არც ერთს და არც მეორეს. ის იყო პარტიის შორიახლო სოციალ-დემოკრატი. ის თითქოს მარკვე დროს უცდიდა და თვალყურს ადევნებდა: ერთი მხრივ, არ არსებობს სხვა პარტია, ვარდა ძველისა; მეორე მხრივ, ერთივე ვნახით, „ისინი“ ამ პარტიას ოდნავ დაასამარებენ...“ (ტ. 19, გვ. 489).

ვ. ი. ლენინი თავის გენიალურ ნაშრომში „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“ (1908 წ.) შესანიშნავად იყენებს ნეკრასოვის სტრიქონებს ლექსიდან „ეინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“. იმ მიზნით, რომ ვეიჩვენოს ლ. ტოლსტოის შემოქმედების გენიალური ხასიათი და ამავე დროს ის წინააღმდეგობა, რაც მასში შეინიშნებოდა, კარგად ვაგვარკვიოს იმდროინდელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა და პოლიტიკურ მდგომარეობაში. ლენინს შოაქვს ნეკრასოვის დიდებულნი, გულში ჩამწელობი უკვდავი სიტყვები:

„ლატაკია ხარ, ბარქაინიცი,
ძლიერია ხარ და უძლეურია,
— დედაც რუსეთი“

(ტ. 15, გვ. 238).

ჩვენი ქვეყნისათვის მეტად მძიმე წლებში.

როცა მტრები წალკევით ემუქრებოდნენ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას, ლენინმა დაწერა პატარა, მაგრამ ღრმამინაარსიანი-წყვეტილი, რეული დროის შოაგარი ამოცანა (1918 წელი), რომელსაც ეპიგრაფად უძღვის ნეკრასოვის ზემოთ მოყვანილი სიტყვები (ტ. 27, გვ. 174), ხოლო სტატიაში „იღვე ერთი ლაშქრობა დემოკრატიის წინააღმდეგ“ (1912 წ.) ვ. ი. ლენინი თავისი აზრის ნათელსაყოფად მოუთხოვს: „მეტად დიდი ხნის წინათ ნეკრასოვი ამბობდა: „მოვა კი დრო (მოდი, მოდი, სასურველი), როდესაც ხალხი არა ბლიუხერისა და არა სულელი მილორდის, არამედ ბელენსისა და ვოვოლის წინგებს წაიღებს ბაზრიდან?“ (ტ. 18, გვ. 375).

ნეკრასოვი ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი უსაყვარესი პოეტი იყო, კიდევ მტრები: აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნეკრასოვის ლექსების პატარა წიგნმა, რომელსაც ეტრნალების „სოვრემენიისა“ და „ოტრენსტენიე ზაბისკის“ კომპლექტების გვერდით ვეღვეთ ვეღადიმერ ილიჩის სახლ-მუზეუმში, ულიანოვსკში, რომელიც ანა ილიას ასული ვადმოგვეცემს თავის შოგონებებში, ულიანოვების ოჯახის ყველა ბავშვის ხელში ვიარა. შოგონებებით ვეღადიმერ ილიჩმა თქვა: ნეკრასოვის ნაწარმოებებზე ვარ აღზრდილი“ (იხ. ა. ლიხტენიკოვი, უკვდავება: ვახ. „თბილისი“, 21 იანვარი, 1969, გვ. 1). თითონ ეს ფაქტი მრავლისმთქმელია.

ნეკრასოვს აქვს შვენიერი ლექსი „იავნანა“ (მიბაძეა ლერმონტოვისა). ლირიული სათათბოთი ვამთბარი ამ ლექსის სტრიქონები ვამოიყენა ვ. ი. ლენინმა სტატიაში „თეთრი კბილი და შავი გული“ (1907 წ.). თვით სტატიაში სათათბოთი უაღრესად ზატოვანია. ილიჩი აქ დაწერილებით ჩერდება სახელმწიფო სათათბიროში აგარულ საკითხზე ვამართული დისკუსიის შესახებ, ანალიზებს წერეთლის სიტყვას, ვადიდის ტრუდოვეციების პოზიციის დახასიათებზე და იქვე წერს: ჩვეულებრივ ისე ხდება ხოლმე, — ვადაკვით ბრძანებს ჩვენი საყვარელი ლიბერალი, — რომ ვროთ მუკა ვემამულენი ბატონობენ ხალხზე“ (ხაზი ჩვენი — შ. ს. რ. შ.), (ტ. 12, გვ. 365) ხაზვასმული ფრაზა ნეკრასოვისეულია.

ვ. ი. ლენინი ნეკრასოვის „ნანას“ სტრიქონებს იყენებს პატარა სტატიაში „ბატონეშობის ლიბერალური შეფარდება“ (1913 წ.). ბატონეშობის დამკველებზე ვ. ი. ლენინი მოუთხოვს: „საქმე ვებება შორეულ წარსულს. და ამავე დროს კლასობრივი ბრძოლისაღმი ლიბერალების (ლიბერალებისა „გარეგნობით და ჩინოვნიცებისა სულით“) მიზინდელი და ახლანდელი დამოკიდებულება ერთი და იმავე ხასიათის მოვლენა“ (ხაზი ჩვენი — შ. ს. რ. შ., ტ. 18, გვ. 718). ჩვენ მიერ ხაზვასმული სიტყ-

ვები წარმოადგენს ნეკრასოვის ლექსის „იავნანას“ შემდეგი სტრიქონების პერიფრაზას:

„გარეგნობით ღინოვნიკი,
სულით ფლიდი იქნები“.

(ტ. 18, გვ. 762).

ვ. ი. ლენინის მიერ ნეკრასოვის „იავნანას“ სტრიქონების ასე მზარეო ციტირება შემოხვევითი არ არის. ცნობილია, რომ ამ ლექსის გამო ნეკრასოვი ენაღარა III განყოფილებაში გამოაძახეს. ივრანეს რა მისი სატირის ძალა, აკრძალეს დაბეჭდვა. მაგრამ 1845 წელს იგი დაბეჭდა „პეტერბურგის კრებულში“.

ვ. ი. ლენინის ნაწარვის გვებედა ადგილი ნეკრასოვის ლექსიდან „მეგობრის ხსოვნას“. ეს ლექსი დაწერილია 1853 წელს. მასში პოეტმა მოგვცა გმირული სულის კეთილსინდისიერი ადამიანის წარმტაცი სახე. სტატიაში „ნაროდნიკები და ლაკვიდატორები პროფესიულ მოძრაობაში“ (1914 წ.) ილიჩი იყენებს ნეკრასოვისეულ გამოთქმას „აღელვებითა და გამაღებით“ ნაროდნიკებისა და ლაკვიდატორების წინააღმდეგ (ტ. 20, გვ. 162).

ორჯერ იყენებს ვ. ი. ლენინი ნეკრასოვის ლექსის — „ნეტარია უბოროტო პოეტი“ — სტრიქონებს. სტატიაში „პოლიტიკური შინაგანი“ (1917 წ.) ლენინს მოჰყავს ნეკრასოვის შემდეგი სიტყვები:

„ესმის ყოფინა მოწონებისა
განა ტბილ ხმებში ხობტა — დიდების, —
ველურ ღმუილში გაბოროტების“.

და დასძენს: „გაბოროტების ველური ღმუილი თითქმის იმდროიდანვე, როგორც კი დაიწყო რუსეთის რევოლუცია, გაისმის ბოლშევიკის წინააღმდეგ მთელი ბურჟუაზიული და თითქმის და მთელი წერილობერუაზიული პრესის ფურცლებიდან“ (ტ. 25, გვ. 309).

ნეკრასოვმა ლექსში „ნეტარია უბოროტო პოეტი“ ის აზრი გაატარა, რომ შემოქმედებამ პოეტისა, რომელიც წმინდა ესთეტიკას ემსახურება და რომელსაც არ აწუხებს თავისი სამშობლოს ბედი, ეგოისტურია. მართალია, ზუსტად ასე არ ამბობს ამას ნეკრასოვი იმდროინდელი საცენზურო პირობების გამო, მაგრამ ლექსის ქვეტექსტში ეს აზრია ჩაქსოვილი. ამიტომაც ნეკრასოვი დიდი სახალხო ტრბუნე, ამიტომაც მოსწონდა მისი უკვდავი შემოქმედება ილიჩს. სწორედ ამიტომ მან ზელებლა მოაყვანა ადგილი ნეკრასოვის ლექსიდან „ნეტარია უბოროტო პოეტი“ ნაშრომში „შინარჩუნებთ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?“ (ტ. 26, გვ. 95).

ნაშრომში — „რევოლუციური ავანტიურაზი“ (1902 წ.) ვ. ი. ლენინს ნეკრასოვის პოე-

მის („სამა“) ადგილი თავისი სიტყვებით შემდეგნაირად მოჰყავს: „ოქვენ წარმოუდგენლად მიგანიათ, რომ ეს ნაროდნიკული რევოლუცია კვლავ გამოქმნდათ შვის სინათლეზე იმ ადამიანებს, რომლებიც ასე მკვიტულად იმორუნებენ იმის, რაც მათ უკანასკნელ წიგნში ამოუთხოვთ?“ (ტ. 6, გვ. 244).

ნეკრასოვის ლექსების ციკლში „სიმღერები თავისუფალ სიტყვაზე“ ბლომად არის ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ლენინმა ისინი ისე ჩაერთო თავის თხრობაში, რომ სრულიადაც არ ტოვებს ციტატის უნაბეჭდელს. კიდევ მეტი: ისე ვრწმუნს ლენინის მებრძოლ პუბლიცისტურ სტილს ნეკრასოვისეული სტრიქონები, რომ ინტონაციის ცვლილება კი არ იგრძნობა. ვ. ი. ლენინი წერს: „ეს არაა ნეტარია უბოროტო პოეტი“ (1906 წ.), აკრიტიკებს რა მონარქიის დამცველ პუბლიცისტ პეშხოვს, წერს: პეშხოვის „აყენებს კითხვას: „შესაძლებელია თუ არა მთელი მიწა მოვიპოვოთ?“ და აქაც უპასუხებს: **შეუძლებელია, სიფრთხილე, სიფრთხილე, სიფრთხილე, ბატონებო!**“ (ხაზი ჩვენი — შ. ს., რ. შ., ტ. 11, გვ. 225). ხაზგასმული სიტყვები ნეკრასოვისეულია. იგი გვხვდება ლექსების ციკლში „სიმღერები თავისუფალ სიტყვაზე“, კერძოდ კი ლექსში „სიფრთხილეში“. ამ ლექსში ნეკრასოვს გამოყვანილი ჰყავს რედაქტორი, რომელსაც ეწინააღმდეგება და წახოვის ბელოცვით უოველ წამს იმეორებს: „სიფრთხილე, სიფრთხილე!“

ჩვენი მიზნებისათვის უაღრესად საყურადღებოა ვ. ი. ლენინის შესანიშნავი ნაშრომი „კიდევ ერთი ლაშქრობა დემოკრატიის წინააღმდეგ“ (1912 წ.), რომელშიც ციტირებულია ნეკრასოვის ლექსი და მოცემულია მწერლის მსოფლმხედველობის ღრმა შარქსიტული დახასიათება. ილიჩის ეს მოსაზრება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შედარებით ვრცლად დავსესხებით. ვ. ი. ლენინი წერს: „განსაკუთრებით აუტანელია ბოლშე იმის დანახვა, როცა შეგებრების, სტრუვის, გრედესკულის, ისეოვის და დანარჩენ კადეტ მოყვასთა მსგავსი სუბიექტები ნეკრასოვის, შვედრინის და სხვათა კალაშებს ებღაუჭებიან. ნეკრასოვი, რომელიც პირადად სუსტი იყო, პერველად ჩერნიშევსკისა და ლობოვალეშის შორის, მაგრამ მთელი მისი სიმბათია ჩერნიშევსკის მხარეზე იყო. ნეკრასოვი იმავდ პირადი სისუსტის გამო სკოდავდა ლიბერალური მამუბლომის გამოკლინებით, მაგრამ თვითონვე მწარედ დასტორდა თავის „კოდექსს“ და საჯაროდ ინანიებდა მათ —

— არ მიეპტრია ჩანგით, მაგრამ ყოფილა, როდესაც დაუნდობელი ბედი შემეპტრებოდა, ჩანგს ყალბ ხმას გამოაღებინებდა ჩემი ხელი... „ყალბი ხმა“ — იი როგორ უწოდებდა

თეთონ ნეკრასოვი თავის ლიტერალურ — მამებლურ „ცოდებებს“ (ტ. 18, გვ. 377).

ე. ი. ლენინის ეს მოსაზრება მეთოდოლოგიური საფუძველია საბჭოთა ლიტერატურის-მცოდნეობისა.

როგორც აღვნიშნეთ, ნეკრასოვი ლენინის ერთ-ერთი სავეარელი პოეტი იყო. ნ. ს. კრუპსკაიას მოწმობით, ლენინს ნეკრასოვის ლექსების კითხვა გომნაზიის მოსწავლეობაშივე დაუწყია. ურშობისა და ტაბუკობის წლებში მას რამდენჯერმე გადაუკითხავს ისინი. ლენინის უფროსი დის — ანა ილიას ასულის მოწმობით, ნეკრასოვი ილია ნიკოლოზის ძის — ლენინის მამის საყვარელი პოეტი ყოფილა. ნ. კ. კრუპსკაია თავის საინტერესო ნაშრომში „რა მოსწონდა ილიის მხატვრული ლიტერატურიდან“ — წერს: „ციმბირში მე თან წავიდე პუშკინი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი. ვლადიმერ ილიას ძემ თავის საწოლთან, პეგელის გვერდით დალაგა ისინი და კვლავ და კვლავ

კითხულობდა საღამოობით“ (ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1957, გვ. 594).

ლენინის ერთგული მეგობრისა და თანამებრძოლის ნ. ს. კრუპსკაიას სიტყვითვე, „ლენინი, ეკუთვნის იმ თაობას, რომელიც იზრდებოდა პისარევის, შნედლინის, ნეკრასოვის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის გავლენით“ (ნ. კ. კრუპსკაია, ლენინის შესახებ, 1965, გვ. 298, რუს. ენაზე).

ე. ი. ლენინს უკვდავ ნაწერებში ნეკრასოვის ცუცხლოვანი სტრატეგიის არსებობა იმაზე გვანიშნებს, თუ როგორ უყვარდა და აფასებდა გენიალური ბელადი მხატვრული სიტუაციის დიდებულ ოსტატს. ილიამ თავის ნაწერებში ამთავიანა ნეკრასოვისეული უკვდავი სახეების ნამდვილი აზრი და განსაზღვრა კიდევ მისი შემოქმედების ადგილი და როლი რუსული ლიტერატურის ისტორიაში.

დოსტოევსკი და ჰეგელი

1854 წლის 22 თებერვალს თედორე მიხეილის-ძე დოსტოევსკი, ციმბირის (ომსკის) კატიორიდან გამოხვლის ერთი კვირის შემდეგ, თავის უფროს ძმას მიხეილს სწერდა: „გამომი-ვზავნე ყურანი, Critique de la raison pai-son“! კანტისა, თუ როგორმე შეძლებ არაოფი-ციალურად ვადმოვზავნას მაშინ აუცილებლად გამომივზავნე ჰეგელი, განსაკუთრებით ფილო-სოფიის ისტორია. ამას უკავშირდება მთელი ჩემი მომავალი“.

როგორც ირკვევა, მიხეილს მალე შეუსრუ-ლებია თავისი ძმის თხოვნა — მისთვის სემი-ბალატიანსკი გაუვზავნია ჰეგელის ნაწარმოე-ბები. დოსტოევსკი იმდენად დაინტერესებულა ჰეგელით, რომ ვანუზრაბაჟს მისი რუსულად თარგმანა იმ დროს იქ პროკურორად დანიშნულ ლიბერალურად განწყობილ ალექსანდრე ეგო-რის ძე ვრანგელთან ერთად, რომელზეც ახალ-გაზრდა მწერალს დიდი იდეური გავლენა მოუ-ხდენია. მათ შორის ახლო მეგობრული ურთი-ერთობა დამყარებულა. ა. ვრანგელი თავის მო-გონებაში თ. დოსტოევსკიზე წერდა: „დაეუ-ბრუნდეთ ძვირფას თედორე მიხეილის-ძეს, რომელიც მე გულით უკვე იმ დროსვე შეე-ყვარე; თუ რა დიდად ვაფასებდი მე მას, ამის საუკეთესო დადასტურებად შეიძლება მივი-ზნოთ აქამდე შემონახული ჩემი წერილები მშობლებისადმი ციმბირიდან. აი, რას ვკით-ხულობ ერთ მთვანში: „ბედმა მე დამაბოლოა როგორც გულით, ისე გონებრივი თვისებით იშვიათ ადამიანთან; ეს ჩვენი ახალგაზრდა უბ-ედური მწერალი დოსტოევსკია. მე მისგან ბევ-რად დავლენებული ვარ და მისი სიტყვები, რჩევები და იდეები მე მთელი ცხოვრების მანძილზე განმამტკიცებენ. მასთან მე ყოველ-

დღე ემეცადინებო, და ახლა ჰეგელის ფილო-სოფიის და კარუსის „მისიას“ თარგმნას და-ვიწყებო“.¹

სამწუხაროდ, ა. ვრანგელი არ ასახელებს სახელდობრ ჰეგელის რომელი ნაწარმოების თარგმნი, იუო განზრახული. დოსტოევსკის მიერ ძმისადმი ვავზავნილი თხოვნის მიხედვით, შე-იძლება ვიფიქროთ, რომ ეს იყო ჰეგელის „ფი-ლოსოფიის ისტორია“. დოსტოევსკის განზრახ-ვა — ჰეგელის თარგმანი შეესრულებინა ა. ვრანგელთან ერთად, უთუოდ იმის შედეგი იყო, რომ მწერალმა შედარებით სუსტად იცოდა გერმანული ენა.

თ. დოსტოევსკის თავისი განზრახვა არ გა-ნუხორციელებია. ამის მიზეზი უცნობია. მაგ-რამ ვასაგებია, რომ მის წადილს — ეთარგმნა ჰეგელი სხვა პირთან ერთად — ცხადია, რაღაც განსაკუთრებული ინტერესი ედო საფუძვლად.

დღეს შთაფლიო ლიტერატურაში ძნელია მოიხაზოს მწერალი, რომელსაც დოსტოევსკი-ზე მეტი გავლენა ჰქონოდა ანა მარტო მხატვ-რულ ლიტერატურაზე, არამედ ფილოსოფიურ აზროვნებაზე.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა მიმართულებისა და სტილის მწერლებზე „ჩემი კარამაზოვების“ ავტორის გავლენა სხვადასხვანაირია. მოწინაეე და რეალისტი მწერლები დოსტოევსკიდან იღებენ რეალიზმს (რომელსაც თვით მწერალი განსაზღვრავდა, როგორც „რეალიზმს, უმაღლე-სი აზრით“), ჰუმანიზმსა და მხატვრულ ოსტა-ტობას. დეკადენტები და მოდერნისტები კი მის

¹ А. Е. Врангель. Из воспоминаний о Ф. М. Достоевском в Сибири в 1852—1854 гг. сб. «Ф. М. Достоевский в воспоминаниях современников», т. I, 1964, гл. 250.

ირაციონალურ, იდეალისტურ იდეებს, ტანჯვის და შორბრუნების კულტს და უზომოდ ბერავენ და აზვიალებენ მათ. ასეა თუ ისე გადაჭარბებით აღსრულდა ბელმისის წინასწარმეტყველება მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისისთანავე, რომ დოსტოვესკი მალე დაგასხვია ტალანტებზე და მისი გავლენა თანდათანობით გაიზარდება.

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის მთელი რიგი მიმართულებები — მათ შორის ჭარბად გავრცელებული მიმართულებები — ეკსისტენციალიზმი, პერსონალიზმი და ფროიდიზმი — დოსტოვესკის თავის წინამორბედად აღვსდებენ. თუმცა რელიგიური და ათეისტური ეკსისტენციალიზმის წარმომადგენლები განსხვავდებიან დოსტოვესკის შემოქმედების ინტერპრეტაცი-
აში, მაგრამ უველა ისინი მას თავის ერთ-ერთ წინამორბედად აღიარებენ. ამავე აზრისა არიან პერსონალიზტები. ფროიდიზმზე დოსტოვესკის აცხადებენ ფსიქოანალიზის მესიტყვედ, რომელმაც ეთიომდაც მხატვრულად გამოსახა, რომ ადამიანის სულიერი კონფლიქტი არანობიერი, სექსუალური მიდრეკილებით და მოთხოვნით განისაზღვრება. მაგრამ საკითხი ბურჟუაზიული ფილოსოფიის ამ ცალკეული მიმართულებით არ ამოიწურება. ლაზარაქია დოსტოვესკიზე, როგორც აღმოსავლურ-სლავურ მოაზროვნეზე, რომელმაც მთელი ევროპული ფილოსოფია რაციონალიზმისაგან გაათავისუფლა. ეს შტიციემა ზოგიერთ ავტორს იმდენად აღიარებულად მიანიხია, რომ ფილოსოფიის ლექსიკონშიც კი შეაქვთ. 1957 წელს შტუტგარტში გამოცემულ „ფილოსოფიურ ლექსიკონში“ მოთავსებულ განმარტებაში — „ევროპული ფილოსოფია“ — ეკითხულობთ: „დასავლეთ ევროპაში, რომელიც უბრუნდება მეტაფიზიკას და ცდილობს საბოლოოდ განთავისუფლდეს რაციონალიზმის ერთბელისფლებიანობისაგან აღმოსავლეთში უველაზე ძლიერი გავლენა მოახდინა დოსტოვესკის რომანებით, რომლებშიც ღრმა პოეტური ფორმით გამოხატულია სლავურა, ზოგადსაკუთბობრი შინაარსი“. არიან ისეთებიც, რომელნიც დოსტოვესკის აღიარებენ ევროპულად მოაზროვნე მწერლად. ვხედებით ისეთებსაც, რომლებიც იმასაც ამტკიცებენ, რომ „მსოფლიოს კულტურის სისხლის მიმოქცევა დოსტოვესკის შემწერბით ხდება“.

ჩვენ არ შეუძლებით იმის განზილვას, თუ რამდენად მკდარია დოსტოვესკის, ისე როგორც ყოველი მწერლის და ფილოსოფოსის, აზროვნების და მსოფლმხედველობის კვლევა იმ ყალბი და რეაქციული შეხედულების მიხედვით, რომელიც აღმოსავლეთის და ევროპის შეტარბიერკრ გათიხვდა და დაბრისპირებას ემყარება. ჩვენ არც ამის უარყოფის შეუძლებით, რომ ეთიომდა „მსოფლიო კულტურის

სისხლის მიმოქცევა დოსტოვესკის შემწერბით ხდება“. ეს უსაზღვრო გადაჭარბებაა.

თ. დოსტოვესკის ფართო და ღრმა გავლენიკ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება იტყვი აღვნიშნოთ ერთი მეტად საინტერესო ფაქტი. დოსტოვესკიმ არა მარტო მწერლებზე, არამედ ფილოსოფოსებზე და ფსიქოლოგებზეც მოახდინა დიდი გავლენა. მისმა შემოქმედებამ გენიალურ ფიზიკოსს ალბერტ აინშტაინსაც განსაკუთრებული ინტერესი აღუძრა. ვერხანელი პედაგოგიკისტი ა. მოსკოვესკი ასეთ ძვირფას ცნობას გვაწვდის: — თუ თქვენ მკითხავთ, — უთქვამს აინშტაინს მასთან საუბარში, რომელიც ოკიანი წლებს დასაწყისში შემდგარა, — ეინ იწვევს ახლა ჩემში ყველაზე მეტ ინტერესს, მე ვიპასუხებთ: დოსტოვესკი! მან, — აღნიშნავს მოსკოვესკი, — ეს სახელი, რამდენჯერმე გაიმეორა განსაკუთრებული მხივლით. და რათა საფუძვლებზე აღეკეთა ყოველი უკანასკნელი, დაუშავა: დოსტოვესკი მე უფრო მეტს მიძლევს, ვიდრე რომელიმე მეცნიერ-მოაზროვნე, მეტს, ვიდრე ვაქსი!

ამრიგად დოსტოვესკის ადგილი და გავლენა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში და ფილოსოფიაში განუზომელია. მაგრამ პარადოქსულია, რომ თვით დოსტოვესკის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, ამ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, განვითარების არსება და ხასიათი ძალზე ნაკლებად არის შესწავლილი.

ჩვენ არ ვისახებთ მიზნად თ. დოსტოვესკის რთული და წინააღმდეგობრივი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გამოკვლევას. ეს ერთ სტატიაში შეუძლებელიც არის. ჩვენი მიზანია განვიხილოთ დოსტოვესკის დამოკიდებულება ჰეგელის ფილოსოფიასთან, კერძოდ, მის დოქტრინასთან. ჩვენ არა ვგაქვს მონაცემები, იცნობდა თუ არა დოსტოვესკი უშუალოდ ჰეგელის რომელიმე ნაწარმოებს დამატებებამდე (1849 წლის აპრილი), რაც მოხდა სოციალისტ-უტოპისტ მ. პეტრაშევისის წრეში მონაწილეობისა და ამ წრეში ბ. ბელინსკის გოგოლისადმი გავხავნილი წერბილის წაკითხვის გამო.

მაგრამ დოსტოვესკის მოთბოვნა მისიადმი გამოვხავნა ჰეგელის ნაწარმოები არაფიცი-
ლურად, ვინაიდან, ეტყობა, მისი გამოვხავნა კატორღელსათვის, ოფიციალურად შეუძლებელი ყოფილა, გვაფიქრებინებს, რომ დოსტოვესკისათვის წინათაც ცნობილი ყოფილა ფილოსოფოსის რომელიმე ან რამდენიმე ნაწარმოები. ყოველ შემთხვევაში, უამველია, რომ შეუძლებელია ფილოსოფიით მეტად დაინტე-

1 A. Мошковский, Альберт Эйнштейн (Беседы с Эйнштейном о теории относительности и «общей системе мира»), М., 1962, в. 162.

რესტავრაციის დროს რუსეთში არ ყოფილიყო გაციონებული იმ დროს (მწერლის დაბრუნებამდე) რუსეთში ჰეგელის გარშემო არსებულ ლიტერატურას, იმ აზრთა სტავროსა და პოლიტიკის რომელიც ამ ფილოსოფოსის მოძღვრების გარშემო წარმოებდა.

ჰეგელის ფილოსოფიის გარშემო პოლემიკა რუსეთში ჯერ კიდევ ფილოსოფოსის სიცოცხლეშივე დაიწყო. პოლემიკა განიშალა რელიგიასთან, ქრისტიანობასთან ჰეგელის დამოკიდებულების საკითხის გარშემო. ორთოდოქსული თეოლოგები გამოდნენ ჰეგელის რაციონალიზმსა და დიალექტიკას, მას ირაციონალიზმსა და რელიგიურ დოგმატიზმს უპირისპირებდნენ.

1838 წელს ახალგაზრდა მხიველ ბაკუნინმა ეტრნალ „მოსკოვის ნაბლუდატელ“-ში დაბეჭდა თავისი თარგმანი ჰეგელის „გონივრული სიტყვებისა“ საკუთარი წინასიტყვაობით, რომელშიც კონსერვატიულად აშუქებდა ჰეგელის ცნობილ დებულებას: „ყოველივე რაც ნამდვილია, გონივრია და ყოველივე, რაც გონივრია, ნამდვილია“. ცნობილია, რომ ჰეგელის ეს ფორმულა ვრთ დროს არასწორად, კონსერვატიულად იქნა გაგებული აგრეთვე ბ. ბელინსკის მიერ (შემდეგ კი ვიღაცა რუსი მან თავისი ეს შეცდომა). მაგრამ ამის გამო გამოჩენილ კრიტიკოსს საერთოდ არ უარუყვია ჰეგელის ფილოსოფია, რომლის დიალექტიკას დღემდე აფასებდა. დოსტოევსკიმ, რომელიც თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისში ახლოს იდგა ბელინსკისთან, მნიშვნელოვნად განიცადა მისი გავლენა. ახალგაზრდა მწერალმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა კრიტიკოსის დამოკიდებულება ჰეგელისადმი და მის შეხედულებას არ შეეძლო მასში არ გამოეწვია ინტერესი სახელგანთქმული გერმანელი ფილოსოფოსისადმი.

1841 წელს დოსტოევსკის ყოფილი მსწავლელი მოსკოვის პანსიონატში (1834-37 წწ.) მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი იდეალისტი-შელინგური ი. დავიდოვი აქვეყნებს სტატიას „შეიძლება თუ არა ჩვენში გერმანელი ფილოსოფია“. ამ სტატიამი ავტორი თავს ესწრაფება ჰეგელის ფილოსოფიას და ამტკიცებს, რომ გერმანული ფილოსოფია, რომელშიც „თავისი სიზრმავით განიზრახა ბელმდგენლობა ზეგარდომიდან მოცემულ რელიგიაზე, ჩვენთან შეუძლებელია. იგი ეწინააღმდეგება ჩვენს ხალხურ ცხოვრებას — რელიგიურს, მოქალაქეობრივს და გონივრულს“.

ჰეგელის ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით ახალ ფაზაში შევიდა მას შემდეგ, რაც მოხუცმა შელინგმა 1841 წელს, ჰეგელის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ, ბერლინის უნივერსიტეტში მისი კათედრა დაიკავა და დაიწყო კითხვა ლექციებისა მითითებული და გამოცხადების ფილოსოფიაზე. ეს ლე-

ქციები მიმართული იყო ჰეგელის და, აგრეთვე, შემარტყნე ჰეგელიანელების წინააღმდეგ. რომლებიც თავიანთი მსწავლელის ფილოსოფიიდან ათვისტურ და რადიკალურ-პოლიტიკურ დისკვენებს აყვებდნენ.

შელინგის გამოსვლა ჰეგელის წინააღმდეგ ფართოდ შექმდებოდა მიშინდელ რუსულ ეტრნალში. ეტრნალ „მოსკოვიტინის“ 1842 წლის პირველ ნომერში დაბეჭდა ცნობა „შელინგი ბერლინში“, ხოლო მეოთხე ნომერში სტატია „შელინგის ზემო ბერლინში“. ეტრნალმა „ოტენესტვენი ზაპისკიმ“ 1842 წელს დაბეჭდა პირველი ლექცია შელინგისა, წაკითხული 1841 წლის 15 ნოემბერს. ამ ეტრნალის 1843 წლის მე-4 ნომერში დაბეჭდა ვ. ბოტკინის სტატია „გერმანული ლიტერატურა 1843 წელს“, რომელშიც ავტორის დაუასებულებად, გადმოცემულია და ზოგ შემთხვევაში თარგმნილია ახალგაზრდა ენგელსის ბროშურაში „შელინგი და გამოცხადება“ (1842) წამოყენებული ზოგიერთი დებულება. მიმართული შელინგის ირაციონალიზმსა და თეოსოფიის წინააღმდეგ, ჰეგელის ფილოსოფიისა და რაციონალიზმის დასაცავად.

1842-43 წლებში ეტრნალ „ოტენესტვენი ზაპისკიმ“ ქვეყნდება ა. გერცენის ფილოსოფიური ნაშრომი „დიდებანტონში შეცოცრებაში“, ხოლო 1845-56 წლებში — „წერილები ბუნების შესწავლის შესახებ“, რომელშიც ავტორი მრავალი მხრიდან ეხება ჰეგელის ფილოსოფიას. თუ პირველ ნაშრომში გერცენი ძირითადად მატერიალიზმის პოზიციებზე დგას, მაგრამ ჯერ კიდევ განიცდის ჰეგელის იდეალიზმის გავლენას, მეორე ნაშრომში იგი მთლიანად დგას მატერიალიზმის პოზიციებზე და პირდაპირ აკრიტიკებს ჰეგელის, კონსერვატიული-იდეალისტურ სისტემას, საშავიკროდ, დღემდე აფასებს მის დიალექტიკას. აი, როგორ აფასებდა ვ. ი. ლენინს გერცენს, საერთოდ, როგორც მოაზროვნეს, და კერძოდ, მის შეხედულებას დიალექტიკაზე: „XIX საუკუნის 40-იანი წლების პატრიარქურ რუსეთში მან შეძლო ასულიყო ისეთ სიმამლზე, რომ თავისი დროის უდიდეს მოაზროვნებს გაუტოლდა მან შეითვისა ჰეგელის დიალექტიკა მან შეიგონო, რომ ეს დიალექტიკა წარმოადგენს „რევოლუციის ალგებრას“. იგი წაიდა ჰეგელზე შორს, მატერიალიზმისაკენ, გააყვია ფოიერბახის კვალს. პირველი წერილი „წერილებიდან ბუნების შესწავლის შესახებ“. — „ემპირია და იდეალიზმი“, რომელიც დაწერილია 1844 წელს, გვიჩვენებს მოაზროვნეს რომელიც, ახლაც კი (ვ. ი. ლენინის სტატია „გერცენის ხსოვნას“, სადაც ნათქვამია ეს სიტყვები, დაბეჭდა 1912 წელს. — ა. ქ.) მთელი თავით უფრო მაღლა დგას უმარტყვე თანამედროვე ბუნებისმეტყველემპირიკოსზე და აურაცხელ ახლანდელ ფილოსოფოსისა, იდეალისტისა და ნახევრად იდე-

ალისტუე. გერცენი უშუალოდ მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა — ისტორიულ მატერიალიზმის წინაშე¹.

აღსანიშნავია, რომ დოსტოევისკი დიდად აფასებდა გერცენის წერილებს ბუნების შესწავლის შესახებ², თუმცა, რა თქმა უნდა, სულ სხვა თვალთახედვით. იგი ამ წერილებს ადარებდა „საუეტერესო ფილოსოფიად არა მარტო რუსეთში, არამედ — ევროპაში“³.

1846 წლის დასასრულიდან, ორი წლის განმავლობაში, ვიდრე დააპატიმრებდნენ, დოსტოევისკი საჩვეულობს პეტრავსევსკის ბიბლიოთეკით. მთლიანად არაა ცნობილი, რა წიგნები გამოქონდა მწერალს ამ ბიბლიოთეკიდან, მაგრამ ცნობილია, რომ მას აქედან სხვა წიგნებითან ერთად გამოუტანია: დავით ფრიდრიხ შტრაუსის ნაშრომი „იესოს ცხოვრება“.

ჩვენი საკითხებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ახალგაზრდა დოსტოევისკის ინტერესი შტრაუსის წიგნისადმი. როგორც ცნობილია, შტრაუსის წიგნმა „იესოს ცხოვრებაში“ რომლის I და II ტომები 1835-1836 წლებში გამოვიდა, გამოიწვია შემარცხენე, ან, როგორც კიდე იტყვიან, ახალგაზრდა, ჰეგელიანელების და შემარცხენე ჰეგელიანელების წარმოშობა და მათ შორის ბრძოლა. ამ შემთხვევაში ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დოსტოევისკი, თუმცა შედარებით სუსტად ფლობდა გერმანულ ენას, მაგრამ, როგორც ჩანს, სარგებლობდა გერმანული წიგნებით (შტრაუსის წიგნი რუსულად, 1907 წელს გამოვიდა).

კანტის ფილოსოფიისადმი თ. დოსტოევისკის დამოკიდებულების საკითხი ფილოსოფოსთა და ლიტერატურისმცოდნეთა შედარებით ფართო მსჯელობის საგანადაა ქცეული. ამ საკითხზე რამდენიმე გამოკვლევა არსებობს. ჩვენი ამოცანას არ შეადგენს ამ ლიტერატურის განხილვა; აღინიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ავტორითა შორის არაა აზრთა ერთიანობა. ზოგი ავტორი დოსტოევისკის აღიარებს კანტის ოპონენტად და მოწინააღმდეგედ, ხოლო ზოგი პირიქით, კანტს დოსტოევისკის ერთ-ერთ ფილოსოფიურ მასწავლებლად მიიჩნევს. ჩვენი აზრით, ორთვე ეს საპირისპირო მოსაზრება ვადაქმნებულა და მცდარია.

რაც შეეხება ჰეგელის ფილოსოფიისადმი დოსტოევისკის დამოკიდებულების საკითხს, იმაზე ლიტერატურა ვაქცელებით ლაპიბია. ამ საკითხზე, რამდენადაც ვიცით, ატყვრთმ სპეციალური გამოკვლევა არ არსებობს. ამასთან, ამ ავტორთა შორის, რომლებიც თავიანთ თემასთან დაკავშირებით ეხებთან ამ საკითხს, აზრთა დიდი სხვაობაა. ერთნი ამტყიცებენ,

რომ დოსტოევისკის შემოქმედებას თავისებურება ეწინააღმდეგება და გამორიცხავს ჰეგელის დიალექტიკას (მ. ბახტინი),⁴ მუორნი — კი მწერლის და ფილოსოფოსის აზრთაგნების წესს შორის „ღრმა შინაგან მსგავსებას“ ხედავენ⁵ ეხედებით აგრეთვე საკითხის პირდაპირ გაუბრალოებას. ასე, მაგალითად, ლიტერატურისმცოდნე მ. ბურსოვი წერს: „თუ კი აუცილებელია დაძაბისპირება დიდი რუსი მწერლისა დიდ გერმანულ ფილოსოფოსთან, ეეცალოთ მასში რამე საერთო მოვანაბო, მაშინ შე ვფიქრობ, ეს უნდა ეაკეთო სულ სხვა მიმართულებით. როგორც ჰეგელი, წინააღმდეგ თავისი დიალექტიკისა, შეიქმნა პრუსიული მონარქიის აპოლოგეტად, ისე დოსტოევისკი, შედროდა რა აკერა წინააღმდეგობაში თავის მხატვრულ აღმოჩენებთან, აღმოჩნდა მონარქიული იდეების მქადაგებლად“⁶.

მ. ბახტინი, თ. დოსტოევისკის პოეტის ცნობილი თანამედროვე მეკლევარი, უაზროფს დიალექტიკას და დიალექტიკურ განვითარებას დოსტოევისკის შემოქმედებაში. ბახტინის მტყიცებით, დოსტოევისკის რომანები პოლიფონიური მრავალხმოვანი არიან და ამით განისხზვრება მათი თავისებურება და რთვიანობა. იგი წერს: „დოსტოევისკი პოლიფონიური რომანების შემქმნელია. მან შექმნა არსებობად ახალი რომანული ეანრი“. მისი სიტყვით, „მხოლოდ დოსტოევისკი შეიძლება იქნეს აღიარებული ნამდვილ პოლიფონიის შემოქმედად“, მანამდე ყველა სხვა მწერლების რომანები „მონოლოგიური“ იყო. „ამიტომ, — წერს ბახტინი დოსტოევისკის შესახებ, — რომ მისი შემოქმედება არ თავსდება არცერთ ჩარჩოში, არ ემორჩილება ამ ისტორიულ-ლიტერატურულ სტრუქტურას, რომელთა მიყენებას ვერაბული რომანი-სადმი ჩვენ უკვე მიეჩნევიო“.

რაც შეეხება ჰეგელის დიალექტიკას, მისთვის, ბახტინის აზრით, უცნაო ცნობიერების და ვინის პოლიფონიზმი, მრავალხმოანობა. ფილოსოფოსს დიალექტიკა განვითარებულა აქვს როგორც მონოლოგი. ბახტინის მტყიცებით, დოსტოევისკის რომანების პოლიფონიზმი, მრავალხმოანობა ეწინააღმდეგება და გამოირიცხავს ჰეგელის დიალექტიკას და მონიზმს. ბახტინი უდავოდ მართალია, როცა უაზროფს დოსტოევისკის ჰეგელიანობას, მწერლის პოლიფონიურ, მრავალხმოან რომანებში ჰეგელის მონიზმის და დიალექტიკის ამოკითხვას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბახტინი ზეტად

¹ ვ. ი. ლენინი თხზულებანი, ტ. 18, გვ. 12.
² იხ. А. С. Долинин. Последние романы Достоевского, М.-Л., 1963, гв. 225.

³ М. Бахтин. Проблемы поэтики Достоевского, издание второе, переработанное и дополненное, М., 1963 г.
⁴ იხ. История философии в СССР в пяти томах, т. 3, М., 1968, гв.
⁵ В. Бурсов. Личность Достоевского, етр. «Звезда» 1969, № 12, гв. 91.

არა აქვს წარმოდგენილი როგორც დოსტოევსკის რომანების პოლიფონიზმი, მრავალხმიანება ისე ჰეგელის მონიზმი და დიალექტიკა.

ბახტინის შტრუქციზმი, დოსტოევსკის რომანების პოლიფონიზმის არსება იმაში მდგომარეობს, რომ ამ რომანებში არა ჩანს მათი ავტორის ხმა, პოზიცია, შეფასება წარმოდგენილი მდგომარეობისა. დოსტოევსკის არ გამოჰყავს ნაწარმოებთა გმირები თავისი საკუთარი მსოფლმხედველობისა და პოზიციის გამოხატვლად. მისი მთავარი გმირები საკუთარი, დამოუკიდებელი ხმის მქონენი არიან და ამ ხმას ბოლომდე ინარჩუნებენ. ბახტინი წერს: „მის (დოსტოევსკის, ა. ქ.) ნაწარმოებებში ჩნდება გმირი, რომლის ხმა ისეა აწეული, როგორც იწყობა თვით ავტორის ხმა ჩვეულებრივი ტიპის რომანში. გმირის სიტყვა თავისთავზე და ქვეყანაზე ისეთავე სრულფასოვანია, როგორც ჩვეულებრივი ავტორის სიტყვა, იგი არაა დამორჩილებული გმირის ობიექტურ სახეს, როგორც ერთი მისი დამახასიათებელი ნიშანი, მაგრამ არ არის ავტორის ხმის რუბრიკი. მას ნაწარმოების სტრუქტურაში განსაკუთრებული თავისთავადობა ეკუთვნის, იგი ვითომ ავტორის ხმის გვერდით ქვრის და განსაკუთრებული სახით უერთდება მას და სხვა გმირთა სრულფასოვან ხმასაც“.

2. ბახტინის კონცეფციამ ცოცხალი ინტერესი და აზრთა სხვაობა გამოიწვია. დოსტოევსკის რომანების პოლიფონიზმი, მრავალხმიანობას არაფერ უარყოფს, მაგრამ აზრთა სხვაობა მწერლის ნაწარმოებებში ამ პოლიფონიზმს! ხასიათის და ადვილის ვაგებში და განსაზღვრავს. უმრავლესობის მიერ სწორედ იყო აღნიშნული, რომ საერთოდ არ არსებობს წმინდა „პოლიფონიური“ და წმინდა „მონოლოგიური“ რომანები. საქმე ის არის, თუ რა ზომით და ფორმით ხორციელდება ეს რომანში. ამასთან აღინიშნა, რომ დოსტოევსკის რომანების პოლიფონიზმი სრულად არ ათანაბრებს ავტორის მხარს რომანის გმირების ხმასთან, არ უკარგავს მას თავის საკუთარ მიმართულებას და ძლიერადობას. კიდევ მეტი: თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ დოსტოევსკის ხმა მის პოლიფონიურ რომანებში შეუნელებლად და განსაკუთრებული ვნებით გაისმის. ასეა თუ ისე ბახტინის ინტერპრეტაცია — დოსტოევსკის რომანების „სრულფასოვან ხმათა პოლიფონიზე“ — დახსენებას მოითხოვს.

იგივე ითქმის ბახტინის მიერ ჰეგელის მონიზმისა და დიალექტიკის დახასიათებაზე. ვინა ჰეგელის დიალექტიკური, განვითარებაში მყოფი ცნობიერება მხოლოდ მრავალხმიანობას და მრავალხმიანობას მოკლებული მონოლოგია? საქმარისა კაცმა დაკვირვებით წყაიხთხოს ჰეგელის „გონის ფენომენოლოგია“ რომ გაი-

გოს ცნობიერების შესახებ ჰეგელის მიმდევრების ასეთი დახასიათების სიმეცადრე.

3. ბახტინის მასაზრების საწინააღმდეგე, შეხედულება წამოყენებულია 1968 წელს გამოსულ ნაშრომში „История философии в СССР - მე-3 ტომში. ი. კორიაკინი, ავტორი ამ ტომში შესული დოსტოევსკის ფილოსოფიური მსოფლმხედველობისადმი მიძღვნილი თავისა, დოსტოევსკის მხატვრულ და ჰეგელის ფილოსოფიურ აზროვნებათა შორის ხედავს „ღრმა შინაგან მსგავსებას“. ამ მხრივ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჰეგელის „გონის ფენომენოლოგიას“ აძლევს, იგი წერს: არსებითად, დოსტოევსკის მთელი შემოქმედება — ეს არის მხატვრული „გონის ფენომენოლოგია“.

ი. კორიაკინი იცნობს ბახტინის ნაშრომს, რაც იქიდან ჩანს, რომ მას მოაქვს ამ ავტორის სიტყვები დოსტოევსკის რომანების „სრულფასოვან ხმათა პოლიფონიურობის“ შესახებ. ბახტინისაგან განსხვავებით, კორიაკინი ფიქრობს, რომ „დოსტოევსკის შემოქმედებაში „სრულფასოვან ხმათა პოლიფონიის“ შევსება-მება „ფენომენოლოგიის“ მთავარი იდეაა“. ამის დასამტკიცებლად იგი ჰეგელის „გონის ფენომენოლოგიიდან“ შემდეგ ამონაწერს იმომეგბს: „ქვეშარჩებებისა და მცდარის დაპირისპირების აზრს ისე მტაცად ვაღვრავ ფასვი, რომ იგი ჩვეულებრივად მოელის ამა თუ იმ არსებული ფილოსოფიური სისტემის ან თანხმობას ან წინააღმდეგობას, ხოლო მისი ახსნის დროს ან მხოლოდ ერთს ხედავს, ან მეორეს; მას ფილოსოფიურ სისტემათა განსხვავება ესმის არა იმდენად ქვეშარჩებების პროტარსულ განვითარებად, რამდენადაც განსხვავებაში მხოლოდ წინააღმდეგობას ხედავს. კვირები ქრება, როდესაც ყვაილი იშლება; შეიძლება ითქვას, რომ პირველს მეორე უქუთავდება; ასევე ყვაილის ნაყოფი უქუთავდება და იგი მცენარის მცდარ ყოფიერებად გამოცხადდება, ხოლო მისი ქვეშარჩებების სახით ყვაილის ადვილს გამოდის ნაყოფი. ეს ფორმები არა მარტო ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, პრამედ ერთმანეთს დევნიან კიდევაც როგორც შეუთავსებელნი. მაგრამ დენადი ბუნება მათ იმავე დროს იმორგებელი ერთიანობის მომენტებად აქცევს, რომელშიც, ისინი ერთმორებს არა მარტო არ ებრძვიან, არამედ ერთი ისევე უცუილებელია, როგორც მეორე, და ეს ერთნაირი აქცილებლობა შეადგენს სწორედ მთლიანის სიცოცხლეს“.

ჰეგელის ეს დებულება მართლაც „მთავარი იდეაა“, უფრო ზუსტად, ერთ-ერთი მთავარი იდეაა, არა მარტო „გონის ფილოსოფიისა“, არამედ მისი ფილოსოფიის მთელი დიალექტიკური მიმდევრებისა. მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს დოსტოევსკის „სრულხმოვანი პოლიფონიის“ გასაგებად, თუმც არ შეიძლება

მწერლის რომანების ამ თავისებურების გაიგება ფილოსოფოსის აღნიშნულ იდეასთან.

თავის მოსაზრება უფრო დამაჯერებელი და დასაბუთებული რომ ვახალოს, კორიკინი ჰეგელის „გონის ფენომენოლოგიადან“ ასახელებს კატეგორიებს, რომლებიც, მისი აზრით, საშუალებას იძლევა ღრმად გაეიფოთ დოსტოევსკის მხატვრული შემოქმედება. იგი წერს: „გონის ფენომენოლოგიის“ ისეთი კატეგორიები, როგორცაა „ბატონი“ და „მონა“, „სტოელი“ და „სკეპტიკოსი“, „უბედური ცნობიერება“, „გახლეჩილი ცნობიერება“ და ა. შ. საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად ჩავეწვდეთ დოსტოევსკის მხატვრულ სამყაროს“.

ბ. კორიკინი ამ კატეგორიების ჩამოთვლით გამოყოფილდება იგი სრულიად არ გვიჩვენებს იმას, თუ როგორ იძლევა ჩამოთვლილი კატეგორიები იმის საშუალებას, რომ „უფრო ღრმად ჩავეწვდეთ დოსტოევსკის მხატვრულ სამყაროს“. ჩვენი აზრით, სინამდვილეში ამის საშუალებას არსებითად მხოლოდ „გახლეჩილი ცნობიერების“ კატეგორია იძლევა. ამას გვიჩვენებს დასახელებული კატეგორიების თვნიდ მოკლე განხილვა.

ჰეგელი „გონის ფენომენოლოგიაში“, რომელსაც კ. მარქსი ჰეგლის ფილოსოფიის „შემაჩრდი სათავეს და საიდუმლოებას“ უწოდებდა, მთელი წარსული საზოგადოების ფორმების წარმოშობის, განვითარებისა და დაღუპვის ისტორიას განიხილავს, როგორც ცნობიერების წარმოშობის, განვითარებისა და შეცვლის პროცესს. ცნობიერება კი წარმოადგენდა სამ ძირითად ეტაპად ან ფორმად: 1) ცნობიერება; 2) თვითცნობიერება და 3) გონება. პირველ ფორმას — ცნობიერებას ჰეგელი განსაზღვრავს, როგორც საგნობრივ ცნობიერებას; აქ ცნობიერებას, „მე“-ს უბრისპირაობა მის გარეშე არსებული საგნები. საგნობრივი ცნობიერება განვითარების შემდეგ სამ საფეხურს გადის: ა) გრძობადი სიყვარული; ბ) აღმშენი ცნობიერება და გ) განსწიხი ცნობიერება.

თვითცნობიერება ხასიათდება იმით, რომ აქ ცნობიერება მიპერობილია არა მის გარეშე არსებულ საგნებზე, არამედ თავის თავზე, თავის რაობაზე. თვითცნობიერება განვითარების სამ ასეთ საფეხურს გადის: ა) სურვილი, ბ) ბატონობა და მონობა; გ) საყოველთაო თვითცნობიერება.

გონების ეტაპზე ისობა წინააღმდეგობა ცნობიერებასა და თვითცნობიერებას შორის. ამ ეტაპზე ცნობიერება შეიცნობს მის გარეშე არსებულ საგნებს, როგორც სულიერს და ამის საფუძველზე ღვინდება მათი სრული იგივეობა. ასეთი იდეალისტური და ზელოცურია კონსტრუქციით ადგენს ჰეგელი ცნობიერების და ურთიერების იგივეობას აბსოლუტური ცნობიერების საფუძველზე, რაც მისი მთელი იდეალისტური სისტემის ძირითადი პრინციპია. მა-

გრამ ჰეგელის ეს იდეალისტური და ზელოცური კონსტრუქციები, ისე როგორც სხვა შემთხვევაში, შეიცავდა ცალკეულ ღრმად დაიღწევი ტიპურ მოსაზრებებს და დებულებებს, რომლებზე ნათლად ჩანს ბატონობა და მონის ცნობიერების შესახებ ჰეგელის შეხედულებაში, რომელსაც ახლა მოკლედ განვიხილავთ.

როგორც აღვნიშნეთ, ბატონის და მონის ცნობიერებას ჰეგელი აფუთვებს თვითცნობიერების განვითარების მეორე საფეხურს. აქ ფილოსოფოსი თვითცნობიერების დიალექტიკურ განვითარებას თავისებურად უქავეზირებს ისტორიულ სინამდვილეს — მონათმფლობელურ საზოგადოებაში ბატონის და მონის ცნობიერების ურთიერთობას და მის შედეგს. მონათმფლობელურ საზოგადოებაში ორნაირი — ბატონური და მონური თვითცნობიერება არსებობს და მათ შორის ბრძოლა ვამილი ბატონი განუსაზღვრელად ბატონობს მონაზე, მისი შრომის საშუალებით იკმაყოფილებს მოთხოვნილებას და ვანცხრომას ეძლევა. ბატონისაგან განსხვავებით, მონა ეწევა შრომას, უშუალო ურთიერთობაში იმყოფება საგნებთან და თავისი შრომის პროცესში გარდაქმნის და შეიცნობს მათ და თავის თავს. ამრიგად, შრომის პროცესში მონა თვითცნობიერდება, სძლეებს მონურ ცნობიერებას. ბატონი კი, რჩება რადამოკლებული მონის მიერ წარმოშობულ საგნებზე, ჰეგელის თავისუფლებას და თავისი მონის მონად იქცევა.

ამრიგად, ჰეგელის მტკიცებით, თვითცნობიერების ფორმირება და განვითარება მონური ცნობიერებიდან იწყება და ეს მონის შრომითი საქმიანობის შედეგია. განვითარებაში მყოფი თვითცნობიერების მიზანი თავისუფლების მიღწევაა და ამ მიზართულებით იგი შემდეგ სამსაფეხურს გადის: სტოიციზმი, სკეპტიციზმი და უბედური ცნობიერება.

სტოიკურ თვითცნობიერებას ჰეგელი ახასიათებს როგორც თავისუფალ თვითცნობიერებას. მაგრამ მისი თავისუფლება მოკლებულია სინამდვილესთან რეალურ კავშირს. იგი იმყოფება და მოპოვებულია სინამდვილის იგნორაციით, მისი ავარჯიანობისა და ზედისაღმი გულგრილობით და სწორედ ეს იწვევს მის თვითლარყოფას, ვინაიდან, ასეთი მოწვევითობის ვაში, სინამდვილე დაუძლეველი რჩება. სტოიციზმის მიერ სინამდვილის დაუძლეველობა სკეპტიციზმს წარმოშობს. ჰეგელი სკეპტიციზმის დადებით მხარეს იმაში ხედავს, რომ უარს ამბობს მიიღოს და აღიაროს რაიმე, როგორც უშუალოდ მოცემული. მაგრამ სკეპტიკური თვითცნობიერება იხლართება გამოუვალ წინააღმდეგობაში. იგი ურყოფს შეგარძნებას, ანტიციკლს ნანახისა და გაკონილის არარობას, ამავე დროს თვითონ ხედავს და ისმენს; უარყოფს ახრთენების ფორმებს, მაგრამ იყენებს ამ ფორმებს; უარყოფს ეთიკურ ნორმებს, მა-

ვრამ მით თავს ვერ აღწევს და ა. შ. ამრავად, თუმცა სკეპტიციზმი შემდგომი განვითარებაა სტოიციზმისა, მაგრამ არც ის აღწევს ნამდვილ თავისუფლებას.

აღსანიშნავია, რომ ჰეგელი სკეპტიკურ თვით-ცნობიერებას განიხილავდა, როგორც ანტიკური თვითცნობიერების ერთ-ერთ ფორმას, მაშასადამე, როგორც უკვე ვთვალეთ და დაძლეულ ფორმას, მაგრამ იგი მეთითებდა მის წარმოშობას და არსებობას განმანათლებელთა ეპოქაში. აქ თავს იჩენს მისი სისტემის წინააღმდეგობა.

სკეპტიციზმის აღნიშნული წინააღმდეგობის საფუძველზე წარმოიშობა ევრეთეოდებელი უბედური ცნობიერება, რომელიც თვითცნობიერების უშლელს სიფხურია. „უბედური ცნობიერება“ ვთარბული და წინააღმდეგობრივია, რაც გამოწვეულია გარდაშავლის და შუდიმის დაპირისპირებით. „უბედური ცნობიერება“ უბირისპირებს რეალურ გარდაშავალ არსებობას შუდიმე, მარადილურ არსებობას და ამ უკანასკნელს აძლევს მნიშვნელობას. „უბედური ცნობიერება“ წინააღმდეგობაშია ვაბლართული. მას სამყარო ლევის ქმნილებად მიანიდა და იმავე ღრის აღნიშნავს, რომ ისე ცოდვითა და პოროტებით არის აღსავსე. ასეთივეა მისი შეგუდლება ადამიანზე. ადამიანი ღმერთის ქმნილება და ამასთანავე, ცოდვილია.

ჰეგელის მიხედვით, ისტორიულად „უბედური ცნობიერება“ წარმოიშვა ადრინდელი ქრისტიანობის ეპოქაში და იგი დამახასიათებელია რელიგიურ-ასკეტიკური მორალისთვის. რელიგიურად მორწმუნე ადამიანი უარყოფს რეალურ, მიწიერ, გარდაშავალ არსებობას, უარს ამბობს მის სიკეთეზე, ხალისზე, სიხარულზე, მშვენიერებაზე და ა. შ. ეძლევა ასკეტიზმს, მწუხარებას, ვიებას, ტანჯვას. და ყოველივე ამით ეჭვროებს და ცდილობს მოიპოვოს შუდიმი, მარადილი არსებობა. მაგრამ სწორედ მისი ასეთი ვარაუდი და მოქმედება აქცევს მის ცნობიერებას ილუზიად და ხდის ამ ცნობიერებას უბედურად.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ჰეგელი „უბედური ცნობიერებაში“ მინც პოულობს დადებით მომენტს. აქ ცნობიერება სძლევს და თავისუფლება სკეპტიკურობისაგან, თავისი ნებისყოფისაგან, ემორჩილება უშლელს ნებისყოფას და ამით აღწევს კავშირს ერთეულსა საყოველთაოსთან. უკვე ლოან. ამის ნიადაგზე ხდება დაძლევა „უბედური ცნობიერებისა“, თვითცნობიერების ამ უშლელსა სიფხურისა, და თვითცნობიერებადან გონებაზე გადასვლა. ეჭვრობით, რომ ჰეგელის „გონის ფერმე-ნოლოგის“ აღნიშნული კატეგორიების ამ მოკლე განმარტებანიც ცხადი უნდა იყოს, რომ მათი უშუალო გამოცხადება „ისეთ კატეგორი-ებად, რომელნიც საშუალებას იძლევიან უფრო ღრმად ჩაწვდით ლოსტოვესკის მხატვრულ სა-

ხეთა სამყაროს“, უსაფუძვლოა და კონკრეტულად არაფრის მომცემი.

ჰეგელი „გახლელი ცნობიერების“ კატეგორიას, რომელსაც, როგორც „აღნიშნულ ვარა-ეველი მნიშვნელობა აქვს ლოსტოვესკის „მხატვრულ სამყაროში ღრმად ჩაწვდომისათვის“, უკვე შორებს განსხვავების აქტს. განსხვავებას ჰეგელი განიხილავს არა მარტო, როგორც ადამიანის მოქმედების, პროდუქტების და შედეგების გადაქცევას დამოუკიდებელ და მტრულ ძალად, რომელიც თვით ადამიანზე პატრონობს, არამედ, როგორც გონის ობიექტივიზაციას, გასაგნობრობას ზუნებაში და საზოგადოებაში. ჰეგელის მიხედვით, მთელი ობიექტივიზაციის სამყარო განსხვავებულია გონისა. საზოგადოებაში თავის განვითარებისას, გონი ვადის განსხვავების სხვადასხვა ეტაპს და ისტორიულ ფორმებს. ჰეგელი განსხვავების ამ ფორმებს განიხილავს, ძველი საბერძნეთიდან დაწყებული, მთელ ისტორიულ მანძილზე. ჰეგელის იდეალიზმი მდლავდება, რომ იგი განსხვავების რეალურ პროცესს სახავს როგორც გონის განსხვავებას, ხოლო ამ განსხვავების დაძლევის, მოხსნის საშუალებად თვით ამ განსხვავების შემეცნება მიანიდა.

„გონის ფერმენოლოგის“ ერთ-ერთ თავში — „თავისთავიდან განსხვავებული გონი“ — ჰეგელი ახასიათებს განსხვავებას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. აქ განსხვავების სპეციფიკური ფორმა სახელმწიფო და სიმდიდრეა. სახელმწიფოსა და სიმდიდრისადმი დამოკიდებულების ანალიზის საფუძველზე ფილოსოფოსი ადვენს განსხვავებას და წინააღმდეგობას „კეთილშობილ“ და „დაბალ“ ცნობიერებას შორის. მავალითისათვის ჰეგელი მიმართავს საფრანგეთის აბსოლუტიზმს, ბურჟუაზიული რევოლუციის წინ. ფილოსოფოსის შეხედულებით, აზნაურთა ცნობიერება იყო „კეთილშობილი ცნობიერება“ და ეს იმს გამო, რომ, იგი სასახელმწიფოს და სიმდიდრეს დადებითად ეყურობოდა. „დაბალი ცნობიერება“ კი ბრბობს ცნობიერება იყო, რომელსაც სძელს ბატონა, მის ღვადარლით ემორჩილება და ყოველ ქამს მხადა აყარედს.

მაგრამ „კეთილშობილი“ და „დაბალი“ ცნობიერებანი როდი რჩებიან უცვლელი და ვათი-შული. ისინი მალე ერთმანეთში თავსდებიან. „კეთილშობილი ცნობიერებას“, „აზნაურთა ცნობიერებას“ პირველ ხანებში ახასიათებს „მსახურების გმირობა“. უნდა ვიფიქსიხსოვო, რომ ეს ის ხანაა, როცა აბსოლუტიზმი პროგრესულია და მისი ინტერესებისათვის აზნაურთა თავს დებს, მაგრამ შემდგომ, ჰეგელის სიტყვით „უსიტყვე მსახურების გმირობა“ პირველ რიგში გმირობა და იქცევა“. ეს ხდება აბსოლუტიზმის რიჩიხის დროს, აბსოლუტიზმის პროგრესული რთლი ამოწურულია და მისი გმირული დამცველი აზნაური, ვასალები

მეფის კარზე პირფერობის გმირები ხდებიან. პირფერობა სთიშავს და ანცლავებებს მეფეს.

ირღვევა ტრადიციული ურთიერთობა და კავშირი. ხდება შეერთება „ეკთილშობილი“ და „დაბალი“ ცნობიერებისა. ასე წარმოიშობა „ვახუტაძის ცნობიერება“, რომელიც ყველა ურყევად მიჩნეული დიებულებების და მორალური ნორმების გადაფასებას ახდენს. დგება ხანა „ყველა ცნებების და რეალობის დამახინჯებისა“. „თავისთავის და სხვის საყოველთაო მოტყუებისა“, „უსიარცხებლობისა“, კეთილის და ბოროტის აღრევისა, ამოცებისა. ქაოსისა, „აბსოლუტური ელასტიურობისა“ და ა. შ.

„ვახუტაძის ცნობიერების“. არსების დასახასიათებლად ჰეგელი მე-XVIII საუკუნის გამოჩენილი ფრანგი მატერიალისტ-ფილოსოფოსის დენი დიდროს ფილოსოფიურ დიალოგს „რამოს მისწულს“ მომართავს, რომელსაც კ. მარქსი თავის ერთ-ერთ წერალში ფ. ენგელსისადმი „სწორუპოვარ ნაწარმოებს“ უწოდებს და ეწვეა მთქვეს ჰეგელის დახასიათება „ვახუტაძის ცნობიერების“. ჰეგელს „ვახუტაძის ცნობიერების“ ერთერთ დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნედა „გელსიანი დაცინვა არსებობისა, ისე როგორც შილანის ქაოსისა, და თავის თავის მიმართ“. რამოს მისწული ამ ნიშნის სწორუპოვარი განსაზღვრებაა. იგი მასში მთელი სისრულით და სიყბადობა გამოხატული. აი როგორ წარმოგვიდგენს იგი თავის მდგომარეობას: „მე საქმე მაქვს ისეთ აღამიანებთან, რომლებიც მოწყენილი არიან და, მამასადამე, კიდევ უნდა გაეგონათ და გაეამბიარებოდა. იმათი ვართობა და გამპიარებლობა კი მხოლოდ საყენელით და გაცურით შეიძლება. ამიტომაც მე უნდა ეყო სასაცილო და ვიცი. ბუნებით რომ ასეთი არ ვიყო, ასე უნდა მოვიქცე. ჩემდა საბედნიეროდ მე არ შიშობდებო თვალთმაქცობა“¹. რამოს მისწული აცხადებს, რომ იგი მასხარის რთლში იშვიათად და შეუცვლელია. დიდროს განცხადებას, რომ მისი, (რამოს მისწულის), როგორც მასხარის შეცვლა, შეიძლება სხვა ასი მასხარით, იგი გაკვირვებით უპასუხებს: „ას მასხარის, ასეთივეს, როგორც მე, ბატონო ფილოსოფოსო! ჩემისთანები არც ისე ბევრნი არიან! ადვილია მხოლოდ ჭეჩის ტაკი-მასხარების პოვნა. ოხუნჯობას უფრო სასტიკ მოთხოვნილებას უყენებენ, ვიდრე ნიქსა და სათნობას. მე ჩემი ბედობით იშვიათობას წარმოვადგენ დაბ, დიდ იშვიათობას...“ მე ოხუნჯობაში დაუშვრეტელი წყვილი ვარ“².

ამრიგად, რამოს მისწული აშკარად, პირდაპირ და, უნდა ითქვას, სიამაფითაც კი, თავის-

თავს შეუცვლელ მასხარად აცხადებს. თ. დოსტოვესკი დ. დიდროს „რამოს მისწულს“ ადრე, ვერ კიდევ დაბატონებულად გიყენო. ამას მოწმობს 1848 წელს დაბეჭდილი მისი მოთხრობა „პოლზუნკოვი“. ეს ნაწარს აგრეთვე მისი მოთხრობიდან „სოფელი სტეპანიოვო და მისი მოზინადრენი“, რომელიც ავტორმა 1859 წელს, გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე, დაწერა. 1864 წელს დაბეჭდილი მოთხრობიდან „წერილები იატაკქვეშეთიდან“ ვიგებთ, რომ შერალი ვარდა დიდროს „რამოს მისწულისა“ იცნობს აგრეთვე მის დიალოგს „დალაშქერის და დიდროს სიყბარს“. დოსტოვესკი დიდროს ნაწარმოებებს შემდეგშიც კითხულობდა, რაც მას, როგორც თვითონ აღნიშნავდა, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. 1869 წელს, აბილში დოსტოვესკი ფლორენციიდან სტრახოვს სწერდა: „თქვენ თქვენს წერილში შეკითხვებით, რას ვკითხულობ მე. მთელი ზამთარი ვოლტერს და დიდროს ვკითხულობდი. ამან, რა თქმა უნდა, სარგებლობა და კმაყოფილება მომიტანა“.

მოთხრობა „პოლზუნკოვი“-ს გვიჩვენებს იმის მიზეზის ძე პოლზუნკოვს დოსტოვესკი სახავს როგორც „თეთიანებით მასხარას“ და „კომიკურ წამებულს“. იგი წერს: „საკვირველი საქმეა, მას (პოლზუნკოვს. ა. ქ.) თითქმის ემი. ნოდა დაცინებს, მაშინ როდესაც პერს თითქმის იმით მოულობდა, რომ საქვეყნო მასხარა იყო და მორჩილებით უშვერდა თავის თავს ყველა წყებურტს, ზნეობრივი და ფიზიკური აზრითაც კი, იმისდა მიხედვით, რომელ კომპანიაში იმყოფებოდა“.

ყოველივე ეს ბევრად მოგვაკონებს დიდროს რამოს მისწულის დახასიათებას, მაგრამ ამათანავე არ შეიძლება არ დავინახოთ დიდროს და დოსტოვესკის პერსონაჟებს შორის არსებითი განსხვავება. რამოს მისწულისაგან განსხვავებით, პოლზუნკოვს შერჩენია ზოგიერთი კეთილშობილური თვისება. მაშინ, როდესაც რამოს მისწული, სმდიდროს, ოქროს მოპოვებას უმაღლეს მიზნად აცხადებს და გაიძახის: „...ოქრო და ოქრო: ოქრო ყველაფერია და სხვა ლანარჩენი იმის ვარჯშე — არაფერია. ამიტომ ჩემს ბავშვს თავს არ აუფლებს კარგი წესებით, რომელიც მაშინვე გადააფრწყდება, ისა სჯობია, ფულის ყადრი იცოდეს“.

პოლზუნკოვი, დოსტოვესკის სიტყვით, არც პროფესიონალური მასხარა იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არიან. მაგრამ მე ამწუნივე წევამინე, რომ ეს უცნაური ქმნილება (პოლზუნკოვი, ა. ქ.), ეს სასაცილო კაცუნა სრულიად არ იყო პროფესიონალი მასხარა. მასში კიდევ რჩებოდა კეთილშობილური რაღაც. მისი მოუსვენარება, მისი მუდმივი ავადყოფერი ნიში თავისთავზე უკვე მის სასარგებლოდ მოწმობს. მე შევჩვენებ, რომ სასახურის ვიყ-

¹ დ. დიდროს. რამოს მისწული, თარგმანი ფრანგულიდან ქ. ირემიძისა, თბილისი, 1939, გვ. 45.

² იქვე, გვ. 69.

ვის ყველა მისი სურვილი წარმოშობილი იყო უფრო კეთილი გულთ, ვიდრე მატერიალური საჭრებლობით.

სწორედ კეთილი გულის გამო იყო პოლუნკოვი „თეთნებითი მასხარა“. პოლუნკოვი წინააღმდეგობის რკალში იმყოფებოდა. იგი მასხარად გამოდიოდა — და ისიც სიამოვნებით — და იმავე დროს იტანებოდა იმის გამო, რომ თვითონ მას დასცილდნენ. ეს მასში პროტესტს ბადებდა, მაგრამ ეს გრძნობა უმაღლესე ქრებოდა. „იგი (პოლუნკოვი, — ა. ქ.) — წერს დოსტოვესკი, — სიამოვნებით რთავდნენ, რომ მასზე გზარბაირთ და უზრდელად დაეცინათ პირში, მაგრამ იმავე დროს — და მე ფიცს ვსდებ ამზე — მას გული ეწერებოდა და სტეიოდა იმ აზრის გამო, რომ მისი მსმენელები ისე ბოროტნი, გულქვიანი არიან, რომ უნარი აქვთ იცინონ არა ფაქტზე, არამედ მასზე, მთელ მის არსებაზე, გულზე, თავზე, გარეგნობაზე, მთელ მის სისხლსა და ხორცზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ამ წუთს გრძნობდა თავისი მღვდნარობის მთელ უღმინურობას, მაგრამ პროტესტი მაშინვე კედებოდა მის გულში, თუმცა ყოველთვის აუცილებლად წარმოიშვებოდა უდალესი სულგრძელობის სახით“.

გულუთობასთან ერთად პოლუნკოვის პირველ შემთხვევისთანავე შეეძლო სისაძაღვე ჩაედინა, თუ ეს ვინმესთვის საჭირო და სასიამოვნო იყო. იგი უნებმყოფოთ კაცი იყო. „ჩემი აზრით, იგი იყო, — აგრძელებს დოსტოვესკი მის დახასიათებას, — ქვეყანაზე უპატიოსნესი და უკეთილშობილესი კაცი, მაგრამ მცირე სისუსტე აბლდა: შეეძლო სისაძაღვე ჩაედინა პირველი ბრძანებისთანავე, გულკეთილად და უანგაროდ, ილონდ კი მოყვასისაწივის ესაძამებინა. ერთი სიტყვით, იგი იყო, როგორც იტყვიან, მთლიანად ჩვარი-კაცი“.

ამასთანვე, დოსტოვესკი აღნიშნავს, რომ პოლუნკოვი თავმოყვარე და გაბედული იყო. იგი უშეშად, თავგანწირულად აძლევდა საყიდრის პასუხს მის მფარველებს, როცა ისინი მას აცოფებდნენ. „მაგრამ ეს წუთობად“, — წერს მწერალი და თან დასყენის სახით დასძენს: „მერს სიტყვით, იგი იყო წამებელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ ყველაზე უსაზრებლო და, მამასადამე, ყველაზე კომიური წამებელი“.

პოლუნკოვის შემდეგ დოსტოვესკიმ შექმნა „თეთნებითი მასხარის“ და „კომიური წამებულის“ მრავალი მხატვრული სახე. ასეთებია ვევეიკინი („სოფელი სტეპანიკოვი და მისი მოზიანდრენი“), „იოტაქვეშეთიდან ჩანაწერის“ გმირი, პარმელადოვი („დანაშაული და სასყენელი“), თედორე კარამაზოვი და კაბიტანი სნევირევი („ძმები კარამაზოვი“). ჩვენ არ შევუძლებით მათ ცალკადაც დახასიათებას, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ყველა ეს გმირ-

ბი, გარდა მათი აღნიშნული მთავარი ნიშნისა, ამა თუ იმ ფორმით და ზომით იტანებენ წინააღმდეგობრივი, „გახლებილი“ სხვა ნიშნებსაც.

ჩვენ არ ვიცით დანამდელებით, იცნობდა თუ არა, და თუ იცნობდა, როდის გაეცნო დოსტოვესკი ჰეგელისეულ დახასიათებას „გახლებილი ცნობიერებისას“ და, ამასთან, დ. დიდროს „ჩამოს მძისწულს“ შეფასებას, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ განსაკუთრებულ ინტერესს, რომელსაც მწერალი იჩენდა ჰეგელისადმი, უნდა ვიფიქროთ, რომ მან ყოველივე ეს იცოდა. ასეა თუ ისე, ცხადია, რომ დოსტოვესკიმ განავითარა და გააღრმავა დიდროს მიერ „ჩამოს მძისწულს“ სახით მოცემული ფსიქოლოგიური დახასიათება და ანალიზი იმ რთული, წინააღმდეგობრივი ცნობიერებისა, რომელსაც ჰეგელმა „გახლებილი ცნობიერება“ უწოდა.

ჰეგელთან, და სავითოდ სხვა რომელიმე ფილოსოფოსთან თ. დოსტოვესკის დამოუკიდებულების კვლევის დროს, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტობა. ჯერ ერთი — დოსტოვესკის გმირები, ისე როგორც, ყოველი დიდ მწერლის გმირები, ცოცხალი, ცხოვრებისეული და მრავალფეროვანი ლიტერატურული სახეებია და არა მშრალი რუმპალებია ამა თუ იმ ფილოსოფიური მოძღვრებისა და სისტემისა. მეორე — თვით მწერლის ფილოსოფიური ნიჟის და აზროვნების თავისებურება. დოსტოვესკის ამ თვისების მეტად მნიშვნელოვან დახასიათებას აძლევს ფილოსოფოსი (მემარჯვენე ჰეგელიანელი) და ლიტერატურული კრიტიკოსი ი. სტრახოვი, რომელიც დაახლოებულ იყო დოსტოვესკისთან და მასთან მრავალი ფილოსოფიური საუბარი ჰქონია. იგონებს რა თავის საუბარს მწერალთან, იგი წერს: „ჩვენი საუბრები დაუსრულებელი იყო. ეს საუბრები საუკეთესო საუბრები იყო, რომლებიც მე წილად მხედომია ცხოვრებაში... მათი (საუბრების. ა. ქ.) მთავარი საგანი, რა თქმა უნდა, საერთალო საქმეები იყო, მაგრამ ამის გარდა საუბარი ეხებოდა ყოველგვარ თემას, ძალიან ხშირად ყველაზე განყენებულ საკითხებს. თედორე მიხეილის ძეს უყვარდა ეს საკითხები ნიეთაა არსებაზე, ცოდნის საზღვარზე, და მახსოვს როგორ ერთობოდა იგი როცა მე მის მსჯელობას ვუყენებდი სხვადასხვა შეხედულებებს ფილოსოფოსებისას, რომლებიც ჩვენთვის ფილოსოფიის ისტორიიდან ცნობილია, ირკვეოდა, რომ ახლის მოგება ძნელია, და იგი ზუმრობდა და ერთ-

ბოდა, როდესაც მისი აზრები ამა თუ იმ დიდ მოაზროვნეს ემთხვეოდა“.

სტრახოვის ეს მოკონება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ იგი საფუძველს აულის ყოველგვარ ედვს დოსტოევსკი მიეჩინათ ფილოსოფიაში რომელიმე ცალკეულ გამოჩენილი ფილოსოფოსის უშუალო მიმდევრად და მის არამც თუ მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ თვით პუბლიცისტურ და კრიტიკულ ნაწერებში, ვეძიოთ მათი პარადაიზი გაელენა და გამოხატულება. თ. დოსტოევსკი, როგორც ყოველივე კემშირიტად დიდი მოაზროვნე მწერალი, იყო არა პასიური ამთვისებული და გამოშასხველი სხვისი ფილოსოფიური შეხედულებებისა, არამედ ორიგინალური მოაზროვნე-მხატვარი, რომელიც სხვის, ამა თუ იმ ფილოსოფიურ იდეას შემოქმედებითად ითვისებდა, ანეითარებდა და თავისებური მხატვრული ფორმით გამოისახავდა. ამ გავებით, დოსტოევსკის შესახებ შეიძლება ითქვას, ის, რასაც საფრთოდ გენოსებზე იტყვიან ზოლმე, რომ იგი სხვისგან თავისას იღებდა.

ეს რა თქმა უნდა, არ ამცირებს ინტერესს და მნიშვნელობას გამოვიკვლიოთ დოსტოევსკის დამოკიდებულება ამა თუ იმ ფილოსოფოსთან.

თ. დოსტოევსკი მთავარ ყურადღებას აქცევდა აწმყოს, რომელიც მას წარმოადგენილი ჰქონდა, როგორც წინააღმდეგობით აღსავსე და გარდასავალი. იგი მიზნად ისახავდა დეუბატა ეს სინამდვილე, ქაოსური მდგომარეობა, შფოთიანი ძიება და ბრძოლა. იგი ეძებდა თუ როგორ და რა სახით ვლინდებოდა მიმდინარე სინამდვილეში მარადიული, ზოგადსაკაცობრიო საკითხები — ცხოვრების აზრი და მომავალი, აღამიანის ბუნება და დანიშნულება, სიკეთე და ბოროტება, რწმენა და ურწმუნოება, სილამაზე და სიმამინჯე და ა. შ. მწერალმა კარგად იყო-

და, თუ რა სიძინელსთან და წინააღმდეგობასთან იყო ეს დაკავშირებული, მაგრამ უკრ იმდენად იყო გამსჭვალული ამ ცოდნით, რომ ეს და მასთან დაკავშირებული შესაძლებელი შეცდომები არ ბორკავდნენ მას. აი, რას წერდა იგი რომან „მოზარდი“-ს დასკვნაში: „სამეშაო არაკეთილშობილია და ლამაზ ფორმას მოკლებული. და ეს ტიპებიც კი, ყოველ შემთხვევაში, — მიმდინარე საქმეა და ამიტომ არ შეიძლება მხატვრულად სრულყოფილი იყვნენ. შესაძლებელია მნიშვნელოვანი შეცდომები, შესაძლებელია გადამეტებანი, წინდაუხედაობანი. ყოველ შემთხვევაში, მოგვიხდებოდა ძალზე ბევრის გამოცნობა. მაგრამ რა ქნას, მწერალმა რომელსაც არ სურს წეროს მხოლოდ ერთი ისტორიული სახით და შეპყრობილი მიმდინარე სევიდოჲ გამოიცნოს და... შეცდომ“.

დომიტრი კარამაზოვის დებულება, რომ „სილამაზეში ნაპირები ერთდებთან, ყველა წინააღმდეგობანი ერთად ცხოვრობენ“, ეს თვით დოსტოევსკის დებულებაა და მას მწერალი არა მარტო სილამაზეზე, არამედ მთელ ცხოვრებაზე და კაცობრიობაზე ავრცელებდა ამასთან დოსტოევსკის დევიზი იყო: „ყველაფერი შინაგან მოქმედებაში უნდა იყოს გამომკლავებული“. მწერლის რომანებში იდეების დამძებლი და კატასტროფული შეჯახება და უღმობილი ბრძოლა გაშლილი. აქედან დოსტოევსკის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი და თავისებურებაა: ცხოვრებაში და აღამიანის ცნობიერებაში, მოქმედებაში წინააღმდეგობის გამომკლავება და ამ წინააღმდეგობის მთელი სიმამფრით და შეუპოვრობით ჩვენება. ყოველივე ეს ახლოვებს დოსტოევსკის პეველთან და ამ მიმართულებით შეიძლება ვეძიოთ მათ შორის საერთო რაჲ. ამაზე შორს წასვლა, ვდებქრობთ, წაშლის იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს დოსტოევსკისა და პეველს შორის.

პროკოპი რაზინი

ერთხელ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობაზე

საქმე ისაა, რომ ჩვენი კრიტიკოსები, როგორც ნ. შოშიაშვილი, ისე ვანსაყუთრებით ს. ყაუხჩიშვილი და მისი თანამოაზრენი, — ძალიან დაუფიქრებლად და ზერელედ მსჯელობენ ქრისტიანულ რელიგიასთან ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხზე და ცდილობენ გასწავლონ, როგორ უნდა გვესმოდეს დიდი მწერლის შეხედულებაში ჭარბული ეკლესიის ისტორიულ როლზე. ნ. შოშიაშვილი რიხიანად აცხადებს, „ჩვენ საესებით დამაჯერებლად მიგვაჩინია... ა. ბარამაძის დასაბუთება იმისა, რომ 1667 სტრაფი ინტერპოლაციათა“ და ირონიულად გადმოსცემს ჩვენს ნარკვევში ი. ჭავჭავაძის შესახებ წარმოდგენილ მსჯელობას; კრიტიკოსი ვერ ამჩნევს იმ სიახლოვეს, რომელიც ქრისტიანობაზე რუსთველისა და ი. ჭავჭავაძის შეხედულებებში შეიმჩნევა, რის გამო არაფერად აგდებს ნარკვევში წარმოდგენილ სათანადო ანალიზებს და თავს ირონობს უკბილო ოხუნჯობით იმის თაობაზე, თუ რანაირად შეიძლება სასულიერო პირებზე „გლახის ნაამბობში“ გატარებული იდეა ვეფხისტყაოსნის „ეთაღლიკოს-მაწვევერელის“ იდეას დაუკავშირდეს (გვ. 167).

ავტორის მიელი მსჯელობა ამ საკითხზე, სამწუხაროდ, უპასუხისმგებლობისა და მოუჩიდებლობის იშვიათი ნიმუშია. მაგრამ კიდევ უფრო შეუწყურებელია ს. ყაუხჩიშვილისა და მისი თანამოაზრეების თვალსაზრისი, რომელიც სრულად ყალბ წარმოდგენას ქმნის ჭარბულ ეკლესიასთან ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულებაზე. კრიტიკოსები ბრძანებენ:

„პ. რატიანის აზრით, რუსთაველმა მიზნად დაისახა არა მარტო „საღვთო“, არამედ საერთო სამსახურად და არა მარტო XII ს. შოხროვანე, არამედ თითქოს ილია ჭავჭავაძემ თურმე ასევე იქცეოდა.

გავიხსენოთ, რომ პ. რატიანის ნაშრომებში ილია ჭავჭავაძე დახასიათებულია როგორც რევოლუციონერ-დემოკრატი, ახლა კი ამას ემატება ახალი „ნიუანსი“ — რელიგიისა და ერის ინტერესების შეთავსება. პ. რატიანი იმყოფება ვახტანგ მეექვსის გავლენის ქვეშ, რომელიც ცდილობდა ვეფხისტყაოსანი კლერიკალთათვის მისაღებ ნაწარმოებად დაეხატა, რომ თითქოს იგი „საღვთო სწავლა“ იყო და მისი ავტორი „საიქით ცხოვრებაზე ოცნებობდა“. რატიანი იმეორებს აგრეთვე პ. იოსელიანის აზრსაც, რომელიც რუსთაველს „სასულიერო განწყობილების მწიბრად თვლიდა“ (გვ. 155).

კიბულობ ამ სტრატეგიებს და ვიცვირს, სადამდე მიდის, ზოგჯერ, პოლემიკის ტინით გატაცებულ ავტორთა კანდიდებები და ზერელობა!

პატივცემულ კრიტიკოსებს ი. ჭავჭავაძის შეხედულებათა მეცნიერული შესწავლისათვის თავი რომ შეეწყუხებიათ, ან კიდევ, ერთხელ მაინც გადაეცლით თვალი იმ ნაშრომებისათვის, რომლებსაც ასე აგდებულად და ბატონკაცურად იხსენიებენ, უთუოდ ეცოდინებოდით, რომ ი. ჭავჭავაძის დახასიათება როგორც რევოლუციონერ-დემოკრატისა არა თუ არ გამოირიყხავს, არამედ ორგანიზულად ვულისხმობს ამ დიდი მოაზროვნის შიგარბ ჭარბული ეკლესიის ისტორიული როლის ისეთ გაგებას, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ გაგებასთან ძალიან ახლოსაა, ხოლო ჩვენი კრიტიკოსების ვულგარული თვალსაზრისისაგან ძალიან შორსაა; მაშასადამე, ი. ჭავჭავაძის იმ დახასიათებას, რომელიც ჩვენს ადრინდელ ნაშრომებშია წარმოდგენილი, ახლა რაიმე ახალი „ნიუანსი“ კი არ ემატება, არამედ ჩვენი კრიტიკოსების საკვირველი ზერელობა ერთხელ კიდევ დასტურდება.

ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ

ჩვენს კრიტიკოსებს ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაზე, საერთოდ, სწორი წარმოდგენა არა აქვთ და ამ დიდი მოაზროვნის შემკვიდრებობას სათანადოდ ვერ აფასებენ; ამიტომ არც იმის გაგება შეუძლიათ, თუ როგორ ესმოდა ი. ჭავჭავაძეს ქართული ეკლესიის ისტორიული როლი და არც იმისა, თუ რა სიხალვე და კავშირი არსებობს შოთა რუსთველსა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ შეხედულებებს შორის.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ყალბად და არასწორად ესმით ჩვენს კრიტიკოსებს ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობა-აზროვნების ისტორიული მნიშვნელობა, თავს ნებას მივცემთ მოვიტანოთ შერტად დამახასიათებელი ამონაწერი ერთ-ერთი ჩვენი კრიტიკოსის (ს. ყაუხჩიშვილის თანამაზრის) ნაშრომიდან, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც ყურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა. მხედველობაში გვაქვს პროფ. ი. მეგრელიძის სტატია „სამოციანელების ლაწლი რუსთველოლოგიაში“, სადაც სიტყვა-სიტყვით ნათქვამია შემდეგა:

„უკვდავი ვეფხისტყაოსნის შინაარსის თაობაზე სწულმდებლად წოდებულმა ვახტანგ მეექვსემ გამოთქვა აზრი: „საარსშიდ ეს ამბავი არსად იპოვება“, ლეკსიც რუსთაველს „გაუკეთებია და ამბავიცა“.

ვახტანგის შემდეგ თეიმურაზ ბატონიშვილი, მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი, პლატონ იოსელიანი და ჩვენი სამოციანელები — ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები (გ. წყნაძე, ი. ნიკოლაძე...) ვეფხისტყაოსნის პოეტლარიზაციასა და კლდე-იმების ისტორიულ-ფრაგმენტული ინტერპრეტაციით აწარმოებდნენ.

აღ. ბახანაშვილმა რუსთაველის პოემის სიუჟეტის წარმოშობის ხასიათზე ახალი თვალსაზრისი წამოაყენა, — პოეტმა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არსებული თქმულები იხარგებლათ, — მაგრამ მეთოდოლოგიითა და კონცეფციით ისიც ვახტანგისა და ბროსე-ჩუბინაშვილის თვალსაზრისს ავითარებს. ამიტომ დრო ვახტანგ მეექვსის (1712) ნიკო მარამდე რუსთველოლოგიის განვითარების პირველ ეტაპად ითვლება მეცნიერებაში.

ამ დარგის მეორე ახალი ეტაპი ოთხმოცდაათიანი წლებში „ქართველოლოგ ნიკო მართი იწყება...“ ქართული ტექსტოლოგიის ნამდვილ მეცნიერულ პრინციპებზე დაყრდნობის ვარდა ნ. შაბი საყოხების შესწავლაში გასცილდა ქართულ ისტორიულ-ლიტერატურულ ფარგლებს, სათანადო ქართული პრობლემებისა და საყოხების შესწავლა მსოფლიო ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებს დაუკავშირა“.

ჩვენი აზრით, ამაზე მეტი დაუფასებლობა

არა მარტო ი. ჭავჭავაძის მეცნიერებისა, არამედ მთლიანად მეცნიერული საუფროსის ქართული დემოკრატიული აზროვნების წინაშე მოწინააღმდეგეობის, ყოველად წარმოუდგენელად

აეტორის მსჯელობიდან გამოდის, რომ რუსთველოლოგიაში ნამდვილი მეცნიერული ეტაპი შეუქმნია მხოლოდ ნიკო მარს, რომელსაც რუსთველოლოგია „მსოფლიო პრობლემებთან“ დაუკავშირებია. დანარჩენი ქართველ მოაზროვნეებს კი — ვახტანგ მეექვსისა და წყნაძე ნიკო მარამდე, და შემდეგაც, — არაფერი მეცნიერული არ შეუქმნიათ, მხოლოდ ერთი ადვილი ეტაპებითა და საქართველოს „ისტორიულ-ლიტერატურულ ფარგლებს“ ვერ გასცილებნენ; მისხადაც, ნ. მარის „ეკლექტიკურ-კოსმოპოლიტიკური თეორიები, რომელთა მიხედვით არც ვეფხისტყაოსანს და არც მის აეტორს არაფერი ქართული არ სცხიათ, თუმცა, ნამდვილი მეცნიერება ყოფილა, ხოლო სახელოდან თერგდალეულთა და დანარჩენ ქართველ მოღვაწეთა აზროვნება, რომელიც საქართველოს რეალურ-ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს ეყრდნობა, დაბალი საფეხურის, პრიმიტიული და არამეცნიერული აზროვნება ყოფილა!

აეტორის მსჯელობიდან გამოდის, აგრეთვე, რომ თითქმის არავითარი ვანსხავებები არ ყოფილა, ერთი მხრივ, გვიანდელი დღის ხანის ქართულ ისტორიოგრაფიასა და, მეორე მხრივ, 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულებების ისტორიოგრაფიას შორის ამიტომ რუსთველოლოგიური პრობლემების შესწავლას, თუმცა, ერთნაირი „მეთოდოლოგიითა და კონცეფციით“ უღკვეთდნენ ვახტანგ მეფემ და ილია ჭავჭავაძემ, თეიმურაზ ბატონიშვილიც და აკაკი წყნაძეც, დავით ჩუბინაშვილიც და ნიკო ნიკოლაძეც... ვისაც სურს, დააჭეროს!

აეტორის მსჯელობიდან გამოდის, დაბოლოს, რომ ქართული ისტორიული მეცნიერებისა და რუსთველოლოგიის ისეთი შესანიშნავი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ: დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ცაგარელი, მისი ჯანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და მრავალი სხვა, რომლებიც რუსთველოლოგიის პრობლემების შესწავლას „ისტორიულ-ეროვნულ ინტერპრეტაციით“ აწარმოებდნენ, სხენების ღირსიც არ ყოფილან!

ახეთია ნ. მარის ერთ-ერთი მეზობლის თვალსაზრისის რუსთველოლოგიის წინსვლის ეტაპებსა და ამ მეცნიერების განვითარებაში თერგდალეულების, კერძოდ კი ი. ჭავჭავაძის ღვაწლზე, ჩვენი კრიტიკოსები სწორედ ამ, ყოველად უნიადგო, თვალსაზრისზე დაყრდნობით ედილობენ, ჯერ ერთი, ქართულ ეკლესიასთან ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულების „წინაშე“ გვასწავლან, ხოლო მეორეც, —

1 „მნათობი“, 1966, №7, გვ. 135.

ბრალად დაგედონ, ვახტანგ მეფის თუ პლატონ იოსელიანის გავლენის ქვეშ იმყოფებით.

ჩვენ არ ვიცით, გამოდგებიან თუ არა სხვის მასწავლებლებად მკვლევარები, რომლებიც ვახტანგ მეფის მსოფლმხედველობას ახლა ქავეჯაიძის მსოფლმხედველობისაგან ვერ არჩევენ, მაგრამ ეს კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ: ვახტანგ მეფეც, რომელიც ამტკიცებდა, ეფესისტყაოსნის სიუფეტე სპარსული კი არა, ქართულიაო, და პლატონ იოსელიანიც, რომელიც ეფესისტყაოსნის ავტორს ქრისტიანად და „სასულიერო განწყობილების მწერლად“ მიიჩნევდა, რეალურ ფაქტებს ვერაზნობდნენ და ცამდე მართალი იყვნენ, ხოლო ნ. შარი და მისი მოწოდებები, რომლებმაც ეფესისტყაოსნის ჭრტ ქართული სული გამოაყენეს და უცხო კულტურის ნაყოფად მიიჩნიეს, ხოლო ახლა სერთ ქრისტიანობისაგანაც მკვეთრად გამოიყნოსნ, — ალბათ იმიტომ, რომ ცვლავ მუსულმანურ სამყაროს დაუბრუნონ, — რუსთველოლოგიაში ახალი, ნამდვილად მეორეხარული ეტაპის შემქმნელები კი არ არიან, არამედ ამ შევნიერების შემფერხებლები და სწორი გზიდან ამცდენები ბრძანდებიან.

რაც შეეხება ილია ქავეჯაიძეს და მის თანამებრძოლებს, ისინი არა მარტო დიდი მწერლები და მოაზროვნენ იყვნენ, არამედ — გამოთვლილი რეჟოლუციონერ-დემოკრატებიც, რომელთა შეხედულებები ბევრ საკითხში მკიდროდ დაუახლოვდა თანამედროვე მეცნიერულ თეორიას — მარქსიზმ-ლენინიზმს. ჩვენს კრიტიკოსებს ჰგონიათ, რაღაც ილია ქავეჯაიძე რეჟოლუციონერ-დემოკრატი იყო, ქართული ეკლესია მას უფროდ ერთ მთლიან რეაქციულ ბანაკად უნდა მიეჩნია და მთელი მისი წარსული წვევა-კრულეით მოესხენებია, მაგრამ ეს სამწუხაროდ გაუგებრობაა.

ყოველმა მკვლევარმა, რომელიც ღიბსია ამ სახელისა, იცის, რომ ი. ქავეჯაიძე, სწორედ იმიტომ, რომ რეჟოლუციონერ-დემოკრატი იყო, უადრესად მაღალ შეფასებას აძლევდა ქართული ეკლესიის იმ პროგრესულ მოღვაწეთა დეაქსს, რომლებიც თავგამოდებით იბრძოდნენ ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის, ქართული კულტურის წინსვლისათვის, ქართველობის შენარჩუნებისათვის. ილიას, სწორედ ისევე როგორც იგი, ჯავახიშვილს, მიაჩნდა, რომ ქრისტიანობას, ქართულ ეკლესიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის დაყვანისათვის, მისი ეონაობის, ენისა და ტერიტორიის შენარჩუნებისათვის.

მკვს ვარაუდია, რომ დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე ილია ქავეჯაიძე ისევე ვერად ზედადეა საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობისა და სასულიერო წოდების მოწინავე ნაწილს პროგრესულ როლს, როგორც

მას ზედადეა დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი: ერთიც და მეორეც შორის იყვნენ ქართული ეკლესიის როლის იმ უწყურად-სოციალიზაციური გავრცობისაგან, რომელსაც ჩვენი კრიტიკოსები ვეთავაზობენ.

ასეთია ეფესისტყაოსნის ე. წ. „რელიგიურ-ალმსარებლობითი“ სტროფების სწორი გავება; ასეთია ქართული ეკლესიის ისტორიულ როლზე ი. ქავეჯაიძის ნამდვილი შეხედულება.

შესამე ხაკაშია, რომელიც ჩვენ უნდა განვიხილოთ, ესაა ეფესისტყაოსნის ავტორის მეჭურჭლეთუხუცესობის საკითხი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში ჩვენი კრიტიკოსები ერთსლოენი არ ბრძანდებიან: ნ. შოშიაშვილი (ისევე, როგორც ალ. ბარამიძე) მეჭურჭლეთუხუცესად ეფესისტყაოსნის ავტორის ყოფნას დამტკიცებულ ფაქტად სთვლის, იღონდ მიაჩნია, რომ ამ თანამდებობაზე არ შეიძლებოდა სასულიერო პირის დაენიშნათ; ს. ყუბნიშვილისა და მისი კოლეგების აზრით კი მეჭურჭლეთუხუცესად არა თუ სასულიერო პირის, არამედ საერო პირის დანიშვნაც წარმოუდგენელია.

ზემოთ ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ბარამიძე-შოშიაშვილის თვალსაზრისი სრულიად უნდადგოა, რადგან უდავო ფაქტია, რომ ფეოდალურ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიც, საერო თანამდებობაზე სასულიერო პირთა დანიშვნა ჩვეულებრივი ამბავი იყო; ზემოთ ჩვენ ვნახეთ, აგრეთვე, რომ ნ. შოშიაშვილის ახალი „აღმოჩენა“, რომელიც პატრიარქს, როგორც საერო სამთავრო ტიტულის უარყოფას ცდილობდა, ქვიშაზე აგებული აღმოჩნდა; ამიტომ ნ. შოშიაშვილის თვალსაზრისზე აქ აღარ შეეჩირდებით და პირდაპირ გადავალთ ს. ყუბნიშვილისა და მისი კოლეგების თვალსაზრისის განხილვაზე, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი კრიტიკოსების თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპების გასაგებად.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ს. ყუბნიშვილი და მისი თანამაზრდენი ცდილობენ, არ დაარღვიონ სოლიდარობა ალ. ბარამიძესა და ნ. შოშიაშვილთან, რისთვისაც თავიანთ განსხვავებულ თვალსაზრისს განზრახ ძალიან ბუნდოვნად და თანაც გაკვირთ გადმოსცემენ. აი მათი სიტყვები:

„ყველვის ასეთი ხერხებით აღჭურვილი პ. რატიანი, მბლისდამბოლს, ჩიხში მოემწყვდა. წერილში იგი თითქოს ცდილობს როგორმე შეაბავოს ერთმანეთს რუსთაველი — ერისკაცი და რუსთაველი ეპისკოპოსი, რისთვისაც საოცარ მანიპულაციებს მიმართავს და დიდ პირებს შეთავსებით საშუალებას ურღვევს, აღიდი ჩანავს“ მრედელმოვაყარი, ერისთავ-ეპისკოპოსი, მეჭურჭლეთუხუცესი და ეპისკოპოსი ერთად (ალბათ ვაზირთა უპირველესის — კეონდიდელ-მწიგნობარ-უბუტეისის

— ანალოგიით) და სხვ. ავტორის ისრა დაბრუნება თქვას, რომ ქართული სახელმწიფოს ყველა ეპიკრიტიკის ეპოქის, რომ ეს სახელმწიფო თურმე გელსის დაუპყრია და არა პირაქით.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს შორსაა მეტონერებისაგან (გვ. 154).

ჩვენ ამ არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ მთელი ეს ამონაწერი ტენდენციური და დემოგოგური მსჯელობის იშვიათი ნიმუშია, — არაფერს ვიტყვი იმიტომ, რომ დარწმუნებული ვართ, მკითხველი ამას უჩვეულოდ შეამჩნევს; ჩვენ მხოლოდ გვინდა, მკითხველმა ყურადღება მიამართოს იმ ფაქტს, რომ პატივემულ კრიტიკოსებს ყოველ შემთხვევაში მოაჩნიათ, დიდ პოეტს „შეთავსებითი სამუშაო“ ჰქონოდა და ლექსების წერის გარდა, რამე სხვა საქმეც ეკეთებოდა. მაგრამ რატომ, ან რა მისაზრებით გამოირჩევიან ისინი იმის შესაძლებლობას, რომ პოეტს, პოეტობის გარდა, სხვა საქმეც ეკეთებოდა?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას გავიადვილებთ ერთ-ერთი ჩვენი კრიტიკოსის, ს. უფრონიშვილის თანამაზრის, პროფ. მ. ლუმაბაძის წერილი „საქართველოს ისტორიული სინამდვილე და შოთა რუსთაველი“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ რუსთაველის დაბადების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში დაიბეჭდა. ამ წერილში ნათქვამია:

„რუსთაველის ეიანობაზე მსჯელობისას... გასათვლისწინებელია ისიც, თუ რამდენად ასატანი უნდა ყოფილიყო ასეთი „შეთავსებითი-სამუშაო“ (ე. ი. მეჭურჭლეთუხუცესობა. — ბ. რ.) დიდი ჰუმანისტისათვის, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები და ძირითადი ენერჯია ცოდნის გამდიდრებასა და ეფეხისტკაოსის შევლია...

ალბათ წარმოდგენილი იქნებოდა ისეთი მეჭურჭლეთუხუცესი, რომელიც სამეფო სიმდიდრის დაგროვების ნაცვალად ქადაგებდა: „უხვად ვასცემდი, ზღაპარსაც ვესმის და გავდივარის“... „რასაც ვასცემ შენია, რას არა, დაკარგულია“... რუსთაველის შემოქმედება და მეჭურჭლეთუხუცესობა ერთიმეორეს ვერ ეთავსება“.

ეს არის ჩვენი კრიტიკოსების თვალსაზრისის მთელი საბუთიანობა. მაშასადამე, კრიტიკოსების აზრით, ეფეხისტკაოსის ავტორისათვის „აუტანელი იქნებოდა“ მეჭურჭლეთუხუცესობა (და, მით უმეტეს, ეპიკრიტიკის) მოვალეობის შესრულება, რადგან: ვერ ერთი, — მთელი თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები და ძირითადი ენერჯია მან ცოდნის გამდიდრებას და ეფეხისტკაოსის შევლია“ და სად ეკალა მეჭურჭლეთუხუცესობისათვის — მეორე,

— ქონების დაგროვების მაგიერ, ის დალოცვილი, „უხვად ვაცემს“ ქადაგებდა და ასეთი აზრების კაცი წარმოდგენილია მეჭურჭლეთუხუცესად დაინშნათ, — წარმოდგენილი იმიტომ, რომ ის სახელმწიფო ქონებას მთლად ერთიანად ვაფლანგავდა და გაანიაგებდა!

აი, ასეთი მარტივი მსჯელობით ცდილობენ პატივემული კრიტიკოსები რუსთაველისათვის ერთ-ერთი უბრაულები საკითხის გადაწყვეტას. მათი პოზიციისათვის განსაკუთრებული დამახასიათებელია პატივემულ მ. ლუმაბაძის მოსაზრება, „უხვად ვაცემს“ შეადაგებული მეჭურჭლეთუხუცესად არ იგარგებდა, რადგან ეს მოსაზრება ამკარად გვიჩვენებს, რომ ჩვენს კრიტიკოსებს არც ეფეხისტკაოსის ძირითად იდეებზე გაანინათ სწორი წარმოდგენა და არც ფეოდალური წყობილების შინაბუნებაზე.

ცნობილია, რომ „უხვად ვაცემს“ იდეა წითელ ზოლად გასდევს არა მარტო ეფეხისტკაოსის, არამედ შუასაუკუნეების მთელ ლიტერატურას. მაგალითად, დავითისა და თამარის ისტორიკოსები თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დავით აღმაშენებელმა „მშეებარ მოქონია წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყნისათაო“¹; მას „წყალობა გასახათა ესეოდენი აქუნდა, ევდრემლის აღესო ზედა და კმელი ქველის საქმე მისმინაო“² ან კიდევ: „დაცა ცხებული ღმრთისა თამარ... სიუხვითა მით მშეებრითაო“³; „თამარ მშეებარ უხუ იყო“... და ა. შ.

რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ შუასაუკუნეების შერატობი და ისტორიკოსები ასე დაეინებოდნენ და ხაზგასმით ლაპარაკობენ მეფეთა სიუხვზე და „უხვად ვაცემზე“? ნუთუ ყველა იმდროინდელი შერალი და ისტორიკოსი სახელმწიფო ქონების ვაფლანგვა-განიაგებას ქადაგებდა? რა საყარისია, ბატონებო! ყოველმა ისტორიკოსმა იცის, — ვარდა, როგორც ჩანს, ჩვენი კრიტიკოსებისა, — რომ სიუხვე, ვაცემა, ბოძება — ფეოდალური საზოგადოების შინაბუნებას გამოხატავს და ამ საზოგადოების დამახასიათებელი თვისებია. „უხვი ახსნილსა დაბაჰს“, — იმიტომ, რომ ბატონის (სენიორის) სხვა საშუალებით არ შეუძლია თვისუფალი („ახსნილი“) კაცის „დაბაჰა“. „უხვად ვაცემს“ იდეა განსაკუთრებით მკაფიოდ და კლასიკური ფორმით გამოთქმული აქვს რუსთაველს ფორმლით: „რასაც ვასცემ შენია, რას არა, დაკარგულიაო“; ამ უკვლავ სიტყვებში ფეოდალური საზოგადოების მთელი არსი, ამ საზოგადოების ნამდვილი კრებოა გადმოცემული. იმდროინდელი სიუხვე თვით

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 329
² იქვე, გვ. 352
³ იქვე, II, გვ. 32
⁴ იქვე, გვ. 75.

¹ კრებული „საქართველოს ხანაში“, 1966, გვ. 28-30.

ფეოდალური ეპოქის შინაბუნებრიდან გამომდინარეობდა, რადგან ფეოდალური წყობილების ქვეყნთუხედს და მის ძირითად დამახასიათებელ თვისებას მიწის კერძო საკუთრება და ნატურალური მეურნეობა შეადგენდა. სიმდიდრე ამ დროს, როგორც წესი, ფულად კაპიტალად, დაგროვების სერიოზულ საშუალებად ჯერ კიდევ ვერ გადაიქცეოდა; მდიდარი კაცი მატერიალურ პროდუქტში და პურმარითა იყო მდიდარი, პროდუქტებს კი ვერც მეტისმეტად დააგროვებ და ვერც დიდხანს შეინახავ; აქედან: „სმა-ჭამა — დიდად შესარგი, დება რა საეარგულია? რასაცა ვსიციქმ — შენია, რას არა დაკარგულია“; ასეთი იყო ფეოდალური საზოგადოება. მამასადაძვე, გულზევი კაცო, სტუმართმოყვარე, ხელგამწილი, მოქვიფე და მოღინე — არ, ვინ იყო ფეოდალური საზოგადოების ლეილი შვილი (ეს, რა თქმა უნდა, ამას როდღ ნიშნავს, რომ იმ დროს ყველა ქვიფობდა!)

შემდეგში, როდესაც დიდგა დრო და ფეოდალური საზოგადოების ნანგრევებზე ახალი, კაპიტალური ურთიერთობა აღმოცენდა, გაჩნდა ახალი ტიპი — ბუნწი, რომელიც ფულს აგროვებს, არც სვამს, არც ჯამს, სხვისთვის კამბეს არ იმეტებს, რათა როგორმე გაიმდიდრდეს. როცა ასეთი ტიპი საქართველოშიც გაჩნდა, ქართულმა ლიტერატურამ (ვ. ერისთავი, ლ. არღვაზანი და სხვ.) იგი მაშინვე შეამჩნიო და სათანადოდ აღაბაძა.

ნათქვამიდან ცხადია, რომ შწერლები და ისტორიკოსები, — განსაკუთრებით კი ისეთი უბადლო გენიოსი, როგორც რუსთველია, — რაღაც განყენებულ, ეპოქისათვის შეუფერებელ იდეებს კი არ ქადაგებდნენ, არამედ ეპოქის სულისკეთების გამოხატავდნენ. რუსთველის სიტყვები: „მეფეთა შიგან სიხვე, ვით ეღემს აღუა რგულია, უხესა მორჩილობს ყოველი, იგიცა ვინ ორგულია“, — ნამდვილი სახელმძღვანელოა, პროგრამა იმდროინდელი მეფეებისათვის. ამის ნაცვლად რომ რუსთაველს მეფეთა სიბუნწე, ქონების დაგროვება და სხვა ამგვარი იდეები ექადაგას, ის თავისი ეპოქისაგან, ე. ი. რეალური ცხოვრებისაგან მოწყვეტილი იქნებოდა და, მამასადაძვე, აღარც გენიოსი, რუსთველი იქნებოდა.

ნათქვამიდან ცხადია, აგრეთვე, რომ ერთგანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მუქურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე კვლახისტყალისნი ავტორის დანიშვნა არა თუ წარმოდგენილი, არამედ სტრუქტურულ ბუნებრივად მისაჩნევი ამბავია, რადგან (შევიძლია დავამშვიდოთ, პატივცემული კრიტიკოსები) ეს გენიოსი არა თუ არ განაიყვება სახელმწიფო ქონებას და დაანგრევდა სახელმწიფოს, არამედ კიდევ უფრო გაამარჯვებდა მსუენებელ ქონებას და გააძლიერებდა ქართულ სახელმწიფოს, და ამას მოახდენდა სწორედ „უხეაღ

გაცემის“ გზით, რადგან „უხეად გაცემა“ გმლისხმობს „უხეად მიღებასაც“ („სტრუქტურა შესდის და გაედინების“) და „ახსნილია“ და „ორგულია“ დამბა-დამორჩილებასაც.

რაც შეეხება ჩვენი კრიტიკოსების აზრს, დიდი პუშკინიტი ვერ მოიცილდა ისეთი „შეთავსებითი“ სამშუაოსათვის, როგორც მექურჭლეთუხუცესობა, რადგან მუდოი თავისი სიტყვებით „ოცდნის გამდიდრებასა და ვეფხისტყაოსანს“ შეაღიოთ, — ჩვენ ეს აზრიც უსაფუძვლოდ გვეჩვენება. ჯერ ერთი, საიდან უნდა გამდიდრებინა პოეტს თავისი ცოდნა და გამოცდილება, თუკი თავისი ღირსი საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებდა? მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, ვინა ქვეყნებრებაზე მოთხოვნა ისეთი პოეტი, რომელსაც პოეტობის მეტი არაფერი ვეყოლებოდა? ვთქვა თუქვია მთელი სიტყვებელ მიწას წნავდა და, თითქოს, სად ეცალა პოეტიისათვის, მაგრამ გენიალური ლექსები და პოემები შექმნა, როგორ მოხდა?

გენიოსებზე არ შეიძლება ისე მსჯელობა, როგორც დიდ ისტორიულ პიროვნებებზე, ჰეგელის სიტყვით, „ფსიქოლოგიური კამერდინერები“ მსჯელობენ, მაგრამ რა ვაქვინა? თუქმა, ჯერ არც ერთი დიდი ისტორიული პიროვნება არ დარჩენილა „ფსიქოლოგიური კამერდინერების“ მომსახურების გარეშე და რა ვასაკვირია, რომ შათ „მომსახურებას“ ჯერც ჩვენი რუსთველი ვადაურჩა!

დამოლოს, მეოთხედ საკითხი, რომელიც ჩვენ უნდა ვანიხილოთ, ესაა თეიმურაზ ბაგრატიონის კონცეფციის შეფასების საკითხი. ამ საკითხზე ჩვენს ნარკვევში ნათქვამია:

„თეიმურაზ პირველმა გამოაცხადა, რომ თითქოს რუსთველი იყო ვისსაცაი და თანაც არა უბრალოდ ერისყვანი, არამედ ჰერეთის პრინციის ერისთავი, თუ მთავარი, რომელიც საქართველოს ისტორიაში შთაა ეტბრის (ეუპარის) სახელით მოიხსენიება. ეს შეგუდულემა რომ ყალბია და არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს, ეს დღეს საეჭვო აღარა-ვისათვის აღარ არის, მაგრამ აქ კანონიერად წამოიჭრება კითხვა: როგორ მოხდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ არსებობა შესანიშნავმა მცოდნემ, როგორც თეიმურაზ ბაგრატიონი იყო, არ იცოდა რომ 1) რუსთავი იყო არა პეტრეთის, არამედ კუჩუბის ცენტრი? 2) რუსთავში თამარის ეპოქაში არ მდებარა და არც შეიძლებოდა მდებარეობს არც ერისთავი და არც მთავარი, რადგან ის სამეფო ქალაქი იყო და ამირსპასალარ ზაქარია მხარგრატელის მფლობელობაში იმყოფებოდა? რომ 3) რუსთავში იქნა ერთადერთი რუსთველი, რომელიც იყო სასულიერო პირი, ამ მხარის ყოფი ე-

1 Гегель, Соч., т. VIII, 1935, стр. 31.

ხეთის) მღვდელმთავარი და რომ შეუძლებელი იყო მის გვერდით იმავე სახელწოდების საერთო ხელმძღვანელი მყარდებოდა?

ყველაფერი ეს, ჩვენი ფიქრით, თეიმურაზმა შესანიშნავად იცოდა, მაგრამ თუ მაინც ზამთრისადაა ისტორიული ფაქტების აშკარად საწინააღმდეგო კონცეფცია, ეს, როგორც ჩანს, ახსნება არა ამ დიდად განსწავლული ბატონიშვილის უცოდინარობით, ან კიდევ შეცდომით, როგორც თანამედროვე მეცნიერებმა ფიქრობენ, არამედ მისი შეგნებულ სურვილით გადაეცეთებინა რუსთველის ბიოგრაფია და შეეგუებინა იგი თავისი საკუთარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნებისათვის... მის შეგნებულად გადაქცეს კუხეთის ეპიტრი, პ. რუსთავი, ჰერეთის პაროქიამში, რათა ამ ვხით დიდი რუსთველი ბაგრატიონთა რაზმს დაეუკუთროს. მართალია, თეიმურაზი ბიბლიკა არ ამბობს, რუსთველი ბაგრატიონი იყო, მაგრამ მის არ შეძლო არ სცოდნოდ, რომ ასეთი დასკვნა მისი კონცეფციიდან უკვე თავისთავად გამომდინარეობდა. („მწიგნობარი“, №2, გვ. 168-169).

ასეთია განსაზღვრული საკითხზე ჩვენი ნარკვევში წამოყენებული მოსაზრება, რომელიც იქვე სათანადოდ გვაქვს დასაბუთებული. ჩვენი საბუთიანობა ეყრდნობა ერთ მხრივ, თეიმურაზის კონცეფციის კონკრეტულ ანალიზს და ამ ანალიზს შედეგად მასში აღმოჩენილ აშკარა წინააღმდეგობებს, ხოლო მეორე მხრივ, თეიმურაზის მთავარ მიზნობრივობას იმ თავისებურებებს გათვალისწინებებს, რომელიც ამ გამოჩენილ მეცნიერს ზოგჯერ უბიძგებდა საქართველოს ისტორია „პატრიარქული თვალსაზრისით“ შეესწორებია და შეეღამაზებია.

ჩვენი კრიტიკოსებს, ჩანს, დიდი სურვილი ჰქონათ, დაერღვიათ ზემოხსენებული მოსაზრება, მაგრამ ასეთ საქმეში მართა სურვილი, როგორც ცნობილია, არ ემარტა, ამიტომ მათ, თავიანთი ჩვეულებებისამებრ, საკითხის არსებითად და ყოველმხრივ განხილვისათვის გვერდი აუვლიათ და მართა ორი უკბილო შენიშვნით დამაყოფილებულან. ამ შენიშვნებისათვის ჩვენ შეგვეძლოა სრულებით ყურადღება არ მივუქცეოთ, რადგან მათ ვფიქრობთ, რომ ისინი უარყოფა, რომ სხენებულ შენიშვნებს უფროდ გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ჩვენი პატივემული კრიტიკოსების მსოფლმხედველობის გასაგებად; ამიტომ საქმეში მთავრად მათ მოკლედ მაინც შევხებით.

პირველი შენიშვნა, რომელიც პატივემულს უახსენებია და მის კოლეგებს ეუთვნება, შეეხება თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტებაში“ რუსთველზე წარმოდგენილი დეტალური ცნობების წყაროს. ჩვენი აზრით, რუსთველზე ისეთი დაწვრილებითი ცნობები,

როგორსაც თეიმურაზი მკითხველს გვუძღვრის, მას არც ერთ წყაროში არ შეგვსო ამოკითხვა, ამიტომ ეს ცნობები ჩვენ მისი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფად მივიჩნევთ და აღუჩინებთ, რომ თეიმურაზმა დაგვიბატა ისეთი იდეალური რუსთველი, როგორც მის შეგნებულბებსა და მიზნებს უბასუხებდა. პატივემულს უახსენებია და მისი კოლეგები ამ აზრს უარყოფენ, თეიმურაზის ფანტასტიკურ ცნობებს ხალას ჰუმანიტარულ მიზნებს და ცდილობენ დაარწმუნონ მკითხველი, თეიმურაზს სანდო წყაროები გააჩნდათ. მაინც რა წყაროებზეა ლაპარაკი? მოვიხსინათ:

„პ. რატიანს, როგორც ჩანს, არ მოეხსენება, რომ თეიმურაზი რუსთველის ხალხური ბიოგრაფიის პირველი შემდგენელი იყო და მოტანილი დახასიათება (რუსთველისა) არსებითად XVII-XVIII სს. მწერლებიდან, ისევე როგორც ერეკლე II სამეფო სახლიდან, მომდინარეობდა. თეიმურაზი ერეკლეს შვილისშვილი იყო და რუსთველზე ზემორავადმოცემა მის უშუალოდ თავისი მამიდისგანაც — თველ ერეკლეს ასულისგანაც — შეგვლო მოესმინა“ (გვ. 153-154). აი, ესაა ჩვენი კრიტიკოსების მთელი საბუთიანობა, რასაც შემდეგი დასკვნა მოსდევს: „ამრიგად, პ. რატიანს მოწოდება — „დროთა უცვადალოთ თ. ბაგრატიონისა და მის მიმდევართა ზემოხსენებულ ყალბი კონცეფცია და გავათავისუფლოთ რუსთველი, ლოცა მისი უარყოფითი გავლენისაგან-ო“ — სრულიად უსაფუძვლოა“ (გვ. 154).

როგორც ვხედავთ, პატივემული კრიტიკოსები ვერ კიდევ ვერ ელყვან თეიმურაზ ბაგრატიონის უკვე ყველაფერ უარყოფილ კონცეფციას, რომლის მიხედვით რუსთავი ჰერეთის დედაქალაქად, ხოლო რუსთველი ჰერეთის ერისთავ შოთა კუპარად იყო გამოცხადებული. მაგრამ ესეც ვეიკითხოთ: რანაირად შეიძლება ამ ყოველად უნადავო კონცეფციის დაცეა მას შემდეგ, რაც თანამედროვე ისტორიკოსებმა უცილობლად დაამტკიცეს, რომ რუსთავი ჰერეთის ტერიტორიაზე არასოდეს არ მდებარეობდა? სამწუხაროდ, ჩვენი კრიტიკოსები ამ გადაწყვეტი მნიშვნელობის საკითხს გვერდს უვლიან და ისეთი „საბუთებით“ ცდილობენ, თეიმურაზის კონცეფციის დაცეას, რომლებიც სერბოზულ მკვლევარებს მხოლოდ ლიმიტს მოჰკერას. დაევიკრდეთ მათ საბუთებსა და არგუმენტებს:

ვერ ერთი, რა ლოცვაა ასეთ მსჯელობაში: „თეიმურაზი რუსთველის ხალხური ბიოგრაფიის შემდგენელი იყო და მოტანილი დახასიათება (რუსთველისა) არსებითად XVII-XVIII სს. მწერლებიდან, ისევე როგორც ერეკლე II სამეფო სახლიდან, მომდინარეობდა“? თუკი თეიმურაზმა რუსთველის ხალხური ბიოგრაფია შეადგინა და ზემორავადმოცემებს ემარტებოდა, რაღა შუაში არიან აქ XVII-

XVIII საუკუნეთა მწერლები, ან კიდევ ერეკლე მეფე და მისი საბლი? ვინ არ იყის, რომ ხალხურ ამქმულებებს ხალხში ჰკრებენ და არა მწერალთა თხზულებებში, ან მეფეთა სასახლეებში?

მეორე, რაინარად შეიძლება, რომ ხალხურ გადმოცემებსა და ლეგენდებზე აშენებული კონცეფცია მეცნიერულ კონცეფციად მივიჩინოთ მაშინ, როდესაც ეს ვარაუდებები და ლეგენდები უაზრად, ზნორად ვართმანეთის საწინააღმდეგო და ურთიერთ გამომრიცხავ ვარიანტებს შეიცავენ? თუ ხალხური გადმოცემები საქმარისია, რადა საჭირთა რუსთველოლოგიური მეცნიერება, — ხალხური ლეგენდები რუსთველის ენაობაზე ხომ მრავლად მოგვეპოვება?

მესამე, სამწუხაროა, რომ პატივეცემულ კრიტიკოსებზე მეცნიერებაში შეგოაქვთ ყურმოკრული ამბავი, თითქოს თეიმურაზს ერეკლე მეფის ქალმა, თეკლა პატონიშვილმა მიაწოდა ცნობები რუსთველის ენაობაზე. თუკი თეკლა პატონიშვილმა მართლა ასე დაწვრილებით იცოდა რუსთველის ბიოგრაფია, რაგორ მოხდა, რომ ამის შესახებ მარტო თეიმურაზს აცნობა (და ისიც საიდუმლოდ), ხოლო თეიმურაზს მრავალკაცოვანი ოჯახის დანარჩენ წევრებს, მათ შორის საკუთარ შეილებსაც, არაფერი გაუზილა? თეკლას შეილები, განსაკუთრებით ალექსანდრე და ეახტანგ ორბელიანები, ხომ მოწინავე და გამოზენილი მწერლები იყენენ, რომლებმაც მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაკვირვეს? ან კიდევ: როგორ მოხდა, რომ თვით თეიმურაზმა არც კი მოახსენია თავისი სახელოვანი მამიდა, თუკი მართლა მისგან მიიღო ასეთი ძვირფასი ცნობები რუსთველზე?

ერთი სიტყვით, რამხრავად არ უნდა განვიხილოთ ჩვენი კრიტიკოსების შენიშვნა, მაინც ცხადად ჩანს, რომ მისი საშუალებით თეიმურაზ ბაგრატიონის ყალბი კონცეფციის გადარჩენის ცდა, ყოვლად უიმედო საქმეა.

მეორე შენიშვნა, რომელიც პატივეცემულ ნ. შოშიაშვილს ეკუთვნის, თეიმურაზის იმავე ყალბი კონცეფციის დაცვას ემსახურება, ოღონდ კრიტიკოსი საბუთების მოტანით თავს არ იწუხებს და კმეოფილდება მარტო ლიტონი განცხადებებით, უფრო სწორად, ლოზუნგებით, ერთი ყრბო საკითხის, სახელდობრ, პერსიის ერისთავის გვარის ირველიფიხის სიტყვით, „პერსიის ერისთავ შოთა კუპრს არაფერი ჰქონდა საერთო ბაგრატიონთა გვართან“ (გვ. 168); „ვერც ერთი მეთხველი შოთა კუპრში ბაგრატიონს ვერ დაინახავდა“ (გვ. 169); ამიტომ პ. რატანი ტყუილად უყენებს ამდენ ბრალდებებს თეიმურაზ ბაგრატიონს შეგნებულ სიყალბეში (ავტორის სტილი დაკულია... პ. რ.); არც ბაგრატიონად გამოკავს თეიმურაზს შოთა რუსთველი და

არც მის ენისკოპოსობის ჩქმალავს, რიდვან მის ღრის საერთოდ არ მდგარა შოთას ენისკოპოსობის საკითხი“ (იქვე). **შედეგები**

სწორედ საკითხველია, რომ ჩვენი კრიტიკოსები მეცნიერული კამათის ელემენტარული წესების დაცვასაც კი საჭიროდ არ სთვლიანი რა სადავოა, მაგალითად ის აზრი, რომ თუკი კრიტიკოსს სურდა თეიმურაზის კონცეფციის დაცვა, ან, თუნდაც, იმ მოტივების გამოარკვევა, რომლებმაც ეს კონცეფცია წარმოშვა, ის მოვალე იყო მარტო შოთა კუპრზე ლოზუნგების გადმოსროლით კი არ დაემყოფილებულიყო, არამედ სადავო საკითხი არსებობად და მთლიანად განხილა და წარმოეფილეთ თავისი მოსაზრებანი, სულ მცირე, შემდეგ სამ საკითხზე: 1. იცოდა თუ არა თეიმურაზმა (ან, უფრო სწორად, შეეძლო თუ არა სკოდნოდა მას), რომ ქალაქი რუსთავი კუხეთის ცენტრი იყო და არა პერეთისა? 2. იცოდა თუ არა თეიმურაზმა, რომ თამარის ეპოქაში რუსთავში არ მდგარა, და არც შეიძლებოდა მდგარყო, არც ურისთავი და არც შთავარი, რადგან ის სამეფო ქალაქი იყო და ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის მფლობელობაში იმყოფებოდა? 3. იცოდა თუ არა თეიმურაზმა, რომ თამარის ეპოქაში რუსთავში იქდა კუხეთის მფლელმთავარი, რომელიც რუსთველის ტიტულს ატარებდა?

პატივეცემული ნ. შოშიაშვილი ამ გადამწყვეტი მნიშვნელობის კითხვებს გვერდს უვლის, ამიტომ ზვენი იძულებული ვართ თვითონ გავკეთო მათზე პასუხი.

1. იცოდა თუ არა თეიმურაზმა, რომ რუსთავი კუხეთის ცენტრი იყო და არა პერეთისა? რა თქმა უნდა, იცოდა.

ვერავინ ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი შესანიშნავად იცნობდა „ქართლის ცხოვრებას“ და, მამასადამე, არ შეიძლებოდა არ სკოდნოდა, თუ რა ეწერა ამ კრებულში რუსთავის შესახებ. გადამალით, „ქართლის ცხოვრება“ (ტ. I, გვერდები: 9, 131, 139, 316) და თქვენი დარწმუნდებით, რომ რუსთავი ვველგან კუხეთის ცენტრადაა აღიარებული (ზოგჯერ დამოუკიდებლად, ზოგჯერ კი კახეთის ფარგლებში), ხოლო პერეთის ცენტრად არხად მოხსენიებული არაა ასევე კუხეთის ცენტრად მაინცა რუსთავი ვახუშტი ბატონიშვილსაც, რომლის სახელგანთქმულ ნაშრომს თეიმურაზს, რა თქმა უნდა, მშვენიერად იცნობდა. მამასადამე, სხვა რთიმე საბუთი სრულებითაც რომ არ ჰქონოდა, მარტო „ქართლის ცხოვრება“ და ვახუშტის ნაშრომი საქმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ თეიმურაზს ისტორიული რუსთავის ნამდვილი

¹ „ილწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941, გვ. 86-87; „საქართველოს ცხოვრება“, 1913, გვ. 151.

მღებარეობა სკოდნოდა. მაშ, როგორ მოხდა, რომ მან რუსთავი კუხეთიდან პეტროში გადაიტანა? სხვა რა უნდა ვიფიქროთ, თუ არა ის, რომ სწავლულმა ბატონიშვილმა ასეთი ნაბიჯი შეგნებულად, თვისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნების შესაფერად გადადგა?

ამრიგად, სრულიად უდავოა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონმა იცოდა, რუსთავი რომ კუხეთის ცენტრი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი შეგნებულად პეტროს ცენტრად გამოაცხადა. მართლაც ეს ერთი ფაქტირად საკმარისია იმისათვის, რომ თეიმურაზის კონცეფცია ყოველგვარ საფუძვლეს მოკლებულად მივიჩნიოთ, მაგრამ ენახათ სხვა ფაქტებიც.

2. იცოდა თუ არა თეიმურაზმა, რომ თამარის ეპოქაში რუსთავში არ შეიძლებოდა რომელიმე მთავარი ან ერისთავი მჭდარიყო, რადგან ის სამეფო ქალაქი იყო და ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის მფლობელობაში იმყოფებოდა? რა თქმა უნდა იცოდა!

„ქართლის ცხოვრებაში“ შესულია თამარის პირველი ისტორიკოსის ნაშრომი, რომელშიც პირდაპირაა ნათქვამი: „მოიცეაღა გამრეკელი ამირსპასალარი და თმოგვისაგან კიდე არა და ავლეს შეიღოთ მისთა. მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მხარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპასალარისასა, მფლობელსა სომეხთა შეტვის აღვილსა, პატრონსა ღობისასა. მოუშეტეს ქალაქიცა რუსთავი მოყმესა ღობისა სპასპეტრობისასა“¹.

აქედან ცხადია, რომ სწორედ თამარ მეფის დროს, ამირსპასალარ გამრეკელის ვარდაცულების შემდეგ (1191 წელს), რუსთავი ზაქარია მხარგრძელისთვის სამფლობელოდ უბოძებოდა. მაშ, როგორღა შეიძლებოდა, რომ იმავე დროს რუსთავში, ზაქარიას ვარდა, სხვა საერო მფლობელი, ერისთავი ან მთავარი, მჭდარიყო თეიმურაზს არ შეიძლებოდა არ სკოდნოდა, რომ ასეთი რამ შეუძლებელი იყო, მაგრამ მან რეალურ ვითარებას ანგარიში არ გაუწია და თავისი მიზნების შესაბამისად გამოიგონა „რუსთველი ერისთავი“ (თუ მთავარი), რითაც პატივცემულ რუსთველოვებს, სამწუხაროდ, გვა აუზნია.

3. იცოდა თუ არა თეიმურაზმა, რომ რუსთავში მუდამ იქნა კუხეთის მფლობელთაგანი, რომელიც რუსთველის ტიტულს ატარებდა? რა თქმა უნდა, იცოდა!

ეს აშკარად ჩანს თვით მისი „განმარტებელნი“, ხალაყ ნათქვამი: „რუსთაველ არბი-ეპისკოპოსი, რომელიცა პირველად რუსთავისა ქალაქსა შინა მჭდაბა, იგი საქართველოს მეფეთა გჳმსა რუსთავეს დაქვეყეს უკანა მოუყვანათ მარტყოფში“ (გვ. 291). მაშასადამე, თეიმურაზმა იცის, რომ რუსთავში, ამ ქალაქის დანგრევაამდე (ც. ი. 1265 წლამდე), ზის არტი-

ეპისკოპოსი, რომელსაც რუსთველი ეწოდება. მაშ, როგორღა შეიძლებოდა, რომ იმავე რუსთავში მჭდარიყო საერო ხელისუფლებანი და მმართველნი რუსთველი რქმეოდა? ორი რუსთველი! ქრტიანად იღვრეს და, თანაც ორივე ხელმძღვანელი: ერთი საერო, ხოლო მეორე სასულიერო უწყებებსა? ასეთი რამ ხომ თვით ნ. შოშიაშვილის ლოცვითაც უწამოვდებოდა?

კიდევ უფრო სავერტო რუსთველი, იმავე თეიმურაზის სიტყვით, თურმე, არა მართლ სასულიერო საქმეებს განაგებდა, არამედ საერო რუსთველის საქმესაც აკეთებდა; მოუფიქროთ: „ესეცა საუწყებელი არს, რომელ რუსთველ არბიეპისკოპოსი იყო მჭდრობისაჲ წინამძღვარი და რუსთველის სასარდლო იყო სრულიად ვარუ-კახეთი“ (იქვე). კეთილი, მაგრამ თუკი სამხტრო საქმესაც სასულიერო რუსთველი განაგებდა (რაც მართლაც ასე იყო), მისი/საერო სენია რადან ავეთებდა? განაცხადი არ არის, რომ ეს „საერო რუსთველი“ თეიმურაზის გამოგონილია და მისი „ბელეტრისტული“ ნაწარმოების აშკარად ზედმეტი პერსონაჲია?

ყოველივე ზემონათქვამიდან ნათელია, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ რუსთველის ვინაობაზე შექმნილი კონცეფცია უცოდნარობისა და შეცდომის ნაყოფი კი არაა, შეგნებულად და ტენდენციურად ჩამოყალიბებული, მისი ავტორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნების შესაბამისი თვალსაზრისია.

ჩვენს კრიტიკოსებში თავს იგი გვაჩვენებენ, თითქოს, ვაკვირებულნი და შემფიქრებულნი არიან იმის გამო, რომ თეიმურაზის კონცეფცია ტენდენციური აზროვნების ნაყოფად მივიჩნევთ, რადგან ამ დიდად „ობიექტურ“ შეცნირებებს „ეფო წარმოუდგენიათ“ ტენდენციური ყოფილიყო ისეთი სერიოზული შეცნირი, როგორიც თეიმურაზ ბაგრატიონი იყო. მაგრამ რატომ ავიწყლებათ პატივცემულ შეცნირებებს ფეოდალიზმის ეპოქის ქართველ ისტორიკოსთა ტენდენციურობის მრავალი სახეადად? განა თვით სუმბატ ღვთათოს ძე, — ბაგრატიონთა გვიანეს ეს უმოთარესი მე-ისტორიკი, — აშკარად ტენდენციური არ იყო? განა იმავე თეიმურაზმა ასევე ტენდენციურად არ გააწიორა „ქართლის ცხოვრება“² ისტორიკოსის ასეთი ტენდენციურობა ანტიგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში (ზოგჯერ კი ჩვენს დროშიც) ჩვეულებრივი ამბავია.

თეიმურაზ ბაგრატიონმა რომ სწორედ შეგ-

¹ იხ. სუმბატ ღვთათოს ძის ქრონიკა, 1949, ე. თაყაიშვილის შესავალი, გვ. 13-15.

² იხ. „მეოთხმთავრო“, I, 1949, კ. ვრიგოლის ნაშრომი, გვ. 101-102.

წებულად (თანაც, ფრიალ კეთილშობილი მიზნით — პატრიოტული მოსაზრებებით) მოახდინათ რუსთველის პიროვნების იმეგობრად იდეალიზაცია, რომელიც მის საკუთარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზნებს: შეეფერებოდა, მაგრამ ისტორიულ სინამდვილეს უგვიდავლად უკმარისად, ეს დასტურდება, აგრეთვე, შემდეგი საინტერესო ფაქტით: ცნობილია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შოთა კუბარის დახასიათებულია როგორც „აბრარია ნიჭითა და ზნეთითა სიამაყითა მქონებული“. თეიმურაზს ასეთი, ყოველად დამამკირებელი დახასიათება, ცხადია, არ მოეწონებოდა, რადგან ეს დახასიათება საკლებით აქარწყლებს მის კონცეფციას, რომლის მიხედვით შოთა კუბარი (მისი აზრით, იგივე შოთა რუსთველი) იდეალური პიროვნებაა; ამიტომ მას ამ დახასიათებისათვის უფროდ გვერდი უნდა აეღო და იგი როგორმე მიეჩქმალა. და თეიმურაზი ზუსტად ასე იქცევა: „განმარტებაში“ ის „ქართლის ცხოვრების“ ამ ჩვენებას სრულიად არ ახეიწებს და მკითხველს მიუთითებს ფარსადან ვორგიჯანიძის კომპილაციურ ნაშრომზე, რომელშიც შოთა კუბარის შემოსხენებული უარყოფითი დახასიათება არ მოიხილება. რატომ დასჭირდა თეიმურაზს მიეჩქმალა ისეთი ავტორიტეტული წყაროს ჩვენება, როგორც „ქართლის ცხოვრება“ და მის ნაცვლად მიუთითება თ. ვორგიჯანიძის შედარებით მდარე ხარისხის ნაშრომზე? ცხადია, იმიტომ, რომ მას სურდა თავისი მიზნების შესაფერად გაიდევალბული რუსთველი დაეხატა, რასთველსაც არც ტენდენციურობას ერადებოდა და არც ფაქტების მიჩქმალვას.

ასეთია ერთადერთი დასკვნა, რომელიც თეიმურაზ ბაგრატიონის კონცეფციის განხილვა-ანალიზის შედეგად შეიძლება მივიღოთ, თუცა, რა თქმა უნდა, ამ კონცეფციას მიეწიურება რელიგიური-ეტიკური და მართლმადიდებლის ვადმოსტროლი არ დაეკმაყოფილებოდა.

ახლა შევეხებით საკითხს, შეიძლოა თუ არა თეიმურაზს ეფიქრა, რომ პერეთის ერისთავები ბაგრატიონები იყვნენ?

თუ ვაკეთებდით ფინიტ, ერთი მხრივ, საქართველოს ისტორიის შესწავლის იმდროინდელ დონეს, ხოლო მეორე მხრივ, ქართულ დოკუმენტურ ისტორიოგრაფიაში ვაბატონებულ თეორიის ბაგრატიონთა სამეფო გვიარს „ღვთისმშობრობის“ შესახებ, ცხადი ვახდებია, რომ თეიმურაზ ბაგრატიონს პერეთის ერისთავად, ან მთავარად, შეეძლო წარმოედგინა მხოლოდ ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთ შტოს წარმომადგენელი და არავითარ შემთხვევაში სხვა გვიარის კაცი. ასეთი წარმოდგენის საფუძველს თეიმურაზს აძლევდა „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ორი საყურადღებო ისტორიული წყარო: ერთი, ჯუანშერის მოხსრობა იმის შესახებ, რომ VIII საუკუნე-

ში მთელ პერეთში დამკვიდრდნენ ბაგრატიონები (დაჩანასე ბრძის მისწვლებით), ხოლო მეორე, სუმიბატ დავითის ძის ჩვენება-იმის შესახებ, რომ ქართლში მოსული ოთხი მამაბატრატიონიდან ორი წავიდა კამბეჩანს (რომელიც შამინ პერეთს ეკუთვნოდა), სადაც „მოკლეს მათ სპარსთა სპასალარნი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ზორანბუქს. და ამა ეამამდე შეიღნი მთინი მთავარობენ მას შინა“.

ამ საინტერესო ცნობებიდან არა თუ თეიმურაზის დროს, არამედ დღესაც, როგორ გაცილებით უკეთაა შესწავლილი საქართველოს ისტორია, მკვლევარს უფლება აქვს იფიქროს, რომ ადრეფეოდალურ ხანაში პერეთში (VI საუკუნეიდან მის ერთ ნაწილში, კამბეჩანში, ხოლო VIII საუკუნეიდან მთელ პერეთში) უმადლესი გამგებლობა ბაგრატიონთა საგვარეულოს ხელში ყოფილა.

მაგრამ ისმება კითხვა: იყვნენ თუ არა ბაგრატიონთა გვიარის წარმომადგენლები პერეთის ერისთავებად XI-XII საუკუნეებში, კერძოდ თამარის დროს? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბაგრატიონთა თუ არა თამარის პირველი ისტორიისის მიერ მოხსენიებული პერეთის ერისთავი „გრიგოლის ძე ასათ, რომელმან მოსტავა მძღავარობით და მორეითი საღარის კოლნეკელის-ქესა“?

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი სადავოა, მაგრამ თეიმურაზ ბაგრატიონისათვის იგი სადავო არ უნდა ყოფილიყო შემდეგი ორი გარემოების გამო:

ჯერ ერთი, ბაგრატიონთა შემატანიე სუმიბატ დავითის ძე, როგორც ზემოთ დავინახეთ, ამბობს, რომ იმ ბაგრატიონთა შეილები, რომლებმაც კამბეჩანი დაიპყრეს, იქ დღემდე (ე. ი. 1032 წლამდე) მთავრობენ (ამა ეამამდე შეიღნი მამნი მთავრობენ მას შინა“); ვარდა ამისა, იგივე შემატანიე სხვა ადგილას, სადაც აღწერს, ბაგრატი III ვარდაცვალების შემდეგ, ერთიანი საქართველოსაგან პერეთ-კახეთის ერისთავთა განდგომის ამბავს, დასძინს: „მთ ქუყუყანთ ეჟალაჲ იუღუნეს მათნი უფანნი, რომელთა პირველ აქუნდა იგინი“⁵ ეს ცნობები თ. ბაგრატიონს უფროდ აძლევდა საფუძველს ეფიქრა, რომ XI-XII საუკუნეებშიც პერეთის უმადლესი გამგებლები ბაგრატიონები უნდა ყოფილიყვნენ. ეს აზრი მიუ-

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243-244.
² იქვე ივ. 373.
³ ქართლის ცხოვრება, VI, გვ. 34.
⁴ ახ. თხუბელიშვილი, კახეთ-პერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს-ში (საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1967).
⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 383.

უფრო სარწმუნოა, რომ ზოგიერთ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს სუბმატის ზემოხსენებულ ივენიბანი დღესაც საყვარის საფუძვლად მიიჩნია იმისათვის, რომ თამარის დროის პერსიის ერისთავი ბაგრატიონად ეცნობა.

მეორე, ცნობილია, რომ იმ ეპოქაში, როდესაც ბაგრატიონთა მეთაურობით საქართველოს გაერთიანების პრობლემა მომწიფდა, შეიქმნა ლეგენდა ამ გვარის ღვთიური წარმოშობის შესახებ. ეს ლეგენდა უკვე X საუკუნეში იმდენად გავრცელებული ყოფილა, რომ მისი შინაარსი 952 წელს ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე პორფიროგენეტს თავის თხზულებაში შეუტანია, ხოლო XI საუკუნის პირველ ნახევარში, მცირე ცვლილებით, ბაგრატიონთა მემკვიდრის სუბმატ დავითის ძეს თავისი ქრონიკის წყაროდ გამოუყენებია და ბაგრატიონთა გვარის გენეალოგია მასზე დაუფუძნებია. ამ ლეგენდის მიხედვით, ბაგრატიონები თავს ბიბლიური მეფეების იესე-დავით-სოლომონის შთამომავლებად და, მაშასადამე, ღვთისმშობლის ნათესავეებად სთვლიდნენ, რის გამო იფიციურად იესთან-დავითთან-სოლომონთან იწოდებოდნენ. ისტორიკოს კ. გრიგოლის საქართველოში თქმით, „ქვეყნის დაქუცმაცებისა და ფეოდალური აშლილობის პირობებში ახრი სამეფო სხლის ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ უნდა ყოფილიყო მტკიცე თეორიული საფუძველი თანასწორთა შორის მისი უპირატესობის მისათითებლად და სახელმწიფოში ცენტრალიზაციის ხელისუფლების გასამტკიცებლად“¹. ამიტომ, როგორც თვით ბაგრატიონების, ისე მათი მომხრე პროტაგისტული ძალების მდღევანე საზრუნავი სწორედ ბაგრატიონთა გვარის ღვთიური წარმოშობის ხაზგასმა და ჩვეულებრივი ერისთავებისა თუ მთავრების წინაშე მათი აბსოლუტური უპირატესობის მტკიცება იყო, რაც ზოგადად რომ ეთქვათ, გამოიჩინებოდა (თეორიულად) სხვა გვარის თავადთაგან ბაგრატიონის სამეფო გვარის შევიწროება-დამცირების ყოველგვარ შესაძლებლობას; თუ რომელიმე ბაგრატიონი, მეფე ან ერისთავი, ღირსი იყო შევიწროებისა და დამცირებისა, მისი ადგილი სხვა, უფროს ბაგრატიონს უნდა დაეჭირა, ხოლო თვითონ სამეფო გვარის გვარდის ავლა, მისი დამცირება-შევიწროება და სხვა გვარის მის დონემდე ამაღლება, იმ დროს წარმოდგენილი იყო. ვერც ერთი გვარის ფეოდალი ვერ გაბედავდა, იმ დროს, ფეოდალური იერარქიის კიბეზე ბაგრატიონთა ადგილის დაკავებას, და რომ გაებედნა კიდევაც, მის ქვეშევრდომები ბაგრატიონთა სწორად არ

ჩათვლიდნენ და, მაშასადამე, არც დამცირებულებოდნენ.

თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც მზად იყო „სისხლი დანთბია ბაგრატიონთა რეპრესიის დეგენისათვის“, ცხადია, შალიანად და საესეებით იყო გამსჭვალული (ისევე, როგორც ვახუშტი, ეახტანე VI და ბაგრატიონთა გვარის სხვა მოაზროვნე წარმომადგენლები) თავისი გვარის ღვთაებრივი წარმოშობის იდეით, რის გამო მას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ვრწმუნა, რომ ბაგრატიონები პერეთში უმაღლეს ხელისუფლებას დაკარგავდნენ და მას სხვა გვარის ფეოდალი მიიტაცებდა. მართალია, პერეთი წინათ ვრცელი სამეფო იყო, საქართველოს გაერთიანების შემდეგ კი დამცირდა და ჩვეულებრივ საერისთავოდ იქცა, მაგრამ მისი ეს დამცირება შოახინდეს ისე ბაგრატიონებმა — უმაღლესი მიზნის, საქართველოს ერთიანობის ინტერესებისათვის, რაც, თეიმურაზის მსოფლმხედველობით, საესეებით ბუნებრივ მოვლენა უნდა ყოფილიყო; მაგრამ, ვიმეორებთ, თეიმურაზის მსოფლმხედველობას ვერ შეეგუებოდა და მას არ შეეძლო წარმოედგინა, რომ რომელიმე რიგითი თავადი, პერეთში თუ სხვაგან, ბაგრატიონთა გვარს უმაღლეს ხელისუფლებას მიიტაცებდა.

პატივემეული ნ. შოშიაშვილი იფიქრებს ყოველივე ამას, იფიქრებს ისტორიკოსის პინაკლამს, და გაიძახის: „პერეთის ერისთავ შოთა კუპრის არაფერი ჰქონდა საერთო ბაგრატიონთა გვართან... ვერც ერთი მკითხველი შოთა კუპრში ბაგრატიონს ვერ დაინახავდა“. ფიცი გვწამს, ხოლო გვაყვირებს, — სწორედ ამხევა ნათქვამი: თქვე დალოცვილო, თუკი შოთა კუპრში ბაგრატიონს ვერც დაინახავდა, როგორ მოხდა, რომ გამოჩენილმა ქართველმა მკვლევარმა, „რუსთველიანის“ ავტორმა პაველ ინგოროვამ შოთა კუპრის ბაგრატიონობაზე და რუსთველიან მის იფიციობაზე მთელი თეორია შექმნა, ხოლო ნ. შოშიაშვილის უფროსმა კოლეგამ და თანამოაზრემ პატივემეულმა ს. ყაუხჩიშვილმა, სულ ამ ცოტა ხნის წინათ, მის ნაშრომს უწოდა „რუსთველოლოგიური ენციკლოპედია“, რომელსაც დადგენილია პერეთის ბაგრატიონთა გენეალოგიური შტო“². დე კი პ. ინგოროვას, ს. ყაუხჩიშვილს და მრავალ სხვა თანამედროვე მკვლევარს შეეძლო შოთა კუპრში ბაგრატიონის დანახვა, რატომ არ შეეძლო ამის დანახვა თეიმურაზ ბაგრატიონს, რომელსაც თავისი გვარის დიდება ძვალსა და რბილში ჰქონდა გამყდარი და ბაგრატიონთა უმაღლესობა როგორც პერეთში, ისე მთელ საქართველოში, ღვთისაგან მოვლენილ წყალობად მიიჩნდა?

თუ ისტორიკოსი პასუხისმგებლობის გრძნობას დაკარგავს და არც წარსულს, არც თანა-

¹ იხ. პ. ინგოროვა, თხზ., კრებული, I, გვ. 113-114.

² კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 340.

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1964, 23 მაისი.

მედროეობის რეალურ ფაქტებს ანგარიშს არ გაუწევს, ცხადია, უველიფრის „დამტკიცებას“ შეძლებს, მაგრამ რა ფასი ექნება მის ასეთ მტკიცებებს? სამწუხაროა, რომ თანამედროვე ისტორიკოსებმა თავის დროსა და ენერჯის საუბრეზე შეტი ხნის წინათ შექმნილი უსაფუძვლო კონცეფციის დასაცავად ხარკავენ, ნაცვლად იმისა, რომ კრიტიკულად, თანამედროვე მეცნიერების შეუქმე განიხილონ ხსენებული კონცეფციები და ამით ქართული ისტორიული მეცნიერება წინ წასწიონ.

ღრთა გადავიდეთ უკანასკნელ საკითხზე, — ეფთხისტოაოსნის ტექსტის მონაცემების განხილვაზე.

4. 80. რუსთველი ხელმოხრითა...

ვეფხისტყაოსნის ტექსტის მონაცემებს, განსაკუთრებით კი ცნობილ მარჯე სტროფს, პოემის ავტორის ვინაობის დასადგენად ჩვენ გადამწვეტ მნიშვნელობას ვინაფებთ, ჩვენი ღრმა ჩწმენით, სულაც რომ არ გავაზრდეს სხვა საბუთები, თვით პოემის ტექსტზე მეცნიერები დავკვირვებაც ნათელყოფდა მისი ავტორის ვინაობას.

მკითხველს უთუოდ ეხსომება, რომ ჩვენს ნარკვევებში ეს საკითხი დამწერილებით იყო განხილული და დასაბუთებული. ნარკვევებში წარმოდგენილი საბუთიანობის დარღვევა გერ აღ. ბარამიძემ და მისმა თანამოაზრეებმა, სცადეს, მაგრამ მათი ცდა სრული მარცხით დამთავრდა. ახლა მეთოსავე ცდის მიმართავენ ს. ყაუხჩიშვილი და მისი კოლეგები, აგრეთვე მათი თანამოაზრე ნ. შოშიაშვილი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ს. ყაუხჩიშვილმა და მის კოლეგებს ჩვენი დებულებების წინააღმდეგ არც ერთი საბუთი არ წარმოედგენიათ, — ისინი მარტო ლიტონი და ბუნდოვანი განცხადებებით დამყაოფილდნენ; რაც შეეხება ნ. შოშიაშვილს, მართალია მან სცადა საბუთების მომველეება, მაგრამ ზემოთ ჩვენ უძლეობე უველა მისი „საბუთი“ ვინებობედ და დავწმუნდით, რომ არც ერთი მათგანი საბუთი არ არის.

რაკი ასეთი ვითარებაა, ჩვენ შეგვეძლო ამ საკითხზე კამათი აღარც კი გავეგერძებდებო, მაგრამ საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო და, აგრეთვე, იმისათვის, რომ მკითხველს საეჭვო აღარაფერი იმარჩეს, საჭიროდ მიგვანჩია ერთბელ კიდევ შევეხოთ კამათის ზოგიერთ ასპექტს და ნათელსყოთ კრიტიკსების პოზიციის სრული უსაფუძვლობა.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გვინდა მკითხველს დავანახოთ ის აშკარა და არსებული წინააღმდეგობა, რომელიც განაახილედ საკითხ-

ზე ჩვენი კრიტიკოსების შეხედულებებში არსებობს და რომელსაც ისინი მკითხველს შევინებულად უმაღავენ.

მკითხველი

მკითხველს უთხოვთ დაეკვირვებოდეს მული კრიტიკოსების ქვემოთ მოტანილ მსჯელობას და შეადაროს ისინი ერთმანეთს.

ს. ყაუხჩიშვილი და მისი კოლეგები ბრძანებენ: „რატონის არც ის გაართობება ამბროლებს, რომ ფეოდალური ხანის წყაროებში თანამდებობის აღნიშვნელი სიტყვა „ქელი“ იყო და არა „ქელობა“, რომ ხელისუფლება — თანამდებობის გავებით „ქელიდან“ ნაწარმოები იქნებოდა „ქელითა“ და არა „ქელობითა“, რომელსაც, მართლაც რაიმე საქმიანობა, პროფესიის შინაარსით ხმარობდნენ. გამოწაყლის შემთხვევაში (ხაზი ჩვენია — ბ. რ.) „ქელობა“ შემოკლებით „ქელითაც („არა ქელ არს“) აღნიშნებოდა“ (გვ. 151).

ნ. შოშიაშვილი კი ბრძანებს: „რატონის... ერთმანეთს ურევის ტერმინებს „ქელი“ და „ქელობას“. თანამდებობა აღნიშნავს მხოლოდ „ქელი“ და არა „ქელობა“ „ქელობა“ კი აღნიშნავს პროფესიას, საქმიანობას და არავითარ შემთხვევაში (ხაზი ჩვენია ბ. რ.). თანამდებობას... ეპისკოპოსობა არ იყო არც „ქელი“ და არც „ქელობა“ (გვ. 165-166).

მკითხველი უთუოდ დავეთიანხმება, რომ გარეგნულად ორივე ეს მსჯელობა ერთმანეთს ჰგავს, თითქოს ერთნარ შინაარსსაც. გამოხატავს: ორივეგან გარკვევით გამოთქმულია ის აზრი, რომ „ქელი“ და „ქელობა“ სულ სხედან სხვა შინაარსის ცნებებით; „ქელი“ თანამდებობას აღნიშნავს, ხოლო „ქელობა“ — პროფესიას, საქმიანობას, რის გამო მათი ერთმანეთში არევა ყოვლად შეუძლებელიაო, ასე რომ, გარეგნულად ჩვენი კრიტიკოსები ერთმანეთთან სოლიდარული არიან, მაგრამ სინამდვილეში მათი ეს სოლიდარობა მოჩვენებითია და მხოლოდ მკითხველის მოწყატეველად არის გამოჩნული.

მართლაც, თუ ორივე ზემოთ მოტანილ ციტატას კარგად დავაკვირდებთ, შევაჩნევთ, რომ ნ. შოშიაშვილის მსჯელობა გაცილებით უფრო კატეგორიულია, ვიდრე ს. ყაუხჩიშვილისა და მისი კოლეგებისა; გარდა იმისა, ამ უკანასკნელთა მსჯელობაში საიდანღაც შეპარულია კონტექსტისათვის სრულიად მოულოდნელი ფრაზა: „გამონაყლის შემთხვევაში „ქელობა“ შემოკლებით „ქელითაც“ აღნიშნებოდაო“, რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ კოლექტორი წერილის ავტორები აღიარებენ, — თუმცა ძალიან მორცხვად და შეფარვით — რომ „ქელი“ და „ქელობა“, ზოგ შემთხვევაში მაინც, ერთმანეთის სინონიმებად იხმარებოდა, კეთილი, მაგრამ როგორ შევაჩნებით მათი ეს „გამონაყლის შემთხვევა“ ნ. შოშიაშვილის კატეგორიულ მტკიცებასთან —

„ქელ“ „არავითარ შემთხვევაში“ არ აღნიშნავდა თანამდებობასო? მხელი შესაძინევი არ არის, რომ ამ ორი მტაცების ერთმანეთთან შეთანხმება ყოვლად შეუძლებელია, რადგან ს. ყუბჩიშვილისა და მისი კოლეგების „გამონაკლისი შემთხვევა“ ძირიანად ეწინააღმდეგება და არღვევს ნ. შოშიაშვილის ისედაც ძირ-შერყვეულ დებულებას.

ყოველივე ეს უდავოა, მაგრამ აქ ბუნებრივად წამოიჭრება კითხვა: რატომ დასკვირდათ კოლექტიური წერილის ავტორებს ძნელი გამონაკლისის დაშვება, რომელიც უღობილად არღვევს მათს სოლიდარობას არა მარტო ნ. შოშიაშვილთან, არამედ აგრეთვე ალ. ბარამიძესთანაც? რატომ ჩასცეს მათ ზურგიდან დასჯარი თავიანი მოყავნიერებს?

საქმე ისაა, რომ პატივეცემულ ს. ყუბჩიშვილს და ზოგიერთ მის კოლეგას (მაგალითად, ვ. დონდუას) თავიანთი ადრინდელ ნაშრომებში ცნებები „ქელ“ და „ქელობა“ სწორედ ისევე გამოიტ, როგორც ეს ჩვენ გვეჩვენს, ვ. ა. არა როგორც ერთმანეთისაგან გათიშული და შინაარსით არსებითად განსხვავებული ცნებები, არამედ როგორც ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და არსებითად ერთნაირი მნიშვნელობის ცნებები, ანუ სინონიმები. ამის გამო ახლა მათ წინაშე ასეთი ალტერნატივა იდგა: ან სოლიდარობა უნდა დავრღვეოთ ბარამიძე-შოშიაშვილთან და მათ წინა-

აღმდეგ აშკარად გამოსულიყვნენ, ან კიდევ „დღეიწყებით“ (ალ. ბარამიძის მსგავსად) თავიანთი ადრინდელი თვალსაზრისი და ხელი აეღოთ მასზე, რაც მეცნიერულ თვალსაზრისზე ხელის აგებას ნიშნავდა. ეს ალტერნატივა, ცხადია, მხელი ვადასაწყვეტი იყო, მაგრამ ეკლექტიკოსებისათვის როგორც ცნობილია, ამნაირი დაბრკოლება არ არსებობს: ჩვენმა კრიტიკოსებმა ადვილად ჩამოაყალიბეს ისე-ნაირი ტყუილ ფორმულა, რომელსაც თანამოაზრეობადა სოლიდარობაც უნდა შევინარჩუნებოდა და მათს ადრინდელ მეცნიერულ სინდსთანაც პატივად, თითქმის შეუძინეველი ძაფი ვაუბა. მაგრამ მხელი შესაძინევი არ არის, რომ მათ მიერ წარსულთან გაბმული „ძაფი“ მეტონ-მეტად სურათის იმსაოგინ, რომ ერთმანეთთან შეუთავსებელი დებულებების შეთავსება შესძლოს, ამიტომ ჩვენს კრიტიკოსებს, — მიუხედავად იმისა, სურთ მათ ეს თუ არა, — მოუხდებათ ვარცხენლი პასუხი ვასცენ კითხვას: წინანდელ მეცნიერულ თვალსაზრისზე რჩებიან ისინი, თუ უარყოფენ მას და ნ. შოშიაშვილის ყალბ დებულებას ეთანხმებიან?

ხოლო მკითხველისათვის რომ ბოლომდე ნათელი გახდეს, როგორია სადავო საკითხზე ს. ყუბჩიშვილისა და ზოგიერთი მისი თანამოაზრის წინანდელი მეცნიერული თვალსაზრისი და რით განსხვავდება იგი ნ. შოშიაშვი-

ლის ყალბი თვალსაზრისისაგან, რომელსაც მისი დღეს სოლიდარობას უცხადებენ, ვაჭიხსენებთ რამდენიმე დამახასიათებელ ფაქტს.

ცნობილია, რომ პატივეცემულ ს. ყუბჩიშვილს ეკუთვნის პატივი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ყველა ძირითადი ბელაშქრის მიხედვით დადგენისა, რაც მისი უდავოდ დიდი მეცნიერული დამსახურებაა. ბევრი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ს. ყუბჩიშვილის რედაქტორობით გამოიცა „ქართლის ცხოვრების“ ორი ტომი (პირველი 1955 წ., ხოლო მეორე — 1959 წ.), რომლებსაც რედაქტორის მიერ შედგენილი ვრცელი მეცნიერული ლექსიკონი ახლავს. ხსენებულ ლექსიკონში, — როგორც ეს ყოველ მკითხველს ადვილად შეუძლია შეამოწმოს, — სადავო საკითხზე თავიდან ბოლომდე იგივე აზრია ვატარებული, რომელსაც დღეს ჩვენ ვიკავთ, სახელდობრ: სიტყვები ქელი, საქელი, ქელობა, ქელისუფლება, ქელისანი და მოქელ მინდელია ერთი და იმავე ძირისაგან წარმოშობილი სიტყვები, რომლებიც ძველ ქართულში ძლიან ზნირად ერთმანეთის სინონიმებად იმარტობდნენ. მოვიტანოთ სათანადო მაგალითები.

1. „ქართლს ცხოვრებაში“ შრავალყერ ნახსენებ სიტყვა „ქელი“, ს. ყუბჩიშვილის ლექსიკონის მიხედვით, ნიშნავს:

- ა) ადამიანის „ქელი“ (ტ. I, გვ. 460; ტ. II, გვ. 627), ბ) „ქელობას“, ვ. ი. ადამიანის პროფესია-საქმიანობას (ტ. I, გვ. 460) და ვ) „ქელისუფლებას“, „ქელისუფლება“, „ქელისა“, ვ. ი. თანამდებობას (ტ. II, გვ. 627).

აქედან ცხადია, რომ: ა) სიტყვა „ქელი“, სულ მეორე, სამგვარი მნიშვნელობა ჰქონია: ადამიანის ხელი, ადამიანის პროფესია-საქმიანობა და ადამიანის თანამდებობა; ბ) სიტყვები „ქელობა“ და „ქელისუფლება“ სიტყვა „ქელი“-ისგან ყოფილან წარმოებები; ვ) სიტყვები „ქელი“, „ქელობა“, და „ქელისუფლება“ — ერთმანეთთან მჭიდროდ ყოფილან დაკავშირებული და ძველ ქართულში ერთმანეთის სინონიმებად უმარაოთ.

ასე ფიქრობდა ს. ყუბჩიშვილი წინათ. თავისთავად ცხადია, რომ თუ პატივეცემული მეცნიერი ამ თავის წინანდელ თვალსაზრისზე მთლიანად ხელს არ აიღებს, და თუნდაც რაღაც „გამონაკლისებს“ დაუშვებს, მას არავითარ შემთხვევაში არა აქვს უფლება გაიზიაროს ნ. შოშიაშვილის მტაცება, თითქოს, „ქელი“ და „ქელობა“ სულ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები იყოს და რომ, თითქოს ამ ცნებებს შორის ისეთივე შინაარსობრივი დამოკიდებულება არსებობდეს, როგორიც „სიციყესა“ და „საქმიანობას“ შორის არსებობს.

2. „ქართლის ცხოვრებაში“ ნახშიარი სიტყ-

ვა „საქელო“, ს. ყუხნიშვილის ლექსიკონით, ნიშნავს: ა) „ხელისუფალს“, ე. ი. თანამდებობის პირს (ტ. I, გვ. 452) და ბ) „თანამდებობას“ (ტ. II, გვ. 599).

აქედან ცხადია, რომ „საქელოც“ სიტყვა „ქელ“-ისაგან ყოფილა ნაწარმოები და ძველად იხმარებოდა ხელისუფლება-თანამდებობის აღსანიშნავად, სწორედ იმგვარადვე როგორც იხმარებოდა სიტყვა „ქელი“ (შესაძებ მნიშვნელობით); მაშასადამე, „ქელი“ და „საქელოც“ სინონიმებად გვევლინებიან.

3. „ქართლის ცხოვრებაში“ ნახმარი სიტყვა „ქელოცა“, ს. ყუხნიშვილის ლექსიკონით, ნიშნავს: ა) „საქმიანობას“ (ტ. II, გვ. 628) და ბ) „საქმეს“ (იქვე).

აქედან ცხადია, რომ: ა) სიტყვა „ქელოცა“ „ქელ“-იდანაა ნაწარმოები და ძველად იხმარებოდა ადამიანის საქმისა და საქმიანობის აღსანიშნავად; სწორედ იმგვარადვე, როგორც იხმარებოდა სიტყვა „ქელი“ (მეორე მნიშვნელობით); მაშასადამე, კვლავ იმ დასვენებულ მივლინებით, რომ „ქელი“ და „ქელოცა“ სინონიმებია არიან; ბ) ქართლის ცხოვრებაში წარმოდგენილ სიტყვა „ქელობას“ (ტ. II, გვ. 129) არაფერი აქვს საერთო „ველსა“ და „სიგვეთთან“; მაშასადამე, აღ. ბარამიძისა და მისი თანამოაზრეების მტკიცება ქართლის ცხოვრებაში ეს სიტყვა ვიყოს („ხელის“) მნიშვნელობით იხმარებოდა, მტკნარი სიტყვა (ს. ყუხნიშვილისავე ხომ ვერ დასწამებენ, „ქართლის ცხოვრება“ ყურადღებით არ წიუთიხავსო!).

4. „ქართლის ცხოვრებაში“ ნახმარი სიტყვა „ქელისუფლება“, ს. ყუხნიშვილის ლექსიკონით, ნიშნავს ადამიანის „თანამდებობას“ (ტ. II, გვ. 627).

აქედან ცხადია, რომ სიტყვა „ქელისუფლება“ „ქელ“-იდანაა ნაწარმოები და ძველად იხმარებოდა ხელისუფლება-თანამდებობის აღსანიშნავად, სწორედ იმგვარადვე, როგორც იხმარებოდა „ქელი“ (შესაძებ მნიშვნელობით) და აგრეთვე „საქელოც“; მაშასადამე კვლავ და კვლავ დასტურდება, რომ „ქელი“ და „ქელისუფლება“ (ასევე როგორც „საქელოც“ და „ქელოცა“) ძველად სინონიმებად უხმარებოდნენ.

ნათქვამიდან ცხადზე უცხადესია, რომ სადავო საყიბის ის გავება, რომელსაც წინათ (ვოველ შემთხვევაში, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე მეზობის პერიოდში) პატივემუელი ს. ყუხნიშვილი იცავდა, ძირითადად ეწინააღმდეგება და არღვევს აღ. ბარამიძის, შოშიაშვილის თვალსაზრისს.

ასევე ეწინააღმდეგება და არღვევს ბარამიძის შოშიაშვილის უაღბ თვალსაზრისს აქ განსვენებული მეცნიერის, პროფ. ვარლამ ღონღუას მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ ნახმარი სიტყვა „ქელობის“ მნიშვნელობის გაგებას. როგორც ცნობილია, ვ. ღონღუამ ფასდღღე-

ბელი მეზობა გასწავა ძველი ქართული სასტორიო ძეგლების რუსულ ენაზე გადსათარგმნად. თამარის ისტორიკოსის (გასილვ ეპოს-მოდლებს) ტექსტის ის ადგილი, სადაც სიტყვა „ქელობა“ იხმარება, ვ. ღონღუას რუსულად გადათარგმნილი აქვს არა როგორც „სიგვეთ“, არამედ როგორც „საქმე“. ამის შესახებ მისად ქართული ფრაზა „ღმრთისა კელობად მოუყარობდა მისეუ ძეგლად“, მის თარგმანში რუსულად ასე იტერს: „Во имя богоугодного дела приносила в дар.“ რაც სასეებით აღქვავტური თარგმანია (წარმოდგენილი იქნებოდა, რომ მთარგმნელს ბარამიძის-შოშიაშვილის თვალსაზრისი გაეზიარებია და ეს აღგიე „Во имя богоугодного сумасшествия“-ად ეთარგმნა).

ამრიგად, ძველი ქართული ტექსტების ისეთი შესანიშნავი მცოდნეებო, როგორც ს. ყუხნიშვილი და ვ. ღონღუა, გვიდასტურებენ, რომ ძველად „ქელობა“ იხმარებოდა როგორც „საქმისა“ და „საქმიანობის“ მნიშვნელობით, ასევე „ხელისუფლება-თანამდებობის“ მნიშვნელობითაც. ამიტომ ვერაფერ ვერ უარყოფს იმ აზრს, რომ სიტყვა „ქელობითა“ სწორედ „თანამდებობა-საქმიანობას“ ნიშნავს და სხვათა არაფერს.

აქვე უნდა ითქვას, რომ სადავო საყიბის ახვეარ გავებას გვიდასტურებენ არა მარტო ს. ყუხნიშვილისა და ვ. ღონღუას ნაშრომები, არამედ შრავალი სხვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ნაშრომიც. ზვენ უვეე გვიონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ დიდი ქართველი ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ქელი“ ძველ ქართულში „უფლებასა და საქმეს“, ე. ი. სწორედ თანამდებობასა და საქმიანობას ეწოდებოდა. პროფ. შ. შესხიას საპროლოგინო აზრით, ხელობის (პროფესიონალ-საქმიანობის) აღსანიშნავად იხმარებოდა როგორც „ქელი“, ასევე „ქელოცებაც“, აი, მისი სიტყვები: „ქელოცება“ ერთ-ერთ ძირითად ტერმინს წარმოადგენდა ხელობის აღსანიშნავად. ამავე მნიშვნელობის მატარებელი იყო, სხვა შრავალ მნიშვნელობასთან ერთად, ტერმინი „ქელი“³ სავსებით სწორი მსგელობაა!

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, რომელიც ჩედქტრებულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერების არნ. ზიქობავას, ვ. წერეთლის, გ. ახვლედიანის, ვ. თოფურიას, ივ. გვინეიშვილისა და სხვათა მიერ, ენებები „ქელი“

¹ Памятники эпохи Руставели. Л. 1938, стр. 56.

² „მნათობი“, 1968, № 2, გვ. 161.

³ შ. შესხია. ხელოსნობა ძველ საქართველოში V-XII სს., სალინგრაფიკო ნაშრომის თეზისები, 1942, გვ. 3.

და „ქლობა“ სწორედ ისეა გაგებული და განმარტებული, როგორც ეს ჩვენ გვესმის, მოციტანოთ შავალთებო.

1. სიტყვა „ხელი“ განმარტებულია მრავალი მნიშვნელობით, მათ შორის: ა) „რისამე გაკეთების, მოვლის წესი, — ხელობა“, ბ) „ძეულება, ხელისფლება“ (ტ. VIII, გვ. 1372).

2. სიტყვა „ხელობა“ განმარტებულია რამდენიმე მნიშვნელობით, მათ შორის: ა) „ისეთი პროფესია, რომელიც ხელის გააფუძვას მოითხოვს (მოსაჭმეობა, საქმიანობა); ბ) „ძე თანამდებობა“ (იქვე, გვ. 1404).

3. სიტყვა „ხელოსანი“ განმარტებულია ორი მნიშვნელობით: ა) „რამე ხელობის მოკლდნე; ბ) „ძე გარკვეული თანამდებობის მქონე პირი“ (იქვე, გვ. 1406).

4. სიტყვა „ხელოსნობა“ განმარტებულია სამი მნიშვნელობით, მათ შორის: ა) „ხელოსნის (მნიშვნე) 1) მოსაჭმეობა; ხელობის ცოდნა“; ბ) „თანამდებობა“ (იქვე).

ამრიგად, დღესათვის ნათელია, რომ სიტყვები: ხელი, ხელობა, ხელოსანი და ხელოსნობა (წინანდელი დაწერილობით: ტელი, ტელობა, ქელოსანი და ტელისნობა) ძველად იხმარებოდა როგორც თანამდებობის, ისე საქმიანობის მნიშვნელობით. ჩვენს კრიტიკოსებს, როგორც ჩანს, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც კი არ ჩაუხედავთ, თორემ როგორ იტყვოდნენ, „ქელობა“ არავითარ შემთხვევაში არ აღნიშნავს თანამდებობასო!

ასეთია „ქელისა“ და „ტელობის“ მნიშვნელობისა და მათი ურთიერთდამოკიდებულებების შეცნობიერებული გაგება. ვფიქრობთ, ეს გაგება თავის ძალასა და მნიშვნელობას არ დაკარგავს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ზოგიერთი, ნ. მარის დრომოკმეული შეხედულებების გავლენის ქვეშ მყოფი შეცნობია, არ დაეთანხმება.

ახლა გადავიდეთ უმთავრეს საკითხზე: იხმარება თუ არა ევფხისტყაოსანში სიტყვები „ხელი“ და „ხელობა“ (ძველი დაწერილობით „ქელი“ და „ქელობა“) თანამდებობა-საქმიანობის მნიშვნელობით? ეს საკითხი ჩვენ უკვე ორჯერ განვიხილეთ და მკითხველს თვალნათლივ დაეანახეთ, რომ რუსთველი ხსენებულ სიტყვებს თანამდებობა-საქმიანობის მნიშვნელობით არა ერთხელ ხმარობს; გარდა ამისა, ჩვენ მიუვითოეთ ევფხისტყაოსნის სამ ხელნაწერზე, სადაც მე-8 სტროფში ნახმარი სიტყვა „ხელობითა“ წარმოდგენილია ძველი დაწერილობით „ქელობითა“, რაც არ შეიძლება სხვა რაიმეს ნიშნავდეს, თუ არა თანამდებობა-საქმიანობას. № 12.

ბა-საქმიანობას. უკვე ნათქვამის განმეორება აქ, ცხადია, საჭირო არ არის, ამიტომ მკითხველის ყურადღებას აქცერად ხადავსწავთ მხოლოდ ზოგიერთ, ახალ ასპექტზე გაგვიანებულზე.

ჩვენს ნარკვევში მითითებული იყო ევფხისტყაოსნის ორი სტროფი, სადაც სიტყვა „ხელი“ უდავოდ თანამდებობა-საქმიანობის მნიშვნელობითაა ნახმარი, ესენია სტროფები 316 და 338 (1937 წლის სათუბილო გამოცემით), სადაც ლაბარაქია მეფის „ხელის მოკლდაც არაობაზე“. და ამირხარის „ხელის საუარავეზე“. ჩვენს კრიტიკოსებმა ამ შავალითების მნიშვნელობა საეჭვოდ მიიჩნიეს იმ ყალბი არგუმენტით, რომ „ქელს“, თითქმის, არავითარი კავშირი არ ჰქონდეს „ქელობასთან“. მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენ უამრავი კონკრეტული მაგალითით დაეასაბუთეთ, რომ „ქელი“ და „ქელობა“ ძველად სინონიმები იყვნენ, ცხადია, მთლიანად და საეჭვოდ რჩება ძალაში ჩვენი აზრი იმის შესახებ, რომ ზემოხსენებულ სტროფებში „ხელი“ ნახმარია არა „გვიის“, არამედ თანამდებობა-საქმიანობის („ქელობის“) მნიშვნელობით.

მაგრამ ევფხისტყაოსანში სხვა ადგილიც მოიპოვება, სადაც „ხელი“ უდავოდ „საქმეს“ და „საქმიანობას“ ნიშნავს, „სიგივესთან“ კი საერთო არაფერი აქვს. აი, ეს ადგილიც:

„მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოზიარეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა
გასავშირეთა, —
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა.
მონადირეთა:
დიდსა ვერ მოაკლენ, ხელად აქვს ხოცა
ნადირთა მცირეთა.“

ძნელი შესამჩნევია არაა, რომ კონტექსტის აზრის მიხედვით აქ „ხელი“ („ხელად აქვს“) არ შეიძლება სხვა რაიმეს ნიშნავდეს, თუ არა „ქელობას“ ანუ საქმეს, მაშასადამე, პოეტი აქ გვეუბნება: ყმაწვილთა საქმე (ქელობა) მცირე

1. უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, რომ არსებობს ევფხისტყაოსნის არა სამი, არამედ ხუთი ხელნაწერი, რომლებშიც სიტყვა „ხელობითა“ წარმოდგენილია ძველი დაწერილობით „ქელობითა“ (იხ. შოთა რუსთაველი, ევფხისტყაოსანი, შესავალი, 1969, გვ. 8).
2. სტროფი 16 (1937 წლის სათუბილო გამოცემა).

ნადირთა ხოცა არისო, რაც საცხებით აზრი-
ნი და აშკარად რუსთველური თქმაა.

ეს მავალი ერთბელ კიდევ იდასტურებს,
რომ რუსთველი სიტყვა „ხელს“ ემიწეულად
„საქმიანობისა“ და „საქმის“ (ქელის“) მნიშვნე-
ლობითაც ხმარობს. მაგრამ ამაზე კიდევ
უფრო მეტი საინტერესო და საყურადღებო
ის ფაქტია, რომ ვეფხისტყაოსანში, — ცნო-
ბილ მე-8 სტროფის ვარდა — სხვა სტროფიც
მოიპოვება, სადაც ადვილ სიტყვა „ხელობა“ იხ-
მარება იმავე „საქმის“ (ქელობის) მნიშვნელო-
ბით. მხედველობაში გვაქვს 21-ე სტროფი
(1937 წლის გამოცემით), რომელიც თავისა
შინაარსით მჭიდროდაა დაკავშირებული წინა
(მე-20) სტროფთან. დავაჯივრდეთ ამ სტრო-
ფებს:

„ვთქვა მიქნურობა პირველი და
ტომი გვართა ზენათა,
მწელად სათქმელი, საქარო გამოსაგები
ენათა,
იგია საქმე საზეო, მომცემი
აღმაფრენათა;

ვინა ეცდების, თმობამცა ჰქონდა
შრავალთა წყენათა.
მას ერთსა მიქნურობასა
კეკიანნი ვერ მიჰხედებინან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა
დავალდებინან,
ვთქვენ ხელობანი ქვენანი,
რომელნი ზოპცთა მხედვებინან;
მართ მასვე ჰაბავენ, თუ თლეს არ ისივენ,
შორით ზნდებინან“.

როგორც ვხედავთ, პოეტი ჯერ ლაბარაჟობს
„პირველ მიწნურობაზე“, რომელიც საღვთოა.
ე. ი. ღმერთის სიყვარულია, შერე კი ვადადის
მიწნურობის ისეთ საბეჭზე, რომელიც ხორც-
თა მხედვებია. პირველი სახის მიწნურობას,
პოეტის სიტყვით, ეწოდება „საქმე სა-
ზეო“, ხოლო მეორეს — „ხელობანი“
ქვენანი, მაგრამ რას ნიშნავს აქ ნახმარი
სიტყვა „ხელობანი“? მწელი მისახვედრი არაა,
რომ კონტექსტის შინაარსის მიხედვით ეს სი-
ტყვა უნდა გავიგოთ არა როგორც „სიცივინი“,
არამედ როგორც „საქმენი“. მართლაც, რაკი
პოეტმა პირველს ახუ საღვთო მიწნურობას
„საზეო საქმე“ უწოდა, ცხადია, ხორ-
ციელ მიწნურობათათვის მას „საქმენი
ქვენანი“ უნდა ეწოდებინა და ეწოდა კიდე-

1. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სწორედ
ასევე მსჯელობს რუსთველის მიმბაძველი
ამერიანდარეჯანიანის ვამლექსავი თანამოცილი
(XVII ს.), რომელსაც ნათქვამი აქვს: „მაგრა
ვსთქვი: „ნადირთ დხოცა არის ყმაწვილთა
ხელობით“.

ვაც, ოღონდ პოეტს არ შეუძლო დაეშვა, რომ
ერთსა და იმავე ადგილას სიტყვა „საქმე“ ორ-
ჯერ განმეორებულყო, ამიტომ შესცვალა ნუნ
სინონიმით „ქელობა“ (მრავლობით რიცხვში
„ქელობანი“), რაც საცხებით ბუნებრივია.

ამრიგად, ცხადზე უცხადესია, რომ სიტყვებ-
ში „ქელი“ და „ქელობა“ ვეფხისტყაოსანში,
ისევე როგორც საერთოდ ძველ ქართულ
ლიტერატურაში, სინონიმებად არის გამოყუ-
ენებული და თანამდებობა-საქმიანობის მნიშ-
ვნელობით იხმარება.

ახლა გავიხსენოთ მე-8 სტროფი და ამ დე-
ბულებში სასუქმელებუ ერთბელ კიდევ ვაგიაზ-
ართ მისი შინაარსი.

„მე, რუსთველი ხელობითა
ვიქმ საქმესა ამა დარია:
ვის მშორილობს ჯარი სპათა, მისთვის
ვხელობ, მისთვის შევდარი;
დაეუძღურდი, მიწნურობათვის ცკლა
წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე
სამარი“.

ჩვენ უკვე არაერთხელ ხაზგასმით აღვნიშნეთ
და ახლაც ვიმეორებთ, რომ აქ წარმოდგენი-
ლი გამოთქმა „მე, რუსთველი ხელობითა“ ვა-
გებული უნდა იქნას არა როგორც „მე, რუ-
სთველი სიცივითა“, არამედ როგორც „მე, რუს-
თველი ქელობითა“ (ე. ი. თანამდებობითა, საქ-
მიანობითა); ახლა, როდესაც ჩვენ თვალნათ-
ლად დავრწმუნდით, რომ რუსთველი სინონი-
მებს „ქელსა“ და „ქელობას“ თანამდებობა-სა-
ქმიანობის მნიშვნელობით სხვა შემთხვევებშიც
ხმარობს, ცხადია, კიდევ უფრო მეტიც და
უცილობელი ზღვდა ის არის, რომ „ქელობა“
მე-8 სტროფშიც სწორედ თანამდებობა-საქმი-
ანობის მნიშვნელობითაა ნახმარი. ამ აზრს
უცილობელს ხდის არა მარტო ის საყურადღე-
ბო ფაქტი, რომ ვეფხისტყაოსანის ხუთ ზღუნა-
წერში შემოარჩენილია სადავო სიტყვის ძველ-
დაწერილობა „აქელობითა“ (რომლის ვარენა
XVII-XVIII სს. ხელნაწერებში წარმოდგენი-
ლი იქნებოდა იგი რომ დედანში არ ყოფილი-
ყო), არამედ განსაკუთრებით ის გარემოება,
რომ მე-8 სტროფის დეტალური ანოტირება
ანალიზი არ იძლევა იმის უფლებას, რომ იქ
წარმოდგენილი სიტყვა „ქელობითა“ გაცივლოთ
სხვაანაირად, თუ არა როგორც: „თანამდებო-
ბითა“, „საქმიანობითა“. ჩვენ უკვე გემონდა
შემთხვევა აღგვინიშნა, რომ წარმოუდგენელია
რუსთველი ისეთი უაზრობა ეთქვა, როგორ-
ცა „ჩემი სიცივით გვივობო“. ახლა ამას შეი-
ძლება დაეუბნათო: ასევე წარმოუდგენელია
გენის პოეტს ეთქვა, „სიცივითა ვიქ საქმე-
სო“, რადგან ყოველმა „საშუალო ნიჭის ად-

მიანმა იცის, რომ საქმე და სიცივე ერთმანეთისაგან ძალიან შორს დგანან.

ასეთი ვეფხისტყაოსნის მე-6 სტროფის ერთდერთი სწორი ვაგება, რომელსაც ჩვენმა კრიტიკოსებმა ვერც ერთი ანგარიშგასაწევი არგუმენტი ვერ დაუპირისპირეს.

დაბოლოს, ორიოდ სიტყვა ვეფხისტყაოსნის იმ სტროფზე, რომელშიც კათალიკოს-მაწვევერელზეა საუბარი და რომელსაც ჩვენი რუს-თვითლოგებები ოდინოზურ სტროფად მიიჩნევენ.

შეითხველს უთუოდ ეხსოვება, რომ ჩვენ ამ საკითხსაც უკვე რამდენჯერმე შევეხეთ და ნათელვყვიით არა მარტო სრული უსაფუძვლოება იღ. ბარამიძე—*„შოშიაშვილის ტოდებისა, ხსენებული სტროფი „ინტერპოლატორის ნაციონალიზრად“ გამოცხადებითა, არამედ ის უდავო შემართებითაც, რომ ეს სტროფი თავისი შინაარსით, საყვებით შეესაბამება ვეფხისტყაოსნის სიუჟეტსაც და მისი ავტორის კათოლიკოსადგელობასაც. ამიტომ ამ საკითხზე მისთვის გაგრძელება ზედმეტია, მაგრამ ჩვენ გვინდა შეითხველის უფრადლება მივაქციოთ „ქართლის“ ცხოვრებაში“ შემონახულ ერთ სინტაქსით ცნობას, რომელიც, ჩვენი აზრით, ახალ შექს ჰქონს ვეფხისტყაოსანში წარმოდგენილი „კათალიკოს-მაწვევერელს“ პრობლემას.*

მხედველობაში ვაქვს ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობა იმის შესახებ, რომ სწორედ თამარის გამეფების დროს ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ მიქაელ მირიანის ძემ „მოიგვარაგა“ არა მარტო კათალიკოსისა და ჰუმანიტარის (მწიგნობართუხუცესის) ტელი, არამედ, აგრეთვე, მაწვევერელის ტელიც, აი, ეს ცნობაც:

„წინამძღვართა კრებისათა ნიკოლოს და ანტონო... არა ინებეს შორის მათსა ყოფად წამინდელი იგი ქართლისა კათალიკოსი, რამეთუ წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჰუმანიტარ-მაწვევერელობა და მწიგნობართ-უხუცესობა მოვევრავა უფლისაგან“¹.

ამ საყურადღებო ცნობიდან ცხადი ხდება, სულ მცირე, შემდეგი სამი გარემოება:

ჯერ ერთი, მაწვევერელის ტელი უკვე თამარის მეფობის დასაწყისში იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ თვით ყოველად ძლიერი მიქაელ მირიანის ძე ამ ტელის „მოვარაგებას“ (ე. ი. უკანონო გზით მიღებას) არ ერიდებოდა, რისთვისაც საეკლესიო კრების სასტიკი გაკიცხვას ამსახურებს.

შეორე, კათალიკოსის გვერდით მაწვევერელის მოხსენიება სამხრეთ საქართველოს პარტიკულარული მისწრაფების გამოხატულებაა კი არ ყოფილა, — რაგორც ე. კეკელიძე ფიქრობდა, — არამედ, პირიქით, ეს ყოფილა გა-

მობატულება საქართველოს სამეფოწიფიერება... კი და ეკლესიური ერთიანობისა და კერძოდ სწორი ბელისფულების ძლიერებასა, რამაც საქართველოს კათალიკოსსა და პირველ ვაზირს (ჰუმანიტარ მწიგნობართ-უხუცესს) საშუალება მისცა სამხრეთ საქართველოს საქმეთა გამგებლობა უშუალოდ თავის ხელში აეღო.

შესამე, ვეფხისტყაოსანში წარმოდგენილი ფორმულა („კათალიკოს-მაწვევერელად“), რომელიც კათალიკოსისა და მაწვევერელს ერთმანეთის გვერდით აყენებს და თითქმის მართლაც „სწორფულებიანი და სწორპატივიანი იერარქების“ (ე. კეკელიძე) სახით წარმოვადგენს, შოთა რუსთველის (ან მისი მიმბაძველის) გამოგონილი კი არ ყოფილა, არამედ საქართველოს იმდროინდელი ცხოვრების სინამდვილიდან ყოფილა აღებული; ამ ფორმულაში ზუსტად ასახულია რეალური ისტორიული ფაქტისენილი შესამჩნევი არაა, რომ წამოთვლილი გაკრებივანი საბოლოოდ აცლიდა საფუძველს და აქარწყლებენ განსაზღვრულ სათვალზე იღ. ბარამიძე—*„შოშიაშვილის არასწორ თავლანსაზრისს, რომელშიც ისტორიაც დამახინჯებულადა წარმოდგენილი და ვეფხისტყაოსნის სადავო სტროფის დედააზრიც.*

გავეცნოთ ამ საკითხს უფრო ახლოს.

სულ ახლახან (1969 წ.) გამოცემულ ნაშრომში „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, აღ ბარამიძე ბრძანებს: „სრულიად გამორიცხულია, რომ რუსთველს თავისი საყვარელი პერსონაჟები შეეღარებინა ეკლესიურ-კლერიკალური წრეების წარმომადგენლებსათვის... კათალიკოს-მაწვევერელს მოხმობა შეეძლო მხოლოდ ვეფხისტყაოსნის ინტერპოლატორს, უკნობ ინტერპოლატორს კათალიკოსის გვერდით დაუსახლება მაწვევერელი. ამით ის ნებსით თუ უნებლიეთ ამტკიცებს თავის კუთხურ ტენდენციას და მაწვევერელის იერარქიულ აღზევების ისტორიულ ფაქტს. ეს ინტერპოლატორი უნდა იყოს აწუხრის მხარის (ე. ი. მესხეთის) მცხოვრები, რომელიც კარგად ყოფილა ორიენტრებული მაწვევერელის განდიდების ამბავში. მაწვევერელის განდიდება კი დაიწყო XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე, ინდო-ხატაელთა ამბის განსამახლებელ-მემთხველი ამ დროის მოღვაწე“ (გვ. 304).

ამ აზრს ეთანხმება და თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ნ. შოშიაშვილი, რომელიც თავის წეროლში ცდილობს იღ. ბარამიძის მცდარი თვალსაზრისის დასაბუთებას. მისი აზრით, „მაწვევერელმა მხოლოდ XV საუკუნეიდან მოიპოვა პირველობა სამხრეთ საქართველოს შიფდელმთავრებში... და თითქმის კათალიკოსის სწორი პატივი მოიპოვა. მხოლოდ ამ დროიდან შეეძლო აღნიშნული სტროფის ავტორის ერთიგორის გვერდით დაყვევება კა-

¹ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 118.

თალიკოსი და მაწვევერელი" (გვ. 167).

როგორც ვხედავთ, ილ. ბარამიძე-ნ. შოშია-შვილის არასწორი კონცეფციით ყველაფერი თავდაყირა დგება: მეთორმეტე საუკუნის ამბავი მეთექვსმეტე საუკუნეში გადადის, ერთიანი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების მაჩვენებელი ფაქტი მესხეთის კუთხური ტენდენციის (მარტიკულარიზმის) გამოვლინებად საღდება, გენიოსი პოეტის მიერ ზუსტად ფიქსირებული ისტორიული მოვლენა ყალბისამქმნელობად (ინტერპოლაცია) ცხადდება და ა. შ.

ი, როგორ იწერება, ზოგჯერ, ისტორია!

სამწუხაროა, რომ ჩვენი საშობლოს ისტორია ასე განუკითხავად მახინჯდება, და მახინჯდება სწორედ მეცნიერების სახელით, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხარო ის გაუგონარი კადნიერებაა, რომელიც ჩვენს მეტისმეტად თვითდაჭერებულ კრიტიკოსებს უფლ-

ბას აძლევს, სხვისი ცოდნა აბუჩად აივდონ.

მაგრამ კმარა!

დროა წერილი დავამთავროთ. ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან თავისთავად გამომდინარეობს ის უდავო კვლევითი დასკვნა, რომ ვისაც ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის გამორკვევა სურს, მან ზელი უნდა აიღოს რუსთაველოლოგიაში დღემდე გაბატონებულ ყალბ კონცეფციებზე, თავიდან მოიშოროს წინასწარ შედგენილი აკვიტებული აზრები და თანამედროვე მეცნიერების შუქზე კეთილსინდისიერად შეისწავლოს დიდი რუსთველის სახელთან დაკავშირებული მთელი ისტორიულიტერატურული მასალა. განსაკუთრებით ღრმად და დამერიტებით უნდა იქნას შესწავლილი თვით ვეფხისტყაოსნის ტექსტის მონაცემები, რომელთა ახსნა და გამოფერა უდავოდ ახალ შუქს მოჰყვანს რუსთველოლოგიის მრავალ, დღემდე გადაუჭრელ პრობლემას.



ას ერბასის ღვა

შემაძრწუნებლად ხმა...

ასე იძულებით ვისწავლე სამივე უცხო ენა და ახლა ვარ რუსულ „ტროიკასაიით“ გამობმული ამ ენებზე და შინ დაბრუნების ნაცვლად ისევ უცხოეთში მივემგზავრები... თან „ყოველგვარ გერმანულსადმი“ ის იღვწალია შიში მიმყვება, რაც ომის წლებში უფრო დიდი და საშინელი გახდა, ისე საშინელი, რომ თომას მანინით შემიძლია ჩემივე „შემადრწუნებლად სხვა“ ეწოდო მას. ჩემს ბავშვობაში იგი პატარა იყო, ვაურკვეველი, შეიძლება უსაფუძვლო, მერე უნივერსიტეტის წლებში რატომღაც უფრო გამოიკვეთა, ხოლო ომის დროს, მთელ იმ საშინელებათა შემდეგ, რაზედაც უკვე ვიამბებო, უზომოდ გაიზარდა. ახლა კი, როცა ბერლინს ევახოვდებიან იმ „მეორე“ ჩემდა უნებლიედ ისევ იზრდება... იზრდება და მიწიდან ზეცის თაღებს წედება, როგორც უზარმაზარი ნაცრისფერი ეკრანი, რომელზეც სისხლის ასოებით წერია, რომ გერმანელების მიერ ატეხილ იმ ომში 50 მილიონი კაცი დაიღუპა, 35 მილიონი დასახირდა. მარტო ჩვენს ქვეყანაში დაიზარა 1700 ქალაქი, 70.000 სოფელი, 32.000 სამრეწველო საწარმო, 127.000 სკოლა, ბიბლიოთეკა და კულტურის სხვა დაწესებულება. ეს გამანადგურებელი ომი 22 მილიონ კადრატულ კილომეტრზე გაიშალა და 72 ქვეყანა ჩაითრია, რითაც 110 მილიონი კაცი და ქალი ჩააბოთეს ორომტრიალში. ასე რომ მივეყვ ვინ იცის კოდევ რა წარწერა გამოჩნდება იმ ეკრანზე, რამდენი მილიონი გულდამწვარი დედა ან მამა, დაქვრივებული ახალგაზრდა ქალი ან დაბოლებული ბავშვი, საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებანი, ვახკამერები და კრემატორიუმები. მე თითქოს ახლაც ვხედავ, როგორ მისრიალებენ ბავშვები ზევიდან ქვევით, რომ პირდაპირ

გავარჯერებულ ღუმელში მოხვდნენ, როგორ ჩაყავთ მშობლებს ძეგტმყოფარა ბავშვები ორმოში, წვებიან უკვე დახოცილებზე და უცდიან თავიანთ ქვრ ტყვიას, როგორ ინაწილებენ გერმანელი მანდილოსნები ოსვენციმში დახოცილთა ფეხსაცმელებსა და ტანისამოსს, ვხედავ...

ეს, ბევრ რამეს ვხედავ. მაგრამ ისევ თავიდან ხომ არ დავიწყებ ამის მოყოლას!.. ახალა მთელი ეს კომპარია თან მიმყვება გერმანიაში.

იქნებ სჯობდა ამის შესახებ არაფერი მეტყვა, მაგრამ საქმე რაღი აღსარებაზე მიღვა, სხვა რა გზა მაქვს. მე ხომ არ შემიძლია საყუთარი თავის წინაშე ვიფარისელო და ხელის ერთი მოქნევათ წავშალო ის საშინელი წარწერები იმ „მეორის“ ეკრანზე ან სულს ერთი შეხებვით გავფანტო ეს ვაჟოხეთური ბურუსი, რომელშიც ჩაიხრულია მთელი ეს მიღამო...

... მტარებელი ისევ ვიჭებ მთიწვეს ბერლინისაკენ და ასე მგონია იმ ბურუსიდან სულ კომპარულ წყვდიადში შევდივარ. მერედა, რა მშენადა ამ ერთისა და მისი „შემადრწუნებლად მეროს“ ერთად მოთავსება. ან იმ ორი ექსპოზიციის ერთმანეთზე დამთხვევა, რომელთაგანაც ერთზე გამოჩახულია ლუთერი, გოეთე, შილერი, კანტი, ბეთხოვენი, მოცარტი და ვინ იცის კიდევ ვინ; მეორეზე კი სასიკვდილოდ განწირული აღამიანების უზარმაზარი რიგი გახკამებების წინ...

შეიძლება ესეც იმ „ნეტრიმენტუმ სპირიტუსის“ ბრალი იყოს, მაგრამ ისე მეჩვენება, თითქოს იმ რიგში დგანან ლუთერიც, გოეთეც, შილერიც, კანტიც, ბეთხოვენიც და მოცარტიც. ისინიც შეჰყავთ ვახკამერებში, რომ კრემატორიუმში დაწვან და ცამდე აწვილო შევ ბოლს გაატანონ მათი ფერფლი...

ამგვარ კომპარებს კი უფრო შემაძრწუნებელი ალგოორიები და ასოციაციები მოსდევს.

ასე რომ არ იყოს, იმ საშინელ ვარემოში ვალატიონის სიტყვებს რა ვამასხენებდა:

ობობებთან კეთხემი დივანს
გებდავ: ვით გოტე ზის იქ სატანა,
გადეხმანა კედლებს, აივანს —
და ღამემ სულში შემოატანა.

ეს რომ პირველად წაეკითხე, ვიფიქრე, იქნებ ბეჭდვის უბრალო შეცდომაა და ის ორი წერტილი სიტყვა „გებდავ“-ის შემდეგ კი არ უნდა იყოს, არამედ „გგოტე“-სი. მაშინ ამ სტროფის ახრიც სხვა იქნებოდა, მაგრამ ახლა რომ გვეკითხები, ასე არ არის. შე ისეთი ფაქტობრივი პარადოქსებიც წამოვიხატავს, სადაც მე-დრუსტოფელი ამისტოტელეს სახით დაეყვება ფიქსტს, თქმეცა ეს. მართლაც, მეტრისპეტია:

სატანა ვით ვოეთო!!!

ამაზე ფიქრით ღამე შემოატანს სულში კი არა, შეიძლება გონებაც აგემორფოს კაცს, მით უმეტეს „ნასამირტუსას“, როცა ერთი ორად გვიჩვენება და საყუთარ თავსაც ისე უყურებ როგორც სხვას. ის „სხვა“ კი ღამეინივად მოგწერენია და თავი ისე მოაქვს, თითქოს მართლაც სხვა იყოს...

საუბარი მასთან:

ვინ მასთანო, რომ მკითხობ, ასე ადვილად ვერც გიპასუხებთ. ვისაც არ უნდა დაელამბოროთ, ისიც „მასთან“ იქნება. მამასაღამე, ის ერთი არ არის. თუ ასეა, შეიძლება ორიც იყოს. ხოლო სადაც ორიც იქნება იმ შესაღამე ჩნდება და შურე ვინ ვაივებს. სად უნდა დისკავს ის ორი წერტილი. მდგომარეობის გასამარტივებლად ასეთი მათემატიკური ხეჩხიც არსებობს: ჩამოთვლიან რიცხვებს, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, მე-რც სადაც მრავალ წერტილს დასემენ და ბოლოს დაწერენ მრავალწიშნელოვან ასოს — „n“. მაგრამ როგორ გვგონიათ, ჩამდენი შეაღლება იყოს ეს „n“? ჩამდენიც ვინდით თუ რაღაც გამასწავრული? თუ გამასწავრული, ეს იმას ნიშნავს რომ ის ყველა არ არის, და თუ ასეა, მაშინ უნდა გამოიკითხო: ჩამდენია? იქნება ვინმე თქვას „მრავალი“, მაგრამ ესეც გამოუტყნობში ხელის ფათური იქნება. ადგება ვინმე და კითხავთ: ჩამდენი ვინმე იგულისხმება ამ „მრავალი“? ამასზე შეგიძლიათ უთხრათ, ჩამდენიც თქვენც ვნებავთო, მაგრამ მაშინ მრავალი კი არ იქნება, არამედ „მრავლები“, იმისდა მიხედვით თუ ვინ რას „ინებებს“, ამის თქმის უფლებას კი არც გრამატიკის კანონები მოგცემთ და არც აზრის სხუტის აუცილებლობა, თანაც თქვენი პასუხი ახალ თავსამტრევე კითხვას დაბადებს: ის თუ მრავალი, სხვები ვინ არიანო. კიდევაც რომ უბასუხობთ, ვინც მრავალში არ იგულისხმებაო, მაინც აგობირდებიან: ჩამდენია ის „ისინი“

იმ შემთხვევაშიც უნდა თქვათ: „მრავალი“ და ისეც თადიან დაიწვება ყველაფერი...

ასეა ყოველი ჩვენთაგანის „მე“ — ჩამდენი ვინმე, იმდენი „მე“, რასაც მაშინ სტრინგრა, როგორც მოდისნეთ, გრამატიკის წესების დარღვევით, „ichen“ ანუ „შეები“ უწოდა, ამ აზრის დახუსტება რომ მოინდომოთ, ისეც იმ მაგიურ მწერის წაწყვედებით: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7... n. გამოდის, რომ „მე“-ც მრავალია და „ისიც“. შეგვიძლია პირობით ასეც მივიღოთ, მაგრამ, ვინმემ ვაუტამა ბუდლას სიტყვები რომ შეგვასხენოს — „შენ ხარ მეო“, მაშინ როგორ მოვქცეთ? ვუთხროთ „მე ვარ შენი“? მერედა რა გამოვა იქვე? ორივე „შენი“ და „მე“ ერთსა და იმავე დროს ერთად ვიქნებით და მეორეც — წინააღმდეგობა კიანთა დონდასი, ან კენტაგრებისა და სირინოზების ერთიანობა. თუცა ახირებულ კაცს რა ვამაღვებს ამქვეყნიად და ვინმე გვიოხავს, კი მაგრამ მაინც რომელი? აქ არც ერთის ნახევრობა გვიშეულის და არც ორის ერთიანობა. პირველი განსაზღვრული იქნება და მეორეც, ამიტომ „მე“-შიც ყველას შეგვიძლია საყუთარო თავი ვიგულისხმობთ და „იმას“-შიც. ასეც შემთხვევები დიალოგიც ადვილი მოსახერხებელია. „მე“ ის ვიქნები, რაც მე მინდა, ხოლო „ის“ — რაც იმას უნდა. მე ბრალმდებლის როლს ვეკისრებ, ის კი დამცველისას. ამით ილია რომ ბრძანებს „სადაც ბრალმდებელია, იქ მთავრელიც უნდა იყოსო“, ასეც გამოვა: მე როგორც ბრალმდებელი იმავე დროს თავს დავიცავ, ხოლო ის როგორც დამცველი, მე ბრალს დამდებს. ამით, აქც ცალმხრივობას ექნება ადგილი და არც მივტრიალებას. თანაც ორივე სხვაღ ქვეყნისა და „მასთან“ შეხედრის უფლებას მოგიპოვებთ შეიძლება ეს ბარბაროსული პირდაპირობა, ან, დოკუმენტურ თხრობისთვის შეუფერებელი იკავებოდეს იყოს, მაგრამ, ველასნელი სფერბისათვის ისე მოსახერხებელი და მაცდუნებელია, რომ სხვა დანაირენი გვეპატიება...

...მაშ ასე: ის ნელ ნელა მიახლოვდება, გაგონის კედელზე მიჭედულ სკამს გამოსწევს და ჩემს წინ ჯდება. რაც არ უნდა ცვალო მისი გაჩვენობა ავიწროთ, მაინც ვერ შევძლებ ამას, ან რა სავიროსა სულერთია მაინც ყველა აფრსებურად წარმოიდგენს მას, როგორც მისივე სხვას. ეს იმასაც ეხება, ჩვენს წინაშე რომ ზის და ყოველ სავიროს მომენტში სახეს იცვლის. თქვენც როგორც ვენებოთ ისე წარმოიდგინეთ იგი. აქ სრული თავისუფლებაა. ამზობენ, გაჩენის დღიდან დღემდე ჩვენს პლანეტაზე დაახლოებით 77 მილიარდ ადამიანს უცხოვრობათ შორის ორი არ ყოფილა ისეთი, ანსოლუტურად რომ დამსავსებოდა ერთმანეთს, და რაღა ჩემს მიერ აღწერილი ის დაემსგავსება იმას? მით უმეტეს, როცა საყუთარ სულის სატრევი იხედები და შენს მაგივრად სხვას ხედავ,

ან გეჩვენებ, რომ ხედავ, თორემ ისე საკუთარ ეშვეს ესაუბრები, სხვა არაფერი...

ის კი ისევ ზის ჩემს წინ და მსაფურად იღიმება. მე ვაყვირებ მის სახესხეობას და ხან ვის ვამბავს, ხან ვის, როგორც დღის ისე მატარას, გამორჩეული მოღვაწეებს, თუ უბრალო აღმანიებს; მათ ზოგის ზოგიერთ ნებს შევობარსაც თან ვითომ არც ვიცილებ ვისთან შექცს სწამე, ისე ვეითობები:

მე: ბოლოში, მაგრამ ეინ ბრძანდებით?

ის: ვინ ვბრძანდები? ვინც თქვენ თვითონ ბრძანდებით, მაგრამ არ გინდათ რომ ბრძანდებოდეთ.

მე: ვინ „თქვენ“.

ის: შენ, მე, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი — ვინა ეს სულერთი არ არის? იმ „ი“-ში ხომ ყველანი ვიგულებსმებით.

მე: ის მინც მითხარით საიდან მობრძანდებით?

ის: პეტეანტროპის დროდან, როცა ის ნეტარცხონებელი *homo sapiens*-ი გაჩნდა და ქვეყანას თავგზა აღრის თავისი გონიერებით.

მე: ახლა სად მიემგზავრებით?

ის: სადაც თქვენ, კოლეგა, გერმანიაში, ბერლინი...

მე: პო. მართლა თქვენ ერთხელ ბრძანეთ, წარმოშობით გერმანელი ვართ და დამატებით: ნამდვილი გერმანელი.

ვაეცინა, შერე ერთი ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის სახე მიიღო, წვერი მოიჭევა და სულ სხვისი ხმით თქვა:

ის: მე კი არა, ბატონმა შლეგელმა თქვა, თითქოს გერმანელების მოგონილი ვიყო, რაკი თვითონ გერმანელებმა ისურვეს ასე, თავიზიანობის გამო უარი ვერ ეთუხარი და დავეთანხმეთ, თუ თქვენც გნებავთ, რომ მე გერმანელი ვიყო, საწინააღმდეგე არაფერი მაქვს. შესაძლებელია ასე უფრო მოსახერხებელიც იყოს; რადგან ჩვენ ახლა სწორედ გერმანიაში მივმგზავრებით.

მე: იქნებ მე არ მსურს გერმანიაში ისევ თქვენს დავიანახო.

ის: მე მინდა პატრი ვეც თქვენს სურვილს, მაგრამ ამას მინც ვერ შესაძლებთ.

მე: რატომ?

ის: იმიტომ რომ თქვენ უკვე ზედავთ იმას, რაც არ გინდათ რომ დაინახოთ.

მე: თქვენი სახით?

ის: თუნდაც ზემო სახით, მაგრამ მე ხომ მარტო არ ვარ! არც შემიძლია მარტო ვიყო. მე მხოლოდ სხვაში ვარსებობ ისე, რომ საკუთარი არსებობა არც გამაჩნია, არც თქვენ, აღმანიებს. ამბობთ: ღმერთი აღმანიში იხადებო, მე კი ვაეწივდებით, რატომ?! მეც ხომ თქვენში ვიბადები და თქვენშივე ვცხოვრობ, ვიდრე შევთამაღე ჟოჯობეთისა. იქ კი თქვენ სასურველი სტუმარი იქნებით, მე კი ვტულხვი მასპინძელი...

მე: ეს მეტისმეტია, თქვენ გგონიათ, ვაეღა თქვენი სასურველი სტუმარია?

ის: აქ სიტყვა „სასურველი“ უაქრულია, რსენვითა თქვით „აუცილებელი“.

მე: რაკი თავიზიანობაზე მიღვა სწამე, მინდა ბოლოში მოვიხადო, მაგრამ მინც პირდაპირ ვციხობთ, ხომ არიან ისეთებიც, ვისაც თქვენ ეზიხლებათ?

ის: რა თქმა უნდა, არიან, ის კი არა, ბევრნიც, თუკი „მრავლისა“ არ იყოს, ეს სიტყვა ჩამენ ნიშნავს. ჩემთვის კი ეს ცარიელი ბევრებაა. შეიძლება ზოგჯერ ზუთიც ბევრი იყოს, ზოგჯერ კი ზუთასიც ცოტა. ამიტომ მე ვიარჩევთ, აქ ისევ ის „ი“ იხმართ. ეს უფრო მოსახერხებელია. შემიძლია თქვენი სურვილი დავაკმაყოფილო და ვთქვა: „ყველას“ დიახ, მე ვეულებ ვეზიხლები, თუმცა ეს ზელს არაის ეშლის სიამოვნებით მისტუმროს, ხომ იცით, რომ თქვენი „ზიზი“ ჩვენს ენაზე ითარგმნება როგორც „სიყვარული“, ხოლო ჩვენს „სიყვარული“ თქვენ „ზიზის“ უწოდებთ. ისე კი ახრადაც არ მოგდით რომ ეს ერთი და იგივეა: ამიტომ, როცა თქვენ ზიხლით გვახსენებთ ჩვენ სიყვარულით მოვდივართ... და რადგან თქვენ ზიზის ვარეშე არსებობა არ შევიძლიათ, ჩვენ, აღმათ, ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

მე: მე არ ვისურვებდი ამას...

ის: ასე გგონიათ? მე თუ მოითხოვთ თქვენ უკვე ისურვებთ ეს. რე არც მოვიდოდი, მე ხომ სხვისი სურვილით ვარსებობ, მხოლოდ სხვისი...

მე: პირადად მინც არ ვისურვებდი თქვენთან შეხვედრას.

ის: შესაძლებელია, ეს რომ თქვენზე იყოს დამოკიდებული. მაგრამ ასე არ არის! თქვენ ხომ მარტო არა ხართ. დავიფიქვდით? რაც შეეხება სიტყვას პირადად ენაც ცარიელი ბევრებაა. თავისთვის ყველა „პირადადა“, სტუდენტის კი ყველა სხვა, ასეთი ცნებებით ვერაფერს ვამოხატავთ. პირიქით, სულ იმის ცდაში იქნებით თქვენი ცუდი სხვაში დაინახოთ, სხვისი კარგი კი თქვენად მიიწიოთ. და თავი ინუგეშოთ სიტყვებით, რაც იმ უწინდურ ლუქას სახარებში წერია:

— ღმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ ვითარცა სხვანი გაცნო...

ასე „ი“ კი არა, თრი კაცი ვერ გამოსძებნის საერთო ენას. ამას გიჩვენებიათ ზემო ენა შეისწავლით. იგი იმას კი არ გამოხატავს, რაც გესურს იცოთ, არამედ — რაც ვართ. ხოლო იქ, სადაც ვიმნვა, მეცა ვარ, თქვენ გგონიათ მე ეს მსიამოვნებს? პირიქით, მირჩევნია სულაც არ იცოთ...

მე: გამიჯონია, თქვენი ყველაზე დიდი ეშმაკობა ისაა, რომ გინდათ დავჯარწმუნოთ ვითომ არც არსებობთ.

ჩემი ნათქვამი რატომღაც არ ესთამოვნა, წი-

მობტა, ვიწრო ღერეფანში ფეხათრევით გაიარ-
გამოიარა და ისევ ჩემს წინ დაჰდა.

ის: ამბობთ „თქვენი ეშმაკობაო“, მაგრამ
მეც რომ გეცხობო ვინ თქვენი-შუთქი, განა პი-
რღბანი იტყვი „ეშმაკისო“. არა, რამე სხვა
პოიგონებთ. ეშმაკობაც ეს არის. ისე კი გგო-
ნიათ, რომ ეშმაკობა მართლაც ეშმაკის შოგო-
ნილია?!

მე: აბა, ცნაი.

ის: სხვისი, ვინც თვითონ სცოდა და ეშ-
მაკს ვადაბარა: იმან შემატდინაო. სწორედ
ეს იყო პირველი ეშმაკობა, მერე ამას სხვაც
მოჰყვა. მისმა უქალწულულობამ ქალბატონმა
მარიამმა ბატონი ქრისტე ისე შვა რომ...

აქ მან ისეთი ჭოგობითური ხარხარი ატეხა
რომ კლებებიდან შემინებულმა გოგობმა გა-
მოიხრეხა, მაგრამ ღერეფანში მარტო მე რომ
დამინახეს, გაოცებულები ისევ თავიანთ ბუ-
ნაგებში მოიმაღლენ...

ის კი უკვე უხმოდ იცინოდა და ისე გა-
ნაგრობდა:

— მერე სხვებმაც ინატრეს ეს და იმ „როს-
კი ქალწულს“ შედადაღეს:

— ო, დედაო ღვთისა მარიამ, რომელმაც
შოახსხე ისე, რომ არ შეგიცოდავს, მოვეცე
ცნობა ვითარც ვსცოდით ისე, რომ არ შთავსა-
ხოო...

ღერეფანში ისევ ისეთი ხარხარი ვაისმა.
მაგრამ ახლა მხოლოდ ღუნამ გამოიხედა და
ისევ მარტო მე რომ დამინახა უხეჩბულად გა-
ნილიმა, მზრები აიჩენა და უკანვე შემბრუნდა
კლებში...

საუბარი მუშაკისა

მე კი თითქმის ისევ იმისი ლაპარაკი მეს-
მოდა:

ის: ეს უკვე ეშმაკობა კი არ არის, არამედ
ეშმაკობის სურვილი. მეც ვაქმაყოფილებ მათ
სურვილს, სხვებისაც, თუკი ვინმე რამეს ისურ-
ვეს. მსურველი კი ძალიან ბევრია. ხან ერთი
მხმობას ხან მეორე. ზოგჯერ კი ყველა ერთად
ატყდებან და ჩემსკენ იწვილიან ხელებს...

აქ მან ისეთი ექსტი ვაყვება, როგორც გერ-
მანელმა ესაღმებოდნენ თავიანთ ფიურერს.

— მეც სიამოვნებით მივდივარ მათთან და
ენაწილებები მათში, რადგან ამით პირადად
მე არაფერი მაკლებს; პირიქით. თქვენ რომ
ამბობთ ლმობის მერე აქვს ვიდრე იმდევო,
მეც ისე ვარ. რაც უფრო ენაწილებები სხვაში,
მით უფრო ვიზრდები ჩემში. ამიტომაც ვარ
ამოუწურავი. შემძლია ყველას ვაქვყდე. ისი-
ნი კი მადლობის მაგვირად „ფუი ეშმაკისო“ ზა-
ფტრობებენ. ის კი არა, ბატონმა ლუთერმა
სამეღვინე კი მთხლიშა თავში, მაგრამ რა? არა-
ფერის რამდენიმე ხნის შემდეგ მანვე აღიარა
ჩემი აუცილებლობა და იმავე მდღის დაწერა,
„ქვეყანა ეშმაკის სახლიაო“. თუმცა მე თქვენი

სახლი სულაც არ მჭირდება, გულიც მინიყენ
მიმიწევს...

მე: რას გულისხმობთ როცა ამბობთ „შე-
ნისკენ“: გერმანიის ხომ არა?

ის: როგორ გეცადებო. მართლა გერმა-
ნელების შოგონილი ხომ არ გგონივართ? მე
მანამდეც ეყავი სანამ ისინი გაჩნდებოდნენ.
ამიტომ ისეთივე გერმანელი ვარ, როგორიც
ფრანგი და ისეთივე ფრანგი, როგორიც ინგ-
ლისელი ან სხვა ვინმე. ეს სულერთია. ჩვენ-
ში ასეთი რამეებს არ ანახებდნენ. ხომ გავი-
გონიათ, ტუპილი საფლავის ქვებზეც წერიაო.
თუ ასეა, მეც ფარნეში ფერფლით საესე ურ-
ნაზე ვაყვებულ წარწერას ვაქიმებობ:

— ჩემი სული ყველგანაა, გული კი აქ...
მე: სად აქ?

ის: თუნდაც გერმანიისში, სადაც ბევრი მე-
გობარი მყავს: მეგობარი კი, როგორც ერთმა
ჩემმა ძველმა ნაცნობმა თქვა, ორი სულია ერთ
სხეულში. ასეთი მეგობრები ეშმაკებსაც სჭირ-
დება. აი მოგახსენეთ, რომ ისინი სხვის სხე-
ულში ცხოვრობენ. გერმანელები კი ისეთი ეშ-
მაკობით ცხოვრობენ, რომ თავიანთ თანამემა-
მულედაც გამოამაცხადეს, თუ ასეა, მე იქ სტუ-
მარი კი არა, მასპინძელი ვარ, თანაც ის მო-
მწონს, რომ გერმანელებს კარგად ესმით ჩემი,
მეც მიყვანს როცა ამბობენ: „მთელ მსოფ-
ლიოს გერმანელი მზე ანათებსო“. „გერმანია კა-
ცამპრიობის გულიაო“. „გერმანულ ენას ვერც
ერთი ენა ვერ შეედრებიაო“, „გერმანული ქა-
ლები, ყველა ქვეყნის ქალებს სჯობიაო“. იმა-
საც ამბობენ: „სხვა ერებს შეუძლიათ გერმა-
ნელები მოსპონ, დამარხოონ, მაგრამ როცა ამას
ვაყვებდნენ, მერე მიხედვებიან თავიანთ შეც-
დომას და საფლავებიდან დაუწყებენ მათ ამო-
თხარასო“.

მე: ვინ ამბობს ასეთ რამეებს?

ის: ჩემი კოლეგა გერმანელები; ფრიად პა-
ტივტემული მწერლები, ფილოსოფოსები და
სახელმწიფო მოღვაწენი, რომელთაც ჩვენში
ძალიან აფასებენ. მოგვხსენებთ, რომ მე მათ-
თან ხელშეკრულებაც შეონდა დადებული ოც-
დაათობი წლით. ეს დრო გავიდა და მიემგზავ-
რებენ ავსტრიის ვასალურებად. რამეთუ მო-
ვიდა დღე იგი ღლი რასხვისა მისიხა და ვინ
შემძლებულ არს დადგომად?

ეს მან ისეთი მრისხანებით წარმოთქვა, რომ
სულ ციცილს აქვსებდა თვალებიდან. თან
ხედებს ჭყარცმულივით შლიდა და ზე-
კის მაგვირად თითქმის ჭოგობით ხედავდა.
ისიც სასტიკო ამბავი იყო, ეშმაკი რომ ასე
ხშირად იმოწმებდა „წმიდა წიგნებს“.

ამბობენ, ურჩელომ დაიფიცა და რჭელიანმა
დაიქრათ. ნორნბერგის პროცესზეც ასე იყო.
„ეშმაკის ნაბუზობით“ სულ წმიდა წიგნებს
იმოწმებდნენ თავიანთი უწმინდობის საწმევის
გასამართლებლად. ეს კი ამ საქმის ოსტატი
იყო. რამე საშინელებას იტყოდა და, მაშინვე

სახარებას დაიმოწმებდა, ვითომ თვით ჭრისტ-
ღმერთია ეშმაკის alibi-ო. თქვენი სარწმუნო-
ებაც სულ შიშსა და სისასტიკეზეა დაყრდნო-
ბილიო. თვითონაც მაცხოვრის სახეს იღებდა
და წყნარად განავრძობდა:

— ამას სხვების სურვილით ვაყვებ, თო-
რემ იმ პატივცემულ ვიგინდარებთან წაწილს
შინ ყოფნა მირჩევია. თუმცა რას იზამ, თქვენი
ფარისევლური მორალისა და სამართლის მი-
ხედვით დანაშაულს აუცილებლად სამკელი უნ-
და მოჰყვეს.

მე: განა თქვენთან ასე არ არის?

ი: როგორ გეკადრებთ, პირიქით, ჩვენთან
დანაშაული დიდად საპატიო საქმედ ითვლება.
სხვათაშორის იქაც, სადაც ახლა მიგემგზავრე-
ბით. სხვები მაძალტუნ თორემ მე იმათ დავს-
ჯილი კი არა და დაჯილდოვებდი კიდევ...

მე: რითი?

ი: ჯოჯოხეთის ორღენებით, სატანის კვრ-
თხითა და ეშმაკის მათარხით. თან ისეთ აღვი-
ლას დაეასახლებდი თავი სამოთხეში ვერანოთ,
თქვენ რა გვინოთ, ჯოჯოხეთს არა აქვს თავისი
სამოთხე?

მე: ეს შე არ ვიცი და არც მინდა ვიცო-
დე, მაგრამ, ერთი მიზრძანეთ, თქვენ რას კის-
რულობთ იმ სამსჯავროში, ბრალმდებლის თუ
დამსჯელის როლს.

ი: ჩვენთან ასეთი დაყოფა არ არის. ვინც
ბრალს სდებს ვინმეს, იმავე დროს იცავს კი-
დეც. ან თუ იცავს, ბრალსაც დებს. მეც, ასე
ვთქვით, დამსჯელი ბრალმდებლის როლი უფ-
როა შეხებრება. ესე იგი თქვენებურად შე
ბრალს დაედებ, რაც ჩვენებურად დაცვა იქ-
ნება, ან პირიქით. ასეთია ჩვენი სამართა-
ლი...

მე: მოსამართლენი ვინ იქნებიან?

ი: დიდად პატივცემული ბატონები, დანა-
შაულის დანაშაულით დათრგუნვის დიდოსტა-
ტები: სამართლიანი უსამართლობის ქურთუმები,
რომელნიც კანონიერ უკანონობას სციმენ თაყ-
ვანს.

მე: რამდენ კაცს უპირებთ ვსამართლე-
ბას?

ი: ი-ს, ჩემო ბატონო, ი-ს, სხვაგვარად აქ
ვერც ვერაფერს ვიტყვი, რაჟღან თქვენზე
ბრძანებით რამდენი დამნაშავეა, ამას ეშმაკიც
ვერ ვაივებს. მართალი ბრძანებაა: ამა, ვინ
იტყვის რამდენი დამნაშავეა, როცა არ ვიცი
დანაშაული რაა. ერთისთვის ის ბოროტებაა,
მეორესთვის — სიკეთე, ბოროტი სიკეთე ან
თუ გნებავთ კეთილი ბოროტება. მათ შორის
არც საზღვარია და არც რიცხვი. ზოგიერთი გე-
რმანელი იმასაც ამბობს, ყველა დამნაშავეო,
კი ბატონო, რაც ასე გნებავთ, მეც მანდა ვარ.
ხომ იციო სადაც ყველა დამნაშავეა, იქ
ყველა უდანაშაულოა. თუ ასეა შე აქ რა მისა-
ქმება თქვენ ისედაც კარგად გაართმევთ თავს
ყველაფერს. მეც ხომ ვხედავ, ადამიანებმა უწ-

მაკებსაც რომ გეაქოებთ სიაცემი. ის კი არა,
ჩვენზე უკეთესი ჯოჯოხეთიც მოწყვეთ თქვენ-
თვის, ნამდვილი სამოთხისებური ჯოჯოხეთის.
უწინ აღთქმული ქვეყნისკენ ილტვობით და
ჯოჯოხეთისმი ზედმეობით; ახლა ჯოჯოხეთისკენ
ილტვით და აღთქმულ ქვეყანაში ზედმეობით. ეს
კი ვერ ვაივებთ, რომ ეს ერთი და იგივეა.
ავერ თქვენი აღთქმული ქვეყანაც, სადაცაა
შეველათ ბერლანში და ნახეთ კართავენს.
მერც იტყვიო, ეს აღთქმული ქვეყანა კი არა
ჯოჯოხეთიაო, თითქოს ჯოჯოხეთიც თქვენი მო-
გონილი არ იყოს და ეშმაკიც. ისე კი იძახით:
„უფი ეშმაკისო“, „ეშმაკმა წაგლიტოა“, „ეშმაკ-
მა შემიცდინაო“, „ეს ცხოვრება კი არა, ჯო-
ჯოხეთიაო“ და სადა ამგვარი სისულლე. მაგრამ
რაც იტყვით ასეთი სახელი შეგვერქვით ჩვენი
ქვეყნისთვის, კეთილი, იყოს ასე. მე ჯოჯოხეთ-
ზეც თანახმა ვარ. ოღონდ იცოდეთ, რომ
თქვენი ჯოჯოხეთი ჩვენი სამოთხეა, ხოლო
თქვენი სამოთხე ჩვენი ჯოჯოხეთი. მეტიც,
ჩვენ ჯოჯოხეთი ან, როგორც ბრძანებთ, „შესა-
რებელი“ თუ „საუღარი ეშმაკისა“ უფრო
ძვირად გვიღირს ვიდრე თქვენ — „ცათა სასუ-
ფეველი“, ამიტომაც, რომ ჩვენთან მხოლოდ ღი-
რსიულებს ვიღებთ, დანაშაულს ვიგინდარებს კი
სამოთხეში ვკვანით.

მე: თუ კეთილი — სამოთხეში, ბოროტნი
კი — ჯოჯოხეთში.

ი: რა თქმა უნდა, მაგრამ რასაც თქვენ ბო-
როტებს ეძახით ჩვენთვის სიკეთეა, ხოლო სი-
კეთე — ბოროტება, ამიტომაცაა, ბოროტი კი
გვეტრის, მაგრამ კეთილი გამოგვით. ასეა, კო-
ლეცა ყველაფერი ბოროტობაა. თვითრებისთვის
ეშმაკი შავია; შავებისთვის — თეთრი. აფრთქ-
ლები ამბობენ: ჩვენი ღმერთი შავია, მხსნელი
შავია, ჩვენი ანგელოზები შავებია, მხოლოდ
ეშმაკები არიან თეთრიებიო. თქვენ კი რას იტ-
ყვით? პირიქით, ასეა სიკეთეც და ბოროტე-
ბაც. ამიტომ ჩვენში ბოროტება შეუძლებელია,
ეს მხოლოდ თქვენი მოგონილია.

მე: როგორ გეკადრებთ!

ი: უბრალო გვეკადრება, ამა მიზრძანეთ რა
მიგანითა ყველაზე დიდ ბოროტებად?

მე: მოყვასთა კელა ან წამება.

ი: დაბა, „არა კაც ჰკლა“... ათი მინება,
რომელსაც ჩვენთან უფრო იცავენ ვიდრე
თქვენთან. ამა, სად ვაგონილა რომ ჯოჯოხეთში
ვინმეს კლავდნენ. იქ ვისაც სიკვდილი უნდა,
იმასაც არ კლავდნენ. არც მკვდრებს აძლევენ სო-
კვლილის ნებსა. ხომ ვახსოვთ, როცა შე ის
შეშლილი ვნება ვიყავი, სიკვდილით დასჯის მე-
ქართი ავუქრბალე გერმანელებს თავის მოკვ-
ლა... ეს კი ნამდვილად ჩვენებურია, ჯოჯოხე-
თური, სადაც ყველა მკვდარი უკვდავია.

მე: წამებაც მართალია, არა?

ი: რა თქმა უნდა, მაგრამ წამებაც და შუ-
რისძიებაც ჯოჯოხეთიდან კი არა, ცათა სასუფე-
ვლიდან მოდის, პირველად იქ განიღო ტაძარი

კარისაჲ მის საწამებლისაჲ. ჩვენც იმის განა-
ჩენს ვასრულება „რომელსა იგი აქუს მახილი
ორპირი აღესვლა“, რადგან ეს მისი პრივი-
ლეგიაა. აჲ თქვენი ექმნილდრი მამებნი ვა-
ფრთხილებენ:

— ნუ თავით თუხით შურსა ეძიებთ, სა-
ყუარელნი არამედ გით აღვილ რისხვასა,
რამეთუ წერხლ არს: ჩემი არს შურისგებაჲ
და მე მივაგო, იტყვის უფალი...

ამას ზამ ახოკალასის ამხარზენი შურისძიე-
ბა მოჰყვა, ყოფობთში შთანთქმა და კბილთა
ლტქენა. ასეა, ყოველივე ეს თქვენი მოგონი-
ლია: ყოფობთის გასაღებოც თქვენს ვაქეთ.

— და მჭონან ცოტენი სიყვდილსა და
ყოფობთში მხოლოდ დამნაშავეებს სჯიან. თქვე-
ნიც კი, ამ შემთხვევაშიც სხვის ნებას ვას-
რულებთ: თანაც კანონების უზუსტესი დაცვით.
თვითონ კი არავის არაფერს ვუსჯით. ან ვინ
უნდა მიუხაჯოს ჩვენ არც მოსამართლენი
გაუვის და არც ნაფიცი მსაჯულენი. ამასთანავე
ყოფობთში მხოლოდ დამნაშავეებს სჯიან. თქვე-
ნთან კი ბავშვებსაც არ ინდობენ. ზომ ხედავთ,
თქვენი სსხარება რომ სულ ზუპირად ვიცი.
განა იქ არ წერია, „და შვილი მისნი მოსწყუ-
დენ სიყვდილითაო“?

ან იმი აიღეთ. ყოფობთში იმი ვის ვაფგო-
ნია იქ მხოლოდ წესრიგია და მშვიდობა. თქვენ
თვითონ რომ აღამიანებს მარადიულ ტანჯვა-
წამებს არ უსჯიდეთ, არც ეს საზიზღრობა იქ-
ნებოდა ჩვენთან; ახლა კი:

— იყოზნიდეს ვნათა თვისთა ტყვილისა-
ვან... და მათ დღეთა შინა ეძიებდნენ კაცნი სი-
ყვდილსა და ვერ პოვნენ, და მსტროდის მოყუ-
დომად, და ივლტოდის მოთვან, სიყვდილი...

მე: აშკარა ბოროტებას თქვენ შთაგონებთ
აღამიანებს და აცდენთ მათ!

ის: რაგვარ გეკადრებთო ჩვენ რომელი შთა-
გონებელთ ვართ პირაქით, ვისაც ყოფობთის
შხამი დაუღვია, იცის, რომ ჩვენ დამგობილთა
მოღვმას ვეკუთვნით. შთამაგონებლები კი
თქვენ სხვაზე გყავთ: ღმერთები, მათი მოციქუ-
ლები, პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები, ევრნა-
ლისტები... იმათ მოკითხეთ. ჩვენთან ვერ ერთი
წიგნი არ დაბეჭდილა, არც ევრნალი გამოდის,
არც გაზეთი. ეს ყველაფერი თქვენი მოგონი-
ლია. იარაღებიც თქვენი შეცნირებისა ნა-
ყოფია. ვერა ხედავთ მთელი ქვეყანა რომ სსხა-
კლათ აღკვეთ? სულ იმებით, „კეთილი ღმერ-
თი და ბოროტი ეშმაკით“, თან იმ სიბრძნე-
სივანი მოქადულ საღმთონივით ფარსიყე-
ლობთ და ამბობთ: „მოქმედი კეთილისა იციებს
შეღლსა კეთილისაო“. ან კიდევ: „ბოროტნი გო-
ნებთთა თანაყოფენ ბოროტსა“ თვითონ კი,
In gloriam Dei, — ღმერთის საღმდეგლად
ისევ იმ „ბოროტ ეშმაკს“ ემსახურებით. აბა,
ვინა თქვა: malum malo medicari ბო-
როტება ბოროტებით დაიძლევაო? — თქვენ,
კეთილმა და ღვთისნიერმა აღამიანებმა. ბრალს

კი ჩვენ ვდებთ. ბოროტების შთაგონებლობა
რატომ? ჩვენც ზომ თქვენსავით ტალახით არ
ვიცლით მუშყის არც ვფარსიყვდილთაჲნ შქვენი
ამტიკეობი, გმირული სული ტანჯვაჲმთაჲსწრეთაჲ
ბაო. ჩაივ ასეა, კარგი ბატონო, ტანჯვა გნე-
ბავთ? წამება? კეთილი და ბატონისანი. ჩვენ არ
მოგაყლებთ ამ სსხაგონებათ. ყოფობთის კარება
შეღდა ღიაა. მოზრძანდით, დაგებლებო, გმამსა-
პინძლებო, გნებათ ეცხლს შეგინებთა, გნე-
ბათ ჩანგალზე დაკიდებთ... იმისდა მიხედვით,
თუ რას იმსახურებთ...

მე: რა საზიზღრობაა...

ის: გუთამზებთო, ეს, რა თქმა უნდა, სა-
ზიზღრობაა, მაგრამ ამას სულ თქვენგან ვსწავ-
ლობთ. ჩვენ არაფერს არ ვიგონებთ. არც შეგ-
ვიძლია რამე მოვიგონოთ, რადგან განათლება
არა გვაქვს. ჩვენთან არც სკოლებია, არც უნი-
ვერსიტეტები. წერა-კითხვასაც არავინ გვას-
წავლის. ჩვენ მხოლოდ აღამიანთ კლენი ვიხე-
დებით და ვიგებთ ყველაფერს. თქვენ კი ულ-
რესად განვითარებული ვაგბატონები ბრძანდე-
ბით და ჩვენც თქვენი წაბაძვით ვაშგობენებთ
წამების ტექნიკას. ახლაც შინ რომ დავბრუნ-
დები, ისეთ სიხალეებს ჩავიტან, რომ თუთა
ლუციფერსაც თმა ყალბზე დუღდება სიხა-
რულისაგან...

მე: რატომ სიხარულისაგან?

ის: იმიტომ რომ ეს უკეთესი იქნება ვიდრე
ჩვენთანაა. უკეთესი კი, მოგვსენებათ, კარგის
მეტოქეა. ისევე როგორც უარესი ცოდნისა ამი-
ტომ ვსაც უარესის ეშინია, ცუდით უნდა
დაკმაყოფილდეს, ხოლო ვისაც უკეთესის ეშე-
ყება, კარგს დასყრდის. ჩვენ არაფერს არ გვე-
შინია. ამიტომ კარგს უკეთესი გვიჩვენვია.
თქვენ კი ცუდს ვითვობთ, რადგან უარესის
შათალა, ვერავის წაგართმევთ უფლებას „დაუშვას“ და „უფიქროს“. მაგრამ მინც უნდა გვახსენოთ ავტორს, რომ ვახუშტის დროს არის „მოკორე ქალაქი ქვილვანი, კეთილ-მარგანი, მსახლობელი არიან ქართველი, სომეხნი, ურიანი“, ასე რომ „ამ დროს ოსური მოსახლეობა მრავლად“ კი არა, სულ არ ყოფილა აქრაც შეეხება დვალეთს, იგი სააკაძის „ძირითადი საყრდენი“ კი არა, ურჩი ვაზა, რომელია უდავლო—ამ პერსიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის თვალსაზრისით—აქანყება სააკაძემ სასტიკად ჩაატრო. მაგრამ განვავრდოთ.

4. „შაბ-აბისი ქარვად გრანობდა მის წინააღმდეგ ქართველ-ოსთა ერთიანი ბრძოლის დიდ მნიშვნელობას და თავის მტრედაც ოსთა განადგურებას შეეცადა“ და ამ მიზნით ოსებში ილაშქრა, ამბობს ავტორი (106). მაგრამ მას ავიწყდება, რომ ეს ლაშქრობა ოსების წინააღმდეგ კი არა, ყაბარდოს დასამორჩილებლად **ყო გამოხელა!** „საერთო მარცხის მიუხედავად, შაჰმა მინც მიაღწია საწაღელს და ერთი ყაბარდოელი მთავარი, მუდარ ალყასაგი დამოკრჩალა.

5. „იბრეტიდან თეიმურაზ 1 „მოკლეს დვალეთი და მოვიდა დუშეთს 1636 წელს და მუნიდამ მცდელობდა ქართლს“. **სადიქრებელია**, — კომენტარს უცეთებს გ. თოგოშვილი ამ ცნობას, — რომ თეიმურაზი ამ შემთხვევაში ოსთა დასამარცხებლად სარგებლობდა“ (გვ. 108).

ავტორის მიზით დვალეთი კელარ უნდა ვახსენოთ?...

6. 1711 წელს ვახტანგ VI ოსეთში ილაშქრა, „შემუსრა 80 კომენი, დაიპყრა დვალეთი და დასდვა ხარკით“, — წერს ვახუშტი. ავტორის აზრით, „**უკვხ ვაჩუშვა**, ქართლას პოლიტიკური

მსვლეტრები არ ემაყოფილებოდნენ ოსებთან უბრალო კეთილშემზობლური ურთიერთობით და ამ ურთიერთობის ბატონშობის პირწყობა მოწყობას, ე. ი. ოსთა დამორჩილებას და დახვეწრა-დახარკვას ედროლობდნენ“. ხოლო ცოტა ქვემოთ, სადაც ავტორი ვახტანგის ამხედრების ამბავს გადმოგვცემს რუსებთან შესაერთებლად, წერს: „მთელს ამ პოლიტიკურ კიდელში ოსთა (ეს განსაკუთრებით ეხება სამხრეთელ ოსებს. მთავი ჩვენ ვგულისხმობთ იმ ოსურ მოსახლეობას, რომელიც ცხოვრობდა კავკასიონის ქედს გადმოღმა ნარ-შამისონის რაიონის ჩათვლით) **აქტიური მონაწილეობა არ გამოიჩინებდა** ვახტანგის 40 ათასიანი ლაშქარი ქართველების გარდა **მოგზაუც აერთიანებდა** 1711 წ. ოსეთზე მარტყოფილი ლაშქრობის ერთერთი მიზანი ისიც იყო, რომ ოსთა დამორჩილებით მათი სამხედრო ძალა თავის პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად გამოეყენებინა ვარდა ამისა, ამ ამბებიდან არავისა და ქსნის საერისთავოების გამოირკვება შეუძლებელია, ისინი კი ქარბად ვაიროვდნენ ოსურ მუსახლეთსაყ“ (120).

მომავლენებელი ლოგოკა....

7. კრწანისის ველზე იოანე, დავით და ვახტანგ ბატონიშვილების შესახებ: „რამდენიდაც სამივე ბატონიშვილს საუფლისწულოები შერეულ ქართულ-ოსურ მოსახლეობას შეიკავდნენ, მათგან გამოყვანილი ჯარაც ასევე შერეულნი ქართულ-ოსური იქნებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კრწანისის ველზე ერთველმა და ოსმა ხალხმა მტრის მრავალრიცხოვან ურდოებთან უთანასწორო ბრძოლაში საერთო საშრობლობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ერთად დადგარალი ისახლთ განამტკიცეს მათ შორის საუკუნეების მანძილზე ტრადიციულ ქვეული საბრძოლო თანამეგობრობა“ (157).

„უფიქრობ, საქმარისა!... აი, ასეთი მეთოდით დაწერილ წიგნს რეზიუმეც შესაფერისი აქვს. **ისტორიულმა წყაროებმა შემოვიცინებენ** ცნობები (7) მათი მონაწილეობის შესახებ შაჰ-აბასის ურდოებთან ბრძოლაში XVII ს. პირველ მეოთხედში, ბატონიონის გვირგვინ ებაძეაში 1659 წელს, როცა აჭანყებულმა კახელებმა, არაველებისა და ქსნელების დახმარებით, მუსორი გააღეს კახეთში ჩამოთესილი თუჩქმანთარებს“ (177). მამ ასე — **კონკრეტული ფაქტის გადმოცემის დროს** — „უნდა დავუშვათ“, საერთო დასვენის დროს „ისტორიულმა წყაროებმა შემოვიცინებენ ცნობები“. ასეთი მეცნიერული მეთოდი.

იგივე სუბათია ეკონომიკური ურთიერთობის განხილვის დროს. ვახუშტი ოსების მეურნეობის დახმარებისას წერს, რომ მათ: „არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ნობა, ზამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე; და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით“. ავტორს არ მოსწონს ეს ცნობა და გვირგვინს, რომ იგი

* Н. И. Веселовский, Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией, т. II, Спб., 1898, стр. 381.

„ახსოვდები“ ახრით არ უნდა გავიცხო. ოსებს, შართალია, საყვარელი ფულადი ერთეული არ ჰქონდათ, მაგრამ მათ ფულადი შემოსავლის წყაროები ჰქონდათ და მუშობელ ხალხებთან ურთიერთობაში ფულს განსაზღვრული ადგილი უნდა სჭირებოდათ“ (59).

სხვათა შორის, ზემოხსენებულ „ნარკვევებში“ თვით თარგმანი წერს, რომ XVI-XVII სს. იქ „ფულის მავიჯრობას სწევდა ტალო, პირუტყვი და სხვ.“ — იხ. „ნარკვევები“, გვ. 165).

ეკონომიკური ურთიერთობის დასაბუთებლად ავტორის ასეთი ფაქტიც მოაქვს: როგორც რუსეთის იმპერატორის კარზე მყოფი ქართველი ელჩები აცხადებენ, დარიალის გზით დადიან რუსთა ქართველებს, სომეხებს და სხვა ეროვნების ვაჭრებს. ისინი „...მოიწვევიან რა ოსთა შორის, მანამ არა თუ მხოლოდ აძლევენ მათ განწესებულთა მათთა მისაცემლთა საქონელთა ზედა, არამედ ესეცა ხშირად იქმნების, რომელ ისინი მომწყურნებობითა ნეთაშოყვარეობისათა მოკლებენ მათ უძველესე წაქონებს თვისსა“. ამ გზითაც — განაგრძობს ავტორი, — ოსთა გარკვეული წრეები სხვადასხვა საქონლის მიღებას ახერხებდნენ“ (93).

მაშ ასე, ვიულოვსკეტეტრა გაძარცვა — დარილის გზით დანტერენება, რუს-ქართველსომეხ ვაჭართა გაძარცვა — ეკონომიკური ურთიერთობა...

როდესაც საქართველოში ოსთა ვანსახლების საკითხს ეხება, ავტორის მოაქვს თემურლანგ 1-ის წყალობის სიგელი 1662 წლისა, რომლითაც თემურლანგი (რომელიც ამ დროს ტყვეობაშია ირანში) ჩერქეზს ალადაღის შიღის ვიოჩკის ახლოვეს მამულს გამოუღო სამსახურისათვის: „გობოძეთ სახასო გარდამივალს სავანაყოფო და ან ვინცავე ჩერქეზები და ოსი ანაერშვილი იყო მათით მიმელოთ...“ სიგელი ასე მთავრდება: „და ვიბოძეთ ჩერქეზში რაც ჩვენი ჭახასო იყო უძველესე“. ეს საბუთი გ. თარგმავილს რატომღაც აძლევს საფუძველს აზრების, რომ „XVII ს. კახეთში ოსების მოსახლეობა დოკუმენტურად დასტურდება... რა პირობებში ზღვრა ოსთა კახეთში დასახლება და მათ მიერ მამულების შექმნა — ამაზე ცნობები არა

გვაქვს. უნდა დავუშვათ, რომ კახეთის მრავალჯერის ოსიზღვრულ ტერიტორიაზე ჩერქეზები და ოსი მოსახლეობის გაჩენა სამეჭრო ბელადის ფლების, დასახლებულ შემთხვევაში თუ მოხერხება 1, მოღვაწეობის შედეგი იყო“ (201).

და სხვა და სხვა...

ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობას კულტურულ სფეროში უდავოდ დიდი წარსული, ტრადიციები და შედეგები აქვს. ოსური განვითარება „ნოვ ცარდ“, რომელიც 1907 წელს გამოვიდა, ერთერთ მოწინავეში წერდა:

„ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადმოსახლების შემდეგ, როცა ქართველების ვერძლით ცხოვრება დაიწყო, ოსებს ზასიათი შეეცადათ და მესხბელი ქართველების ზნე-ჩვეულებები მიიღეს. საქართველოში ოსები მალე ვაჭართვებულდნენ, მაგრამ ეს არც ოსების ნება იყო, არც ქართველებისა, ეს ახალი ქვეყნის შეგავლენის შედეგი იყო. სასტიკად ტყუის ის, ვინც ეტყვის ოსს, რომ ცდილობენ შენს გაჭირვებულსა. მალმობრობას თავის დღეში არა ვაუჯობებთა რა დარღვევის გარდა“ (3. თარგმანი, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, თბ. 1969, გვ. 155).

შე არ ვიცი, რა საფუძველს ემყარებოდა ოსური განვითარების ეს რამდენიმე გადაჭრებულ მტკიცება, მაგრამ ცხადია, რომ საქართველოში ოსების ცხოვრებას დიდი ცვლილებები უნდა განეცადა და ეს ცვლილებები ნაშრომში უნდა ასახულიყო. წიგნის 256 გვერდიდან ოს-ქართული კულტურულ ურთიერთობას 30 გვერდი აქვს მიძღვნილი. სწორედ კულტურულ-ეთნოგრაფიულ სფეროს უნდა აესახა ოსი და ქართველი ხალხების მრავალსაფეხროვანი ურთიერთობის ისტორია და არა იმ ხელაყნებულ შექმნილ სფეროებს, რომელთაც ავტორი უწოდებს სამხრეთული ოსების პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ ურთიერთობებს საქართველოსთან, ხოლო ამ ხელაყნებულ შექმნილი პრობლემების ელვამ კი ავტორი აიძულა მცდარი მეთოდი მოემაჩვენებინა, რამაც მისი პოზიცია პრინციპულად მიუღებელი გახდა.

ალბათობის თეორიით კი ისტორია ვერ არ დაწერია.

ფილარ ნაპაშვილი

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის მარქსისტული კრიტიკისათვის

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ძირითად მიმდინარეობათა კრიტიკული ანალიზი მარქსისტული ფილოსოფიურ-მეცნიერული კვლევის ერთერთ ძირითად და აქტუალურ

ლურ ამოცანას წარმოადგენს. ამ მიმართულებით, რასაკვირველია, მიმდინარეობს გაჩვეული მუშაობა. როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოცემული იქნა მთელი რიგი შრომები, როგორც მონოგრაფიების, ისე კრებულების სახით, რომლებიც მიძღვნილია თანამედროვე

XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, „განათლება“, 1970.

ბერეჟაზიული ფილოსოფიის ზოგიერთი მიმდინარეობისა და წარმომადგენლის შეხედულებათა კრიტიკისადაც.

თანამედროვე ბერეჟაზიული ფილოსოფია არ არის ერთგვაროვანი, არა მხოლოდ ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივ პოზიციათა სიმრავლის გამო, არამედ პოზიტიური-ფილოსოფიური პრობლემატიკის, ფილოსოფიურ სისტემათა კატეგორიული სტრუქტურისა და მეთოდოლოგიური პრობლემების არსებობად განსხვავებული, ხშირად სრულიად საპირისპირო დაყენებისა და ინტერპრეტაციის გამოც. ამიტომაც მე-20 საუკუნის ბერეჟაზიული ფილოსოფიის ისტორიის შესახებ სისტემატური, განმარტავადელი ხასიათის შრომის შექმნა უღრესად რთული ამოცანაა. წინამდებარე სარეცენზიო გამოკვლევა სასიაშოვნო გამოხატვისა არა მხოლოდ ფაქტობრივი თვალსაზრისით, არამედ იმიტომ, რომ იგი ამ მიმართულებით კვლევის წარმატების ლოგიკური დიფუზივის ნიშნუსაც წარმოადგენს.

ნაშრომის შესავალში ჩამოყალიბებულია ის ცენტრალური პრობლემა, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე ბერეჟაზიული ფილოსოფიის ყველა მიმართულების შინაარსს და მისი განვითარების მაკისტრალურ ხაზს წარმოადგენს. საყვარელ სწორად არის აღნიშნული, რომ თუ საერთოდ ვერაშეიძლება ფილოსოფიის განვითარებაში გამოყოფენ სამ ძირითად პერიოდს: ანტიკურს, შუასაუკუნეებისა და ახალი ფილოსოფიის პერიოდებს, თანამედროვე ფილოსოფია ახალი ფილოსოფიის ის მონაკვეთია, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის კრახით და მარქსიზმის წარმოშობით დაიწყო“ (გვ. 4). ზოლო ჰეგელის ფილოსოფიის, როგორც ოფიციალური მსოფლმხედველობის, უარყოფა ბერეჟაზიული ფილოსოფიის მიერ — ავტორთა აზრით — იმას ნიშნავდა, რომ დაკარგვა სავრთო მიზანი, რომელიც პირთვინებასა და პიროვნულზე მართა იდგა და რომელიც ყოველი პიროვნული უნდა შეეწიროს (გვ. 5). თუ ჰეგელთან ერთადელი ლოგიკისა და პიროვნული ისტორიის ზოგადთან, მსოფლიო სულთან თანხმობაში ღებულობდა თავის ღირებულებასა და მნიშვნელობას. „ჰეგელის შემდგომ ბერეჟაზიულმა ფილოსოფიამ არა მხოლოდ ერთდელი არჩია საყოველთაოს და პირთვნება — საზოგადოებას, ჰეგელის საპირისპიროდ მან უარი თქვა შეშენების ყოვლისშემძლეობაზე, უარი თქვა აბსოლუტური ჰეგელიანობისაგან სწრაფვაზე და ირაციონალურს შეაფარა თავი“ (გვ. 6). ამ პრინციპული ბოიკოტიდან აფასებენ ავტორები მე-20 საუკუნის ბერეჟაზიული ფილოსოფიის ძირითად მიმდინარეობებს.

სარეცენზიო ნაშრომი ცხრა ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში (ავტორები ზ. კაკაბაძე, თ. ბუაჩიძე, ე. კოდუა) კრიტიკულადაა გან-

ხილული სიცოცხლის ფილოსოფიის ძირითადი წარმომადგენლები ფ. ნიციშ, ე. დილითის, კ. შენკლერის, ზ. ფროიდის, ე. ბერტანოსის, ო. ი. ვასეტის ფილოსოფიური შეხედულებანი ავტორთა სამართლიანი შენიშვნით „სიცოცხლის ფილოსოფიის ძირითად პათოსს შეადგენს სიცოცხლის ინტრობის კონფესციის უარყოფა და ამის ნაცვლად სიცოცხლის არსებობა ნიშნად აქტივობა-შეშოქმედებობის ნათელი“ (გვ. 23); მაგრამ ავტორები სწორად მიუთითებენ, რომ მხოლოდ ადამიანის თვითგანსაზღვრულობის განზომილება ვერ აგვისნის ადამიანის ბუნების რაობას, რადგან ადამიანი ამავე დროს საზოგადოებრივი არსებაა და ადამიანის ვადშირი საზოგადოებასთან მისი არსებობა არსებითად შინაგანი განზომილებაა; ამ განზომილებათა შეთანხმების გარეშე სიცოცხლე არაა ადამიანური ცხოვრება (გვ. 24).

სარეცენზიო შრომის მეორე ნაწილის თემა მე-20 საუკუნის ბერეჟაზიული ფილოსოფიის გაგრძელებული მიმდინარეობის — პოზიტივიზმის კლასიკა. მეორე ნაწილის პირველი თავი, მიძღვნილი ემპირიოკრიტიციზმისა და მახიზმის კრიტიკისადმი, დაიწყო აკად. კ. ს. ბაქრაძის მიერ. აკად. კ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ რაივე უცხოეთია ერთმანეთის მოათავსავე და ბევრ ბუნებრივ, განსხვავების მიუხედავად, ერთმანეთს ემთხვევა იგი ღრმა შეცნიერული ანალიზის საფუძველზე აჩვენებს, რომ, ავნიარისისა და მახის პირადი განზრახვის მიუხედავად, მათეოფორია ძირითადად სუბიექტურ-იდეალისტურა, ავნიარისტურა დარბა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რ. ავნიარისის ურთულესი და სპეცილისტებისათვისაც მწელად გასაგება ფილოსოფიური თეორია აკად. კ. ბაქრაძის მიერ დალაგებულია ზედმიწევნით შეცნიერული სიზუსტით და ამავე დროს ისე ნათლად და გასაგებად, რომ იგი არაა სპეცილისტური მეთოდოლოგიისათვისაც საყვარელზე ზემოთსაყვარელზე. ამ ნაწილის მეორე თავში განხილულია ავნიარული პრავმატიზმის ძირითად წარმომადგენელთა შეხედულებანი (ავტორი ვ. გოგიბერიშვილი). ჩ. პირისის, უ. ვიშნის და ჯ. დივის ფილოსოფიურ მოძღვრებათა ანალიზის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ეს მიმართულება წარმოადგენს პოზიტივისტურ ფილოსოფიას, რომელიც შეშენების თეორიის რელატივისტური პრინციპის შემოტანისა და დაცვის გამო მახისტურ-ემპირიოკრიტიკულ ფილოსოფიას, შეიძლება, გაუვივდეს (გვ. 146). მეორე ნაწილის მესამე თავში მოცემულია თანამედროვე ნეოპოზიტივიზმის ძირითადი წარმომადგენლების ვ. რასელის, ლ. ვიტგენშტაინის, მ. შლიკის, რ. კარნაპის, პ. რაიჰენბაჰის, პ. უ. ბრაიჰენის და თანამედროვე ინგლისური ლინგვისტური ფილოსოფიის წარმომადგენელთა თვალსაზრისის კრიტიკული ანალიზი (ავტორი

ბი: ს. ავალიანი, ა. ბეგიაშვილი, ე. ერქომაიშვილი). ისინი მართებულად მიუთითებენ ამ, ერთი შეხედვით, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ მოძღვრებათა საერთო წიგნზე, რომელიც ავტორთა მიხედვით, მდგომარეობს ცდისეული ცოდნის აღიარებაში ცოდნის კრიტიკრიუმად და უნის ანალიზის საფუძველზე მეტაფიზიკის უარყოფაში. ფაქტობრივი მასალის უაღრესად კვალიფიციური ანალიზით, ავტორები ასახელებენ თანამედროვე პოზიტივიზმის წინააღმდეგობრივ ბუნებასა და მის იდეალისტურ ხასიათს.

სარეცენზიო შრომის შესამე ნაწილში განხილულია ნეოკანტიანელობა (ავტორები ვ. თევზაძე, ვ. ცინცაძე, ო. ჩიოფი). ამ გაღმაცემულია პ. კოპენის, პ. ნატარის, ე. კასარის, ვ. ინდელბანდის, პ. რაერტის, შ. გებერის შეხედულებანი. მოცემულია ნეოკანტიანელობის ლაიონური და ღრმა მეცნიერული განსაზღვრება, რომელიც ეკუთვნის პროფ. ვ. თევზაძეს და რომელმაც ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში მოქალაქეობრივი მნიშვნელობა მოიპოვა. ამ განსაზღვრების მიხედვით „ნეოკანტიანელი შეიძლება ყოფილიყო ფილოსოფოსი, რომელიც ემყარება კანტის შემეცნების თეორიას და უარყოფს ნიეთის თავისთავადის არსებობას, მაგრამ ინარჩუნებს მის, როგორც „სახეობრივ ცნებას“, რ. თ. შემეცნებისათვის შარად მიღწეულია მიზნის მნიშვნელობა“ (გვ. 212). სარეცენზიო ნაშრომში ძირითადი ნეოკანტიანური სკოლები წარმოდგენილია ამ განვითარების საფუძველზე, რომლებიც სულ უფრო და უფრო ზღუდავენ ფილოსოფიას შემეცნების თეორიის სფეროში; უარს ამბობენ შემეცნების თბიერებურ ღირებულებაზე და შედეგად ჰემიარტიკების ფიქციად გამოცხადებამდე მიდიან: ამიტომაც ამ ნაწილის უკანასკნელ—შესამე თავში მოცემულია პ. ფაიხნერის ფიქციონალიზმის კრიტიკული ანალიზი. რადგან იდეალიზმის ხსენს ცდა კანტის ფილოსოფიის ინტერპრეტაციის საფუძველზე ლოგიკურად სკეპტიციზმამდე მივიდა, ხოლო ფილოსოფია სკეპტიციზმზე ვერ შეიწერება, ამიტომ, ავტორთა აზრით, ყოფილი ნეოკანტიანელები ან ნეოპეგელიანელებს შეუერთდნენ, ან მუსერის ფილოსოფიის გავლით ონტოლოგიისა და მეტაფიზიკის აბლუბურ და ფუნქციას შეეცადნენ (გვ. 212—219).

სარეცენზიო შრომის მეოთხე ნაწილს სავსებით ლოგიკურად, მიძღვნილია ნეოპეგელიანელობის ანალიზისადმი. ეს ნაწილი სამი თავისაგან შედგება: პირველ თავში ე. თოფერიძე განიხილავს იტალიური ნეოპეგელიანელობის ანუ ნეოიდეალიზმის ძირითადი წარმომადგენლების ბ. კროჩესა და ჯ. ჯენტილეს შეხედულებებს. ავტორი საფუძვლიანად არჩევს როგორც ბ. კროჩეს, ისე ჯ. ჯენტილეს შეხედულებებს. მათი ფილოსოფიური შეხედულებების ანალი-

ზისას სავსებით და მთლიანად პირველ წყაროებს ემყარება. ორივე ფილოსოფიურია სისტემის წარმოშობის მიზეზად ავტორმა მნიშვნელობას მატრუხავს ელტერის სპირიტუალის კრიზისს და ამის შესაბამისად ამყადენებს მის საერთო ამოცანასაც. მისი აზრით, იტალიური ნეოპეგელიანობა კვლევის ცენტრში აყენებს აღმართა და ისტორიის აქტივობის ერთიანობის პრობლემას და მიზნად ისახავს დამტკიცოს ინდივიდის შემოქმედებით მოღვაწეობის ასოლუტური თავისუფლება (გვ. 258). ბ. კროჩეს და ჯ. ჯენტილეს ფილოსოფიის კრიტიკული ანალიზი ქართულ ენაზე პირველად ამ შრომაშია მოცემული და იგი ამ მხრივაც საყურადღებო მოვლას წარმოადგენს.

ამვე ნაწილის მეოთხე თავში მ. გელიძე არჩევს გერმანული ნეოპეგელიანობის ძირითადი წარმომადგენლებს რ. კრონერის, პ. ბლენკერისა და ვ. ლასონის შეხედულებებს. ავტორი დამატებულად ვაღმოცემებს, რომ თანამედროვე ნეოპეგელიანელობა არსებითად ემყარება ჰეგელის ფილოსოფიის რეაქციულ მიმდინებებს და ირაციონალიზმისა და მისტიკის მიმართულებით აეთიარება მას. აქვე, შესამე თავში განხილულია რუსი ნეოპეგელიანისის ე. ილინის მიხედვებაც, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიის ინტუციონალისტურ, რელიგიურ-მისტიკურ ინტერპრეტაციას იძლეოდა.

წინამდებარე შრომის მეხუთე ნაწილი ეხება ნეოთომიზმს (ავტორი ვ. ცინცაძე), რომელიც კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური ფილოსოფიაა. ავტორი დამატებით განიხილავს ნეოთომისტური ფილოსოფიის ძირითად დებულებებს, ნათლად აჩვენებს ფილოსოფიის ძირეული საკითხების ვაგებაში ნეოთომისტური პოზიციის ამჟამა სიყვარბესა და მისტიკურ ხასიათს. იგი სწორად მიუთითებს, რომ ფილოსოფიაში ნეოთომისტები იცავენ იდეალისტურ ხაზს, ამავე დროს ყველა საშუალებით ცდილობენ რაკაბიტალისტური საზოგადოების დაცვას, ეწვიან სისტემატურ ბრძოლას სოციალისტური საზოგადოებისა და მისი იდეოლოგიის წინააღმდეგ.

სარეცენზიო შრომის მეექვსე ნაწილში განხილულია პერსონალიზმი, რომელიც, როგორც ფილოსოფიური თეორია, სამყაროს არსს პერსონასა და პერსონალურ არსთა სიმრავლეში ხედავს, ხოლო როგორც პრაქტიკული თეოსაზრისი, იგი ყურადღების ცენტრში ადამიანის პიროვნებას აყენებს და ამ ცნებას ძირითადდეთიკის, სამართლისა თუ ფსიქოლოგიის კატეგორიებით განსაზღვრავს (გვ. 348). ამ დაღვეზულია მ. შტერნის თეალსაზრისი, რომელსაც ავტორი (ვ. ცინცაძე) მისი პანთეოლოგიზმის გამო მართებულად მიიჩნევს ლაბინციის მონადოლოგიის ვარიაცად. პერსონალიზმმა ვ. ცინცაძის აზრით, მიზნად დაისახა ადამიანისთ-

თვის ორიენტაცია მიეცა სამყაროში, მაგრამ სამყაროს პერსონათა მთლიანობად გამოცხადებით სწინააღმდეგო შედეგი მიიღო, რადგან სამყაროს პერსონიფიკირება შეუძლებელი ხდის ადამიანის სპეციფიკის დადგენას (გვ. 358).

წინამდებარე ნაშრომში ვრცლად არის განხილული ფენომენოლოგიური მიმდინარეობა გვ. 20 სავსებით ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. აქ დალაშქრულია ფ. ბერტალანო, გ. ფრეგეს, ჯ. პუსერლას, მ. შელერის შეხედულებები (ავტორები ა. ად. ა. ბოჭორიშვილი და მ. ბეგანიშვილი). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ე. პუსერლასა და მ. შელერის ფილოსოფიურ კონცეფციასა ღრმა მეცნიერული ანალიზი აკად. ა. ბოჭორიშვილის მიერ. სარტრესთან შრომის ეს პარაგრაფები იმითაა აღსანიშნავი, რომ აკად. ა. ბოჭორიშვილი ე. პუსერლასა და მ. შელერის იდეალისტური, ხშირად მისტიკური თვალსაზრისის სავსებით არგუმენტირებული მარქსისტული კრიტიკის გვერდით გამოჰყოფს რაციონალურ მომენტებს მათს ნაზრეტში და ყურადღებას ამახვილებს ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ საკითხებზე. იგი მიუთითებს კვლევის ფენომენოლოგიური მეთოდის რაციონალურ მომენტებზე, რომელსაც მარქსისტული დიალექტიკის თვალსაზრისითაც გარკვეული პოზიტიური მნიშვნელობა აქვს.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია რეალისტოლოგია. პირველ თავში დალაშქრულია ე. ლასკის, ნ. პარტმანის, პ. შულცის (ავტორები გ. თევზაძე, ლ. შვედლოვილი) შეხედულებანი, ხოლო მეორე თავში განხილულია ინტელექტუალური ნეორეალიზმი (ავტორი გ. მარტიბე). აქ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნ. პარტმანის უღრესად რთული და ირიგინალური ფილოსოფიური მოძღვრების ზუსტი და ნათელი გადმოცემა და ს. ბლესანდერისა და ა. ნუატიკების კატერილოგიის ძირითად დებულებათა საყურადღებო ანალიზი.

შრომის უკანასკნელ მეცხრე ნაწილში გადმოცემულია თანამედროვე ბურჟუაზიულ სამყაროში მერტლ პოპულარული ფილოსოფიური მიმდინარეობის — ექსისტენციალიზმის კრიტიკული ანალიზი. ამ ნაწილის თავში — სათაურით — ექსისტენციალიზმამდელი ექსისტენციალისტები — დალაშქრულია ს. კიურეგორის, მ. უნამუნის, ნ. ბერდიეევის შეხედულებანი (ავტორები ე. თოვტრაძე, გ. თევზაძე, ე. კოლბა), მეორე თავი მიძღვნილია გერმანული ექსისტენციალიზმის დმი, სადაც გარჩეულია მ. პაიდგერისა და ჯ. იასპერსის მოძღვრებანი (ავტორები გ. თევზაძე, თ. ბუაჩიძე), ხოლო მესამე თავში ვაღმოცემულია გ. მარსელისა და ე. პ. სარტრის (ავტორები ა. პრეგუაძე, გ. თევზაძე) მისაზრებანი. სარტრესთან ნაშრომში სავსებით სწორად არის მიითვებული, რომ მიუხედავად თავისი ვერცხლებულობისა, „ექსისტენციალიზმსაც არ ეწერა ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიზისი-

დან გამოყვანა... ექსისტენციალიზმის წარმოადგენლები ფილოსოფიური პრინციპებზე პოზიტიური გადაწყვეტილის ან ტრადიციული რღვევების მასთან თუ ამ ფორმის უახლოვდებათ, ან მარქსიზმთან ეკლექტიკურ ერთიანობას გეთავაზობენ“ (გვ. 498).

ასეთია ძალზე სქემატურად სარტრესთან შრომის შეხაზი. ჩვენი აზრით, სარტრესთან წიგნი წარმოადგენს მალად თეორიულ და იდეურ დონეზე დაწერილ სისტემატურ გამოკვლევას თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ძირითად მიმდინარეობათა შესახებ. უშუალოდ, პირველწყაროებზე დაყრდნობით ავტორების მიერ ფართო შეიხვედრა მისისათვის მისაწვდომ ფორმასა დალაშქრული მათი შეხაზის; ამავე დონის ყველა დასაბუთებული მიმდინარეობის წინააღმდეგ წამოყენებულია მარქსისტული ფილოსოფიის პოზიციებიდან გამომდინარე ძირითადი არგუმენტები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ამა თუ იმ მიმართულების შესწავლის დროს. ეს უკანასკნელი ვარჯიშობა ძირითადად განსაზღვრავს ამ წიგნის, როგორც ფილოსოფიის უკვლამის სტუდენტთა სახელმძღვანელოს, დირსებას; ამ სახით იგი დაუფასებელ სამსახურს გაუწევს არა მხოლოდ სტუდენტ ახალგაზრდობას, არამედ ყველას, ვინც დაინტერესებულია თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის თეორიული საკითხებით. სარტრესთან შრომის უღრეს დირსებას ისიც წარმოადგენს, რომ ყველა ფილოსოფიური მიმდინარეობა — და მათი ცალკეულ წარმომადგენელთა ნაზრევი განხილულია ისტორიულად; ნახვენება მათი გენეზისის სოციალური და თეორიული-ფილოსოფიური წყაროები, რაც აშკარად ააღვილებს ბურჟუაზიული ფილოსოფიის განვითარების ზოგად კანონზომიერების აღვისებას მეთიხველის მიერ. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს სარტრესთან შრომის ერთი თავისებურება: ყველა ფილოსოფიის შეხედულებათა დალაშქრების შემდეგ წიგნში მიითვებულია მისი ძირითადი შრომების სია ორიგინალის ენაზე, ხოლო წიგნის ყველა ნაწილის ბოლოს მიითვებულია, ავტორთვით იმ გამოკვლევებზე (ქართულ-რუსულ და უცხოურ ენებზე), რომლებზეც განხილულია ესა თუ ის მიმდინარეობა თუ ცალკეული ფილოსოფოსის შეხედულებანი.

ისევე როგორც თითქმის ყოველ გამოკვლევას ფილოსოფიის ისტორიის შესახებ, ამ შრომისაც ახასიათებს ფილოსოფიურ-ისტორიული მასალის გადმოცემის (დალაშქრების) პრინციპის დუალიზმი. როგორც ცნობილია, ფილოსოფიის ისტორია, შეიძლება გადმოცემული იქნას როგორც ისტორიული, ისე ლოგიკური პრინციპით. პირველ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა თეორიულ და რეალურ (ისტორიულ-გეოგრაფიულ) თანამიმდევრობას,

ხოლო მეორე შემთხვევაში მხედველობაში იღებენ თეორიულ პრინციპთა ურთიერთ-გამომდინარეობა — განსაზღვრის (ან უარყოფითი, ან დადებითი აზრით) დამოკიდებულებას. როგორც ვრთ, ისე მეორე პრინციპს აქვს თავისი ღირსება და ნაკლოვანებანიც, ამიტომ ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან მოწყვეტით მათი გამოყენება ვერ იძლევა სასურველ შედეგს. აღნიშნული ნაშრომი იმათაც არის საყურადღებო, რომ ავტორთა კოლექტივი შეეცადა ამ ორი პრინციპის სინთეზს და პრობლემა ახალი შეჭით წარმოვიდგინა. რადგან ავტორთა კოლექტივს საქმე ჰქონდა შინაარსობრივად პრინციპულად განსხვავებულ მაგრამ თანადროული ფილოსოფიური თეორიების ისტორიასთან, ამიტომ მათ, ჩვენი აზრით, მართებული გზა არჩინეს, როცა უფელ ფილოსოფიურ მიმართულებაა შესავალი წარმმადვარეს, სადაც მოკლედ არის დახასიათებული ყოველი მიმდინარეობის გენეზისი და ისტორიულ-ლოგიკური აღვილი ფილოსოფიურ კონცეფციათა სისტემაში. მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნულ დეკლარაში ვერ არის გადალახული, ამათ ასაბუთებლს ზოგიერთი მიმდინარეობის (მაგალითად, ნეოპეგელაზიზმის, რეალისტოლოგიის, ექსისტენციალიზმის) ისტორიულ-გეოგრაფიული პრინციპით დალაგება. მაგალითად, ნ. პარტმანის, ს. ალქსანდრის, ა. ნ. უაიტჰედის კატეგორიალოგია, რომელიც მათი ფილოსოფიური მოძღვრების არსებას წარმოადგენს, პრინციპულად იგივეობრივი ფილოსოფიური პოზიციითაა განსაზღვრული და ამ შემთხვევაში მათი გეოგრაფიული ნიშნით გამოყენა სრულებითაც არ იყო საჭირო. შესაძლოა ისტორიულ-ფილოსოფიური კვლევის მეთოდოლოგიურმა სიანგულეებმა განსაზღვრეს კრებულში ფილოსოფოსთა შერჩევის პრინციპიც, ცნობილია, რომ 30-იანი წლების ეპოქაში გარკვეულად პოპულარული და გავრცელებული მიმდინარეობა იყო უნივერსალიზმი, რომლის ძირითადი წარმომადგენელია ოტ. შპანი, მაგრამ რატომღაც იგი ამ შრომაში გათვალისწინებული არ არის. ასევე რეალისტოლოგიაში გათვალისწინებულია შეხედულებები, შეღვისა, რომელიც სრულებითაც არ არის თანამედროვე ონტოლოგიის დადი წარმომადგენელი, ის. ფენჩერის, ფრ. ბ. ფონ ბრანდენშტაინის, გ. იაკობის, გვერდით, მაგრამ დასახლებული მოაზროვნე-

ები რატომღაც საერთოდ მოხსენიებული არ არიან.

ფილოსოფიის ისტორია — მე-20-ე საუკუნის ფილოსოფია აქ არავითარ გამოყენებაში არ წარმოადგენს — არ არის მხოლოდ მსოფლმხედველობრივ მოხიციათა — იდეალიზმისა და მატერიალიზმის — ბრძოლის ისტორია; იგი, ავრთვე, მეტაფიზიკისა და დიალექტიკის ბრძოლის ისტორიაცაა. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიისათვის ფილოსოფიური მეთოდოლოგიის პრობლემა ისევე არსებითია, როგორც არის პრობლემა მაგრამ ფილოსოფიური მეთოდის პრობლემას სარეცენზიო შრომაში ნაკლებად ყურადღება ექცევა ხოლო იქ, სადაც ავტორები მსოფლობენ მეთოდის შესახებ, ვარდა ზოგიერთი გამოწყლისისა, არ არის ყურადღება გამახვილებული იმ პოზიტიურზე, რომელსაც ესა თუ ის თვალსაზრისი შეიცავს. შრომის შემდგომ გამოცემაში, ჩვენი აზრით, ამ ხარვეზის გასწორებას მერე ყურადღება უნდა მიექცეს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ განხილულ შოაზროვნებებთან ნეგატიურისა და მანკერის მხილებაზე. ეს, რასაკვირველია, საესებით მართებულია; ბურჟუაზიული ფილოსოფია თავისი მსოფლმხედველობრივი საფუძვლებით ყალბი და მანკერია; მაგრამ თვითონ სარეცენზიო შრომა აშკარად გვიჩვენებს, რომ მე-20 საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორია მხოლოდ შეცდომათა და სყვალბეთა ისტორია არ არის; ასე რომ იყოს, მაშინ მის შესახებ წიგნის დაწერაც არ იქნებოდა საჭირო. მთელი რიგი პრობლემები ახლებურად დაისვა მე-20 საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიაში. მთელი რიგი ფილოსოფიური სინკლეთა ანალიზ-უდავოდ რაციონალური მნიშვნელობისაა მარქსისტული ფილოსოფიის თვალსაზრისით. ასეთ ვითარებათა გამოკვეთას, უფრო ნათლად და გარკვეულად დახასიათებას შეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურის რაციონალური შინაარსის მარქსისტული თვალსაზრისით გადამუშავებასა და ათვისებასათვის. თუ მეორე გამოცემისას ეს ვითარება გათვალისწინებული იქნება, შრომა ალბათ ვაცილებით მოიგებს.

შოთა ნიშნიანიძის პოეზია



ნაწარმოების მნიშვნელობა მართო წინაარსით როდი განისაზღვრება, თუნდაც იგი თვისთვალად საინტერესო იყოს, თუ ფორმა შეესაბამება იდეას და იდეა გამოთქმულია ნათელი ფორმით, მაშინ ნაწარმოები შესანიშნავია მომავალი თაობების თვალსაზრისითაც. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო შოთა ნიშნიანიძის პოეზია, რომელიც აღსაყვამად სამშობლოს ჩაუქრობელი წყვილი და მშვენიერების ფილოსოფიით.

მშვენიერების შესაგრძნებლად მოთავსდა გამოხატო იგი და სხვასაც აგრაზობინო მისი სულიდ. სწორედ ამ ნიშით არის დაქილდებულ შ. ნიშნიანიძე. აღმართის ხელით შექმნილი მშვენიერება ბუნებაზე მალა დვას იმდენად, რამდენადაც, როგორც ბ. ბელინსკი ამბობდა, „ყოველი შეგნებული და თავისუფალი მოქმედება მალა დვას შეუგნებულსა და უნებურზე“, ეს იდეა წარმტაცი მხატვრული ფორმით არის გამოხატული ლექსში „მიქელანჯელოს მოსე“ — ხელოვნების აბოთეზი.

რამ იქნებოდა მოსე ნეტავი, რომ არ შეექმნა მიქელანჯელოს? — ქეაღმცეულ მოსეს თქრით ვეხუბი, ვით შთაგონებას ქამთან ნაომარს და მარმარაილოს თბილ ნატეხებით თვლი ვესება არარაობას...

შთაგონება ყოველგვარი შემოქმედების წყაროა. როცა ჩემს არსებას, წერს შ. ნიშნიანიძე, — ლექსი ეღვდება:

მაშინ ვარ, როგორც სააბრილოდ მოხნული მიწა,
ყოველი სიტყვა ნაწიამარი თესლივით ღვივის.
შე ვარ ვენახი,
შე მასხია ყურძნის მტევენებად,
ვარ სქელი ყანა —
ქარის მკლავზე გადაწყვენილი —
ამოხეტოილი სმინდებლად და თვითავებად და უველაფერი, ხმა და სურნელი,
ჩემში მწიფდება და ბუბუნებს მაჭრის დუდილით.
ასე მკონია, უველაფერი შემოდის ჩემში,
ვარ უველა ცვირტით ტანდაყორილი,
ტანს მიხურდავენ უველა ფესვები.

ლექსში ნათლად ჩანს ავტორის ღრმა შემოქმედებითი პროცესი, რომლის გზითაც ვველინება პოეტური ქმნილება. ქეშმარიტი ნაწარმოები უველა საეყენისა და ხალხის კეთვნილებაა, შორეული მზის მსგავსად უველასათვის ასხევებს. ასეთი ნაწარმოების შესაქმნელად კი საჭიროა ფართო გონებრივი პორიზონტი. როცა მხატვრულ ტა-

ლანტს ცოცხალი გონება ანათებს, მაშინ შემოქმედებითი გამარჯვება უბრუნველყოფილია. შ. ნიშნიანიძის პოეტურ ნიქს ძლიერი აზრი წარმართავს. ამიტომაც მან ბევრი ფართო დიამაზონის ნაწარმოები შექმნა („ელტ უიტმენი“ — „ბალახის ფოთლები“, „ილიადას“ მთარგმნელი“, „გზები“ და სხვ.). ამ ლექსებში ლირიული და ეპიკური ელემენტები ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს. საერთოდ კი შ. ნიშნიანიძისათვის დამახასიათებელია მონუმენტური სტილი, მას აქვს კომპოზიციისა და კოლორიტის ძლიერი გრძობა.

ლექსში „გზები“ სიხარული კოსმოსურ ძალიად არის აღიარებული. „თვითთულ ბუღეს, აფეთქებულ კვირტს და ღრუბელს მიწამ ცას რომ ასტეფნა, სიხარული შობს. სიხარული ზრდის და სიხარული უღვეს საფუძვლად“. ერთი სიტყვით, „სიხარულია სიცოცხლის დედა, ჩვენი ცხოვრების ძირი, სათავე“, ის დედაებრივი პათოსი, რომელსაც მოაქვს ვანახლება ყოველისფერისა. ლექსში ეს აზრი იმდენად ორიგინალურად არის გამოთქმული, თითქოს პირველად ვისმენდეთ მას. ლექსებში უხვად გვხვდება სრულიად ახალი მეტაფორები და შედარებები. ეს გარემოებაც განსაუთრებულად და თავისებურ ელფერს აძლევს მის პოეზიას. ამ მხრივ სანიშნოა ლექსი „უბნა“, რომლის შინაგანი აზრი, ანუ უკეთ რომ უქვავთ, მისი ფილოსოფიური კვირტესტი მკაფიოდ მიგვანიშნებს სიცოცხლის უკვდავებაზე.

რა თქმა უნდა, სიცოცხლე სიყვდილის შემდეგაც გრძელდება; იმ შემთხვევაში თუ სიცოცხლე ღამაში და შინაარსიანი იყო, აღმოიანი მხოლოდ მაშინ არის უკვდავი, როცა თავისი საქმეებით კეთილ კვალს — ტოვებს ხალხის მესხიერებაში.

იწყება სიცოცხლე სიყვდილის შემდეგაც — ხედავთ? საღამურობას მოჭრილი ღერწამი!

მართალია, მოჭრილი ღერწამი საღამურობს, საღამური კი თვისებრივად სიცოცხლის უფრო მაღალი საფეხურია, ვინემ ღერწამი, მაგრამ თუ ეს საღამური ხალხში არ აღმარავს ემოციებს, სიხარულს, მისი სიცოცხლე საოცრად ხანმოკლეა.

თითქოს გრძნეული მისანი ვიყო — ფესვთა ჩურჩული მესმის ტანითაც, კიანჭველების სამრუნავს ვიყოფ და რაღაც შორი ზილვა ამიტანს.

პოეტი ნამდვილად გრძნეულია. როცა ჩანაფიქრს მივუხვდებით და შევადრწევთ მისი სულის იღვმალ კუნძულებში, მაშინ პოეტის

შემოქმედება ბევრი გრანოზების სიმბბუნა ათრთოლებს.

მე მოაზროვნე პატარა მატლი, ვარ მონაწილე სამყაროს შექმნის.

სამყარო იმიტომ არის ლამაზი და მშვენიერი, რომ მის შექმნაში პოეზია მონაწილეობდა. პოეზია დაუარული საგანძურის ხილვია. პოეტს სიოცრად მახვილი თვალი აქვს, იგი ბუნების იმ პატარა მოვლენებსაც კი ხედავს, რას დანახვა უმოკროსკომოდ თითქმის შეუძლებელია: „ეხედავ, ივსება მიწის წვეთით მყენარის ძარღვი; ვიცი რამდენი ბუსუსი ავსებს იმ ქერა ატმს, ან ამ ხეს მუშლი რომ წელს დაარღნის. ან რამდენ ფოთოლს ამოიღებს ყოველი კვირტი, ან რამდენ ღეროს ამოიერის ყოველი ფესვი“.

პოეტის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია მარად მორაგი, პარმონიული ბუნების ძალის აღქმით. იგი გატაცებით აღწერს ბუნების მოვლენებს და ერთ-ერთ ლექსში („ბალახი“) ამბობს: „მისი ფერი, სიყვარუ და სიმედეა დაემაყენე ჩემს სიტყვას და იმედებს“. და იქვე დასძენს: „დე სიცოცხლით მარად ვაუქურდავ იყოს სიტყვა ბალახით უკვდავი“.

სიტყვა თუ ლექსი უკვდავი მხოლოდ მაშინ არის, როცა ის მხატვრულ სიმართლევად აგებული, მხატვრული სიმართლე კი ცხოვრებისეული სიმართლის ესთეტიკური გარდაქმნაა. შ. ნინიაიანის წარმატება გაპირობებელი სინამდვილის მართალი და ემოციური ასახვით, რასაკვირველია, ცხოვრებაში არის წერილობრივ, მაგრამ შემოქმედისათვის მთავარია დამახასიათებელი და არსებითი.

იმდენი და ისეთი სიცოცხლეა გარშემო.

აღარც ქვერა ამ ქვეყნად სიყვადი თუ არსებობს.

ამ ორ სტრიქონში გამოთქმულია შ. ნინიაიანის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი პოეზიის მართლიანი ტენდენცია, რითაც აღბეჭდილია წარსულზე დაწერილი ლექსებიც. მათში ისტორიის იერსენის თანამედროვე ცხოვრების პათოსს, მის მღვლეარე პრობლემებს, ისტორიული წარსულის ასახვისას პოეტი მთლიანად „აძირება“ მის გარემოში, მთელი სულსკვეთებით უფრთხილბა ხალხის გარდასულ სამართლ ყოფას, იმ ბოქმის ამბებზე წარმტაცად მოგვითხრობს და დიდების შარავანდედით მოსავეს სამშობლოსათვის თედადებულ იდამიანთა სარეებს („სამასი არაველი“, „მშურს, მებარბება ჩემი წინაპრის“ და სხვა). შ. ნინიაიანის მხატვრული კონცეფციის მიხედვით ცხოვრებას და ისტორიაში ბატონობს მხოლოდ ნათელი და გმარული, რაც ასე იზიდავს და ხიბლავს პოეტს. ამასთან, ერის ძველი ტვივლებიც სისულხორცეულია მისთვის.

სამამელო ოპის თემაზე ფართო გამოთქმებიცაა შ. ნინიაიანის ლექსებში. მის თვისებური გააზრებით და გამოირჩევა შ. ნინიაიანის ლექსებში: „სურვილია ლისა და უფანსენელის შესახებ“, „ყვარენიანი“, „ქარისციკის დაბრუნება“... ვინც იყენა ოპი და უშვარლად განიცადა მთელი მისი სამყარო, მას ამ შეუძლია დივიწყოს მთელი ის უდიდესი პოროტება, რაც ხალხს მიაცენა ოპმა, მაგრამ ოპის შემდეგ დიდმა დრომ განვლო, თათები დეჟეციდნენ მშვიდობიან ცხოვრების პირობებში, მათში ლიტერატურამ უნდა აღძრას ხიზლი და მძულარება, იმით წინააღმდეგ, ვინც ამდენი უბედურება მოუტანა ხალხს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება შ. ნინიაიანის ლექსები, ესოდენ მკვერთად რომ გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების განწყობილებას, სულიყოფებებს, მისწრაფებებს, შეუპოვარ ბრძოლას მსოფლიო ხალხთა შორის მშვიდობის დასამყარებლად.

შ. ნინიაიანის ყოველი ლექსი სისხლსაყვად, დიდ აზრს იტევს, პოეტისათვის ნინიაიანობილია სახეების ბუნებრივი კონსტრუირება, მავალითისათვის საქმარისია დეჟასახელი ლექსი „მატეირის სახელისწინაში“. — საერთოდ ეს ნინიაიანის პოეზია, რომელშიც ნაყვებულ ვითეცნობებრებული მეთხველიც კი დრმად შეიკრანობს ბრწყინვალე მეტაფორების სიღებეს, სორცმესხმა საქმაროდ ცნობილი დებულბიანია: „ხელოვნება არის აზროვნება სახეებში“.

ზოგიერთ მწერალს ეპოეა მიანიანა პოეზიის უმაღლეს გეარად, გეორგეინად. ამის მიხეზვის უდიდესი პატეისცემაც, რომლითაც „ილიადას“ ეპურბოდნენ ბერძნები, ხოლო მათთან ერთად სხვა ხალხებიც. ეს უსახლეო მხატვრულიცა ძველი დროის უდიდესი ნაწარმოებისადაა, რომელშიც გამოხატა ბერძნების ცხოვრების მთელი სიმდიდრე და სისრულე, მყავიოდ იგრძნობა შ. ნინიაიანის ლექსში „ილიადას“ შორგმწელი“ იგი თავისი ხალხის თვლით უფრებებს გმირული სული აღბეჭდილი ამ უკვადე ქმნილებას და მშობლიური მვეყნის ისტორიაში მის ანარეკლს ხედავს. ეს ლექსიც მყადიოდ მეტყველებს პოეტის ფართო გონებრთვ დიამბონზე, მისი პოეზიის მძფრ და თეირმყოფ ხასიათზე.

როდენს უთქვამს: ყველა მხატვრულ სამუშაოთაგან მიუსტი და პორტრეტი ყველაზე მეტ გამჭრიახობას მოითხოვსო. დიას, გამჭრიახმა მხედველობამ, მვეირცხლა გონებამ შექმნი მასწავლებლის, მსახიობისა და ხეესტრის ფრწერული ტილოები შ. ნინიაიანის შემოქმედებაში. „ხეესტრი“ ეს არის ლექსი, სურათად ვანსახიერებელი. ასეთივე ემოციებს იწვევს „ჩემი ქართლის მასწავლებელი“ და „მსახიობი“. ვეითხლომთ ამ ნაწარმოებებს და ჩვენს მესხიერებაში ცოცხლებდიან უბრლო, რივით მოქალაქენი, ნამდვილი პატრიოტები, სპეტაე

ბუნების კეთილშობილი ადამიანები მდიდარი სულიერი საშუაროთი, ამ ლექსებში საველის-სმო მეორე მხარე — შეგონებები ნამდვილად კეთილშობილ გავლენას ახდენენ მკითხველზე. პოეტის პერსონაჟებმა ღრმა ფესვები გაიღვეს ჩვენს გულში, ეს არის შ. ნიშნაინძის სიტყვის მალღო და ძალა.

ნილოსზე დაკვირვების შედეგად სრულად ახალი ხანა იწყება ასტრონომიისა და ტექნიკის დარგში, რითაც ევგობტელმა ხალხმა უდიდესი წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში. მაგრამ შემდეგ, შუა საუკუნეებში ცივილიზაციის შემოქმედი ქვეყანა აგრესიულ იმპერიალ იქცა. მის წინაშე საბრძოლო ვე-შიან, უკან იხევენ... ამ დიდ გამარჯვებებში ქართველ მამულელებსაც მიუძღვით წილი. მაშინ, როდესაც მტერი მათ მშობლიურ სახლ-კარს არბევდა, ციხე-კოშკებს ანადგურებდა, ისინი ფაქს წირავდნენ სხვათა დიდებისათვის. სწორედ ამ უკუღმართობაზე მოგვითხრობს ლექსი „მამულელები“. პოეტმა აქ გაიხსენა მამულელების წარმოშობის ისტორია, ვრცელი და ნაღვლიანი ამბავი ლაკონურად და ცხოველი ფორმით გადმოგვცა, რითაც ჩვენს სულში ჩვენი აღზრდილი მწეხარება გათვლია.

ქართული პოეზია მდიდარია ისტორიულ-მატრიოტული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშებით. მათ რიცხვს ეუფუნის აგრეთვე ღრმა გულისტკივილით დაწერილი ლექსი „მონღოლები“. ეს არის ისტორიის შიშვე ამოკენსა.

ცხენის ძეგზე გამოაბნეს მთელი აზია და ველურ სტეპინთ მიათრეს ქვეყნის კიდეშიდა... მათ ნატერფალუმს სიველით და ყვაფი ასხია... სამრეკლოებზე ზარს ხსნიან და ჭიხინს კიდეშენ.

შემდეგ პოეტი მოგვითხრობს საქართველოს ინტელექტობაზე ადამიანთა მოღვმის გამანადგურებელ ხანაში.

ამ წუთას, როცა იმ ნაფლოქვარ დრო-ყამს ვიგონებ, მონღოლის ცხენი ლაგამივით ხრავს ჩემს სტრიქონებს...

ეს სიტყვები მკაფიოდ მეტყველებენ, თუ როდენ ღრმად განიცდის თანამედროვე პოეტი იმ უფოლავ გვირგვინს, რომელიც ჩვენმა ხალხმა ვადატანა წარსულში. მაგრამ ისტორიის იმტომ კი არ მიმართავს, რომ ადამიანებს მოავროს წინაპართა საშინელი ხედვრი და სიბრალული გამოიწვიოს მათში ამ ხედვრის ვამო, ავტორის ჩანაფაქრი უფრო ღრმაა: აგრესორი ვერასოდეს ვერ გატეხავს იმ ხალხის ნებისყოფას, ვინც საკუთარ მიწა-წყალს იცავს. ეს აზრი პოეტის სხვა ლექსებშიც ამოვიკითხთ.

ყოველი ქვეშაობიტი მწერლის ნაწარმოებში შინაარსიანია, შინარსი კი მკითხველს უცნობ-ერებში მხოლოდ მაშინ ტოვებს დრეკ ენულე, როცა ის გადმოცემულია მარჯველ და მარჯველ-ლაღ, ფერადოვნად, ძლიერი მხატვრული სახე-ებით. სწორედ ამ მხრივ არის საუფრადღებო ნიშნაინძის პოეზია.

საქართველოს ყველა კუთხეს განსაკუთრებული კოლორიტი აქვს. ლექსებში „ქართლი“, „იმერეთი“... „ვიტოვობისთვის“, „იმერული სიმღერა“ კარგად ვრძნობთ ამ კუთხეების განუმოგარებელ სურნელს. პოეტი მხატვრული სახეებით ამშვენებებს ბუნებას.

ნიშნაინძე პეიზაჟის წინებული მხატვარია. მისი ამ კანონის ლექსები მკითხველში აღძრ-ვენ ფაქტვ გრძნობებს, ხალისიან განწყობი-ლებას.

ორლობებში გუნგ-გუნგ რომ მოტყუებუნებს ვით ფეხშიშველი სოფლელი გოგო, ხეზე ჩვილ კვირტებს ცეარს რომ აკურტებს, ნატერფალზე რომ ამსუღის სოფო — ეს ამბილია აღზლებების რძისფერ კანაში, ღობე-ყორეებს მოუყვება თამამთამაშით, ბორცვებს, ვორაკებს გადავლო ასენილია-

თითი, წვიმის თმები აქვს ცისატრელას ბაბთთთ შეკრული, ქართან, სხივებთან გაუმართავს ჩქარი ფერტული.

აქ პოეტი მხატვრული ანალოგიით ქმნის ვა-ზაფხულის შეუღარებელ სურათს. სწორედ ასეთ სურათზე ამბობენ ხოლმე, როცა უყურებ, ვინდა კიდე შეხებითაც ივრძნო.

ვაზაფხულის ფანტასტიკური კოლორიტით არის მოცული აგრეთვე „სავაზაფხულო“, „ილედა... მეზი ვეარდა“, „ამბილი“ და სხვა. ეს ლექსები უმჯველად განუეთარებენ იდ-მიანს ესთეტიურ გრძნობას, რაც საერთოდ, დამახასიათებელი ნიშანთვისებაა შ. ნიშნაინ-ძის მხატვარობრივი პოეზიისათვის.

რაც უფრო ღრმად ვუკვირდებით პოეტის შემოქმედებას, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ მას იზიდავს და აინტერესებს საგნებისა და მო-ვლუნების არა ვარჯიანი მხარე, არამედ მათი შინაგანი არსი, ბუნება იგი შორიდან გულ-ცივი მკვირებელს თვალთ კი არ აღწერს ცხოვრებას, არამედ გადმოგვცემს მისი შემო-ქმედი ადამიანების განწყობილებას, სულიერ მდგომარობას. მან შესანიშნავად იცის, ბუნე-ბის ყველაზე შვირფასი გვირგვინი აღამიანია და რომ მისი ძალ-ღონით ხდება ყველა საკ-ვირეელებათა აღმოჩენა, ამიტომ, შემოხვეე-თა როდია, რომ იგი ასე ემუდარება ბუნას შთავგონოს შემოქმედი ადამიანის ღირსების გამოიმხატველი ლექსებში.

სიმღერის დედა,
 დამაფარე წყალობის კალთა,
 ზემს სასთუმალთან მიღვეი ღამით,
 საიდუმლოთა მასწავლე სული,
 მომეცი ფეხების სიფიქტე,
 სინორჩე ყლორტის,
 მოეცი თვისლან უკვდავება ჩემს ყოველ სიტყვას,

რათა ვადლო შემოქმედი ადამიანი.
 ეს სტრაქონები მოგვყავს ლექსიდან „ორი ფუტე“. მის ერთ პოლუსზე, რომელზეც სოფლის ბუნების დამახასიათებელი სერათია ნაჩვენებია, პოეტის ანთიპარებს ახრს, რომ სიცოცხლის ვნება, დედამიწის ვნება სამყაროს მოძრაობისა და განვითარების უპირველესი წყაროა. ამა, უფრო დაუგდეთ:

მზით დახლებილი შვიფე ლედები
 წყეტავენ ფიქვის ნატეხებივით.
 თრთოლვით გადავტებ ლედის სქედ
 ფოთოლს,
 მსხვილ ძარღვებიდან გამოქონავს რძისფერის
 სიხბე,
 რაგორც ყვირინა,
 რაგორც ვნება დედამიწისა...

ლექსის მეორე ნაწილში თანამედროვე ქალაქის ცხოვრების მარსიცემა მკვეთრად ისმის. აი დამოთარდა ერთი შრომაღლე, „ისვენებს ჭაფჩა; ჭარხნის მილი, ისვენებს დაზგა...“ არ ისვენებს მხოლოდ პოეტის სული. მის სამუშაო ოთახში იწყება იმ დღეს განცილილა და ნახულის ლექსად გარდაქმნის რთული შემოქმედებითი პროცესი.

უცხაო ოთახი ვენახივით გადაიბურა,
 შვიფე სიტყვები მტევნებივით ჩამოიყურსა.
 ქაღალდზე ფიქრი ამოაქცილდა,
 ქაღალდზე ცეცხლი ამოქეპრიოდა,
 ამოწყაროვდა ხმები,
 ფურები...

ქვათა მარღვიდან ამოინთხა მზის ენეჩვია,
 თუ სტრაქონები გადაიხსნა კრილობებივით?
 შოთა ნიშნიანობის ხმა პირველად თხუთმეტი წლის წინათ გაისმა. მაშინვე აშკარა იყო ამ ხმის ინდივიდუალობა, პოეტის შემოქმედებითი მანერის თავისებურება. დღეს მისა ლექსი უფრო ძარღვიანია, ახალი ფერებით, აზრით შეივსო და თვალსაჩინოდ გამოხატავს ახალი ეპოქის იდეალებს. სოციალურ-პოლიტიკურ თუ შორალურ ტენდენციებს. რაჟი სიტყვა მოზალურ ტენდენციზე ჩამოვარდა, ბარემ აქვე განვხილეთ ლექსი „ზოგს თავიდანვე“, რომელიც პოეტის უარესად სრულ დამახასიათებელს შეიცავს.

მგარველად მკაედა სული ძლიერია.
 სინდისი იყო ჩემი შრჩვეული,
 ყოველთვის ვთვლიდი თავს ბედნიერად.
 რადგან ვიყავი შეუშრწველი.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს გულწრფელ აღსაქებასთან. ამ ლექსში შინაგანი აზრი ისაა, რომ ბატემოყვარეობა ხელს უშლის შემოქმედებას. უბრალოდ და მოკრძალებს ადამიანს უქვირფასესი ღირსება, მისი მაღალი თვისება, ნიშნადობლივი და დამახასიათებელი ნიშნიანობის ბუნებისათვის. აქ თავისთავად იგულისხმება ის დიდი მასუხისმგებლობა, რასაც პოეტი იჩენს თავისი პირველი შრჩვეულის წინაშე. ისე კი „სინდისზე უფრო დაუნდობელი ინკვიზიტორი არ არსებობს“.

ნიშნიანობე ქართულ პოეზიაში შექმნა მინიატურული მხატვრობის საუკეთესო ნიმუშები, აი ერთი მათგანი:

ფეხქვეშ გათელა შემოდგომამ ხეშევერებია
 ჩამოთარა, ეზოები სავე ხელაღით.
 ამირანვილ მოქინია ეს ბრვე ტურები,
 მოქინია და ღვეებივით დაღლა ყელაშლი.

პოეტი ღრმად გრძნობს ქართული სოფლის თავისებურებას, სურნელს, ამ კეთილი, მომყადლობელი სურნელების გარშემო ეფუფუნებით ჩვენს, როცა ვკითხულობთ ლექსებს: „ქარვია სოფლად შემოდგომა“, „ეღლა... შეხე ვავარდა“, „ამიერეთი... ვიორგობისთვე“ და სხვ. ამ ლექსებში თქვენ ხედავთ სოფლური ცხოვრების ყველა მჭარეს, ისმენთ სოფლის ვაეების საუბარს ამინდსა და მოსავალზე. ეს ნაწარმოებები, აგრეთვე „ხევსური“, „ქართული ბაზარი“ თავისუფლად შეგიძლია დიდ ფერწერულ ტილოებს გავეტოლოთ. საერთოდ, კი, ნიშნიანობე სახეთა გამოშვეებსა და გამოძერწვის დიდი ოსტატია, ამას მოწმობს მისი ღრმა მატრიმით აღსავსე ლექსებიც.

აგერ ყავარჩენებს ჰვიდია ვაცი,
 რაგორც ლამუებს დღე ნომარია,
 რაგორც ჰვიდია ხოლმე სიცოცხლე
 დაბადების და სკვდილის თარიღს.

ეს სურათი, ასე რომ აღელვებს ჩვენს სულს, მკვეთრად გამოხატავს იმ უბედურებას, რაც ომმა ხალხს მოუტანა.

რასაკვირველია, ფაქტები სიტყვებზე ხამაღლა მეტყველებენ, მგარამ სინამდვილე, კონკრეტული მოვლენა, ამბავი გარდაქმნილი სურათად სიტყვების საშუალებით, სურთოს-საზოგადოებრივ სახეს იღებს და ყველა თაობათვის ერთნაირად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ხელოვნების სწორედ ასეთ, ამოღლევანებს, ყოველთვის თანამედროვე ნაწარმოებთარიცხს გუთუთნის შოთა ნიშნიანობის ლექსები.

ინტიმურ ლირიკას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამ ეანრის მიხედვით დინტირესებულ ადამიანს ნათელი წარმოდგენა ეძლევა ერის მოზალურ სახეზე, ხასიათზე, მის ყოფაზე, შემოხვევითო როლია, რომ ჩვენს პოეზიაში ფეხი ვერ მოიკიდა, ერთიკიამ, პირ-

ქით, დიდი წინააღმდეგობა შეხება მისი შემოქრის ელას. ქართულ სატრფიალო ღირსებას ერის ბუნებიდან გამომდინარე. ზნეობრივი პრინციპი უძველესი საფუძვლად. როცა დარღვეულია ეს პრინციპი იქ არავითარი პოეზია იმარ შეიძლება იყოს, ლექსი თავისი ბუნებით ესაოტვივრი კატეგორიაა და მოწოდებულია გამოხატოს კეთილი და ნიშნადობლივი. სწორედ ამ მხრივ იბეჯობს ყურადღებას შოთა ნიშნინიძის ღირსება, სადაც ზნეობრივი ცხოვრების მომენტები მშვენიერად ცორობით არის ასახული. ლექსები: „ვახსენება“, „წვიმა და მუხობლის გოგონა“, „ერთი პატარა ქალი მიყვარდა“, „შენ რომ არ მყავდე“, „მე რომ ოდნავად“, „მთა“ შეფერილია წარუყვნილო ბირველი სიყვარულს, ცეცხლით. ამ ნაწარმოებებიდან ჩანს, რომ ნიშნინიძისათვის, რაც ადამიანურია, უცხო არ არის, მას არასოდეს არ დალატობს ზომიერების გრძობა.

ნიშნინიძის ერთ-ერთ ლექსს რეფრენად ვასდევს სტრიქონები: „ცა ქუდად არ მიმანია და დედამიწა ქალამნად“ რა თქმა უნდა, როცა კი მწერალი განთავისუფლდება სულში მომწიფებელი ახალი შინაარსის ნაწარმოებებისათვის თავს ლაღად გრძობს, მით უფრო მაშინ, თუ ეს ნაწარმოები ყოველმხრივ საკლქმნილია. ამის ამბობს კიდევ პოეტი ლექსში „ცა ქუდად, მიწა ქალამნად“, სადაც იგი თავისი ალალი გულთ ლოცავს ყოველ ახალ ბარაოსს, ფუტქს, ბაღავარს — მარადიული სიცოცხლის საფუძველს. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, თუ არა ეს

ამაღლებული განწყობილება („ცა ქუდად არ მიმანია და დედამიწა ქალამნად“), არ იქნებოდა პოეტის არც ერთი ღრმა მნიშვნელობის სიცოცხლით სავსე, საუცხოო სიტყვების სიღრმე გუბილაგს და გვათრთოლებს, ხოლო ამ ამაღლებული განწყობილების მთავარი წყარო სისწულეობით, წარმოდგენილი აღმოჩენებით მდიდარი ცხოვრებაა, რომელსაც პოეტი ჩაყვდა სულით, გრძობით, ვიწროებით, და რომელსაც დაკავშირებულია მთელი თავისი მომავლით, სისხლითა და ხორციით.

ეს ვახსნა არი, ამა რა არი
დღევანდელი დღის საოცრებანი;
გულს ვადავიხსნი, ჩემო მამულო,
ავიფერადებ სიტყვას ფრესკებად,
ხედა შენს მგალობელს სასახარულად.

ეს სტრიქონები პოეტის ემოციური სამყაროს ვასალებია.

ნიშნინიძის პოეზია — ეს არის გრძობათა დღევა, ჩუროული ქარისა და დღღღენი ლერწმის, ცეცხლი შეხვედრისა და განმორების, დავიწყებულთა, დაკარგულთა და საყვარელ ადამიანთა ვახსენება, ვახაფხულის ფერთა ციკლიში, კახტუის ოცნება და შემართება, ბავშვის უმანყო სიცილი, დედის შიში და თრთოლება, მწიფე ძნა თავთავეებისა და ხილვა მისნერი; იგი ბუნების, ცხოვრების, სამშობლოს სიყვარულს აგრთებს და ფერწერისა და მუსიკის გამოხატავს ამ სიყვარულს.

პლაზიშვილი ჯიგურბი

8102/19

ფანონ 80 ჯვვ.


საქართველოს
ინდექსი
76128

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ